ალექსანდრე ჭაჭია

საქართველო, როგორზეც ვოცნებობდი...

ალექსანდრე ჭაჭია

საქართველო, როგორზეც ვოცნებობდი...

წერილები
გამოსვლები
ინტერვიუები

ტომი II

გამომცემელი:
აიპ „ისტორიული მემკვიდრეობა“ ©
თბილისი, 2013 წელი

UDC(უაკ)321(479.22)+316.32(479.22)
ჯ–30

ISBN 978-9941-0-4559-2

წინათქმა

ალექსანდრე ჭაჭიას წერილების, გამოსვლებისა და ინტერვიუების კრებულის პირველი ტომი 2002 წელს გამოიცა. კრებულისადმი ინტერესი იმთავითვე დიდი იყო და მალევე დაიგეგმა მეორე ტომის გამოცემაც, თუმცა, როგორც მოგეხსენებათ, დაჩქარდა პროცესები, მოხდა „ვარდების რევოლუცია“, შესაბამისად, დროში გაიწელა მეორე ტომის გამოცემა, ვინაიდან სააკაშვილის რეჟიმთან პრაგმატული და ადეკვატური ურთიერთობა კედლისთვის ცერცვის შეყრის ტოლფასი იყო.

სარედაქციო ჯგუფი, გადავწყვიტეთ რა, რომ ვითარება შეიცვალა, შევუდექით მეორე ტომის მომზადებას. მასალებზე მუშაობისას ერთგვარი დეჟავიუს გრძნობა დაგვეუფლა — თუ კონკრეტული მოქმედი პირების გვარებს და ასევე თარიღებს შევცვლით, ათეული წლის წინ გამოქვეყნებული ინტერვიუები და წერილები, სამწუხაროდ, დღევანდელობას ისე ესადაგება, თითქოს არც დრო შეცვლილა და არც ხელისუფლება.

სააკაშვილის რეჟიმის პერიოდშიც და 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგაც, ობიექტურ კრიტიკასთან ერთად, ალექსანდრე ჭაჭიას პუბლიკაციები შეიცავდა როგორც მოვლენათა უტყუარ პროგნოზებს, ასევე ამ რთული, დამღუპველი ვითარებიდან გამოსავლის რეცეპტებსაც. მათი დროული გათვალისწინება როგორც შევარდნაძის, ასევე სააკაშვილის ხელისუფლებათა მიერ თავიდან აგვაცილებდა საქართველოს რღვევის, სახელმწიფოებრიობის მოშლის, სუვერენიტეტის ნიველირების პროცესს, რომელსაც დღეს აქვს ადგილი. სამწუხაროდ, არც ერთმა ხელისუფლებამ ყურად არ იღო ღრმა ანალიზსა და ეროვნულ მიდგომებზე დაფუძნებული რეკომენდაციები, რომელთა გაუთვალისწინებლობაც საქართველოს

დღემდე მხოლოდ ტერიტორიების დაკარგვა, მილიონზე მეტი მოქალაქის ქვეყნიდან ლუკმაპურის საშოვნელად გასვლა, ეკონომიკისა და წარმოების მოშლა, მართლმადიდებლობის, ტრადიციული ზნეობრივი ნორმების წინააღმდეგ ღიად გალაშქრება და ვასალურ ტერიტორიად ჩამოყალიბება მოუტანა.

მიუხედავად ესოდენ არასახარბიელო მდგომარეობისა და რიგი უმძიმესი პრობლემებისა, რომლებიც მხოლოდ პესიმისტური პროგნოზების გაკეთების საშუალებას იძლევა, ჯერ კიდევ არსებობს შანსი, რომ, მართებული მიდგომის, სწორი ნაბიჯების გადადგმის შემთხვევაში, საქართველოს ღირსეული მომავლის პერსპექტივა გაუჩნდეს. სწორედ ამ და სხვა უაღრესად მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ პროცესებს, ახალ მსოფლიო წესრიგში საქართველოს ადგილს და შექმნილი ჩიხური მდგომარეობიდან გამოსვლის გზებს ეხება ალექსანდრე ჭაჭიას პუბლიკაციათა ერთი ნაწილი, რომელსაც წინამდებარე გამოცემაში გთავაზობთ. ვიტოვებთ იმედს, რომ ყოველივე ახალი ხელისუფლების პირობებში მაინც არ დარჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

მეორე ტომი შედგება ორი ნაწილისგან. პირველ ნაწილში შევიდა ალექსანდრე ჭაჭიას 2012-2013 წლების პუბლიკაციები, ხოლო მეორე ნაწილში — 2001-2011 წლების ინტერვიუები, წერილები და გამოსვლები.

«ჩვენ ვერასოდეს გავხდებით ერთიანი ევროპული სივრცის ნაწილი, ეს ყველას ესმის, ვინც გეოგრაფია იცის»

— ბატონო ალექსანდრე, თქვენ, საკმაოდ დიდი ხანია, არ ჩანხართ ქართული პრესის ფურცლებზე. მეოთხე წელია, ჩვენი გაზეთი გამოდის და ეს პირველი ინტერვიუა თქვენთან. ბოლო დროს ქვეყანაში ბევრი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა მოხდა, რომელთა თაობაზეც მკითხველს უთუოდ დააინტერესებს თქვენი აზრი, მით უმეტეს, რომ, როგორც წესი, თქვენი პოლიტიკური პროგნოზები მართლდება...

— ზუსტად ამიტომ აღარ ვაკეთებ პროგნოზებს. როდესაც ისინი აქტუალურია, მათ ყურს არავინ უგდებს, მაგრამ აღიარებენ მათ სიზუსტეს იმის შემდეგ, რაც ისინი რეალობად იქცევა. რა აზრი აქვს პროგნოზების კეთებას, თუ მათ არ გაითვალისწინებენ...

— ჩვენი ხელისუფლება ცნობილია იმით, რომ კვალიფიციური პროგნოზები და სამართლიანი შეფასებები მათ არ სჭირდებათ...

— საქმე მხოლოდ ხელისუფლებაში როდია. ჩვენი ხელისუფლება არ არის დამოუკიდებელი და არ შეუძლია ერისა და სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე მიიღოს გადაწყვეტილებები. საქმე ჩვენს საზოგადოებაშია, რომელიც აღარაა ერთიანი, მოაზროვნე ეროვნული ორგანიზმი. ასეთი საზოგადოება ადვილად ტყუვდება, ადვილად ექვემდებარება მანიპულირებას; მას აღარ შესწევს უნარი, ეფექტური წინააღმდეგობა გაუწიოს ხელისუფლების დამღუპველ პოლიტიკას, არ ძალუძს, ჩამოაყალიბოს აქტიური, ეროვნული პოლიტიკური ძალა, რომელიც შეძლებს ქვეყანაში სიტუაციის რეალურად შეცვლას.

— დღეს საქართველოში ყალიბდება პოლიტიკური პარტია ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით, რომელიც მონაწილეობას მიიღებს საპარლამენტო არჩევნებში და, ასევე, იმედოვნებს სრულ გამარჯვებას. როგორ შეაფასებთ მის პერსპექტივას?

— იმისათვის, რომ საქართველოში დამაჯერებლად მოიგო საპარლამენტო არჩევნები, ანუ მიიღო ადგილების უმრავლესობა პარლამენტში, საჭიროა ოთხი მნიშვნელოვანი ფაქტორი: ლიდერის მაღალი პირადი ავტორიტეტი; სერიოზული ფინანსური სახსრები; ქვეყნის განვითარების ალტერნატიული პროგრამა; უმწიკვლო წარსულის მქონე თანამოაზრეთა კვალიფიციური გუნდი, რომლის წევრებიც რეგიონებში ავტორიტეტით სარგებლობენ. პირველი ორი ფაქტორი ივანიშვილს გააჩნია, მაგრამ მესამე და მეოთხე არ ჩანს.

— თქვენ თქვით, რომ ივანიშვილს არ აქვს ალტერნატიული პროგრამა. ალბათ, ის მასზე მუშაობს და საზოგადოებას არჩევნების წინ წარუდგენს...

— რა თქმა უნდა, წარუდგენს. მაგრამ, მისივე განცხადებებიდან გამომდინარე, მისი პროგრამა არ იქნება ალტერნატიული. თუ არ მივაქცევთ ყურადღებას ლირიკულ დემაგოგიას „ქართული ოცნების“ შესახებ, მაშინ დანა-

ლექში ჩვენ დავინახავთ იმავე საბაზისო ორიენტირებს, რომლებიც დღევანდელი ხელისუფლების საქმიანობას ახასიათებს: ქვეყნის შიგნით — უკიდურესად ლიბერალური კაპიტალიზმის იგივე მოდელი, რომელიც კრახს განიცდის მთელ მსოფლიოში და განსაკუთრებით დამღუპველია მცირე ქვეყნებისთვის; საგარეო პოლიტიკაში — აშშ-ის სატელიტის როლი, რომელიც გააგრძელებს ბრძოლას ამერიკული ინტერესებისთვის ავღანეთში, მზადაა ირანთან საომრად, ნატოში შესასვლელად, ანუ საქართველოს გადააქცევს აშშ-ისა და თურქეთის სამხედრო პლაცდარმად, რაც ავტომატურად რუსეთისა და ირანის მტრად გვაქცევს.

მისი განცხადებებიდან არ ჩანს, როგორ ხედავს ის საქართველოს როლს და ფუნქციას თანამედროვე მსოფლიოში. **შევარდნაძე გულახდილად აცხადებდა, რომ საქართველომ უნდა შეასრულოს ტრანზიტული დერეფნის როლი; სააკაშვილი ირწმუნება, რომ საქართველოს დანიშნულებაა, გახდეს სამოთხე ტურისტებისთვის. ორივე ფუნქცია ქართველი ერის მოსამსახურე პერსონალად გადაქცევას გულისხმობს, ამიტომ განადგურდა განათლების სისტემა, აკადემიური მეცნიერება, თეატრებში სტრიპტიზი იდგმება, ტელევიზიით პორნოგრაფიას აჩვენებენ და ა. შ. და ეს გასაგებიცაა: განათლება, მეცნიერება და კულტურა მოსამსახურე პერსონალს არ სჭირდება. მაგრამ როგორია საქართველო ივანიშვილის „ოცნებაში“? როგორია ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების მისეული სტრატეგია? ეს ჯერჯერობით გაუგებარია.**

მეც, როგორც ბევრი სხვა საქართველოში, იმედიანად შევხვდი ივანიშვილის გამოსვლას პოლიტიკურ არენაზე, განსაკუთრებით, მისი განცხადების შემდეგ იმის თაობაზე, რომ ის დიდხანს ემზადებოდა ამ ნაბიჯისთვის, ყველაფერი გათვალა და მზადაა მძიმე ბრძოლისთვის. ეს იყო სერიოზული ადამიანის განცხადება, რაც თავისთავად იშ-

ვიათობაა ქართულ პოლიტიკაში, განსაკუთრებით, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ამ ადამიანის ყიდვა შეუძლებელია. მაგრამ გამოხდა ხანი და აღმოჩნდა, რომ ჩამოყალიბებული პროგრამა მას არ აქვს, კადრები არ ჰყავს, მოქმედი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები არ გააჩნია, საკუთარი მოქალაქეობის საკითხიც კი არ ჰქონია წინასწარ მოგვარებული. როგორ გავიგოთ ეს?

კიდევ ერთი: მე ძალიან ვაფასებ გულახდილობას პოლიტიკაში. საერთოდ, ქართველებმა 20 წლის განმავლობაში იმდენი ტყუილი მოისმინეს შევარდნაძისგან, სააკაშვილისგან და მათი თანამზრახველებისგან, რომ გულახდილი და პატიოსანი სიტყვა სწყურიათ. ივანიშვილის პირველ გამოსვლაში იყო ეს მიმზიდველი გულახდილობა, მაგრამ შემდეგ ჩვენ გავიგეთ, რომ მის ხელში საქართველო შევა ნატოში და, ამასთან, აღიდგენს ტერიტორიულ მთლიანობას. დღეს ნებისმიერი ადამიანი, თუნდაც 3 კლასის განათლებით, ხვდება, რომ ეს არის ორი ურთიერთგამომრიცხავი რამ. როდესაც 15 წლის წინათ მე ვწერდი, რომ შევარდნაძე გვატყუებს, როცა გვპირდება ერთდროულად აფხაზეთის დაბრუნებას და ნატოში გაწევრიანებას-მეთქი, ძალიან ბევრ ბრიყვ ადამიანს შევარდნაძის სჯეროდა. შემდეგ ეს ბრიყვები სააკაშვილს უჯერებდნენ, მაგრამ დღეს ასეთი სულელები, მგონი, აღარ არსებობენ. ყველა ხვდება, რომ ნატოში შესვლის მცდელობაც კი აბსოლუტურად გამორიცხავს საქართველოს აღდგენას იმ სახით, როგორიც ის შევარდნაძემდე იყო. ეს ივანიშვილსაც ესმის. მაშ, რა საჭიროა ასეთი დაპირებები?

იმავე კატეგორიას განეკუთვნება ივანიშვილის დაპირება რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების აღდგენის თაობაზე. როგორ უთანხმდება ეს იმას, რომ იგი სააკაშვილივით უარს ამბობს რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენაზე რუსული სამხედრო ბაზების გაყვანამდე აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსე-

თიდან, ანუ დიპურთიერთობები არ აღდგება არასოდეს? ხომ ნათელია, რომ **დღეს არსებული რეალიები უნდა გავითვალისწინოთ და თვისობრივად ახალ საინტეგრაციო პროექტზე ვიმუშაოთ, რომელიც გაითვალისწინებს ყველა მხარის ინტერესებს. ხომ ყველასთვის გასაგებია, რომ სრულმასშტაბიანი დიალოგი დიპლომატიური ურთიერთობების გარეშე ვერ გაიმართება?** მაშინ რისთვის გვპირდება ივანიშვილი ურთიერთობების აღდგენას რუსეთთან?

გარდა ამისა, მე უსიამოვნოდ განმაცვიფრა ივანიშვილის მიერ „საბჭოთა ოკუპაციის“ წლისთავის ირგვლივ გამართული ბაკქანალიის მხარდაჭერამ. საქმე ისაა, რომ ოკუპანტები არ აშენებენ უნივერსიტეტებს, სკოლებს, საბავშვო ბაღებს, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, ქარხნებსა და ფაბრიკებს, თეატრებსა და კულტურის სასახლეებს, საავადმყოფოებსა და პოლიკლინიკებს, ოკუპანტების დროს არ იზრდება შობადობისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებელი და არ მცირდება სიკვდილიანობა. ოკუპანტები ყველაფერს პირიქით აკეთებენ, სწორედ ისე, როგორც ბოლო 20 წელი „დამოუკიდებელ“ საქართველოში ვხედავთ. შევარდნაძე-სააკაშვილის რეჟიმმა მიზნად დაისახა, საქართველო სატრანსპორტო დერეფნად და ტურისტულ ბაზად ექცია, ხოლო ქართველები — მოსამსახურე პერსონალად: მზარეულების, ოფიციანტების, გუვერნანტკების, სტრიპტიზიორებისა და მეძავების ერად. ხოლო „საბჭოთა ოკუპანტი“ ლავრენტი ბერია მეორე „საბჭოთა ოკუპანტის“ — იოსებ სტალინის მხარდაჭერით სხვა ამოცანას ისახავდა: გადაექცია საქართველო განვითარებულ აგრარულ-ინდუსტრიულ ქვეყნად, ხოლო ქართველები — ინჟინრებისა და აგრონომების, ექიმებისა და მასწავლებლების, მეცნიერებისა და მსახიობების ერად და წარმოუდგენლად მოკლე ვადაში შეძლო კიდეც ეს.

თუ ჩვენ, უპასუხისმგებლო პოლიტიკოსების ნებით, გარე ძალების საამებლად უარს ვიტყვით ჩვენი ისტორიის ამა თუ იმ პერიოდზე, შავ საღებავს მივასხამთ ჩვენი წინაპრების ამა თუ იმ თაობას, არსებობას შევწყვეტთ, როგორც სრულფასოვანი ერი. ერი, უპირველეს ყოვლისა, არის ყველა თაობის ერთიანობა, რომელთაგან ყოველი ჩვენს პატივისცემას იმსახურებს. განსაკუთრებით, ეს საბჭოთა პერიოდში ჩვენი მამებისა და პაპების მოღვაწეობას ეხება. მათ ააშენეს საქართველო, ქართველები ერთიან ერად შეკრეს, დაგვიტოვეს ერთიანი, განვითარებული, კულტურული ქვეყანა განათლებული და მატერიალურად უზრუნველყოფილი მოსახლეობით. ჩვენ, შევარდნაძის, სააკაშვილისა და მათი ამერიკელი მრჩევლების ხელმძღვანელობით, შევძელით დაგვენგრია, გაგვეძარცვა და გაგვეყიდა ქვეყანა, ვაიძულეთ მოსახლეობის მესამედი, ემიგრაციაში წასულიყო, სხვები კი სიღარიბისთვის და მორალური გახრწნისთვის გავწირეთ. საბჭოთა პერიოდში საქართველო ქართული კულტურისა და ქართული ტრადიციების ქვეყანა იყო. სადაა დღეს ჩვენი ეროვნული კულტურა და ეროვნული ტრადიციები? სხვათა შორის, მმართველი კლასი, რომელიც დღეს საბჭოთა პერიოდს აფურთხებს, პირველ რიგში, სწორედ მას უნდა უმადლოდეს იმის გამო, რაც აქვთ: ისინი ხომ სწორედ იმის წყალობით გამდიდრდნენ, რომ მოიპარეს და გაყიდეს ის, რაც საბჭოთა პერიოდში შეიქმნა.

— როგორ აფასებთ ივანიშვილის კოალიციის შემადგენლობას?

— ივანიშვილს ჰქონდა ყველა შანსი, გამხდარიყო საერთო ეროვნული ოპოზიციური ლიდერი. ამისთვის არ იყო აუცილებელი არსებული პოლიტიკური პარტიების შემოერთება, რომელთა უმრავლესობა მოსახლეობის თვალში დისკრედიტებულია. მეტიც, კოალიციაში ამა თუ

იმ პარტიის ჩართვა ავტომატურად ართმევს ივანიშვილს ამ პარტიის მოწინააღმდეგე ამომრჩეველს, ივანიშვილმა კი, სამწუხაროდ, მოახერხა, მოკავშირეებად აერჩია ის პარტიები, რომელთაც ყველაზე მეტი მოწინააღმდეგე ჰყავთ. საერთოდ, პრაქტიკამ აჩვენა, რომ პარტიებისგან შემდგარ ბლოკებს ეფექტი არ მოაქვს არც არჩევნების მსვლელობისას და არც არჩევნების შემდეგ. პარლამენტში ეს ბლოკები იშლება, ყოველი პარტია იწყებს საკუთარ თამაშს და ხელისუფლებას ცალ-ცალკე ევაჭრება. გაიხსენეთ 1999 წელი, როდესაც წამყვანი ძალები შევარდნაძის „მოქალაქეთა კავშირი“ და ასლან აბაშიძის „აღორძინება“ იყო. ასლანის მხარეს იყო ფულიც და სახელისუფლო შესაძლებლობებიც, ასევე მოსახლეობის მძლავრი ოპოზიციური განწყობაც. **მე ვურჩევდი მას, დისკრედიტებულ პარტიებთან კი არ შეექმნა ბლოკი, არამედ დაყრდნობოდა ფართო საპროტესტო ფენებს, საზოგადოებრივ სტრუქტურებს, შეეყვანა სიაში რეგიონული ელიტების ავტორიტეტული წარმომადგენლები. ეს ახალი რამ იყო პოლიტიკურ პრაქტიკაში და ამიტომ ასლანმა ვერ გარისკა, არჩევანი პარტიათა ბლოკზე შეაჩერა. ბლოკმა „მოქალაქეთა კავშირთან“ არჩევნები წააგო, შემდეგ, უკვე პარლამენტში დაიშალა რამდენიმე ფრაქციად და პოლიტიკაშიც ვერაფერი არსებითი ვერ გააკეთა. დღეს ის აღარავის ახსოვს.**

ვფიქრობ, ივანიშვილის პოლიტიკური იმიჯი უფრო მიმზიდველი იქნებოდა, თუ არენაზე ახალ სახეებს გამოიყვანდა ქართული საზოგადოების ფართო ფენებიდან, რომლებიც თავიანთი წარსული საქმიანობით კომპრომეტირებული არ არიან. **იგი ახალი ადამიანია პოლიტიკაში და ახალ ხალხთან ერთად უნდა მოსულიყო.** მგონი, ხალხი ზუსტად ამას ელოდებოდა.

— ბევრს საქართველოში არ ესმის ბიძინა ივანიშვი-

ლისთვის ქუჩის აქციების მიუღებლობა. რით შეიძლება ეს აიხსნას?

— ამერიკელებს არ სურთ, დაუშვან, რომ მათ მიერ დანიშნული ხელისუფლება ხალხის აჯანყების გზით გადავარდეს. ეს მათი იმიჯისთვის მძიმე დარტყმა იქნება. მათ ის წარუმატებლობაც ეყოფათ, რომ იუშჩენკო უკრაინელმა ხალხმა გააძევა და „ოდნავ უკეთესი“ ტიმოშენკო ხელისუფლებაში არ მიუშვა. თუ ამერიკელები ივანიშვილს ისევე აკონტროლებენ, როგორც მის პარტნიორებს კოალიციაში, მაშინ იგი არასოდეს მოუწოდებს ხალხს ქუჩაში გამოსვლისკენ. ეს გამორიცხულია.

— ახლახან სოროსის ფონდის მიერ ჩატარებული კვლევების თანახმად, საქართველოს მოსახლეობის 48 პროცენტი რუსეთთან ურთიერთობის აღდგენას ემხრობა, თუნდაც აშშ-თან პარტნიორობის გაწყვეტის ფასად. ივანიშვილს არ შეუძლია ეს არ გაითვალისწინოს, თუმცა მაინც განაგრძობს აშკარად პროამერიკულ პოზიციაზე დგომას. რატომ? იქნებ ეს ერთგვარი შენიღბვაა, ამერიკული მხარდაჭერის მოპოვების სურვილი? მით უმეტეს, რომ, როგორც ამბობენ, ივანიშვილს აქვს კავშირები რუსეთის ხელმძღვანელობასთან. ხელისუფლება იმასაც ამტკიცებს, რომ იგი „პუტინის პროექტია“.

— ეს სისულელეა. რამდენადაც ვიცი, არც პუტინი და არც მედვედევი ივანიშვილს არ იცნობენ და რუსეთის სახელმწიფო სტრუქტურებს არაფერი აქვთ საერთო მის საქმიანობასთან. საერთოდაც, პოლიტიკური თვალსაზრისით, რუსეთი საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში არანაირად არ მონაწილეობს. საქართველოში რაღაც პოლიტიკურ პროცესებს რუსეთი მხოლოდ ქართველი პოლიტიკოსების ავადმყოფურ წარმოსახვაში ხელმძღვანელობს. რეალურად ეს ასე არაა, რაც, სხვათა შორის, ცუდია საქართველოსთვის. აშშ-ის მხრიდან მონოპოლიურმა პატრონატმა ჩვეულებრივ კოლონიად გადაგვაქცია. მოუს-

მინეთ ქართველ პოლიტიკოსებს, საზოგადო მოღვაწეებს: ყველა კამათობს იმაზე, თუ ვის მხარეს იქნება აშშ; ყველა ცდილობს, მოიპოვოს ამერიკის ელჩის კეთილგანწყობა, რამენაირად თავი მოაწონოს ვინმეს სახელმწიფო დეპარტამენტში, სხვადასხვა მხრიდან წონიან ობამას ყოველ სიტყვას, წერენ უზარმაზარ სტატიებს, რომლებშიც მისი სიტყვების ინტერპრეტაციას ახდენენ თავის სასარგებლოდ. ეს სასაცილო და ამაზრზენია.

აშშ-ის მონოპოლიური გავლენა საქართველოზე, მის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე სრულ ბატონობად იქცა, რაც გვართმევს დიდი სახელმწიფოების ინტერესების გადაკვეთაზე ბალანსირების საშუალებას, მათი წინააღმდეგობების ჩვენი ქვეყნის ინტერესებისთვის გამოყენების შესაძლებლობას. მსოფლიოში ცოტაა აბსოლუტურად დამოუკიდებელი სახელმწიფოები: აშშ, ჩინეთი, რუსეთი, ირანი, სამხრეთ კორეა, კუბა... ქვეყანათა უმრავლესობა, განსაკუთრებით პატარები, დამოკიდებულნი არიან დიდ სახელმწიფოებზე. მაგრამ **საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობის განსაკუთრებულობა ისაა, რომ აქ გადაიკვეთება ოთხი გიგანტის ინტერესები — აშშ-ის, რუსეთის, თურქეთის, ირანის. ჩვენ გვქონდა შანსი, ამ ინტერესების ბალანსზე სწორი პოლიტიკა აგვეგო. ეს იქნებოდა საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და ქართველი ერის გადარჩენის გარანტია, მაგრამ ჩვენმა ხელისუფლებამ ეს შანსი ხელიდან გაუშვა და, უკვე 20 წელია, ერთი ძალის ხელში მარიონეტის როლს ასრულებს.** სწორედ ამ როლის შედეგია ტერიტორიების დაკარგვა, ხალხის გაღატაკება და საზოგადოების ზნეობრივი დეგრადაცია.

— ამიტომ ბევრი თვლის, რომ არჩევნების შედეგი საქართველოში დამოკიდებულია აშშ-ის პოზიციაზე, იმაზე, თუ რომელ პოლიტიკურ ძალას დაუჭერენ მხარს ამერიკელები...

— ეს ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილის, უპირველეს

ყოვლისა კი, მისი უმაღლესი ეშელონების კოლონიურ ცნობიერებაზე მეტყველებს, მათთვის აუცილებელია გარეშე უფროსის ყოლა. თვით არჩევნებისთვის ამ ფაქტორს არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. პირიქით, ქართველი ერის უდიდესი ნაწილი ძალიან მტკივნეულად რეაგირებს გარედან ჩარევაზე.

ამასთან დაკავშირებით შემიძლია შეგახსენოთ 1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, როდესაც შევარდნაძის კონკურენტი ჯუმბერ პატიაშვილი იყო. მაშინ შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, სახელმწიფო მდივანმა, თავდაცვის მინისტრმა, რუსეთის ხელმძღვანელობამ პრეზიდენტ ელცინის, პრემიერ ჩერნომირდინის, საგარეო საქმეთა მინისტრ კოზირევის, თავდაცვის მინისტრ გრაჩოვის სახით, უპრეცენდენტოდ თავხედური და უცერემონიო მხარდაჭერა გაუწიეს შევარდნაძეს — პირდაპირ მოუწოდეს საქართველოს მოსახლეობას, ხმა მიეცათ მისთვის. საბოლოო ჯამში, როგორც მოგეხსენებათ, თითქმის ყველა რეგიონში პატიაშვილმა ხმათა 60-70 პროცენტი მიიღო, ხოლო შევარდნაძემ — 20-25 პროცენტი, მაგრამ ადგილობრივმა ხელისუფლებამ, პოლიციასა და უშიშროებასთან ერთად, თავხედურად ამოატრიალა ციფრები, ცესკომ აკადემიკოს ი. კიღურაძის ხელმძღვანელობით კი შევარდნაძე ხმების 70%-ით გამარჯვებულად გამოაცხადა. მე მაშინ პატიაშვილის შტაბს ვხელმძღვანელობდი და კარგად მახსოვს ხალხის აღშფოთება, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ არ გვქონდა არც გამოცდილება, არც ფინანსური სახსრები იმისთვის, რომ ადგილებზე ხმათა დაცვის უზრუნველყოფა მოგვეხდინა, შევწინააღმდეგებოდით ფალსიფიკაციის ტექნოლოგიებს, რომლებიც მაშინ ზურაბ ჟვანიას გუნდმა გამოცადა და შემდეგ წარმატებით იყენებდა ყველა მომავალ არჩევნებზე. მეტიც, ჩვენ არც ერთმა პოლიტიკურმა პარტიამ არ დაგვიჭირა მხარი, ყველას ვაშინგტონიდან და მოსკოვიდან მოსული მი-

თითებების დარღვევის ეშინოდა. მაშინ მივხვდი, რომ ჩვენთან დამოუკიდებელი, ეროვნულად ორიენტირებული პარტიები არ არსებობს.

ივანიშვილს თვისობრივად განსხვავებული მდგომარეობა აქვს. მას გააჩნია ფინანსური შესაძლებლობები არჩევნების პროცესზე როგორც ტექნიკური, ასევე ფიზიკური კონტროლისთვის. გარდა ამისა, ე.წ. მსოფლიო თანამეგობრობა უკვე აღარ კონტროლდება მხოლოდ შეერთებული შტატების მიერ. რუსეთს, წამყვან ევროპულ ქვეყნებს და თურქეთსაც კი აქვს თავისი, განსაკუთრებული ხედვა საქართველოს მიმართ. ამიტომ მასობრივი გაყალბებები იარაღის ჟღარუნით, როგორც ამას ჟვანია და კვირაია აკეთებდნენ, დღეს შეუძლებელია, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუ ივანიშვილის კოალიციას ექნება ამომრჩეველთა უდიდესი ნაწილის რეალური მხარდაჭერა.

— ბატონო ალექსანდრე, ცოტა ხნის წინ ინტერნეტში წავიკითხე თქვენი 2004 წლის გამოსვლა ევროპის პოლიტოლოგთა ფორუმზე, თქვენ ამტკიცებდით, რომ ევროკავშირს მომავალი არ აქვს, ე.ი. საქართველო ისწრაფვის იმ სტრუქტურაში, რომელიც სულ მალე აღარ იარსებებს?

— ევროკავშირი კიდეც რომ იყოს მდგრადი, პერსპექტიული ორგანიზაცია, საქართველოსთვის მისი კარი მაინც დახურული იქნებოდა. **ჩვენ ვერასოდეს გავხდებით ერთიანი ევროპული სივრცის ნაწილი, ეს ყველას ესმის, ვინც გეოგრაფია იცის, გეოპოლიტიკაზე აღარაფერს ვამბობ. შევარდნაძისა და მისი მემკვიდრეების მიერ მოცემული პირობა, საქართველოს ევროკავშირში შეყვანის თაობაზე, თავიდანვე ბლეფი, მიმნდობი მოსახლეობის მოტყუება იყო.** მაგრამ დღეს ეს იმდენად აბსურდულია, რომ მთავრობის ოდიოზური წარმომადგენლებიც კი ამჯობინებენ, არ განავრცონ ეს თემა — უკვე ძალიან სასაცილოდ ჟღერს.

ევროკავშირს, მხოლოდ „ძველ ევროპას“ რომ მოიცავდეს, შეეძლო საკმაოდ დიდხანს — კიდევ 20 წელი ეარსება და ეკონომიკურად განვითარებულიყო, მაგრამ ამერიკელებმა დაჟინებით მოითხოვეს ევროკავშირის შემადგენლობაში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების შეყვანა, რათა ისინი რუსეთისთვის მოეწყვიტათ და ამავე დროს ევროკავშირი დაესუსტებინათ, ამან კი საერთო ვითარება ძირეულად შეცვალა. დღეს კავშირის წამყვან წევრებს – გერმანიას, საფრანგეთს — ამ ქვეყნების სუსტი ეკონომიკის მხარდაჭერა საკუთარი რესურსების ხარჯზე უწევთ. ის სახსრები, რომლებიც ტრადიციული, მაგრამ შედარებით ღარიბი ევროპული ქვეყნების (ესენია იტალია, საბერძნეთი, ესპანეთი და სხვ.) ეკონომიკის მხარდასაჭერად იხარჯებოდა, ახლა კავშირის ათეულობით ახალ წევრ ქვეყანაზე იფანტება. რამდენ ხანს შეიძლება ასე გაგრძელდეს? გერმანელებს მობეზრდათ ევროპელი მუქთახორებისთვის მეწველი ძროხის როლში ყოფნა. **ეკონომიკის არათანაბარი განვითარება შეუძლებელს ხდის ამ ქვეყნების თანაარსებობას საერთო სამართლებრივი სივრცის ჩარჩოებში.** საბერძნეთის გაკოტრება მხოლოდ დასაწყისია. პორტუგალია, ირლანდია, ესპანეთი რიგში დგანან, ძალიან მძიმე მდგომარეობა აქვს იტალიას. უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ გერმანიისა და საფრანგეთის საგარეო ვალიც ყველა დასაშვებ ზღვარს აღემატება. საერთოდ, დროა, ვაღიაროთ, რომ ლიბერალური კაპიტალიზმის მოდელმა, რომლის მიხედვითაც დასავლეთი ბოლო 50 წლის განმავლობაში ვითარდება, საკუთარი თავი ამოწურა, ევროპის ქვეყნები ჩიხში შეიყვანა. ადრე თუ გვიან ევროპელებს და ამერიკელებს მოუწევთ იმის აღიარება, რომ ვალებში ცხოვრების გაგრძელება შეუძლებელია, საჭიროა მოხმარების მკვეთრი შემცირება, მეტი მუშაობა და რეალურად გამომუშავებული ფულის შესაბამისად ცხოვრება. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველას

„ბერძნული ვარიანტი“ ელის. და მაშინ ევროპის ეროვნული ეკონომიკებისა და ევროკავშირის კრახი მოხდება.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც უპერსპექტივოს ხდის ევროკავშირის არსებობას, ხალხთა ეროვნული თვითშეგნებაა. მიუხედავად ამერიკელების წარმოდგენისა, რომლებიც თვლიდნენ, რომ საერთო ეკონომიკური სივრცე თანდათან წაშლიდა ეროვნულ განსხვავებებს და ერები გადაიქცეოდნენ ერთიან უეროვნებო მასად, ევროპის ხალხების დიდ ნაწილს ეროვნული თვითშეგნება ეზრდება, ეროვნული თვითგადარჩენის ინსტინქტი იღვიძებს. ერთიანი ევროპის კონსტიტუცია, მიუხედავად კოლოსალური აგიტაციურ-პროპაგანდისტული მუშაობისა, მაინც ვერ მიიღეს. ევროკავშირი თანამედროვე მსოფლიოში ვერ გახდა და უკვე ვეღარ გახდება ერთიანი გეოპოლიტიკური სუბიექტი. რას წარმოადგენენ ევროკავშირის ოფიციალური ხელმძღვანელები, ვინ უწევს მათ მსოფლიოში ანგარიშს? ვინ მიიჩნევს სერიოზულ პოლიტიკურ ფიგურად ბაროზუს, ვინ აღიქვამს ეშტონს ევროპის საგარეო საქმეთა მინისტრად? ეს სასაცილო, კარიკატურული ფიგურებია, რომლებიც იმას ასრულებენ, რაზეც გერმანიისა და საფრანგეთის ხელმძღვანელები (ჯერჯერობით ისევ აშშ-ის თანამონაწილეობით) მოილაპარაკებენ.

ევროპის ერები ეროვნულ სახელმწიფოებრიობაზე უარის სათქმელად მზად არ აღმოჩნდნენ, მეტიც, აშშ-ისა და ზოგადევროპული სტრუქტურების მხრიდან განხორციელებულმა ზეწოლამ უკურეაქცია — ნაციონალიზმის ზრდა გამოიწვია. დღეს სულ უფრო მეტი გერმანელი, ფრანგი, იტალიელი ითხოვს მიგრაციის შეზღუდვას, და არა მხოლოდ აფრო-აზიური, არამედ აღმოსავლეთ ევროპულისაც. მოითხოვენ ეროვნული ვალუტის დაბრუნებას, ევროპის შიგნით საბაჟოების აღდგენას, ეროვნული ბაზრების დაცვას, ეროვნული საქონლისა და ადგილობრივი მუშახელის მიმართ სახელმწიფო პროტექციონიზმს. მე-

ტიც — ევროპული ქვეყნების შიგნითაც ძლიერდება სეპარატისტული ტენდენციები: იტალია ჩრდილოეთად და სამხრეთად გახლეჩის ზღვარზე დგას, ესპანეთში ისევ რამდენიმე სახელმწიფოდ დაყოფის საშიშროებაა. პატარა ბელგიაც კი — თავის დროზე ხელოვნურად შექმნილი სახელმწიფო, სიცოცხლისუნარიანი არ აღმოჩნდა და ყოველ წუთს დაშლა ემუქრება, ბრიუსელი კი ამ დროს ევროკავშირის დედაქალაქია!

თუ ევროპული ქვეყნების ხელმძღვანელობა, პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტა არ მიაქცევენ სათანადო ყურადღებას საკუთარი ერების მზარდ უკმაყოფილებას, არ დააბრუნებენ თავიანთი ქვეყნების განვითარებას ეროვნულ კალაპოტში, მაშინ შედეგი უფრო სერიოზული იქნება, ვიდრე, უბრალოდ, ევროკავშირის დაშლაა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ევროპა ფაშიზმის სამშობლოა. ფაშისტური და ნახევრადფაშისტური რეჟიმები გასული საუკუნის 30-იან წლებში თითქმის ყველა ევროპულ ქვეყანაში იყო, სრულიად ევროპა დაავადდა ფაშიზმით. დღესაც დაუკმაყოფილებელი ეროვნული მოთხოვნები შეიძლება რეალურ ფაშისტურ განწყობილებებში გადაიზარდოს. ამ ტრანსფორმაციის პროვოცირება ნებისმიერ მსხვილ კატაკლიზმს ძალუძს — ფინანსურ-ეკონომიკურ კრიზისს, ტექნოგენურ კატასტროფას, მსხვილ მოწინააღმდეგესთან, მაგალითად, ირანთან ომს.

— საქართველოს ნატოში შესვლასთან დაკავშირებულ ბანალურ შეკითხვასაც დაგისვამთ, თუ თქვენ ამაზე პასუხის გაცემა არ მოგბეზრდათ.

— ამ კითხვაზე იმ დროიდან ვცემ პასუხს, რაც შევარდნაძემ გაახმიანა ეს ქიმერა, რომელიც ძალიან ძვირი დაუჯდა და ჯერ კიდევ უჯდება ჩვენს ხალხს. ეს საკუთარი ერის თავხედურად მოტყუების კლასიკური მაგალითია. არსებობს ტყუილი, რომელიც სიმართლეს ჰგავს, და არის აბსურდული ტყუილიც. ჩვენი ქვეყნის მმართვე-

ლებმა გამოაცხადეს და ლამის ეროვნული იდეის რანგში აიყვანეს ნატოში შესვლისა და მისი დახმარებით ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი, ანუ აბსურდული ტყუილი თქვეს. საკვირველია, მაგრამ მათ მოსახლეობის დიდ ნაწილს დააჯერეს ეს აბსურდი. მეტიც, **რუსეთთან ყველა მოლაპარაკება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესახებ შევარდნაძემ ფარსად აქცია, ის ხომ ფაქტობრივად რუსებს ეუბნებოდა: დაგვიბრუნეთ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი და საქართველო ერთიანად შევა ნატოშიო!** თანაც ირწმუნებოდა, რომ რუსეთი ამაზე უნდა დათანხმებულიყო.

— შევარდნაძის ბოლო ინტერვიუებით თუ ვიმსჯელებთ, ამ პერსპექტივის მას თვითონ არ სჯერა. პირიქით, მოუწოდებს ხელისუფლებას, მოაგვარონ ურთიერთობები რუსეთთან, დასავლეთის დახმარებას კი ტერიტორიების დაბრუნების საქმეში გამორიცხავს. ახლახან „ასავალ-დასავალისთვის“ მიცემულ ინტერვიუში სიტყვასიტყვით ამბობს: „საომარ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანას, რომელსაც ტერიტორიები აქვს დასაბრუნებელი, ნატოში არავინ მიიღებს. აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნების გზა კი მხოლოდ რუსეთზე გადის“.

— გადადგომის შემდეგ ხანდახან სიმართლესაც ამბობს. ვინ უშლიდა ამის გაკეთებას, როდესაც პრეზიდენტი იყო? 12 წელი ხალხს აბითურებდა, ქვეყანა დაანგრია და ძალაუფლება თავის მემკვიდრეებს გადასცა, რომლებიც ბევრად უფრო დახვეწილი მატყუარები არიან, ვიდრე მათი მასწავლებელი.

საქართველოს თეორიულად შეუძლია ნატოში შესვლა, მაგრამ მხოლოდ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების და ამ ტერიტორიებზე ყველანაირ პრეტენზიაზე უარის თქმის შემდეგ. ქვეყნის ხელმძღვანელობას ეს მშვენივრად ესმის, დასავლეთთან კულუარულ საუბრებ-

ში ამ რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარების მზადყოფნას გამოთქვამენ, მაგრამ არ იციან, როგორ მიაწოდონ ეს ქართველ ხალხს. აღიარების იდეა, როგორც ცნობილია, უკვე შემოგდებულია ქართულ საზოგადოებაში. ვფიქრობ, ამ მიმართულებით მუშაობა გაძლიერდება და შეკვეთილი შედეგის მქონე რომელიმე პლებისციტით დასრულდება. მაგრამ, როგორც კი გავხდებით ნატოს წევრი, ჩვენსა და მოწყვეტილ რესპუბლიკებს შორის ისეთ კედელს ავაშენებთ, რომლის გადალახვაც უკვე შეუძლებელი გახდება.

ნატოს არასოდეს, არსად გაუერთიანებია ტერიტორიები. პირიქით, სადაც კი შევიდა, ყველგან ამას ქვეყნის რამდენიმე კვაზისახელმწიფოდ დაშლა მოჰყვა. მინდა შევახსენო მათ, ვინც ოცნებობს საქართველოში ნატოს ბაზებზე, რომ იმავე ერაყში, რომელიც ამერიკელებმა „ტირანიისგან გაათავისუფლეს“, მათი ჯარების გაყვანის დღე სახელმწიფო დღესასწაულადაა გამოცხადებული, ხოლო იაპონელების აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ იაპონიის ისტორიაში ყველაზე ბედნიერი დღე ოკინავიდან ამერიკული ბაზის გაყვანის დღე იქნება.

ჩვენთან უყვართ მოყოლა, თუ როგორ გაბედნიერდნენ ნატოსა და ევროკავშირში შესვლის შემდეგ ბალტიისპირეთის ქვეყნები, მაგრამ, თუ სტატისტიკას მივმართავთ, აღმოვაჩენთ, რომ ლიტვის მოსახლეობა 10 წლის მანძილზე მესამედით შემცირდა, ლატვიიდან 300 000 ადამიანი წავიდა და იქ ახლა მოსახლეობა 2 მილიონიც არ არის. პატარა ესტონეთში რეალური უმუშევრობა 25-დან 30 პროცენტამდე მერყეობს, ხოლო 63 ათას ესტონელ ბავშვს სისტემატურად არ ჰყოფნის საკვები. აი, ასე „გაბედნიერდნენ“ ეს ქვეყნები.

იცით, ვინაა ყველაზე მეტად, აშშ-ის გარდა, საქართველოს ნატოში შესვლით დაინტერესებული? თურქეთი და აფხაზეთისა და ოსეთის პოლიტიკური წრეები. თურ-

ქეთს ეს მისცემს საშუალებას, რუსეთს არც შეხედოს, ნატოს ბაზების ეგიდით შეიყვანოს თავისი ჯარები საქართველოში, საიდანაც 150 წლის წინ ისინი რუსებმა გაყარეს. ხოლო ძველი ურთიერთობების აღდგენის მოწინააღმდეგეებს აფხაზეთსა და ოსეთში ეს იმის გარანტიას აძლევს, რომ არანაირ რეინტეგრაციულ პროექტებზე საქართველოსთან აღარასოდეს იქნება საუბარი. რა ინტეგრაცია უნდა იყოს მაშინ, როდესაც საზღვრის ერთ მხარეს ნატოს თურქული ჯარები დგას, მეორე მხარეს კი – რუსეთის ჯარები?

გარდა ამისა, ნატო არის ორგანიზაცია, რომელმაც საკუთარი თავის დისკრედიტაცია მოახდინა. იმავე ევროპაში მილიონობით ადამიანი მოითხოვს საკუთარი მთავრობებისგან ნატოდან გამოსვლას, რადგან მიაჩნიათ, რომ ამორალურია ყოფნა ისეთ აგრესიულ ორგანიზაციაში, რომელიც მთელ მსოფლიოში სისხლს ღვრის. ევროპელებს ესმით, რომ ნატო მხოლოდ ამერიკული ინტერესების რეალიზაციის ინსტრუმენტი გახდა, ხოლო ამ ინტერესებისთვის ბრძოლა და სიკვდილი ევროპელებს უწევთ. ამიტომაა, რომ ევროპის ქვეყნებმა, რომლებიც საკუთარ თავს პატივს სცემენ, ავღანეთიდან თავიანთი სამხედრო კონტინგენტი გამოიყვანეს, ქართველები კი, გაუგებარია, რატომ დარჩნენ იქ საზარბაზნე ხორცად.

საინტერესოა, რომ საქართველოში უბრალო ხალხიც კი, რაც არ უნდა თქვან გაყალბებული პლებისციტის შედეგებზე, ნატოში შესვლის პერსპექტივის მიმართ ნეგატიურადაა განწყობილი. ხალხის ეს დამოკიდებულება იგრძნო ზოგიერთმა ოპოზიციონერმა პოლიტიკოსმა, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინ ნატოს მგზნებარე აგიტატორები იყვნენ, ბოლო დროს კი ამ საკითხზე ძალიან თავშეკავებული პოზიცია დაიკავეს. ამერიკელების ღიად წყენინების ჯერ კიდევ ეშინიათ, მაგრამ ნატოს ქება-დიდებასაც ვეღარ ბედავენ.

— რით არის განპირობებული მსოფლიოში აშშ-ის ასეთი აგრესიული პოლიტიკა? ნუთუ მხოლოდ ნავთობის მსოფლიო მარაგებზე კონტროლის სურვილით? აშშ-ის ეკონომიკური მდგომარეობა ხომ კატასტროფას უახლოვდება — მხოლოდ საგარეო ვალმა 13 ტრილიონ დოლარს გადააჭარბა. ასეთი გიგანტური თანხის წარმოდგენაც კი რთულია...

— საქმე უბრალო არითმეტიკაშია. აშშ-ის მოსახლეობა მსოფლიო მოსახლეობის 4 პროცენტს შეადგენს, მაგრამ მსოფლიო რესურსების 40 პროცენტს მოიხმარს. ერთი ამერიკელი 10-ჯერ მეტს მოიხმარს, ვიდრე დედამიწის საშუალო სტატისტიკური მაცხოვრებელი, ევროპელების ჩათვლით. თვითონ აშშ მოხმარებული პროდუქციის მხოლოდ მცირე ნაწილს აწარმოებს. ძირითადი მოხმარება დანარჩენი მსოფლიოს ექსპლუატაციის, უფრო სწორად, ძარცვის ხარჯზე ხორციელდება. ამ მიზნისთვის არსებობს დოლარი, როგორც მსოფლიო ვალუტა, რომელზეც ქვეყნების უმრავლესობის ვალუტებია მიბმული. რატომ სძულთ ასე ძალიან ამერიკელებს სტალინი? იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირმა სტალინის მმართველობის პერიოდში უარი თქვა რუბლის დოლართან მიბმაზე და უარი თქვა საგარეო-სავაჭრო ოპერაციებში მის გამოყენებაზე. სტალინმა ამ მიზნისთვის ოქროს რუბლი შემოიღო, რომელიც რეალური ოქროთი იყო უზრუნველყოფილი. ზუსტად იმის გამო შეიძულა ამერიკულმა მმართველმა კლასმა სტალინი, რომ სტალინმა მათ მთავარ იარაღს — დოლარს სსრკ-ის რესურსებისკენ გზა გადაუკეტა. პირველი, რაც გააკეთეს „რეფორმატორებმა“ სსრკ-ის დაშლის შემდეგ, ყველა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების ვალუტა მიაბეს დოლარს. აშშ, როგორც მსოფლიო ვალუტის ემისიური ცენტრი, ბეჭდავს დოლარებს და მათ სანაცვლოდ მსოფლიო რესურსებს თავის სასარგებლოდ ქაჩავს. მთლიანობაში დაბეჭდილია კატასტროფული თანხა — 1 კვადრილიონ

420 ტრილიონი დოლარი; ეს მეტია, ვიდრე მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტი!

იმისთვის, რომ გავიგოთ, რას წარმოადგენს ეს დოლარი, შარლ დე გოლთან დაკავშირებულ კლასიკურ ისტორიას მოვიყვან. იგი პროფესიონალი სამხედრო იყო და ეკონომიკაში ცუდად ერკვეოდა, მაგრამ საფრანგეთის პატრიოტი იყო და, როცა პრეზიდენტი გახდა, ყურადღება მიაქცია იმას, რომ დოლარი ქვეყანაში პარალელურ ვალუტას წარმოადგენდა, რომლითაც ყიდულობდნენ და გაჰქონდათ როგორც რესურსები, ისე ხელოვნების ნიმუშები. იგი დაინტერესდა ამ საკითხით და ამ ფინანსური ოპერაციების ბუნების შესახებ ერთ ძველ ფინანსისტს ჰკითხა. ფინანსისტის პასუხი ასეთი იყო: წარმოიდგინეთ, რომ საფრანგეთი ყიდის და ვინჩის „მონა ლიზას“; რუსი მის სანაცვლოდ გვთავაზობს 100 ათას რუბლს, რომლის უკანაც დგას ოქრო, ალმასები, ნავთობი; ჩინელი გვთავაზობს 100 ათას იუანს, რომლის უკანაცაა აბრეშუმი, ოქრო, მადანი; ხოლო ამერიკელი გვაძლევს 200 ათას დოლარს და მიაქვს სურათი. „და ფოკუსი რაშია?“ — იკითხა პრეზიდენტმა. ფოკუსი კი იმაშია, — უპასუხა ფინანსისტმა, — რომ ამ 200 ათასის ფასი იმ ქაღალდისა და საღებავების ტოლია, რომლებიც მის დაბეჭდვაში დაიხარჯა. ერთი 100-დოლარიანი კუპიურა აშშ-ს 0,3 ცენტი უჯდება. ამის შემდეგ დე გოლმა მოუწოდა ფრანგებს, გამოეჩინათ პატრიოტიზმი, მხარი დაეჭირათ ეროვნული ვალუტისთვის და მათ ხელთ არსებული დოლარები ფრანკებზე გადაეცვალათ. შეგროვებული დოლარები მან აშშ-ში გადააგზავნა და თავისი ოფიციალური ვიზიტის მსვლელობისას მოითხოვა, გადაეცვალათ ოქროზე, რომლითაც ისინი უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი. ამერიკელები, სკანდალისთვის თავი რომ აერიდებინათ, დათანხმდნენ, მაგრამ ამის შემდეგ მიიღეს კანონი, რომლის თანახმადაც, აშშ-ის საზღვრებს გარეთ ბრუნვაში არსებული

დოლარის კუპიურების ოქროთი უზრუნველყოფა არ მოხდებოდა, ანუ ოფიციალურად დააფიქსირეს, რომ ეს მხოლოდ მწვანე ქაღალდებია მასონური სიმბოლიკით.

მაგრამ იმისთვის, რომ მსოფლიოს ქვეყნები დათანხმდნენ, მიიღონ ეს ქაღალდები, როგორც ვალუტა და მათ სანაცვლოდ ეროვნული სიმდიდრეები გასცენ, საჭიროა დამაჯერებელი არგუმენტი — სამხედრო ძალა, ამიტომაც აქვს აშშ-ს მსოფლიოს ყველა კუთხეში 136 სამხედრო ბაზა.

ბოლო ათწლეულში სიტუაცია შეიცვალა. პირველ რიგში, ცუდად თუ კარგად, ევრო ჯერ კიდევ მუშაობს, ჩინელები ოქროს იუანის შემოღებას აპირებენ, არაბები ოქროს დინარის შემოღებაზე საუბრობენ, რუსეთი საგარეო სავაჭრო ოპერაციების რუბლზე გადაყვანას იწყებს. მეორეც, რიგი ქვეყნებისა უარს ამბობს ამერიკისთვის სანედლეულო დანამატის როლზე, თავისი რესურსების საკუთარი სახელმწიფოს განვითარებისთვის გამოყენება სურთ. რა ქნან ამერიკელებმა? უნდა გამოიყენონ სამხედრო ძალა. მათ ერაყი დაბომბეს და ოკუპაცია მოახდინეს, რომლის დროსაც მილიონზე მეტი ადამიანი მოკლეს, დაბომბეს ლიბია — მოსახლეობის ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე მაღალი დონის მქონე ქვეყანა. ერაყიც და ლიბიაც რამდენიმე კვაზისახელმწიფოდ დაიყოფა და უკვე ვეღარასოდეს დადგება ფეხზე, მათი რესურსები კი „ოქროს მილიარდის“ სასარგებლოდ გაიწოვება. იგივე ბედი ელის იემენს, იმავეს გაკეთება უნდათ სირიასა და ირანში.

არის ერთი აქსიომა, რომელიც აშშ-ისა და ზოგადად დასავლეთის სამხედრო-პოლიტიკური კურსის საფუძველში დევს: იმისთვის, რომ „ოქროს მილიარდის“ ქვეყნებში ახლანდელი მოხმარების მაღალი დონე შეინარჩუნონ, დანარჩენი კაცობრიობა სიღატაკეში უნდა ამყოფონ. პლანეტის რესურსები შეზღუდულია, ყველას კარგი ცხოვრებისთვის არ ეყოფა. დასავლეთს მოხმარების შემცირება

არ უნდა. სცადეთ, ამერიკელებს შესთავაზოთ, მოიხმარონ იმაზე ნაკლები, ვიდრე ისინი მიეჩვივნენ, — ისინი ნებისმიერ მთავრობას წალეკავენ. რა გამოსავალი აქვს ამერიკის მმართველ ელიტას? — ომი, დიდი ომი, რა თქმა უნდა, ამერიკის ფარგლებს გარეთ. ომი, რომელიც მსოფლიოს მნიშვნელოვან ნაწილს გამოფიტავს, ხოლო შემდეგ იქ მივლენ ამერიკელები თავიანთი დოლარით და ისევ ჩვეულ და ძალიან სარფიან საქმეს მიჰყოფენ ხელს — დოლარების გაყიდვას. ასე გამოვიდნენ ისინი კრიზისიდან მეორე მსოფლიო ომის წყალობით, ასე მოვიდნენ ისინი გამოფიტულ ევროპაში ომის შემდეგ.

— ეს მოვლენათა განვითარების ერთადერთი შესაძლო ვარიანტია თუ ამ მდგომარეობიდან სხვა გამოსავალიც არსებობს?

— არის სხვა გზაც: დოლარის პირამიდის ნგრევა, მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი, დოლარზე, როგორც მსოფლიო ვალუტაზე, უარის თქმა, რეალური რესურსებით უზრუნველყოფილი ნაციონალური და რეგიონული ვალუტების წარმოშობა. ამ შემთხვევაში ყველა ქვეყანას მოუწევს, რეალური პროდუქტი აწარმოოს, შიდა ბაზარი განავითაროს, ხოლო პროდუქტი რეალურ ფულად და არა მწვანე ქაღალდის სანაცვლოდ, გაყიდოს. ამერიკელები იძულებულნი გახდებიან, უარი თქვან ჰაერის გაყიდვაზე, ვირტუალურ ბაზარზე, ე.წ. ფასიან ქაღალდებზე და ისევ განავითარონ რენტაბელური სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოება, რომელიც ახლა მათ არ გააჩნიათ.

— ასეთი ვარიანტი ყველა ქვეყანას დარტყმას მიაყენებს, კრიზისი ყველას შეეხება...

— რა თქმა უნდა. ზუსტად ამიტომ ცდილობს ყველა ამ კრიზისის გადავადებას, საერთო ძალებით ცდილობენ დოლარის გადარჩენას. რომ არა ეს ძალისხმევა, დოლარი, დიდი ხანია, ჩამოიშლებოდა. საკმარისია, ჩინეთმა და

რუსეთმა ბაზარზე გამოყარონ თავიანთი დოლარის მარაგები და დოლარი ყველასთვის გამოუსადეგარ ქაღალდად გადაიქცევა, მაგრამ რამდენ ხანს შეძლებენ ამის გადადებას? ფინანსურმა პირამიდამ, თუნდაც ის გლობალური იყოს, არ შეიძლება მუდმივად იარსებოს. საკითხავი ისაა, რა მოჰყვება დოლარის კრახს: მსოფლიო ომი თუ შევძლებთ მსოფლიო კრიზისით შემოვიფარგლოთ? პირველ შემთხვევაში მივიღებთ გამარჯვებულის მსოფლიო მბრძანებლობას ან გამარჯვებულთა შორის ახალ მსოფლიო გადანაწილებას; მეორე შემთხვევაში — იმ ქვეყანათა ლიდერობას, რომლებსაც გააჩნიათ რესურსები და შრომისმოყვარე მოსახლეობა, რაც მათ საშუალებას მისცემს, მოკლე ვადებში გამოვიდნენ კრიზისიდან და ეკონომიკა აღადგინონ.

— როგორ უნდა მოიქცეს საქართველო მოვლენების ასე განვითარების შემთხვევაში?

— პირველ რიგში, უნდა ეცადოს, არ გაიჩინოს მტრები, რომლებიც ომის შემთხვევაში მას გაანადგურებენ; მეორე — არ დაუშვას ქვეყნის შემდგომი დაშლა უახლოეს წლებში; მესამე — ააშენოს ეკონომიკა, რომელიც ორიენტირებული იქნება: ა) შიდა ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე; ბ) იმ პროდუქციის წარმოებაზე, რომელიც შეიძლება გარე ბაზარზე მყარ ვალუტაზე გაიყიდოს ან იმ რესურსებზე გადაიცვალოს, რომელთა ნაკლებობასაც ქვეყანა განიცდის.

— ჩვენი ხელისუფლება მუდმივად ამტკიცებს, რომ აშშ-ის დახმარებით განვითარებულ ეკონომიკას ვაშენებთ და უკვე მსოფლიო ეკონომიკურ ბაზარზე ღირსეული მოთამაშე გავხდით...

— ქვეყანას, რომლის იმპორტიც 4-ჯერ აღემატება ექსპორტს, არ აქვს უფლება, ჩათვალოს, რომ ეკონომიკა გააჩნია. ჩვენ ოთხჯერ ნაკლებს ვყიდით, ვიდრე ვყიდულობთ. მოსახლეობის ნახევარი ცხოვრობს

იმ ფულით, რომელსაც ნათესავები საზღვარგარეთიდან უგზავნიან, ძირითადად სწორედ ეს ნაღდი ვალუტა უზრუნველყოფს ფულის ბრუნვას ქვეყანაში. ამ ფულით ჩვენ ვფარავთ შემოტანილი პროდუქციის ღირებულებას, ფული კი ისევ საზღვარგარეთ გაედინება. სქემა ძალიან მარტივია: თქვენი ნათესავი გიგზავნით რუსეთიდან ფულს, თქვენ ამ ფულით თურქეთიდან შემოსულ საქონელს ყიდულობთ, ფული თურქეთში გაედინება, ნაწილი კი შუამავალს რჩება. ამ სქემაში ქართული ეკონომიკის ადგილი არაა. შემოსავლების მეორე ნაწილი ქართული რეალობის მცოდნე ერთ-ერთმა გერმანელმა ექსპერტმა სიტყვასიტყვით აღწერა: საქართველოში რეალური ეკონომიკა არ არსებობს; ქვეყანა უცხოურ გრანტებზე, კრედიტებზე ცხოვრობს, რომლებსაც იგი ღებულობს გარკვეული გეოპოლიტიკური ამოცანის შესრულების სანაცვლოდ, რაც რუსეთის სამხრეთის უსაფრთხოებისთვის ძირის გამოთხრაში მდგომარეობს. თუ აშშ-ში ამ ფუნქციაზე მოთხოვნა არ იქნება, სრული ეკონომიკური კოლაფსი დადგებაო. მანვე საქართველოს შეარქვა პიარის, ანტურაჟისა და გარეგნული ეფექტის ქვეყანა, რომელიც ორიენტირებულია უცხოელების შექებაზე.

განვითარების ის მოდელი, რომელსაც დღევანდელი ხელისუფლება ახორციელებს, საქართველოს ბატისტასდროინდელ კუბად აქცევს. იქ ამერიკელებისთვის ტურისტული სამოთხე იყო, შენდებოდა ფეშენებელური სასტუმროები, რესტორნები. ტურისტების მომსახურებით დაკავებული იყო ათასობით მზარეული, დამლაგებელი, მეძავი და მუსიკოსი. ათიათასობით კუბელი მუშაობდა აშშ-ში შავ სამუშაოზე და ნათესავებს ფულს უგზავნიდა. ის, ვისაც არ უნდოდა ან არ შეეძლო მზარეულობა თუ მეძავობა, შაქრის ლერწმის პლანტაციებში მონური შრომით იყო დაკავებული. განათლებაზე, მეცნიერებაზე, ჯანდაცვაზე ლაპარაკიც არ ყოფილა. ეს იყო ამერი-

კული კოლონია, რომელსაც ისინი იმ მიზნით იყენებდნენ, რათა მისცემოდნენ იმ ცოდვებს, რომლებიც ჯერ კიდევ განიკითხებოდა ამერიკულ საზოგადოებაში — სექსი, ლოთობა, ბანქო, კაზინო, ჰომოსექსუალიზმი. კასტრომ, ჩე გევარამ, კუბელმა ხალხმა ბოლო მოუღეს ამ დამცირებას. ამის გამო აშშ-ს ისინი დღემდე სძულს, ნახევარი საუკუნე ამყოფებენ კუბას ეკონომიკურ ბლოკადაში. თვითონ აღიარეს, რომ 600-მდე თავდასხმა მოამზადეს კასტროს წინააღმდეგ, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწიეს.

დღეს კუბაში მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი დონის საშუალო და უმაღლესი განათლება და საუკეთესო მედიცინაა. სხვათა შორის, ერთიც და მეორეც უფასოა. ცხოვრობენ მოკრძალებულად, მაგრამ ადამიანურ და ეროვნულ ღირსებას ინარჩუნებენ. მიუხედავად „კასტროს რეჟიმის საშინელებათა“ შესახებ მსოფლიო პროპაგანდისა, მისი ავტორიტეტი ლათინური ამერიკის ქვეყნებში ყველა ადგილობრივი ლიდერის ავტორიტეტზე მაღალია.

საბჭოთა კავშირის დაშლის მომენტისთვის საქართველო ინდუსტრიული, კულტურული განვითარებითა და მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობით თანამედროვე კუბაზე ბევრად მაღლა იდგა, მაგრამ, ბოლო 20 წელია, ბატისტასდროინდელი კუბისკენ მიექანება. ჩვენ ან შევაჩერებთ ამ დაცემას, ან, როგორც ერი, გადავგვარდებით.

— ბატონო ალექსანდრე, თქვენ ბრძანეთ, რომ ქართული საზოგადოება ერთიანი ეროვნული ორგანიზმი აღარ არის და მისით მანიპულირება ადვილია. რა არის ერისთვის ასეთი საშიში პროცესის მიზეზი?

— უკვე 20 წელიწადზე მეტია, ერი დამანგრეველ იდეოლოგიურ თავდასხმებს განიცდის, რომელთა მასშტაბებსაც საქართველოს ისტორიაში ანალოგი არ აქვს. ქართველები ტრადიციული, პატრიარქალური ერია. იგი საუკუნეების განმავლობაში იმ ტრადიციულ-ეროვნული ღი-

რებულებების საფუძველზე ვითარდებოდა, რომლებიც ჩამოყალიბდა მართლმადიდებლობის, ნაწილობრივ ისლამის და, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, თემური ცხოვრების წესის ზემოქმედებით. ბიბლიური მცნებების დაცვა, ერთობლივი შრომითი საქმიანობა, თანაზიარობა, სირთულეების ერთობლივი დაძლევა, წინაპრების პატივისცემა, ისტორიის თაყვანისცემა — ეს ყველაფერი იყო საფუძველი, რაზეც ერი იდგა. და ყველაფერი ეს უამრავი აკრძალვით იყო განმტკიცებული. ადამიანური მორალი აკრძალვების აღიარებაა. ადამიანი მას შემდეგ გახდა ადამიანი და შეძლო ადამიანური საზოგადოების ჩამოყალიბება, რაც ტაბუს, აკრძალვების სისტემა შექმნა და მათ დაემორჩილა, ცხოველური ინსტიქტების დათრგუნვა ისწავლა. ადამიანი ამით განსხვავდება ცხოველისგან, რომელიც მხოლოდ ინსტინქტებით ხელმძღვანელობს.

აი, ასეთ ეროვნული მორალური კოდექსის მქონე ტრადიციულ საზოგადოებას ერთ წამში დაატყდა თავს მისთვის უცნობი ზნეობრივი შეფასებების, ქცევის ნორმების, მიზნობრივი განწყობების დამანგრეველი ტალღა. საზოგადოებას განუცხადეს, რომ ამიერიდან ადამიანი თავისუფალია, რომ ყველაფერი ნებადართულია, რომ მორალი, ზნეობრივი აკრძალვები კომუნისტური ბოდვაა. ამასთან ერთად, ინერგებოდა უარყოფითი დამოკიდებულება ჩვენი ერის წარსულისადმი, როგორც არასწორის, მცდარის, მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების კალაპოტიდან ამოვარდნილის მიმართ. დამცირებისა და დაცინვისთვის გაწირეს დიდი ისტორიული მოღვაწეები, მეცნიერები, მწერლები — ის ადამიანები, რომლებიც ერის მამებად ითვლებოდნენ. განსაკუთრებით ეს საბჭოთა პერიოდის ისტორიას შეეხო: აღმოჩნდა, რომ ჩვენმა მამებმა და პაპებმა ამაოდ იცხოვრეს, არაფერი დადებითი საკუთარი ერისთვის არ გაუკეთებიათ, დიდ სამამულო ომშიც კი, გაუგებარია, რისთვის იბრძოლეს; მეტიც, ქარხნებიც და

ფაბრიკებიც, რაკი საბჭოთა იყო, არასაჭიროდ, მავნედ, განადგურების ღირსად გამოაცხადეს.

თაობებს შორის გაუცხოების პროცესი დაიწყო, ახალგაზრდობა დამცინავად აქილიკებდა უფროსებს, მათ დამსახურებებს, ჯილდოებს, ხოლო თვითონ იმ ახალი ცხოვრებისკენ სწრაფვა დაიწყო, რომელიც ამერიკულ ფილმებში ჰქონდა ნანახი, რომლის გმირებიც არსად მუშაობენ, მაგრამ ძალიან ლამაზად ცხოვრობენ. სიტყვები „თავისუფლება“, „დემოკრატია“, „საბაზრო ეკონომიკა“, „კერძო საკუთრება“ საკრალური გახდა. თუ ვინმე ჩემსავით ეცდებოდა, შეეხსენებინა, რომ საბაზრო ეკონომიკა და კერძო საკუთრება ყველგანაა, მაგრამ ზიმბაბვეში რატომღაც ისე არ ცხოვრობენ, როგორც საფრანგეთში, მაშინვე „საქართველოს მტრად“ და „კომუნისტად“ აცხადებდნენ. თუ ვამბობდი, რომ ამერიკული მასობრივი კულტურა ცხოველური ინსტინქტების დაკმაყოფილებას ეფუძნება და იგი ეროვნული კულტურის გამოდევნას დაიწყებს, ჩვენი ერის სულიერებასა და ზნეობას აუნაზღაურებელ ზიანს მიაყენებს, მაშინვე „კრემლის აგენტი“ ან „პროვინციელი ფაშისტი“ ვხდებოდი. დაიწყო ჩვენს რეალობაში იმ პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური ინსტიტუტებისა და ზნეობრივი ნორმების ხელოვნური გადმოტანა, რომლებიც საუკუნეების მანძილზე სხვა საზოგადოებებში ჩვენთვის უცხო ღირებულებების — პროტესტანტიზმის, უკიდურესი ინდივიდუალიზმის, სოციალ-დარვინიზმის, სიმდიდრისა და ძალის კულტის ზემოქმედებით ყალიბდებოდა. თავის დროზე ეს ამერიკელი ერის ფორმირების საფუძველი და თანამედროვე ამერიკული მორალის ბაზისი გახდა, მაგრამ სრულიად მიუღებელი იყო ტრადიციული, მართლმადიდებელი, თემური ღირებულებების მქონე ქართველი ერისთვის.

უკვე შევარდნაძის დროს იგრძნეს „რეფორმატორებმა“ ხალხის ყრუ წინააღმდეგობა, ეროვნული თვითშეგნების-

თვის უცხო ნორმებისა და ინსტიტუტების მიუღებლობა. ეს წინააღმდეგობა მასშტაბურ ბუნტში გადაიზარდა, რომელსაც სხვადასხვა სახის მანიპულაციის გზით ჟვანია-სააკაშვილი-ბურჯანაძის ტრიუმვირატი მოაჯდა ზურგზე. ეს „რევოლუციონერები“ მიხვდნენ, რომ ქართველ ხალხს ასე მარტივად ვერ გააბითურებდნენ, ამიტომ შემუშავდა ერის გახლეჩისა და დაუმორჩილებელი სულის დათრგუნვის ახალი ტექნოლოგია. ამ ტექნოლოგიის ძირითად კომპონენტებად იქცა: ცხოვრების ყველა სოციალური სფეროდან 40 წელს გადაცილებული თაობის გაძევება; განათლების სისტემის გადაცემა ამერიკული უმაღლესი სასწავლებლების გაუნათლებელი კურსდამთავრებულებისთვის, უფროსი თაობის პროფესორ-მასწავლებლების განდევნა და, აქედან გამომდინარე, განათლების დეგრადაცია; მასობრივი ინფორმაციის ელექტრონული საშუალებების მონოპოლიზაცია და „თავისუფალი ცხოვრების“ – სექსის, პორნოგრაფიის, ჰომოსექსუალიზმის — პროპაგანდა; ტრადიციების, წეს-ჩვეულებების, ეროვნული სპეციფიკის უარყოფა; მართლმადიდებლური ეკლესიისა და მართლმადიდებლური სულიერი ღირებულებების, როგორც „არქაულის“, „ჩამორჩენილის“ ყოველმხრივი დისკრედიტაცია; ყველა უცხო კონფესიისა და ფსევდორელიგიური სექტის მიმართ „ღია კარის“ პოლიტიკა. ყველა ეს პროცესი ჩვენ თვალწინ მიმდინარეობს.

ერის ცნობიერებისთვის მიყენებული ასეთი ძლიერი დარტყმა უშედეგოდ ვერ ჩაივლიდა. სიამაყით მინდა ვთქვა, რომ მთლიანობაში ქართველი ერის გატეხვა ვერ მოხერხდა, მაგრამ ქართული საზოგადოება, სამწუხაროდ, რიგ სეგმენტებად გაიხლიჩა და გააზრებული, ერთსულოვანი ეროვნული მოქმედების უნარი დაკარგა. ადამიანების ცნობიერებით აქტიური მანიპულირება დაიწყეს, თავს მოახვიეს მთელი რიგი აბსურდული მითებისა, ხალხმა ლოგიკურად აზროვნების, სიტუაციის გა-

ანალიზების, მოვლენათა სწორი შეფასების უნარი დაკარგა.

— საბოლოო ჯამში, ჯერ ბრმად ენდობოდნენ შევარდნაძეს, შემდეგ ასევე ბრმად ენდნენ სააკაშვილის დაპირებებს, რომ ცოტა ხანში მიგვიღებენ ნატოში, ევროკავშირში, რომ შვეიცარია გავხდებით...

— დიახ, ეს ყველაფერი ცნობიერების მანიპულირების, სიცრუისგან დაუცველობის შედეგია. ხომ არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ საკუთარი ხალხის მოტყუების მასშტაბურ კამპანიაში აქტიურად მონაწილეობდნენ ჩვენი ინტელიგენციის წარმომადგენლები, ჩვენი ხალხი კი ინტელიგენციისადმი ნდობას მიჩვეულია. თანდათან აბსურდი ნორმად იქცა. მახსოვს, 1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე აფხაზეთიდან დევნილების ნაწილმა ხმა მისცა შევარდნაძეს. ასეთი საოცარი გადაწყვეტილების მიზეზით დავინტერესდი. პასუხმა გამაოგნა: „აფხაზეთი ვინც დაგვაკარგვინა, იმან დაგვიბრუნოსო“. ეს აბსურდული აზროვნების მაგალითია. ან საზოგადოებაში ინტელიგენციის მიერ შემოგდებული ასეთი პასაჟი გავიხსენოთ: „შევარდნაძე მსოფლიო დონის პოლიტიკოსია, მას ისეთი რამ აქვს ჩაფიქრებული, რასაც ჩვენ ვერ ვხვდებით“. თანაც ამას აფხაზეთის დაკარგვის, ერის გაღატაკების შემდეგ უშუქო, გაყინულ ბინებში იმეორებდნენ. შევარდნაძე მასის გაბრიყვების ამ ტექნოლოგიას აქტიურად იყენებდა. როდესაც საქართველოში პუტჩის შემდეგ ჩამოვიდა, რიხიანად განაცხადა: „ორ წელიწადში საქართველო შვეიცარია გახდებაო“. რამდენიმე წელიწადი ყველა ტრასაზე ეკიდა ბილბორდი: „2000 წელს საქართველო იქნება ერთიანი, ეკონომიკურად ძლიერი, აყვავებული ქვეყანა. ედუარდ შევარდნაძე“. დღემდე ზეპირად მახსოვს. 2000 წელს ეს ბილბორდები ჩუმად ჩამოხსნეს, ხოლო მისი ფრაზა „ორ წელიწადში აფხაზეთს დავიბრუნებთ“, რომელსაც იგი 10 წლის მანძილზე იმე-

ორებდა, სისტემატიური ტყუილის მაგალითად იქცა. ამ ყველაფერს (აფხაზეთის დაბრუნების, ორი წლის და შვეიცარიის შესახებ) შემდეგ სააკაშვილი იმეორებდა და მასაც დაუჯერეს!

ერთხელ, ტელევიზიით გამოსვლისას, შევარდნაძისა და სააკაშვილის შეუცვლელმა მრჩეველმა საგარეო პოლიტიკის დარგში ამერიკის შეერთებულ შტატებს „მსოფლიოში უძველესი დემოკრატია“ უწოდა. ამ დროს იგი განათლებულ ადამიანად ითვლება. ეს ითქვა იმ ქვეყანაზე, რომელშიც სეგრეგაცია მხოლოდ XX საუკუნის 60-იან წლებში გააუქმეს ოფიციალურად, მაგრამ ამის შემდეგ კიდევ წლების მანძილზე ზანგებისთვის ცალკე სკოლები, ავტობუსებში ცალკე ადგილები და პარკებში ცალკე სკამები იყო გამოყოფილი. პრეზიდენტ ობამას მეუღლეს — ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალს — ნეგროიდული წარმომავლობის გამო არ შეეძლო ესწავლა იმ სკოლასა და ინსტიტუტში, რომელშიც უნდოდა. მეტიც, ამერიკაში ქალებმა პირველად მხოლოდ 60-იან წლებში მიიღეს ხმის მიცემის უფლება, ანუ შემოღებული იქნა ელემენტარული დემოკრატიული ნორმა, რომელიც საქართველოში, სხვათა შორის, 1918 წლიდან არსებობს. სწორედ აშშ-ში მემარცხენეობის მიმართ უბრალო სიმპათიის ეჭვის გამო ათავისუფლებდნენ სამსახურიდან, რიცხავდნენ უნივერსიტეტებიდან, ასახლებდნენ ქვეყნიდან. ასე, თვით დიდი ჩარლი ჩაპლინი იძულებული გახდა, დაეტოვებინა აშშ. დღეს შეერთებულ შტატებში 27 სხვადასხვა სპეცსამსახურია ასიათასობით თანამშრომლით, რომელთა ამოცანაა საკუთარი მოქალაქეების ცხოვრების ყველა სფეროზე ტოტალური კონტროლის დაწესება. უფრო მეტიც, პრეზიდენტმა ობამამ სულ ახლახან ოფიციალურად აკრძალა პატიმრების წამება. ეს არის საპრეზიდენტო რესპუბლიკა, რომელშიც არ არსებობს საყოველთაო პირდაპირი საპრეზიდენტო არჩევნე-

ბი, ხოლო პრეზიდენტი შესაძლებელია გახდეს ადამიანი, რომელმაც ამომრჩეველთა ნაკლები ხმა მიიღო, როგორც ბუშ-უმცროსის შემთხვევაში იყო. ძალიან ორიგინალური გონება უნდა გქონდეს, რომ ასეთ ქვეყანას „უძველესი დემოკრატია“ უწოდო, თუმცა ზუსტად ასე ახვევენ თავს საზოგადოებას აბსურდულ სტერეოტიპებს.

— ალბათ, ასეთივე აბსურდულ მტკიცებათა რიცხვს შეგვიძლია მივაკუთვნოთ სააკაშვილის განცხადება იმის თაობაზე, რომ თურქეთი, რუსეთისგან განსხვავებით, საქართველოს ისტორიული მეგობარია...

— დიახ, მაგრამ აქ უფრო ღრმა მიზეზებიცაა. თურქეთის ფინანსურ-ეკონომიკურმა ექსპანსიამ ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ უკვე პოლიტიკაშიც თვისებრივად ახალ ძვრებს მოითხოვს, ამისთვის კი ქართველი მოსახლეობის ფსიქოლოგიური მომზადებაა საჭირო. საიდუმლოს არ წარმოადგენს ის, რომ აჭარის ახალი ობიექტები, რომლებითაც ასე ამაყობს ჩვენი ხელისუფლება, თურქების აშენებულია და მათ საკუთრებას წარმოადგენს. ფეშენებელური სასტუმროებისა და სხვა ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა, შეუძლებელია, აჭარაში რენტაბელური იყოს: მისით სარგებლობისთვის ქართველებს ფული არ აქვთ, ხოლო სომხური ტურისტული ნაკადი ასეთი სიმძლავრეების ასათვისებლად საკმარისი არაა, საკურორტო სეზონიც აჭარაში ძალიან ხანმოკლეა. მიუხედავად ამისა, თურქები მაინც ყიდულობენ მიწას, აშენებენ თავიანთ ობიექტებს, შესაძლოა, იმის იმედად, რომ ცოტა ხანში შეძლებენ თანამემამულეებისთვის საცხოვრებელ ბინებად მათ რეალიზებას. მე მითხრეს, რომ დღეს ბათუმში 23 ათასი თურქია ჩაწერილი. თუ ეს სიმართლეა, მაშინ ეს საკმაოდ სოლიდური რაოდენობაა. მთელ აჭარაში არასოდეს უცხოვრია ამდენ თურქს, მაშინაც კი, როდესაც იგი ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო. წლების წინ ვწერდი და ახლაც შემიძლია გავიმეორო, რომ

თურქეთთან ურთიერთობებში ჩვენ შემდეგი გარემოებებით უნდა ვიხელმძღვანელოთ:

პირველი — თურქული ეროვნული ელიტა (პოლიტიკური, ინტელექტუალური, სამხედრო) ყოველთვის მიიჩნევდა აჭარას თავის ისტორიულ ტერიტორიად, ხოლო მთელ დასავლეთ საქართველოს – საკუთარი გავლენის ბუნებრივ ზონად;

მეორე — თურქები თვლიან, რომ აჭარა მათ ძალით, ომის შედეგად წაართვა რუსეთმა და არა საქართველომ;

მესამე — თურქეთი ისლამურ სამყაროში აშშ-ის ერთადერთი მსხვილი სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირეა და აშშ თურქეთს რეგიონულ ზესახელმწიფოდ აღიარებს, რომელსაც აქვს უფლება, თავისი ზეგავლენა კავკასიაზე გაავრცელოს;

მეოთხე — ერთის მხრივ, რუსულ-ქართულმა მტრულმა ურთიერთობებმა და მეორე მხრივ, თურქეთსა და რუსეთს შორის ძალიან აქტიურმა ეკონომიკურმა თანამშრომლობამ შეიძლება საქმე მიიყვანოს რუსეთის მიერ აჭარის ავტონომიის გარანტის როლზე უარის თქმამდე და ყარსის ხელშეკრულებიდან გამოსვლამდე.

— დღეს საზოგადოება ძალიან აღელვებულია ხელისუფლების მტკიცე გადაწყვეტილებით ბათუმში აზიზის მეჩეთის მშენებლობის გამო. რატომაა ხელისუფლება ასეთი ჯიუტი ამ გადაწყვეტილებაში?

— იმიტომ, რომ **ჩვენს ხელისუფლებაზე აჭარაში აღარაფერია დამოკიდებული. თურქები ჩვენს ოფიციალურ დასტურს მხოლოდ ზრდილობის გამო ითხოვენ. დღეს მათ აჭარაში ყველაფრის გაკეთება შეუძლიათ და ვერავინ შეუშლის ხელს.** საქართველოს ხელმძღვანელობას მშვენივრად ესმოდა, რომ აჭარაზე კონტროლი ნელ-ნელა გადადის თურქების ხელში, მაგრამ ვერ შეეწინააღმდეგა. თურქებს რომ შეეწყვიტათ ობიექტების შენება აჭარასა და თბილისში, მაშინ რა წარმოედგინათ საკუთარი

მმართველობის შედეგად: ზუგდიდში შადრევანი? პლეხანოვზე გადაღებილი ფასადები? სად მიეყვანათ უცხოეთიდან ჩამოსული სტუმრები?

ამ მეჩეთთან დაკავშირებით დიდი სიფრთხილე გვმართებს. ჩემთვის ძვირფასი ბათუმელების საპროტესტო განწყობის შესახებ ვიცი, მიხარია, რომ ხალხი, ხელისუფლებისგან განსხვავებით, ისტორიულ მეხსიერებას ინარჩუნებს, მათ შორის იმ სულთნის შესახებაც, მაგრამ მოვუწოდებ, იყვნენ ძალიან ფრთხილად თავის ქმედებებში. თუ თურქებმა მეჩეთის აშენება გადაწყვიტეს, ისინი მას ააშენებენ, ხოლო, თუ საპროტესტო გამოსვლები ეთნიკურ და რელიგიურ დაპირისპირებაში გადაიზრდება, თურქეთი ცერემონიებს არ დაიწყებს. ერდოღანი მოსკოვში ჩაფრინდება, როგორც ეს 2008 წლის აგვისტოში გააკეთა, ხოლო მოსკოვს შემაფერხებელი ფაქტორის როლის თამაშის სურვილი აღარ აქვს.

დღეს ჩვენი მთავარი ამოცანაა, არ დავუშვათ ქვეყნის შემდგომი დაშლა, არ მივცეთ ხელისუფლებას ახალი ტერიტორიების დაკარგვის შესაძლებლობა. ამისთვის უახლოესი 5 წლის მანძილზე ბეწვის ხიდზე მოგვიწევს სიარული. თუ შევძლებთ, ვიქნებით ერი საკუთარი სახელმწიფოთი.

მთავარია, დარჩენილი ტერიტორია შევინარჩუნოთ, ამ საქმეში უმნიშვნელოვანესი ადგილი კი მოსახლეობის მუსლიმანურ ნაწილთან ჩვენს ურთიერთობებს ეთმობა. უნდა გავიგოთ, რომ აჭარაში თურქების აქტიურობა, ისლამური ფაქტორის ზრდა ადგილობრივ ქართველ მოსახლეობაში, ბორჩალოში საზოგადოებრივი პარლამენტის შექმნა, ბაქოდან საქართველოს მისამართით მკვეთრი განცხადებები — ეს ყველაფერი ერთი ჯაჭვის რგოლებია. ამასთან, გვახსოვდეს, რომ საქართველო ეკონომიკურად მთლიანად თურქეთსა და აზერბაიჯანზეა დამოკიდებული. თუ ადრე ჩვენს უკან რუსეთი იდგა და შეგ-

ვეძლო, დიდი ყურადღება არ მიგვექცია ისლამური ფაქტორისთვის, დღეს იგი ჩვენი არსებობის უმნიშვნელოვანესი პირობა გახდა. ჩვენ 200 წლის მანძილზე დაგვავიწყდა, მაგრამ თურქეთსა და ირანს მშვენივრად ახსოვთ, რომ საუკუნეების მანძილზე საქართველო მათი ვასალური ტერიტორია იყო.

მუსლიმანურ მოსახლეობასთან ერთად მშვიდად ცხოვრება ჩვენი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ქართველთა ნაწილი მუსლიმანია. მეტიც, რამდენადაც პარადოქსულად უნდა ჟღერდეს, ისლამი თავისი სულიერ-ზნეობრივი ღირებულებებით ბევრად უფრო ახლოა მართლმადიდებლობასთან, ვიდრე იგივე პროტესტანტიზმი და მის წიაღში აღმოცენებული კულტურა. მუსლიმანებს, ისევე, როგორც მართლმადიდებლებს, აღაშფოთებს საზოგადოებაში ზნეობის დაცემა, აღვირახსნილობის პროპაგანდა, ნიჰილიზმი, თაობათა გაუცხოება, ეროვნული ტრადიციების უარყოფა. ეს სერიოზული საფუძველია ჩვენი მჭიდრო თანამშრომლობისთვის საერთო სამშობლოს სასიკეთოდ.

— თქვენ თქვით, რომ ხალხის მოტყუებაში დიდი როლი ქართულმა ინტელიგენციამ შეასრულა. მახსოვს თქვენი, თუ არ ვცდები, 1997 წელს დაწერილი სტატია „გეწყინათ? გეწყინოთ!“, რომელშიც ინტელიგენციას შევარდნაძის მხარდაჭერისთვის მძაფრად აკრიტიკებდით. როგორ აფასებთ ინტელიგენციის როლს დღეს?

— მე მაშინ არა მთელ ინტელიგენციას, არამედ ე. წ. ელიტურ ინტელიგენციას ვაკრიტიკებდი. საქმე ისაა, რომ გვიანსაბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდებში ინტელიგენციად მიიჩნიეს მხოლოდ ე. წ. შემოქმედებითი ინტელიგენცია — მსახიობები, რეჟისორები, პოეტები, მწერლები, ხანდახან მათ აკადემიკოსებსა და პროფესორებს ამატებდნენ. სინამდვილეში კი ინტელიგენციის, როგორც სოციალური ფენის, ძირითად ნაწილს, წარმოადგენდნენ მასწავლებლები, ექიმები, აგრონომები, ინჟინრები,

მეცნიერ-მუშაკები, ანუ ის ხალხი, რომელიც ჩვენს საზოგადოებაში საშუალო კლასის როლს ასრულებდა. ეს საშუალო კლასი შევარდნაძის ეკონომიკურმა პოლიტიკამ გაანადგურა, მან საზოგადოებაში სოციალური როლის შესრულება შეწყვიტა. პარალელურად, შევარდნაძემ სტრატეგიულ მიზნად გამოაცხადა საშუალო კლასის ამერიკულ ყაიდაზე — კერძო მესაკუთრეების კლასად ფორმირება, მაგრამ არ ესმოდა, რომ საშუალო კლასის ფორმირების ბუნება და პრინციპები შეიძლება განსხვავებული იყოს, მთავარია, საშუალო კლასმა თავისი სოციალური ფუნქცია შეასრულოს.

რაც შეეხება ელიტურ ინტელიგენციას, იგი წარმოადგენდა იმ ვიწრო წრეს, რომელსაც საბჭოთა კავშირის დროს დიდი ზეგავლენა ჰქონდა მოსახლეობაზე, მისი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა. ამ პატივისცემამ შეუქმნა მათ საკუთარი განსაკუთრებულობის გრძნობა, რწმენა, რომ აქვთ უნარი და ძალუძთ გადაწყვიტონ პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური ამოცანები, ამ რთულ საკითხებში ხალხს ჭკუა ასწავლონ, მაგრამ ამისთვის აუცილებელი ცოდნა არ აღმოაჩნდათ. მათ არაფერი ესმოდათ მსოფლიო პროცესების, მსოფლიო არენაზე ძალების განლაგების, გეოპოლიტიკის, ეკონომიკის შესახებ. სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ საკუთარი ხალხის მენტალობაშიც არც ისე კარგად ერკვევიან. ცოდნა არ იყო, მაგრამ სამაგიეროდ იყო აპლომბი, ამბიციები. შევარდნაძემ ეს მათი თვისება კარგად იცოდა და ოსტატურად მანიპულირება დაიწყო. ისინი, თავის მხრივ, მასში ბრძენ გურუს ხედავდნენ, რომელსაც შეგიძლია ბრმად ენდო, ყველაფერში მხარი დაუჭირო, ხოლო როგორ მოიქცეს, მან თვითონ იცისო.

ინტელიგენციის სრული მხარდაჭერით შევარდნაძემ ქართულ სახელმწიფოებრიობასა და ქართველი ხალხის ცნობიერებას დამანგრეველი დარტყმები მიაყენა: აფხა-

ზეთის ომი, სადამსჯელო ექსპედიციები სამეგრელოში, უმაღლესი განათლების სისტემის ნგრევა, აკადემიური მეცნიერების განადგურება, ეროვნული ღირებულებების საზიანოდ დასავლური ღირებულებების პროპაგანდა, საზოგადოებაში ნატოში სწრაფი გაწევრიანების შესახებ მითების დანერგვა, საზოგადოების დაყოფა „დასავლელ რეფორმატორებად", „კომუნისტებად" და „პროვინციელ ფაშისტებად" და სხვა მრავალი. შევარდნაძის, ძველი ინტელიგენციისა და „ახალგაზრდა რეფორმატორების" პოლიტიკური სიმბიოზი აღმოჩნდა ის ძალა, რომელმაც დაანგრია სახელმწიფო, დაშალა ჩვენი საზოგადოება, ქვეყნის მოსახლეობას ორიენტაცია დაუკარგა.

შევარდნაძის დანაშაულში თანამონაწილეობით ამ ინტელიგენციამ მოსახლეობის თვალში საკუთარი თავის დისკრედიტაცია მოახდინა, დაკარგა ავტორიტეტი, მეტიც, შევარდნაძის მიმართ სიძულვილი ხალხმა მათზეც გადაიტანა, ამიტომ „ახალგაზრდა რეფორმატორებმა" ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ისინი მოისროლეს, ზიზღით გამოაცხადეს „ჩარეცხილებად". სხვათა შორის, ამ ახალგაზრდა რეფორმატორებსაც შევარდნაძე იმავე ხერხებით ზრდიდა, რომლებითაც ინტელიგენციას არჯულებდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ მათთვისაც „ბრძენი გურუ" იქნებოდა, რომელსაც ისინი უსიტყვოდ დაუჯერებდნენ, მაგრამ ეს ბიჭები ცოტა ხანში მიხვდნენ, რომ მათ წინაშე „ცარიელი ფუტლიარია", უშუალო კონტაქტზე გავიდნენ მის პატრონებთან — ამერიკელებთან, საქმიანად მოილაპარაკეს და მოხუცი ისტორიის სანაგვეზე გაისტუმრეს.

ინტელიგენციის პასუხისმგებლობა იმ კატასტროფის გამო, რომელიც ქვეყანას დაემართა, ძალიან დიდია. ზოგიერთი მათგანი მიხვდა, რამდენად უზნეო თამაშში გამოიყენეს და საკუთარ დანაშაულს გრძნობს. მათ გულწრფე-

ლად უყვართ სამშობლო, საკუთარი ხალხი, ხედავენ, როგორ იღუპება ერი და ინგრევა სახელმწიფო. მე თანაგრძნობით ვკითხულობ მათ სტატიებს, ინტერვიუებს, ვგრძნობ მათ ტკივილს, მათ სულიერ ტანჯვას, მაგრამ ჯერ არ მსმენია, მათგან ვინმეს ეღიარებინოს, რომ ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობა შევარდნაძის პოლიტიკის კანონზომიერი შედეგია, რომელსაც ისინი ოდესღაც ასე მტკიცედ უჭერდნენ მხარს. ცოტა ხნის წინ ცნობილი ქართველი პოეტი აღშფოთებული იყო იმით, რომ ახლა ქართულ გრძელ გვარებს პასპორტში მოკლედ ჩაწერენ, რათა უცხოელებს მათი გამოთქმა არ გაუჭირდეთ. მაგრამ რამდენიმე წლის წინ, როდესაც ეს პოეტი პარლამენტის წევრი იყო, აქტიურად უჭერდა მხარს შევარდნაძის გადაწყვეტილებას პასპორტებიდან ეროვნების ამოღების თაობაზე. მისი არგუმენტაცია ბრწყინვალე იყო: „მე ხომ ვიცი, რომ ქართველი ვარ! რად მინდა ამისთვის პასპორტში ჩანაწერი?“. და რად უნდა დღეს სრული გვარი პასპორტში? მან ხომ იცის თავისი გვარი, ეს საკმარისი უნდა იყოს.

იმ სტატიაში, რომელიც თქვენ ახსენეთ, ინტელიგენციას ვუთხარი: პოლიტიკა, რომელსაც თქვენ უჭერთ მხარს, მიგვიყვანს იქამდე, რომ თქვენს წიგნებს მკითხველი აღარ ეყოლება-მეთქი. ამის შემდეგ 15 წელიც კი არ გასულა და, სამწუხაროდ, ასეც მოხდა.

— საქართველოს დამოუკიდებლობის 20 წლის მანძილზე ვერა და ვერ ჩამოყალიბდა მდგრადი პოლიტიკური პარტიები კლასიკური სახით, თავისი იდეოლოგიით, ღირებულებათა ბაზით, ცვლადი ხელმძღვანელობით. რა არის მიზეზი? რატომ რჩება ჩვენი პოლიტიკური სპექტრი ამორფული, უშინაარსო?

— საქმე ისაა, რომ ყველა ჩვენი პარტია ყალიბდებოდა „ზემოდან“, ერთი კონკრეტული ლიდერისთვის, რომელიც საზოგადოების გარკვეულ ნაწილში — თავის ოჯახში, ნა-

თესავებში, თანამშრომლებში, უბნელებში სიმპათიით სარგებლობდა. არავინ დაინტერესებულა, როგორი იდეოლოგია აქვს ასეთ პარტიას — მემარცხენე, მემარჯვენე, ცენტრისტული თუ რაიმე სხვა. პარტიებს შორის განსხვავებას ლიდერების პიროვნება განსაზღვრავდა, პარტიის სახელსაც კი არ ჰქონდა არანაირი შინაარსობრივი დატვირთვა. მოეწონებოდათ სახელი და ისე დაირქმევდნენ, რომ მისი მნიშვნელობა გააზრებულიც კი არ ჰქონდათ. ბუნებრივია, ასეთი, ყურით მოთრეული პარტიები მასობრივი ვერ გახდებოდნენ. ასეთ ფონზე წამყვანი ძალა სახელისუფლო პარტია — შევარდნაძის „მოქალაქეთა კავშირი“ ხდებოდა, რომლის ნაწილიც შემდგომ „ნაციონალურ მოძრაობად“ გარდაისახა. სახელისუფლო პარტიასაც არანარი იდეოლოგია არ გააჩნდა, ჰქონდა ამოცანა — პრეზიდენტის პოლიტიკის მხარდაჭერა. ასეთ პარტიას არანაირი სტრატეგიული პერსპექტივა არ შეიძლება ჰქონდეს. თუ გაიხსენებთ, ჟვანია აცხადებდა, რომ „მოქალაქეთა კავშირი“ ხელისუფლებაში დიდი ხნით — რამდენიმე ათეული წლით მოვიდა, მაგრამ, როგორც კი შევარდნაძე გადადგა, „მოქალაქეთა კავშირმა“ არსებობა შეწყვიტა. იგივე დაემართება მის ახალგაზრდულ ფრთასაც — „ნაციონალურ მოძრაობას“, როგორც კი საკაშვილი პოლიტიკური არენიდან წავა. ეს ყველა ქართული პოლიტიკური პარტიის წესია — პარტიები იქმნება ლიდერის და არა იდეოლოგიის გარშემო. მიდის დამფუძნებელი ლიდერი და კვდება პარტიაც. ასე, უკვე 20 წელიწადია, გრძელდება და ასე იქნება კიდევ დიდხანს, ალბათ, მანამ, სანამ საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის დასავლურ პრინციპზე – მის პარტიებად დაყოფაზე არ ვიტყვით უარს. მიაქციეთ ყურადღება: ყველა წუწუნებს იდეოლოგიის მქონე პარტიების არარსებობის გამო, მაგრამ, როგორც კი ივანიშვილმა განაცხადა თავისი პარტიის შექმნის თაობაზე, ათასობით ადამიანი მივარდა გასა-

წევრიანებლად, მაგრამ განა ვინმე დაინტერესდა, თუ როგორია ამ პარტიის იდეოლოგია, ქვეყნის განვითარების სტრატეგია, სოციალური პრიორიტეტები? ივანიშვილის გამოჩენამ გამოიწვია აღფრთოვანება, რომელიც კლასიკურ ფრაზაში გამოიხატა: „მხოლოდ თქვენ გადაარჩენთ საქართველოს!“. როგორ, რა ხერხებით, როგორი საგარეო პოლიტიკით, ეკონომიკური მოდელით, როგორი სოციალური რეფორმებით — ამით არავინ დაინტერესებულა. თავის დროზე ასეთივე ეგზალტირებული მოწოდებით მიმართავდნენ შევარდნაძესაც და სააკაშვილსაც.

— საზოგადოებაში ავტორიტეტული ლიდერების მწვავე დეფიციტია...

— დიახ, და ეს პარტიათა ფორმირების ფესვგადგმული პრაქტიკის შედეგია. პარტიული ლიდერები ვერ ახერხებენ სათანადო ავტორიტეტის მოპოვებას ან მალე კარგავენ მას. თუ ადამიანი პარტიას არა იდეოლოგიური პრიორიტეტების პრინციპით ქმნის, არამედ საკუთარ თავზე ირგებს, მაშ, რით მოიზიდოს მხარდამჭერები? იგი მათ ჰპირდება ადგილებს პარლამენტში, ფულიან თანამდებობებს, კარგ ბიზნესს. ამგვარად, **პარტიები, პარტიული გუნდები ყალიბდება არა ქვეყნის განვითარების იდეების რეალიზაციისთვის, არამედ ადამიანთა ჯგუფის მომგებიანი დასაქმების მიზნით. პოლიტიკა ბიზნესი გახდა, ამიტომაც ჩვენ მუდმივად ვხედავთ გარიგებებს ოპოზიციურ პარტიებსა და ხელისუფლებას შორის, განხეთქილებას პარტიებში, ერთი და იმავე სახეების გადასვლას პარტიიდან პარტიაში.** ჩვენ ხომ ვიცნობთ ადამიანებს, რომლებიც უკვე ნამყოფი არიან აბსოლუტურად ერთმანეთის საწინააღმდეგო დასახელების მქონე ხუთ-ექვს პარტიაში. იდეოლოგიის, სტრატეგიული მიზნების არარსებობამ, პარტიული ლიდერების უპრინციპობამ მოსახლეობაში მათ მიმართ უნდობლობა გამოიწვია. ეს, სხვათა შორის, მათ ნაკლებად აღელვებთ. მათ იციან, რომ შეიძლება შეხვიდე პარლამენ-

ტში, თუ ამერიკელებს მოეწონები, და ისინი ხელისუფლებას მითითებას მისცემენ ამა თუ იმ პარტიის შეყვანის თაობაზე. ამიტომ ბოლო წლების მანძილზე ოპოზიციური პარტიების საქმიანობის მთავარი მიზანი იყო, დაემტკიცებინათ ამერიკელებისთვის საკუთარი მზადყოფნა და უნარი, შეესრულებინათ მათი მითითებები უკეთ, ვიდრე ამას მოქმედი ხელისუფლება აკეთებს.

— ბოლო ორი-სამი წელიწადია, ზოგმა პოლიტიკურმა ლიდერმა დაიწყო სკეპსისის გამოხატვა ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, აშშ-ის მხრიდან ტოტალური კონტროლის წინააღმდეგ გამოდიან, ეროვნული ღირებულებებისკენ, ეროვნული ღირსებისკენ მიბრუნებას მოგვიწოდებენ. დღეს ზოგიერთი პოლიტიკოსის გამოსვლას ვუსმენ და ხანდახან მეჩვენება, რომ ისინი თქვენი 10-15 წლის წინანდელი სტატიებიდან ამონარიდებს კითხულობენ...

— არიან ასეთებიც, მაგრამ ასეთები გახდნენ იმიტომ, რომ ამერიკელებმა თქვეს უარი მათი ამბიციების დაკმაყოფილებაზე, მიახვედრეს, რომ ქვეყნის ლიდერებად მათი კანდიდატურები არ განიხილება. გაიხსენეთ ამ პოლიტიკოსების ადრინდელი პოლიტიკური კარიერა. რომელი არ იყო მათ შორის ჯერ შევარდნაძესთან, შემდეგ კი საკაშვილთან? რას ელაპარაკებოდნენ მაშინ ხალხს, რაზე მსჯელობდნენ? ნატოში უმოკლეს ვადაში შესვლაზე, ევროკავშირზე, აშშ-თან სტრატეგიულ პარტნიორობაზე, „დასავლური ღირებულებების“ დანერგვაზე, „სამარცხვინო წარსულზე“ უარის თქმაზე, მტერზე რუსეთის სახით. სხვათა შორის, ამერიკელებისგან უარის მიღების შემდეგ ზოგიერთმა მათგანმა მხარდაჭერისთვის სწორედ რუსეთს მიმართა, იქ კი კარგად ახსოვთ მათი პოლიტიკური წარსული, თუმცა ზრდილობიანად მიიღეს, გაუღიმეს კიდეც, მაგრამ, პირველ რიგში, საკუთარი ხალხის მხარდაჭერის მოპოვება ურჩიეს. იქნებ ახლა მაინც, როდესაც „ძია სე-

მის“ და „ძია ვანიას“ დახმარების იმედი დაეკარგათ, ამ პოლიტიკოსებმა მკაფიო იდეოლოგიური კონცეფციის შემუშავება დაიწყონ, რომელიც ქართველი ხალხის ეროვნულ ინტერესებსა და სულიერ-ზნეობრივ ღირებულებებზე იქნება დაფუძნებული და ამგვარად სცადონ ერის მხარდაჭერის მოპოვება, ნაცვლად იმისა, რომ ამერიკის ელჩის მისაღებში საკუთარ რიგს დაელოდონ.

პოლიტიკა, უპირველეს ყოვლისა, იდეების ბრძოლაა. პოლიტიკური ლიდერები იდეური ადამიანები უნდა იყვნენ, ქვეყნის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე საკუთარი ხედვა, ერისა და სახელმწიფოს განვითარებაზე საკუთარი კონცეფცია უნდა გააჩნდეთ. შეგიძლიათ დამისახელოთ თუნდაც ერთი ქართველი პოლიტიკოსი მოქმედ „მჭიდში“, რომელიც იქნებოდა სახელმწიფოს მშენებლობის უმნიშვნელოვანესი თეორიული თუ პრაქტიკული საკითხების შესახებ პროგრამული სტატიის ავტორი? წიგნზე არ ვამბობ, თუნდაც ერთი უბრალო სტატიის ავტორი რომ იყოს? ისინი ურიცხვ ინტერვიუს აძლევენ, რომლებშიც სააკაშვილის სკანდალურ ქცევას განიხილავენ, ერთმანეთს პრეტენზიებს უყენებენ, საკუთარ თავს იქებენ, სხვებს კიცხავენ. განა შეიძლება ამ ინტერვიუებიდან ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემების მიმართ მათი პოზიციის გაგება? პარტიული პროგრამები ერთნაირია, მათ კითხვას არანაირი აზრი არ აქვს, ისინი, უბრალოდ, დასავლური ნიმუშებიდანაა გადმოწერილი და ქართულ სინამდვილესთან არანაირი კავშირი არ აქვთ. მაშ, რის საფუძველზე უნდა მისცეს მათ ამომრჩეველმა ხმა? ყველა „საქართველოს აყვავებას“ გვპირდება, მაგრამ როგორ გავიგოთ, თუ რა გზით უზრუნველყოფენ ისინი ამ „აყვავებას“? შევარდნაძეც გვპირდებოდა, სააკაშვილიც...

— სააკაშვილმა გელათის ტაძარში ფიციც კი დადო...

— სააკაშვილს ფიცი არ დაუდვია. ფიცი ჰქვია ტექსტს, რომელშიც არის სიტყვა „ვფიცავ!“ სააკაშვილს ეს სიტყვა ერთხელაც არ უთქვამს. ეს იყო გამოსვლა ეკლესიაში, ამერიკული სპიჩი მართლმადიდებლურ ტაძარში, რომელიც, გაუგებარია, რატომ დაუშვა ჩვენმა ეკლესიამ.

— საზოგადოების პოლიტიკურ კულტურას აყალიბებს იდეების ბრძოლა, ანუ იდეალში – პოლიტიკური პარტიების საქმიანობა. ჩვენს პარტიებს იდეების არქონის მიზეზით ასეთი კულტურის ფორმირება არ შეუძლიათ. მაგრამ პოლიტიკური კულტურის გარეშე ჩვენი საზოგადოება დაუცველია სხვადასხვაგვარი მანიპულაციისგან. ეს ჩაკეტილი წრეა. როგორ გავარღვიოთ ეს წრე?

— დიახ, ქვეყნის საზოგადოება, ერი დაუცველია და ამიტომაც ამდენი წლის მანძილზე ბინძური პოლიტიკური მანიპულაციების მსხვერპლს წარმოადგენს. ჯერჯერობით გამოსავალი მხოლოდ ერთია: **აუცილებელია, ჩვენი საზოგადოების პატრიოტულმა, ეროვნულად ორიენტირებულმა წარმომადგენლებმა ფართო საგანმანათლებლო საქმიანობა გაშალონ — აუხსნან ხალხს მსოფლიო განვითარების თანამედროვე ეტაპის თავისებურებანი, მსოფლიო პოლიტიკური და ეკონომიკური ტენდენციები, რეგიონული პრობლემები, საქართველოს ისტორიული თავისებურება, მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობის სპეციფიკა. ხალხი არაა დამნაშავე იმაში, რომ ეს ყველაფერი არ იცის. სასწავლო დაწესებულებებში ამას არ ასწავლიან, ტელევიზია ამ პრობლემებს აყალბებს, პოლიტიკოსები ერს მითებს ახვევენ თავს. საჭიროა ილია ჭავჭავაძის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ტიპის პოლიტიკური განათლების სისტემა.**

— წამიკითხავს, რომ თქვენი ბაბუა აფხაზეთში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ედგა სათავეში...

— დიახ, ხსნიდა და ინახავდა სკოლებს. მაშინ შეძლებუ-

ლი ხალხი მეტს ფიქრობდა ერის მომავალზე, ვიდრე დღევანდელი მდიდრები.

ჩვენ მცირერიცხოვანი ერი ვართ, რომელიც პლანეტის საკმაოდ სახიფათო კუთხეში ვცხოვრობთ. ჩვენი ერის სიცოცხლესა და სახელმწიფოს არსებობაზე პასუხისმგებლობა ყველა ქართველმა უნდა იტვირთოს. ამისთვის იგი კომპეტენტური უნდა იყოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხებში, რათა მოტყუებული არ დარჩეს როგორც გარე ძალების, ისე ადგილობრივი პოლიტიკური ავანტიურისტების მხრიდან. ცოდნა და დიპლომატია — ეს ორი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომელთაც შეუძლია გადაარჩინოს ქართველი ერი ამ ვერაგ საუკუნეში. **ჩვენმა ხელისუფლებამ კოლოსალურ საგარეო ვალში ჩააგდო ქვეყანა, მაგრამ ფული არც სახალხო მეურნეობის განვითარებაზე, არც განათლებასა და მეცნიერებაზე არ დახარჯულა, არამედ ჯარისა და სამართალდამცავი სისტემის შენახვასა და შეიარაღებაზე წავიდა. ვისთან ვაპირებთ ომს?** თუ ვაპირებთ, რომ შეიარაღებული ძალები მეზობლებთან ურთიერთობაში გამოვიყენოთ, მაშინ ჩვენ შეიძლება სამი ჰიპოთეტური მოწინააღმდეგე გვყავდეს — რუსეთი, თურქეთი, ირანი (ყველა მეზობლის უკან სწორედ ეს სახელმწიფოები დგანან). როგორი უნდა იყოს ქართული ჯარი, რათა რომელიმე მათგანს შეებრძოლოს? თეორიულად მაინც შესაძლებელია კი ასეთი ჯარი გვყავდეს?

საქართველოში წამყვანი, ყველაზე მრავალრიცხოვანი და მაღალპროფესიული სახელმწიფო სტრუქტურა საგარეო საქმეთა სამინისტრო უნდა იყოს. ქართველი დიპლომატები მიზანდასახულად უნდა მუშაობდნენ მთელ მსოფლიოში, ამყარებდნენ სარფიან პოლიტიკურ და ეკონომიკურ კონტაქტებს, საქართველოს ისტორიის, კულტურის, ხელოვნების პროპაგანდას ეწეოდნენ. ასეთი საქმიანობა,

განათლებისა და მეცნიერების განვითარებასთან ერთად, უზრუნველყოფს ჩვენი ხალხის შედარებით უსაფრთხო არსებობას. საქართველო მსოფლიოში ცნობილი უნდა იყოს არა პრეზიდენტის ექსცენტრიულობით, ეთნოკონფლიქტებითა და მძინარე მოსახლეობის დაბომბვით, არამედ მშვიდობიანი შემოქმედებითი საქმიანობით, გამორჩეული დიპლომატიით, მოსახლეობის განათლების მაღალი დონით, მეცნიერული და კულტურული მიღწევებით.

— მივუბრუნდეთ ჩვენს პოლიტიკურ პარტიებს. თქვენ უკვე გამოთქვით მოსაზრება „ქართული ოცნების“ საქმიანობის შესახებ. არის კიდევ რამდენიმე ახალი პოლიტიკური ძალა, რომელთა შესახებაც საინტერესო იქნებოდა თქვენი აზრის გაგება, მაგალითად, „სახალხო კრება“ ნინო ბურჯანაძის ხელმძღვანელობით...

— მე, როგორც წესი, კონკრეტული ოპოზიციური პარტიებისა და მათი ლიდერების შეფასებისგან თავს ვიკავებ, პირველ რიგში, იმიტომ, რომ, სამწუხაროდ, ამ პარტიებს შორის დიდ განსხვავებას ვერ ვხედავ, ამის შესახებ უკვე ვისაუბრეთ კიდეც; მეორეც, ამ პარტიების ლიდერთა უმრავლესობა შევარდნაძისა და სააკაშვილის გუნდის ყოფილი წევრები არიან, ამ გუნდების მიმართ კი სიმპათიით განწყობილი არ ვარ; და მესამე, — არ მინდა, ჩემი შეფასებებით მათ ოპოზიციურ საქმიანობას ხელი შევუშალო, ვინაიდან ვიმედოვნებ, რომ ისინი ოდესმე ჩამოყალიბდებიან რეალურ ეროვნულ ძალად, რომელიც ქართველი ხალხის ეროვნულ მისწრაფებებს გამოხატავს. რაც შეეხება „სახალხო კრებას“, მასში გაერთიანებულია ბევრი ისეთი ადამიანი, რომლებსაც პატივს ვცემ მათი პატრიოტიზმისა და ეროვნული სულისკვეთების გამო და, რა თქმა უნდა, წარმატებებს ვუსურვებ მათ. ამასთან, ჩემთვის, როგორც რიგითი ამომრჩევლისთვის, სასურველი იქნებოდა, რომ ამ გაერთიანების ლიდერი ნაკლებად იყოს დაკავებული საკუთარი თავის ქებით, თვითტკბობით და

მეტად ეცადოს, დაანახოს მოსახლეობას, თუ რეალურად რით განსხვავდება ყოფილი თანაგუნდელებისგან. მგონი, ჰიპერტროფირებული წარმოდგენა საკუთარ პერსონაზე მას ხელს უშლის, რეალურად შეაფასოს საკუთარი ადგილი ქართულ პოლიტიკაში. ის საკუთარ თავზეც კი მხოლოდ მესამე პირში საუბრობს, როგორც ამას თურქეთის სულთნები და ინდიელთა ბელადები აკეთებდნენ. ეს ძალიან სასაცილოა და მას ავტორიტეტს არ ჰმატებს. მით უმეტეს, რომ მას, ჩემი აზრით, წარსულ პოლიტიკურ ცხოვრებაში განსაკუთრებით საამაყო არაფერი აქვს...

— რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენმა მინდია გულუამ ასევე ჩამოაყალიბა პოლიტიკური პარტია და ძალაუფლებისთვის ბრძოლა წამოიწყო...

— მე მას არ ვიცნობ და არაფერი ვიცი პარტიის მიზნებისა და ამოცანების შესახებ. რაღა დაგიმალოთ, მე ორადორი ლიდერი ვიცი, რომლებიც საზღვარგარეთიდან ხელმძღვანელობდნენ პოლიტიკურ ბრძოლას და ამ გზით მოვიდნენ ხელისუფლებაში — ვლადიმერ ლენინი და აიათოლა ჰომეინი, მაგრამ ლენინს ძლიერი იდეოლოგია და სტალინი ჰყავდა, ხოლო ჰომეინი შიიტური სამყაროს აღიარებული სულიერი ლიდერი იყო.

— გულუასაც აქვს საქართველოსთვის ასევე ძალიან მნიშვნელოვანი იდეა: იგი აფხაზეთის დაბრუნებას გვპირდება, პირდაპირ ასე აცხადებს: „მე დავიბრუნებ აფხაზეთს“. იგი ამტკიცებს, რომ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კონკრეტული პროგრამა აქვს.

— თამამი განცხადებაა. ასეთი სითამამე ქართული პოლიტიკის ყველა პერსონაჟს ახასიათებს არჩევნების წინ, თუმცა, თუ სერიოზულად ვისაუბრებთ, **ასეთი პროგრამა რეალური მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს, თუ იგი აფხაზურ მხარესთან ერთობლივად იქნება შემუშავებული რუსეთის ფედერაციის შუამავლობით.** მე

კარგად ვიცნობ სიტუაციას აფხაზეთში, პირადი ურთიერთობა მაკავშირებს აფხაზეთის ხელმძღვანელობასთან, პოლიტიკურ და ინტელექტუალურ წრეებთან და შემიძლია სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ საქართველოში, სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ არსებობს ისეთი მოქმედი პოლიტიკური ლიდერი, რომელთანაც აფხაზები რეინტეგრაციის პრობლემაზე სასაუბროდ მიუსხდებიან მოლაპარაკებათა მაგიდას. მეტიც, არც ისეთი ლიდერი არსებობს, რომელსაც ასეთ მოლაპარაკებაში პარტნიორად ჩართვაზე მოსკოვი აფხაზებთან რეკომენდაციას გაუწევდა.

შევარდნაძესა და სააკაშვილს არაერთხელ ჰქონდათ შესაძლებლობა, რეინტეგრაციული პროცესები დაეწყოთ, მაგრამ ამისთვის მათ უარი უნდა ეთქვათ საქართველოს ნატოში გაწევრიანების ბოდვით იდეაზე და სამხრეთ კავკასიაში ამერიკის მარიონეტის როლზე. ორივემ მარიონეტობა არჩია, ხოლო სააკაშვილმა 2008 წლის აგვისტოს ომით საბოლოოდ დაუსვა წერტილი ამ საკითხს. თქვენ ხომ იცით, აფხაზურ რადიკალურ წრეებს ძალიან ეშინოდათ, რომ შევარდნაძის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებაში მოვიდოდა საღად მოაზროვნე პოლიტიკოსი, რომელიც შეძლებდა რუსეთთან ურთიერთობების დალაგებას. ისინი პირდაპირ ამბობდნენ: „თუ საქართველოს მმართველი რუსეთის მეგობარი იქნება, მაშინ რუსები ისევ გვაიძულებენ, გავერთიანდეთ ქართველებთან“, მაგრამ სააკაშვილმა ისინი ძალიან გაახარა, როდესაც შევარდნაძის საგარეოპოლიტიკური კურსისადმი ერთგულება დაადასტურა, და პირდაპირ გააბედნიერა, როდესაც ცხინვალის ომი დაიწყო. სოხუმში მაშინ უნდოდათ, ძეგლიც კი დაედგათ სააკაშვილისთვის, როგორც აფხაზეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მამისთვის. მართალია, ძეგლი კარიკატურული უნდა ყოფილიყო.

დღეს პრაქტიკულად ყველაფერი სუფთა ფურცლიდან უნდა დავიწყოთ. თვისობრივად ახალი რეინტეგრაციული პროექტია საჭირო, რომელსაც წარადგენენ ახალი, სისხლითა და მტრობით გაუსვრელი პოლიტიკოსები. თანაც ისეთი პოლიტიკოსები, რომლებიც როგორც აფხაზების, ასევე რუსული მხარის ნდობით სარგებლობენ. ამ თვალსაზრისით, მე ივანიშვილის იმედი მქონდა, მაგრამ მან ოფიციალურად დაადასტურა, რომ შევარდნაძე-სააკაშვილის საგარეო პოლიტიკას გააგრძელებს, ანუ იმთავითვე ხაზი გადაუსვა ტერიტორიული მთლიანობის საკითხში პოზიტიური ცვლილებების ყველა იმედს. **დაიმახსოვრეთ: პოლიტიკოსი, რომელიც მიზნად ნატოში შესვლას ისახავს, ვერასოდეს გაამთლიანებს საქართველოს, უფრო კი სხვა რეგიონებს დაკარგავს.**

— პოლიტიკური პარტიების დაბალი ავტორიტეტის ფონზე, ბოლო წლებში საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მიმართ მკვეთრად გაიზარდა ნდობის რეიტინგი. ქართველი პოლიტიკოსები ცდილობენ, თავიანთ საქმიანობაში ეკლესიის მხარდაჭერა მოიპოვონ, მაგრამ, ჩემი აზრით, დღევანდელ პირობებში ეკლესია თვითონ საჭიროებს დაცვას. ჯერ კიდევ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში თქვენ ხშირად წერდით საფრთხეებზე, რომლებიც ემუქრება მართლმადიდებლობას საქართველოში, გვთავაზობდით კიდეც, შექმნილიყო მართლმადიდებლობის დაცვის სამოქალაქო კავშირი. მგონი, ბოლო წლებში თქვენი შიში გამართლდა — ეკლესიაზე ზეწოლამ ტოტალური ხასიათი მიიღო. შეიძლება თუ არა მოხდეს ისე, რომ ეკლესიამ, საფრთხის გამო, რომელიც მის არსებობას ემუქრება, მყარი პოლიტიკური პოზიცია დაიკავოს?

— საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში ქართულ ეკლესიას ქვეყანაში პოლიტიკური პროცესების მიმართ

ინდიფერენტული პოზიცია ეკავა. ჩვენ არ გაგვიგია ეკლესიის პროტესტი ჩვენი უახლესი ისტორიის ყველაზე კრიტიკულ, ერისთვის დამღუპველ მომენტებში. ეკლესიამ არ დაგმო სახელმწიფო გადატრიალება და კანონიერი პრეზიდენტის დამხობა, რომელიც ხალხმა თითქმის ერთხმად აირჩია, თანაც ერთადერთ სამართლიან არჩევნებში ჩვენს ისტორიაში. ამ დანაშაულმა საშინლად შეურაცხყო ქართველი ხალხი და იგი ეკლესიის რეაქციას, მის მხარდაჭერას ამაოდ ელოდა. ეკლესიამ არ აღიმაღლა ხმა, როდესაც შევარდნაძემ აფხაზეთში ომი დაიწყო, როდესაც სამეგრელოში დამსჯელი რაზმები გაუშვა საყაჩაღოდ და ერთმორწმუნე თანამემამულეების დასახოცად. **საერთოდ, ეკლესიის ხელმძღვანელობა ყველაფერში მხარს უჭერდა შევარდნაძეს, თუნდაც იმ დასავლური „დემოკრატიული“ ნორმების იძულებით დანერგვაში, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა მართლმადიდებლურ ღირებულებებს და თვითონ ეკლესიის მომავალს უქმნიდა საფრთხეს. ზუსტად ამის შესახებ ვწერდი მაშინ პრესაში და პირადად ვეუბნებოდი პატრიარქს. რაკი ეკლესიის მორჩილება და გულგრილობა დაინახეს, შევარდნაძის მემკვიდრეები მართლმადიდებლობის პრობლემის კარდინალურ გადაჭრას შეუდგნენ — მართლმადიდებლური სულიერი ღირებულებების ტოტალურ გამოდევნას, ეკლესიისა და მის მსახურთა დაცინვას, ეკლესიის უფლებების შეზღუდვას, რელიგიურ სექტებთან მის ფაქტობრივ გაიგივებას.** ეს მარტივი მიზეზის გამო ხდება: მართლმადიდებლობა დასავლურ ღირებულებებთან, ზნეობრივ ნორმებთან, ამერიკული ცხოვრების წესთან შეუთავსებელია. ვერც ერთ მართლმადიდებლურ ქვეყანაში დასავლეთი ვერ ახერხებს, დაუმორჩილოს ხალხი თავის ზნეობას, ცხოვრების პრინციპებს. გაიხსენეთ, რას ამბობდა ამერიკელი იდეოლოგი ბჟეზინსკი: კომუნიზმის კრახის შემდეგ ჩვენ დაგვრჩა ერთი მტერი — მართლმა-

დიდებლობაო. ჩვენმა „რეფორმატორებმა“ გადაწყვიტეს, აჩვენონ ამერიკელ პატრონებს, რომ მართლმადიდებლობის დისკრედიტირება, გამოდევნა, განადგურება შეიძლება და ამ გზით ერის გენეტიკური კოდის შეცვლაც შესაძლებელია. მე ვამაყობ იმით, რომ ქართველმა ხალხმა იგრძნო ეს საშიშროება და მართლმადიდებლობისა და მართლმადიდებლური ეკლესიის დასაცავად დადგა (თუმცა თავად ეკლესიამ არ დაიცვა ხალხი მისთვის მძიმე მომენტებში). ხალხის სწორედ ამ პოზიციით აიხსნება ეკლესიის მაღალი რეიტინგი, მაგრამ ეს არ არის ეკლესიის დამსახურება. ეროვნული თვითგადარჩენის გრძნობამ შეკრიბა ხალხი ეკლესიის, როგორც ტრადიციული ღირებულებების ერთადერთი დარჩენილი ინსტიტუტის, გარშემო. ცხადია, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბოლო წლებში ჩვენ ვხედავთ ცალკეული სასულიერო მოღვაწეების და თუნდაც ეკლესიის იერარქების საზოგადოებრივ აქტიურობას. მე ღრმა პატივისცემით ვეპყრობი ამ მამაც ადამიანებს, რომლებიც საქვეყნოდ კიცხავენ ხელისუფლების ცოდვას და დანაშაულს, მის მიერ შექმნილ ეროვნული სულის ჩამხშობ სისტემას. ამ საეკლესიო მოღვაწეებს მიაქვთ ხალხთან მართალი სიტყვა, აიმედებენ, რომ სამართლიანობა გაიმარჯვებს და ამ გზით აძლიერებენ ქართული ეკლესიის ავტორიტეტს. ბევრი მათგანი თქვენს გაზეთშიც იბეჭდება. ვფიქრობ, მათი აქტიური პოზიციისა და ქართულ მონასტრებში ბერების გარემოში დუღილის წყალობით კათოლიკოს-პატრიარქი ძალიან ფრთხილად, მაგრამ მაინც აძლევს თავს უფლებას, გამოვიდეს კრიტიკული შეფასებებით ხელისუფლების განსაკუთრებით მიუღებელი ქმედებების წინააღმდეგ. უფრო კატეგორიულ და პრინციპულ პოზიციას მისგან არ უნდა ველოდოთ. საქართველოს ისტორიაში იყვნენ კათოლიკოსები, რომლებიც ძალიან მკვეთრ პოზიციას იკავებდნენ ხელისუფლების მიმართ, თუ ხედავდნენ, რომ ხელისუფლება ვნებს

ხალხს და სახელმწიფოს. ილია მეორე მათ რიცხვს არ მიეკუთვნება. იგი ძალიან წესიერი, ღირსეული ადამიანია, მაგრამ მებრძოლი არ არის. პირიქით, ჩვენ — საზოგადოებამ, ხალხმა პატრიარქისადმი თაყვანისა და პატივისცემის გამოხატვით უნდა დავიცვათ იგი როგორც ხელისუფლებისგან, ასევე გადაგვარებული, უპრინციპო სასულიერო პირებისგან, მათ შორის წმინდა სინოდის გაყიდული წევრებისგან. **ილია მეორე დღეს არის ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ერთიანობის გარანტი.** ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს, მაგრამ ადამიანი უკვდავი არ არის. პირადად პატრიარქი, მართლმადიდებლური ეკლესიის სასულიერო პირები და მრევლიც უნდა დაფიქრდეს, თუ ვინ ჩაუდგება სათავეში ეკლესიას ილია მეორეს შემდეგ. ხელისუფლება შეეცდება, წმინდა სინოდის მოსყიდული წევრების გამოყენებით „რეფორმატორი", ეკუმენისტი, „ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა" მიმდევარი დასვას პატრიარქის ტახტზე. ამ შემთხვევაში ეკლესიის გახლეჩას თავს ვერ ავარიდებთ, ეს კი საზოგადოების, ერის გაყოფას, ერთადერთი გამაერთიანებელი სულიერი ძალის ჩამორთმევას, ერის საყრდენის გამოცლას ნიშნავს. მაშინ ჩვენს ხელისუფლებას შეეძლება, ამერიკელებს პატაკი ჩააბაროს: მართლმადიდებლური ეკლესიის დანგრევისა და განადგურების ექსპერიმენტი წარმატებით დავასრულეთ და ამაშიც მაგალითი შეგვიძლია ვიყოთ სხვა ქვეყნებისთვისო.

— მინდა, საქართველოში მომავალი პოლიტიკური პროცესების შესახებ თქვენგან რაიმე ოპტიმისტური გავიგო. ნუთუ ამ გაუგებრობის, გაურკვევლობის, საყოველთაო ტყუილისა და ღალატის პერიოდი არასოდეს დასრულდება?

— საქართველოს თავის ისტორიაში მართლაც ყველაზე საშიში პერიოდი აქვს. **მგონი, ხალხი სწორად ვერ აფასებს დღევანდელი მდგომარეობის კატასტროფულობას**

ჩვენი სამშობლოსთვის. ხშირად შეიძლება გავიგონოთ, რომ თურმე საშინელი არაფერი ხდება, საქართველოს გადაუტანია უფრო რთული პერიოდებიც. არა, არ გადაუტანია! დიახ, საქართველო თავისი ისტორიის მანძილზე იშვიათად ყოფილა ერთიანი სახელმწიფო, იყო რამდენიმე სამეფოდ დაშლილიც, არ გააჩნდა დამოუკიდებლობა, იყო ღატაკიც და აოხრებულიც. თუ ყველა იმ წლებს შევაჯამებთ, როცა საქართველო ერთიანი იყო, ჯამში, საბჭოთა პერიოდის ჩათვლით, 200-250 წელიწადი დაგროვდება, მაგრამ დაყოფის პერიოდშიც კი ეს ჯუჯა სახელმწიფოები მაინც ქართული იყო: იქ ცხოვრობდნენ ქართველები, ჟღერდა და ვითარდებოდა ქართული ენა, მოქმედებდა ქართული ტაძრები, იქმნებოდა ქართული კულტურისა და ხელოვნების ნიმუშები. შევარდნაძისა და სააკაშვილის მოღვაწეობის შედეგად კი, **პირველად ისტორიაში, ძირძველ ქართულ მიწებზე არაქართული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები შეიქმნა, რომლებშიც ქართველებისთვის, ქართული ენისთვის, ქართული კულტურისთვის ადგილი არ არის, ანუ ქართველი ხალხის არეალი, სასიცოცხლო სივრცე მკვეთრად შემცირდა. მეტიც, ანალოგიური პროცესებისთვის ნიადაგი მზადდება სხვა ქართულ რეგიონებშიც. ასეთი რამ ჩვენს ისტორიაში არ ყოფილა. ჩვენს ისტორიაში არ ყოფილა ერისთვის ისეთი დამღუპველი მოვლენა, როგორიც ქართული მოსახლეობის მასობრივი ემიგრაციაა.** ემიგრაციამ კატასტროფული მასშტაბები მიიღო. საბჭოთა პერიოდის ბოლოსკენ საქართველოს მოსახლეობა 5,5 მილიონ ადამიანს შეადგენდა, დღეს, ავტორიტეტული ექსპერტების შეფასებით, — 3,6-3,8 მილიონი ადამიანია. რამდენია მათ შორის ქართველი?

— ცოტა ხნის წინ გავიგე, რომ საქართველოში ყველაზე გავრცელებულ გვართა ხუთეულში მესამე ადგილზეა გვარი მამედოვი, ხოლო მეხუთეზე — ალიევი...

— ეს ხელისუფლების პოლიტიკის ბუნებრივი შედეგია. და კიდევ რამდენ ქართველს უნდა ლუკმაპურის საძებნელად საქართველოდან წასვლა? ასეთი რამ საქართველოს ისტორიაში არასოდეს ყოფილა. ამას გარდა, არასოდეს ყოფილა, რომ სახელმწიფო ხელისუფლება, ქვეყნის ოფიციალური პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტა თვითონ ცდილობდეს ქართული საზოგადოების გახრწნასა და გარყვნას, ტრადიციული ზნეობის, ქცევის ნორმების, სულიერების, ეროვნული სპეციფიკის, სოციოკულტურული თვითმყოფადობის, ანუ ყველაფერ იმის განადგურებას, რაც ქართველობას განსაზღვრავს. ზუსტად ამიტომ ვამბობ, რომ ქართველ ხალხს თავისი ისტორიის ყველაზე მძიმე პერიოდი უდგას და, სამწუხაროდ, ხელისუფლებისა და პოლიტიკური პარტიების საქმიანობა არ გვაძლევს იმის იმედს, რომ ეს რთული პერიოდი ჩვენთვის პოზიტიურად დამთავრდება.

გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“,
2012 წ., მაისი

2013წ., თებერვალი

«საქართველოს არ აქვს მაღალი თანამდებობის უსაქმურების შენახვის ფუფუნება»

— ბატონო ალექსანდრე, როგორ შეაფასებთ 8 თებერვალს თბილისში მომხდარ მოვლენებს?

— როდესაც „ნაცონალური მოძრაობა“ ხელისუფლებაში მოვიდა და დაიწყო მასობრივი დაპატიმრებები, ხალხის ცემა, ქონების წართმევა, ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელს ვეუბნებოდი, — არ დაგავიწყდეთ, რომ თქვენი ხელისუფლებაში ყოფნა ადრე თუ გვიან დამთავრდება, ნუ იზამთ ისე, რომ რუსთაველზე დაცვის გარეშე ვეღარ გაიაროთ. ისინი მპასუხობდნენ, რომ ძალაუფლებას ხელიდან აღარ გაუშვებდნენ, რომ ამერიკა არავის და-

ანებებს მათთვის თითის დაკარებას. ამის შემდეგ, დაიჯერეს რა საკუთარი დაუსჯელობა, დაიწყეს ქუჩაში ადამიანების დახოცვა, ციხეში — წამება, პოლიტიკური ოპონენტების ქვეყნიდან გაძევება. დღეს კი განკითხვის დრო მოვიდა.

სამწუხაროდ, ეს არის უკანასკნელი 20 წლის მანძილზე საქართველოს ხელისუფალთა დაავადება. ყველა ხელისუფლება ისე იქცეოდა, თითქოს მას სიცოცხლის ბოლომდე ჰქონდა ხელისუფლებაში ყოფნა გარანტირებული. გაიხსენეთ გარდაცვლილ ზურაბ ჟვანიას თავდაჯერებული განცხადებები, რომ „მოქალაქეთა კავშირი“ ხელისუფლებაში დიდი ხნით, რამდენიმე ათწლეულით მოვიდა. ვიღას ახსოვს დღეს „მოქალაქეთა კავშირი“? მის ყოფილ ფუნქციონერებს რცხვენიათ საჯაროდ იმის აღიარება, რომ ამ ორგანიზაციის წევრები იყვნენ. აღარ იქნება სააკაშვილი პრეზიდენტი — აღარ იქნება არანაირი „ნაციონალური მოძრაობაც“, კიდევ ერთ-ორ წელიწადში კი ყველას დაავიწყდება, რომ ეს მოძრაობა არსებობდა, მაგრამ სანამ სააკაშვილი და მისი ოდიოზური თანაგუნდელები გამოდიან ტელევიზიით და ცდილობენ ხალხის დამოძღვრას, საზოგადოების გაღიზიანება იზრდება და არ გამოვრიცხავ, რომ ამ დეპუტატებსა და ყოფილ ჩინოვნიკებს ხალხი პირველივე შესაძლებლობისთანავე დაუწყებს ცემას.

ძალიან მეცოდება ის სიმპათიური გოგონა, რომელსაც ცხვირში მოხვდა, მაგრამ ამასთანავე მახსენდება კადრები, რომლებზეც აღბეჭდილია ათეულობით გასისხლიანებული ადამიანი, ხელკეტიანი და ავტომატიანი პოლიციელების ფეხქვეშ გაგდებული, ასფალტზე რომ ეყარა. დამეთანხმებით, რომ ძალადობის დონე ამ ორ შემთხვევაში არათანაზომიერია. თანამებრძოლის ცხვირის გამო აღშფოთების გამოსახატავად, პირველ რიგში, მორალური უფლებაა საჭირო, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ კი ხელისუფლებაში ყოფნის 9 წლის მანძილზე ეს უფლება ვერ და-

იმსახურა. სხვათა შორის, ის, რაც დღეს ხდება, გაკვეთილი უნდა იყოს ახალი ხელისუფლებისთვის. ახალ დეპუტატებსა და ჩინოვნიკებს უნდა ახსოვდეთ, რომ სავარძლებში ისინი სამუდამოდ არავის დაუსვამს, და ისე უნდა მოიქცნენ, რომ მომავალში შეეძლოთ ქალაქის ქუჩებში თავისუფლად სიარული და სუფთა სინდისით ადამიანებთან ურთიერთობა.

— რამდენად კვალიფიციური იყო, თქვენი აზრით, პოლიციის მოქმედება და მისი მცდელობა, — თავიდან აეცილებინა ძალადობა?

— მე არა ვარ მასობრივ ღონისძიებათა უსაფრთხოების უზრუნველყოფის სპეციალისტი, პოლიციის პროფესიონალიზმი რომ შევაფასო. მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ, ვინაიდან „ნაცმოძრაობის“ აქტივისტებს საქართველოში სისტემატურად და საყოველთაოდ ვერ სცემენ, ესე იგი სამართალდამცავები ვითარებას აკონტროლებენ.

— თქვენი აზრით, რაში მდგომარეობს იმ სახელისუფლო გუნდის, „ნაციონალური მოძრაობის“, მთავარი უბედურება, რომელიც 9 წლის მანძილზე მართავდა საქართველოს?

— მთავარი უბედურება არის მათი მორალური და პროფესიონალური მოუმზადებლობა სახელისუფლო ფუნქციების შესასრულებლად. **ჩვენმა ხალხმა დიდი შეცდომა დაუშვა, როდესაც 35 წლის პრეზიდენტი აირჩია. ამ ახალგაზრდამ, რომელიც მთელი რიგი კომპლექსებით იტანჯებოდა, მათ შორის მასზე უფროსი, განათლებული ადამიანების მიმართ, შემოიკრიბა ასეთივე დაკომპლექსებული, ინტელექტუალურად და ზნეობრივად ჩამოუყალიბებელი გოგო-ბიჭები და მისცა მათ საშუალება, თავიანთი კომპლექსები ქვეყნისა და ადამიანების მიმართ ენთხიათ.** შედეგად ჩვენ გავხდით მოწმენი ხელისუფლების არნახული უმეცრების, გონებრივი შეზღუდუ-

ლობისა და უზნეობისა. მთელი XX საუკუნის მანძილზე ჩამოყალიბებული, ქართველი ხალხის მაღალი ინტელექტუალური პოტენციალი იგნორირებული აღმოჩნდა, ამ პოტენციალის მატარებელი მეცნიერები, ინჟინრები, პედაგოგები კი სოციალური ცხოვრებიდან გააძევეს. საზოგადოებამ დეგრადირება დაიწყო.

თუ გახსოვთ, ხელისუფლების გუნდის ერთ-ერთმა შტერმა წევრმა განაცხადა, რომ მას, არათუ 40 წლის ადამიანი, 40 წლის ხეც კი არ სჭირდება, ანუ ქვეყნის ხელმძღვანელობამ უარი თქვა ერის უმრავლესობაზე, გამოაცხადა რა ეს უმრავლესობა თავისი ცოდნით, გამოცდილებითა და მორალით ზედმეტ ელემენტად. ეს არის არნახული დანაშაული საკუთარი ხალხის, მისი წარსულისა და მომავლის წინაშე. სხვათა შორის, დღეს ამ დანაშაულის ავტორთა უმრავლესობის ასაკი 40 წელიწადზე მეტია, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ისინი ძალაუფლების დათმობას რატომღაც არ ჩქარობენ.

12-13 წლის წინ, როდესაც ცხადი გახდა, თუ რა შედეგები მოჰყვებოდა იმას, რომ ამერიკელები ემზადებოდნენ შევარდნაძისგან „ახალგაზრდა რეფორმატორებისთვის“ ძალაუფლების გადასაცემად, პრესაში გამოვედი ინიციატივით, პრეზიდენტის თანამდებობისთვის მინიმალურ ასაკობრივ ცენზად 50 წელი დაგვეწესებინა. მაშინ მხარი არავინ დამიჭირა. დარწმუნებული ვარ, რომ მინისტრებიც, საპარლამენტო კომიტეტების თავმჯდომარეებიც, გუბერნატორებიც და, სხვათა შორის, სხვადასხვა დონის მოსამართლეებიც 40-45 წელზე ნაკლებისა არ უნდა იყვნენ. ეს ის ასაკია, როდესაც ნორმალური ადამიანი ინტელექტუალურად, პროფესიონალურად, ზნეობრივად უკვე ჩამოყალიბებულია, შეთვისებული აქვს მორალი, ქცევის ტრადიციული ნორმები, საკუთარი ხალხის სოციოკულტურული თავისებურებანი, არის ეროვნული მსოფლმხედველობის მატარებელი. ასეთი ადამიანი გრძნობს, ესმის საკუთარი

ხალხის და, შესაბამისად, შეუძლია უხელმძღვანელოს მას. ეს მიდგომა არანაირად არ აკნინებს ახალგაზრდების უფლებებს. პირიქით, სწორედ ეს არის ზრუნვა ახალგაზრდა კადრების მართებულ აღზრდასა და ზრდაზე. როდესაც 23-25 წლის ადამიანი დეპუტატი ან მინისტრი ხდება, ჩათვალეთ, რომ მისი ცხოვრება დამახინჯებულია: 2-4 წელიწადში ის კარგავს თანამდებობას და ხდება არავინ: პროფესია ვერ შეითვისა, ნულიდან დაწყება უკვე „არ ეკადრება", ხოლო ტრიბუნიდან მოტლიკინის რანგში ის უკვე არავის სჭირდება. მოდით, გადავხედოთ იმ ახალგაზრდა კადრებს, რომლებიც შევარდნაძემ და სააკაშვილმა ხელისუფლებაში მოიყვანეს და დღეისთვის პოლიტიკურ არენაზე არ ჩანან. ვინ არიან ისინი დღეს? ზედმეტი ბარგი, პერსპექტივის გარეშე განზე მოსროლილები. კიდევ კარგი, არასამთავრობო ორგანიზაციების რეგისტრირება და ამერიკის საელჩოსთან გრანტის მიღების იმედით გრძელ რიგში დგომა მაინც ისწავლეს.

— თქვენი აზრით, რამდენად კომპეტენტურია საქართველოს ამჟამინდელი მთავრობა, რამდენად მაღალია ახალი მინისტრების პროფესიონალიზმის დონე?

— ხელისუფლებაში სხვადასხვაგვარი ადამიანები არიან. მე მათ პირადად არ ვიცნობ, შესაბამისად, შეფასებაც მხოლოდ მათი საჯარო გამოსვლების მიხედვით შემიძლია. დადებითი შთაბეჭდილება მოახდინეს ფინანსთა, იუსტიციის, კულტურის, ჯანდაცვის მინისტრებმა, მთავარმა პროკურორმა... მთავრობის მუშაობის შედეგებზე საუბარი ჯერ ნაადრევია. ქვეყანა ისეთ მძიმე მდგომარეობაშია, რომ მოკლე დროში ვერაფერს გააკეთებ. საქართველო დღეს არის დაშლილი, არშემდგარი სახელმწიფო დანგრეული მრეწველობით, სოფლის მეურნეობით, სამეცნიერო-ტექნიკური ბაზით და დეგრადირებული კულტურულ-საგანმანათლებლო სისტემით. საჭიროა სახელმწიფოებრივი განვითარების მკაფიო კონცეფცია, ეროვ-

ნული ეკონომიკის ეფექტური მოდელი და დარგების განვითარების კონკრეტული, მიზნობრივი პროგრამები. რაც მთავარია, მთავრობის წევრებს უნდა ახსოვდეთ, რომ ისინი საქართველოს მხოლოდ ნაწილის მთავრობას წარმოადგენენ...

— საინტერესოა თქვენი აზრი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის ახალი ხელისუფლების ძალისხმევათა შესახებ. შეიძლება თუ არა ახალი ხელისუფლების ნაბიჯები ამ მიმართულებით შევაფასოთ წინა წლებთან შედარებით უფრო ეფექტურ ნაბიჯებად?

— არანაირი ეფექტი არ გვაქვს და ჯერჯერობით მოსალოდნელიც არ არის. კარგია ის, რომ შეიცვალა რიტორიკა, ნაკლებია რუსეთის, აფხაზი და ოსი ხელმძღვანელების მიმართ შეურაცხმყოფელი გამოხდომები. ის მაინც იგრძნობა, რომ ახალი ხელისუფლება დაინტერესებულია პოზიტიური ცვლილებებით. ყოფილი ხელისუფლება ამით დაინტერესებული არ ყოფილა. თუ გაიხსენებთ, კერძოდ, ვინ იყო შევარდნაძისა და სააკაშვილის დროს ამ საკითხებით დაკავებული, ცხადი გახდება, რომ ქვეყნის ხელისუფლება შედეგით დაინტერესებული არ იყო. ჩვენთან ტერიტორიული მთლიანობის პრობლემით დაკავებული იყვნენ უღიმღამო, უსუსური ადამიანები, რომელთაც არავინ იცნობდა არც სოხუმში, არც ცხინვალში და არც მოსკოვში. არც ერთ თავმოყვარე სახელმწიფო მოღვაწეს აზრადაც კი არ მოუვიდოდა მათთან სერიოზული მოლაპარაკების გამართვა. ისე, ამ მხრივ ვითარება დიდად არ შეცვლილა. ჩვენი პოტენციური პარტნიორებისთვის დღესაც უცნობია, თუ ვინ არის დაკავებული საქართველოში ამ საკითხებით. ასახელებენ რეინტეგრაციის საქმეებში მინისტრის გვარს, მაგრამ განა ვინ დაელაპარაკება ასეთი დასახელების მქონე უწყების ხელმძღვანელს? და საერთოდ, ის ადამიანები მოსკოვსა და

სოხუმში, რომლებზეც რეალურად არის საქმე დამოკიდებული, მინისტრს არ დაელაპარაკებიან.

— პაატა ზაქარეიშვილმა განაცხადა, რომ მას დალაგებული აქვს კონტაქტები აფხაზ წარმომადგენლებთან, რომლებთანაც ხორციელდება არაოფიციალური მუშაობა ურთიერთმისაღები გადაწყვეტილების შესამუშავებლად.

— აფხაზეთში სულ რამდენიმე ადამიანია, რომელთაც შეუძლიათ გადაწყვეტილებების მიღება ან მათ მიღებაზე ზეგავლენის მოხდენა. არც ერთ მათგანს დღესდღეობით ქართულ მხარესთან არანაირი კონტაქტი არ აქვს. ეს სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია.

— იქმნება შთაბეჭდილება, რომ ზაქარეიშვილი დიდი მონდომებით აკეთებს თავის საქმეს. ის ჩვენს კონფლიქტებში კარგ პროფესიონალად ითვლება...

— სავსებით შესაძლებელია. მე მას არ ვიცნობ, მაგრამ ღმერთმა ხელი მოუმართოს თავის საქმიანობაში წარმატების მისაღწევად. რაც შეეხება პროფესიონალიზმს, პროფესიონალი არ შესთავაზებდა აფხაზურ მხარეს რკინიგზის გახსნას ისე, რომ გარანტირებული უარი მიეღო. პროფესიონალი ჯერ ჩართავდა აფხაზ ხელმძღვანელებთან მოლაპარაკებაში სომხეთის წარმომადგენლებს, მერე სომხებთან ერთად პროცესში რუსეთის ჩართვას უზრუნველყოფდა და მხოლოდ ამის შემდეგ, მიიღებდა რა დადებით ინფორმაციას, წამოაყენებდა შესაბამის წინადადებას. აუცილებელია საკუთარი ქვეყნის რეპუტაციაზე ზრუნვა, რომელიც კნინდება ასეთ წინადადებებზე ცივი უარის მიღებით.

— ახლახან მიხეილ სააკაშვილმა თავის გამოსვლაში განაცხადა, რომ არ კარგავს საქართველოს ევროკავშირში შესვლის იმედს. 9 წელიწადი ის ამბობდა, რომ დარწმუნებულია მალე ამ კავშირში შესვლაში, ახლა კი მხოლოდ „იმედს არ კარგავს“. გახდა თუ არა ევროკავშირში შესვლის პერსპექტივა უფრო ეფემერული?

— ეს პერსპექტივა ეფემერული არ არის, იგი, უბრალოდ,

არ არსებობს. ჯერ ერთი, ევროკავშირმა დაასრულა გაფართოების პროცესი და, გარდა რიგში მდგომი ბალკანეთის დარჩენილი ქვეყნებისა, ახალ წევრებს აღარ მიიღებს; მეორე — წამყვანი ევროპული ქვეყნები არ მიიჩნევენ საქართველოს ევროპის ნაწილად; მესამე — ევროკავშირი რომც ფართოვდებოდეს, მასში სამხრეთკავკასიური სახელმწიფოს გაწევრიანება მხოლოდ თურქეთის გაწევრიანების შემდეგ იქნება შესაძლებელი. თურქეთი, მოგეხსენებათ, უკვე წლებია, დაჟინებით ითხოვს ევროკავშირში მიღებას და, რამდენიც უნდა მოითხოვოს, მას იქ არავითარ შემთხვევაში არ მიიღებენ; და მეოთხე — ევროკავშირი თავად არის დაშლის ზღვარზე და უახლოესი 5-7 წლის მანძილზე ჩვენ მისი დაშლის უშუალო მოწმეები გავხდებით.

ძალიან სასაცილოა, როდესაც ყველა ოფიციალურ ღონისძიებაზე, შენობების ფასადებზე, ჩინოვნიკების კაბინეტებში გვერდიგვერდ საქართველოსა და ევროკავშირის დროშებს ვხედავთ. ევროპელები გაკვირვებული და ირონიული მზერით უყურებენ ამას და დაგვცინიან. ასეთი პროვინციალიზმი, ჩემი აზრით, დამამცირებელია ჩვენი ხალხისთვის.

— ახალი ხელისუფლება ასევე დეკლარირებს ნატოსა და ევროკავშირში შესვლის იდეის ერთგულებას.

— დეკლარირება შეიძლება, მთავარია, ცრუ მიზნებს არ დავუქვემდებაროთ რეალური სახელმწიფოებრივი საქმიანობა. შევარდნაძემ და სააკაშვილმა ჩვენს საზოგადოებას თავს მოახვიეს ცრუ მიზნები — ნატო და ევროკავშირი. ხალხმა არაფერი იცოდა არც ერთის და არც მეორის შესახებ, მაგრამ პროპაგანდის ზეგავლენით ეს ცრუ მიზნები ყველა უბედურების პანაცეად, სამოთხისკენ მიმავალ გზად აღიქვა. ნებისმიერ ანტიეროვნულ, ანტისახელმწიფოებრივ ნაბიჯს ხელისუფლება სწორედ ამ ცრუ მიზნების — ნატოსა და ევროკავშირისკენ ხელის გაშვერით

ამართლებდა, — აქაოდა ნატოსა და ევროკავშირში შესასვლელად არისო საჭირო. გადადგომის შემდეგ არაერთ ინტერვიუში შევარდნაძემ აღიარა, რომ ეს მიუღწეველი მიზნებია, ანუ ის 10 წლის მანძილზე ატყუებდა ხალხს. სააკაშვილიც რამდენიმე წელიწადში აღიარებს ამას, თუმცა იქვე დაამატებს, რომ მას შეეძლო შეუძლებელი, მაგრამ არ მისცეს საქმის ბოლომდე მიყვანის საშუალება. ორივე რეჟიმი, შევარდნაძისა და სააკაშვილის, იყო მარიონეტული, მათ სჭირდებოდათ, როგორმე აეხსნათ ხალხისთვის, თუ რატომ იქცეოდნენ არა საკუთარი სახელმწიფოს, არამედ გარე ძალების ინტერესების შესაბამისად. ახსნა კი იყო შემდეგი: ასეა საჭირო ნატოში შესასვლელად. ჩვენი მმართველების ზურგსუკან ნატოს რომ არ ეციმციმა, განა ქართველი ხალხი დაანებებდა მათ ომის დაწყებას აფხაზეთსა და ცხინვალში, რუსეთთან თვითმკვლელობის ტოლფას კონფრონტაციაზე წასვლას ან უცხო ინტერესებისთვის ავღანეთის სასაკლაოზე საკუთარი შვილების გაგზავნას? განა დაანებებდა ვინმე ხელისუფლებას ახალგაზრდობის გარყვნას, ეკლესიის დამცირებას, უცხოელებზე მიწის გაყიდვას? განა ქართველი ხალხი შეეგუებოდა იმას, რომ საქართველოს უმაღლესი ხელისუფალი, აგერ უკვე 20 წელია, არის აშშ-ის ელჩი? ამ ყველაფერს სჭირდებოდა გამართლება და ისიც მოიძებნა ნატოსა და ევროკავშირის სახით. ქვეყნის მმართველებმა კარგად იცოდნენ, რომ ატყუებენ ხალხს, მაგრამ, როგორც მარიონეტებს, საზოგადოებისთვის სხვა არაფრის შეთავაზება არ შეეძლოთ, მათთვის ნებადართული იყო მხოლოდ იმ პოლიტიკის გატარება, რომელსაც კარნახობდნენ და რომლისთვისაც ისინი ხელისუფლებაში დასვეს.

ივანიშვილი თვისობრივად განსხვავებულ მდგომარეობაშია. ის ხელისუფლებაში მოიყვანა რეჟიმისადმი ხალხის შეუწყნარებლობის ტალღამ, უფრო მეტიც, ივანიშვილი ხელისუფლებაში მოვიდა ქართველი ხალხის მიერ

რეჟიმის პოლიტიკის კატეგორიული უარყოფის წყალობით. როგორც რეალურმა პოლიტიკოსმა, მან თავი შეიკავა პირდაპირი შეფასებებისგან, მაგრამ, როგორც პრაგმატიკოსს, მშვენივრად ესმის, რომ ცრუ მიზნები ხალხის დეზორიენტირებას ახდენს, შეუძლებელს ხდის საზოგადოების კონსოლიდაციას, ქვეყნის კატასტროფიდან გამოსაყვანად ძალისხმევის კონცენტრირებას. მიაქციეთ ყურადღება — ივანიშვილი არსად იჩემებს, რომ საქართველოს მიიღებენ ევროკავშირსა და ნატოში, არ ასახელებს კონკრეტულ თარიღებს, როგორც ამას პერიოდულად აკეთებდნენ შევარდნაძე და სააკაშვილი. ის საუბრობს იმაზე, რომ საქართველომ ბევრი უნდა იმუშაოს ევროკავშირის სტანდარტებთან მისაახლოებლად, და ეს სწორია. ევროპულ პრაქტიკაში ბევრი რამაა ისეთი, რაც ჩვენ უნდა ავითვისოთ, მაგრამ არა ჩვენს სინამდვილეში ხელოვნური გადმოტანით, ბრმა კოპირებით, არამედ შერწყმის, ცხოვრების მოწყობის ტრადიციულ ქართულ მოდელთან ურთიერთშელწევის გზით. არის ევროპაში ბევრი რამ ისეთიც, რაც ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია.

იმედი მაქვს, რომ ივანიშვილი არ დაუქვემდებარებს თავის მოღვაწეობას ცრუ მიზნებს, როგორც ამას მისი წინამორბედები აკეთებდნენ, და ამ ცრუ მიზნებს არ შესწირავს საქართველოს ეროვნულ ინტერესებს.

— როგორც ჩანს, კმაყოფილი ხართ ბიძინა ივანიშვილის მოღვაწეობით...

— დიახ, ივანიშვილის მოღვაწეობა დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს, იგი ღირსეულად იქცევა. სხვათა შორის, ჯერ კიდევ შევარდნაძის პრეზიდენტობისას საერთო ნაცნობების მეშვეობით ვცდილობდი, ბიძინა ივანიშვილი ჩართულიყო პოლიტიკურ მოღვაწეობაში, რათა შევარდნაძის შემდეგ პრეზიდენტის პოსტი დაეკავებინა. სა-

ჭირო იყო იმ კატასტროფის თავიდან აცილება, რომლისკენაც ახალგაზრდა დამანგრეველებისთვის ხელისუფლების გადაცემით შევარდნაძე ქვეყანას მიაქანებდა, და ივანიშვილს შეეძლო ამის გაკეთება. მაშინ მიპასუხეს, რომ ესაუბრნენ მას, მაგრამ ივანიშვილმა პოლიტიკაში ჩართვაზე კატეგორიული უარი განაცხადა, მაგრამ ნათქვამია — სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს...

— ერთ-ერთი მწვავე პრობლემა, რომელიც აქტიურად განიხილება საზოგადოებაში, არის საკითხი — როგორი უნდა იყოს პრეზიდენტის არჩევნები. რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?

— თუ უკვე დამტკიცებულია მმართველობის საპარლამენტო მოდელი, მაშინ პრეზიდენტი პარლამენტმა უნდა აირჩიოს. ერთდროულად ძლიერი პარლამენტი, ძლიერი პრემიერი და ძლიერი პრეზიდენტი — ეს ფსევდოდემოკრატიული დემაგოგიაა. რეალურ ცხოვრებაში ასე არ ხდება, მით უმეტეს გაკოტრებულ ქვეყნებში, რომლებიც ჯერ ფეხზე უნდა წამოდგნენ. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ პარლამენტის მიერ არჩეული პრეზიდენტი ნომინალური ფიგურა უნდა იყოს, ანუ მხოლოდ მოაწყოს მიღებები დღესასწაულებზე, ჩაიბაროს რწმუნების სიგელები ელჩებისგან, ატაროს ჰალსტუხი და გაიბღინძოს. საქართველოს არ აქვს მაღალი თანამდებობის უსაქმურების შენახვის ფუფუნება. პრეზიდენტის ფუნქციები ქვეყნის იმ სასიცოცხლო პრობლემებიდან გამომდინარე უნდა განისაზღვროს, რომელთა გადასაჭრელად პარლამენტისა და მთავრობის ძალისხმევა საკმარისი არ არის.

მიმაჩნია, რომ პრეზიდენტის აქტიური მოღვაწეობის სფერო უნდა იყოს აფხაზურ და ოსურ მხარესთან, რუსეთის ფედერაციასთან, მათ შორის ჩრდილოეთკავკასიურ რესპუბლიკებთან ურთიერთობა. საქმე ისაა, რომ დასავლეთის ვექტორზე ჩვენთან ბევრი ოფიციალური პირი და სტრუქტურა მუშაობს — პრემიერი, პარლამენტის თავმ-

ჯდომარე და საპარლამენტო კომიტეტები, საგარეო საქმეთა სამინისტრო და რიგი სხვა უწყებებისა, ხოლო იმ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მიმართულებებზე, რომლებიც ჩამოვთვალე, სერიოზულად არავინ მუშაობს. რეინტეგრაციის საქმეთა მინისტრთან აფხაზეთის, ოსეთისა და მით უმეტეს რუსეთის ხელმძღვანელობა საგნობრივად არაფერს განიხილავს. რუსეთთან ურთიერთობებში სპეციალური წარმომადგენელის სამ თვეში ერთხელ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან შეხვედრის შედეგი კი იქნება ერთობლივი ვახშამი და პირობა, რომ სამი თვის შემდეგ კიდევ ერთხელ შეხვდებიან. დრო კი მიდის და უნდა ვაღიაროთ, რომ — არა საქართველოს სასარგებლოდ.

საჭიროა გარღვევა, ამ საქმიანობის ხარისხობრივად ახალ დონეზე აყვანა. **საჭიროა მაღალი სახელმწიფო სტატუსის მქონე პირი, რომელიც გავა პირდაპირ მოლაპარაკებაზე უმაღლესი ხელმძღვანელობის რგოლებთან და დაძრავს საქმეს მკვდარი წერტილიდან.** პრემიერ-მინისტრი ამით ვერ დაკავდება — მას აქვს უდიდესი მოცულობის შიდა პრობლემები, დიდ დროს ართმევს ურთიერთობა დასავლელ პარტნიორებთან, რომელთა ზეწოლასაც წარმატებით უმკლავდება; ამასთანავე, პრემიერი უმაღლესი სახელმწიფო პირია და ის მოლაპარაკებათა პროცესში შეთანხმების მიღწევის სტადიაზე უნდა ჩაერთოს, ანუ მას მუდმივად უნდა ჰქონდეს მანევრის საშუალება.

პარლამენტის თავმჯდომარე, ჩემი აზრით, კარგად ართმევს თავს თავის მოვალეობებს, მაგრამ ზემოხსენებული საქმიანობისთვის არ გამოდგება — მას აქვს მკაფიოდ გამოკვეთილი „მედასავლეთის“ იმიჯი და, რა თქმა უნდა, უდავოდ გააჩნია სერიოზული ვალდებულებები დასავლელ პარტნიორებთან, ამიტომ არც რუსები, არც აფხაზები მასთან გულწრფელად არ ისაუბრებენ. ამ მნიშვნელოვანი საქმისთვის საჭიროა მესამე პირი ქვეყნის

უმაღლესი სახელისუფლო ეშელონიდან — ანუ პრეზიდენტი. რა თქმა უნდა, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს არამხოლოდ სტატუსს, არამედ პიროვნულ საკითხსაც. **ახალი პრეზიდენტი არაფრით არ უნდა იყოს დაკავშირებული წინა რეჟიმებთან, რომლებიც ჩვენი პარტნიორების აღქმაში ომთან და სისხლთან ასოცირდებიან.** სასურველია, რომ იგი მათთვის პოზიტიურად ცნობილი იყოს, თუმცა, შესაძლოა, ის იყოს აბსოლუტურად ახალი სახე. მთავარია, იგი აცნობიერებდეს მასზე დაკისრებულ პასუხისმგებლობას — 1-2 წელიწადში ვითარების კარდინალურად შეცვლას.

სხვათა შორის, პრეზიდენტის ფუნქციის ასეთი განმარტება მოხსნის კონკურენციის, ამ თანამდებობისთვის ბრძოლისა და ამ ბრძოლის თანმდევი ინტრიგების პრობლემას. არა მგონია, ბევრი პრეტენდენტი მოიძებნოს, რომელთაც ამ ჩიხში მოქცეული საკითხებით დაკავების სურვილი ექნებათ. ამ საკითხებს მხოლოდ ლამაზი და ფუყე დაპირებებით ვერ მოაგვარებ, ახალი პრეზიდენტის ფხა და შესაძლებლობა პირველივე თვეებში გამოჩნდება. ამიტომ ამ პოსტის დაკავებას მხოლოდ ის ადამიანი დათანხმდება, რომელიც დარწმუნებულია წარმატებაში და ფლობს აუცილებელ პოტენციალს — კავშირებს, პირად ავტორიტეტს, სერიოზული წინადადებების პაკეტს. ასეთი ადამიანები კი ბევრნი არ არიან.

— წლებია, ხართ სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ თავმჯდომარე. ბოლო დროს საზოგადოებაში გავრცელდა ხმები, რომ სააკაშვილი სამეგრელოში გადაბარგებას და ამ რეგიონის ახალი ხელისუფლებისადმი ოპოზიციურ ბასტიონად გადაქცევას აპირებს. რამდენად რეალურია ასეთი სცენარი?

— ამ ხმებს „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები ავრცელებენ, ახალი ხელისუფლების დაშანტაჟების მიზნით. **საკაშვილისა და მისი ჩინოვნიკების დასაცავ**

არანაირ ბასტიონად სამეგრელო არ გადაიქცევა. არ არის საჭირო, ისე წარმოვაჩინოთ საქმე, თითქოს სამეგრელოში ველური პროვინციელები ცხოვრობენ, რომლებიც მზად არიან, დაიცვან ის ხელისუფლება, რომელმაც ქვეყანას დაშლა, სიღარიბე და დეგრადაცია მოუტანა. სამეგრელოში გონიერი, განათლებული, განსაკუთრებით მაღალი სახელმწიფოებრივი შეგნების მქონე ხალხი ცხოვრობს. არც გამსახურდიასა და სააკაშვილს შორის პარალელების გავლებაა საჭირო, ეს მკრეხელობაა. ყველაზე სამარცხვინო ის არის, რომ სააკაშვილის გარემოცვაში არიან ადამიანები, რომლებიც საკუთარ თავს ზვიადის თანამოაზრეებად მიიჩნევენ. ეს ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ამ ადამიანებს არაფერი გაეგებათ და წარმოდგენაც არ აქვთ, თუ რა უნდოდა ზვიად გამსახურდიას საქართველოსთვის. იყოს ზვიად გამსახურდიას მომხრე და ამავე დროს „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი, შეუძლია ან უპრინციპო აფერისტს, ან აბსოლუტურ უვიცს, რომელსაც არასოდეს წაუკითხავს და არასოდეს ესმოდა ზვიად გამსახურდიასი. ყველაფერი, რასაც წარმავალი ხელისუფლება აკეთებდა, სრულიად ეწინააღმდეგება იმას, რისკენაც მიისწრაფვოდა ზვიად გამსახურდია.

სამეგრელოს მოსახლეობას არანაირი ანტისახელისუფლო განწყობა არ აქვს. იქ არის ცენტრალური ხელისუფლებისადმი ზოგადი უნდობლობა, რადგანაც უკანასკნელი 20 წლის მანძილზე, წინასაარჩევნო დაპირებების გარდა, სამეგრელოს არაფერი მიუღია. რეგიონი უკიდურესად არის გაჩანაგებული, შრომისუნარიანი მოსახლეობის მესამედი ემიგრაციაშია. სასწრაფოდ საჭიროა სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის ზომების მიღება, რათა ეს, ქვეყნისთვის სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი კუთხე გამოცოცხლდეს.

გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“,
2013 წ., თებერვალი

2013 წ., მაისი

«თუ მორჩილად მივილებთ თავსმოხვეულ «ღირებულებებს», დავილუპებით!»

— ბატონო ალექსანდრე, როგორ აფასებთ 17 მაისის თბილისის მოვლენებს, რომლებმაც ქართულ საზოგადოებაში განხეთქილება გამოიწვია? არსებობს თუ არა სერიოზული საზოგადოებრივი დაპირისპირების ალბათობა ამ ნიადაგზე?

— მე არ დავარქმევდი მომხდარს განხეთქილებას საზოგადოებაში. განხეთქილება გულისხმობს საზოგადოების გაყოფას ორ ან რამდენიმე დაახლოებით ტოლ ნაწილად, რომლებიც ერთმანეთს უპირისპირდებიან. განხეთქილებაა პა-

რიზში, ლონდონში, სადაც ჰომოსექსუალთა და მათი თანამგრძნობი მოქალაქეების რაოდენობა იმდენად დიდია, რომ ქალაქის მერად ღია პედერასტს ირჩევენ. განხეთქილებაა ამერიკაში, სადაც ზანგმაც კი შეძლო, გამხდარიყო პრეზიდენტი, როდესაც გეითანამეგობრობის მოთხოვნების დაკმაყოფილების პირობა დადო, ანუ თეთრკანიანი ამერიკელების გენეტიკურმა რასიზმმა პედერასტიის მომხრეთა შეტევის წინაშე უკან დაიხია. ჩვენთან, მადლობა ღმერთს, ეს მოვლენა ჯერჯერობით ამდენად სერიოზულად არ გავრცელებულა. არიან ახალგაზრდები, რომლებიც განიმსჭვალნენ გეიიდეოლოგიით დასავლურ უნივერსიტეტებში სწავლისას ან აქ, საქართველოში, უცხოელებთან ურთიერთობისას, და არის ხალხი, რომელიც დასავლეთისგან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების წევრია და ფულისთვის ასრულებს გარკვეულ მითითებას.

აქვს თუ არა პერსპექტივა მათ საქმიანობას? დიახ, აქვს.

თუ ხელისუფლება და ქართული საზოგადოება ჯიუტად გააგრძელებენ ე. წ. ევროპული ღირებულებების მიმართ ერთგულების დემონსტრირებას, ანუ გააგრძელებენ შევარდნაძე-სააკაშვილის გეზით სვლას, მაშინ უნდა გაითვალისწინონ, რომ პედერასტია თანამედროვე ევროპული ღირებულებების განუყოფელი ნაწილია, მეტიც, ეს ამა თუ იმ სახელმწიფოს „ევროპულობის“ მთავარი მაჩვენებელია. მსოფლიოში იგი მზარდი ტემპით ვითარდება, რასაც ხელს უწყობს ათასობით სხვადასხვა სახის საზოგადოებრივი ორგანიზაცია, მედია, კინოინდუსტრია. თუ 15-20 წლის წინ პედერასტია ე. წ. შემოქმედებითი ინტელიგენციისა და ცივილიზაციის სიმდიდრით გამძღარი მდიდრებისა და მათი შვილების გარემოში მხოლოდ „მოდა“ იყო, დღეს ეს დასავლური ქვეყნების საზოგადოებრივი ცხოვრების განუყოფელი ატრიბუტია. ეს მოხდა ძალიან მოკლე ისტორიული პერიოდის მანძილზე.

გავიხსენოთ ისტორია. ჰომოსექსუალიზმი არსებობდა ყოველთვის, მაგრამ, როგორც ჩანს, ჰომოსექსუალური კავშირების თავისუფლებას საზოგადოებისთვის იმდენად დიდი ზიანი მოჰქონდა, რომ მონოთეისტური რელიგიების დამფუძნებლები იძულებულნი გახდნენ, მომაკვდინებელ ცოდვად გამოეცხადებინათ იგი. ქრისტიანიზირებულ ევროპაში ჰომოსექსუალიზმი იატაკქვეშ გადავიდა და მისი მასშტაბებიც მკვეთრად შემცირდა. პერიოდულად იყო აღზევებაც, მაგალითად, შუასაუკუნეებში კათოლიკე ბერების გარემოში და, სავარაუდოდ, სწორედ ამ მოვლენასთან საბრძოლველად შეიქმნა თავიდან ინკვიზიცია. მე-19 საუკუნესა და მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში ევროპაშიც და აშშ-შიც პედერასტიასთან დამოკიდებულება იყო ძალიან უარყოფითი. გაიხსენეთ ოსკარ უაილდი, რომელიც 1895 წელს ამერიკაში ციხეში ჩასვეს, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-ში ჰომოსექსუალების მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულების ფორმირება დაიწყო. ამას ხელი შეუწყო ამერიკული ჯარის სამხედრო მოსამსახურეთა გარემოში პედერასტთა საზოგადოების წარმოქმნამ საკუთარი ცნობიერებით. **ზუსტად მამათმავალმა სამხედროებმა მისცეს აშშ-ში ჰომოსექსუალიზმის რეაბილიტაციასა და ლეგალიზაციას ბიძგი. მას შემდეგ აშშ სექსუალური უმცირესობების უფლებებისთვის მებრძოლი მოძრაობის ლიდერია მთელ მსოფლიოში.** ყველა ქვეყანა, რომელიც აშშ-ის გავლენის ქვეშაა, იძულებულია, ერთსქესიანი კავშირების ლეგალიზება მოახდინოს და წაახალისოს. თავად აშშ-ში კონგრესის დაახლოებით 70 წევრი ოფიციალური პედერასტია, ჯარში 65 ათასი ოფიციალური გეი და ლესბოსელი მსახურობს. ამ დღეებში აშშ-ში ჯარში ერთსქესიანი ქორწინებები, სოციალური შეღავათების თვალსაზრისით, გაუთანაბრეს ჩვეულებრივ ქორწინებებს, მაგალითად, ჯარისკაცის დაღუპვის შემთხვევაში მისი ქორწინების პარტნიორი (არ ვიცი, სხვანაირად როგორ დავარქვა) მიიღებს ფულად კომ-

პენსაციას და აქვს უფლება, გარდაცვალების შემდეგ დაიკრძალოს მის გვერდით სამხედრო სასაფლაოზე.

— იმედი მაქვს, საქართველოში საქმე აქამდე არ მივა...

— ტყუილად გაქვთ იმედი. ეს ძალიან სერიოზული პრობლემაა. დიახ, **17 მაისმა დაგვანახა, რომ ქართულ საზოგადოებაში ეროვნული ღირსების გრძნობამ გაიღვიძა ან შესაძლოა, თვითგადარჩენის ინსტინქტი ამუშავდა.** ჩვენი ხალხის ღირსებას, უკვე 20 წელზე მეტია, ფეხქვეშ თელავენ და ბევრ დამკვირვებელს გაუჩნდა შთაბეჭდილება, რომ ღირსების გრძნობა ჩვენს საზოგადოებაში მოკვდა. დიაგნოზი, მე მგონი, ნაადრევია, მაგრამ უნდა ნათლად გავაცნობიეროთ, რომ ჩვენ შევეჯახეთ არა ერთ მუჭა გეებსა და მათ თანამგრძნობ ქართველ „ევროპელებს“, არამედ მძლავრ საერთაშორისო ძალას, რომლის უკანაც შეერთებული შტატები — საქართველოს ფაქტობრივი პატრონი, და მთელი ევროპა დგანან. ძალიან არათანაბარი ძალებია.

— რა უნდა მოიმოქმედოს ქართულმა საზოგადოებამ ამ სიტუაციაში?

— პირველ რიგში უნდა შეეცადოს, გახდეს, ოდნავ მაინც, მინიმალურად დამოუკიდებელი სახელმწიფო. უკვე 20 წელია, საქართველოს დამოუკიდებლობა გამოიხატება 26 მაისს ზეიმის ჩატარებაში. ეს ცოტა ხომ არაა საიმისოდ, რომ თავი სახელმწიფოდ ჩავთვალოთ? შევარდნაძე და სააკაშვილი გვარწმუნებდნენ, რომ რუსეთის „უმცროს ძმად“ ყოფნა უღირსობაა, ამჟამინდელმა პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ ჩვენ შეერთებული შტატების „უმცროსი პარტნიორები“ ვართ და ეს, მისი თქმით, დიდი მიღწევაა. სრულიად შესაძლებელია, რომ ვინმეს პარტნიორობა უფრო მოსწონს, ვიდრე ძმობა, მაგრამ პარტნიორს, თუნდაც უმცროსს, შესაძლოა, ჰქონდეს საკუთარი ინტერესები, სხვა შემთხვევაში იგი პარტნიორი არაა —

იგი ლაქიაა, მონა. **საქართველოს დღეს ერთი მთავარი ეროვნული ინტერესი აქვს — ქართველი ერის, როგორც კულტურულ-ისტორიული ფენომენის, შენარჩუნება.**

უნდა ავუხსნათ „უფროს პარტნიორს“, რომ, როდესაც საქართველო იყო „უმცროსი ძმა“, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა ყოველწლიურად მატულობდა, თითქმის ყველა ქართველი ცხოვრობდა საქართველოში და ცუდ სიზმარშიც კი ვერ ხედავდა საკუთარ თავს ემიგრანტის ამპლუაში, ქვეყანაში მუშაობდა ასობით ქარხანა, ფაბრიკა, სასოფლო-სამეურნეო საწარმო და ჩვენ არ ვიცოდით, რა იყო უმუშევრობა, მიწას ამუშავებდნენ და მოსავალს იღებდნენ ადგილობრივი გლეხები, ხოლო „პედერასტი“ სალანძღავი სიტყვა იყო.

როდესაც ჩვენ გავხდით აშშ-ის „უმცროსი პარტნიორი“, შობადობის მაჩვენებელი კატასტროფულად დაეცა, ხოლო სიკვდილიანობის მაჩვენებელი კატასტროფულად გაიზარდა, ქარხნები და ფაბრიკები ჯართში ჩააბარეს, ქართველი ერის მესამედი ემიგრაციაში წავიდა და სხვა ქვეყნებში მომსახურე პერსონალი გახდა, ყოველი მეორე, ვინც სამშობლოში დარჩა, უმუშევარია, ტერიტორიების 20 პროცენტი დაკარგულია, დარჩენილი მიწები ინდოელებს, ჩინელებს, პაკისტანელებსა და კიდევ ვიღაცას მიჰყიდეს, ხოლო პედერასტები ინგლისურენოვანი პლაკატებით ხელში დედა ენის ძეგლთან იკრიბებიან და ერთსქესიანი სიყვარულისთვის თავიანთი უფლებების დაკანონებას მოითხოვენ. ასეთი „პარტნიორობის“ კიდევ 10 წელი და ქართველი ერი, როგორც კულტურული სათემო, უბრალოდ, აღარ იარსებებს.

მეორე, ქართულმა საზოგადოებამ უნდა განსაზღვროს ეროვნული ღირებულებებისა და პრიორიტეტების სისტემა. 15 წლის წინ მე შევიმუშავე და გამოვაქვეყნე „საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების სტრატეგია“, რომელშიც ჩამოვაყალიბე ქვეყნის ეროვნუ-

ლი ინტერესები, მიზნები და ამოცანები განვითარების გარდამავალ პერიოდსა და პერსპექტივაში. **მთავარ მიზნად მე ქართველი ერის ფიზიკური განადგურებისგან და ზნეობრივი დეგრადაციისგან დაცვა მივიჩნიე. მაშინვე დავასახელე ლოზუნგი პატრიოტული ძალებისთვის — „ქართველობის გადასარჩენად!“** სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ გაზეთმა „ილორმა“ ეს სიტყვები თავის ლოზუნგად აქცია. ამის იქით საქმე არ წასულა. შევარდნაძემ და მისმა კარის ინტელიგენციამ, შემდგომში კი სააკაშვილმა და მისმა გუნდმა მე „ნაციონალისტი“ და „კრემლის რუპორი“ მიწოდეს, პოლიტიკურმა ძალებმა, რომლებიც თავის თავს „ოპოზიციას“ ეძახდნენ, მკვეთრად დაგმეს ჩემი „ანტიამერიკანიზმი“ და „ანტიევროპეიზმი“. დღეს ის ჩემი ლოზუნგი კიდევ უფრო აქტუალურია, თუმცა, შესაძლოა, უკვე გვიანიცაა... თითქმის მთელი პოლიტიკური სპექტრი და საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი აგრძელებს ზურაბ ჟვანიას ბოდვითი განცხადებით ხელმძღვანელობას: „მე ვარ ქართველი, მაშასადამე, ვარ ევროპელი!“. სააკაშვილი და მისი ცხვირმოუხოცავი თანამზრახველები 10 წელი უდებდნენ ხალხს თავში, რომ საქართველო „ბრუნდება“ ევროპაში, რომ ჩვენ ევროპული საზოგადოების განუყოფელი ნაწილი ვართ და ა.შ. ამისთვის ჩამოჰყავდათ აქ ვიღაც ევროპელი მასხარები — მესამეხარისხოვანი ქვეყნების პრეზიდენტები, ევროპარლამენტარები, მოედნებზე სამარცხვინო შოუებს დგამდნენ. სხვათა შორის, საქართველოში არც ერთი ძირითადი ევროპული ქვეყნის პრეზიდენტი ან პრემიერი არ ჩამოსულა (სარკოზი გამონაკლისი შემთხვევისა და მიზეზის გამო ჩამოვიდა), რითაც მათ საქართველოს „ევროპულ იდენტობასთან“ საკუთარი დამოკიდებულება გამოხატეს.

საქართველო არასოდეს ყოფილა ევროპის ნაწილი და ევროპა არასოდეს თვლიდა საქართველოს თავის ნაწილად. ევროპულმა კულტურამ, ევროპულმა ღირებულე-

ბებმა საქართველოში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში შემოაღწია რუსეთიდან. მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში „თერგდალეულთა“, დიდი ქართველი განმანათლებლების დამსახურებით ეს პროცესი გაძლიერდა. მაგრამ მაშინ ევროპა სწრაფად ვითარდებოდა, ევროპული ღირებულებები იყო ჭეშმარიტი პროგრესული ღირებულებები განათლებაშიც, მეცნიერებაშიც, ხელოვნებაშიც, ტექნიკაშიც, წარმოების ორგანიზებაშიც და საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც. დღეს ევროპა მძლავრად დეგრადირებს. ევროპული სახელმწიფოები აღარ არიან დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოები თავისი ეროვნული ტრადიციებით, წეს-ჩვეულებებით, ზნეობრივი ნორმებით. ევროპელი ერები ცდილობენ, ხელისუფლებაზე დემოკრატიული მეთოდებით ზეწოლით შეეწინააღმდეგონ დამანგრეველ ტენდენციებს, მაგრამ ამას აზრი აღარ აქვს.

დასავლური დემოკრატია, როგორც დასავლური ეკონომიკური მოდელი, ჩიხში შევიდა, მოსახლეობის ეროვნული ინტერესების დაცვის საშუალება აღარაა. უმრავლესობის ნება — დემოკრატიის საფუძველი — აღარაფერს წყვეტს. იგი შეცვალა საგარეო პოლიტიკაში აშშ-ის და საერთაშორისო კაპიტალის ნებამ, საშინაოში — „უმცირესობათა“ მოთხოვნებმა. გაიხსენეთ: დიდი ბრიტანეთის მოსახლეობის 80 პროცენტი ეწინააღმდეგებოდა ქვეყნის ერაყთან ომში მონაწილეობას, მაგრამ ინგლისის ხელისუფლებამ მიაფურთხა საკუთარი ხალხის სურვილს. აშშ-ში ომის დაწყების წინააღმდეგ მრავალმილიონიანი დემონსტრაციები იმართებოდა, მაგრამ ხელისუფლებამ ომი მაინც დაიწყო. ფრანგთა უმრავლესობა ერთსქესიანი ქორწინების წინააღმდეგ გამოდის, მაგრამ პრეზიდენტმა და პარლამენტმა უმრავლესობის ნების იგნორირება მოახდინეს.

მულტიკულტურალიზმის პოლიტიკამ და მცდელობებმა, მომხდარიყო მილიონობით მიგრანტის ინტეგრაცია,

კრახი განიცადა. კომფორტით განებივრებული ევროპელები, რომლებიც ორიენტირებულები არიან მოხმარებაზე, რომლებმაც დაივიწყეს ქრისტიანული პოსტულატები და მიეჩვივნენ „უმცირესობათა უფლებების“ დაცვას, დაუცველები აღმოჩნდნენ ეროვნულად და რელიგიურად ერთსულოვანი მიგრანტების სათემოების უხეში ზეწოლის წინაშე, რომლებიც დაჟინებით და აგრესიულად ახვევენ თავს ევროპას საკუთარ ნორმებსა და ქცევის წესებს. ორ მილიონ მუსლიმანს შეშინებული ჰყავს მრავალმილიონიანი ინგლისი. საქმე აბსურდამდე მივიდა: ინგლისელი სამხედრო მოსამსახურეებისთვის რეკომენდებულია, არ იარონ ლონდონის ქუჩებში სამხედრო ფორმით, რათა არ მოახდინონ ძალადობის პროვოცირება მუსლიმანი ექსტრემისტების მხრიდან! წყნარ შვედეთში ყოველ ღამე იწვის ავტომანქანები, ორი წლის წინ იგივე ხდებოდა პარიზში. ევროპელ ერებს, თუ მათ გადარჩენა სურთ, არ აქვთ სხვა გზა, გარდა იმისა, რომ დაუბრუნდნენ ეროვნულ სახელმწიფოებს და რადიკალურად შეცვალონ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების შესახებ საკუთარი მოსაზრებები. ეს პროცესი ძალიან მძიმე და, ალბათ, სისხლიანი იქნება, ფაშისტური უკიდურესობებითურთ, როგორც ეს ევროპას ისტორიულად სჩვევია, მაგრამ ის გარდაუვალია. ევროპის ერებს ჯერ კიდევ აქვთ პოტენციალი, რომელიც საკმარისია აღზევებისთვის. საქართველოს კი ასეთი პოტენციალი არ აქვს. **თუ ჩვენ მორჩილად მივიღებთ თავსმოხვეულ „ღირებულებებს“, დავიღუპებით.**

— როგორ შევაჩეროთ გეიკულტურის აგრესიული შემოტევა, თუ ამ თემაზე ასობით კინოფილმს იღებენ, ათასობით მხატვრული ნაწარმოები ქვეყნდება, მსოფლიო შოუ-ბიზნესის ვარსკვლავები თავიანთი ორიენტაციის დემონსტრირებას ახდენენ?..

— რა თქმა უნდა, წიგნების გამომცემლების, ტელეარ-

ხების, კინოგაქირავების სინდისსა და ეროვნული გრძნობების იმედად ყოფნა უაზრობაა, რადგანაც ამის უკან დიდი ფული დგას. საჭიროა ცენზურა, რომელიც მხოლოდ სახელმწიფომ შეიძლება დააწესოს. სახელმწიფო ვალდებულია, ერის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე იზრუნოს, ვალდებულია, დაიცვას ახალგაზრდა თაობა ეროვნული მსოფლმხედველობისთვის უცხო ტენდენციებისა და გავლენებისგან, თუნდაც ისინი თანამედროვე ევროპული და ამერიკული კულტურის ნაწილი იყოს. ბუნებრივია, საუბარი არაა ჰომოსექსუალთა მიერ შექმნილ ნაწარმოებთა აკრძალვაზე. ჩვენ — ყველას წაგვიკითხავს მარსელ პრუსტის, სომერსეტ მოემის, ვირჯინია ვულფის რომანები, რემბოსა და ვერლენის ლექსები, მოგვისმენია ელტონ ჯონისა და ფრედი მერკურისთვის, მაგრამ მგონია, მცირე ნაწილი თუ დაფიქრებულა მათ სექსუალურ ორიენტაციაზე. სამაგიეროდ ამერიკელი ვიდალ გორი ასევე ნიჭიერი მწერალია, მაგრამ მისი რომანები პედერასტიის ღია პროპაგანდაა. ასეთი ნაწარმოებები არ უნდა ხვდებოდეს წიგნის ბაზარზე.

— არა მგონია, ჩვენი ხელისუფლება მზად იყოს, საკუთარ თავზე აიღოს ეს ფუნქცია. აი, მაგალითიც: 17 მაისს ხელისუფლების წარმომადგენლებმაც დაგმეს საზოგადოების რეაქცია, მოუწოდეს მას ტოლერანტობის, მოთმინებისა და სექსუალურ უმცირესობათა უფლებების პატივისცემისკენ.

— ეს ბუნებრივია, თქვენ ხომ ნახეთ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის, ევროპარლამენტის, ევროსაბჭოს, თითქმის მთელი დიპლომატიური კორპუსის რეაქცია. ამიტომაც ვამბობ, რომ პედერასტიის გავრცელების საწინააღმდეგოდ მოქმედება არაა მარტივი საქმე, მით უფრო, როდესაც ეს ამერიკაზე დამოკიდებულ სახელმწიფოებს შეეხება. **საჭიროა საზოგადოების მაქსიმალური კონსოლიდაცია. არ ვიცი, ჩვენს საზოგადოე-**

ბას შესწევს თუ არა მსგავსი კონსოლიდაციის უნარი, მაგრამ მხოლოდ ასეა შესაძლებელი, ერთის მხრივ, აიძულო ხელისუფლება, დაიცვას ერი გახრწნისგან; მეორე მხრივ კი, ხელისუფლებას მისცეს კოზირი ამერიკელ პატრონებთან ურთიერთობისთვის: რაკი ხალხი ერთსულოვნად წინააღმდეგია, მის მოსამზადებლად დრო მოგვეცითო. ამან შეიძლება იმუშაოს.

ბიძინა ივანიშვილმა „ნაციონალთა“ მმართველობისგან გვიხსნა და ხალხი ამისათვის მისი მადლიერია. ხალხი მას ენდობა და ბუნებრივია, მოთმინებით ეკიდება მის გაუგებარ პოლიტიკურ სიმპათიებსა თუ სრულიად მიუღებელ საკადრო დანიშვნებს. მაგრამ **უნდა გვახსოვდეს, რომ ხალხს ხელისუფლების შეცვლა იმისთვის უნდოდა, რათა საქართველოში არ ჩატარებულიყო გეიაღლუმები, ტელევიზიებს არ გაერყვნათ ახალგაზრდობა, სახელისუფლო სტრუქტურებს დაეცვა ტრადიციული სულიერი ღირებულებები, მორალური ნორმები, მხარი დაეჭირათ ქართველი ხალხის სოციოკულტურული თვითმყოფადობისთვის, მისი სპეციფიკური თავისებურებებისთვის და სწორედ ამით იქნებოდა უზრუნველყოფილი ერის შენარჩუნება.** „ქართული ოცნება“ ამას დაგვპირდა, ისევე, როგორც დაგვპირდა აფხაზებთან და ოსებთან ურთიერთობის აღდგენას, რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებას. ჯერჯერობით ხალხი მოლოდინისა და იმედის რეჟიმშია.

„ქართული მიწა ეკუთვნის ქართველ ერს, ხოლო ერი მხოლოდ დღევანდელი თაობა როდია“

— ბატონო ალექსანდრე, თქვენ სახელმწიფო ხელისუფლების სისტემაში მომავალი პრეზიდენტის როლის შესახებ ახალი ხედვით გამოხვედით და განაცხადეთ, რომ

პრეზიდენტი უნდა დავავალდებულოთ, დაკავდეს ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური და რუსულ-ქართული ურთიერთობების აღდგენის პრობლემით. ჩვენმა გაზეთმა მხარი დაუჭირა თქვენს იდეას, გამოკითხა უამრავი ექსპერტი და ბევრი მათგანი დაეთანხმა საკითხის ამგვარად დასმას, თუმცა ამ შეთავაზებას ხელისუფლებისგან რეაგირება არ მოჰყოლია. როგორ ფიქრობთ, რატომ?

— თუ ხელისუფლებას სჭირდება ნომინალური პრეზიდენტი, რომელიც ოფიციალური ვიზიტებით ევროპასა და ამერიკას ეწვევა და კულტურულ ღონისძიებებში მიიღებს მონაწილეობას, მაშინ რეაქციის არქონა ჩემს შეთავაზებაზე გასაგებია. ასეთ თანამდებობას ჩვეულებრივ „სინეკურას“ უწოდებენ: ადამიანი ზის ხალხის კისერზე, იყენებს ყველა პრივილეგიას, სარგებლობს საყოველთაო პატივისცემით, ხოლო საქმიანობის კონკრეტულ შედეგებს მას არავინ სთხოვს. საქართველოში ასეთ თანამდებობაზე პრეტენდენტი ბევრია და მათგან ნაწილმა უკვე წარადგინა თავისი თავი, მაგრამ, თუ ამ თანამდებობას სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარებაზე პასუხისმგელობით დავტვირთავთ და დავადგენთ, რომ ერთ-ორ წელიწადში პრეზიდენტმა უნდა წარადგინოს თავისი საქმიანობის კონკრეტული შედეგები, მაშინ ამ პოსტის დაკავების მსურველთა რიცხვი მკვეთრად შემცირდება. მე ვთვლი, რომ **ქართველ ერს არ გააჩნია იმის სურვილი და ფუფუნება, რომ ძვირადღირებული მაღალჩინოსანი უსაქმური შეინახოს. ვთვლი, რომ ეს მაღალი რანგის პოსტი აუცილებლად კონკრეტული ამოცანების, მიზნების მისაღწევად უნდა იქნას გამოყენებული. შევარდნაძე-სააკაშვილის მმართველობის პერიოდში რუსეთთან, აფხაზებთან, ოსებთან ურთიერთობების სფეროში არავითარი პოზიტიური ნაბიჯი არ გადადგმულა.** პოლიტიკის ამ მიმართულებით მუშაობდნენ ყველაზე არაკომპეტენტური ჩინოვნიკები, რომლებიც პარტნიო-

რებთან არანაირი ავტორიტეტით არ სარგებლობდნენ. ორივე ხელისუფალი ამ პრობლემების გადაწყვეტის მიმართ თავის აბსოლუტურ გულგრილობას იჩენდა. სააკაშვილმა კი აგვისტოს ავანტიურით პრობლემა სრულ ჩიხში შეიყვანა. **ახალ ხელისუფლებას, რომელზეც არც სისხლია და არც დანაშაული მიუძღვის, აქვს მცირე შანსი, გამოიყვანოს შექმნილი ვითარება ჩიხიდან. ამისთვის საჭიროა პრემიერ-მინისტრის პოლიტიკური ნება, პრეზიდენტის შესაბამისი ფუნქციებით დატვირთვა და ამ პოსტზე რუსული, ოსური და აფხაზური მხარეებისთვის მისაღები ადამიანის არჩევა. ეს აუცილებელია ქართველი ერისა და ქართული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისა და განვითარებისთვის.** ეს აუცილებელია იმისთვისაც, რომ ივანიშვილმა ერის ნდობა შეინარჩუნოს. საქმე ისაა, რომ ეკონომიკაში სწრაფი წარმატებები ვერ მოხდება, მიღწევათა შედარება ჯერჯერობით ამ ხელისუფლების სასარგებლოდ ვერ იქნება, სულიერ-ზნეობრივ სფეროშიც, როგორც უკვე ვისაუბრეთ, სერიოზული ძვრების იმედი არ უნდა გვქონდეს; ხმაურიანი სასამართლო პროცესების მეშვეობით შესაძლებელია ხელისუფლების რეიტინგის შენარჩუნება, მაგრამ დიდი ხნით — არა. თანაც არა მგონია, დასავლეთმა ჩვენს ხელისუფლებას ამის ნებართვა მისცეს. ამიტომ ახალმა ხელისუფლებამ ნდობის შესანარჩუნებლად პოზიტიურ შედეგებს უნდა მიაღწიოს იმ მიმართულებით, რომელშიც წინა ხელისუფლებამ სრული კრახი განიცადა. ეს მიმართულებაა რუსეთთან, აფხაზებთან და ოსებთან ურთიერთობები.

— გამოითქვა მოსაზრება, რომ პრეზიდენტად ეთნიკური აფხაზი აგვერჩია. ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ მან განიხილა ეს წინადადება. როგორია თქვენი აზრი?

— ის ფაქტი, რომ ეს წინადადება სერიოზულად განიხი-

ლებოდა ქვეყნის ხელმძღვანელობის მიერ, მიგვითითებს, რომ ხელისუფლებას საერთოდ არ ესმის რეალური სიტუაცია როგორც აფხაზეთში, ისე ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში. პირველ რიგში, აფხაზის პრეზიდენტად არჩევა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი აფხაზია, დამამცირებელია როგორც იმ ადამიანისთვის, ისე ქართული საზოგადოებისთვისაც. მეორეც, აფხაზი, რომელიც დღეს გახდება საქართველოს პრეზიდენტი, დაკარგავს ყველა კონტაქტს აფხაზურ საზოგადოებასთან, გახდება აფხაზეთში მიუღებელი ფიგურა.

საქართველოს პრეზიდენტი ქართველი უნდა იყოს, მაგრამ ქართველი, რომელიც სარგებლობს როგორც ქართული საზოგადოების, ისე აფხაზეთისა და ოსეთის ნდობით.

— აფხაზურ პრობლემასთან დაკავშირებით საინტერესოა თქვენი აზრი თბილისში არსებული აფხაზეთის უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს მნიშვნელობის შესახებ. შეუძლიათ თუ არა მათ რაიმე როლის შესრულება ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ნორმალიზებაში?

— რა თქმა უნდა, არა. ვერანაირ დადებით როლს ისინი ვერ ითამაშებენ იმ მიზეზით, რომ აფხაზური მხარე მათ არავითარ შემთხვევაში არ დაელაპარაკება. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ბევრ მათგანს აფხაზეთში მომხდარ სისხლიან ტრაგედიაში ბრალი მიუძღვის. საქართველოში არის ხალხი, რომელსაც აქვს კარგი პირადი კონტაქტები აფხაზურ საზოგადოებასთან, აფხაზეთში ავტორიტეტითა და ნდობით სარგებლობს, მაგრამ, თუ რომელიმე მათგანი დაიკავებს ოფიციალურ თანამდებობას აფხაზეთის სტრუქტურებში თბილისში, მაშინვე ყველა კონტაქტი მასთან გაწყდება. ეს რეალობაა და იგი უნდა გავითვალისწინოთ. საერთოდ კი, რა თქმა უნდა, ამ სტრუქტურებს მომავალი არ გააჩნია.

— სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა და მსოფლიო პატრიარქის შეხვედრის შემდეგ ქართული ეკლესიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ უახლოეს მომავალში შედგება ილია მეორეს ვიზიტი აფხაზეთში. რამდენად რეალურია ეს?

— ეს არარეალურია, არავითარი ვიზიტი არ იქნება. სამწუხაროდ, ჩვენი ეკლესია, ისევე, როგორც სახელმწიფო ხელისუფლება, ყოველთვის იგვიანებს თავისი ინიციატივებით, რითაც პრობლემას ჩიხში აქცევს. ასეთი ვიზიტი სხვა მეთოდებითა და სხვა ხალხის დახმარებით უნდა მომზადდეს. და ამ მიმართულებით მუშაობა არა კონსტანტინოპოლის პატრიარქთან, არამედ აფხაზური საზოგადოების შიგნით უნდა ხდებოდეს.

— ვინ უნდა იმუშაოს? ახალი ხელისუფლების საკადრო პოლიტიკა დიდად არ განსხვავდება „ნაციონალების“ პოლიტიკისგან, რის გამოც საზოგადოებაში შეიმჩნევა უკიდურესი უკმაყოფილება როგორც საპარლამენტო უმრავლესობის, ისე მთავრობის შემადგენლობის ხარისხით...

— დიახ, ბოლო 20 წლის მანძილზე იქმნება შთაბეჭდილება, რომ საქართველოში არ არიან ჭკვიანი, ერუდირებული, ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული პროფესიონალები. რამდენიმე წლის წინ რუსეთის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა მითხრა: ვიცნობდი და ვიცნობ ბევრ უაღრესად განათლებულ, წარმოსადეგ ქართველს — როგორც სუფთა ინტელექტუალებს, ისე ორგანიზატორ-პრაქტიკოსებს; მითხარით ერთი, ვისგან ყალიბდება ქვეყნის პოლიტიკური ელიტა, თქვენი უმაღლესი ჩინოვნიკების კორპუსი, სად პოულობენ ასეთ გონებაშეზღუდულ და უფერულ ხალხს? მე ვუპასუხე, რომ, ჯერ ერთი, მათ შორის ცოტაა ქართველი, და მეორეც, მათ პოულობენ და აწინაურებენ ამერიკელი კურატორები, ქართველი ხალხის აზრს და სურვილს ამ საქმეში არანაირად არ ითვალისწინებენ. ამასთან ერთად, უნდა ვაღიაროთ, რომ გარ-

კვეული პროგრესი მაინც არის: თუ ადრე გვრცხვენოდა საჯარო პირების 95 პროცენტის გამო, დღეს ამ გრძნობას 60-70 პროცენტის მიმართ განვიცდით. ვნახოთ, შეიძლება დროთა მანძილზე სიტუაცია უკეთესი გახდეს.

უნდა ვაღიაროთ, რომ საზოგადოების მოლოდინი ძალიან გადაჭარბებულია. ერს უნდა თვისობრივი ცვლილებები ყველაფერში, უპირველეს ყოვლისა, საკადრო პოლიტიკაში, და იგი უკვე ივიწყებს, როგორი ხალხი იყო ხელმძღვანელობაში სულ ცოტა ხნის წინ. პრეზიდენტი წარადგენდა მორიგ 23–25 წლის ბიჭს ან გოგონას სამინისტროს ან უწყების ხელმძღვანელის პოსტზე, იტყოდა, რომ ეს „გამოცდილი“, „ძალიან ძლიერი პროფესიონალია“, ამ უწყების თანამშრომლები მას ტაშს უკრავდნენ, საზოგადოება კი დუმდა. გაიხსენეთ, რომ თბილისელებს მერად ჭიაბერაშვილი დაუნიშნეს და ქალაქის საზოგადოება მას „ბატონობით“ მიმართავდა; თავდაცვის მინისტრად კეზერაშვილი მუშაობდა და გენერლები მას სმენაზე ედგნენ. გაიხსენეთ სხვა მინისტრები, გუბერნატორები, მერები და მიაქციეთ ყურადღება: ისინი ისეთი ადამიანები არიან, რომლებიც, დაკარგავენ თუ არა თანამდებობას, არარაობად იქცევიან. მათ არ გააჩნიათ არც შესაფერისი პიროვნული თვისებები, არც საზოგადოებაში საკმაო ავტორიტეტი საიმისოდ, რომ თანამდებობის დაკარგვის შემდეგ დარჩნენ პატივსაცემ პიროვნებებად ქვეყანაში ან ქალაქში. მათ ეს კარგად ესმოდათ, ამიტომაც ერთგულად ემსახურებოდნენ პატრონს და პარალელურად ცდილობდნენ, დაეგროვებინათ პირადი კაპიტალი ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ უზრუნველად ცხოვრებისთვის. ზოგ ხელისუფალს ხელს აძლევს ასეთი, სრულიად მასზე დამოკიდებული ხალხი, მაგრამ ეს ხელისუფლებას ავტორიტეტს არ ჰმატებს და ბოლოსდაბოლოს რეჟიმის კრახით მთავრდება.

— იქმნება შთაბეჭდილება, რომ ბიძინა ივანიშვილი კადრების შერჩევის ასეთივე პრინციპით ხელმძღვანელობს...

— შესაძლოა, მაგრამ მაინც მდგომარეობა გაუმჯობესდა. მაგალითად, ადრე მე ვერ ვუყურებდი ტელევიზორს: მრცხვენოდა, როდესაც ხელისუფლების წარმომადგენლები გამოდიოდნენ. დღესაც ხშირად მიჩნდება უხერხულობის გრძნობა, მაგრამ, მცირე გამონაკლისის გარდა, არ მაწუხებს მწვავე სირცხვილის განცდა.

— და ვინაა ეს მცირე გამონაკლისი?

— მაგალითად, საგარეო საქმეთა მინისტრი. და საქმე ის არაა, რომ იგი არც ერთი პარამეტრით არ შეესაბამება სადღეისოდ ესოდენ მნიშვნელოვან თანამდებობას. გავიგე, როგორ განაცხადა მან, რომ მისთვის სტალინი და ჰიტლერი ერთნაირი ბოროტებაა. ასეთმა უვიცობამ, ასეთმა ცინიზმმა, აზროვნების ასეთმა დაბალმა დონემ, უბრალოდ, გამაოგნა! მან არა მხოლოდ ისტორიის და ადამიანური მორალის საკითხებში სრული უმეცრება გამოავლინა, არამედ საკუთარ ხალხს, განსაკუთრებით უფროსი თაობის წარმომადგენლებს, ყველაზე დამსახურებულ თაობას — დიდი სამამულო ომის ვეტერანებს შეურაცხყოფა მიაყენა. ნორმალურ სახელმწიფოში ასეთი თავხედური განცხადების შემდეგ მინისტრი თავის პოსტზე აღარ დარჩებოდა. მისი ადგილი არა მთავრობაში, არამედ იმ მაიმუნებს შორისაა, რომლებიც გორში სტალინის დაცემული ძეგლის ფონზე პოზირებდნენ. საოცარია, რომ ეს გურამ ფანჯიკიძის ქალიშვილია. მე ვიცნობდი მამამისს, მახსოვს, როგორ მოდიოდა ხოლმე დავით ჩხიკვიშვილთან და მოჰქონდა ახალი, სადღაც აღმოჩენილი მასალები სტალინზე, რომლებიც ამ უდიდესი პიროვნების გენიალურობას ამტკიცებდა. მე არ ველოდი მისი ქალიშვილისგან ასეთ უზრდელობას, უკულტურობასა და პრიმიტივიზმს.

— ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემა, რომელიც ქართულ საზოგადოებას აწუხებს, უცხოელებზე მიწების გაყიდვაა. არსებობს მოსაზრება, რომ გაყიდვის მასშტაბები უკვე ჩვენი ერის არსებობას ემუქრება.

— ეს სწორი მოსაზრებაა. თუ გახსოვთ, ყოველთვის გამოვდიოდი მიწაზე კერძო საკუთრების შემოღების წინააღმდეგი, მომყავდა მაგალითები რიგი ქვეყნებისა, რომლებიც ამ მახეში გაებნენ, ვარწმუნებდი საზოგადოებას, რომ გაპარტახებულ ქვეყანაში კერძო საკუთრებაში გადაცემული მიწა გახდება ღარიბი გლეხისთვის ერთადერთი, მაგრამ მკვდარი კაპიტალი და ის აუცილებლად შეეცდება მის გაყიდვას, ხოლო ყიდვას შეძლებენ მხოლოდ უცხოელები. ჩემი ოპონენტები აცხადებდნენ, რომ ეს არის „ყველა ცივილიზებული სახელმწიფოს პრაქტიკა“ და, „თუ ჩვენ ევროპაში გვინდა“, უნდა ვიყოთ ასეთივე ცივილიზებულები. მთავარი, რა თქმა უნდა, ისაა, რომ ეს იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნა და მის მიერ დაქირავებული საქართველოს მთავრობის წევრები და საზოგადო მოღვაწეები არწმუნებდნენ ერს, რომ ეს ძალიან სწორი გადაწყვეტილებაა, რომელიც ქვეყნის სოფლის მეურნეობას „საბჭოთა ჩიხიდან“ გამოიყვანს. ეს ასფალტზე გაზრდილი „ექსპერტები“ არწმუნებდნენ საზოგადოებას, რომ, თუ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს გააუქმებდნენ და მიწას გლეხებს კერძო საკუთრებაში დაურიგებდნენ, მაშინ მადლიერი და გახარებული გლეხობა გამორჩეული ენთუზიაზმით დაამუშავებდა მას, მოსავლიანობა ათმაგად გაიზრდებოდა და ყველა იქნებოდა ბედნიერი და კმაყოფილი. საინტერესოა, რომ თავად გლეხები სხვა აზრისანი იყვნენ, მაგრამ „ექსპერტები“ ამას მათი „ჩამორჩენილობითა“ და „საბჭოთა მენტალიტეტით“ ხსნიდნენ. მახსოვს ტელერეპორტაჟი კახეთიდან, რომელშიც ჟურნალისტმა ჰკითხა მოხუც გლეხს, რას გააკეთებდა იგი, როდესაც მიწას საკუთრებაში მიიღებდა. მან დაღონებულმა შეხედა მას და უპასუხა: „გავყიდი, შვილო, თუ ვინმე იყიდის. რით ან როგორ დავამუშავებ?“. ჩვენს „ცივილიზებულ“ ექსპერტებს არ ესმოდათ, რომ თავად მიწა გლეხისთვის არანაირ ღირებულებას არ

წარმოადგენს. ღირებულებას წარმოადგენს მოსავალი და მისი რეალიზაციის შესაძლებლობა. ხოლო მოსავალი რომ მიიღო, მიწა უნდა დაამუშავო, ამისთვის საჭიროა შესაბამისი ტექნიკა, საწვავი, სასუქი და ა. შ. თუ ეს ყველაფერი გლეხს არ გააჩნია, მაშინ მიწაც არ სჭირდება და იგი ეცდება მის გაყიდვას; ხოლო მცირემიწიანი საქართველოს პირობებში ეს ნიშნავს, რომ დროთა განმავლობაში ჩვენი ერი დაკარგავს საკუთარ მიწაზე უფლებას.

მიწაზე კერძო საკუთრების შემოღება არის დანაშაული არა მხოლოდ მცირემიწიანობის მიზეზით, არამედ იმიტომაც, რომ ქართული მიწა ეკუთვნის ქართველ ერს და ერი არაა მხოლოდ დღევანდელი თაობა, არამედ — წინა და მომავალი თაობებიც, ერთად აღებული. ერის არც ერთ თაობას არ აქვს უფლება, გაყიდოს ის, რაც მხოლოდ მას არ ეკუთვნის. ღმერთმა მიწა გვიწყალობა, რათა თაობიდან თაობამდე დაგვემუშავებინა და გვესარგებლა მისი ნაყოფით, მაგრამ ღვთის წყალობის გაყიდვის უფლება არ გვაქვს. თავის დროზე ძალიან გამიკვირდა, რომ ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ არ გამოთქვა პროტესტი მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემის თაობაზე.

— დღეს ეკლესია საზოგადოების ულტრალიბერალური ნაწილისგან თავდასხმებს განიცდის, მას ჩამორჩენილს, არათანამედროვეს, ბარბაროსულს უწოდებენ, მაგრამ საზოგადოების პატრიოტულ ნაწილსაც დაუგროვდა საყვედურები ეკლესიის მისამართით. მახსოვს, რომ თქვენც გამოთქვამდით უკმაყოფილებას ეკლესიის საქმიანობის გამო...

— საზოგადოების პატრიოტული ნაწილი, მათ შორის მეც, უკმაყოფილო ვიყავით ეკლესიის პასიურობით, მისი გადაწყვეტილებით, — არ ჩარეულიყო საზოგადოებრივ პროცესებში და არ გამოეთქვა თავისი მოსაზრება ერის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემების თაობაზე. ქვეყნის ნგრევის, ერის გახრწნის, საზოგადოე-

ბის დეგრადაციის, ტრადიციული ღირებულებების დევალვაციის პროცესი დიდი ხანია მიმდინარეობს და ამ პროცესის მამოძრავებელი ძალა ანგაჟირებული, გამყიდველი ხელისუფლება იყო. ხალხი ამას ხედავდა და ელოდა ეკლესიისგან საპროტესტო სიტყვას, იმედი ჰქონდა მისი პრინციპული პოზიციის, მაგრამ ეკლესია დუმდა, თავს იმართლებდა საერო ცხოვრებაში არჩარევის პრინციპით. ზუსტად მაშინ მე საჯაროდ განვაცხადე და რამდენიმეჯერ გავიმეორე, რომ ღმერთმა ჩვენ ეკლესია ერის გადასარჩენად, სულიერი განვითარებისთვის და ზნეობრივი სრულყოფისთვის გვიბოძა და ამ მაღალი მისიის შესრულებისგან ეკლესიის განდგომა დაუშვებელია-მეთქი. ეკლესია დუმილს აგრძელებდა. მიუხედავად ამისა, მის მიმართ ნდობის დონე რჩებოდა ძალიან მაღალი, თავისთავად ეკლესია იყო და რჩება ერთადერთ საზოგადოებრივ ინსტიტუტად, რომელსაც ხალხი უკავშირებს თავის იმედებს ეროვნული და კულტურული იდენტობის შენარჩუნების თვალსაზრისით. ქართულმა ინტელიგენციამ, რომელიც საბჭოთა პერიოდში ამ როლს ასრულებდა, თავისი კონფორმიზმის, სიბეცისა და ხალხისგან მოწყვეტილობის გამო ეს უმნიშვნელოვანესი ფუნქცია დაკარგა. მადლობა ღმერთს, ბოლო ორი-სამი წელი ქართული სამღვდელოების ნაწილმა, მათ შორის ეკლესიის იერარქებმაც, დაიწყეს მწვავე ეროვნულ საკითხებზე ქადაგება არა მხოლოდ ტაძარში, არამედ გაზეთის ფურცლებიდანაც. მთელი გულით მივესალმები სასულიერო პირების ასეთ საზოგადოებრივ აქტივობას. მთავარია, რომ ქვეყანაში არსებული ანტიეროვნული ძალების ძლიერი ზეწოლისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წნეხის გამო ეს დიდი ხნის ნანატრი აქტივობა კლებისკენ არ წავიდეს და ეკლესია კვლავ არ ჩაიკეტოს თავის შიდა ცხოვრებაში. ამისთვის კი მას მთელი საზოგადოების, მთელი ერის მხარდაჭერა სჭირდება. ეს ეხე-

ბა არა მხოლოდ მართლმადიდებელ მრევლს, არამედ ქვეყნის ყველა მოქალაქეს, რომელთაც სურთ მომავალი თავიანთი შვილებისთვის. ყველაზე შეუპოვარ ათეისტს, საზოგადოებრივი ინოვაციების ყველაზე აქტიურ მხარდამჭერს უნდა ესმოდეს, რომ მართლმადიდებლობა ჩვენი ერის ტრადიციული ღირებულებების საგანძურში უდიდესი პლასტია, რომელიც ქართველი ერის იდენტობას განსაზღვრავს, ხოლო ტრადიცია ერის სიცოცხლისუნარიანობის საფუძველია. სიახლეები ხელს უწყობს პროგრესს მხოლოდ ტრადიციასთან ურთიერთქმედებისას, მხოლოდ მასთან ორგანული შერწყმისას. სიახლეებს, რომლებიც აძევებენ და ანაცვლებენ ტრადიციას, ერის დეგრადაციისა და გადაგვარებისკენ მივყავართ.

სამღვდელოება თავისი შემადგენლობით არაერთგვაროვანია. სასულიერო პირებს შორის არიან კონფორმისტებიც, რომლებიც მზად არიან, ითანამშრომლონ ნებისმიერ, თუნდაც ყველაზე ანტიეროვნულ ხელისუფლებასთან; არიან „რეფორმატორებიც“, რომლებიც ცდილობენ, „გაათანამედროვონ“, „გააცივილურონ“ მართლმადიდებლობა, სინამდვილეში კი სურთ, თავს მოგვახვიონ პროტესტანტული ღირებულებები; არიან თავდაჯერებული ეკუმენისტებიც, მაგრამ არსებობენ თანმიმდევრული, ეროვნულად და პატრიოტულად ორიენტირებული, ღრმად მორწმუნე მართლმადიდებლობის მსახურები, რომლებიც მზად არიან, თავი გაწირონ სჯულისა და მამულისთვის. დაინახეს რა, როგორი სატანური ქვესკნელისკენ უბიძგებენ ერს გარე და შიდა ბნელი ძალები, ამ სასულიერო პირებმა აღიმაღლეს ხმა და ამით აგრძნობინეს ერს, რომ ეკლესია ჩვენთანაა, ესე იგი ჩვენთან არს ღმერთი! ეს ის ხალხია, რომელიც აცნობიერებს, რომ ემსახურო ღმერთს ნიშნავს, — ემსახურო შენს ერს და მიიყვანო იგი ღმერთთან. ჩვენი სამოქალაქო და ეროვნული ვალია, მხარი დავუჭიროთ ასეთ სამღვდელოებას.

„ვფიქრობ, რომ ჯერ კიდევ გვაქვს შანსი, ავაშენოთ ისეთი საქართველო, როგორზეც ვოცნებობდი...“

— ბატონო ალექსანდრე, საზოგადოებრიობის ლიბერალური, პროდასავლური ნაწილი გვარწმუნებს, რომ ეკლესიის ჩარევა საერო ცხოვრებაში და საერთოდ, ტრადიციული საზოგადოებრივი ინსტიტუტების ფუნქციონირება — ეს არქაიკაა, ანაქრონიზმია, რომელიც არღვევს ადამიანის უფლებებს და ზღუდავს მის თავისუფლებებს.

— მორალია ანაქრონიზმი? ადამიანური მორალი იწყება იქ, სადაც ყალიბდება აკრძალვები. მორალი არის პრაქტიკულად აკრძალვათა სისტემა. ადამიანი ათასწლეულების წინ მიხვდა, რომ იგი ვერ შექმნის საზოგადოებას, ტომს, ერს, ანუ ვერ გადარჩება, თუ არ შეზღუდავს თავისუფლებას. თავისუფლება შეზღუდვების გარეშე არის გზა პირუტყვობისკენ. ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვით მე-4 საუკუნეში პლატონი ამბობდა, რომ აბსოლუტური თავისუფლებისგან ყოველთვის წარმოიშობა უდიდესი და უსასტიკესი მონობა.

იცით, როგორ გეგმავდა ჰიტლერი დაპყრობილი ერების მორჩილებაში ყოლას, მათი გამრავლებისა და გონებრივი განვითარების არდაშვებას? ხალხის უმრავლესობას კინოფილმების გავლენით შეექმნა შთაბეჭდილება, რომ იგი აპირებდა მკაცრი დისციპლინის დამყარებას, ერების მუდმივ შიშში ყოლას, მათთვის ყველანაირი თავისუფლების შეზღუდვას... მაგრამ იყო აბსოლუტურად პირიქით! ჰიტლერი საჭიროდ თვლიდა დაპყრობილი ერებისთვის ინდივიდუალური თავისუფლებების მაქსიმუმის მინიჭებას, მათზე სახელმწიფო კონტროლის ყოველგვარი ფორმის გაუქმებას და სწორედ ამ გზით იმის მიღწევას, რომ ეს ერები ინტელექტუალური და ზნეობრივი განვითარების ყველაზე დაბალ დონეზე აღმოჩენილიყვნენ. მე სიტყ-

ვასიტყვით მოგიყვანთ ჰიტლერის ფრაზას: „რაც უფრო პრიმიტიულია ხალხი, მით უფრო მეტად აღიქვამს თავისუფლების შეზღუდვას, როგორც ძალადობას მის მიმართ“. იგი თვლიდა, რომ ამ ერებს უნდა მინიჭებოდა სრული სექსუალური თავისუფლება, ნებადართული ყოფილიყო ყველანაირი რელიგიური სექტა, სახელმწიფომ არ უნდა დააძალოს სწავლა, მკურნალობა, ყველანაირად უნდა წაახალისოს უდარდელი ცხოვრებისკენ, ამ მიზნით ყველა ქალაქსა და სოფელში უნდა დაეყენებინათ რეპროდუქტორები, რომლებიდანაც დღე და ღამ ისმის მხიარული მუსიკა. ცხოვრების მთავარი სტიმული ამ ერებისთვის უნდა ყოფილიყო სამრეწველო პროდუქციის შეძენა, მაგრამ ამ ერებს გერმანელებისგან ცალკე უნდა ეცხოვრათ. გერმანელები უნდა ყოფილიყვნენ ვალდებულნი, დაეცვათ მკაცრი მორალური ნორმები, ეროვნული ტრადიციები, განევითარებინათ ეროვნული კულტურა, ბეჯითად ესწავლათ, დაუფლებოდნენ მაღალტექნოლოგიურ პროფესიებს, ხოლო სახელმწიფო ვალდებულია, უმკურნალოს ყველა გერმანელს, შეუქმნას მას ფიზიკური და ინტელექტუალური განვითარებისთვის საჭირო პირობები, არ დაუშვას რელიგიური სექტების ჩამოყალიბება. დისციპლინა და ვალდებულებები — მხოლოდ გერმანელებისთვის, ყველა დანარჩენს — სრული თავისუფლება.

როგორც ხედავთ, ალენ დალესი საბჭოთა კავშირის დაშლის თავისი ცნობილი დოქტრინით, უბრალოდ, ჰიტლერის მოსწავლეა. ახლა კი შეადარეთ ის თავისუფლებები, რომლებიც ჰიტლერს უნდოდა, ჩვენთვის მოენიჭებინა ჩვენივე დეგრადაციისთვის, იმ თავისუფლებებს, რომლებსაც ჩვენი საზოგადოების ლიბერალური ნაწილი და მათი დასავლური კურატორები ითხოვენ. ერთი და იგივე არ არის?

საზოგადოებრივი ცნობიერებით მანიპულირების პროცესში თავისუფლების ცნება ყველაზე გამოყენებადია. 20

წელია, ჩვენი მმართველები გვარწმუნებენ, რომ გვიბოძეს თავისუფლება, გაგვათავისუფლეს „საბჭოთა მონობისგან“, მაგრამ რაში გამოიხატება ეს თავისუფლება? თავისუფალი შეიძლება იყოს მხოლოდ ის ადამიანი, რომელსაც არჩევანის უფლება და საშუალება გააჩნია. მაგრამ იმისთვის, რომ ჩვენ გვქონდეს ასეთი საშუალება, უნდა გაგვაჩნდეს აუცილებელი — სახლი, სამსახური, ხელფასი, პენსია, რაც მოგვცემს საშუალებას გამოვიყენოთ არჩევანის უფლება. ღარიბი ადამიანი არ შეიძლება იყოს თავისუფალი, იგი ყველაფერზე წავა სამსახურისა და ხელფასის გამო. გვეუბნებიან, რომ ჩვენ მივიღეთ მსოფლიოში მოგზაურობის თავისუფლება. დიახ, ეს თავისუფლებაა, როდესაც შეგიძლია შენი სიამოვნებისთვის წახვიდე სხვა ქვეყნებში, მაგრამ ამის საშუალება მოსახლეობის მხოლოდ 2 პროცენტს აქვს, ხოლო როდესაც ერის ნახევარი მიემგზავრება ლუკმაპურის საშოვნელად, ეს თავისუფლება არაა, ეს მონობაა.

ჩვენ გაგვათავისუფლეს, მაგრამ გაგვათავისუფლეს ჩვენი უფლებებისგან — მუშაობის, საცხოვრებლის, უფასო განათლებისა და ჯანდაცვის უფლებისგან. გვეუბნებიან, რომ მოგვცეს სიტყვის თავისუფლება, მაგრამ ამ თავისუფლებას მხოლოდ მაშინ აქვს ფასი, როდესაც ხელისუფლებას გააჩნია ვალდებულება, იკითხოს, ისმინოს და რეაგირება მოახდინოს. შევარდნაძისა და სააკაშვილის დროსაც შეიძლებოდა ყველაფრის დაწერა, მაგრამ რა სარგებელი მოიტანა ამან, თუ ხელისუფლება წამოწეულ პრობლემაზე არანაირად რეაგირებდა? სარგებელი ჰქონდა მხოლოდ ხელისუფლებას, რომელიც ამაყად აცხადებდა, რომ ქვეყანაში არსებობს სიტყვის თავისუფლება.

ლიბერალი დასავლეთელები თავისუფლებას ეძახიან იმასაც, რომ ქვეყანაში შემოიჭრა დასავლური საქონელი, ჩვენ გავხდით მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი და დღეს ყველა ადამიანს თითქოს შეუძლია, შეიძინოს მისთ-

ვის საჭირო ნივთი. მთელი პროპაგანდა, სატელევიზიო რეკლამა, მთელი თავსმოხვეული ცხოვრების წესი უბიძგებს ადამიანს სულ ახალი და ახალი საქონლის მოხმარებისა და შეძენისკენ. და ეს ხდება გაძარცვულ ქვეყანაში, რომელსაც ღარიბი მოსახლეობა ჰყავს! და ეს, მათი აზრით, არის თავისუფლება! ჯერ ერთი, **მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლა იმ დროს, როდესაც ქვეყანას არ გააჩნია ეროვნული ეკონომიკა და კონკურენტუნარიანი პროდუქცია, ნიშნავს, გაანადგურო საკუთარი მეწარმე და გახდე სხვისი საქონლის მომხმარებელი.** მეორე, საკუთარი მოქალაქეების ორიენტირება მოხმარებაზე, მით უმეტეს სხვისი საქონლის, ნიშნავს, ჰიტლერის რეცეპტით გადააქციო ისინი პირუტყვებად, რომელთა ცხოვრების მთელი სიხარული და აზრი დევს ახალი ნივთის შეძენაში. შეხედეთ ჩვენი ახალგაზრდობის უდიდეს ნაწილს, რომელიც სამომხმარებლო პროპაგანდის ქვეშ ჩამოყალიბდა. როგორი ცხოვრებისეული მიზნები აქვთ მათ? იყიდონ მობილური ტელეფონის ახალი მოდელი, შეიძინონ ახალი მოდელის კომპიუტერი, ვინც უფრო მდიდარია, — ავტომობილის ახალი მოდელი და ა. შ. ხოლო ტელერეკლამა ყოველდღე ყვირის: „გამოვიდა ახალი მოდელი!“ „შეიძინეთ ახალი მოდელი!“ „იყიდეთ, არ ჩამორჩეთ მოდას!“. ხალხს მაიმუნებად, იდიოტებად აქცევენ, რომელთათვისაც ბედნიერება ახალი ნივთის, ახალი საქონლის შეძენაშია. მთელ მსოფლიოში ადამიანების იდიოტებად გადაქცევით საერთაშორისო კაპიტალი ისეთ ფულს შოულობს, რომელთან შედარებითაც სახსრები, რომლებიც იდება იმ ადგილობრივი ლიბერალების მხარდასაჭერად, რომლებიც დასავლურ ღირებულებებს უწევენ პროპაგანდას, უმნიშვნელოა.

სამომხმარებლო საზოგადოების შექმნით ევროპა ჩიხში შევიდა. იმავე ჩიხშია ახლა აშშ, რომელიც ჯერჯერობით ახერხებს არაფრით უზრუნველყოფილი დოლარით, 136 სამხედრო ბაზის მუქარითა და კოლოსალური საგა-

რეო ვალით მთელი მსოფლიოს ექსპლუატაციას და საკუთარ ქვეყანაში მოხმარების დონის შენარჩუნებას. მაგრამ ევროპაშიც და აშშ-შიც, როდესაც ისინი აყალიბებდნენ ამ მოხმარების საზოგადოებას, გააჩნდათ შესაბამისი რესურსები. და როგორი რესურსები აქვს საქართველოს? რით შეუძლია საქართველოს დააკმაყოფილოს პროპაგანდის მიერ კულტივირებული მოთხოვნები? როგორი გაიზრდება თაობა, რომელსაც მოუწოდებენ, იცხოვროს „როგორც ისინი“, მაგრამ რომელსაც ამისთვის არავითარი რესურსი არ გააჩნია?

— შეუძლია თუ არა პატარა, სუსტ საქართველოს წინააღმდეგობა გაუწიოს ამ დასავლური „ღირებულებების“ აგრესიულ თავსმოხვევას? პატარა წინააღმდეგობაც კი ევროპული სტრუქტურების, ამერიკის ხელისუფლების მხრიდან აღშფოთების ტალღას იწვევს, ამიტომ საზოგადოებაში ხშირად გაისმის ხოლმე ასეთი მოსაზრება: შეიკრიბონ ეს ჰომოსექსუალები ერთად და იარონ თავიანთი პლაკატებით, ჩვენ რა?

— საქმე ისაა, რომ ქუჩებში სიარულით ეს არ დამთავრდება. როგორც კი საზოგადოება სისუსტეს გამოიჩენს, გეიმოძრაობის მხარდასაჭერად გამოიყოფა უზარმაზარი თანხები და გეიაქტივისტები მოვლენ სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, მოედებიან ტელევიზიებს, რადიოს, მასობრივი ტირაჟით გამოუშვებენ გაზეთებსა და ჟურნალებს. შემდეგ თავს მოგვახვევენ იუვენალურ იუსტიციას, რათა საბოლოოდ ჩამოაშორონ შვილები მშობლებს. 5-10 წლის შემდეგ ვეღარ ვიცნობთ ჩვენს საზოგადოებას, იგი სხვანაირი გახდება, მაგრამ ამითაც არ დასრულდება საქმე. უზნეობას, როგორც ცნობილია, საზღვარი არ აქვს. ჰოლანდიაში, მაგალითად, უკვე შეიქმნა პედოფილთა პარტია, რომელიც ითხოვს მათი უფლებების დაკანონებას. შვეიცარიასა და დანიაში განიხილება კანონპროექტი ინცესტის, ანუ მშობლებსა და შვილებს,

ძმებსა და დებს შორის სექსუალური ურთიერთობების ოფიციალურად დაკანონების შესახებ. ასეთივე კანონები მზადდება სკანდინავიის ქვეყნებში. აშშ-ში გახსნილია სკოლები არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მქონე ბავშვებისთვის. იურიდიული სფეროდან ქრება ისეთი ცნებები, როგორიც არის „მამა“, „დედა“, „ქმარი“, „ცოლი“. საფრანგეთში, მაგალითად, ამის ნაცვლად მიღებულია „მშობელი N1“, „მშობელი N2“, „პარტნიორები“. ეს ყველაფერი ჩვენამდეც მოვა.

ერები, რომლებიც ამ „დასავლური ღირებულებების“ კულტივირებას მიჰყოფენ ხელს, დეგრადირდებიან და დაიღუპებიან. ამერიკასა და ევროპაში უკვე აღარ არის საყოველთაოდ აღიარებული ინსტიტუტები, რომელთაც ძალუძთ წინააღმდეგობა გაუწიონ ამ დეგრადაციას. პროტესტანტიზმის თითქმის ყველა შტო მხარს უჭერს ამ „თავისუფლებებს“ და ისინი სინამდვილეში გადაიქცნენ ფსევდორელიგიურ სექტებად. ისინი ჯვარს სწერენ ჰომოსექსუალებს, ანუ მათ ქორწინებას ღვთის სახელით აკურთხებენ! მათვე დაიწყეს ბიბლიის რედაქტირება — იმ ადგილების ამოღება, რომლებიც ჰომოსექსუალების იდეოლოგიისთვის მიუღებელია. აშშ-ში უკვე შეიქმნა ასეთი ბიბლია. კათოლიკურმა ეკლესიამაც ვერ შეძლო სახელმწიფო პროპაგანდისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიურობისთვის წინააღმდეგობა გაეწია და იმის შიშით, რომ არ დაეკარგა მრევლი, ასევე მიდის გარკვეულ დათმობებზე. ევროპული ერები, ფაქტობრივად, მთავარი ზნეობრივი ორიენტირის — ქრისტიანული მორალის გარეშე დარჩნენ. სურთ რა, არ დაკარგონ ადამიანური სახე, არ გადაიქცნენ პირუტყვებად, ბევრი იღებს დღეს ისლამს. მასობრივად გადადიან ისლამზე ეთნიკური ინგლისელები, ფრანგები, ჰოლანდიელები, გერმანელები. მათ ამ რელიგიაში იზიდავს სექსუალური გარყვნილების კატეგორიული უარყოფა, ოჯახის კულტი, ტრა-

დიციების პატივისცემა, ბავშვების მაღალზნეობრივი აღზრდა. ნორმალური ხალხი ხვდება, რომ მხოლოდ ასეთ ღირებულებებზე დაყრდნობითაა შესაძლებელი ადამიანის, ოჯახის, ერის შენარჩუნება.

ბევრი თანამედროვე ფილოსოფოსი, პოლიტოლოგი გვარწმუნებს, რომ მსოფლიოს მომავალი ჩინეთსა და ისლამს ეკუთვნის. ჩინეთი დასავლეთისგან ალტერნატიული ეკონომიკური განვითარების გეზია სახელმწიფო რეგულირებით და განსაკუთრებული მსოფლმხედველობაა, რომელიც ადამიანის სულისა და ასკეტიზმის ფილოსოფიაზეა აგებული. ისლამი რელიგიური ზნეობრივი ნორმებისა და ტრადიციული ცხოვრების წესის მკაცრი დაცვაა. ორივე შემთხვევაში საფუძვლის საფუძველი ტრადიციაა. მადლობა ღმერთს, რომ მართლმადიდებლობა, მიუხედავად ძლიერი წნეხისა, ჯერჯერობით მყარად დგას ადამიანის, როგორც ღვთის ქმნილების, დასაცავად. არის მონაცემები, რომ ბოლო წლებში ევროპაში რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის სამწყსოებში მრევლის რაოდენობა კათოლიკეებიდან და პროტესტანტებიდან მართლმადიდებლობაში გადმოსულების ხარჯზე იზრდება. ეს გასახარი ტენდენციაა.

რაც შეეხება ევროპული სტრუქტურების ზეწოლას, ჩვენი საზოგადოება უნდა გათავისუფლდეს მათ წინაშე მონური თაყვანისცემისგან. სასაცილო და ამაზრზენი სანახავია, როგორ ჩამოდის თბილისში თაღლითების ჯგუფი ევროპარლამენტიდან და გვასწავლის მათი კანონებით ცხოვრებას. მცოდნე ხალხმა იცის, რომ ევროპარლამენტის მინიმუმ ნახევარი მაინც დაკომპლექტებულია ავანტიურისტებით, მექრთამეებით, ჰომოსექსუალებით, ლესბოსელებით, რომლებმაც საკუთარ ეროვნულ სახელმწიფოებში არანაირი პოზიტიური საქმიანობით თავი ვერ წარმოაჩინეს. ისინი დაკავებულები არიან ლობიზმით — როგორც ოფიციალურით, ისე მექრთამე-

ობაზე აგებულით. თავიანთ სახელმწიფოებში ქრთამის აღების ეშინიათ და იღებენ ისეთ პროვინციულ ქვეყნებში, როგორიცაა საქართველო, სადაც ამ პარლამენტარებს, როგორც კერპებს, ისე უყურებენ. სახალხო პარტიის წარმომადგენელთა ჯგუფი, რომელიც აქტიურად აკრიტიკებს საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას, უბრალოდ, ცდილობს, აითვისოს ის ფული, რომელიც წინა ხელისუფლებამ გადაუხადა. ივანიშვილმა მათ წერილები კი არ უნდა მისწეროს, არამედ ფული გადაუხადოს და ისინი მასაც ისევე შეაქებენ, როგორც მიშას აქებდნენ.

— გადაწყდა, რომ წლეულს, დამოუკიდებლობის დღეს არ გამართულიყო სამხედრო აღლუმი. ოპოზიციას მიაჩნია, რომ ამით დაირღვა ტრადიცია და საკუთარი არმიისადმი უპატივცემულობა გამომჟღავნდა...

— თანამედროვე საქართველოში სამხედრო აღლუმები სასაცილო და სამარცხვინო მოვლენაა. ჩამოყალიბებიდან დღემდე ქართული არმია დამარცხდა ყველა შეიარაღებულ კონფლიქტში, რომელშიც კი მონაწილეობდა, ამასთან, ყოველი დამარცხების შემდეგ იმართებოდა ბრწყინვალე აღლუმები მაღალფარდოვანი ტრაბახით. დღემდე პირად შეურაცხყოფად მიმაჩნია აღლუმი, რომელიც შევარდნაძემ აფხაზეთის დაკარგვის შემდეგ გამართა. მისი არმია პანიკურად გამორბოდა იქიდან და უპატრონოდ ტოვებდა მოსახლეობას — ბავშვებს, ქალებს, მოხუცებს. ყველაზე წინ გენერლები გარბოდნენ... და მერე იგივე გენერლები, თავიანთ მთავარსარდალთან ერთად, სადღესასწაულო მუნდირებში გამოწყობილნი, ტრიბუნაზე იდგნენ და ამაყად იბარებდნენ გამოქცეული არმიის აღლუმს. ამ დროს კი ჭუბერის უღელტეხილზე ქალები შიმშილისგან გარდაცვლილ შვილებს მარხავდნენ.

სააკაშვილმა ეს პრაქტიკა სრულ მარაზმამდე მიიყვანა.

ომში დამარცხების აღნიშვნა მან არა მარტო აღლუმებით გააგრძელა, არამედ გრანდიოზული კონცერტებიც დაუმატა. სხვათა შორის, ქართულ აღლუმებს ყოველთვის აჩვენებდნენ აფხაზური და ოსური ტელევიზიები. ჩვენს არმიასა და სამხედრო აღლუმებზე იქ ათობით ანეკდოტს ყვებიან. ვფიქრობ, დროა, აღარ ვიყოთ ხალხის თვალში სასაცილონი.

ქართულმა საზოგადოებამ უნდა გადახედოს მისთვის თავსმოხვეულ წარმოდგენას ჩვენი არმიის როლსა და მნიშვნელობაზე. საღად მოაზროვნე ადამიანი ხვდება, რომ მეზობელ ქვეყნებთან, ხალხებთან უთანხმოების მოგვარებას ძალისმიერი გზით ვერ შევძლებთ. ჩვენ არასოდეს გვეყოლება ისეთი არმია, რომელიც შეძლებს დაუპირისპირდეს რუსეთს, ირანს, თურქეთს. სწორედ ეს გიგანტური სახელმწიფოებია ჩვენი მეზობლები და ჩვენი მეზობელი პატარა ქვეყნების მოკავშირეები. საზოგადოების ორიენტირება „თანამედროვედ შეიარაღებული ძლიერი არმიის“ აუცილებლობაზე — ეს არის ხელისუფლებისა და მისი უცხოელი კურატორების ბლეფი და გულუბრყვილო ობივატელის მავნე ფანტაზია.

თუ ჩვენს ერსა და სახელმწიფოებრიობას შენარჩუნება უწერია, მას გადაარჩენს არა არმია, არამედ მეზობელი ქვეყნების ინტერესების გათვალისწინება, ამ ინტერესების საფუძველზე ფრთხილი საგარეოპოლიტიკური თამაში და საქართველოს გადაქცევა რეგიონში ძალთა და ინტერესთა ბალანსის მნიშვნელოვან ფაქტორად. ამიტომ გამუდმებით ვიმეორებ, რომ ყველაზე მნიშვნელოვან, მაღალკვალიფიციურ, ფინანსურად უზრუნველყოფილ და აქტიურ უწყებას საქართველოში უნდა წარმოადგენდეს არა თავდაცვის, არამედ საგარეო საქმეთა სამინისტრო. სწორედ დიპლომატია და არა არმია შეიძლება გახდეს რეგიონში ჩვენი მნიშვნელობისა და უსაფრთხოების საფუძველი.

უკვე 20 წელია, ჩვენი ხელისუფლება ცდილობს, დაარწმუნოს ხალხი, რომ კეთილშობილი ამერიკელები ეხმარებიან საქართველოს პროფესიონალური არმიის ჩამოყალიბებაში ჩვენი თავდაცვის უზრუნველსაყოფად. არიან ადამიანები, რომელთაც ეს სჯერათ, მაგრამ საზოგადოების საღად მოაზროვნე ნაწილი ხვდება, რომ ამერიკელები ჩვენს არმიას მხოლოდ იმიტომ აფინანსებენ, რომ თავიანთივე ინტერესებისთვის გამოიყენონ მსოფლიოს სხვადასხვა ცხელ წერტილში, სადაც მათ ცოცხალი ძალა სჭირდებათ. სამხედრო ეკონომისტები ციფრების ენაზე აგიხსნიან, რამდენად ხელსაყრელია ამერიკისთვის ქართული ბატალიონის შენახვა ამერიკულთან შედარებით, რამდენად ხელსაყრელია მისთვის ქართველი ჯარისკაცის დაღუპვა ამერიკელის დაღუპვასთან შედარებით, რომლის ოჯახს მსგავს შემთხვევაში კოლოსალური სადაზღვევო თანხა უნდა გადაუხადოს. ამიტომ ჩვენს ჯარისკაცებს კიდევ დიდხანს მოუწევთ „ავღანელი ხალხის თავისუფლებისთვის“ სისხლის დაღვრა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამერიკა სადღაც ვიღაცას გამუდმებით ეომება, ავღანეთით სხვის ომში ჩვენი მონაწილეობა არ ამოიწურება. ხელისუფლება და სულელი ობივატელი კი ხალხს იმას ჩასჩიჩინებენ, რომ ჩვენი ჯარისკაცები იქ საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის იბრძვიან. ჩვენი პოლიტიკოსები იმით ამაყობენ, რომ ქართული კონტინგენტი ავღანეთში ყველაზე მრავალრიცხოვანია, ამერიკულის შემდეგ. მაგრამ ასე იმიტომ კი არ არის, რომ სხვა ქვეყნებს უფრო მცირერიცხოვანი ან ნაკლებად მომზადებული არმიები ჰყავთ, უბრალოდ, იმ ქვეყნების ხელისუფლებასა და საზოგადოებას, მათ შორის ნატოს წევრებსაც, არ სურთ ამერიკულ ავანტიურაში ჩათრევა და ისლამური სამყაროს სიძულვილისა და აგრესიის გამოწვევა. ჩვენ კი, მუსლიმანი ხალხების გარემოცვაში მყოფნი, ჯიუტად მივდივართ ამ თვითმკვლელობაზე.

— ხელისუფლების წარმომადგენლები თავს იმით იმართლებენ, რომ ავღანეთში წასვლას არავის აძალებენ და ჯარისკაცები იქ ნებაყოფლობით მიდიან...

— როდესაც ხელისუფლება ქვეყანაში ისეთ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს ქმნის, რომ ჯანმრთელ ახალგაზრდას არ შეუძლია სხვაგვარად ირჩინოს თავი, თუ არა ომებში საკუთარი სისხლი დაღვაროს, ასეთი ხელისუფლება ჩადის დანაშაულს საკუთარი ერის წინაშე.

— მსოფლიო იძირება გლობალურ დაპირისპირებაში. უკვე, ფაქტობრივად, დაწყებულია ცივილიზაციათა ომი, ერთმანეთს ეჯახებიან გლობალური ძალები. ასეთ პირობებში როგორ უნდა გადაირჩინოს თავი პატარა საქართველომ? გასაგებია, რომ არმია ამაში ვერ გვიშველის. თქვენ ახსენეთ დიპლომატია, აწონ-დაწონილი ჭკვიანური საგარეო პოლიტიკა, ეს საკმარისია?

— არა, რა თქმა უნდა. ჩვენ უნდა გადავხედოთ ჩვენს შეხედულებებს საქართველოს როლისა და ფუნქციის შესახებ საერთაშორისო კონტექსტში. შევარდნაძემ და სააკაშვილმა გარეშე ძალთა მითითებით საქართველოს თავს მოახვიეს „პრობლემური ქვეყნის“, „მინავლული ცხელი წერტილის“ როლი. რუსეთთან დაპირისპირების სპეკულირებით, რეგიონში საკუთარი რეჟიმის დასავლური დემოკრატიის ფორპოსტად წარმოჩენის სანაცვლოდ ისინი დასავლეთისგან კრედიტებს, სუბსიდიებს, გრანტებს ღებულობდნენ, პარალელურად კი ეროვნულ სიმდიდრეს ყიდდნენ, მიწის ჩათვლით. მიღებული ფული ჩაიჯიბეს, მხოლოდ ნაწილი მოახმარეს ხალხის ღატაკური ყოფის უზრუნველყოფას. ეს ხარჯები კიდევ უფრო რომ შეემცირებინათ, ყოველნაირად ხდებოდა იმ სოციალური პროცესების წახალისება, რომლებიც ხელს უწყობდა ემიგრაციას, შობადობის შემცირებას, მოსახლეობის სიკვდილიანობას. პოლიტიკური ელიტისა და მასთან დაახლოებული ბიზნესისთვის მჩაგვრელი „დემოკრა-

ტიის კუნძულის“ როლი საკმაოდ მომგებიანი აღმოჩნდა, მაგრამ ქვეყანასა და ხალხს ეს როლი დაღუპვას უქადის.

მიმაჩნია, რომ საქართველო უნდა შეუდგეს რეგიონში იმ როლის შესრულებას, რომელიც მას ისტორიულად ერგო თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობის, ბუნებრივი პირობების, მოსახლეობის ეროვნული და კონფესიური შემადგენლობის, ქართველი ხალხის, როგორც სახელმწიფოს წარმომქმნელი ერის, მენტალობის გამო. საქართველო მდებარეობს დასავლეთისა და აღმოსავლეთის გზაგასაყარზე, ცივილიზაციების გზაჯვარედინზე, ქრისტიანობისა და ისლამის შეხების ადგილას, მეტიც, ქრისტიანობის ძირითადი განშტოებების — მართლმადიდებლობის, კათოლიკობის, გრიგორიანობისა და ისლამის ძირითადი განშტოებების — სუნიტებისა და შიიტების შეხების ადგილას. აქვე ისტორიულად არსებობს იუდაიზმი, ასევე ქურთების, იეზიდების, ასირიელებისა და მთელი რიგი ხალხების რელიგიები. და მიუხედავად ამისა, ისტორიას არ ახსოვს, რომ საქართველოში რელიგიური უთანხმოების ნიადაგზე მომხდარიყოს სერიოზული შეტაკება, მით უფრო რელიგიური ომები. ამიტომ საქართველო, ღვთისა და ისტორიის ნებით, წარმოადგენს ბუნებრივ მოედანს კონფესიათაშორისი, ეროვნებათაშორისი, ცივილიზაციათაშორისი ურთიერთობების შესწავლისთვის, ანუ თანამედროვე მსოფლიოში ადამიანის არსებობის ამ ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტების შემეცნებისთვის. მართალია, შევარდნაძემ და სააკაშვილმა საკუთარ მოსახლეობასთან ომის გაჩაღებით, რამაც ეთნოკონფლიქტების სახე მიიღო, უდავოდ სერიოზულად შელახეს საქართველოსა და ქართველების რეპუტაცია, მაგრამ, ვფიქრობ, საკითხის ჭკვიანურად დასმით ეს გამოცდილებაც შეიძლება ვაქციოთ კვლევის საგნად, როგორც, მაგალითად, ავანტიურისტი ხელისუფლების თვითნებური,

ვოლუნტარისტული ჩარევა ხალხების ბუნებრივად მიმდინარე თანაცხოვრებაში.

იდეალურ შემთხვევაში, საქართველო შეიძლება იქცეს დემილიტარიზებულ ქვეყნად, თანამედროვე მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი პრობლემების შემსწავლელ ლაბორატორიად, რეგიონში წამოჭრილი სერიოზული საკითხების დასარეგულირებელ საერთაშორისო შეხვედრების ადგილად, სადაც მთელი რიგი მსხვილი საერთაშორისო ინსტიტუტები განთავსდებიან. სწორედ სხვადასხვა ხალხებთან და რელიგიებთან მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრების გამოცდილების გამო საქართველოს შეუძლია დიალოგების არენად იქცეს ისეთი საკითხების გადაწყვეტაში, როგორიცაა თურქულ-ქურთული, სომხურ-აზერბაიჯანული, ირანულ-თურქული, ირანულ-აზერბაიჯანული, თურქულ-სომხური პრობლემები, რამეთუ საქართველოში თითოეული მხარე დაინახავს მონათესავე გარემოს უკონფლიქტო თანაცხოვრების ჩვენეული გამოცდილებით. მსგავსი საქმიანობისთვის უზარმაზარი პერსპექტივები არის ჩრდილოეთ კავკასიაშიც. რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებით ჩვენ შევძლებდით მათ არსებით დახმარებას პრობლემების დარეგულირებაში, რომლებიც მუდმივად წარმოიშობა ხოლმე საქართველოსთან ისტორიულად მრავალი ძაფით დაკავშირებულ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს შორის.

საქართველოს აქვს ასევე ყველა წინაპირობა, რომ მსოფლიო რელიგიურ კონფესიათა შორის დიალოგის ადგილი გახდეს. ასეთი როლი — ჟენევის როლი ჩვენს რეგიონში — უზრუნველყოფდა საქართველოს საჭიროებას ყველა მეზობელი სახელმწიფოსთვის, შესძენდა მას პატივისცემას და შეუქმნიდა ავტორიტეტს რეგიონის ხალხებში, რაც თავისთავად უზრუნველყოფდა ჩვენ უსაფრთხოებას. გარდა ამისა, ასეთი მნიშვნელოვანი ფუნქციის

შეძენა გამოიწვევდა ქვეყანაში ძალიან სოლიდური ფინანსური სახსრების მოზიდვას, მოახდენდა განათლებისა და მეცნიერების განვითარებას, კვლევითი მუშაობის სტიმულირებას ისტორიის, რელიგიის, ეკონომიკის, სოციოლოგიის, პოლიტოლოგიის, ფილოსოფიის, ხელოვნებათმცოდნეობისა და სხვა დარგებში. ჩვენ უკვე დაგვავიწყდა, რომ თბილისი, რუსეთის იმპერიის დროიდან მოყოლებული, კავკასიის შესწავლის ცენტრი იყო, ხოლო გასული საუკუნის 30-70-იან წლებში აღმოსავლეთმცოდნეობის ქართული სკოლა პირველი იყო საბჭოთა კავშირში.

საერთოდ, მიმაჩნია, რომ საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება უნდა ემყარებოდეს ინტელექტუალურ, მეცნიერებატევად დარგებს. მაგალითად, ჩვენ ჯერჯერობით მთლიანად არ დაგვიკარგავს საბაზო პოტენციალი ბიოტექნოლოგიის, მიკროელექტრონიკის, ფარმაცევტიკის განსავითარებლად. ამასთან, საქართველოს თავისუფლად შეუძლია იქცეს საერთაშორისო მნიშვნელობის სამედიცინო-სარეაბილიტაციო ცენტრად მაღალი კლასის კლინიკებითა და სანატორიული ბაზით. დღესაც კი საქართველოში მკურნალობაზე მოთხოვნა კავკასიაში საკმაოდ მაღალია; ამ დარგში ფულის ჩადება მნიშვნელოვან მოგებას მოიტანს. გარდა ამისა, საქართველოს შეუძლია გახდეს მეზობელი ხალხებისთვის მათი კულტურული მიღწევების დემონსტრირების ადგილი: აქ შესაძლებელია საერთაშორისო თეატრალური და კინოფესტივალების, სამხატვრო გამოფენების, მუსიკალურ ღონისძიებათა ჩატარება; ჩვენ ხომ გვქონდა ამის გამოცდილება, უბრალოდ, საჭიროა, აღვადგინოთ და გავაღრმავოთ იგი.

არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ საბჭოთა პერიოდში არსებობდა ქართული მათემატიკური სკოლა, ქართული ფსიქოლოგიური სკოლა. ბევრ ერს არ შეუძლია მოიწონოს თავი ეროვნული სამეცნიერო სკოლებით. ჭკვიანუ-

რი მიდგომით ყველაფერ ამის აღორძინება შეიძლება, ყველაფერი ეს მოთხოვნადია თანამედროვე მსოფლიოში. ყოველივე ეს საქართველოს მოუტანს პოზიტიური, ეფექტურად განვითარებადი ქვეყნის სახელს, ხოლო ქართველებს — თანამედროვე, ინტელექტუალური ერის რეპუტაციას, რომელიც ტრადიციულ ღირებულებებზე დაყრდნობით მეცნიერებასა და კულტურას ავითარებს.

ვოცნებობდი, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ჩვენ სწორედ ასეთ საქართველოს ავაშენებდით. სწორედ ასეთ მოდელს ვთავაზობდი 90-იან წლებში და იმედი მქონდა, რომ შევარდნაძე, თავისი საერთაშორისო გამოცდილებიდან და მაშინდელი ავტორიტეტიდან გამომდინარე, ამ გზით წავიდოდა. მაგრამ მან საგარეო დიქტატისადმი მორჩილება, ქვეყნის დეინდუსტრიალიზაცია, სამეგრელოს აოხრება და გაძარცვა, აფხაზეთში ძმათაკვლა ამჯობინა. სააკაშვილმა კი გააგრძელა თავისი სულიერი მამის სისხლიანი მოღვაწეობა. საქართველო დაიქცა, მისი განვითარება შეჩერდა, დაიწყო დეგრადაციის პროცესი. დღეს ჩვენ კრიტიკულ მდგომარეობაში ვართ. მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ ჯერ კიდევ გვაქვს შანსი, ავაშენოთ ისეთი საქართველო, როგორზეც ვოცნებობდი. დარწმუნებული ვარ, სწორედ ასეთი უნდა იყოს ქართული ოცნება.

გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“,
2013 წ., მაისი

2013 წ., აპრილი

«აგვისტოს ომი იყო თავდაჯერებული და დაუსჯელობით გათავხედებული არამზადების სისხლიანი ავანტიურა!»

— ბატონო ალექსანდრე, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, რუსეთის მაშინდელი პრეზიდენტის, დიმიტრი მედვედევის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებამდე, თქვენ რამდენიმეჯერ პრესის მეშვეობით მიმართეთ მიხეილ სააკაშვილს თხოვნით, რომ იგი შეხვედროდა რუსეთის პრეზიდენტს იმ საშინელების თავიდან

ასაცილებლად, რომელიც შემდგომში მოხდა კიდეც. როგორ ფიქრობთ, რატომ არ იღო ყურად სააკაშვილმა თქვენი თხოვნა და როგორ აფასებთ საქართველოს პრეზიდენტის საქციელს?

— 2008 წლის 7 აგვისტოს თბილისიდან გავემგზავრე ბათუმში, რათა რამდენიმე დღე ზღვისპირას გამეტარებინა. გზაში შემხვდა ტანკებისა და ჯავშანტრანსპორტიორების კოლონები, მანქანები ჯარისკაცებით, რომლებიც მიემართებოდნენ ცხინვალისკენ. სურათი თითქოს ნათელი იყო, მაგრამ მაინც არ მჯეროდა, რომ სააკაშვილი ჩაიდენდა ამ სიგიჟეს. ვიმედოვნებდი, რომ ეს იყო რაღაც „დაშინების აქციის“ მაგვარი, „ნაცმოძრაობის“ მორიგი პიარაქცია.

მეორე დღეს ყველამ გაიგო ომზე. თბილისში დაბრუნების შესაძლებლობა უკვე არ მქონდა, ამიტომ პრესით მივმართე პრეზიდენტს და მოვუწოდე, შეეწყვიტა ეს სამარცხვინო თვითმკვლელური ავანტიურა. მე პირდაპირ განვაცხადე, რომ ამ სამხედრო მოქმედებებს მოჰყვებოდა არა მარტო ჩვენი სასტიკი დამარცხება და ასობით ადამიანის სიკვდილი, არამედ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება რუსეთის მხრიდან.

პარალელურად შევეცადე, დავკავშირებოდი ნაცნობებს სააკაშვილის გარემოცვიდან. პირველი ორი დღე ისინი მპასუხობდნენ, რომ ცხინვალი უკვე აღებულია და სულ მალე ოსები შეწყალებას გვთხოვენო, ამასთან, მთელი მსოფლიო მიესალმება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისკენ მიმართულ ჩვენს ოპერაციასო.

შემდგომ, როდესაც ჩვენი ჯარისკაცების გვამები იხრწნებოდა თაკარა მზის ქვეშ, „ნაციონალები“ ზეიმობდნენ „ისტორიულ გამარჯვებას“ — მღეროდნენ და ცეკვავდნენ რუსთაველის გამზირზე. მერე თბილისისკენ მომავალი რუსული ტანკების შიშით პარალიზებულებს ხმა ჩაუვარდათ, მაგრამ, როდესაც მიხვდნენ, რომ პირადად მათ არაფერი ემუქრებოდათ, გონს მოეგენ და უწინდელი აპ-

ლომბით თავდაჯერებულად აცხადებდნენ, რომ მსოფლიო თანამეგობრობა მათ მხარეზე იყო, ხოლო რუსეთი ვერ გაბედავდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას.

პირადად მე სპეცსამსახურების თანამშრომელთა ალყაში აღმოვჩნდი. ისინი დაუფარავად უთვალთვალებდნენ ყოველ ჩემს ნაბიჯს. ამ დროს ინტერვიუები მივეცი რამდენიმე გამოცემას, რომლებშიც არა მხოლოდ სააკაშვილსა და „ნაცმოძრაობას“, არამედ პოლიტიკურ პარტიებს, ინტელიგენციას, საზოგადოებას მოვუწოდებდი გონიერებისკენ, მაგრამ ამაოდ. ბოლო ინტერვიუში ვურჩიე სააკაშვილს, როგორც სამარცხვინოდ დამარცხებულ მთავარსარდალს, თავი მოეკლა; აღსანიშნავია, რომ გაზეთმა ეს მასალა მიაწოდა მკითხველს სათაურით „ჭაჭია ემუქრება სააკაშვილს მკვლელობით!“. აგვისტოს ბოლოს ბათუმიდან გადავფრინდი სტამბოლში.

— ბატონო ალექსანდრე, დღევანდელი გადასახედიდან როგორ აფასებთ 2008 წლის აგვისტოს მოვლენებს? შესაძლებელი იყო მათი თავიდან აცილება?

— მე მაშინაც და ახლაც ვთვლი, რომ აგვისტოს ომი იყო თავდაჯერებული და დაუსჯელობით გათავხედებული არამზადების სისხლიანი ავანტიურა! ის ფაქტი, რომ ამ მარიონეტებს აქეზებდნენ სისხლიანი სანახაობების ოკეანგაღმელი მოყვარულები იმ მიზნით, რომ მოესინჯათ რუსეთის შესაძლებლობა ადეკვატური ქმედებებისკენ, „ნაციონალებს“ ვერ ჩამორეცხავს იმ ასეულობით ადამიანის სისხლს, რომლებიც მსხვერპლად შეეწირნენ ამ ვერაგ აქციას!

ამასთან ერთად, დარწმუნებული ვარ, რომ ეს ომი იყო კანონზომიერი რგოლი საქართველოს მარიონეტული ხელისფლებისა და მისი პატრონების მიზანმიმართული პოლიტიკისა, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოს ავტონომიებისგან გათავისუფლებას, ვინაიდან ავტონომიების

არსებობა ხელს უშლიდა საქართველოს ტერიტორიაზე ნატოს ან მისი წევრი ქვეყნების სამხედრო ბაზების განთავსებას.

— ამ მოვლენების შემდეგ თქვენ აგიკრძალეს საქართველოში ჩამოსვლა. დღეს ეს აკრძალვა ძალაშია?

— ოფიციალურად ჩემთვის არავის აუკრძალავს საქართველოში ჩამოსვლა, თუმცა მაგრძნობინებდნენ, რომ ჩემი ჩამოსვლა და საზოგადოებრივი აქტიურობა არასასურველია, მაგრამ მე არც მქონია ამის მცდელობა. საქმე ისაა, რომ **მთელი ჩემი საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობა განპირობებული იყო ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების პოზიტიური გადაწყვეტის იმედით.** პოლიტიკისგან მეტი არაფერი მჭირდებოდა. 2008 წლის აგვისტოში ეს იმედი დამემსხვრა და ამიტომ დავტოვე საქართველო.

ამა წლის 14 მარტს ჩამოვფრინდი თბილისში და სასიამოვნოდ გამიკვირდა, რომ მესაზღვრისთვის წარდგენილი პასპორტი ერთი წუთის შემდეგ დამიბრუნეს. უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში ეს პროცედურა, როგორც წესი, გრძელდებოდა 20-30 წუთს, ხანდახან კი ერთი საათითაც ჭიანურდებოდა, თუ ვერ უკავშირდებოდნენ იმ პირს, რომელსაც ჰქონდა უფლება, ჩემი შემოშვების ან გასვლის ნებართვა გაეცა. ეს იყო ძალზე დამამცირებელი. მე, საქართველოს მოქალაქეს, მჭირდებოდა ვიღაცის ნებართვა საკუთარ ქვეყანაში შემოსასვლელად! მადლობა ღმერთს, ეს ფაშისტური წესები, რომლებიც მოქმედებდა ჩემთან დაკავშირებით ჯერ კიდევ შევარდნაძის დროიდან, გაუქმებულია!

— როგორ ფიქრობთ, რამდენად სწორია ის პირველი ნაბიჯები, რომლებიც განახორციელა პრემიერმა ივანიშვილმა რუსეთთან დაკავშირებით?

— ამ ნაბიჯების ეფექტურობაზე ლაპარაკი ნაადრევია, ისინი უფრო სიმბოლური ხასიათისაა, მაგრამ უკვე კარგია, რომ ჩვენმა მმართველმა წრეებმა უარი თქვეს ბრიყ-

ვულ, აგრესიულ და შეურაცხმყოფელ რიტორიკაზე, მიაღწიეს გარკვეულ ეკონომიკურ შეთანხმებას, ასე თუ ისე გამოცოცხლდა კულტურული ურთიერთობებიც.

რა თქმა უნდა, ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები აგრძელებენ უაზრო დემაგოგიას „ნატოში მალე შესვლის“ თაობაზე, „ევროკავშირში ინტეგრაციასა“ და სხვა პოლიტიკურ ატრიბუტიკაზე, რომელიც დამახასიათებელია დასავლეთის თანამედროვე კოლონიებისთვის, მაგრამ რუსეთის მხარე ამას სათანადო გაგებით უნდა მიუდგეს. საქართველოში ხომ დამკვიდრდა რაღაც მახინჯი ორხელისუფლებიანობა, რომელსაც ამერიკელები თავგამოდებით იცავენ. ბიძინა ივანიშვილს, ძალიანაც რომ უნდოდეს (მე ამაზე ჯერ ვერ ვიმსჯელებ), არ შეუძლია გააკეთოს მკვეთრი მოძრაობები: პარლამენტშია „ნაცმოძრაობის“ სოლიდური წარმომადგენლობა, არანაკლებ სოლიდურია „ნაციონალებთან“ სულით მონათესავე პარტიების დეპუტაციაც, რომელიც ჯერჯერობით ივანიშვილის კოალიციაში იმყოფება, მაგრამ, „ნაციონალების“ მსგავსად, მთლიანად კონტროლირებადია ამერიკელების მხრიდან.

ივანიშვილის პოლიტიკური ბაზა ძალზე მწირია. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უმრავლესობას, სასამართლო სისტემას, რიგ წამყვან მასობრივი ინფორმაციის საშუალებას ძველებურად აკონტროლებს სააკაშვილის ჯგუფი და ამ ყველაფრის უკან აშშ-ის ელჩის ფხიზელი თვალია. ივანიშვილი კარგად რომც აცნობიერებდეს (და მინდა, ამის მჯეროდეს), რომ ჩვენი მთავარი, სასიცოცხლო პრობლემები — კონფლიქტების დარეგულირება და ეროვნული ეკონომიკის შექმნა — პირდაპირაა დამოკიდებული რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობაზე, ის მაინც იძულებულია, გაითვალისწინოს საქართველოში ჩამოყალიბებული ძალთა თანაფარდობა.

— ბატონო ალექსანდრე, თქვენ მშვენივრად იცით, რომ არც ერთი ქართველი არ შეურიგდება ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვას. შეუძლია თუ არა საქართვე-

ლოს, არც თუ ისე შორეულ მომავალში გადაწყვიტოს ეს საკითხი რუსეთის იგნორირებითა და აშშ-ის, ევროპისა და ნატოს იმედზე ყოფნით?

— ჩვენ შეგვიძლია არ შევურიგდეთ ტერიტორიული მთლიანობის რღვევას, მაგრამ ამით ის ვერ გამთლიანდება. ოც წელზე მეტია, გამოვხატავთ „შეურიგებლობას“ ნატოს, აშშ-ის, ევროკავშირის მითიური დახმარებისა თუ აბსტრაქტული მსოფლიო თანამეგობრობის მხარდაჭერისა და სხვა აბსურდული ილუზიების იმედით. საზოგადოება წამოეგო ხელისუფლების ამ ანკესზე, იმ ხელისუფლების, რომელიც ამგვარი ფრაზეოლოგიით ფარავდა კონფლიქტის დარეგულირების სურვილის უქონლობას და უუნარობას.

ჩვენ ვხედავდით, რომ წლების განმავლობაში ამ კონფლიქტების მოგვარების პრობლემებით დაკავებულნი იყვნენ ადამიანები, რომლებსაც არავინ იცნობდა არც მოსკოვში, არც სოხუმში, არც ცხინვალში, თბილისშიც კი მათ მხოლოდ თანაპარტიელთა ვიწრო წრე თუ იცნობოდა! რა შედეგი უნდა მოეტანა მათ მოღვაწეობას?! სამწუხაროდ, მდგომარეობა ამ თვალსაზრისით ჯერ არ შეცვლილა.

ახალი ხელისუფლება დეკლარირებს თავის სწრაფვას დიალოგისკენ, მაგრამ ეფექტური დიალოგი, კონკრეტული წინადადებები, მოქმედების რეალური პროგრამები ჯერ არ ჩანს. მიაქციეთ ყურადღება: პოლიტიკის დასავლური ვექტორით დაკავებულნი არიან პრემიერ-მინისტრი, პარლამენტის თავმჯდომარე, მთელი რიგი საპარლამენტო კომიტეტები, სპეციალურად შექმნილი მითიური „ჩრდილოატლანტიკური და ევროპული ინტეგრაციის“ სამინისტროები, ასობით გულუხვად დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაცია, ხოლო აფხაზებთან და ოსებთან ურთიერთობებისთვის არსებობს მხოლოდ რეინტეგრაციის სამინისტრო, რომლის მარტო დასახელებაც კი გამორიცხავს დიალოგს!

არაა გასაკვირი, რომ ამ სტრუქტურის „დაძაბული

მოღვაწეობის“ პროდუქტი გახდა მინისტრის მიერ გამოცხადებული რეცეპტი: ჩვენ ავაშენებთ ისეთ განვითარებულ დემოკრატიულ სახელმწიფოს, რომ აფხაზები და ოსები თავად გვთხოვენ შემოსვლას საქართველოს შემადგენლობაშიო. ბუნებრივია, ასეთი მიდგომით პროგრესის მიღწევა შეუძლებელია.

ახლახან ქართულ პრესაში გამოვედი წინადადებით, რომ აფხაზეთთან, სამხრეთ ოსეთთან, რუსეთთან, მათ შორის ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკებთან ურთიერთობები რეალურად ავიყვანოთ სახელმწიფო პოლიტიკის უმაღლეს რანგში. მე ვთვლი, რომ ამ უაღრესად საჭირო საქმისთვის, აუცილებელია, გამოვიყენოთ პრეზიდენტის პოსტი, რომელიც მალე გამოთავისუფლდება. ახალ პრეზიდენტს უნდა დაევალოს პოლიტიკის ამ მიმართულებით არსებული პრობლემების გადაწყვეტა.

თავისთავად, ეს უკვე აღარ იქნება ის კომფორტული თანამდებობა, რომელიც ევროპულ დედაქალაქებში უაზრო ხეტიალისა და ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკის საშუალებას იძლეოდა. ახალ პრეზიდენტს მოუწევს ჩასვლა სოხუმში, გუდაუთაში, ცხინვალში; აუცილებლად — ვლადიკავკაზში, მაიკოპში, გროზნოში, ნალჩიკში, მახაჩკალაში და, რა თქმა უნდა, მოსკოვში.

თუ ეს იქნება მისაღები ადამიანი მიმღები მხარისთვის, მაშინ ის, როგორც მაღალი სახელმწიფო სტატუსის მქონე და კვალიფიციური გუნდის მყოლი პირი, პრემიერმინისტრთან მჭიდრო თანამშრომლობით შეძლებს ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მიმართულებით გარღვევას. გარღვევად მიმაჩნია საზღვრების გახსნა, საერთო ეკონომიკური და ჰუმანიტარული სივრცის შექმნა მუშახელისა და საქონლის თავისუფალი გადაადგილებით, კერძო საკუთრების უფლების საყოველთაო აღიარებით.

„კავკაზსკაია პოლიტიკა“,
2013 წ., მაისი

2013 წ., აგვისტო

«საქართველო ჩინეთი არაა და არც ივანიშვილია დენ სიაოპინი – ბიჭები, რომლებსაც იგი დაუტოვებს ძალაუფლებას, ორიოდე თვეში დაივიწყებენ მის არსებობას»

— ბატონო ალექსანდრე, საქართველოში საპრეზიდენტო მარათონი დაიწყო, უკვე ორმოცამდე ადამიანმა გამოთქვა არჩევნებში მონაწილეობის მიღების სურვილი. მიმდინარე წელს თქვენ რამდენიმეჯერ გამოხვედით წი-

ნადადებით, რომ ახალი პრეზიდენტისთვის დაგვეკისრებინა აფხაზებთან, ოსებთან, ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკებთან და რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობების აღდგენის ვალდებულება, რათა ბოლოსდაბოლოს გადაწყდეს ქვეყნის ტერიტორიული პრობლემა. როგორ ფიქრობთ, რატომ უგულებელყო თქვენი წინადადება ახალმა ხელისუფლებამ?

— მე, სხვათა შორის, ვთავაზობდი, დაევალდებულებინათ პრეზიდენტი, უკვე 1-2 წლის შემდეგ ამ მიმართულებით თავისი საქმიანობის კონკრეტული შედეგები წარედგინა საზოგადოებისთვის. გარწმუნებთ, რომ ამ შემთხვევაში პრეზიდენტობაზე პრეტენდენტთა რიცხვი არ იქნებოდა ორი-სამის მეტი და მათთვისაც თხოვნა იქნებოდა საჭირო, რათა კენჭი ეყარათ. მაგრამ **ახალმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, მოსახლეობის კისერზე დასვას მაღალი რანგის უსაქმური, რომელიც დახვდება უცხოელ სტუმრებს, ხელს მოაწერს მთავრობის მიერ მომზადებულ ქაღალდებს და პერიოდულად ტელევიზორის ეკრანიდან მოგვიყვება, თუ როგორ ძლიერ, დემოკრატიულ ქვეყანას აშენებს ეს ხელისუფლება.**

საერთოდ, ივანიშვილის ქცევიდან, მისი საკადრო პოლიტიკიდან, რიტორიკიდან გამომდინარე, **ნათელია, რომ ჩვენი კონფლიქტების მოგვარება არც პირადად მისთვის და არც ამ ხელისუფლებისთვის პრიორიტეტს არ წარმოადგენს. თუ თქვენ შენიშნეთ, აფხაზეთის თემა საქართველოს საჯარო პოლიტიკიდან შეუმჩნევლად ამოვარდა. არც ხელისუფლება, არც ოპოზიცია, არსებითად, ამ საკითხს არ ეხება. რაკი აცნობიერებენ, რომ მათგან ვერც ერთი ახერხებს თუნდაც შეუდგეს ამ პრობლემების მოგვარებას, ცდილობენ, მათ გვერდი აუარონ, ზოგადი ფრაზებით შემოიფარგლონ, არ გაამახ-**

ვილონ საზოგადოების ყურადღება ამ, მათი აზრით, უიმედო თემებზე.

თუთიყუშივით იმეორებენ ივანიშვილის გაუგებარ სენტენციას: „ჩვენს ძმებ აფხაზებთან და ოსებთან ერთად ავაშენებთ აყვავებულ საქართველოს“. რომელმა აფხაზმა გიწოდა ძმა? რომელი ოსი დაგთანხმდა ერთად ქვეყნის აშენებაზე? გაიხსენეთ სააკაშვილის მმართველობის პირველი წლები, ისიც ლაყბობდა ძმობაზე, უკვეთავდა ისეთ სამარცხვინო კლიპებს, როგორიცაა „გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!“, სადაც დაქირავებული მომღერლები ყველას აფხაზეთში ეპატიჟებოდნენ. სოხუმში სიამოვნებით აჩვენებდნენ ამ კლიპს, რათა დაეცინათ ბრიყვი ქართველებისთვის. **არავის სჭირდება ძმობის შესახებ მტკიცებები, ამის არავის სჯერა, ეს არაფრის მომცემია, საკუთარი ღირსების დამცირების გარდა. საჭიროა პრაგმატული, არსებითი დიალოგი რუსეთის დაინტერესებული მონაწილეობით. მაგრამ ამგვარი დიალოგის დაწყების არც სურვილი და არც შესაძლებლობები ახალ ხელისუფლებას არ აქვს, ისე, როგორც არ ჰქონდათ არც სააკაშვილს და არც შევარდნაძეს.**

— საქართველოში ბევრი ელოდა, რომ თქვენ საპრეზიდენტო არჩევნებში მიიღებდით მონაწილეობას. ჩვენმა რედაქციამ ათობით წერილი მიიღო, რომლებშიც ცალკეული პირები, მოქალაქეთა ჯგუფები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები მოგიწოდებენ, წამოაყენოთ თქვენი კანდიდატურა. განსაკუთრებით ბევრი წერილია სამეგრელოდან. ზოგიერთი მათგანი ჩვენ გამოვაქვეყნეთ. ხალხი კი არ გთავაზობთ, არამედ მოითხოვს თქვენგან ასეთ გადაწყვეტილებას.

— მე გაზეთებში წავიკითხე ეს წერილები, პირადადაც ვესაუბრე ბევრ ადამიანს, რომლებიც ამ ნაბიჯს საჭიროდ და დროულად მიიჩნევენ. მაგრამ მე ვერ მივიღებ ამ არ-

ჩევნებში მონაწილეობას, იმიტომ, რომ ბოლო სამი წლის მანძილზე არ ვცხოვრობდი საქართველოში. მართალია, მე საქართველო ჩემი ნებით არ დამიტოვებია და ეს ყველამ იცის, მაგრამ კანონი კანონია.

— სალომე ზურაბიშვილიც არ ცხოვრობდა საქართველოში ბოლო წლების მანძილზე, მაგრამ არჩევნებში მონაწილეობას აპირებს...

— ზურაბიშვილისთვის რამეს მოიფიქრებენ, ჩემთვის ფიქრით კი თავს არ აიტკივებენ. ამას გარდა, ახალი კონსტიტუციის თანახმად, ქვეყანაში რეალური ძალაუფლება პარლამენტსა და მთავრობას ეკუთვნის. **პრეზიდენტის პოსტი მისი სწორად გამოყენების შემთხვევაში, იძლევა საშუალებას, კონფლიქტის მხარეებთან ურთიერთობაში გარღვევა განხორციელდეს, დაიწყოს დიალოგი და მიღწეულ იქნას საჭირო შეთანხმებები, მაგრამ ბოლო სიტყვა მაინც პრემიერს ეკუთვნის. ამიტომ ეს სამუშაო პრემიერმინისტრთან მჭიდრო თანამშრომლობასა და ურთიერთგაგებაში უნდა ჩატარდეს.** ჩემს შემთხვევაში ასეთი თანამშრომლობა გამორიცხულია ორი მიზეზით: პირველი — ივანიშვილმა უკვე იპოვა თავისთვის ისეთი პრეზიდენტი, როგორიც მას სჭირდება და ყველა კონკურენტს, თუნდაც მან გაიმარჯვოს კიდეც არჩევნებში, აღიქვამს მტრად; მეორე — მე ჩემს საქმიანობაში შემიძლია ვიხელმძღვანელო მხოლოდ საქართველოს ეროვნული ინტერესებით, ჩემთვის ამერიკის საელჩოს შტატგარეშე თანამშრომლის როლი მიუღებელია. ეს პოზიცია აუცილებლად მიმიყვანს კონფლიქტამდე ამ მთავრობასთან და ამ პარლამენტთანაც. საერთო ჯამში კი ისინი მაინც არ გამაკეთებინებენ იმას, რის გაკეთებასაც შევძლებდი პრეზიდენტის რანგში.

— ამერიკელებთან არ შეიძლება ურთიერთმისაღები ურთიერთობების დამყარება?

— შეიძლება, თუ მე დავთანხმდები აფხაზეთისა და სამ-

ხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებაზე და ამით გზას გავუხსნი ნატოს სამხედრო ბაზის საქართველოში განთავსებას, დავთანხმდები ისლამური ექსტრემისტებისთვის ჩრდილოეთ კავკასიაში დერეფნის გახსნაზე, აჭარაზე თურქეთის უფლების აღიარებაზე, ერთსქესიანი ქორწინებების ლეგალიზაციაზე, იუვენალური იუსტიციის შემოღებაზე, უარს ვიტყვი ტრადიციულ მსოფლმხედველობაზე, ეროვნულ, სულიერ ღირებულებებზე და შევცვლი მათ ამერიკული კულტურული სუროგატით, მაგრამ მაშინ ეს მე არ ვიქნები.

— მახსენდება ინტერვიუ, რომელიც თქვენ მიეცით ჩვენს გაზეთს საპარლამენტო არჩევნების შემდეგ. თქვენ მაშინ დიდი ოპტიმიზმით საუბრობდით იმ პერსპექტივების შესახებ, რომლებიც ივანიშვილის კოალიციის გამარჯვებასთან დაკავშირებით იკვეთებოდა. დღეს იმედი გაგიცრუვდათ?

— დიახ, იმედი გამიცრუვდა. ჩემში არასოდეს იწვევდა ოპტიმიზმს კოალიციის შემადგენლობა, მაგრამ თავად ივანიშვილის იმედი მქონდა. საერთოდ, მე წინააღმდეგი ვარ, რომ არჩევნების შემდეგ მაშინვე ახალი ხელისუფლების მწვავე კრიტიკა დაიწყოს. სააკაშვილის შესახებაც კი მისი მმართველობის პირველ წელს არაფერს ვამბობდი. ვფიქრობდი, რომ მას რაიმე მაინც ასწავლა შევარდნაძის ბედმა და მისი პოლიტიკის შედეგებმა. **ივანიშვილის შესახებაც ვფიქრობდი, რომ მარიონეტის უპერსპექტივო როლი, რომელსაც ასრულებდა მისი ორივე წინამორბედი, უბიძგებდა მას საკუთარი, ქართული სახელმწიფოს ინტერესების შესატყვისი პოლიტიკური ხაზის შემუშავებისკენ. სამწუხაროდ, პოლიტიკის მიმართულებები, მისი ძირითადი პრინციპები უცვლელი დარჩა.** ძალიან კარგია, რომ ხალხს აღარ კლავენ და არ აწამებენ, სამშობლოში ბრუნდებიან გაძევებული მოქალაქეები, მაგრამ ეს

არ არის საკმარისი განვითარებისთვის, ქვეყნის არსებითად ახალ მდგომარეობაში გადასვლისთვის. ქვეყანას სჭირდება ახალი საგარეო პოლიტიკა, ახალი ეკონომიკა, სულიერ-ზნეობრივი დეგრადაციისგან დაცვის ახალი მექანიზმები. სამწუხაროდ, არაფერს ეტყობა, რომ ახალ ხელისუფლებას ეს ესმის.

იცით რა, ბოლო ოცწლეული საქართველოს ისტორიაში შევა, როგორც შევარდნაძე-სააკაშვილის მმართველობის პერიოდი. ეს ერთიანი პერიოდია პრინციპული მახასიათებლებით, ხარისხობრივად, თვისობრივად და შედეგების მიხედვით. ძალიან არასასურველია, რომ ამ ერთიანი მმართველობის ისტორიული ფარგლები გაფართოვდეს, ხოლო მის დასახელებაში დეფისით გამოყოფილი ივანიშვილის გვარიც გაჩნდეს.

— როგორ აფასებთ საპრეზიდენტო კანდიდატთა რაზმის შემადგენლობას?

— მიუხედავად იმისა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში სტაჟიანი პოლიტიკოსებიც მონაწილეობენ, მაინც, როგორც ჩანს, არჩევნები რაღაც კლოუნადად გადაიქცა. ამ კომედიაში მონაწილეთა რაოდენობა და შემადგენლობა მეტყველებს სამ მნიშვნელოვან გარემოებაზე:

პირველი — სააკაშვილის ამ თანამდებობაზე ყოფნამ პრეზიდენტის პოსტი იმდენად გააუფასურა, რომ პოლიტიკისგან ყველაზე შორს მდგომ ადამიანსაც კი ჰგონია, თითქოს მისთვისაც შესაძლებელია პრეზიდენტობა. ლოგიკა მარტივია: თუ მიშა 9 წელი იჯდა პრეზიდენტად, მე რატომ არ შემიძლია? **საერთოდ, ბოლო 20 წლის განმავლობაში მაღალი სახელმწიფო თანამდებობები ეჭირათ და ახლაც უჭირავთ იმდენად უსარგებლო, უფერულ და გაუნათლებელ ადამიანებს, რომ საზოგადოების წესიერი, ავტორიტეტული, ღირსეული წევრისთვის უხერხული და სირცხვილიც კია, იყოს მინისტრი, დეპუტატი.** მე ვიცნობდი და ახ-

ლაც ვიცნობ პარლამენტის რამდენიმე წევრს, რომლებიც უცხო საზოგადოებაში მალავენ თავიანთ სტატუსს;

მეორე — იმ ვალდებულებების არქონისას, რომლებითაც მე ვთავაზობდი, დაეტვირთათ პრეზიდენტი, ეს თანამდებობა აღიქმება, როგორც საპატიო, კომფორტული დროის ტარება, რომელიც არ მოითხოვს განსაკუთრებულ ცოდნას, უნარს, შესაძლებლობებს, პატივი და კომფორტი კი ჩვენს ხალხს უყვარს, განსაკუთრებით სახელმწიფოს ხარჯზე;

მესამე — თავისი საქმიანობის შედეგებზე პასუხისმგებლობის რაიმე მექანიზმების არარსებობა პრეზიდენტის პოსტს უკიდურესად მიმზიდველს ხდის. ყოველი კანდიდატი დაგპირდებათ ყველა პრობლემის მოგვარებას და ქვეყნის მიწიერ სამოთხედ გადაქცევას. რით რისკავს იგი ამ დროს? არაფრით. 5-წლიანი ვადა მას გარანტირებული აქვს, ხოლო შემდეგ — საპატიო პენსია და უზრუნველი ცხოვრება. ეს ეხება სხვა მაღალ სახელმწიფო თანამდებობებსაც.

ამიტომ, **მრავალი წელია, ვამბობ, რომ აუცილებელია კანონი მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეების საქმიანობის შედეგებზე მათი პირადი პასუხისმგებლობის შესახებ. სანამ ასეთი კანონი არ არსებობს, მე მოვუწოდებ ამომრჩევლებს, მოითხოვონ კანდიდატებისგან თუნდაც საჯარო დაპირება, რომ, თუ ორი წლის შემდეგ იგი არ წარმოადგენს თავისი საქმიანობის კონკრეტულ შედეგებს, მაშინ გადადგება.**

მაგალითად, კანდიდატი გპირდებათ, რომ ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას აღადგენს, მოითხოვეთ მისგან საჯარო განცხადება, რომ, თუ იგი პირველი ორი წლის მანძილზე ორჯერ-სამჯერ მაინც არ ჩავა სოხუმში, არ შეხვდება იქაურ ხელმძღვანელობას, ადგილობრივ საზოგადოებას, არ ჩაატარებს მოლაპარაკებებს ამ თემაზე

მოსკოვთან, მაშინ გადადგება თავისი წინასაარჩევნო დანაპირების შეუსრულებლობის გამო. გპირდებათ კანდიდატი მილიონ სამუშაო ადგილს? ე.ი. 2 წლის შემდეგ იგი ვალდებულია, წარმოადგინოს თუ 400 ათასი არა, 200 ათასი სამუშაო ადგილი მაინც; წინააღმდეგ შემთხვევაში მან უნდა დატოვოს თანამდებობა და ა. შ. მოდით, ამ ხერხით მაინც ვცადოთ, ვაიძულოთ პოლიტიკოსები, პასუხისმგებლობით მოეკიდონ საკუთარ მოვალეობებს.

— საზოგადოებაში საუბარია ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების აუცილებლობაზე, მაგრამ ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ ამის აუცილებლობა არ არსებობს. როგორ ფიქრობთ, რატომ?

— ამერიკელები არ მისცემენ რიგგარეშე არჩევნების ჩატარების უფლებას ამ ეტაპზე. მათ განახორციელეს ფანტასტიკური ოპერაცია: მიაბეს ივანიშვილის ლოკომოტივს მათ კონტროლქვეშ მყოფი პარტიები, რომლებსაც სააკაშვილის შემდეგ არანაირი შანსი არ ჰქონდათ, არჩეულნი ყოფილიყვნენ პარლამენტში.

ამერიკელებმა პარლამენტი ჩამოაყალიბეს „ნაციონალური მოძრაობისა“ და მასთან სულით, იდეოლოგიურად და ხელქვეითობის მიხედვით ახლო მყოფი პარტიებისგან. მათ შეუძლიათ გარკვეული საკითხების გამო წაკინკლავდნენ, მაგრამ პრინციპულ პოლიტიკურ საკითხებში ერთსულოვნად გაჰყვებიან ამერიკულ ხაზს. ასეთი პარლამენტის დათხოვნა შეიძლება?

არ ვიცი, ისედაც რამდენად შესაძლებელია დღეს არსებული პოლიტიკური პარტიებისგან თვისობრივად განსხვავებული პარლამენტი აირჩეს. ჩვენ ხომ არ გვყავს პარტიები, რომელთაც მტკიცე იდეოლოგიური პლატფორმა, მკაფიო იდეური პრინციპები გააჩნიათ. **პარტიები იქმნება არა იდეებზე, არამედ კონკრეტულ ადამიანებზე მორგებულად. მაგრამ უბედურება ისაა,**

რომ იდეური ლიდერების საშინელი დეფიციტიც გვაქვს. ჩვენი პოლიტიკოსები თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ ყველაფრით, იდეების გარდა. თუ გახსოვთ, სააკაშვილი-ჟვანია-ბურჯანაძის ჯგუფი გამოეყო შევარდნაძეს და „მოქალაქეთა კავშირს“ „ვარდების რევოლუციამდე“ ერთი წლით ადრე, რაც ახსნეს იმით, რომ შევარდნაძე ატარებს მიუღებელ პოლიტიკას, გადაუხვია დემოკრატიულ პრინციპებს და ა.შ. მე მაშინ საჯაროდ ვსვამდი კითხვას: რით განსხვავდება შევარდნაძის ბოლო ერთი წლის პოლიტიკა იმ პოლიტიკისგან, რომელსაც იგი ატარებდა 3-5-7 წლის წინ, როდესაც ეს სამეული და მათი თანამებრძოლები ერთგულებას ეფიცებოდნენ და აღმერთებდნენ მას? ნათელია, რომ არანაირი იდეოლოგიური მოტივი მათ უთანხმოებაში არ იყო. უბრალოდ, ამერიკელებმა გადაწყვიტეს, მოეშორებინათ შევარდნაძე, რომელმაც საკუთარი თავი სრულად ამოწურა და სძულდა მთელ ერს, და შეეცვალათ იგი თავიანთი კურსის ახალგაზრდა, ენერგიული გამტარებლებით.

თქვენ არ გაკვირვებთ ივანიშვილის სიტყვები იმის თაობაზე, რომ მას იმედი გაუცრუა სააკაშვილმა და მისმა გუნდმა არჩევნებში მონაწილეობის მიღების შესახებ განცხადებამდე ერთი წლით ადრე? ნუთუ 3-5-7 წლის წინ არ იყო გასაგები, საით მიჰყავს „ნაციონალურ მოძრაობას“ და მის ლიდერს საქართველო? აგვისტოს ომის შემდეგაც არ იყო გასაგები? მოსახლეობის უმრავლესობისთვის გასაგები იყო, ხოლო ივანიშვილისთვის არა? ასე რომ, ჩვენს პოლიტიკურ მოღვაწეებთან მიმართებაში რაიმე იდეოლოგიურ მოსაზრებებზე საუბარი ზედმეტია.

— რას ფიქრობთ ივანიშვილის სურვილზე — გადადგეს საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ? როგორ ფიქრობთ, ეს პიარსვლაა თუ ნამდვილი სურვილი?

— თუ ეს პიარია, მაშინ ეს მას ავტორიტეტს არ გაუზრდის ქართულ საზოგადოებაში. თუ მას იმ სპექტაკლის განმეორება სურს, როდესაც შევარდნაძის წინაშე თბილისის საზოგადოების ნაწილმა მუხლი მოიდრიკა, ამის გამეორება უკვე ფარსი იქნება. მეტიც, ასეთი პროვინციული კეკლუცობა ქვეყნის ინტერესებს ვნებს. იგი ჩვენ გვპირდება რაღაც საგარეოპოლიტიკური ინიციატივების წამოწევას, რუსეთთან მოლაპარაკებების წარმართვას, ეკონომიკაში მსხვილი კერძო ინვესტიციების მოზიდვას, მაგრამ ვინ წავა მოლაპარაკებებზე ადამიანთან, რომელიც მალე მიდის? ვინ ჩადებს ფულს, თუ მათი დაცულობის გარანტი ხვალ არავინ იქნება?

— იგი აცხადებს, რომ გარედან გააკონტროლებს სიტუაციას და ყველა დანაპირების შესრულების გარანტიას იძლევა...

— ეს შეუძლებელია. **საქართველო ჩინეთი არაა და არც ივანიშვილია დენ სიაოპინი. ბიჭები, რომლებსაც იგი დაუტოვებს ძალაუფლებას, ორიოდე თვეში დაივიწყებენ მის არსებობას. ჩაიგდებენ თუ არა სახელმწიფო ბიუჯეტს ხელში, მათ აღარ დასჭირდებათ მისი სუბსიდიები.** მას საჭიროების შემთხვევაში მოუწევს, მიმართოს ამერიკის ელჩს, რათა მისი მეშვეობით მოახდინოს გავლენა გარკვეული საკითხების გადაწყვეტაზე, მაგრამ ელჩსაც ეს ყველაფერი მალე მობეზრდება.

თუ ივანიშვილი მართლაც გადადგება, მაშინ დადასტურდება ვერსია, რომელიც მე ერთხელ გამოვთქვი, მაგრამ რომლის დაჯერებაც თავად არ მინდა. მისი არსი იმაშია, რომ ივანიშვილს არანაირი პრინციპული უთანხმოება სააკაშვილსა და მის რეჟიმთან არ ჰქონდა, მაგრამ ეს თავხედი ახალგაზრდები მისგან სულ მეტ და მეტ ფულს მოითხოვდნენ, ამასთან, მადლობის თქმითაც არ

იწუხებდნენ თავს. უცერემონიო სააკაშვილმა, ეტყობა, აწყენინა მას, არ გამოვრიცხავ, რომ შეურაცხყოფაც მიაყენა. ივანიშვილი თავმოყვარე ადამიანია, საკუთარი ღირსების გამძაფრებული გრძნობით.

შეუძლებელია, ამერიკელებს ყურადღება არ მიექციათ ამ ურთიერთობებისთვის. მათ თავიანთი პრობლემა ჰქონდათ: ცხადი გახდა, რომ სააკაშვილისა და მისი გუნდის შემდგომი დარჩენა ხელისუფლებაში შეუძლებელი იყო – უკმაყოფილება მოიცავდა მოსახლეობის სულ უფრო ფართო მასებს, მწიფდებოდა მასშტაბური სტიქიური ბუნტი, „ნაცმოძრაობის“ სასარგებლოდ კიდევ ერთი არჩევნების გაყალბებას ხალხი ვერ მოითმენდა, იქმნებოდა სოციალური აფეთქების რეალური საფრთხე. ეს არა მხოლოდ აშშ-ის იმიჯს ურტყამდა, რომელიც ბოლო 9 წლის მანძილზე საქართველოს „დემოკრატიის შუქურად“ აღიარებდა, არამედ შეუძლებელს ხდიდა კონტროლირებადი პოლიტიკური ძალების შემდეგი ეშელონის ხელისუფლებაში მოყვანას, რადგან ამერიკულ „ბახალებს“ სოროსის სტრუქტურებიდან ხალხი უკვე აღარ მიიღებდა. როგორც ჩანს, სწორედ მაშინ გადაწყდა ოპერაცია „ლოკომოტივის“ ჩატარება. **ამერიკელები მოელაპარაკნენ ივანიშვილს, რომ ისინი არ დაუშვებენ არჩევნების მასობრივ ფალსიფიკაციას, მაგრამ სანაცვლოდ ივანიშვილმა თავისთან ერთად პარლამენტში ის პარტიები უნდა შეათრიოს, რომელთაც რეკომენდაციას ამერიკელები მისცემენ. ამგვარად, ივანიშვილმა შური იძია სააკაშვილსა და მის თანამზრახველებზე, დაიკმაყოფილა საკუთარი თავმოყვარეობა, ხოლო ამერიკელებმა მიიღეს სასურველი პარლამენტი.** თუ ეს ვერსია მართალია, მაშინ ივანიშვილი მართლაც გადადგება. მან მიზანს მიაღწია, მაგრამ ხალხი მის წასვლას შეაფასებს, როგორც არა-

სერიოზულობისა და უპასუხისმგებლობის უმაღლეს გამოვლინებას.

— ივანიშვილის წასვლა მოსახლეობის თვალში მთავრობას ლეგიტიმურობას წაართმევს, მის გუნდში არ არიან პიროვნებები, რომლებიც ხალხში ავტორიტეტით სარგებლობენ. ხომ არ გამოიწვევს ეს ქაოსსა და ანარქიას?

— მართალია. საქართველოში შეუძლებელია ქვეყნის მართვა ხელისუფლების პირადი ავტორიტეტის გარეშე. როდესაც არაა ავტორიტეტი, ერთადერთი გამოსავალია პოლიტიკური ოპონენტების, მოსახლეობის, ყველა უკმაყოფილოს წინააღმდეგ ტერორი, როგორც ამას სააკაშვილის რეჟიმი აკეთებდა. მაგრამ ახლა საეჭვოა, ეს გამოვიდეს. ტერორი ხორციელდება ძალოვანი უწყებების მეშვეობით, მათი თანამშრომლები კი უკვე დარწმუნდნენ, რომ ძალის უკანონო გამოყენებისთვის შემდეგმა ხელისუფლებამ, შესაძლოა, მათ პასუხისმგებლობა დააკისროს.

— 90-იანი წლების ბოლოს თქვენ გამოაქვეყნეთ სტატიების ციკლი, რომელშიც ირწმუნებოდით, რომ პარტიული ნიშნით საზოგადოების დაყოფა დამღუპველია საქართველოსთვის და ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის პროგრესულ განვითარებას. ახლაც ასე თვლით?

— გასული წლების გამოცდილება ამ თეზისს არ ადასტურებს? **ჩვენ ისტორიულად არც ისე დიდი ხნის წინ ჩამოყალიბებული მცირერიცხოვანი ერი ვართ, რომელიც ჯერ კიდევ განიცდის დანაწევრებისა და რეგიონული იზოლაციის რეციდივებს. იმისათვის, რომ თანამედროვე მსოფლიოში გადავრჩეთ, საჭიროა ერის სულიერი, მსოფლმხედველური ერთობა და თანმიმდევრული სვლა განვითარების გზით. ჩვენ კი საზოგადოებაში პარტიული ნიშნით დაყოფაც შემოგვაქვს. ამასთან ერთად, ჩვენს პარტიებს არანაირი იდეოლოგიური საფუძველი არ გააჩნიათ და, სამწუ-**

ხაროდ, არც შეიძლება, რომ ჰქონდეთ. საქმე ისაა, რომ საქართველო ღარიბი ქვეყანაა და, ჩვენი მთავრობის პოლიტიკით თუ ვიმსჯელებთ, კიდევ დიდხანს იქნება ღარიბი. ჩვენ არ გაგვაჩნია შიდა რესურსი იმისათვის, რომ ვარჩინოთ ქმედითი პოლიტიკური პარტიები, აღარაფერს ვამბობ მასშტაბურ არასამთავრობო სექტორზე. რესურსები გააჩნია გარე ძალებს და მოქმედ ხელისუფლებას, რომელიც განკარგავს სახელმწიფო ბიუჯეტს. ყველამ იცის, რომ საქართველოში არჩევნებში გამარჯვებისთვის საჭიროა აშშ-ის მხარდაჭერა. რას ნიშნავს ეს მხარდაჭერა? სიტყვიერი, მორალური მხარდაჭერა არაფერს იძლევა: ხალხს ამერიკელები არ უყვარს, მათი რეკომენდაციების ავტორიტეტი ნულის ტოლია. საარჩევნო კომისიებში ამერიკელები არ სხედან, არჩევნებს თვითონ არ აყალბებენ. რაში გამოიხატება მათი როლი? ისინი აძლევენ პარტიებს ფულს აქტივისტების სარჩენად, ამომრჩეველთა, საარჩევნო კომისიის წევრთა, მედიის მოსასყიდად. პარტიები, რომლებსაც აქვთ ფული და, შესაბამისად, მედიის მხარდაჭერაც, შედიან პარლამენტში. ვის ინტერესებს დაიცავენ ისინი, თუ გავითვალისწინებთ, რომ შემდგომ არჩევნებზე სურთ კვლავ პარლამენტში მოხვედრა?

იგივე ეხება არასამთავრობო ორგანიზაციებსაც. **პატარა, ღარიბ ქვეყანაში ასობით არასამთავრობო ორგანიზაცია მოქმედებს, რომელთა წარმომადგენლებიც არ ჩამოდიან ტელევიზორების ეკრანებიდან და გამუდმებით გვასწავლიან სწორად ცხოვრებას. ისინი მოვლილი და მაძღრები ჩანან, ქირაობენ ოფისებს, მოძრაობენ მანქანებით. რა ფულით არსებობენ და, შესაბამისად, როგორ „ფასეულობებს“ უწევენ პროპაგანდას და როგორი „სწორი“ ცხოვრების დანერგვა უნდათ მათ საქართველოში?**

— მაგრამ დემოკრატია შეუძლებელია პოლიტიკური პარტიებისა და სამოქალაქო სექტორის გარეშე...

— თუ თქვენ დასავლურ დემოკრატიას გულისხმობთ, მისი თეორიული პრინციპებით, მაშინ იგი არსად არაა და არც არასოდეს ყოფილა. ამერიკელები აფრიალებდნენ თავიანთ კონსტიტუციას ადამიანის უფლებებითა და თავისუფლებებით, მაგრამ ამასობაში თავად ჯეფერსონი — ამ კონსტიტუციის „მამა“ — რჩებოდა მსხვილ მონათმფლობელად, ხოლო ზანგებმა მხოლოდ XX საუკუნის 60-იან წლებში მიიღეს კაფეებსა და პარკებში თეთრებთან ერთად შესვლის უფლება. გაიხსენეთ ლინჩის წესი, მაკარტიზმი... სადაა აქ დემოკრატია?

რა თქმა უნდა, **აშშ XX საუკუნეში არ იყო ისეთი ტოტალიტარული სახელმწიფო, როგორც ახლა არის. უბრალოდ, მაშინ არ იყო ტექნოლოგიური შესაძლებლობები, რათა განეხორციელებინათ ტოტალური კონტროლი მოქალაქეებზე, მოეხდინათ ხალხის ცნობიერებით მანიპულირება. დღეს ასეთი შესაძლებლობები არის და ამერიკელები მათ აქტიურად იყენებენ არა მხოლოდ საკუთარ ქვეყანაში, არამედ, როგორც აღმოჩნდა, ევროპაშიც, მსოფლიოს სხვა რეგიონებში.** ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში XX საუკუნის დასაწყისში იყო მცდელობები, დაენერგათ დემოკრატიული პრინციპები პრაქტიკაში, მაგრამ ყველაფერი ფაშიზმით დასრულდა. იყო ასეთი მცდელობები მეორე მსოფლიო ომის შემდეგაც, როდესაც ერები შთაგონებულნი იყვნენ თავისუფლებით, ფაშიზმის განადგურებით, ნათელი მომავლის იმედით, მაგრამ, მოხვდნენ რა აშშ-ზე კოლონიურ დამოკიდებულებაში, ევროპულმა ეროვნულმა ელიტებმა სწრაფად გადაიღეს საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზაციის ამერიკული პრინციპები და მეთოდები. საბჭოთა კავშირთან დაპირისპირების დროს ამერიკელები და ევროპელები

ჯერ კიდევ ცდილობდნენ დემოკრატიული ფასადის შენარჩუნებას, მაგრამ სსრკ-ის დაშლის შემდეგ ამის აუცილებლობა თავისთავად გაქრა.

ხოლო თუ დემოკრატიაში ვგულისხმობთ მოსახლეობის უფლებას, თავისუფლად აირჩიოს ხელისუფლება, მაშინ ეს უფლება, უკვე დიდი ხანია, ფარსად იქცა. აშშ-ში, როგორც ცნობილია, საერთოდ არ არსებობს პრეზიდენტის საყოველთაო, პირდაპირი არჩევნები, თუმცა ეს საპრეზიდენტო რესპუბლიკაა, ხოლო რაც შეეხება კონგრესის არჩევნებს, რეალურად ორი პარტია არსებობს — რესპუბლიკური და დემოკრატიული. ერთის უკან როკფელერების კლანი დგას, მეორის უკან კი — როტშილდების კლანი. ხელისუფლებაში მხოლოდ ეს ორი პარტია შეიძლება იყოს, იმიტომ, რომ მათ უკან დიდი ფულია. და ამას ჰქვია დემოკრატია.

ბოლო რამდენიმე თაობის ყველა წამყვანი ამერიკელი პოლიტიკოსი თავისი ცხოვრების რომელიმე პერიოდში როკფელერების ან როტშილდების სტრუქტურებში მუშაობდა. მაგალითად, როკფელერის ფონდი მუშაობს ყველა წამყვან ამერიკულ უმაღლეს სასწავლებელში, ირჩევს ყველაზე გამორჩეულ კურსდამთავრებულებს და სთავაზობს მათ მაღალანაზღაურებად სამუშაოს თავის მრავალრიცხოვან სტრუქტურებში. შემდეგ მათ, ვინც პოლიტიკური საქმიანობის მიმართ მიდრეკილებას გამოავლენს, აგზავნიან პარტიულ სამუშაოზე, წარადგენენ საჯარო თანამდებობებზე, მაგრამ მათ ფინანსურ გამოკვებას განაგრძობენ გადაცემული აქციების, თავიანთი ფინანსური სტრუქტურების ფასიანი ქაღალდების მეშვეობით, ანუ ამ სტრუქტურების აყვავება ხსენებული პოლიტიკოსების მთავარი საზრუნავი ხდება. მათგან ყალიბდება კონგრესმენთა, სენატორთა, მინისტრთა, ელჩთა კორპუსი.

საჭირო ადამიანის კონგრესმენად ან სენატორად გადაქ-

ცევა როკფელერებისა თუ როტშილდებისთვის არანაირ სირთულეს არ წარმოადგენს. ყველა წამყვანი მედიასაშუალება მათ ეკუთვნით და წინასაარჩევნო კამპანიისთვის აუცილებელი ფულიც მათთვის პრობლემა არ არის. მაგალითი: ყველასთვის უცნობი ზანგი ობამა, ძალიან გაურკვეველი ბიოგრაფიით, არჩევნებამდე 1 წლით ადრე იღებს წინასაარჩევნო ფონდში 3 მილიარდ დოლარს, ხოლო ამერიკული მედია მას ერის მხსნელად წარმოადგენს.

თუ იმასაც დავუმატებთ, რომ აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემა, რომელიც ფულს ბეჭდავს და ამერიკასა და მთელ მსოფლიოს დოლარებით ამარაგებს, კერძო საწარმოს წარმოადგენს, რომელიც 100 წლის წინ იმავე როკფელერებმა და როტშილდებმა მორგანებთან, ლემანებთან, დიუპონებთან ერთად ჩამოაყალიბეს, მაშინ ნათელი გახდება, რომ **შეერთებული შტატები უბრალოდ პლანეტის უმდიდრესი ადამიანების კერძო კორპორაციაა, ხოლო აშშ-ის მთელი პოლიტიკური კლასი ამ კერძო კორპორაციის თანამშრომლები არიან. და აქ არანაირი სახალხო დემოკრატიის სიოც კი არ ძრის.** გარდა ამისა, ყურადღება მიაქციეთ — ვერანაირ „ფორბსში“ თქვენ ვერ ნახავთ ვერც როტშილდებს, ვერც როკფელერებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ტრილიონობით დოლარს ატრიალებენ და ვიღაც გეიტსებთან და აბრამოვიჩებთან ერთად მაგიდასთანაც არ დასხდებიან.

— ევროპაში ხელისუფლების ფორმირების ანალოგიური პრინციპები მოქმედებს? ევროპაც როტშილდებისა და როკფელერების კორპორაციის ნაწილია?

— სხვათა შორის, ინგლისის მთელი საბანკო სისტემა ინგლისელ როტშილდებს ეკუთვნით, საფრანგეთისა კი — როტშილდების ფრანგულ ოჯახს. როდესაც მე ვასახელებ ამ გვარებს, ვგულისხმობ გიგანტურ ტრანსნაციონალურ კორპორაციებს, რომლებშიც ეს კლანები გადამწყვეტ

როლს თამაშობენ და რომლებთანაც დაკავშირებულია ათასობით მსხვილი კომპანია მთელ მსოფლიოში.

ყველა ევროპულ ქვეყანაში ფუნქციონირებს ორი-სამი ძირითადი პოლიტიკური პარტია, რომელთა უკანაც დგას მსხვილი კაპიტალი. ეს ფორმალურად ადგილობრივი კაპიტალიც რომ იყოს, იგი მაინც აფილირებულია უმსხვილეს საერთაშორისო კორპორაციებთან. მსოფლიო კაპიტალისთვის ევროპა არის მოგების ამოღების ზონა. **როდესაც კორპორაციებს მოგეზრდათ ეროვნული კანონმდებლობების გარჩევა, როდესაც საზღვრებმა ხელი შეუშალა მათ ბიზნესს, მათ თავიანთ კუთვნილებაში მყოფი პარტიების, მედიის, უნივერსიტეტების პროფესურის, შოუ-ბიზნესის ვარსკვლავების მობილიზება მოახდინეს და რამდენიმე წელიწადში გააერთიანეს ევროპის ქვეყნები ევროკავშირში.** სხვა საქმეა, რომ ეს წარმონაქმნი დიდხანს ვერ იარსებებს, მაგრამ თავისი მოგება მან უკვე მოიტანა.

დღეს ევროპაში არ არსებობს არც ერთი დამოუკიდებელი სახელმწიფო, ანუ ისეთი სახელმწიფო, რომელიც ატარებს პოლიტიკას თავისი ქვეყნის ინტერესებში ან თუნდაც ევროპის ინტერესებში. მეტიც, მთელ მსოფლიოში დამოუკიდებელი სახელმწიფოები შეიძლება ერთი ხელის თითებზე ჩამოვთვალოთ. თუ გამოჩნდება სახელმწიფო, რომელსაც სურს, საკუთარი რესურსები გამოიყენოს თავისი ხალხის და არა საერთაშორისო კაპიტალის სასარგებლოდ, იქ მაშინვე ამერიკული ბომბდამშენები მიფრინავენ.

ამგვარად, არანაირი დემოკრატია მსოფლიოში არ არის. დემოკრატია არის შირმა, რომლის უკანაც მსოფლიო კაპიტალის მტაცებლური და აგრესიული მისწრაფებები იმალება. ე.წ. დემოკრატიული პრინციპები, ადამიანის

უფლებები და თავისუფლებები — ეს არის დემაგოგია და მას ამოფარებული ძლიერი სახელმწიფოები იმორჩილებენ სუსტებს და ძარცვავენ მათ რესურსებს. ასეთია თანამედროვე მსოფლიოს მწარე რეალობა.

არ არის და არც შეიძლება იყოს საზოგადოებრივი მოწყობის უნივერსალური პრინციპები, რომლებიც ერთნაირად მისაღები იქნება ყველა ქვეყნისთვის და ერისთვის. ჩინელებმა სახელმწიფო მოწყობის სტალინური მოდელი აიღეს საფუძვლად, ერთგვარი მოდიფიკაცია მოახდინეს საკუთარი ეროვნული სპეციფიკის გათვალისწინებით და დღეს ჩინეთი არა მხოლოდ უზრუნველყოფს თავის 1,5-მილიარდიან მოსახლეობას, არამედ პროდუქციით მთელ მსოფლიოს ამარაგებს. **ევროპა ჩიხში მოექცა და ევროპელი ინტელექტუალები დაბნეულად აღიარებენ, რომ არსებული საზოგადოებრივი სისტემა ვერ გამოიყვანს მათ ამ ჩიხიდან. სავარაუდოდ, საქმე ფაშიზმით დამთავრდება, ევროპას სხვა გამოცდილება არ აქვს. ისლამური სამყარო კატეგორიულად არ იღებს დასავლურ დემოკრატიას, აქტიურად ეწინააღმდეგება მის შემოტევას და ამის გამო ღვრის ზღვა სისხლს. მსოფლიო მრავალფეროვანია, ერთგვაროვანი მიდგომები, პრინციპები და წესები შეუძლებელია და არ იმოქმედებს. უცხოს, მიუღებელს კი მხოლოდ დანგრევა შეუძლია.** ამიტომ დღეს მსოფლიოს ინტელექტუალური ელიტები განვითარების ახალი გზების, ახალი ფორმების ძიებით არიან დაკავებულები. ამაზე უნდა იფიქრონ პატარა ქვეყნებმაც, მათ შორის საქართველომ, საკუთარ ისტორიულ გამოცდილებაზე, ეროვნულ სპეციფიკასა და კულტურულ თავისებურებებზე დაყრდნობით.

გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“
2013 წ., აგვისტო

2013 წ., სექტემბერი

«არ მოველოდი, რომ ივანიშვილის «ქართული ოცნება» ასე სწრაფად გადაიქცეოდა მორიგ «ქართულ ფანტაზიად»

— ბატონო ალექსანდრე, ბოლო დროს ბიძინა ივანიშვილმა არაერთხელ, მათ შორის საერთაშორისო შეხვედრებზეც, დაადასტურა თავისი გადაწყვეტილება საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ პოლიტიკიდან წასვლის თაობაზე. როგორ შეაფასებთ ამ გადაწყვეტილებას?

— დიახ, ივანიშვილი, როგორც ჩანს, ტოვებს თავის პოსტს. ეს სხვადასხვანაირად შეიძლება შეფასდეს, მათ

შორის ძალიან ნეგატიურადაც, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ **მან უდიდესი ეროვნული საქმე გააკეთა — ხელისუფლებას მოაშორა და მარგინალად აქცია სამარცხვინო „ნაციონალური მოძრაობა“. ივანიშვილის გარდა, ამ საქმეში ამერიკელები მხარს არავის დაუჭერდნენ.** პარალელურად მან, რა თქმა უნდა, შეასრულა ამერიკელების დავალება — ითამაშა ლოკომოტივის როლი და ხელისუფლებაში მოიყვანა ის პოლიტიკური ჯგუფები, რომელთაც დამოუკიდებლად ხელისუფლებაში მოსვლის არანაირი შანსი არ ჰქონდათ. იქნებ მისი წასვლა უკეთესიც იყოს. ივანიშვილი ხელისუფლებაში რომ დარჩენილიყო, მოსახლეობა ქვეყანაში მდგომარეობის მალე უკეთესობისკენ შეცვლის იმედით კიდევ ორიოდე წელიწადი ილუზიებში, მოლოდინის რეჟიმში იქნებოდა და ბოლოს უფრო მეტად იმედგაცრუებული აღმოჩნდებოდა. საქმე ისაა, რომ, **პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, ახალი ხელისუფლება უმნიშვნელოდ თუ გამოირჩევა წარმავალი რეჟიმისგან, ამიტომ უახლოეს წლებში არანაირი თვისობრივი პოზიტიური ცვლილებები არ იქნება, მეტიც, ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდება, სოციალური, ეროვნებათაშორისი და რელიგიათაშორისი დაპირისპირება გაიზრდება.**

— კი მაგრამ, ივანიშვილი გვპირდება, რომ დაგვიტოვებს ძლიერ მთავრობას, რომელიც მოახდენს მისი პოლიტიკური კურსისა და აღორძინების პროგრამის რეალიზებას.

— ჯერ ერთი, არ ვიცი, რა არის „ივანიშვილის პროგრამა“, და ვფიქრობ, საქართველოში ეს არც არავინ იცის, თვით ივანიშვილის ჩათვლით. მეორე — **ივანიშვილი სერიოზულ შეცდომას უშვებს, თუკი სახელმწიფოს განიხილავს, როგორც კომერციულ ფირმას,**

კერძო კომპანიას, რომელშიც მას აქციათა თითქმის 100-პროცენტიანი პაკეტი აქვს და სადაც მინისტრები, დეპუტატები — მისი თანაშემწეები, კლერკები, ნება-სურვილის შემსრულებლები არიან. მისი განცხადებები იმის თაობაზე, რომ დატოვებს „საინტერესო“ პრეზიდენტს და „საინტერესო“ პრემიერს, ხოლო თვითონ გარედან გააკონტროლებს სიტუაციას, არის ბიზნესმენის ტიპური მიდგომა ბიზნესსტრუქტურისადმი: შევქმნი კომპანიას, დავნიშნავ ჩემს ხალხს და გავაკონტროლებო, მაგრამ სახელმწიფო კერძო კომპანია არ არის. სახელმწიფოს მართვაში სულ სხვა პრინციპები მოქმედებს, რომლებიც, როგორც ჩანს, ივანიშვილს არ ესმის. საერთოდ, ბიზნესი და პოლიტიკა მოღვაწეობის სრულიად განსხვავებული სფეროებია. სიტყვამ მოიტანა და, პირადად მე ვერ ვიხსენებ ისტორიაში შემთხვევას, როდესაც ბიზნესმენი წარმატებული სახელმწიფო მოღვაწე გახდა; უფრო მეტიც — კერძო ბიზნესი და ქვეყნის ეკონომიკის მართვაც კი ასევე ძალიან განსხვავებული სფეროებია.

— გულისხმობთ, რომ მისი დაპირებები მსხვილი ინვესტიციების მოზიდვასა და სერიოზული ეკონომიკური ზრდის შესახებ არაკომპეტენტურობის შედეგია?

— თუ საუბარია ინვესტიციებზე მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, მაშინ უნდა ითქვას, რომ საქართველოს შიდა ბაზარი ძალიან მცირეა იმისთვის, რათა მსხვილი ინვესტორები დაინტერესოს. მსხვილი ინვესტიციებისთვის საჭიროა გასაღების მასშტაბური ბაზარი, ქართული პროდუქციისთვის კი ასეთი ბაზარი მხოლოდ რუსეთი შეიძლება იყოს. უფრო მეტიც, ამ მსხვილი ინვესტიციების განხორციელებაც მხოლოდ რუსულ კაპიტალს შეუძლია, რომელიც თვითონვე უზრუნველყოფს პროდუქციის რუსეთის ბაზარზე გასაღებას. ქართულ წარმო-

ებაში ფულს სხვა არავინ ჩადებს. რუსული კაპიტალის მოსაზიდად კი საჭიროა რუსეთთან სრულფასოვანი სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობების აღდგენა, რაც, ამჟამინდელი ხელისუფლების საგარეოპოლიტიკური კურსის გათვალისწინებით, უბრალოდ გამორიცხულია.

გგონიათ, სააკაშვილს არ უნდოდა მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში ინვესტიციების მოზიდვა? უნდოდა, მაგრამ არავინ დებდა ინვესტიციას. დასავლეთს არ სჭირდება საქართველოს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია. ამდენად, ამ სფეროებში დასავლური კაპიტალი ინვესტიციას არ ჩადებს. სწორედ ამიტომ შევარდნაძეც და სააკაშვილიც დასავლეთისგან მხოლოდ კრედიტებს იღებდნენ, ანუ ფულს სესხულობდნენ. დღეს საქართველოს საგარეო ვალი, თუ არ ვცდები, 13 თუ 14 მილიარდი დოლარია. საკუთარი ეკონომიკის არარსებობის პირობებში, ამ ვალის მხოლოდ პროცენტების გადასახდელად ახალ-ახალი კრედიტები უნდა ავიღოთ. ეს კაბალაა.

— ივანიშვილმა ამას წინათ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ საქართველო შეიძლება „მეორე დუბაიდ“ იქცეს...

— საინტერესო კანონზომიერებაა: **შევარდნაძე გვპირდებოდა, რომ „მეორე შვეიცარიად“ ვიქცეოდით, სააკაშვილი დაგვპირდა, რომ „მეორე სინგაპური“ გავხდებოდით, ივანიშვილი კი „მეორე დუბაიდ“ გადაქცევას გვპირდება. მოაზროვნე ადამიანისთვის გასაგები უნდა იყოს, რომ არც ერთი ამ ორიენტირთაგანი ჩვენთვის პრინციპულად ვერ იქნება რეალური მიზანი.** და მადლობა ღმერთს, რომ ვერ იქნება. ამ ადამიანებმა ვერა და ვერ გაიგეს, რომ **ჩვენ გვსურს, ვიყოთ საქართველო და**

მხოლოდ საქართველო. მაგრამ იმ ვითარებაში, როდესაც ჩვენს მმართველებს არ გააჩნიათ არც ქვეყნის აღორძინების რეალური პროგრამა, არც მკაფიო წარმოდგენა საქართველოს მომავალზე, ცდილობენ, საზოგადოებას თავს მოახვიონ ფანტასტიკური მიზნები და იმედოვნებენ, ამით ადამიანებს გონება დაუბინდონ. **გულწრფელად გითხრათ, არ მოველოდი, რომ ივანიშვილის „ქართული ოცნება“ ასე სწრაფად გადაიქცეოდა მორიგ ფუყე „ქართულ ფანტაზიად“.**

— ივანიშვილმა განაცხადა, რომ ძალაუფლებას გადასცემს ძალიან ძლიერ სამთავრობო გუნდს, რომელიც ააღორძინებს საქართველოს და ხაზი გაუსვა, რომ ამ გუნდზე პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებს...

— და რა ფორმის პასუხისმგებლობაზეა საუბარი? როგორ აგებს ივანიშვილი პასუხს თავისი გუნდის ნამოქმედარზე? გადადგომის შემდეგ ივანიშვილი იქნება რიგითი მოქალაქე, თანაც საფრანგეთის. უბედურება სწორედ ისაა, რომ ჩვენი მმართველები, თავიანთი შეუსრულებელი დაპირებების გამო, პასუხს არ აგებენ და ვერც აგებენ, რადგან მსგავსი პასუხისმგებლობის არანაირი მექანიზმი არ არსებობს. **განაცხადოს ივანიშვილმა ის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პარამეტრები, რომლებიც მისმა მთავრობამ უნდა უზრუნველყოს სამი წლის შემდეგ, მერე კი საჯაროდ თქვას და ნოტარიალურადაც დაამოწმოს, რომ ამ პარამეტრების შეუსრულებლობის შემთხვევაში იგი, როგორც სამთავრობო გუნდის საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირი, ამ პასუხისმგებლობის ფარგლებში საქართველოს თითოეულ მოქალაქეს გადაურიცხავს ათას დოლარს. სულ 4 მილიარდი დოლარი გამოდის. აი, ეს იქნება მისი პირადი პასუხისმგებლობის რეალური ზომა. მზად არის ივანიშვილი ასეთი პასუხისმგებლობისთვის?**

შევარდნაძეს 10 წელი მიყავდა საქართველო კატასტროფების გზით და ყოველი ახალი კატასტროფის წინ აცხადებდა: „მთელ პასუხისმგებლობას ჩემს თავზე ვიღებ“. ეს ფრაზა სააკაშვილისგანაც ძალიან ხშირად გვესმოდა. ქვეყანა დააქციეს და დაშალეს, ეკონომიკა დაასამარეს, ხალხი გაძარცვეს და ვინმემ აგო პასუხი? ივანიშვილი ამბობს, რომ ჩვენს ხალხს დაბალი პოლიტიკური კულტურა აქვს და რომ მას სურს საკუთარი თავი ამ კულტურის ამაღლებას მიუძღვნას. არადა, ამჟამინდელ ვითარებაში, მთავრობის საქმიანობის გამო ივანიშვილის მიერ პირადი პასუხისმგებლობის შესახებ განცხადება მხოლოდ საზოგადოების დაბალ პოლიტიკურ კულტურაზე გათვლით შეიძლება აიხსნას. სხვათა შორის, ერისადმი მიმართვაში ივანიშვილს ჩამოთვლილი აქვს თავისი წინასაარჩევნო დაპირებები და აცხადებს, რომ მან ეს დაპირებები შეასრულა და ამდენად, ასე ვთქვათ, თავისუფალია. ესეც არის გათვლა დაბალ პოლიტიკურ კულტურაზე, რადგან მცირედ მოაზროვნე ადამიანისთვისაც კი ნათელია, რომ ამ დაპირებათა 90 პროცენტი შესრულებისგან ძალიან შორს არის. იგი აცხადებს, რომ სამოქალაქო სექტორში მისი საქმიანობით, ჩვენს საზოგადოებას ასწავლის ხელისუფლების გონებით და არა ემოციებით არჩევას, მაგრამ ამასთანავე მოუწოდებს საზოგადოებას, ენდონ მას სიტყვაზე და ხმა მისცენ პრეზიდენტობის მისეულ კანდიდატს, ანუ კვლავ მიიღონ გადაწყვეტილება ემოციებზე — ივანიშვილისადმი ნდობასა და პატივისცემაზე დაყრდნობით.

— პრემიერი ხშირად უსვამდა ხაზს სიტუაციის ანალიზისა და „უშეცდომო პროგნოზების“ კეთების მისეულ უნარს. ქართული საზოგადოების ნაწილი სწორედ ივანიშვილის ამ უნარების იმედადაა...

— მას რომ სწორად გაეანალიზებინა და „უშეცდომო პროგნოზები“ გაეკეთებინა, მაშინ 8 წლის მანძილზე სააკაშვილის ანტიეროვნულ რეჟიმს ამდენ მხარდაჭერას არ

გაუწევდა. უშეცდომო ადამიანები არ არსებობენ. შეცდომები ისეთ გენიოსებსაც კი დაუშვიათ, როგორიც სტალინი იყო... განა სტალინის შეცდომა არ არის ის, რომ ხელისუფლებაში ხრუშჩოვი, მიქოიანი, მალენკოვი, ბულგანინი თუ სხვა არამზადები და მოღალატეები დატოვა? ძალიან უნდა იყო საკუთარ თავზე შეყვარებული, რომ უშეცდომო ადამიანად მიგაჩნდეს თავი...

— პრემიერმინისტრი დაგვპირდა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ე. წ. კოაბიტაციის პერიოდი დამთავრდება. ეს შესაძლებელია?

— გააჩნია, რა იგულისხმება კოაბიტაციაში. ფართო გაგებით, კოაბიტაცია ვერ დასრულდება იმიტომ, რომ პარლამენტის 40 პროცენტს „ნაციონალური მოძრაობა“ შეადგენს, ხოლო რეგიონებში ძირითადად მათი კადრები აგრძელებენ მუშაობას. მეტიც, ვფიქრობ, რომ ივანიშვილის წასვლის შემდეგ „ნაციონალების“ გავლენა ხელისუფლებაზე გაიზრდება. იდეოლოგიური უთანხმოება მათ არ აქვთ, კურატორებიც საერთო ჰყავთ, რაც შეეხება პირად უთანხმოებებს, მალევე შეთანხმდებიან.

თუკი კოაბიტაციის დასრულებაში ვგულისხმობთ რამდენიმე ჩინოვნიკის ისე გასამართლებას, რომ პრეზიდენტმა მათი შეწყალება ვერ მოახერხოს, ეს სავსებით შესაძლებელია. საზოგადოების დასაშოშმინებლად ამერიკელები რამდენიმე ცნობილი მოღვაწის დაპატიმრების ნებას დართავენ ახალ ხელისუფლებას.

— და რა რეაქცია ექნებათ ამაზე ევროპის ქვეყნებს?

— ევროპულ ქვეყნებს აბსოლუტურად არ ანაღვლებთ ქართველი „რეფორმატორების“ ბედი. ვფიქრობ, ივანიშვილი ევროპულ ქვეყნებში ვიზიტების დროს დარწმუნდა, რომ იქაურ ხელისუფალთ იოტისოდენადაც არ აინტერესებთ არათუ ყოფილი ჩინოვნიკების, არამედ თავად საакაშვილის ბედიც კი. აღარაფერს ვამბობ ძირითად ევროპულ ქვეყნებზე, რომელთაც არც საქართველო და არც მი-

სი მმართველები არ აინტერესებთ. რაც შეეხება მოლაყ-ბეებს ევროპარლამენტიდან, უნდა შევიგნოთ, რომ ევრო-კავშირის სტრუქტურები და ევროპული სახელმწიფოები ერთი და იგივე არ არის. ევროპარლამენტის წევრების ლაყბობა ევროპული ქვეყნების რეალურ პოლიტიკაზე გავლენას არ ახდენს. სააკაშვილის მმართველობისას, წლების მანძილზე ევროპარლამენტის დელეგაციები მუდმივად ბუდობდნენ საქარველოში, არ ჩამოდიოდნენ ჩვენი ტელეეკრანებიდან, მაგრამ დათვალეთ, ამ 9 წლის მანძილზე ევროპული ქვეყნების მეთაურთა რამდენი სა-ხელმწიფო თუ ოფიციალური ვიზიტი შედგა თბილისში და თავად დარწმუნდებით, რომ ევროპისთვის საქართველო რეალური ინტერესის საგანს არასდროს წარმოადგენდა.

— პრესკონფერენციის მსვლელობისას ივანიშვილმა ასევე განაცხადა, რომ არ გამორიცხავს საქართველოს ევრაზიულ კავშირში ინტეგრაციის საკითხის განხილვას, რამაც „ნაცმოძრაობის“ მხრიდან მკვეთრად აგრესიული რეაქცია გამოიწვია. როგორ შეაფასებთ პრემიერის ამ განცხადებას?

— მოვისმინე გამოსვლა, რომელშიც სააკაშვილი არწ-მუნებდა სტუდენტებს, თითქოს ივანიშვილმა ევროპულ გზას გადაუხვია, მან, სააკაშვილმა, კი მიაღწია, რომ ხვალ-ზეგ საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში მიი-ღებენ. რაც უფრო ხშირად გამოდის სააკაშვილი სიტყვით, მით უფრო სასაცილოდ გამოიყურება.

ნატოსა და ევროკავშირში შესვლასთან დაკავშირებულ ზღაპრებზე ბევრჯერ გამომითქვამს აზრი, ამ თემაზე მეტს არაფერს ვიტყვი, გარდა იმისა, რაც ქართულ საზო-გადოებას დიდი ხნის წინ უნდა მიეღო აქსიომად: **პოლი-ტიკოსი, რომელიც საქართველოს ნატოსა და ევ-როკავშირში შესვლას გვპირდება, ან ბრიყვია, ან უნამუსოდ გვატყუებს.**

რაც შეეხება ევრაზიულ კავშირს, ამ კავშირის რეალუ-

რი პროექტი არ არსებობს, მეტიც, მის შესაქმნელად არანაირი სერიოზული მუშაობა ჯერ არ მიმდინარეობს. ასეთი კავშირი თუკი ჩამოყალიბდა, ეს იქნება რუსეთის, ბელარუსის, უკრაინისა და ყაზახეთის, ანუ მდიდარი და განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნების ბაზაზე. არ ვარ დარწმუნებული, რომ ეს ქვეყნები დათანხმდებიან საკუთარ რიგებში გაღატაკებული საქართველოს მიღებას მრავალმილიარდიანი საგარეო ვალითა და ნულოვანი ეკონომიკით. თუმცა, რა თქმა უნდა, **საქართველო გეოპოლიტიკურად და მენტალურად ევრაზიული ცივილიზაციური სივრცის ნაწილია, მეტიც, რამდენიც არ უნდა იფურთხებოდეს სააკაშვილი, საქართველო კლასიკური ევრაზიული ქვეყანაა.** ეს უტყუარი ჭეშმარიტებაა ნებისმიერი ადამიანისთვის, რომელმაც გეოგრაფიის, ისტორიის, ფსიქოლოგიის, გეოპოლიტიკის ანაბანა იცის.

ამ თემასთან დაკავშირებით, მინდა, ხაზი გავუსვა ერთ მნიშვნელოვან მომენტს. **ჩვენს საზოგადოებაში გავრცელებულია აზრი, თითქოს რუსეთი დღენიადაგ ოცნებობს საქართველოსთან გაერთიანებაზე და მზადაა, ამისთვის ყველაფერი გააკეთოს. „მედასავლეთეები“ და რუსოფობები თვლიან, რომ კრემლში დღედაღამ აწყობენ ხრიკებს, რომ როგორმე მიიერთონ საქართველო; რუსოფილები მიიჩნევენ, რომ თითქოს საკმარისია, საქართველოს ხელისუფლებამ გამოთქვას რუსეთთან მეგობრობის და ძმობისკენ მისწრაფება და უცებ დაიწყება რეინტეგრაციული პროცესები.** სინამდვილეში ეს ასე არ არის. 90-იან წლებში არაერთხელ ვაფრთხილებდი ყველას, რომ დადგება დრო და რუსეთში გაბატონდება აზრი, რომლითაც ხელმძღვანელობდა ვლადიმერ ლენინი, როდესაც 1920 წელს დაწერა: „რად გვინდა საქართველო? მოგვიწევს მისი რჩენა“. **დღეს რუსე-**

თის ხელმძღვანელობაში და, საერთოდ, რუსეთის პოლიტიკურ კლასში უმრავლესობა სწორედ ასე ფიქრობს. და ეს ეხება არამარტო საქართველოს, არამედ სხვა ამიერკავკასიურ ქვეყნებსაც და შუააზიურ რესპუბლიკებსაც. მიზეზი მარტივია: მათ მოუწევთ, რუსეთის ხარჯზე არჩინონ ეს ქვეყნები. რას ნიშნავს რუსეთისთვის საქართველოსთან ევრაზიულ კავშირში გაერთიანება? ეს ნიშნავს 13-მილიარდიანი საგარეო ვალის გადახდას, ქარხნების, ფაბრიკების ხელახლა აშენებას, მილიარდების ჩადებას სოფლის მეურნეობაში, მეცნიერებაში, განათლებაში და ა.შ., ანუ პასუხისმგებლობის აღებას სახელმწიფოს განვითარებასა და მოსახლეობის კეთილდღეობაზე.

ამიტომაც საქართველოს მიმართ ყველაზე კეთილგანწყობილი პოლიტიკოსებიც კი დელიკატურად დუმან, როგორც კი საუბარი რეინტეგრაციის პერსპექტივებს შეეხება. საქართველოს ეროვნულად ორიენტირებულ, პატრიოტულ ხელისუფლებას, თუკი ასეთი ოდესმე გვეყოლება, მოუწევს კოლოსალური მუშაობა რუსეთის პოლიტიკური და ფინანსურ-ეკონომიკური წრეების დასარწმუნებლად, რომ დახმარება და მხარდაჭერა, რომელსაც საქართველოს აღმოუჩენენ, მომავალში რუსეთს სერიოზულ გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ მოგებას მოუტანს. ასეთია რეალობა. **სხვათა შორის, არ მომისმენია, რომ ახალი ფორმაციის რუსი პოლიტიკოსები სააკაშვილს საქართველოს რუსეთისგან დაშორების გამო აგინებდნენ; აგინებენ იმის გამო, რომ აგვისტოს ავანტიურით აიძულა რუსეთი, ელიარებინა და სარჩენ კმაყოფაზე აეყვანა სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი.**

— წინა წლებში ხშირად გითქვამთ, რომ ადრე თუ გვიან აშშ წავა კავკასიიდან და საქართველო კვლავ აღმოჩ-

ნდება არჩევანის წინაშე — თურქეთი თუ რუსეთი. ეს პერსპექტივა კვლავ აქტუალურია?

— დიახ, დღესაც ასე ვთვლი, მაგრამ ვფიქრობ, რომ არჩევანი, როგორც ასეთი, აღარ გვექნება. საქმე ისაა, რომ აშშ ასე უბრალოდ არ წავა, იგი საქართველოს თავის სამხედრო-პოლიტიკურ მოკავშირეს — თურქეთს გადასცემს. ამიტომაც ამერიკელები აქტიურად უწყობდნენ ხელს თურქეთის ფინანსურ-ეკონომიკურ ექსპანსიას საქართველოში, რომლის შედეგადაც თურქებმა არამარტო მოიპოვეს გადამწყვეტი გავლენა საქართველოს ხელისუფლებაზე, არამედ მთელ აჭარას დაეპატრონენ. **როდესაც სააკაშვილმა ასლან აბაშიძის გაძევების შემდეგ განაცხადა, რომ „აჭარა დაიბრუნა“, საზოგადოების გაბრიყვებული ნაწილი აღფრთოვანებისგან ყიჟინას სცემდა და ამ ყიჟინის ფონზე სააკაშვილმა აჭარა დედაბუდიანად გადასცა თურქებს! საპასუხოდ თურქები მას ეპატიჟებოდნენ წითელი ლენტების გასაჭრელად, იმ ობიექტების გასახსნელად, რომლებიც მათ თავიანთთვის, კავკასიაში თურქეთის დამკვიდრებისთვის ააშენეს...** ამ დღეებში სააკაშვილმა ათას თურქს საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა და ამით სერიოზული პრეცედენტი შექმნა. თუკი მომავალ წელს ათი ათასი თურქი, რომელმაც ასამდე ქართული სიტყვა იცის, გამოთქვამს საქართველოს მოქალაქეობის მიღების სურვილს, ხელისუფლებას აღარ ექნება მათთვის უარის თქმის საფუძველი. უარი თურქეთის მიერ განხილული იქნება, როგორც არამეგობრული ნაბიჯი და შეიძლება ამან ძალიან მძიმე შედეგები გამოიღოს.

— კი მაგრამ, რუსეთი ხომ დღემდე არის აჭარის ავტონომიის გარანტი — განა მისი თურქეთთან შეთანხმებანი არ არის ჩვენი უსაფრთხოების გარანტია?

— რუსეთ-საქართველოს ამჟამინდელი ურთიერთობე-

ბის გათვალისწინებით, რუსეთი დიდხანს აღარ დარჩება ასეთ გარანტად. **რაღაც პერიოდის შემდეგ რუსეთმა რომც გააააქტიუროს თავისი კავკასიური პოლიტიკა და საქართველოს მხარდაჭერა გადაწყვიტოს, აჭარის შენარჩუნება, მე მგონი, მაინც აღარ გამოგვივა. იმ დროისთვის რუსეთი, ალბათ, ამერიკელების მსგავსად, თუ მთელ საქართველოზე არა, აჭარაზე ნამდვილად აღიარებს თურქეთის უფლებას.** ნებისმიერ შემთხვევაში, აჭარისთვის რუსეთი მეტს აღარ იომებს. ამიტომ ძალიან მაშინებს რელიგიურ ნიადაგზე შეხლა-შემოხლა, რაც ბოლო დროს ჩვენთან ასე გახშირდა. ასეთი დაპირისპირებები, განსაკუთრებით აჭარაში, შეიძლება თურქეთის აგრესიის პირდაპირი საბაბი გახდეს. თუმცა **„აჭარის საკითხის“ გადაწყვეტა, შესაძლოა, რეგიონში მასშტაბური სამხედრო კონფლიქტის, მაგალითად, სირიაში ომის შედეგადაც მოხდეს.**

— როგორ ფიქრობთ, რუსეთმა შეძლო სირიაში ომის თავიდან აცილება თუ ეს დროებითი სიწყნარეა?

— პრეზიდენტმა პუტინმა მოახერხა და მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი ობამა აიძულა, უარი ეთქვა სირიაში ფართომასშტაბიანი ომის გაჩაღებაზე, რომელსაც მილიონობით მსხვერპლი მოჰყვებოდა. ვფიქრობ, ამ საქმეში მნიშნელოვანი დახმარება გასწიეს ისრაელმა და ებრაულმა ლობიმ ამერიკაში, რომლებიც შიშობდნენ, რომ ომის შემთხვევაში სირია ქიმიურ იარაღს, როგორც თავდაცვის უკანასკნელ საშუალებას, აშშ-ის მოკავშირეების წინააღმდეგ გამოიყენებდა. მაგრამ სირიიდან ქიმიური იარაღის გატანისა და განადგურების შემდეგ ომის საფრთხე თავიდან დადგება. ამერიკელები სირიას ახალ-ახალ მოთხოვნებს წაუყენებენ, მათ მიერვე დაფინანსებული ისლამისტი ტერორისტების ხელით ახალ-ახალ სისხლიან სპექტაკლებს გაუთამაშებენ, რათა

სირიის ხელისუფლება „საკუთარი ხალხის წინააღმდეგ მხეცურ მოპყრობაში“ დაადანაშაულონ, მოაწყობენ ათეულობით პროვოკაციას, მაგრამ მაინც აუცილებლად „იპოვიან“ საბაბს, თუნდაც ამისთვის ბაშარ ასადის ყურის ფორმის „ანტისაკაცობრიოდ“ და „ბარბაროსულად“ გამოცხადება დასჭირდეთ. **მსოფლიოში ლიდერობის შესანარჩუნებლად, გაკოტრების თავიდან ასაცილებლად, ევროპელი მარიონეტების მორჩილებაში საყოლად, რუსეთისა და ჩინეთის დასასუსტებლად ამერიკას სჭირდება ომები, ქაოსი მსოფლიოში, მას სჭირდება „ყველას ყველასთან“ დაპირისპირება. შეერთებული შტატები მოძებნის საბაბს და დაბომბავს ყველა ქვეყანას, რომელსაც აქვს განვითარებისა და რესურსების საკუთარი მოსახლეობის სასარგებლოდ გამოყენების პრეტენზია.**

გაიხსენეთ ისტორია. მრავალრიცხოვანი ომებიდან, რომელთაც აშშ აწარმოებდა უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე, ყველა მათ მიერვე ორგანიზებული პროვოკაციების, ინსინუაციების, უტიფარი ტყუილის შედეგად იწყებოდა. ვიეტნამში 10-წლიანი ომი კონგრესის მოტყუებით დაიწყეს, რომ თითქოს ვიეტნამელები ამერიკულ გემს დაესხნენ თავს. შედეგად მივიღეთ 3 მილიონი მოკლული ვიეტნამელი, რომელთაც, სხვათა შორის, ქიმიური იარაღის მასობრივი გამოყენებით ხოცავდნენ, სანაცვლოდ კი აშშ-ის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსმა მილიარდობით დოლარი იშოვა. **გაიხსენეთ კოსოვოში ბოსნიელების „მასობრივი მკვლელობებისა“ და „ალბანელთა გენოციდის“ ამსახველი დადგმული ვიდეოკადრები, რომელთაც სერბი მოსახლეობის უმოწყალო დაბომბვა მოჰყვა. შედეგი კი იუგოსლავიის დანაწევრება, შემდეგ სერბეთის დაშლა და ევროპის ცენტრში მუსლიმანური ანკ-**

ლავის შექმნაა, რომლის ამოქმედებაც ნებისმიერ წუთს შეიძლება, თუკი ევროპელები ურჩობას გაბედავენ და დამოუკიდებელ პოლიტიკას წამოიწყებენ. გაიხსენეთ „უტყუარი მონაცემები“ ერაყის მიერ მასობრივი განადგურების იარაღის ფლობაზე და კოლინ პაუელი რაღაც კოლბით ხელში. შედეგი — მილიონობით დახოცილი ერაყელი, დღემდე ყოველდღიურად 50-100 მშვიდობიანი მოქალაქე იღუპება, მძლავრად განვითარებადი ქვეყანა შუა საუკუნეებში დააბრუნეს, სამაგიეროდ ნავთობკომპანიებმა, მათ შორის ბუშისა და ჩეინისამ, მუქთა ნავთობი მიიღეს. მოგვიანებით აღიარეს, რომ მასობრივი განადგურების იარაღი უტიფარი სიცრუე იყო, მაგრამ მოსახდენი უკვე მომხდარი იყო, საქმე — გაკეთებული. **გაიხსენეთ ლიბია, დაქირავებული ტერორისტები რომ შეაგზავნეს და ამ ყველაზე თანამედროვე იარაღით კბილებამდე შეიარაღებულმა „დისიდენტებმა“ „დემოკრატიისა და თავისუფლების“ მოთხოვნა დაიწყეს.** შედეგი — მოსახლეობის კეთილდღეობის ყველაზე მაღალი დონის მქონე ქვეყანა აღარ არსებობს, ადგილობრივი კლანები ერთმანეთს ეომებიან, იღუპება ასობით მშვიდობიანი მოქალაქე. სამაგიეროდ, ნავთობი შეუფერხებლად გადაედინება საერთაშორისო კორპორაციების კუთვნილ ტანკერებში. გაიხსენეთ ეგვიპტე, ტუნისი, იემენი, სადაც ამერიკული სპეცსამსახურების პოლიტტექნოლოგებმა უკრაინული „ნარინჯისფერი“ და ჩვენებური „ვარდების“ მსგავსი „რევოლუციები“ რომ მოაწყვეს. ამ ქვეყნების განვითარება შეჩერებულია, ისინი დენთის კასრებად იქცნენ, რომლებმაც ნებისმიერ წუთს შეიძლება ააფეთქონ რეგიონი.

სამწუხაროდ, ბოლო ათწლეულებში ამერიკა თანამედროვე მსოფლიოსთვის დესტაბილიზაციის მთავარ ძალად, ხოლო ამერიკული არმია კბილებამდე შეიარაღებული მკვლელებისა და მოძალა-

დეთა განდად იქცა. ერთადერთი ხსნა ამ განდიტებისგან არის ბირთვული იარაღი. ამიტომაც ის ქვეყნები, რომლებსაც არ აქვთ ასეთი იარაღი, მაგრამ სურთ, დარჩნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად და განვითარდნენ, ფორსირებული ტემპით ცდილობენ ბირთვული იარაღის შექმნას.

ამერიკამ მათ სხვა გამოსავალი არ დაუტოვა. სააკაშვილის საყვარელი მასწავლებლის, სენატორ მაკკეინის მოსმენისას ნორმალური ადამიანი ფიქრობს, რომ სისხლით გაუმაძღარ მანიაკს უსმენს და აშშ-ში არსებობენ ძალები, რომელთაც შეუძლიათ მისი აგრესიის მოთოკვა. სამწუხაროდ, სწორედ ასეთი სისხლმოწყურებული კაციჭამიები და მათ ზურგს უკან მდგარი გაუმაძღარი კორპორაციები განაგებენ ამერიკას და ეს შეიძლება ძალიან ცუდად დამთავრდეს არამარტო შეერთებული შტატების, არამედ მთელი კაცობრიობისთვის.

გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“,
2013 წ., სექტემბერი

II ნაწილი

2001 წ., სექტემბერი

«ამერიკამ უნდა შეცვალოს თავისი საგარეო პოლიტიკა»

— ბატონო ალექსანდრე, როგორ შეაფასებთ ნიუ-იორკში 11 სექტემბერს მომხდარ ტერაქტს?

— ეს იყო გაუგონარი ტრაგედია. ამერიკაში ბევრი მეგობარი და კოლეგა მყავს. მთელი ღამე არ მეძინა, ვცდილობდი, ყველას დავკავშირებოდი, რადგან ვიცოდი, სავაჭრო ცენტრში ჩემი მეგობრებიც დადიოდნენ. პირადად ჩემთვის ეს დიდი ტრაგედიაა. დაიღუპა ათასობით უდანაშაულო ადამიანი. სწორედ ამიტომ საჭიროა, დღეს ითქვას: ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა შეცვალოს საგარეო პოლიტიკა.

ის, რაც მოხდა, ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტერორისტული აქტია მსოფლიოს ისტორიაში. მასშტაბი წარმოუდგენლად დიდია, რაც იმის მაჩვენებელია, რამდენად დამანგრეველი და ტრაგიკული შეიძლება იყოს ტერორისტთა მოქმედება. ამიტომაც არის, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ცივილიზებულ საზოგადოებაში ყველაზე აქტუალურ საკითხად არის მიჩნეული. სამწუხაროდ, თვითონ აშშ ძალიან ხშირად უგულებელყოფდა ამ ბრძოლის აუცილებლობას.

— ამგვარ მკვეთრ განცხადებას მკვეთრი არგუმენტები სჭირდება.

— კი, ბატონო. ეს ის ქვეყანაა, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ იქცა ერთადერთ ზესახელმწიფოდ. მის ისტებლიშმენტში გაიმარჯვა კონცეფციამ, რომლის თანახმადაც, აშშ უნდა იყოს მსოფლიოს ხელმძღვანელი, მსოფლიოს მმართველი.

— ბუშის ხელისუფლებას გულისხმობთ?

— არა მარტო; ადრეც იყო ამისი საწყისები, თუმცა ბოლო ათი წლის განმავლობაში პოლიტიკურ ელიტაში განსაკუთრებულად გამყარდა აზრი, რომ ამერიკამ უნდა მართოს მსოფლიო, რომ მას აქვს უფლება, ესა თუ ის სტატუსი მიანიჭოს ნებისმიერ ქვეყანას. მაგალითად, მას შეუძლია დემოკრატიული უწოდოს იმ ქვეყანას, რომელიც მის მიმართ კეთილგანწყობილია. ხდება პირიქითაც, სახელმწიფო შეიძლება დემოკრატიულია ან მასთან მიახლოებული, მაგრამ, თუ თბილი ურთიერთობები არ აქვს აშშ-თან, მას არადემოკრატიულად გამოაცხადებენ.

ამერიკას ცალსახად მიაჩნია, რომ მსოფლიო უნდა შეეგუოს მის მიდგომებს, გადაწყვეტილებებს. **ამერიკელების მცდელობა, ჩაერიონ ქვეყნის საშინაო საქმეებში, ნებისმიერი რეგიონის პრობლემატიკაში და მართონ სამხედრო-სტრატეგიული პროცესები, მიუღებელი აღმოჩნდა მთელი მსოფლიოსთვის და სწორედ ამან გამოიწვია მასშტაბური უკმაყოფილება. ეს შეეხება არა მარტო ახლო აღმოსავლეთს, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას, არამედ ევროპასაც. ევროპა მივიდა იმ ზღვრამდე, როცა უკვე აუტანელია ამერიკის ჟანდარმის როლი და ფუნქცია.**

ამერიკა დაჟინებით ცდილობს, ხაზი გაუსვას იმას, რომ ევროპაში სტაბილურობის შესანარჩუნებლად აუცილებელია მისი შეიარაღებული ძალები. სწორედ ამ მტკიცებას მოჰყვა ბალკანეთის კრიზისი, რომელიც ბევრად ტრაგიკული იყო სერბი ხალხისთვის, ვიდრე ეს ტერორისტული აქტი. ასე რომ, აშშ ქმნის ვითარებას, რომლის მსხვერპლიც თვითონ ხდება.

დღეს ჩვენ ვლაპარაკობთ ერთ ტერორისტულ აქტზე, მაგრამ მოვა დრო, როცა ამერიკას საკუთარი იმპერიალისტური პოლიტიკა უკან შეუბრუნდება და ტრაგიკულ შედეგამდე მივა.

— დემოკრატიის ჟანდარმი არ შეიძლება არსებობდეს?

— ჟანდარმი დემოკრატი ვერ იქნება. ამერიკელებს რატომღაც ჰგონიათ, რომ დემოკრატიის ის მოდელი, რაც მათთვის არის მისაღები, მისაღები უნდა იყოს მთელი მსოფლიოსთვის. ამის შესაბამისად, მათთვის წარმოუდგენელია, რომ ნებისმიერ ერს შეიძლება ჰქონდეს თვითმყოფადობა, საზოგადოების არსებობის საკუთარი კანონები. მათ მიაჩნიათ, რომ აუცილებელია ერების უნიფიცირება და ამის მიღწევა მათი მსოფლიო ამოცანაა. მსოფლიო არ შეეგუება ამ მიდგომას და ყოველთვის შეეწინააღმდეგება. ამ შეურიგებლობის მსხვერპლი კი შეიძლება გახდეს არა მარტო ამერიკა, არამედ მთელი მსოფლიო.

— მაგრამ ეს წინააღმდეგობა ამ ათი წლის წინათ საბოლოოდ დაიშალა...

— თუ გაიხსენებთ, ედუარდ შევარდნაძე იმ პერიოდის შესახებ ხშირად უსუსურ არგუმენტებს გვთავაზობს, როცა ამტკიცებს, რომ „პერესტროიშჩიკებთან“ ერთად დაშალეს ერთ-ერთი ზესახელმწიფო და ამით თავიდან აიცილეს მესამე მსოფლიო ომი. ეს არის უსუსური თეზისი. პირიქით, როდესაც არსებობდა ორი ცენტრი, ისინი ერთმანეთს ანეიტრალებდნენ და აწონასწორებდნენ ვითარებას. როცა მეორე მხარე გაქრა, აუცილებელი იყო ისეთი მექანიზმების შექმნა, რომლებიც აღადგენდა ძველ ბალანსს. ეს ვერ მოხერხდა.

— ეს ვითარება არ გაუთვალისწინებია ამერიკას?

— ის, ვინც ამას აკეთებდა, აკეთებდა არა მარტო უნიჭოდ, არამედ პასუხისმგებლობის გარეშეც. ესეც ბუნებრივი იყო, რადგან გორბაჩოვიც და შევარდნაძეც პროვინციული აზროვნების და დაბალი განათლების ადამიანები არიან.

— ამერიკელებიც?

— სხვათა შორის, ამერიკული მხარეც. თავის დროზე ამერიკის ინტელექტუალურ ელიტაშიც არა ერთხელ დაისვა ეს საკითხი: ჩვენ არ უნდა დავშალოთ ის მეორე ძალა, თუ არ მოვიფიქრებთ სანაცვლო სისტემას, ანუ ურ-

თიერთთანასწორობის მექანიზმებს. ეს იქნებოდა მსოფლიო უსაფრთხოების ახალი სისტემა. მაშინ ეს კონცეფცია არ მიიღეს.

— მაგრამ ბალანსირების ფუნქცია სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებსაც შეუძლიათ იკისრონ.

— ამის მტკიცება სასაცილოზე სასაცილოა. გაერო თავის დროზე იყო ადგილი, სადაც საბჭოთა კავშირსა და ამერიკას შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკებები. სხვა ფუნქცია გაეროს არ ჰქონია. როგორც კი მეორე ძალამ შეწყვიტა არსებობა, გაერომ ეს ფუნქციაც დაკარგა. ის საბრალო კოფი ანანი, რომელიც ერთი ქვეყნიდან მეორეში დადის, უსუსურია და სხვა არაფერი.

არავის, ვინც ოთხმოციანი წლების დასასრულსა და 90-იანი წლების დასაწყისში წყვეტდა მსოფლიოს ახალი გადანაწილების საკითხებს, არ ეყო ინტელექტუალური ძალა, სრულყოფილად მოეგვარებინა პრობლემა. სწორედ ამან შექმნა მესამე მსოფლიო ომის რეალური პერსპექტივა და, თუ დროზე ვერ მოიძებნა ის მექანიზმები, რომლებიც ამ ძალებს გააწონასწორებს, მესამე მსოფლიო ომი გარდაუვალია.

— რატომ? რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?

— ერთი ქვეყანა, როგორი ძლიერიც უნდა იყოს, ვერ შეძლებს მსოფლიო უსაფრთხოების დაცვას. ამის მაგალითია ის კატასტროფა, რომელიც ნიუ იორკსა და ვაშინგტონში მოხდა.

წლების განმავლობაში ამერიკელები აფინანსებდნენ ტერორისტებს თითქმის მთელ მსოფლიოში — თალიბებს ავღანეთში ამერიკა აფინანსებდა, ინდოეთში ტერორისტულ ორგანიზაციებს ამერიკელები აფინანსებდნენ, მთელ მსოფლიოში ფუნდამენტურ ორგანიზაციებსაც ისინი უწყობდნენ ხელს. იმავეს აკეთებდნენ პოსტსაბჭოთა სივრცეში სხვადასხვა ქვეყნის ხელით, მაგრამ კონტროლს მაინც ამერიკული დაზვერვა ახორციელებდა.

გახსოვთ ირანგეიტის გახმაურებული ამბები? ირანისთვის მიყიდულ იარაღში აღებული ფული მთლიანად ნიკარაგუის ტერორისტებთან წავიდა. შემდეგ მოჯაჰედები, მათი ომი ავღანეთის მთავრობის წინააღმდეგ. აშშ-მა 3 მილიარდი დოლარი ჩადო ამ ომში, 10 მილიარდი გაიღეს კოლუმბიის ნარკობარონებმა. ნახეთ, რა კამპანიაში და ვისთან ერთად მოქმედებს ამერიკა. ავიღოთ, თუნდაც ავღანეთის ცნობილი ლიდერი ჰეკმატიარი. იგი ნარკობიზნესის მეფეა. ამერიკაში შესული ჰეროინის ერთი მესამედი ავღანეთიდან მიდის. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო მას 1994 წლამდე აფინანსებდა, მერე თალიბებზე გადაინაცვლა და მათი დაფინანსება დაიწყო. გაიხსენეთ ინდონეზია, რამდენჯერ მოუწყო ამერიკამ ტერაქტი კანონიერ პრეზიდენტს, რომელსაც ხალხი აღმერთებდა. ამ მაგალითების ჩამოთვლა დაუსრულებლად შეიძლება.

— მაგრამ თუ ოპონენტი გეტყვით, რომ თქვენ მიერ დასახელებულ ყველა ქვეყანაში ამერიკა დემოკრატიას იცავდა?

— ვერ დაგეთანხმებით. მაშინ გაიხსენეთ საშინელი მაბადუ ზაირში. ის იყო ნამდვილი დიქტატორი, მაგრამ აშშ მხარს უჭერდა. უჭერდა იმიტომ, რომ ამნაირი ტერორისტები ურჩევნია იმ დამოუკიდებელი ქვეყნის ხელმძღვანელობას, რომელთაც ამერიკის დიქტატი თვალში არ მოსდით. გამოდის, რომ ამერიკა ამჯობინებს ტერორისტს, თუ ის თავისიანი ტერორისტია. ერთხელ ამერიკის პრეზიდენტმა ერთ-ერთი ქვეყნის ლიდერზე ასეთი რამ თქვა: მართალია, ის მამაძაღლია, მაგრამ ჩვენი მამაძაღლიო. ეს მიდგომა უნდა გამოირიცხოს აშშ-ის საგარეო პოლიტიკიდან. ეს არ არის მარტო ჩემი აზრი. ასე ფიქრობს დღეს ამერიკული ისტებლიშმენტის დიდი ნაწილი.

თქვენ ნახავთ ძალიან მალე, როგორ შეიცვლება საზოგადოების დამოკიდებულება ბუშის ხელისუფლებისა და საგარეო პოლიტიკის მიმართ.

ჩვენ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ამერიკა სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა ქვეყანაზე აწარმოებდა თავდასხმას. ხშირად აცხადებენ, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ომი არ ყოფილაო. იყო და, სხვათა შორის, არცთუ ცოტა — 70 ომი. უმეტეს მათგანში მონაწილეობდა აშშ. კაცობრიობის წინაშე ჩადენილია ისეთი დანაშაული, რომელიც არ წაიშლება კაცობრიობის მეხსიერებიდან: ხიროსიმა, ნაგასაკი, ვიეტნამი, პანამა, ერაყი... რატომ ერევი შენ? იმ ხალხს ჰყავს ის ხელისუფლება, რომელიც მოსწონს და უნდა. რაღა შორს მივდივართ, გაიხსენეთ, რა იყო საქართველოში 1992 წელს. ზვიად გამსახურდია, მოსწონდა თუ არა ამერიკას, ხალხის მიერ იყო არჩეული, მხოლოდ ხალხის ნებით უნდა წასულიყო ხელისუფლებიდან. არა, ამერიკამ და მისი ზეწოლით რუსეთმაც მიიჩნიეს, რომ უფლება აქვთ, ჩაერიონ საშინაო საქმეებში და გააძევონ ქვეყნიდან პრეზიდენტი.

აი, ასეთი მიდგომებით ცხოვრობს ამერიკა, სამაგიეროდ, აცხადებს, რომ ცხოვრობენ დემოკრატიის პრინციპებით და საერთოდაც, ეს ქვეყანა დემოკრატიის ციტადელია.

მათი დემოკრატია ვილაცისთვის არადემოკრატიაა. ეს ორმაგი სტანდარტები დაღუპავს ყველაფერს. კიდევ უნდა გავიხსენოთ ერთი მაგალითი: ჰაიტი. რა იყო ეს, მხოლოდ შიდა კონფლიქტი და არავის უქმნიდა რეგიონში საფრთხეს, მაგრამ ამერიკელები მაინც შევიდნენ... ისევე, როგორც სომალიში. აღარაფერს ვამბობ სერბეთზე. აიღეს და დაბომბეს ევროპის ცენტრი, ხალხი, ცივილიზებული ქვეყანა. დახოცეს ათასობით მშვიდობიანი მოსახლე, გაანადგურეს მართლმადიდებლური ეკლესიები. ამის მიუხედავად, ერთ-ერთი პირველი, ვინც ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა, იყო ედუარდ შევარდნაძე, მართლმადიდებელი ადამიანი. გაითვალისწინეთ ისიც, რომ ბომბავდნენ იმ ბომბებით, რომლებიც აკრძალულია, რაკი ურანს შეიცავს.

— ეს თქვენი ანტიამერიკული განწყობაა?

— არანაირად, მე არ მახასიათებს ანტიამერიკული განწყობები. პატივს ვცემ ამერიკულ კულტურას, მაგრამ არ მინდა, ეს კულტურა ჩემს ქვეყანაშიც გაბატონდეს. ჩემი კულტურა ბევრად მნიშვნელოვანი მგონია.

— შეიძლება თუ არა, ამ ტერაქტს ამერიკისგან მოჰყვეს საპასუხო მოქმედებები სხვადასხვა რეგიონში?

— ამერიკელები არ არიან გენეტიკურად მებრძოლები. მათ ბევრად ურჩევნიათ, საკუთარ ხელისუფლებას მოსთხოვონ, შეცვალოს ის პოლიტიკა, რომელიც ასეთ ტერორისტულ მოქმედებებს იწვევს, ვიდრე მტერს დაუწყონ შებრძოლება.

ერთი დოკუმენტიდან რამდენიმე ნაწყვეტს შემოგთავაზებთ და ამით ბევრი რამ იქნება ნათქვამი. ეს არის ამერიკის უსაფრთხოების სტრატეგია XXI საუკუნეში. ნახეთ, რა ტერმინებია მასში გამოყენებული: **ამერიკული გლობალური ლიდერობა, ამერიკული სამხედრო აღმატებულება და მისი შენარჩუნება, ამერიკამ უნდა გაავრცელოს საკუთარი ღირებულებები მთელ მსოფლიოში, ჩვენ შეგვიძლია და ვალდებულნი ვართ შევინარჩუნოთ ამერიკის წამყვანი როლი...** აი, ამის წინააღმდეგი ვარ სწორედ, ისევე, როგორც ნებისმიერი ერის ნორმალური წარმომადგენელი.

ამიტომ ვამბობ, რომ ამერიკამ უნდა შეცვალოს საგარეო პოლიტიკა და შეეგუოს იმ ამბავს, რომ მსოფლიოში არსებობენ დამოუკიდებელი სახელმწიფოები, თავისუფალი ერები, რომლებსაც აქვთ ეროვნული თვითმყოფადობა, განვითარების საკუთარი გზა და ტრაექტორია.

გაზეთი „დილის გაზეთი“
2001 წ., სექტემბერი

ალექსანდრე ყაჭია

2001 წ., დეკემბერი

მოხსენება პოლიტიკური გაერთიანება «ერთობის» II ყრილობაზე

ძნელია ქართველი კაცისთვის დღევანდელ პირობებში მყოფ საქართველოში პოლიტიკური მოხსენების გაკეთება, ვინაიდან შექმნილი კატასტროფული მდგომარეობის ანალიზი დიდად სამწუხარო და მტკივნეული მეცადინეობაა. ბოლო წლების განმავლობაში ქართული საზოგადოება დღითიდღე სულ უფრო რწმუნდება იმაში, რომ ახლანდელი ხელისუფლების მიერ ქვეყნის განვითარების აღებული კურსი დანაშაულებრივად მცდარია, თავისი შედეგებით ტრაგიკულია, ქვეყნისთვის და ქართველი ერისთვის დამღუპველია. ამ სიმძიმის მიუხედავად, ვალდებული ვარ, ჩვენი ისტორიის უკანასკნელი ათწლეულის ზოგიერთ ასპექტს, შედეგს და მაჩვენებელს შევეხო, ვინაიდან ჩვენს ცხოვრებაში მომხდარი მოვლენების განხილვის გარეშე შეუძლებელია პერსპექტივებზე მსჯელობა.

საქართველოს მდგომარეობის ძირითადი მაჩვენებლების ობიექტური ანალიზი და მსოფლიო პრაქტიკაში მიღებულ მაჩვენებლებთან მათი შედარება მოწმობს, რომ ჩვენ, დიდი ხანია, გადავაბიჯეთ იმ ზღვარს, რომელსაც მოჰყვება ქვეყნის დეინდუსტრალიზაცია, იმპორტზე სტრატეგიული დამოკიდებულება, ეკონომიკის კოლონიურ-სანედლეულო სტრუქტურად ჩამოყალიბება, მისი ტექნოლოგიური ჩამორჩენა, ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალის დაშლა. სხვადასხვა კატეგორიის მოქალაქეთა შემოსავლის თანაფარდობა, სიღატაკის ზღვარს მიღმა მცხოვრები მოსახლეობის წილი, უმუშევრობის დონე

მიუთითებს სოციალური ცხოვრების მკვეთრ ანტაგონიზაციაზე, მოსახლეობის ლუმპენიზაციაზე, მუშახელის დეკვალიფიკაციაზე, მოსახლეობის სოციალურად დაჩაგრული კატეგორიების არნახულ ზრდაზე. შობადობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლები, მოსახლეობის საერთო რაოდენობაში მოხუცთა რიცხვი მოწმობს ინტენსიურ დეპოპულაციას, თაობათა მარტივი ცვლის არარსებობასაც კი, საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობის მკვეთრ დაქვეითებას, ქვეყნის მოსახლეობის კატასტროფულ დაბერებას. გარდა ამისა, ეკონომიკური სიდუხჭირით განპირობებული ემიგრაციის არნახული ტემპი ძირითადად შეეხო სწორედ მოსახლეობის ყველაზე შრომისუნარიან, კვალიფიციურ და რეპროდუქციულ ნაწილს. დანაშაულების, ნარკომანიის გავრცელების, ალკოჰოლის მოხმარების დონე, თვითმკვლელობათა რაოდენობა, ფსიქიკური პათოლოგიის გავრცელების ტემპი და ამის მაქსიმალურად დასაშვებ მაჩვენებლებთან შედარება მიუთითებს საზოგადოებრივ ურთიერთობათა კრიმინალიზაციაზე, მოსახლეობის ფიზიკურ დეგრადაციაზე, მასობრივი შეგნების დაცემასა და პიროვნების დაშლაზე.

გასული ათწლეულის ტრაგიკულ შედეგებზე მსჯელობისას წინა პლანზე გამოდის არსებული ხელისუფლების როლის საკითხი, მისი წარმოშობის, ჩამოყალიბების, არსის, მოღვაწეობის მიმართულების საკითხი. სწორედ ამ დღეებში სრულდება ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების სისხლიანი დამხობის 10 წლისთავი; ხელისუფლებისა, რომელიც ჩამოყალიბდა ქართველი ხალხის ისტორიაში პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი თავისუფალი არჩევნების შედეგად.

ადამიანებმა, რომლებიც ხელისუფლებაში ძალადობის, სისხლისღვრის გზით მოვიდნენ, საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ ტერორიზმი სახელმწიფო პოლიტიკის რან-

გში აიყვანეს. სამოქალაქო ომები, სადამსჯელო ოპერაციები, პოლიტიკურ ოპონენტთა დაპატიმრებები, მასობრივი ემიგრაცია — ყველაფერი ეს ხელისუფლების ხელში ძალით ჩაგდების კანონზომიერი შედეგია.

საზოგადოება ორ ნაწილად გაიყო: სახელისუფლო დაჯგუფებად, რომელსაც ყველაფრის უფლება აქვს და არაფერზე პასუხს არ აგებს, და ხალხის დანარჩენ ნაწილად, რომელიც ძარცვის, დამცირების, შეურაცხყოფის ობიექტია და რომელსაც ადამიანის ელემენტარული უფლებები არ გააჩნია.

სისხლიანი გადატრიალების გამო დისკრედიტებულ იქნა დემოკრატიული საზოგადოების ძირითადი ფასეულობა, რომელიც განაპირობებს თანამედროვე საზოგადოების დემოკრატიულ წყობას — არჩევის უფლება, არჩევითობის პრინციპის არსებობა უგულებელყოფილ იქნა ქართულ საზოგადოებაში და ეს ყველაფერი მოხდა მსოფლიო „დემოკრატიული“ საზოგადოების აქტიური მხარდაჭერის პირობებში.

ქართული საზოგადოება დარწმუნდა, რომ ე.წ. მსოფლიო თანამეგობრობა დემოკრატიულად თვლის არა იმ ქვეყანას, რომელშიც ხელისუფლება მოსახლეობის უმრავლესობის მიერ არის არჩეული და ხალხის მხარდაჭერით სარგებლობს, არამედ იმ ქვეყანას, რომელშიც ხელისუფლება მსოფლიო ძალების მითითებებს უსიტყვოდ ასრულებს, თუნდაც იმ ადამიანებს ძალაუფლება გადატრიალების, სისხლისღვრის და სამოქალაქო ომის შედეგად ჰქონდეთ მოპოვებული.

გადატრიალების შედეგად კატასტროფულად დაეცა საზოგადოების იმ ნაწილის ავტორიტეტი, რომელიც ხალხის ყველაზე დიდი ნდობითა და პატივისცემით სარგებლობდა და რომელიც დღეს „ელიტარულ ინტელიგენციად“ იწოდება. სისხლისმღვრელმა გადატრიალებამ, სამოქალაქო ომში აქტიურმა მონაწილეობამ, საკუთარი ხალ-

ხის ნების წინააღმდეგ მოქმედებამ ეს სოციალური ჯგუფი ქართულ ეროვნულ სხეულში უცხო ელემენტად აქცია. ამით დაირღვა ქართულ საზოგადოებაში საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ტრადიციული მოწიწებითი და მოფერებითი დამოკიდებულება ერის ამ წარმომადგენელთა მიმართ.

სისხლით მოსულმა ხელისუფლებამ თავისი ათწლიანი საქმიანობით „დაამტკიცა“, რომ XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დასაწყისში შესაძლებელია „დემოკრატიული იმიჯის“ მქონე კვაზისახელმწიფოს არსებობა, რომელშიც იგნორირებულია ადამიანის ყველა ძირითადი უფლება (სიცოცხლის, ხმის მიცემის, შრომის, საცხოვრებლის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის და სხვა უფლებები) და რომელიც ამავე დროს ევროპული ქვეყნის პრეტენზიას აცხადებს.

ახლანდელი ხელისუფლების მოღვაწეობის შედეგები თითქოს იმას მოწმობს, რომ ტრადიციულად მაღალი ინტელექტუალური პოტენციალის მქონე ქართველ ერს არ გააჩნია სათანადო შესაძლებლობები იმისათვის, რომ ინტელექტუალურად უზრუნველყოს პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური პროცესები საკუთარ სამშობლოში. ერთადერთი მიმართულება, რომლითაც მიმდინარეობს ახლანდელი ხელისუფლების საქმიანობა, არის ქართულ სინამდვილეში იმ პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური ინსტიტუტების, ცხოვრების იმ წესების, საზოგადოების ფუნქციონირების იმ ფორმებისა თუ მეთოდების ხელოვნური გადმოტანა, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში სხვა ქვეყნებში სხვა ერების მიერ იყო ჩამოყალიბებული და ამ ქვეყნების, ამ ერების ისტორიულ გზას, ისტორიულ გამოცდილებას, ეროვნულ ხასიათს შეესაბამება. ტოტალური მიბაძვა, ცხოვრების უცხო წესის, საზოგადოების მართვის უცხო ფორმების, ერის განვითარების უცხო პრინციპების ძალდატანებითი დანერგვა მი-

მართულია ქართველი ერის თვითმყოფადობის, ქართული ეროვნული სპეციფიკის, ტრადიციული სულიერ-ზნეობრივი ფასეულობების თანმიმდევრული მოსპობისკენ და ქართველთა უეროვნებო, უსახო მორჩილ ბრბოდ გადაქცევისკენ.

დამანგრეველი პოლიტიკა, ეკონომიკის დაშლა, საშინაო ომები, უცხო ფასეულობებისადმი სამარცხვინო მიბაძვა საფუძველს აძლევს მსოფლიო საზოგადოებას, იფიქროს, რომ ქართველ ერს არ ძალუძს დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს შექმნა, რომ ქართველობა ვერ ჩამოყალიბდა, როგორც სრულფასოვანი ერი, და მას დამოუკიდებელი განვითარებისთვის საჭირო პოტენციალი არ გააჩნია.

ანალიზი მოწმობს, რომ საყოველთაო სისტემური კრიზისი, რომელშიც ბოლო წლების განმავლობაში იმყოფებოდა საქართველო, რეალურ კატასტროფაში გადაიზარდა. ქვეყნის სავალალო მდგომარეობის ძირითად მიზეზს წარმოადგენს ბოლო წლებში გატარებული „რეფორმების კურსი“, რომელიც სრულიად უგულებელყოფს მსოფლიო ეკონომიკური განვითარების ძირითად ტენდენციებს, მეცნიერების რეალურ მიღწევებს, საქართველოს სამეურნეო კომპლექსის სპეციფიკას, ქართველი ხალხის კულტურულ თავისებურებებსა და ტრადიციულ ფასეულობებს. მიმდინარე „რეფორმები“ უპირისპირდება ქართული ისტორიის მსვლელობას, მოქალაქეთა უმრავლესობის ნებას, კონკრეტული ადამიანის ინტერესებს.

საზოგადოებაში ხშირად გაისმის, რომ საქართველოს თავის ისტორიაში ახლანდელზე გაცილებით უფრო მძიმე პერიოდები გადაუტანია. მთელი პასუხისმგებლობით მინდა განვაცხადო, რომ ბოლო ათწლეული საქართველოს ისტორიაში ყველაზე ტრაგიკული პერიოდია, თუნდაც სამი ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით:

პირველია საქართველოს ახლანდელი დაშლა და ქარ-

თველი ერის მიერ ისტორიული ტერიტორიების დაკარგვა. ქართველი ხალხის ისტორიაში ტერიტორიული დაქუცმაცებულობის ხშირი და გრძელვადიანი პერიოდების ახლანდელ დაშლასთან შედარებაც არ შეიძლება, ვინაიდან ფეოდალური დაქუცმაცებულობის პერიოდში საქართველო იშლებოდა რამდენიმე ჯუჯა სახელმწიფოდ (სამეფო იყო, სამთავრო თუ საათაბაგო), მაგრამ ყველა ეს ჯუჯა სახელმწიფო ქართული იყო, მათ ქართველები მართავდნენ, იქ ქართველი ხალხი ცხოვრობდა, ვითარდებოდა ქართული ენა, ქართული კულტურა, ქართული ტრადიციები, ე. ი. ტერიტორიული დაქუცმაცებულობის მიუხედავად, ქართველი ერი მთლიანობაში საკუთარ ისტორიულ ტერიტორიაზე ცხოვრობდა და ვითარდებოდა. დაშლის ახლანდელი, შევარდნაძისეული მოდელი თვისობრივად განსხვავდება იმ ფეოდალური დაქუცმაცებულობისგანაც კი, ვინაიდან ისტორიულ ქართულ ტერიტორიაზე შეიქმნა არაქართული სახელმწიფო წარმონაქმნები, რომლებსაც არაქართველები მართავენ, სადაც ქართველობა სრულფასოვნად აღარ ცხოვრობს, აღარ ვითარდება ქართული კულტურა, ტრადიცია, წეს-ჩვეულება, ე. ი. ქართველი ერის არეალი მკვეთრად არის შემცირებული. ასეთი სახის ტრაგედია ქართველობამ ისტორიაში პირველად განიცადა.

მეორე ფაქტორი, რომელიც დღევანდელ პერიოდს გაცილებით უფრო ტრაგიკულს ხდის, ისტორიის სხვა პერიოდებთან შედარებით, ესაა **ქართველთა მასობრივი ემიგრაცია**, რომლის მსგავსი ქართველი ერის ისტორიას არ ახსოვს. ქვეყნის ხელმძღვანელობამ ისეთი სოციალურ-ეკონომიკური და სულიერ-ზნეობრივი პირობები შეუქმნა საკუთარ ხალხს, რომ ქართველები, რომლებსაც არასოდეს სრულფასოვანი დიასპორაც კი სხვა ქვეყანაში არ ჰქონიათ, დღეს ასიათასობით ტოვებენ სამშობლოს და თავშესაფარს ეძებენ სხვა ქვეყნებში.

მესამე გარემოება, რომელიც ქართველობას უმძიმეს მდგომარეობაში აყენებს: ნებისმიერი მძიმე პერიოდი ქართველთა ისტორიაში გარე მტრის შემოტევით, გარედან მომართული დამანგრეველი ძალით იყო განპირობებული. ქართველი კაცი ნათლად ხედავდა, ვინ, საიდან და რა მიზნით ცდილობდა საქართველოს ნგრევას და ქართველობის მოსპობას. დღეს კი, ამ თვალსაზრისითაც თვისობრივად სხვა მდგომარეობაა, ვინაიდან **დამანგრეველი ძალა ქვეყნის შიგნითაა, დამანგრეველი ძალა ქვეყნის მმართველობაშია, რაც ქართველი კაცის მდგომარეობას კიდევ უფრო ტრაგიკულს ხდის.** დაიბნა ქართველი კაცი, რადგან უჭირს მას მისივე ძმაში, ქართველში ქვეყნის დამანგრევლის დანახვა. სწორედ ამიტომ გავრცელდა ასე მცდელობები, როდესაც ხალხი პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებში არაქართულ ფესვებს ეძებს, ვინაიდან სხვანაირად ვერ ხსნის მათი ანტიეროვნულობის მიზეზს, არ უნდა ქართველს, დაიჯეროს, რომ მისივე მოძმის ხელით ინგრევა, იშლება და იყიდება ჩვენი სამშობლო.

გასული ათწლეულის პერიოდში მიმდინარეობდა ქართველი ერის მიზანმიმართული, თანმიმდევრული გენოციდი, რომელიც განხორციელებული იქნა არა მარტო სამოქალაქო ომების გაჩაღებით, ტერიტორიების დაკარგვით, ასიათასობით თანამემამულეთა დევნილებად გადაქცევით, საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ ჩატარებული სადამსჯელო ოპერაციებით, არამედ ისეთი სოციალურ-ეკონომიკური პირობების შექმნის გზითაც, როდესაც ხდება ერის დაშლა და მისი ფიზიკური განადგურება. მოგეხსენებათ, რომ გაეროს შესაბამისი კონვენციის მიხედვით, გენოციდი არა მხოლოდ ამა თუ იმ ეროვნული, ეთნიკური ჯგუფის წევრთა მკვლელობაა, არამედ მათთვის ისეთი პირობების შექმნაც, რომლებიც ერის განადგურებას იწვევს.

ქართული საზოგადოების რეფორმირების საფუძველში ჩადებულ იქნა სოციალური მითები, რომლებმაც მსოფლიოს მრავალი ქვეყნის პრაქტიკაში დაამტკიცა თავისი უსუსურობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უსიტყვოდ მიღებულ იქნა სახელმძღვანელოდ მმართველი პოლიტიკური ელიტის მიერ.

საქართველოს კატასტროფული ეკონომიკური მდგომარეობის ძირითად მიზეზს წარმოადგენს ჩვენი საზოგადოებისთვის თავსმოხვეული აზრი იმის შესახებ, რომ ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია მიაღწიოს კეთილდღეობის ამერიკულ დონეს, თუ შემოიღებს საბაზრო ეკონომიკის დასავლურ მოდელს, უარყოფს ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებას, დაგეგმვას და ა.შ. რეფორმატორთა ყველაზე გავრცელებული დევიზი გახდა: „ბაზარი თავისთავად მიგვიყვანს კეთილდღეობამდე“, „ბაზარი ეკონომიკის საუკეთესო რეგულატორია“, „იქნება ბაზარი — ვიცხოვრებთ, როგორც ამერიკაში“. ამასთანავე, არავის არაფერი უთქვამს იმაზე, რომ ბაზარი არსებობს არა მარტო ამერიკასა და საფრანგეთში, არამედ ზიმბაბვეში და სომალიშიც, სადაც ხალხი შიმშილით იხოცება. არავინ არ ჩაფიქრებულა იმაზე, თუ რატომ მიიყვანა საბაზრო ეკონომიკის ე. წ. უნივერსალურმა პრინციპებმა ეკონომიკურ კეთილდღეობამდე ქვეყნების მხოლოდ მცირე ჯგუფი, რომლებიც დედამიწის მოსახლეობის მხოლოდ 1/5 შეადგენენ და საბაზრო ეკონომიკამ სიღატაკიდან რატომ ვერ გამოიყვანა კაცობრიობის დიდი უმრავლესობა. მაგრამ კოლოსალურმა პროპაგანდისტულმა მანქანამ, რომელიც წლების განმავლობაში საზოგადოებრივ აზრს ამზადებდა დასავლეთის, როგორც იდეალის, ხოლო საბაზრო ეკონომიკის დასავლური ტიპის, როგორც უნივერსალურის და ერთადერთი სწორი მოდელის აღიარებისთვის, ისეთი სიძლიერით დაატყდა თავს ჩვენი საზოგადოების შეგნებას, რომ მსგავსი კითხვები მოსახლე-

ობის აბსოლუტურ უმრავლესობაში არც კი წარმოიშვა. იმაზეც კი არავის უფიქრია, რომ ჩვენთვის თავსმოხვეული საბაზრო ეკონომიკის ტიპი არსებული სოციალური გარანტიების მთელ სისტემას გააუქმებს, ხოლო ე.წ. შოკური თერაპიის მეთოდი ითვალისწინებს სამრეწველო საწარმოების უმრავლესობის დახურვას, კოლოსალურ უმუშევრობას და ა. შ. მარტივად რომ ვთქვათ, მოსახლეობის ძირითადი ნაწილი თვლიდა, რომ ყველაფერი, რაც სოციალისტურ სისტემაში არსებობდა — უფასო განათლება, უფასო ჯანმრთელობის დაცვა, სოციალური უზრუნველყოფის სისტემა და ა.შ., შენარჩუნებული იქნება და ამას მხოლოდ დაემატება ერთი-ორი „მერსედესი“ და ზღვის პირას აგარაკი.

ძალზე უარყოფითი, ანტიეროვნული როლი ამ პერიოდში შეასრულეს იმ ჩვენმა თანამემამულეებმა, რომლებიც ამ პროვოკაციული პროპაგანდის ტალღაზე მოვიდნენ ქართულ პოლიტიკაში და არც მინიმალური ცოდნა, არც გამოცდილება, არც მსოფლიოში მიმდინარე პროცესების გაგება ამ ხალხს არ გააჩნდა. სწორედ ეს ჯგუფი შეადგენს, სამწუხაროდ, ახლანდელ პოლიტიკურ ელიტას და „რეფორმატორს“ უწოდებს თავს. მე მათ პოლიტიკურ პროვინციელებს ვეძახი. არსებობს პროვინციალიზმის ორი ტიპი: პირველს მიეკუთვნება ის ხალხი, რომელიც სრულიად დაკმაყოფილებულია საკუთარი მიკროსამყაროთი, არავითარი სიახლე არ სურს, არ ცნობს და არ იღებს არავითარ უცხო ნოვაციებსა თუ ფასეულობებს. პროვინციელთა მეორე ტიპი, პირიქით, ორიენტირებულია მხოლოდ უცხო საზოგადოებრივ ფასეულობებზე, უარყოფს საკუთარ ისტორიულ გზას, ეზიზღება ეროვნული მენტალიტეტი, ტრადიციული სპეციფიკური თავისებურებები. სწორედ ამ მეორე ტიპის პროვინციელები ახორციელებენ დღეს ქართული საზოგადოების „რეფორმირებას“.

ამ სამარცხვინო პროვინციალიზმის შედეგად ჩვენმა ხელისუფალმა მთელი შიდა ბაზარი უცხოელებს დაუთმო, ქალაქის ენერგოსისტემა უცხოელებს მიჰყიდა, საბაჟოზე კონტროლი უცხოელებს გადასცა, ქვეყნის ეკონომიკის რეფორმირების საქმე უცხოელს მიანდო. ამას თურმე დამოუკიდებლობა ჰქვია.

დასავლური ეკონომიკის კანონების უნივერსალობის შესახებ ბოდვითი იდეა, რომელმაც ჩვენს სოციალურ-ეკონომიკურ სინამდვილეში მართვის დასავლური ტექნოლოგიების და საკანონმდებლო ბაზისაც კი მექანიკური გადმოტანა განაპირობა, ყველა დონეზე და ყველა ასპექტში სრულიად დისკრედიტებულ იქნა. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. ელემენტარულ მაგალითს მოვიყვან: ჩემი ამერიკელი მეგობარი რამდენიმე წლის წინ აპირებდა თბილისში მსხვილი წარმოების გახსნას (მართალია, შემდგომში, როდესაც მისგან, მისივე ინვესტიციის ოცდაათი პროცენტი ნაღდი ფულით და შემოსავალში წილიც მოსთხოვეს, მან, შეშფოთებულმა, ამ იდეაზე უარი თქვა). ერთხელ დავესწარი თათბირს, რომელზეც იგი წინასწარ ანგარიშებს აკეთებდა. როდესაც თანამშრომლების მიერ გაცდენილი სამუშაო დღეების შესაძლო რაოდენობას ითვლიდა, დაასახელა 1 თანამშრომელზე წელიწადში საშუალოდ 10 დღე ავადმყოფობის გამო. ეს დასავლეთში მიღებული ნორმა ყოფილა. მე ჩავერიე საუბარში და ვთქვი, რომ ავადმყოფობის გარდა, თანამშრომლებს ექნებათ სამუშაოს გაცდენის სხვა მიზეზიც და ავუხსენი, რომ ჩვენთან არ არის ისეთი ადამიანი, რომელიც წელიწადში 3-ჯერ მაინც არ მიემგზავრება სხვა ქალაქსა თუ სოფელში — ქორწილში, გასვენებაზე, წლისთავზე და ა.შ. ყოველი ასეთი მოგზაურობა საშუალოდ 3 დღეს იკავებს. გარდა ამისა, არ არის ადამიანი, რომელიც თვით თბილისში, წელიწადში 5-6-ჯერ არ წავიდეს პანაშვიდზე ან დასაფლავებაზე, რაც სამშაბათობითა და ხუთშაბათობით ხდება

ხოლმე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დღის მეორე ნახევარს ეს თანამშრომელი გააცდენს. გაკვირვებულმა ამერიკელმა მიპასუხა, რომ ეს არ შეიძლება, ვინაიდან შრომითი კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებულიო. მე მომიწია ახსნა, რომ კანონმდებლობის გარდა, ქართველებს გააჩნიათ ნორმების, ტრადიციული წესების მთელი სისტემა, რომელიც აუცილებლად გასათვალისწინებელია ეკონომიკურ საქმიანობაშიც. ამერიკელმა ეს გაიგო, მაგრამ დღემდე, სამწუხაროდ, ვერ გაიგეს ქართველმა „რეფორმატორებმა“.

ღიმილს იწვევს, როდესაც მაღალი ტრიბუნიდან ეკონომიკური კრიზისის მთავარ მიზეზად კორუფციას ასახელებენ. ეს მხოლოდ უვიცმა შეიძლება თქვას. **კორუფცია მიზეზი არ არის. კორუფცია არის შედეგი.** პოსტსოციალისტურ ეკონომიკაში რეგულირების ყოველგვარი მექანიზმის გარეშე ხელოვნურად გადმოტანილი დასავლეთის ეკონომიკური მოდელი, ერთის მხრივ, არსებული სამეურნეო კომპლექსის პარალიზებას და გარედან ფინანსური ინიექციების მუდმივ აუცილებლობას იწვევს, რაც მეორე მხრივ, აუცილებლად ბადებს კორუფციას და გარდაუვალი ხდება ქვეყნის გადაქცევა კორუმპირებულ კოლონიურ პროვინციად. ამასთანავე, **საგარეო ფინანსურ დახმარებასა და სურსათის იმპორტზე სრული სტრატეგიული დამოკიდებულება, გარდა იმისა, რომ სრულ ეკონომიკურ სიდუხჭირემდე მიგვიყვანა, აუცილებლად მიგვიყვანს გარეშე ძალების ულტიმატუმამდე: ან შეგიწყვეტთ დახმარებას და შიმშილით დაიხოცებით, ან ტერიტორიის ნაწილი ნებაყოფლობით დაგვითმეთო.** ტერიტორიაზე ვამახვილებ ყურადღებას იმიტომ, რომ ამ მუქარით დანარჩენი ყველაფერი უკვე წაგვართვეს. **ჩვენ ის ქვეყანა ვიქნებით, რომლის მიმართ მსოფლიო ძალები საერთაშორისო ზეწოლის ორივე მექანიზმს გამოიყენებენ: „მშვიდობა ტერიტორიის სანაცვლოდ“, რაც უკვე**

თავს გადაგვხდა და კიდევ გველის, და „პური ტერიტორიის სანაცვლოდ“, რაც ასევე მოსალოდნელია. ამგვარად, ჩვენს ეკონომიკურ მდგომარეობაზე დამოკიდებულია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობაც და ქართველი ერის ფიზიკური გადარჩენაც.

ჩვენი უვიცი პოლიტიკური ელიტის ბრალია ის, რომ ქვეყნის ე. წ. რეფორმირების პროცესში არ იქნა გათვალისწინებული თანამედროვე მსოფლიოს სპეციფიკა, კერძოდ ის, რომ მსოფლიო პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების საფუძველში დევს თანამედროვე ეპოქის მთავარი გლობალური წინააღმდეგობა, რომელსაც სპეციალისტები „ჩრდილოეთსა“ და „სამხრეთს“ შორის წინააღმდეგობას ეძახიან, სადაც „ჩრდილოეთს“ განვითარებული ქვეყნების ჯგუფი, ე. წ. ოქროს მილიარდი წარმოადგენს, რომელიც მსოფლიო რესურსების უმეტეს ნაწილს მოიხმარს, ხოლო „სამხრეთი“ მთელი დანარჩენი სამყაროა. ჯერ კიდევ 20 წლის წინ ცნობილმა „რომის კლუბმა“ გათვალა, რომ დედამიწის მოსახლეობის 20%-ის მდიდარი ცხოვრებისთვის საჭიროა დანარჩენი 80%-ის სიღატაკეში ყოფნა. „ოქროს მილიარდმა“, კარგახანია, ანბანური ჭეშმარიტება გაითვითცნობიერა: ჩვენი პლანეტის რესურსები შეზღუდულია, მდიდრული ცხოვრებისთვის ყველას არ ეყოფა, ამიტომ ერთის სიმდიდრე მხოლოდ სხვათა სიღატაკის ხარჯზეა შესაძლებელი.

განვითარებული ქვეყნები მოიხმარენ ყველა სახის ენერგომატარებელთა 75%-ს, ხეტყის დამმუშავებელი დარგების პროდუქციის 85%-ს, ფოლადის 72%-ს და ა.შ. მოხმარებაში ასეთი თანაფარდობის შენარჩუნებისთვის დაუშვებელია, რომ სუსტმა, ღატაკმა ქვეყნებმა გაიუმჯობესონ თავიანთი მდგომარეობა. თუ ღარიბ ქვეყნებში განვითარება და გამდიდრება დაიწყება, მაშინ მდიდარ ქვეყნებში მოხმარების დონე უნდა შემცირდეს. წარმოიდგინეთ, რომ აფრიკისა და ინდოეთის მთელი მოსახ-

ლეობა წიგნიერი გახდება, მათ ხომ მილიარდობით წიგნი, მილიარდობით ტონა ქაღალდი დასჭირდებათ, ე. ი. მკვეთრად გაიზრდება ცელულოზის წარმოება, რაც ტყის ინტენსიურ გაჩეხვას ნიშნავს. ე. ი. ეკოლოგიური კატასტროფის თავიდან ასაცილებლად მდიდარმა ქვეყნებმა ან უნდა მნიშვნელოვნად შეამცირონ ქაღალდის მოხმარება, ან არ დაუშვან წერა-კითხვის საყოველთაო ცოდნა. ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ ახლანდელმა კოლონიურმა სახელმწიფოებმა, მათ შორის პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებმაც, საიდანაც მდიდარი ქვეყნები თავიანთი მრეწველობისთვის ნედლეულს იზიდავენ, თვითონ დაიწყონ ახალი სამრეწველო ტექნოლოგიების დანერგვა და კონკურენტუნარიანი საქონლის დამოუკიდებლად წარმოება. ეს ხომ კატასტროფაა მდიდარი ქვეყნებისთვის: ისინი კარგავენ ნედლეულის მიმწოდებლებს, მათი პროდუქცია აღარ იყიდება, მათ მთავრობებს აღარ ექნებათ ამ ქვეყნებზე ზეწოლის ბერკეტები, ვინაიდან ეს ქვეყნები რეალურად დამოუკიდებელნი ხდებიან. ამიტომ ჩვენ **ნათლად უნდა შევიგნოთ, რომ „ოქროს მილიარდს", თანამედროვე გლობალისტებს და მათი ინტერესების გამომხატველ საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომელთა ყურმოჭრილი მონაც გახდა საქართველოს ხელმძღვანელობა, არ შეიძლება სურდეთ სხვა ქვეყნების ეკონომიკური კეთილდღეობა, პირიქით, მათი ამოცანაა, არ დაუშვან რაც შეიძლება მეტი ქვეყნის განვითარება.** ეს აქსიომა საქართველოს მაგალითზე ნათლად ჩანს: საქართველოსთვის მათ მიერ არ არის გათვალისწინებული სამრეწველო, აგრარულ-ინდუსტრიული განვითარება, მის ტერიტორიას, როგორც ვიცით, სატრანზიტო მიზნებით გამოიყენებენ და რამდენიმე სახის ნედლეულს გაზიდავენ. ამისათვის არ არის საჭირო ინტელექტუალური პოტენციალი, კვალიფიციური კადრები, ამიტომ ჩვენ არ მოგვისმენია და ვერც მოვისმენთ ჩვენს რეფორმატორთა წინადადებებს,

თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვისა და მაღალეფექტური წარმოების შექმნის შესახებ, ვერ ვიხილავთ განათლებაზე თუ ფუნდამენტალურ მეცნიერებაზე ზრუნვას. კოლონიას, სადაც მოსახლეობა ტრანზიტს ემსახურება, მეცნიერები არ სჭირდება. სამაგიეროდ ვიხილავთ ბევრ ისეთ ხმაურიან, მაგრამ აბსოლუტურად უაზრო, უშედეგო კამპანიას, რომელსაც ჰქვია „სასამართლო რეფორმა“, „მთავრობის რესტრუქტურიზაცია“, „ბიუჯეტის ოპტიმიზაცია“ და ა. შ.

ღარიბი ქვეყნების განვითარების არდაშვებისთვის საჭიროა, ჯერ ერთი, „ოქროს მილიარდზე“ მათი კოლონიალური დამოკიდებულება, რაც მიიღწევა ამ ქვეყნების ეროვნული ეკონომიკის ნგრევით, ნედლეულის და იაფი მუშახელის მიმწოდებლად მათი გადაქცევით. და მეორე, საჭიროა ამ ქვეყნების მოსახლეობის შემცირება ლოკალური ომებისა და მიზანმიმართული სოციალური პოლიტიკის მეშვეობით (ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, სოციალური უზრუნველყოფის სისტემის დაშლით, უმუშევრობით, შობადობის იძულებითი შემცირებით, სიკვდილიანობის ზრდით). დღეს დასავლეთში გაანგარიშებულია, თუ რამდენად უნდა შემცირდეს მოსახლეობის რაოდენობა დედამიწის ცალკეულ რეგიონებში იმისათვის, რომ განვითარებულმა ქვეყნებმა მოხმარების არსებული ტემპი შეინარჩუნონ, ე. ი. შექმნილია დედამიწის მოსახლეობის ოპტიმალური რაოდენობის გეგმა. ამ გეგმის შესაბამისად, ვთქვათ, რუსეთში 30 წლის შემდეგ უნდა ცხოვრობდეს არაუმეტეს 50 მილიონი ადამიანისა. სხვანაირად რომ ვთქვათ, უახლოეს 30 წელიწადში გათვალისწინებულია მხოლოდ რუსეთში სხვადასხვა ხერხით ასი მილიონი ადამიანის დახოცვა.

სწორედ ამიტომ ყველა ქვეყანაში, რომლებმაც ეკონომიკის რეფორმირება განახორციელეს საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, სხვა ანალოგიური

საერთაშორისო ორგანიზაციების რეცეპტებითა და უშუალო ჩარევით, ადგილი აქვს ერთსა და იმავე, ჩვენთვის კარგად ნაცნობ სურათს: ეროვნული ეკონომიკა ინგრევა, ვითარდება მხოლოდ ნედლეულის მოპოვებითი დარგები, ქვეყანა იქცევა ამ ორგანიზაციებზე სრულ ფინანსურ-ეკონომიკურ დამოკიდებულებაში. თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების კორიფე გელბრაიტმა პირდაპირ განაცხადა: „მე არც ერთ ქვეყანას არ ვიცნობ, რომლისთვისაც საერთაშორისო სავალუტო ფონდს სარგებლობა მოუტანია“. უდიდესი ეკონომისტები, ნობელის პრემიის ლაურეატები: ქენეთ ეროუ, ვასილ ლეონტიევი, ლოურენს ქლაინი, რობერტ სოლოუ, ჯეიმს ტობინი საერთოდ არ ცნობენ სავალუტო ფონდს, როგორც ფინანსურ-ეკონომიკურ ორგანიზაციას, მიაჩნიათ, რომ ეს სუფთა სახის პოლიტიკური სტრუქტურაა. სამწუხაროდ, ჩვენი მთავრობისთვის, ჩვენი პრეზიდენტისთვის ეს მოსაზრება არაფერს ნიშნავს, მისთვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა პაკისტანელი ვალავის დამანგრეველი რეკომენდაციები.

ქართველი ხალხის განადგურებას ემსახურება ასევე ის ფაქტი, რომ საქართველოს ხელმძღვანელობა ქვეყნის საერთაშორისო ფუნქციად აღიარებს ნავთობსადენის გაყვანა-მომსახურებას. მიაქციეთ ყურადღება: ეს ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ეკონომიკური ფუნქცია და ქართველთა საქმიანობის ერთ-ერთი სფერო კი არა, არამედ მთავარი საერთაშორისო ფუნქციაა. თავი რომ დავანებოთ იმას, რომ ასეთი მიდგომა ერის შეურაცხყოფაა, ეკონომიკური თვალსაზრისითაც ეს სამარცხვინო ფუნქციაა. წლების განმავლობაში ჩვენი ხელისუფალნი გაჰკიოდნენ საუკუნის პროექტზე — ბაქო-სუფსის ნავთობსადენზე. ბოლოს აღმოჩნდა, რომ მას შეუძლია ქვეყნისთვის წელიწადში 5 მილიონი დოლარის მოტანა, თანაც დღემდე ნახევარი სიმძლავრით მუშაობს და შემოსავალი თურმე

თვალს და ხელს შუა იკარგება. შემდეგ მთელი პროპაგანდა გადაერთო ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენზე, რომელიც ჯერ გაყვანილი არ არის, სამაგიეროდ უკვე ცნობილია, რომ საქართველოს მისი ფუნქციონირება წელიწადში, საუკეთესო შემთხვევაში, 50 მლნ დოლარს მოუტანს, ე.ი. ორივე ნავთობსადენი ერთად ისეთ თანხას მოგვცემს, რომელიც 3-ჯერ ნაკლებია იმაზე, რაც ქვეყანას ახლანდელი სახელმწიფო აპარატის შენახვა უჯდება და 15-ჯერ ნაკლებია იმაზე, რასაც საქართველოში აგზავნიან რუსეთში მომუშავე ჩვენი თანამემამულენი. 50 მლნ-ზე გაცილებით მეტს წელიწადში მხოლოდ ჩინოვნიკები იპარავენ.

რა თქმა უნდა, არც ერთი ჩვენთაგანი არ არის ნავთობსადენის გაყვანის წინააღმდეგი, მაგრამ ეს ქართული სახელმწიფოს ეკონომიკური საქმიანობის მხოლოდ მცირე ნაწილი უნდა იყოს, თუ, რასაკვირველია, აღმშენებლობა და განვითარება გვაქვს მიზნად. ნუთუ საკუთარი მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მეცნიერება აღარ გვჭირდება? ნუთუ ასეთი უნიჭო და უქნარაა ქართველობა, რომ წარმოუდგენელია მის მიერ 2-3 მაღალტექნოლოგიური, მეცნიერებატევადი დარგის შექმნა-განვითარება? მილის მომსახურების ღირსნი ვართ მხოლოდ?

მთავარია, რაც ნებისმიერ ნორმალურ ადამიანში პროტესტს იწვევს, არის ის, რომ მსოფლიო პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურების იმ გეგმებში, რომელთა რეალიზაციაშიც მორჩილად მონაწილეობს საქართველოს ხელმძღვანელობა, ქართველი ერის ადგილი, როლი, მომავალი არ ჩანს. ეს გასაგებიცაა, რადგანაც ამ მსოფლიო ძალთათვის აბსოლუტურად სულერთია, თუ ვინ იცხოვრებს სატრანზიტო ტერიტორიაზე, ვინ მოემსახურება სხვადასხვა მილსადენს, როგორი იქნება ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების ეკონომიკური, სოციალური, კულტურული დონე, მეტიც, მათთვის უფრო მომგე-

ბიანიცაა, რომ ქვეყანაში ძირძველი მოსახლეობა რაც შეიძლება ნაკლები იყოს, ვინაიდან მკვიდრ მოსახლეობას ყოველთვის მეტი პრეტენზია აქვს, ისინი ძნელად შეურიგდებიან მომსახურე პერსონალის როლს საკუთარ სამშობლოში.

თანამედროვე მსოფლიოში, ერთა და ეროვნულ სახელმწიფოთა განადგურების, ხალხთა უნიფიცირების პროცესს ეწინააღმდეგება ცალკეული ქვეყნების ეროვნული ინტერესები, მოსახლეობის ეროვნული თვითშეგნება, განვითარებისკენ ერის ბუნებრივი მისწრაფება. სწორედ ამიტომ ქართველობის შეგნებული ნაწილი არასოდეს შეეგუება იმავე სტროუბ თელბოტის განცხადებას, რომელიც ჩვენი პოლიტიკური ელიტის ფაქტობრივი ხელმძღვანელია და რომელმაც თქვა, რომ 21-ე საუკუნეში ცნება ერი საბოლოოდ მოძველდება, ცალკეულმა ქვეყნებმა კი სუვერენიტეტის ნაწილზე უარი უნდა თქვან და ერთიანი, გლობალური ხელისუფლება აღიარონ. სწორედ ამ მითითების შესაბამისად, ჩვენი რეფორმატორების თავდასხმის ძირითად ობიექტს წარმოადგენს ეროვნება, ქართველთა ეროვნული კულტურა, ეროვნული ტრადიცია, რაშიც მათ, სხვათა შორის, აქტიურად ეხმარება ჩვენი „ელიტური“ ინტელიგენცია. ვინ იფიქრებდა ჯერ კიდევ 10 წლის წინ, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლება საკუთარ ეროვნულ სახელმწიფოში ეროვნებას გააუქმებდა?

ერის კონსოლიდაციის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს რელიგია და ამიტომ ტრადიციულ რელიგიასთან ბრძოლა ერის დამშლელთა მნიშვნელოვანი ამოცანაა. განსაკუთრებით ეს შეეხება მართლმადიდებლობასთან ბრძოლას, ვინაიდან მართლმადიდებლური ეკლესია, როგორც წესი, ღრმად ეროვნულია, ხოლო მართლმადიდებელი ერი ძალიან ტრადიციულია, ნაკლებად ემორჩილება უცხო გავლენას, ყველანაირად ცდილობს

თვითმყოფადობის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ქართველი ერის, როგორც კულტურულ-ისტორიული ერთობის, შენარჩუნება ძირითადად მართლმადიდებლობის დამსახურებაა. სწორედ ამიტომ ქვეყანაში მოქმედი „მეხუთე კოლონა“ ყველანაირად ცდილობს, დაშალოს ქართული მართლმადიდებლური ეკლესია, შეამციროს მართლმადიდებლური ფასეულობების გავლენა ქართველ ხალხზე და დღეს ჩვენი უძველესი ეკლესია, მართლმადიდებლური ტრადიციები ობსტრუქციის, დაცინვის, დამცირების ობიექტად იქცა. პარალელურად, ნებისმიერი ყველაზე ანტიჰუმანური სექტისთვისაც კი გზა ხსნილია. ამ ფსევდორელიგიური ორგანიზაციების საქმიანობა ეროვნული შეგნების, სახელმწიფო აზროვნების, პატრიოტიზმის დეფორმაციისკენ და ერის დაშლისაკენაა მიმართული.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ახლანდელი ხელმძღვანელობა ვერ იჩენს სათანადო პრინციპულობას, ხოლო საკუთარ უმოქმედობას მეტად საპასუხისმგებლო ისტორიულ პერიოდში საერო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპით ამართლებს. მინდა შევახსენო ეკლესიის იერარქებს, რომ ქართული მართლმადიდებლური ეკლესია ისტორიულად წარმოადგენდა ქართველი ერის შენარჩუნებისა და განვითარების უმთავრეს პირობასა და სტიმულს. ჩვენმა ხალხმა, რომელიც თითქმის მთელი ისტორიის მანძილზე ჯუჯა სახელმწიფო წარმონაქმნებად იყო დაქუცმაცებული, ძირითადად ეკლესიის საქმიანობის შედეგად შეინარჩუნა საკუთარი ეროვნული სახე და სოციო-კულტურული თვითმყოფადობა. ისტორიის კრიტიკულ პერიოდებში ეკლესია არა მარტო ერეოდა საერო საქმიანობაში, არამედ საჭიროებისამებრ მკვეთრად უპირისპირდებოდა კიდევაც საერო ხელისუფლებას, აიძულებდა მას ეროვნული ინტერესების დაუყოვნებლივ დაცვას. ქართველებში ეკლესიისადმი ნდობა გენეტიკურ დონეზეა ჩამოყალიბე-

ბული, ამიტომ ეკლესიას არც ისტორიულად და არც მორალურად არა აქვს უფლება, ქვეყანაში მიმდინარე ანტიეროვნულ და ანტისახელმწიფოებრივ პროცესებში გულგრილი თუ უსიტყვო მეთვალყურის როლი შეასრულოს. ჩაურევლობის პრინციპზე ლაპარაკიც არ შეიძლება, როდესაც საქმე ქართველი ერის არსებობას ეხება, რომლის კეთილდღეობისთვისაც გვიბოძა უფალმა ეკლესია.

ქვეყნის დაშლა, ისტორიული ტერიტორიების დაკარგვა არა მხოლოდ უსუსური საშინაო პოლიტიკის შედეგია, არამედ საერთაშორისო არენაზე მოღვაწეობისას საქართველოს ხელმძღვანელობის უვიცობისა და დილეტანტიზმის შედეგიცაა. ქვეყნის ხელმძღვანელობის ამ მოღვაწეობამ მიგვიყვანა იქამდე, რომ ქვეყანა, ერთის მხრივ, უცხო ძალების გეოპოლიტიკურ თამაშში პაიკის როლს ასრულებს, მეორე მხრივ კი, ხელმძღვანელობის სასაცილო და სამარცხვინო „ულტიმატუმების“, „მკაცრი“ განცხადებების, „ხისტი“ პოლიტიკისა და ამავე დროს ყველა მნიშვნელოვან საკითხში აბსოლუტური კაპიტულანტობის გამო მასხარას როლში აღმოჩნდა. ამ თვალსაზრისით ნათელ მაგალითს წარმოადგენს რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის დონე და ხარისხი. პრეზიდენტისა და მისი გუნდის წყალობით საქართველო პოსტსაბჭოთა სივრცეში ერთადერთი ქვეყანა აღმოჩნდა, რომელმაც დღემდე რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებას ვერ მიაღწია. არადა, არც ერთ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკას, არც ერთ ერს არ ჰქონდა რუსეთთან ნორმალური ურთიერთობების დამყარებისა და განვითარების ისეთი ბაზა და პოტენციური შესაძლებლობა, როგორც ჩვენს ხალხს ჰქონდა. ეს განპირობებულია არა მარტო მრავალსაუკუნოვანი მჭიდრო კავშირის, ერთმორწმუნეობის, კულტურული სიახლოვის გამო, არამედ იმიტომაც, რომ თვით რუსეთის ისტორია წარმოუდგენელია ქართული ელემენტის გარეშე და ეს ფაქტი ძლიერადაა გამჯდარი ჩვენი ხალხების

ეროვნულ თვითშეგნებაში. ამის გამოუყენებლობა უზარმაზარ მეზობელ ქვეყანასთან სათანადო ურთიერთობების დამყარებისთვის მხოლოდ ჩვენს უვიც ხელმძღვანელობას შეეძლო. მარტო მათ შეეძლოთ ურთიერთობების გაფუჭება ქვეყანასთან, რომლის ბაზარზე ქართველი მწარმოებელი ისტორიულად აბსოლუტურად იყო და რჩება დამოკიდებული, ხოლო ამ ბაზრის დაკარგვა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის სრულ პარალიზებას ნიშნავს. მხოლოდ ჩვენს პრეზიდენტს შეეძლო უაზრო მუქარით, სასაცილო ულტიმატუმებით ურთიერთობა გაეფუჭებინა ქვეყანასთან, რომლისგანაც ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის მიწოდებაზე სასიცოცხლოდ არის დამოკიდებული ჩვენი არსებობა. ქვეყანასთან, რომელსაც მიკედლებულია ქართველი ერის ერთი მესამედი ნაწილი და იქ ნაშოვარი ფულით არა მარტო დანარჩენ ორ მესამედს სამშობლოში ინახავს, არამედ ქვეყანაში ფულად ბრუნვას უზრუნველყოფს. გარდა ამისა, და ამას ჩვენ სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რუსეთი წარმოადგენს ერთადერთ ჩვენს მეზობელ ქვეყანას, რომლის ობიექტური გეოპოლიტიკური ინტერესები აბსოლუტურად ემთხვევა საქართველოს ობიექტურ გეოპოლიტიკურ ინტერესებს. ხაზს ვუსვამ: ლაპარაკია სწორედ ობიექტური ინტერესების თანხვედრაზე, და არა ერთი თუ მეორე ქვეყნისთვის გარედან თავს მოხვეულ ვოლუნტარისტულ ინტერესებზე. აქედან გამომდინარე, რუსეთი არის ერთადერთი ქვეყანა, რომელიც ობიექტურადაა დაინტერესებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობით, საქართველოს, როგორც მშვიდობიანი და რუსეთისადმი კეთილგანწყობილი ქვეყნის არსებობით. ის გეოპოლიტიკური თამაში, რომელშიც ბოლო ათი წლის განმავლობაში რუსეთის ხელმძღვანელობა მონაწილეობდა, რადიკალურად ეწინააღმდეგება თვით რუსეთის ინტერესებს ისევე, როგორც საქართველოს ინტერესებს და აიხსნება მხოლოდ იმით,

რომ რუსეთის მაშინდელი ხელმძღვანელობა ისევე ანგაჟირებული იყო და ისევე სხვის კარნახს ემორჩილებოდა, როგორც ამას დღემდე საქართველოს ხელისუფლება აკეთებს. რუსეთ-საქართველოს დღევანდელი მძიმე ურთიერთობებიც იმით არის განპირობებული, რომ რუსეთის ხელმძღვანელობაში სახელმწიფოებრივად ორიენტირებული, საღად მოაზროვნე ადამიანი მოვიდა, რომელიც ცდილობს, მაქსიმალურად დაიცვას თავისი ქვეყნის ობიექტური ინტერესები, ხოლო საქართველოში ისევ დარჩა უცხო ძალების მიერ ანგაჟირებული, მორჩილი და უუნარო ხელისუფალი, რომელმაც დღემდე ვერც კი გაიცნობიერა საკუთარი ქვეყნის ეროვნული ინტერესები, საკუთარი ერის ადგილი და როლი თანამედროვე მსოფლიოში. ამიტომ ჩვენ ვაცხადებთ, რომ ქართველი ერის და ქართული სახელმწიფოებრიობის გადარჩენის აუცილებლობიდან გამომდინარე, ჩვენი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე და ისტორიული სამართლიანობის აღდგენის მიზნით, ჩვენი საზოგადოება მაქსიმალურად უნდა შეეცადოს ააღორძინოს და განავითაროს მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული ურთიერთობები რუსეთის ფედერაციასთან, პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა ქვეყნებთან.

რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზება, როგორც ჩვენი ერისთვის სასიცოცხლო აუცილებლობა, სრულიად არ გამორიცხავს ნორმალურ ურთიერთობებს სხვა შორეულ თუ ახლობელ ქვეყნებთან, მაგრამ ეს ურთიერთობა ურთიერთმომგებიანი, ურთიერთსასარგებლო უნდა იყოს. მეტიც, ჩვენ სამუდამოდ უნდა გავთავისუფლდეთ იმ ბოდვითი მტკიცებებიდან, რომ თითქოს ამერიკელები, გერმანელები თუ იაპონელები ოცნებობენ საქართველოს სიძლიერეზე, მის განვითარებაზე და ქართველთა კეთილდღეობაზე. ამ ზღაპრებით ჩვენს ხალხს უკვე წლების განმავლობაში კვებავენ. ქართველმა ერმა

ნათლად უნდა გააცნობიეროს, რომ ქვეყნებს შორის ურთიერთობების საფუძველში მხოლოდ შესაბამისი ინტერესი დევს, რომ მსოფლიოს ისევე, როგორც საუკუნეების წინ, მხოლოდ ძალა და ინტერესი მართავს, რომ დღემდე საერთაშორისო ურთიერთობებში რეალური პრიორიტეტი აქვს პრინციპს: **ძლიერი ყოველთვის მართალია, ხოლო უფრო ძლიერი — უფრო მართალი.**

ამ პრინციპს საქართველოსთვის მით უფრო საშიშს ხდის ის ფაქტი, რომ მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, სწორედ ჩვენს ქვეყანასთან დაკავშირებულია რამდენიმე დიდი, გლობალური მსოფლიო ძალის ინტერესები და მისწრაფებები. საქართველოს არც სამხედრო ძალით, არც მოსახლეობის რაოდენობით არა აქვს და არც ექნება საშუალება, რეალურად დაუპირისპირდეს ამ ძალებს და ამავე დროს გადარჩეს. ამიტომ **საქართველოს უნდა გააჩნდეს ისეთი საერთაშორისო ფუნქცია, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საჭიროებას ამ მსოფლიო ძალებისთვის. ვიმეორებ, არა მარტო ტერიტორიის, არამედ ჩვენი ქვეყნისა და ერის საჭიროებას, ანუ ქართველმა ხალხმა 21-ე საუკუნეში უნდა შეასრულოს ის ისტორიული მისია, ის ისტორიული როლი, რომლისთვისაც, ჩემი ღრმა რწმენით, ღმერთმა შექმნა და დღემდე შეინარჩუნა ქართველობა. ეს ფუნქცია არის ცივილიზაციათაშორისო დამაკავშირებელი რგოლის, სამყაროთა შორის ურთიერთობების მარეგულირებლის ფუნქცია.** ვინაიდან საქართველო თავისი ისტორიული გამოცდილებიდან, ისტორიული გზის სპეციფიკიდან გამომდინარე, ობიექტურად წარმოადგენს ერთგვარ ლაბორატორიას, სადაც საუკუნეების განმავლობაში ხდებოდა სხვადასხვა ცივილიზაციის, სხვადასხვა მსოფლმხედველობის, სხვადასხვა ეროვნული თუ რელიგიური მისწრაფების შერწყმის, ურთიერთგამდიდრების, ურთიერთდაკავშირების პროცესი. ხოლო ქართველი ერი

ამ პროცესის ბუნებრივი პროდუქტია და სწორედ ქართველი კაცი წარმოადგენს იმ ევრაზიულ ფენომენს, რომლის როლი ამ საუკუნეში გლობალური ურთიერთობების დარეგულირების საქმეში პირველხარისხოვანი უნდა გახდეს.

ამ ისტორიული მისიის შესრულებასთან და მისგან გამომდინარე რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესებასთან, ამ ქვეყანასთან საერთო გეოპოლიტიკურ ინტერესებზე შეთანხმებასთან დაკავშირებულია საქართველოსთვის ყველაზე მთავარი სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანის გადაწყვეტა, რომელსაც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ჰქვია. ახლანდელი ხელისუფლების პოლიტიკიდან და ქვეყანაში შექმნილი კლიმატიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ქვეყნის ხელმძღვანელობა და, სამწუხაროდ, ქართული საზოგადოების ნაწილიც აფხაზეთის დაკარგვას შეეგუა. ამ კატეგორიის მოქალაქეებს მინდა მოვახსენო, რომ საქართველოსთვის აფხაზეთის დაკარგვა გეოპოლიტიკური, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი, ეკონომიკური თვალსაზრისით სრულ კატასტროფას ნიშნავს. გარდა ამისა, აფხაზეთის არდაბრუნება, რა მილიც არ უნდა იყოს გაყვანილი, საქართველოს შემდგომ დაშლას განაპირობებს. არც ნავთობსადენსა თუ გაზსადენს, არც დიდ აბრეშუმის გზას, არც სხვა ფანტაზიას, რომც განხორციელდეს კიდეც, არ ექნება ისეთი მნიშვნელობა ქართველი ხალხისა და ქართული სახელმწიფოებრიობის არსებობა-განვითარებისთვის, როგორც აფხაზეთს აქვს.

როდესაც საქართველოს პრეზიდენტი საჯაროდ აღიარებს, რომ აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტა რუსეთის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული და პარალელურად აცხადებს, რომ საქართველო ნატოში უნდა შევიდეს და ნატოს, ანუ თურქეთის სამხედრო პლაცდარმი უნდა გახდეს, ძალაუნებურად იბადება კითხვა: სურს კი ამ კაცს

აფხაზეთის პრობლემის საქართველოს სასიკეთოდ გადაწყვეტა? და თუ კი ვივარაუდებთ, რომ ამის სურვილი ამ კაცს არ აწუხებს და ეს მის გეგმებში არ შედის, მაშინ გასაგები ხდება აფხაზეთში დანაშაულებრივი ომის დაწყებაც, მისი დანაშაულებრივი მსვლელობაც, დანაშაულებრივი შედეგებიც და საქართველოს პრეზიდენტის საგარეო პოლიტიკის დამაგვირგვინებელი ნაბიჯი — თურქეთის პრეზიდენტისთვის მიმართა საქართველოში თურქეთის ჯარის შემოყვანის შესახებ. განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ, რომ ამავე პრეზიდენტის კურთხევით ნაციონალურობაზე პრეტენზიის მქონე ქართველმა პოლიტიკოსებმა საქართველოსა და ქართველი ხალხის სახელით ევროსაბჭოს წინაშე აიღეს ვალდებულება თურქი მესხების საქართველოში ჩამოსახლების შესახებ.

აღსანიშნავია ისიც, რომ მთელი ქართული ისტორიის მანძილზე, ფეოდალური დაქუცმაცების პერიოდშიც კი ვერც ერთი ყველაზე ანტიეროვნულად განწყობილი, მოსყიდული, გამყიდველი მმართველიც ვერ გაბედავდა საჯაროდ მიემართა თურქეთისთვის მათი ჯარის საქართველოში შემოყვანის თაობაზე, მაგრამ ახლანდელი პოლიტიკური კურსის განასერში ეს სავსებით კანონზომიერიცაა. რასაკვირველია, ჩვენ პატივს ვცემთ თურქეთის რესპუბლიკას, მის ხალხს, მის ისტორიულ მისწრაფებებს და მის მიერ საკუთარი ეროვნული თუ გეოპოლიტიკური ინტერესების განხორციელების სურვილს, მაგრამ ისტორია მოწმობს, რომ საქართველოსა და თურქეთის გეოპოლიტიკური ინტერესები ხშირ შემთხვევაში არ ემთხვევა ერთმანეთს. ამის გაუგებლობამ, გაუთვალისწინებლობამ, როგორც ისტორიული გამოცდილება გვასწავლის, არაერთხელ მიგვიყვანა ტრაგიკულ შედეგებამდე.

მსოფლიოში დღეს შექმნილი ვითარების, საქართველოსა და რუსეთის ობიექტური გეოპოლიტიკური და გე-

ოსტრატეგიული ინტერესების თანხვედრის გათვალისწინებით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პრობლემა უახლოეს პერიოდში შეიძლება იყოს გადაწყვეტილი. ამისათვის საჭიროა საქართველოს ხელმძღვანელობის მიერ ეროვნული ინტერესების გაცნობიერება, შესაბამისი პოლიტიკური ნება და რუსეთის ახალ ხელმძღვანელობასთან ურთიერთნდობასა და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული ურთიერთობები. არც ერთი ამ პირობის რეალიზაცია, სამწუხაროდ, არ ძალუძს ქვეყნის ახლანდელ ხელისუფლებას. ამიტომ აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტა მხოლოდ ხელისუფლების შეცვლითა და ქვეყნის სათავეში ეროვნული ძალების მოსვლით არის შესაძლებელი.

საქართველოს ხელმძღვანელობის არათანმიმდევრული, არაკონცეპტუალური პოლიტიკის გამო, ამ ხელისუფლების არსებობის ათი წლის თავზე, სრულიად კანონზომიერი, მაგრამ ამავე დროს პარადოქსული და ნებისმიერი ნორმალური ქვეყნისთვის ყოვლად მიუღებელი შიდაპოლიტიკური სიტუაცია შეიქმნა. ხელისუფლებისადმი ყოველგვარი ნდობის კრედიტი მოსახლეობაში სრულიად ამოწურულია, ხელისუფლებას მთლიანად და სათითაოდ ყველა მის წარმომადგენელს ხალხში არავითარი ნდობა არ გააჩნია. მმართველი პარტია, რომელიც წლების განმავლობაში ხალხს ცრუ დაპირებებით კვებავდა და არჩევნების ტოტალური გაყალბების მეშვეობით ხელისუფლებას ინარჩუნებდა, აბსოლუტურად გაკოტრდა საკუთარ მხარდამჭერთა თვალშიც კი, დაიშალა და როგორც პოლიტიკურმა ორგანიზმმა, ერთიანმა პოლიტიკურმა სტრუქტურამ, პრაქტიკულად შეწყვიტა არსებობა. დღეს მოქალაქეთა კავშირის ყველაზე ოდიოზური წევრებიც კი უსინდისოდ აღიარებენ, რომ მილიონი სამუშაო ადგილი, 24-საათიანი ელექტრომომარაგება, 300-დოლარიანი ხელფასი და სხვა მათი დაპირებები ხალხის მოტყუება

იყო, და ცდილობენ, ეს ტყუილი ბელადს დააბრალონ. ესეც, სხვათაშორის, შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის დამახასიათებელი ნიუანსია. გაკოტრებულ მოქალაქეთა კავშირში შეიქმნა ანტიეროვნული, „ახალგაზრდული ფრთა“, რომელიც ბოლო პერიოდში ყველანაირად ცდილობს, დაშორდეს შევარდნაძის პოლიტიკას, ვინაიდან ნათლად ხედავს, რომ შევარდნაძისგან დისტანცირება მათთვის ერთადერთ შანსს წარმოადგენს, რათა საქართველოში პოლიტიკური მომავალი ჰქონდეთ. სწორედ ამით აიხსნება ის ჯგუფური ღალატი, რომელსაც ქვეყნის პრეზიდენტი ბოლო პერიოდში განიცდის. საზოგადოებას კი საოცარ პარადოქსთან აქვს საქმე, როდესაც ამ ანტიეროვნული პოლიტიკის ყველაზე აქტიური, ყველაზე აგრესიული, ყველაზე თანმიმდევრული გამტარებლები ყველანაირად ცდილობენ, ფერი შეიცვალონ და ეროვნული მოღვაწეების, ეროვნული იდეოლოგიის გამტარებლების იმიჯი შეიქმნან. **მთელი პასუხისმგებლობით მინდა განვაცხადო, რომ ეროვნულობის ნიღბით შემოსილი ახალგამომცხვარი ვაიპატრიოტები ისევ ცდილობენ, ახალი ფრაზეოლოგიით, ახალი ცრუ დაპირებებით, ახალი დემაგოგიით შეცდომაში შეიყვანონ ქართველობა და ჰგონიათ, რომ ახალი ტრიუკი ისე გამოუვათ, როგორც ჩვენს უახლეს ისტორიაში რამდენიმეჯერ, ჩვენდა სამწუხაროდ, გამოუვიდათ.**

მმართველ პარტიაში მომხდარმა განხეთქილებამ ის სამარცხვინო ფაქტი კიდევ უფრო გამოამჟღავნა, რომ მოქალაქეთა კავშირმა მასობრივი ფალსიფიკაციის გზით, ანუ დანაშაულებრივი გზით, მიიღო არჩევნებში ხმათა უმრავლესობა და სწორედ ეს ფაქტი არის იმ სამარცხვინო მდგომარეობის მიზეზი, რომელიც საქართველოს პარლამენტში შეიქმნა: პარლამენტი გაუგონარი ყიდვა-გაყიდვის ადგილი გახდა, სადაც იყიდება ქვეყნის ინტერესებიც, თანამდებობებიც, წოდებებიც და სწორედ ამის გამო ჩვენ

კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ არსებულ პარლამენტს არ ძალუძს ქვეყნისთვის არც ერთი სასარგებლო გადაწყვეტილების მიღება, არც ერთი მიმართულებით ეფექტური ფუნქციონირება და საქართველოს მოსახლეობის დიდ უმრავლესობასთან ერთად ვითხოვთ ამ პარლამენტის დაშლას და ახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას.

ხელისუფლების დამანგრეველი პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს მისი საკადრო პოლიტიკა წარმოადგენს, რომელიც იმავე დასავლეთისადმი უაზრო მიბაძვის ერთ-ერთი პროდუქტია. დაინახა რა, რომ ამერიკაში ხელმძღვანელ თანამდებობებზე ძირითადად ახალგაზრდები ინიშნებიან, ჩვენი ქვეყნის მეთაურმა გადაწყვიტა, თავადაც ამერიკულად პროგრესული ყოფილიყო და გუბერნატორებად, მინისტრებად, დეპუტატებად სტუდენტური ასაკის ახალგაზრდები დანიშნა (ქრონიკული მიმბაძველის ლოგიკით: რაკი ამერიკაში ასეა, ე.ი. ასეა საჭირო). ამ ამერიკულ პრინციპს შევარდნაძისეული სპეციფიკა დაემატა: ეს ახალგაზრდები რატომღაც აბსოლუტურად უვიცი, გაუნათლებელი და ძირითადად ძალზედ კორუმპირებულნი აღმოჩნდნენ. ერთი კი მოახერხეს: მეურნეობის მართვა მოშალეს და უგულებელყვეს ჭეშმარიტ პროფესიონალთა და სპეციალისტთა გამოცდილება. რით შეიძლება აიხსნას კატასტროფულ ფინანსურ კრიზისში მყოფ ქვეყანაში ფინანსთა მინისტრად ზედიზედ 25-27 წლის ბიჭების დანიშვნა, რომლებმაც გუშინ თუ გუშინწინ ინსტიტუტი დაამთავრეს და ისიც სხვა განხრით? რით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ პრეზიდენტი ქვეყნის მთავარ ამოცანად კორუფციასთან ბრძოლას აცხადებს და ამ საქმეს 25 წლის ახალგაზრდას აბარებს, რომელსაც არა აქვს და შესაბამისი გამოცდილების უქონლობის გამო არც შეიძლება ჰქონდეს წარმოდგენა კორუფციის წარმოშობასა თუ მექანიზმების შესახებ. **რით შეიძლება აიხსნას ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ხელმძღვანელის**

დაწინაურება, როდესაც დარგი აბსოლუტურად დაშლილი და განადგურებულია და ათასობით ადამიანი იღუპება მხოლოდ იმიტომ, რომ ელემენტარული სამედიცინო დახმარება არ გააჩნიათ? ასეთი მაგალითების უსასრულოდ გაგრძელება შეიძლება. ამ კითხვებს მხოლოდ ორი პასუხი შეიძლება გაეცეს: ან ქვეყნის ხელმძღვანელი აბსოლუტურად უუნაროა და მიმდინარე რეალურ პროცესებზე, კადრებზე წარმოდგენაც არა აქვს, ანდა მიზანმიმართულად, შეგნებულად მიჰყავს ხალხი და ქვეყანა დაღუპვისკენ. ამ დასკვნას იმიტომ ვაკეთებ, რომ **ნებისმიერი ეროვნულად მოაზროვნე კაცისთვის, რომელსაც ქვეყნის განვითარება სურს, გასაგებია, რომ იმავე ამერიკაში მიღებული საკადრო პოლიტიკა არ შეიძლება საქართველოში ეფექტური იყოს.** ამერიკული საზოგადოების ფუნქციონირების საფუძველს და განვითარების მთავარ მიმართულებას ტექნიკური და ტექნოლოგიური პოტენციალის განვითარება და მის ხარჯზე სულ უფრო მაღალი შემოსავლის მიღება წარმოადგენს. ამისათვის კი ინტენსიური საწარმოო პროგრესია საჭირო. ამ ამოცანისთვის თავის გართმევა ძალუძთ ახალგაზრდა სპეციალისტებს მათთვის ჩვეული ენერგიით, პატივმოყვარეობით, ახლის სწრაფად ათვისებისა და გამოყენების ნიჭით. ქართული საზოგადოება კი ტრადიციული, პატრიარქალური საზოგადოებაა. ხელმძღვანელი ჩვენთან ყოველთვის აღიქმებოდა, როგორც უფროსი, გამოცდილი, ბრძენი და ავტორიტეტული პიროვნება. თუკი ამერიკაში ხელმძღვანელის ავტორიტეტისთვის საკმარისია მაღალი პროფესიონალიზმი, საწარმოო საქმიანობის ცოდნა, საქართველოში ეს ცოტაა. აქ დამატებით საჭიროა თვისებათა მთელი კომპლექსი: დარბაისლობა, შემწყნარებლობა, ტრადიციების, ადათ-წესების, ქცევის ნორმების ცოდნა, რადგან ჩვენს საზოგადოებაში უდავოა კულტურისა და ტრადიციული ფასეულობების უპირატესობა ეკონო-

მიკაზე, წარმოებასა თუ ტექნოლოგიურ სფეროზე. ჩვენს რეფორმატორებს ეს არ ესმით, რადგან ერთობ დიდია მათი სურვილი, ქართველები ამერიკელებად აქციონ. **ახალგაზრდა კადრების თითქოსდა სამართლიანი დაწინაურებით ხელისუფლება ცდილობს იმის დემონსტრირებას, რომ ჩვენში ახალგაზრდებს გზა ხსნილი აქვთ. ეს მაშინ, როდესაც სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლის ათიათასობით კურსდამთავრებულს არც შრომითი მოწყობის, არც ოჯახის შექმნის მატერიალური საშუალება არ გააჩნია და გამოუვალი მდგომარეობის გამო ტოვებს ქვეყანას. საქართველო ახალგაზრდა თაობას, ანუ თავის მომავალს კარგავს.**

საკადრო პოლიტიკაში არსებულ უვიცობას, არნახულ პროტექციონიზმს და საშინელ კორუმპირებულობას ემატება ხელმძღვანელი კადრების პასუხისმგებლობის მექანიზმის არარსებობაც. დღეს, როდესაც კატასტროფა ყველასთვის ნათელია, მთელი პოლიტიკური თუ ბიუროკრატიული ელიტა „გუნდურ პასუხისმგებლობაზე“, „გუნდურ პრინციპზე“ ალაპარაკდა. თუ „გუნდურ პასუხისმგებლობაზე“ სერიოზულად ვიმსჯელებთ, მაშინ იგივე „მოქალაქეთა კავშირი“ პრეზიდენტთან ერთად პოლიტიკური არენიდან უნდა წავიდეს, ხოლო ამ პარტიის წარმომადგენლები სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობაში აღარ უნდა მონაწილეობდნენ. თანახმა არიან ასეთ პასუხისმგებლობაზე? რა თქმა უნდა, არა. მაშინვე ააფრიალებენ გაყალბებული არჩევნების შედეგებს, რომლის თანახმად ჩვენი ხალხის უმრავლესობა თურმე აქტიურად უჭერს მხარს იმათ, ვინც ამ ხალხს ღუპავს. გუნდურ პასუხისმგებლობაზე ლაყბობა ბლეფია და მეტი არაფერი. ქვეყნის განვითარების ამჟამინდელ ეტაპზე პასუხისმგებლობა მხოლოდ პერსონალური შეიძლება იყოს. ადამიანმა, რომელიც სახელმწიფო თანამდებობაზე მიდის, უნდა იცოდეს, რომ მის წინა-

შე მდგარი ამოცანებისა და მიცემული დაპირებების შეუსრულებლობის შემთხვევაში იგი არა მარტო საპატიოდ გადადგება, არამედ პირად თავისუფლებასა და საკუთრებასაც დაკარგავს. ასეთ შემთხვევაში ადამიანი თანამდებობაზე სამუშაოდ წავა და არა მოსაპარავად. თაღლითებს აღარ ექნებათ თანამდებობის დაკავების სურვილი. ეს, რასაკვირველია, საგანგებო ზომაა, მაგრამ ქვეყნის მდგომარეობაც საგანგებოა. გაიხსენეთ: ბოლო წლებში დაიღუპა ათასობით თანამემამულე, დაიკარგა ქვეყნის ტერიტორიის უმნიშვნელოვანესი ნაწილი, გაძარცვული და განადგურებულია ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი, ცხოვრების აუტანელი პირობების გამო ემიგრირებულია მილიონზე მეტი მოქალაქე, შიმშილი და სიღატაკე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა და პარალელურად ასობით მილიონი დოლარი დატაცებულია, მითვისებულია და ქვეყნიდან გატანილია, მაგრამ არც ერთ ადამიანს, რომელიც ამ პერიოდში ხელისუფლებაში იყო, პასუხი არ უგია. მაქსიმალური დასჯა თანამდებობიდან გათავისუფლებაა. ასეთ პირობებში, რასაკვირველია, ნებისმიერი თაღლითი, რომელიც პრეზიდენტს უამრავი ჰყავს გარემოცვაში, მზადაა, ერთ-ორ წელიწადს მინისტრის პოსტზე იქურდოს, ვინაიდან იცის, რომ ბოლოს მხოლოდ გადააყენებენ, ხოლო ნაქურდალი შერჩება. ამიტომ ჩვენ მიგვაჩნია, რომ **აუცილებელია კადრების პერსონალური პასუხისმგებლობის შესახებ სპეციალური კანონის მიღება. თანაც ამ კანონში პირველ რიგში პრეზიდენტის პასუხისმგებლობა უნდა იქნას გათვალისწინებული.** ჩვენ წლების განმავლობაში ვხედავთ, თუ როგორ ღებულობს ჩვენი პრეზიდენტი აშკარად ანტიეროვნულ, ანტისახელმწიფოებრივ გადაწყვეტილებებს და ამასთანავე ყოველთვის ამბობს, რომ მთელ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებს, მაგრამ დღემდე ვერავინ გაერკვია, თუ რაში გამოიხატება ეს პასუხისმგებლობა.

აღსანიშნავია ისიც, რომ კადრების შერჩევისა და განაწილებისადმი მიდგომა იმ პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია, რომელიც მიზნად ისახავს თაობათა მემკვიდრეობითობის პრინციპის მოსპობას, ვინაიდან წინა თაობების ცხოვრებისა და საქმიანობის უარყოფა, წარსულის იგნორირება ერის, ეროვნების, ეროვნულობის მოსპობის ყველაზე ეფექტური ხერხია.

ერის არსებობისა და განვითარების მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპი მემკვიდრეობითობაა. მოგეხსენებათ, რომ ერი მარტო დღეს მცხოვრები ხალხი როდია. ერი წარსული, აწმყო და მომავალი თაობების ერთობაა. ამ ისტორიული ჯაჭვიდან რომელიმე ერთი რგოლის ამოგდება მემკვიდრეობითობას სპობს და ისტორიის სვლას წყვეტს. ერის ისტორიაში არ შეიძლება შავი ხვრელის თუ სიცარიელის არსებობა. ისტორიის ნებისმიერი პერიოდი, რა ტრაგიკული და მიუღებელიც არ უნდა ჩანდეს ჩვენთვის, უაღრესად მნიშვნელოვანია, ვინაიდან განაპირობებს ჩვენს დღევანდელ მდგომარეობას. ამიტომ ვისაც რა სურვილიც უნდა ჰქონდეს, ისტორიიდან ვერ ამოიღებ ვერც კომუნისტურ ეპოქას, ვერც ეროვნული ხელისუფლების ხანმოკლე პერიოდს და ვერც გაკოტრებული შევარდნაძისა და ანტიეროვნული მოქალაქეთა კავშირის მმართველობის დროს. ჩვენ კატეგორიულად უნდა დავუპირისპირდეთ პიროვნებისადმი მიდგომას იმის მიხედვით, თუ რას წარმოადგენდა იგი ჩვენი უახლესი ისტორიის ამა თუ იმ წლებში, არ უნდა დავემსგავსოთ პრეზიდენტის მსგავს გადაგვარებულ კომუნისტ ბიუროკრატებს, რომლებიც დღეს საბჭოთა პერიოდს „შავ ლაქას“, „მონობის დროს“, „ტრაგიკულ შემთხვევას“ უწოდებენ. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ სწორედ მაშინ მცხოვრები თაობების დამსახურებაა იმ უზარმაზარი ეროვნული სიმდიდრის შექმნა, რომლის ხარჯზე ჩვენ დღემდე ვარსებობთ, რომელსაც ათი წლის

განმავლობაში ეს გადაგვარებული ბიუროკრატები ახალგაზრდა ავანტიურისტებთან ერთად უმოწყალოდ ძარცვავენ, ანგრევენ და ანადგურებენ. ჩვენთვის ასევე კატეგორიულად მიუღებელია ეროვნული ხელისუფლების პერიოდისადმი ნიჰილისტური, დამცინავი დამოკიდებულება, ვინაიდან სწორედ ამ პერიოდში ყველამ ერთად ვიგრძენით, რომ ერთიანი ეროვნული სხეული ვართ, რომელსაც ქართველობა ჰქვია. ახლანდელ პერიოდშიც, როდესაც ქართველებისთვის ყველაზე ამაზრზენი, მიუღებელი, ანტიქართული ხელისუფლება გვყავს, უნდა გვახსოვდეს, რომ იმავე მოქალაქეთა კავშირში გაერთიანებულია ბევრი ნორმალური, წესიერი, შეიძლება მიამიტიც, შეიძლება რაღაცით დაინტერესებული პიროვნებები, მაგრამ ისინიც ჩვენი ერის ნაწილია და მათი უარყოფა ასევე დაუშვებელია. ხაზი მინდა გავუსვა ერთ პრინციპულ გარემოებას: რა პოლიტიკური მრწამსის, რა მსოფლმხედველობითი პრინციპების მქონეც არ უნდა იყოს ესა თუ ის პიროვნება, თუ იგი პატრიოტია, თუ მას სამშობლო უყვარს, თუ მას ერის ნორმალური მომავალი სურს, მაშინ იგი ჩვენი თანამოაზრე, პარტნიორი, ჩვენი თანამებრძოლია.

ჩვენ მხარს ვუჭერთ საზოგადოების ორგანიზაციის სოციალური ფორმების პლურალიზმის პრინციპს, რომლის შესაბამისად ნებისმიერ საზოგადოებას განვითარების საკუთარი გზის უფლება აქვს, გზის, რომელიც მის კულტურას, ეროვნულ, სოციალურ თავისებურებებს ითვალისწინებს. ჩვენ კატეგორიულად უარვყოფთ კაცობრიობის განვითარების ერთიანი, უნივერსალური მოდელის არსებობას, რომელიც აზროვნების ტიპზე, ტრადიციებზე, ეროვნულ ხასიათზე, კულტურაზე, ეროვნულ სპეციფიკაზე თითქოს არ არის დამოკიდებული. ნებისმიერი ცივილიზაცია არც თუ ისე სრულყოფილი და დახვეწილია,

რომ უნივერსალურობის პრეტენზია ჰქონდეს. თავის გამოვლენებსა და პოტენციალურ შესაძლებლობებში ვერც ერთი ვერ გამოდგება ყველა ხალხისა და ქვეყნისთვის. უნდა გვახსოვდეს, რომ ერთიანი ეტალონის მიმსგავსებასა და დაქვემდებარებას ეწინააღმდეგება კაცობრიობის ისტორიული სვლის სტრატეგია — მრავალვარიანტულობისა და მრავალსახეობის შემდგომი გაძლიერება.

პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების უცხო ნიმუშების, იდეოლოგიური მუშაობის უცხო ფორმებისა და მეთოდების, იქაური მორალურ-ზნეობრივი და კულტურული ნორმების, ურთიერთობისა და ქცევის წესების პრიმიტიულ გადმოღებას, ჩვენს რეალობაში მექანიკურ გადმოტანას შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ დამანგრეველი შედეგები მოჰყვეს როგორც პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრებისთვის, ასევე ეროვნული კულტურისა და ტრადიციული ზნეობისთვისაც. ეროვნული ღირსებისთვის განსაკუთრებულად ნეგატიური მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, ცხოვრების დასავლური წესისადმი, დასავლური კულტურისადმი, ისევე, როგორც დასავლეთის პოლიტიკის, ეკონომიკისა თუ ხელოვნების წარმომადგენლებისადმი თვითდამცირებულ, პირფერულ, ლაციცა დამოკიდებულებას. საქართველოს ისტორია, ქართული კულტურა, ჩვენი ხელოვნება, ქართველი ერის ტრადიციული სულიერება სულაც არ იმსახურებს იმას, რომ ქართველთა ახლანდელმა თაობამ მთელი ეს უდიდესი ისტორიული სიმდიდრე იმ იაფფასიან სუროგატზე გაცვალოს, რომელსაც „ცხოვრების დასავლური წესი“ და „დასავლური მასობრივი კულტურა“ ჰქვია. ქართული და დასავლური კულტურის, ცხოვრების ქართული და დასავლური წესის, ქართული და დასავლური სულიერი ფასეულობების შერწყმა, შეერთება არ ხდება. ხდება მხოლოდ და მხოლოდ ერთის მიერ მეორის განდევნა. ამიტომ ყველაფერი ახალი, უცხო, ნასესხები შეიძლება იყოს

დანერგილი, გამოყენებული მხოლოდ ეროვნული სპეციფიკის, სოციოკულტურული თვითმყოფადობის, ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ტრადიციული თავისებურებების გათვალისწინებით.

სწორედ ამიტომ ჩვენი იდეოლოგიური პლატფორმის შინაარსი უნდა განაპირობოს არა ჩვენი ხალხისთვის უცხო და პრინციპულად მიუღებელი თეორიები, არა ჩვენს სინამდვილეში ხელოვნურად გადმოტანილი უცხო პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური კონსტრუქციები, არამედ ჩვენი ერის ჭეშმარიტი სულიერი მისწრაფებები, მისი სოციო-კულტურული თვითმყოფადობა, ეროვნული თავისებურებები, სამეურნეო სპეციფიკა, ისტორიული გამოცდილება, გეოპოლიტიკური რეალიები და ის უდავო ფაქტი, რომ ქართველ ერს განვითარების საკუთარი ტრაექტორია აქვს.

ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია „ევროპული ორიენტაციის“ ნიღბით ჩვენი ეროვნული სახის მოსპობა და ქართველობის, როგორც ფენომენის, განადგურება. ჩვენ ევროპული ორიენტაცია გვესმის, როგორც სწრაფვა ეროვნული სახელმწიფოს შექმნისკენ, ინტენსიური, ტექნოლოგიური პროგრესისკენ, ეფექტური სამრეწველო და სოფლის მეურნეობის წარმოებისაკენ, განათლების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებისკენ, მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის ამაღლებისკენ. ჩვენმა ეგრეთ წოდებულმა ევროპელებმა კი საკმაოდ განვითარებული აგრარულ-ინდუსტრიული ქვეყანა ღატაკ, ჩამორჩენილ კოლონიურ პროვინციად აქციეს, სადაც ტრაქტორი იშვიათობა გახდა, გლეხი უღელს დაუბრუნეს, რაიონებში გავრცელებული ტრანსპორტი ცხენი და სახედარია, ბავშვები სკოლაში ვეღარ დადიან, იზრდება წერა-კითხვის უცოდინარი თაობა, ესეიგი ამ დამნაშავეებმა საკუთარი ხალხი და ქვეყანა ასი წლით უკუაგდეს. ეს არის ევროპული ორიენტაცია? ასე-

თი „ევროპულობის“ წინააღმდეგი ვართ და ყოველთვის ვიქნებით.

დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ კონცეფტუალურ ხედვაში ჩადებული მიდგომები სრულიად პასუხობს ქართველი ერის ისტორიულ მისწრაფებებს და მის აქტიურ მხარდაჭერას ჰპოვებს. ეს მხარდაჭერა კი თავის მხრივ განაპირობებს ქართველი ერის იმ სოციალურად აქტიური ნაწილის ერთობას, რომელიც მზად არის, ჩაერთოს საკუთარი სამშობლოს სატანური გავლენისგან გათავისუფლების კეთილშობილურ საქმეში. სწორედ საქართველოს გადარჩენისთვის უნდა გავერთიანდეთ, საკუთარ დევიზად მივიჩნიოთ დიდი ვაჟას გულიდან ამოსული და დღეს, როგორც არასდროს, აქტუალური სულის ძახილი: „ღმერთო, შეაყვარე ქართველებს საქართველო!“.

2001 წ., დეკემბერი

2002 წ., ივლისი

«როგორ უნდა ენდო დღევანდელ იმ ვითომ «ოპოზიციონერებს», რომლებიც სულ ცოტა ხნის წინ შევარდნაძის მზეს ფიცულობდნენ?!»

— ბატონო ალექსანდრე, როგორია თქვენი დამოკიდებულება ე.წ. ნაციონალური მოძრაობის მიმართ? ბევრი მეთვალყურე აღნიშნავს, რომ სააკაშვილის გამოსვლებში ძალიან ხშირად გაისმის ის დებულებები და მოწოდებები, რომლებითაც ჯერ კიდევ წლების წინ თქვენ მიმართავდით საზოგადოებას?

— როდესაც ამ დებულებების შესახებ ვწერდი, მაშინ „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები, რომლებიც იმ დროს მოქალაქეთა კავშირის ყველაზე აქტიური წევრები იყვნენ, სწორედ ამ დებულებების გამო ფაშისტს, ნაციონალისტს მეძახდნენ. სხვათა შორის, ასე იყო არა მხოლოდ დიდი ხნის წინ, არამედ სულ რაღაც ერთი წლის წინაც კი, ანუ მაშინ, როდესაც მათ შევარდნაძესთან შეხმატკბილებული, „მამაშვილური“ ურთიერთობა ჰქონდათ.

ჩემი უნდობლობა „ნაციონალური მოძრაობის“ და მისი ლიდერების მიმართ იმითაა განპირობებული, რომ ისინი პოლიტიკაში შევარდნაძემ მოიყვანა და მისი გამოზრდილნი არიან, მოქალაქეთა კავშირის რიგებში მყოფნი საკუთარ ბელადთან ერთად წლების განმავლობაში ანგრევდნენ, ანადგურებდნენ ჩვენს სამშობლოს. **მეტიც, შევარდნაძის პოლიტიკის ყველაზე აქტიური, თანმიმდევრული, აგრესიული, უკომპრომისო გამტარებლები სწორედ ისინი იყვნენ. როდესაც დღეს ამბობენ, რომ ერთი წლის**

წინ მიხვდნენ შევარდნაძის პოლიტიკის მცდარობას და მათ ძალუძთ ეროვნული პოლიტიკის გატარება, ჩემში ეს ირონიას იწვევს, — მით უმეტეს, რომ ისინი იმას კი არ აცხადებენ, მთელი ამ ხნის განმავლობაში იმდენად გაუნათლებელი, ბრიყვი პოლიტიკოსები ვიყავით, რომ შევარდნაძის პოლიტიკის არსს ვერ ვწვდებოდითო; არა, აცხადებენ, რომ შევარდნაძემ პოლიტიკა შეცვალა უარესობისკენ და ამიტომ ჩამოსცილდნენ მას. ერთი მაინტერესებს, რით განსხვავდება შევარდნაძის ეს „ბოლოდროინდელი“ პოლიტიკა იმ პოლიტიკისაგან, რომელსაც იგი ატარებდა სამი, ხუთი ან თუნდაც 10 წლის წინ? რა ნახეს იქ პრინციპულად ახალი და მათთვის მიუღებელი?

მთელი იმ პერიოდის განმავლობაში შევარდნაძე ამ ახალგაზრდა რეფორმატორებთან ერთად, თავის „შვილობილებთან“ ერთად, როგორც თავად ეძახდა მათ, მიზანმიმარულად შლიდა საქართველოს, სპობდა ქართველობას, თრგუნავდა ქართულ სულს, დევნიდა ქართველ პატრიოტებს, გენოციდს უწყობდა საკუთარ ხალხს. ყველა, ვინც ამ პროცესში მასთან ერთად მონაწილეობდა, დამნაშავეა ერისა და ქვეყნის წინაშე. ამ ახალგაზრდა დამანგრეველებს ქართველი ხალხი მხოლოდ იმ შემთხვევაში აპატიებდა, თუ ისინი განაცხადებენ, რომ შევარდნაძის ანტიეროვნულ პოლიტიკაში აქტიურად იმიტომ მონაწილეობდნენ, რომ ელემენტარული წარმოდგენა არ ჰქონდათ ქართველი ხალხის ბუნებაზე, მისწრაფებებზე, ისტორიაზე და აბსოლუტურად არ ესმოდათ პოლიტიკის ელემენტარული საფუძვლები, ანუ სრულიად მოუმზადებლები იყვნენ პოლიტიკური მოღვაწეობისათვის, ხოლო ამ აღიარების შემდეგ, ერის წინაშე დიდი ბოდიშის მოხდით, პოლიტიკიდან უნდა წავიდნენ.

ჩვენ კი სულ სხვა სურათთან გვაქვს საქმე: დარწმუნდნენ რა, რომ შევარდნაძეს მოსახლეობა უყურებს, რო-

გორც ერის მტერს, და მისი პოლიტიკა ხალხისთვის კატეგორიულად მიუღებელია, მისი „შვილობილები“ მიხვდნენ, რომ საქართველოში პოლიტიკური მომავალი მათ შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაწყვეტენ მასთან ურთიერთობას და გარეგნულად მაინც ჩამოსცილდებიან ამ დისკრედიტებულ პიროვნებას. მგონი, მხოლოდ ამით არის განპირობებული ამ პირთა „ოპოზიციური“ რიტორიკა.

ისედაც სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“, იმ ორგანიზაციას, რომლის მიზანია ქართველი ხალხის თითქოსდა გადარჩენა, ის ადამიანები შეადგენენ, რომლებიც საკუთარი ერის მიმართ საოცარი სიძულვილით მოგვიწოდებდნენ ქართველებისთვის ეროვნების წართმევისკენ, ეროვნული კულტურისადმი მისწრაფებას პროვინციალიზმს უწოდებდნენ, ქართველი ერის გამთლიანების ნაცვლად ე. წ. სამოქალაქო საზოგადოების შექმნას ცდილობენ, ხოლო თვით სააკაშვილმა ევროსაბჭოს წინაშე საქართველოს სახელით ვალდებულებასაც კი მოაწერა ხელი ჩვენს სამშობლოში ასიათასობით თურქი-მესხის ჩასახლების შესახებ.

ჭეშმარიტად, პარადოქსებით სავსეა ჩვენი ცხოვრება...

გაზეთი „ერთობა“,
2002 წ., ივლისი

2002 წ., ოქტომბერი

«საქართველომ საკუთარი ინტერესები უნდა დაიცვას»

— ბატონო ალექსანდრე, კაცობრიობის ისტორიაში ცნობილია უამრავი ფაქტი, როცა დიდი ქვეყნები პატარა ქვეყნებს ანადგურებდნენ, უკეთეს შემთხვევაში მათგან მორჩილებასა და საკუთარი ინტერესების გატარებას მოითხოვდნენ. ამ მიმართულებით შეიცვალა კი რამე თანამედროვე მსოფლიოში? და თუ არაფერი შეცვლილა, რა ქნან ოკეანეში „პატარა თევზებმა“, რომლებსაც დიდი თევზები ყლაპავენ, როგორ გადაირჩინონ თავი?

— სამწუხაროდ, ისევე, როგორც საუკუნეების წინ, დღესაც მსოფლიოს მართავს ძალა. ძალა რჩება მთავარ არგუმენტად და მთავარ ბერკეტად სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში. დასავლური დემაგოგია ე.წ. დემოკრატიული პრინციპების საყოველთაო დანერგვისა და დაცვის, სახელმწიფოთა შორის „თანასწორუფლებიანი ურთიერთობების“ დამყარების შესახებ ბლეფია და მეტი არაფერი. ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ ამ პრინციპების თითქოს და ყველაზე აქტიური და უკომპრომისო დამცველი, „დემოკრატიის კერად“ წოდებული ამერიკა უხეშად, სასტიკად, სამხედრო ძალის გამოყენებით ერევა იმ სახელმწიფოების საშინაო საქმეებში, რომლებიც, სამხედრო-ეკონომიკური თვალსაზრისით, მასზე უფრო სუსტები არიან და ამავე დროს მის დიქტატს არ ემორჩილებიან.

მიუხედავად შევარდნაძის დემაგოგიისა იმის შესახებ, რომ საქართველოს თანაბარუფლებიანი ურთიერთობები გააჩნია მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან, ჩვენმა ხალხმა უნდა შეიგნოს, რომ ეს არის მოტყუება და რეალურად არც შეიძლება განხორციელდეს. შეუძლებელია თანაბარი ურთიერთო-

ბები დიდ, ძლიერსა და პატარა, სუსტს შორის. როდესაც შევარდნაძე ჩივის, რომ რუსეთს საქართველოსთან თანაბარი ურთიერთობები არ სურს, ნუთუ ამერიკასთან საქართველოს თანაბარი ურთიერთობები აქვს? რა თანასწორუფლებიანობაზეა ლაპარაკი ქვეყანასთან, რომლის 2-მილიარდიანი ვალი გაქვს? და რომლის კარნახს ყველა სფეროში და ყველა მიმართულებით უსიტყვოდ ემორჩილები?

სამწუხაროდ, საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა ისეთია, რომ ჩვენ მთელი არსებობის განმავლობაში არჩევანის წინაშე ვდგავართ: ვინ იქნება ჩვენი მოკავშირე? არჩევანი არცთუ ისე მრავალფეროვანი იყო: ქრისტიანული ბიზანტია თუ რუსეთი ან მუსლიმანური სპარსეთი თუ ოსმალეთი. რეალურად ეს არჩევანი დღემდე უცვლელი რჩება, ცვლილება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ თავს გვახვევენ მოსაზრებას, თითქოს დღეს არჩევანი რუსეთსა და ამერიკას შორის გვაქვს, რაც მტკნარი სიცრუეა, ვინაიდან ამერიკამ თვითონ აღიარა თურქეთი რეგიონულ ზესახელმწიფოდ კავკასიაზე გავლენის გავრცელების უფლებით. თურქეთი არის ამერიკის ყველაზე ძლიერი საყრდენი მუსლიმანურ სამყაროში, ნატოს გავლენიანი წევრი და მისი გეოპოლიტიკური ინტერესების დაცვაზეა მიმართული ამერიკის პოლიტიკა ჩვენს რეგიონში. როდესაც ჩვენი პოლიტიკანები გაჰკივიან, რომ ნატო გვიხსნის, ნატოს ჯარი უნდა შემოვიყვანოთ საქართველოშიო, ქართველმა კაცმა უნდა იცოდეს, რომ ჩვენთვის ნატო ამერიკა და ინგლისი როდია, ნატო ჩვენთვის თურქეთია.

აქედან გამომდინარე, ჩემი პოზიცია, საგარეო ურთიერთობების თვალსაზრისით, ცნობილია და უცვლელი რჩება: საქართველომ უნდა გაატაროს ისეთი საგარეოპოლიტიკური კურსი, რომლის შედეგად რუსეთი დარწმუნებული იქნება იმაში, რომ საქართველოს ტერიტორიიდან მას არავითარი საფრთხე არ ემუქრება და ამავე დროს თურ-

ქეთიც უნდა იყოს დარწმუნებული, რომ მისმა ექსპანსიონიზმმა კავკასიის რეგიონში საქართველოს გვერდი უნდა აუქციოს, ვინაიდან რუსეთთან შეჯახებას გამოიწვევს. არადა, თურქებს კარგად ახსოვთ, რომ რუსეთთან ყოველი მათი სამხედრო კონფლიქტი თურქეთისთვის მარცხით დამთავრდა. დარწმუნებული ვარ, რომ მხოლოდ ასეთი მიდგომა, მხოლოდ ასეთი საგარეო პოლიტიკა უზრუნველყოფს საქართველოს უსაფრთხოებას და მის თანმიმდევრულ განვითარებას.

— ამ ბოლო დროს კიდევ უფრო გამწვავდა ისედაც გართულებული ურთიერთობა რუსეთსა და საქართველოს შორის. ამერიკელები შუა აზიაშიც ჩადგნენ, მაგრამ რუსეთი ამ ფაქტს შედარებით მშვიდად შეხვდა (ყოველ შემთხვევაში გარეგნულად ასე ჩანს), ჩვენთან მიმართებაში ურთიერთობა მეტისმეტად დაძაბულია. როგორ ახსნიდით ამ ვითარებას?

— ამერიკა და რუსეთი შეთანხმდნენ ერთად ბრძოლაზე იმ ტერორიზმის საფრთხესთან, რომელიც დღეს მუსლიმანური სამყაროდან მოდის. ამიტომ დათანხმდა რუსეთი ამერიკული საჯარისო კონტიგენტის შუა აზიის იმ ქვეყნებში განლაგებაზე, რომლებიც უშუალოდ ესაზღვრებიან საერთაშორისო ტერორიზმის კერად წოდებულ რეგიონს. რაც შეეხება საქართველოს, ჩვენ ამ რეგიონს არ ვესაზღვრებით და ამიტომ აქ საერთაშორისო სამხედრო კონტიგენტის განლაგება რუსეთს მიზანშეწონილად არ მიაჩნია. მეტიც, შევარდნაძის მეშვეობით საქართველოში ჩამოყალიბდა ბუდე ტერორისტებად წოდებული იმ ჩეჩენი ბოევიკებისა, რომლებიც ემუქრებიან რუსეთის ფედერაციას ტერორისტული აქტებით და ახორციელებენ კიდეც. მე არ შევეხები იმ საკითხს, თუ რა დანაშაული ჩაიდინა შევარდნაძემ ერისა და ქვეყნის წინაშე, როდესაც აქტიურად შეუწყო ხელი კბილებამდე შეიარაღებული ათასობით „ბოევიკის“ ჩვენს სამშობლოში თავმოყრას, მათ შორის იმ ჩეჩ-

ნებისა, რომლებიც აფხაზეთში ჩემს ძმებს თავს კვეთდნენ, მაგრამ, მგონი, ყველასთვის ნათელია, რომ უფრო ანტიქართული საქმის გაკეთებას ძნელად თუ მოიფიქრებდა საქართველოს ყველაზე ვერაგი მტერი.

გარდა ამისა, **ვლადიმერ პუტინისთვის, როგორც საღად და პრაგმატულად მოაზროვნე პოლიტიკოსისთვის, ცხადია, რომ შევარდნაძის პოლიტიკა მიმართულია საქართველოში თურქეთის ჯარის შემოყვანაზე, რაც, თავის მხრივ, მთელი მუსლიმანური კავკასიის თურქეთისკენ სწრაფვას განაპირობებს. ხომ ყველასთვის ნათელია, რომ „ნატოში გაწევრიანებაზე", „ევროპაში შესვლაზე" ყვირილი ნიღაბია და მეტი არაფერი: ნატო ჩვენთვის თურქეთია და მხოლოდ თურქეთი.** ამას ისიც ადასტურებს, რომ საქართველოში განლაგებული სამხედრო ობიექტები ჩვენი ხელისუფლების მიერ სწორედ თურქი სამხედროებისთვისაა გადაცემული.

შევარდნაძე იმდენად ანგაჟირებულია სხვადასხვა საერთაშორისო წრის მიერ, რომ დამოუკიდებლად არც აზროვნების და არც მოქმედების უნარი შესწევს, თორემ ნებისმიერი ნორმალურად მოაზროვნე ქართველისთვის ცხადია, რომ ამ შემთხვევაში რუსეთისა და საქართველოს ინტერესები უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს და მხოლოდ სისულელით ან მოღალატეობით შეიძლება აიხსნას ამ ურთიერთობების განგებ გამწვავება.

— ათი წელიწადია, არ ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, ასევე განდგომილსა ჰგავს ჯავახეთი. ჩვენ ისიც გვახსოვს, რომ ახლო წარსულში ბოლნის-მარნეულის რაიონებში დასახლებული აზერბაიჯანელები ავტონომიას მოითხოვდნენ და დედაქალაქად რუსთავს ასახელებდნენ. საქართველოს მთავრობას ვალდებულება აქვს აღებული, დააბრუნოს „თურქი მესხები" ისტორიულ მესხეთში...

როგორ გესახებათ ამ პრობლემების მოგვარება?

— ყველაფერი, რაც ჩამოთვალეთ, საქართველოს დაქუცმაცებისა და დანაწევრების გეგმაში შედის. გამოყოფილი აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი სჭირდება თურქეთს კავკასიის მთიელ ხალხთა სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის შექმნისთვის მისი რუსეთიდან შემდგომი გამოყოფით. აზერბაიჯანელების ავტონომია და ჯავახეთში თურქი მესხების ჩასახლება ამავე წრეებისთვის ერთიანი მუსლიმანური ზოლის ჩამოყალიბებისთვისაა საჭირო. ამ შემთხვევაში საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე შერჩენილი ქართული მოსახლეობა მუსლიმანურ ალყაში აღმოჩნდება და დიდხანს ვერ გაძლებს. მოკლედ რომ ვთქვათ, შევარდნაძის პოლიტიკამ ქართველი ერი უკუაგდო იმ გეოპოლიტიკურ მდგომარეობაში, რომელიც 300-500 წლის წინ იყო.

მოგეხსენებათ, რომ თურქეთი აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორი, ნატოს წევრი ქვეყანაა და მის სამხედრო-პოლიტიკურ ინტერესებს აშშ-ც და ნატოც მხარს უჭერენ. ჯერ კიდევ ოთხი წლის წინ ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე გავაცანი საზოგადოებას აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ შემუშავებული პროგნოზი — ე.წ. „ვუდის გეგმა“, რომლის მიხედვით უახლოესი 10-15 წლის განმავლობაში საქართველო დაიშლება რამდენიმე ჯუჯა სახელმწიფოდ თურქეთის პროტექტორატის ქვეშ. მაშინ ქართული პრესა აყვირდა, რომ ეს არის პროვოკაცია, ხოლო აშშ-ის საელჩომ განაცხადა, რომ მსგავსი გეგმა ბუნებაში არ არსებობს. გავიდა დრო და აგერ შარშან ამერიკის პრესაში გამოქვეყნდა „ვუდის გეგმა“, თუმცა ქართულ პრესაში მისი გადმობეჭდვისთვის ადგილი ვერ მოიძებნა.

რაც შეეხება თურქი მესხების ჩასახლებას, ეს, გარდა ქართველების კატასტროფული შევიწროებისა, შეიარაღებულ შეჯახებასაც გამოიწვევს ჯავახეთში, ვინაიდან იქ სომხები ცხოვრობენ. სწორედ ეს სჭირდება თურქეთს,

რომელიც ამ შემთხვევაში, თანამოძმეთა დაცვის მიზნით ამ რეგიონში საკუთარ ჯარს შემოიყვანს და ტერიტორიის ანექსირებას მოახდენს. თუ გახსოვთ, სწორედ ასეთი სცენარით განვითარდა მოვლენები ოცდაათი წლის წინ კვიპროსზე. დღემდე კვიპროსის ნახევარი თურქებს ეკუთვნით და არავითარი საერთაშორისო სამართალი საქმეს არ შველის.

რა თქმა უნდა, ყველასთვის ცხადია, რომ შევარდნაძე და მისი დაჯგუფება აქტიურად მხარს უჭერს ამ გეგმის რეალიზებას. სწორედ ამიტომ მე ამ ხელისუფლებას თავის დროზე „მეხუთე კოლონა“ დავარქვი. მოგეხსენებათ, რომ საქართველოს სახელით თურქი მესხების ჩამოსახლებაზე თანხმობა განაცხადეს სააკაშვილმა და ჟვანიამ, რაც მათ „პატრიოტობას“ მოწმობს.

გამოსავალი ამ ჩიხური მდგომარეობიდან ერთია: შევარდნაძისა და მისი დაჯგუფების პოლიტიკური არენიდან მოშორება და ჭეშმარიტად ეროვნული, ქვეყნის ობიექტური ინტერესებით განპირობებული პოლიტიკის გატარება.

— კონკრეტულად აფხაზეთზე. რაც დრო გადის, ის უფრო და უფრო გვშორდება. ვართ „მეგობარი“ ქვეყნებისა და გაეროს იმედით, მაგრამ ისიც ხომ ცნობილია, რომელ ქვეყნებშიაც გაერომ დააშორიშორა მოწინააღმდეგე მხარეები, იქ ყველგან აღმოცენდა ორი დამოუკიდებელი სახელმწიფო. რა გზას უნდა დავადგეთ აფხაზეთის დასაბრუნებლად?

— მართალი ბრძანდებით, ვინაიდან გაეროსთვის, ე.წ. მეგობარი ქვეყნებისთვის საკუთარი ინტერესები გაცილებით უფრო მაღლა დგას, ვიდრე იმ ქვეყნების და ერების ინტერესები, რომლებთანაც „მეგობრობენ“. მაგალითად, რაკი საქართველოს ტერიტორია დასავლეთის მიერ გამოყენებული უნდა იყოს ნავთობსადენის გაყვანისთვის, მაშინ დაინტერესება იმაში მდგომარეობს, რომ ამ ტერიტორიაზე სტაბილურობა და ძლიერი მაკონტროლებელი ხე-

ლი არსებობდეს. სტაბილურობა ნიშნავს აფხაზეთსა და სამაჩაბლოში არსებული სიტუაციის შენარჩუნებას, ანუ მის იურიდიულ გამყარებას, ხოლო ძლიერ მაკონტროლებელ ძალას უზრუნველყოფს ამ ტერიტორიაზე თურქეთის პროტექტორატის გავრცელება. ამიტომ აფხაზეთის დაბრუნებისთვის მხოლოდ ერთი გზა არსებობს: ერთობლივი გეოსტრატეგიული ინტერესების საფუძველზე რუსეთთან ურთიერთობების დამყარება და მასთან უშუალო თანამშრომლობით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ვინაიდან რუსეთი ერთადერთი დიდი სახელმწიფოა ჩვენ გარშემო, ვის ინტერესებშიც ზემოთ აღნიშნული ამერიკულ-თურქული გეგმის რეალიზება ობიექტურად არ შედის. სხვა საქმეა, რომ რუსეთის სათავეში ხანდახან აღმოჩნდება ხოლმე ხრუშჩოვის, გორბაჩოვისა და ელცინის მსგავსი უტვინო ან მარიონეტი ხელისუფალი, რომელიც შეგნებულად თუ შეუგნებლად საკუთარი ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებს. სამწუხაროდ, შევარდნაძის მაგალითი იმას მოწმობს, რომ საქართველოშიც ანალოგიური რამ ხდება, მაგრამ მაინც მმართველები მოდიან და მიდიან, ქვეყნების გეოპოლიტიკური ინტერესები კი უცვლელი რჩება.

— ამ ათი წლის განმავლობაში ქართველმა ხალხმა იმდენი სიდუხჭირე, ტანჯვა-წამება გამოიარა, ეს გაძლება და მოთმინება, ეს ენერგია ქვეყნის აღმშენებლობის საქმეს რომ მოხმარებოდა, ახლა საქართველო წელში გამართული ქვეყანა იქნებოდა. ჩვენი გზა არა ჰგავს გოლგოთის გზას, სადაც ჯვარცმის შემდეგ აღდგომა გველოდება. საით მივყავართ?

— მიმაჩნია, რომ გასული ათწლეული ყველაზე მძიმე და ტრაგიკული პერიოდია საქართველოს ისტორიაში. საქართველოს დაშლა, რომელიც შევარდნაძის მმართველობის პერიოდში მოხდა, თვისებრივად განსხვავდება საქართველოს იმ

დაქუცმაცებისგან, რომელსაც ისტორიის სხვადასხვა პერიოდში ჰქონდა ადგილი. თუ ადრე საქართველო იშლებოდა რამდენიმე სახელმწიფოდ, ეს ქართული სახელმწიფოები იყო, იქ ქართველები ცხოვრობდნენ, ქართველები მართავდნენ, ვითარდებოდა ქართული ენა, ქართული კულტურა, ქართული ტრადიციები, ე.ი. მთლიანობაში ქართველი ერი ისტორიულ მიწაზე ცხოვრობდა და ვითარდებოდა. დღეს სულ სხვა სურათთან გვაქვს საქმე. „შევარდნაძისეული მოდელით“ დაშლამ გამოიწვია საქართველოს ისტორიაში უპრეცედენტო მოვლენა: ძირძველ ქართულ მიწებზე ქართველები აღარ ცხოვრობენ, იქ არ ჟღერს ქართული ენა, არ ვითარდება ქართული კულტურა, ანუ ქართველი ერის არეალი მკვეთრად შემცირდა. ასეთი სახის ტრაგედია ჩვენს ისტორიაში არ ყოფილა.

აღორძინებისთვის საჭიროა ეროვნული ენერგიის მაქსიმალური, არნახული კონცენტრირება და გამომჟღავნება. მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი საქართველოსა და ქართველი ერის აღდგენაზე საუბარი. სამწუხაროდ, ჩვენი ხელისუფლება თავისი პოლიტიკითა და მრავალრიცხოვანი პოლიტიკური პარტიების ანტიეროვნული მოღვაწეობით ცდილობს ქართველობის დაქუცმაცებას, არსებული ეროვნული ენერგიის გაფანტვას და უნდა ვაღიაროო, რომ მას ეს გამოსდის კიდეც.

— დღევანდელ საქართველოში ბრმა მეგზურია, ენაბლუ — ორატორი, მართალი მტყუანია და მტყუანი — მართალი... ყოველი მეორე თუ მესამე პოლიტიკოსობს და ყაყანმა ლამის წალეკოს ქვეყანა. რა სენი შეგვეყარა?

— შევარდნაძის საკადრო პოლიტიკის არსი არის პოლიტიკურ არენაზე გაუნათლებელი, გამყიდველი, არა-

ეროვნულად მოაზროვნე, მექრთამე ადამიანების გამოყვანა, თანაც უმეტესობას, თუ ამჩნევთ, ან რაიმე ფიზიკური თუ ფსიქიკური ნაკლი გააჩნია, ან არაქართული წარმოშობისაა, ან არანორმალური მიდრეკილებების მატარებელია. ასეთი ხალხი ადვილი სამართავია, მეტიც, შევარდნაძე სამართლიანადაა დარწმუნებული, რომ არც ერთი მათგანი ქართველობის დასაცავად ხმას არ აიმაღლებს. ერის ფიზიკური და სულიერი მოსპობისთვის სწორედ ასეთი ხალხია საჭირო. თუ გახსოვთ, როდესაც ბოლშევიკებმა რუსეთში ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს, ხელისუფლებაში მხოლოდ ებრაელები, ლატვიელები და სხვები, ანუ არარუსები მოვიდნენ და რუსი ხალხის, რუსული კულტურის მოსპობის უსასტიკესი პროცესი წარმართეს. სტალინს 20 წელი დასჭირდა ამ ხროვის იზოლაციისთვის. საქართველოშიც მომავალი ხელისუფლების ამოცანა, თუ, რა თქმა უნდა, ეს ხელისუფლება ეროვნული იქნა, ამ ანტისახელმწიფოებრივი კონტიგენტის მოშორება იქნება.

— თბილისში მოიძებნებიან „მოაზროვნე“ ადამიანები, რომლებიც აფხაზეთიდან 300 ათასი მოსახლის განდევნას პროგრესულ მოვლენად თვლიან. თურმე იქ გარუსების გზაზე მდგარ მეგრელებს აქ „გააქართველებენ“, ნაწილს არაქართველ მოსახლეობაში აურევენ და ნაწილს კი ისევ უკან დააბრუნებენ... ამას რომ ვამბობ, ხუმრობად ნუ ჩამითვლით. ეს აზრი რამდენიმე ადგილას მოვისმინე. როგორც პოლიტოლოგს, მინდა გკითხოთ: რა ჰქვია ყოველივე ამას?

— ამას ჰქვია უზნეობა და ნაძირლობა. ეს ის ხალხია, რომელიც შევარდნაძის ყველა ქმედებაში რაციონალურ მარცვალს ეძებს და ამის საფუძველზე მას მეორე დავით აღმაშენებელს უწოდებს. აფხაზეთში არსებობდა და ვითარდებოდა შესანიშნავი ქართული საზოგადოება. იქ, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით, ყველა აფხაზი მეგრულად ლაპარაკობდა,

მეგრული ტრადიციები აფხაზებზეც და სხვებზეც ვრცელდებოდა, მეტიც, აფხაზური და მეგრული წეს-ჩვეულებების შერწყმა ხდებოდა. სხვა საქმეა, რომ ბევრს საქართველოში არ აძლევს ხელს მეგრული ფენომენის გავრცელება და გამაგრება. მათ ურჩევნიათ, მეგრელი სახლიდან, მიწიდან გამოგდებული, გაღატაკებული, გაუბედურებული იყოს. ასეთი ადამიანები ქართველი ერის და საქართველოს მტრები არიან. ამ ადამიანების ბრალია აფხაზეთის დაკარგვა, ახლა კი სამეგრელოს მოშორებას ცდილობენ.

— დღეს აშკარად ებრძვიან საქართველოში მართლმადიდებლობას. ქართველი იელოველები სრულიად გაუუცხოვდნენ მართლმადიდებლებს: არ დადიან მეზობლებთან არც სატირალში, არც ლხინში. ხომ არ არის საშიშროება, ქართველები რელიგიური ნიშნითაც გაიხლიჩონ?

— მართლმადიდებლობასთან ბრძოლა ამერიკული კოსმოპოლიტური გეგმის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ამერიკელმა იდეოლოგმა, ჩვენი პოლიტიკური ელიტის საყვარელმა მასწავლებელმა ზ. ბჟეზინსკიმ პირდაპირ განაცხადა: „საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩვენ მხოლოდ ერთი მტერი გაგვაჩნია — მართლმადიდებლობა“.

ამით არის განპირობებული სხვადასხვა რელიგიური სექტის მომრავლება საქართველოში, რუსეთშიც. მათ უზარმაზარი ფინანსური სახსრები გააჩნიათ, რაც გაღატაკებულ ქვეყანაში, დამეთანხმებით, დიდად ეფექტურია. სამწუხაროდ, ქართული მართლმადიდებლური ეკლესია ამ დაპირისპირებაში საოცარ პასიურობას იჩენს. ეკლესიის ხელმძღვანელობას არც მაშინ აუმაღლებია ხმა, როდესაც ამხობდნენ კანონიერ ხელისუფლებას, იმართებოდა სამოქალაქო ომები, ითრგუნებოდა ქართული სული, ქართული ეროვნული მისწრაფებები, ხორციელდებოდა ქართველთა თანმიმდევრული გენოციდი ხელისუფლების მიერ. ამ პასიურობას ეკლესიის იერარქები საერო

საქმეებში ჩაურევლობის პრინციპით ამართლებდნენ. რით გაამართლებენ საკუთარ პასიურობას მართლმადიდებლობის მოსპობის პროცესში, მე არ ვიცი, მაგრამ ერთი რამ ნამდვილად ვიცი: მართლმადიდებლური ეკლესიის ხელმძღვანელობამ ბოლოსდაბოლოს უნდა გადაწყვიტოს, თუ ვის ინტერესებს ემსახურება — შევარდნაძის თუ ქართველი ერის! მოსახლეობამ კი უნდა შეიგნოს, რომ მართლმადიდებლობა ბევრწილად ქართველობას განაპირობებს. მართლმადიდებლობის მოსპობა ქართველობის მოსპობას ნიშნავს.

— მიმდინარე წლის 12 სექტემბერს „რუსთავი 2“-ის ტელეარხით, პროგრამა „ღამის კურიერში“ თქვენი გამოსვლის შემდეგ გამოდიოდა პოლიტოლოგი საყვარელიძე. მან თქვენი ნათქვამის საპირისპიროდ ბალტინის ჯარის შემოყვანა სამეგრელოში გაამართლა და ყოველივე მომხდარი გამსახურდიას მომხრეებს დააბრალა. თქვენი აზრი ამის შესახებ...

— უკვე მოგახსენეთ, რომ შევარდნაძის აპოლოგეტები მის ნებისმიერ საქციელს ამართლებენ, მის ნებისმიერ, ყველაზე სულელურ თუ ანტიეროვნულ ქმედებაში „გენიალობას“, „შორსმჭვრეტელობას“ ხედავენ. შევარდნაძემ რუსეთის ჯარი დიდი მონდომებით გამოიყენა საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლაში, საკუთარი ძალაუფლების შესანარჩუნებლად, მაგრამ მისთვის კატეგორიულად მიუღებელი აღმოჩნდა რუსეთის ჯარის შეყვანა სოხუმში, აფხაზეთის ომის დროს, როგორც ამას რუსეთი სთავაზობდა. მაშინ ჩვენსა და აფხაზებს შორის საზღვარი არა მდ. ენგურზე, არამედ მდ. გუმისთაზე გავიდოდა. ასეთ პარადოქსებთან გვაქვს საქმე...

რუსეთმა შევარდნაძე საქართველოში ხელისუფლებაში მოიყვანა, რამდენიმეჯერ მისი ძალაუფლება გადაარჩინა, მათ შორის სამხედრო ძალის გამოყენებით და ამით რაც მიიღო, დღეს

რწმუნდება. საჭირო მომენტში შევარდნაძემ პატრონი შეცვალა, უფრო ძლიერს მიეტმასნა და დღეს საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნებაგაგრძელებას ამერიკელებისა და თურქების ჩვენს საშინაო საქმეებში ჩარევით ცდილობს.

— შეერთებული შტატები ემზადება ერაყის დასაბომბად. თქვენი აზრით, როგორ განვითარდება შემდგომი მოვლენები?

— ერაყის წინააღმდეგ ომის გაჩაღება შეერთებული შტატებისთვის საბედისწერო შეცდომა შეიძლება აღმოჩნდეს. ამერიკელებმა ბევრი შეცდომა დაუშვეს, როდესაც იფიქრეს, რომ მთელი მსოფლიოს საკუთარი შეხედულებისამებრ მართვის უნარი და შესაძლებლობა შესწევთ. ის ეიფორია, რომელიც მათ დაეუფლა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ნაადრევი აღმოჩნდა. მსოფლიო ძალიან რთულ ორგანიზმს წარმოადგენს, ერთნაირი მიდგომებით, მოთხოვნებით მისი მართვა შეუძლებელია. ამიტომ არის, რომ ანტიამერიკული განწყობილება მთელ მსოფლიოში სწრაფად ვრცელდება. ახლახან გერმანიაშიც კი ანტიამერიკულ ტალღაზე დარჩა შროიდერი ხელისუფლების სათავეში. ევროპა სულ უფრო მტკივნეულად რეაგირებს ამერიკის ჰეგემონიაზე. მუსლიმანური სამყაროს გადამტერება, რაც ერაყთან ომს აუცილებლად მოჰყვება, შეიძლება ამერიკის დასასრულის დასაწყისად იქცეს. საქართველოსთვის კი მთავარია, რომ ამ ომში არ დავუშვათ ჩვენი სამხედრო აეროდრომების გამოყენება ამერიკელების მიერ. თურქეთი საკუთარი აეროდრომების გამოყენებაზე სასტიკ უარს აცხადებს, ვინაიდან საპასუხო დარტყმების ეშინია, მაგრამ ჩვენს „უშიშარ“ პრეზიდენტს შეუძლია ამ გადაწყვეტილების მიღება, უფრო სწორად კი — ამ მითითების უსიტყვოდ და უყოყმანოდ შესრულება...

— ვლადიმერ პუტინის მკვეთრი განცხადების შემდეგ,

რომელიც პანკისის ხეობის დაბომბვას შეეხებოდა, შევარდნაძე ერთობ შეშინებული ჩანდა, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ განწყობილება გამოუკეთდა. ვისი იმედით? ამერიკის?..

— დიახ! ამერიკელებმა დააიმედეს. ისინი დღეს ერთადერთი დასაყრდენია შევარდნაძისთვის, მისი ხელისუფლებისთვის. მთელი პროპაგანდა მიმართულია იქითკენ, რომ მოსახლეობას გააგებინონ — შევარდნაძის გამო რუსეთის აგრესიას ამერიკა არ დაუშვებს. პირადად მე შეურაცხყოფილად ვთვლი თავს, რომ ქვეყანას მართავს პიროვნება, რომელსაც ჭკუა და ნიჭი არ ჰყოფნის უზარმაზარ მეზობელ ქვეყანასთან ნორმალური ურთიერთობების დასამყარებლად და საშველად ოკეანის გაღმა მიმართავს.

ოფიციალურ პროპაგანდაში ნათლად ჟღერს, რომ ამერიკა პანკისის დაბომბვას არ დაუშვებს. კი, ბატონო, ვთქვათ, არ დაგვბომბავს რუსეთი ჩეჩნეთთან დაკავშირებით, მაგრამ ნუთუ რუსეთთან ჩვენს ურთიერთობებს მხოლოდ პანკისის პრობლემა განსაზღვრავს, მეტი არაფერი გვჭირდება რუსეთისგან? რა ვუყოთ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემას, რომლის ჩვენდა სასიკეთოდ გადაჭრა აბსოლუტურად დამოკიდებულია რუსეთის კეთილ ნებაზე? რა ვუყოთ ეკონომიკური აღორძინების პრობლემებს, რაც ასევე რუსეთთანაა დაკავშირებული, რადგანაც ეს ქვეყანა ჩვენი პროდუქციისთვის ერთადერთ ბაზარს წარმოადგენს? რა ვუყოთ იმ მილიონზე მეტ ქართველს, რომლებიც რუსეთში არიან ემიგრირებული და იქ ნაშოვნი ფულით საქართველოში კიდევ ორ მილიონს ინახავს? ეს სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემები იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი ურთიერთობა ექნება საქართველოს რუსეთთან.

შევარდნაძის „გენიალობა“ იმაში მდგომარეობს, რომ იგი ცდილობს, ამერიკა გამოიყენოს რუსეთის ინტერესების წინააღმდეგ, ამით შეინარჩუნოს ასობით შეიარაღებული ჩეჩენი საქართველოში და პარალელურად ტერიტორიული მთლიანობისა და ეკონომიკური აღორძინების პრობლემა გადაუჭრელი დატოვოს. შედეგად მივიღებთ მტრულად განწყობილ რუსეთს, რომლის ხელშიცაა ჩვენი ტერიტორიები, ეკონომიკური მომავალი და მილიონი თანამემამულის ბედი. სამაგიეროდ შევარდნაძე მიიღებს „საუკეთესო თურქის“ წოდებას, როგორც ადრე გორბაჩოვს მიანიჭეს „საუკეთესო გერმანელის“ წოდება.

გაზეთი „ფარტაზის სამრეკლო“,
2002 წ., ოქტომბერი

2003 წ., ივლისი

შევარდნაძე გადადგება?

— ბატონო ალექსანდრე, ერთ-ერთ ინტერვიუში, შევარდნაძე-ბეიკერის შეხვედრის მიზეზს ასახელებთ, რომ ორმა მეგობარმა მოილაპარაკა, თუ ვინ უნდა დასახელებულიყო საქართველოში ოპოზიციურ ძალად. ამ მიზეზის დასახელების დროს გაითვალისწინეთ მათი წარსული მეგობრობა და თანამოაზრეობა თუ კიდევ სხვა?..

— ვიგულისხმე შევარდნაძის მაქსიმალური ანგაჟირება ამერიკის ადმინისტრაციის მიერ და ის, რომ მისი იმიჯიც, ბედიც და ოჯახის მომავალიც დამოკიდებულია სწორედ ამერიკის ადმინისტრაციის ნებაზე. ამიტომაც ამერიკელთა რჩევა შევარდნაძისთვის ბრძანების ტოლფასია, ზემოაღნიშნული ვერსია დავუშვი არა იმიტომ, რომ გარკვეული ინფორმაცია გამაჩნია, არამედ იმიტომ, რომ ჩემეული ვერსია განპირობებულია უფრო სხვა მიზეზებით. არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებისთვის და კონსულტაციების გაწევისთვის საქართველოში საკმარისი იყო გამოგზავნილიყო ნებისმიერი „კლერკი“, რომელიც წერილს გადასცემდა შევარდნაძეს და დაიწყებოდა მოლაპარაკებებიც, მაგრამ რახან აირჩიეს ბეიკერი, ამას უკვე მეგობრული ჩარევის ელფერი მიეცა, არადა, მეგობრული ელფერის მიცემა არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებისთვის კი არა, უფრო მნიშვნელოვანი და მტკივნეული თემისთვისაა საჭირო. ეს თემა კი შევარდნაძის პოლიტიკური არენიდან წასვლა და მისი ჩანაცვლებაა უკვე მომზადებული კადრებით, რომლებიც გააგრძელებენ შევარდნაძის საგარეო კურსს.

— თუ ასე ვიმსჯელებთ, გამოდის, რომ ბეიკერმა და შევარდნაძემ ასეთ ოპოზიციად ჟვანია-სააკაშვილის გუნდი დანიშნეს?

— დიახ, ვგონებ, ბეიკერმა ურჩია შევარდნაძეს, თუ ვინ

უნდა ჩათვლილიყო ოპოზიციად და ამავე დროს დროზე წასვლა პოლიტიკიდან. თუ შევარდნაძეს კიდევ შერჩა ანალიზის უნარი, მხოლოდ ერთ დასკვნამდე მივა: მას პრეზიდენტობის მაქსიმუმ ერთი წელი დარჩა, არადა, ამ ერთ წელიწადში საქართველოს კიდევ ბევრი უბედურება ელის, იგი შეიძლება გახდეს გაკოტრებული ქვეყანა, მას მოთხოვენ ვალებს, არანაირი პერსპექტივა არ ჩანს აფხაზეთის პრობლემის მოგვარების და თანაც ელოდება ისეთი ზამთარი, როგორიც ჯერ არ გვქონია. ამიტომაც, შევარდნაძის იმიჯისთვის უკეთესი იქნება ვადამდე ადრე წასვლა და ჩამოთვლილი პრობლემები გახდება უკვე მომავალი პრეზიდენტის საზრუნავი. ამის შემდეგ გარწმუნებთ, რომ მოსახლეობა იტყვის, შევარდნაძის დროს უკეთესად ვცხოვრობდითო.

— თუ შევარდნაძემ მიიღო ეს გადაწყვეტილება, როგორ ფიქრობთ, მიზეზად რას დაასახელებს?

— მიზეზი შეიძლება ბევრი იყოს. პირველ რიგში კი იქნება ხანდაზმულობა და ფიზიკური მდგომარეობა, თუმცა მას დიდი ფანტაზია გააჩნია...

— თქვენი აზრით, მაინც ვინ შეცვლის შევარდნაძეს?

— ვგონებ, ამ დროს ქართველმა ხალხმა უნდა თქვას თავისი აზრი და აირჩიოს ის ქართველი კაცი, რომელმაც დაამტკიცა, რომ საქართველოზე ფიქრობს და ქართველობაზე ზრუნავს.

— მაგრამ, როგორც ვიცით, უკვე მოსახლეობის გარეშე ხდება ყველაფრის გადაწყვეტა და აღნიშნავენ, რომ მომავალი პრეზიდენტი უნდა შეირჩეს ამერიკისა და რუსეთის ინტერესების გათვალისწინებით...

— ჯერჯერობით საუბარი მხოლოდ ამერიკის ინტერესების გათვალისწინებაზე მიდის. უბედურებაა, როდესაც შევეგუეთ იმ რეალობას, რომ პრაქტიკულად კოლონიალური ტერიტორია ვართ. ჩვენი მთავრობა უსიტყვოდ ასრულებდა ეკონომიკის დარგში საერთაშორისო სავალუტო

ფონდის ბრძანებებს, ხოლო პოლიტიკის დარგში — სახელმწიფო დეპარტამენტის მითითებებს. დღეს საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი უშუალოდ ერევა ქვეყნის ინტიმურ საკითხებში. ასეთ აშკარა და პირდაპირ ჩარევას ამერიკელები არც ერთი ქვეყნის მიმართ არ უშვებდნენ, გარდა დამარცხებული ქვეყნებისა, როგორიცაა, მაგალითად, ავღანეთი და ერაყი.

— თუ შევარდნაძე გადაწყვეტს ვადამდე ადრე წასვლას, თქვენი აზრით, რა ეტაპზე დატოვებს იგი ტერიტორიული მთლიანობის საკითხს?

— აფხაზეთის პრობლემის რეგულირება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შევარდნაძის შემდგომ მოსული ხელისუფლება დაარეგულირებს ურთიერთობებს რუსეთის ფედერაციასთან. საქართველოდან გამოყოფილი აფხაზეთი ხელს არ აძლევს არც საქართველოს და არც რუსეთს. რუსეთისთვის ეს დიდი საშიშროებაა და მისთვის სამხრეთის შესაძლო აფეთქებას ნიშნავს. მიუხედავად ასეთი გეოსტრატეგიული ინტერესებისა, რუსეთის ფედერაცია შევარდნაძესთან ამ საკითხში არანაირ ურთიერთობას არ დაარეგულირებს. სასაცილოა, რუსეთს მოთხოვო აფხაზეთის დაბრუნება და ამავე დროს განაცხადო, რომ იქ შენ ნატოს ბაზას განალაგებ. ამიტომაც ვამბობ, რომ **ხალხი, რომელიც გაჰკივის ნატოს ჯარებისა და ბაზების განლაგებაზე საქართველოში, მათ აფხაზეთის დაბრუნება არ სურთ,** ვინაიდან შეუთავსებელი მოთხოვნებია.

— გამოდის, შევარდნაძე ამ პრობლემასაც მომავალ კოლეგას გადაულოცავს?

— რა თქმა უნდა. შევარდნაძეს უბრალოდ არ ძალუძს ამ პრობლემის გადაწყვეტა, ვინაიდან მის მიმართ რუსეთის ხელმძღვანელობის ნდობა ნულის ტოლფასია. ამიტომაც, ამ თემაზე მათი მოლაპარაკება რეალურად შეუძლებელია.

გაზეთი „ალიონი“,
2003 წ., ივლისი

2003 წ., ივლისი

«რუსეთის ნატოთი ჩანაცვლება, თურქეთის ჯარების საქართველოში შემოსვლას ნიშნავს»

— ბატონო ალექსანდრე, პრეზიდენტმა შევარდნაძემ არა ერთხელ განაცხადა, რომ დადგა საქართველოს ნატოში გაწევრიანების ჯერი. იმავეს ამბობს ქართველ პოლიტიკოსთა უმრავლესობა. თქვენ რა აზრის ხართ ამ პერსპექტივაზე?

— საქართველოს პრეზიდენტისგან მართალი სიტყვა არასოდეს გამიგონია და რატომ უნდა დავუჯერო ამ შემთხვევაში? ნატოში შესვლის პერსპექტივა საკმაოდ ეფემერულია და ბლეფს უფრო ჰგავს. შევარდნაძე ცდილობს, ქვეყნის სავალალო პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური მდგომარეობა მიჩქმალოს, გადაიტანოს მოსახლეობის ყურადღება ვითომდა დიდ საგარეოპოლიტიკურ წარმატებაზე და ნაწილობრივ აღწევს კიდეც ამას. თუ ამჩნევთ, სულ უფრო ხშირად გაისმის — შევარდნაძემ საშინაო საქმეები კი დაღუპა, მაგრამ ნატოში ხომ შევყავართო.

სინამდვილეში კი საქართველო არც ერთი პარამეტრით არ შეესაბამება იმ მოთხოვნებს, რომლებსაც ნატო უყენებს მასში გაწევრიანების მსურველს. ეს მოთხოვნებია, პირველ რიგში, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, ეკონომიკური განვითარების სათანადო დონე, ნატოს სამხედრო სტანდარტების შესაბამისად შეიარაღებული და გაწვრთნილი ჯარის შენახვის უნარი. არც ერთი ამ მიმართუ-

ლებით საქართველოს პერსპექტივა არ ჩანს. მე, რა თქმა უნდა, დარწმუნებული ვარ, რომ შევარდნაძეც და ჩვენი პოლიტიკური ელიტის უმრავლესობაც მზად არიან, უარი თქვან აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე, ოღონდაც ნატოში გავწევრიანდეთ, საქართველოში თურქების ჯარი შემოვიდეს, ხოლო პრეზიდენტი ნატოს სამიტზე ბუშთან და შრიოდერთან ერთად გამობრწყინდეს და დაბეჩავებულ საზოგადოებას ამით სიამაყის გრძნობა შთაუნერგოს. მაგრამ ასევე დარწმუნებული ვარ, რომ ნატოს ქვეყნებს ასეთი მოკავშირე არ ეპიტნავებათ. შექმნილი სიტუაციის პარადოქსულობა იმაში მდგომარეობს, რომ ნატოში გაწევრიანებისთვის საჭირო ტერიტორიული მთლიანობა და ეკონომიკური განვითარება რუსეთის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, ვის ჯინაზეც ჩვენ თითქოსდა ნატოში შევდივართ. საინტერესოა, რომ თვით ნატოს გენერალური მდივანი ჯორჯ რობერტსონი და ამ ორგანიზაციის სხვა მაღალჩინოსნებიც ამბობენ, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანებისთვის მოსამზადებლად 5-დან 10 წლამდე დასჭირდებაო. აშშ-ის ელჩმა რუსეთში, ალექსანდრ ვერშბოუმ პირდაპირ განაცხადა, რომ „საქართველოს ნატოში შესაძლო წევრობის საკითხი ჰორიზონტზეც არ ჩანს“. მაგრამ ჩვენი მოლაყბე პოლიტიკოსები ამ გამონათქვამებს ყურადღებას არ აქცევენ და მაინც თავისას „უბერავენ“. ისე, 10 წლის შემდეგ ჩვენ ნატოს ჩინოვნიკებისგან იმავე შინაარსის დაპირებებს მოვისმენთ...

გაზეთი „ასავალ-დასავალი“,
2003 წ., ივლისი

2004 წ., სექტემბერი

მაინტერესებს, სად და რომელ სორო(ს)ში იმყოფება ჩვენი «სახელოვანი ინტელიგენცია»

საქართველოს ის მოაზროვე პატრიოტები, რომლებიც წლების განმავლობაში შევარდნაძის ანტიეროვნულ რეჟიმს ებრძოდნენ, ახალი ხელისუფლებისგან სამი სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანის პრინციპულ გადაწყვეტილებას მოელოდნენ: საგარეოპოლიტიკური ურთიერთობების მოგვარებას; ეკონომიკაში მოდერნიზაციული პროექტის შემუშავებასა და რეალიზებას; განათლებისა და მეცნიერების ეროვნული სისტემის აღორძინებასა და ინტენსიურ განვითარებას. ამ ძირითად მიმართულებებში ამოცანათა წარმატებულ გადაწყვეტას შეუძლია შეწყვიტოს ქართული სახელმწიფოებრიობის ნგრევა, ქართველი ერის დაშლა-გაფანტვა, უზრუნველყოს ქვეყნის ტერიტორიული და სულიერი მთლიანობის აღდგენა, ქართველი ერის, როგორც კულტურულ-ისტორიული ფენომენის, შენარჩუნება. სამწუხაროდ, ახალი ხელისუფლების მიერ ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები აღმოჩნდა ფორმით კიდევ უფრო უნიჭო, ხოლო შინაარსით კიდევ უფრო ანტიქართული, ვიდრე ეს შევარდნაძის მარაზმატული მმართველობის პერიოდში იყო.

საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში შეიქმნა და ფუნქციონირებს ასობით, ათასობით არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელთა უმრავლესობა უცხოეთიდან, ძირითადად, ამერიკის შეერთებული შტატებიდან ფინანსდება. ამ ორგანიზაციების შენახვისთვის ამერიკელები ასობით მილიონ

დოლარს ხარჯავენ. ეს ფული საკმარისი იქნებოდა ქვეყნის სოფლის მეურნეობის აღდგენისთვის, ასობით საცხოვრებელი სახლის აშენებისთვის, თანამედროვე სამრეწველო ტექნოლოგიების დანერგვისთვის, მაგრამ ეს უზარმაზარი თანხები გამოყოფილია იმ პროექტების რეალიზაციისთვის, რომლებიც მიზნად ისახავს „ადამიანის რელიგიური მრწამსის თავისუფლების უზრუნველყოფას“, „განათლების სისტემის რეფორმირებას დასავლური ლიბერალური ღირებულებების შესაბამისად“, „ჩამორჩენილი ეროვნული ტრადიციების დაძლევას, მორალისა და ზნეობის დასავლური ნორმების დანერგვას“, „სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდობის ლიბერალურ-დემოკრატიული ცნობიერების ფორმირებას“, „ოჯახში ურთიერთობათა ახალი ტიპის დანერგვას“, „ბავშვთა სექსუალურ აღზრდას“ და ა.შ. არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, რომლებიც ამ პროგრამების განსახორციელებლად გრანტებს იღებენ, გვარწმუნებენ, რომ ამერიკელი მეგობრები ამ მილიონებს იმიტომ ხარჯავენ, რომ ქართველები დაბადებიდან უყვართ და შეუკავებელი სურვილი აქვთ, ქართველი ახალგაზრდა თაობა ბრწყინვალედ განათლებული, ჯანსაღი, ჭკვიანი და ლამაზი იხილონ. საინტერესოა, რომ ჩვენს საზოგადოებაში მოიძებნებიან იდიოტები (როგორც წესი, შემოქმედებითი ინტელიგენციის წრიდან), რომელთაც ამისი სჯერათ.

რამდენიმე წლის წინათ „ასავალ-დასავალის“ ფურცლებზე ჩატარდა დისკუსია გლობალიზაციის პრობლემებზე, რომლის მსვლელობისას მოყვანილ იქნა უამრავი მასალა, რომელიც მოწმობდა, რომ გლობალისტთა გეგმებში საქართველოსთვის განკუთვნილი როლი არ ითვალისწინებს განათლების, მეცნიერების, ტექნიკის, თანამედროვე სამრეწველო და სოფლის მეურნეობის წარმოების განვითარებას. ქართველები უნდა დაკმაყოფილდნენ

სატრანსპორტო დერეფნის მოსამსახურე პერსონალის როლით. გახარებულმა შევარდნაძემ განაცხადა, რომ საქართველომ, ბოლოსდაბოლოს, საერთაშორისო ფუნქცია მოიპოვა! ბუნებრივია, ამგვარ „ფუნქციონერებს“ განათლება და მეცნიერება არ სჭირდებათ: ნავთობსადენის დაცვა და ავტობუსთა მძღოლების მომსახურება უმაღლესი განათლების გარეშეც შეიძლება. ამიტომ შევარდნაძის პერიოდში სრულიად განადგურდა აკადემიური მეცნიერება (სხვათა შორის, მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობის სამარცხვინო დუმილის პირობებში), უმაღლესი სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, დაიწყო სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების დეგრადაციის პროცესი, მინიმუმამდე იქნა დაყვანილი უმაღლესი განათლების, სამეცნიერო ხარისხების ავტორიტეტი. მაგრამ ეს ცოტაა იმისთვის, რომ ერი ახალ „ფუნქციას“ შეეგუოს, ანუ უარი თქვას საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებელ მფლობელობაზე და გადაიქცეს ოფიციანტთა, დარაჯთა, მენაგვეთა და მეძავთა უსიტყვო ბრბოდ. აუცილებელია ეროვნული თვითშეგნების სრული მოსპობა! **ქართველი ერის ეროვნულ თვითშეგნებას კი განსაზღვრავს განათლება (საბავშვო ბაღი, სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი), ტრადიციული აღზრდა (ოჯახი, უფროსი თაობის მაგალითი) და მართლმადიდებლობა. ეროვნული ცნობიერების ამ სამი საფუძვლის განადგურებაზე არის მიმართული უცხოელი „მზრუნველი მეგობრების“ მიერ ფინანსირებადი არასამთავრობო ორგანიზაციების უმრავლესობის საქმიანობა. ეს პროცესი წარმატებით დაიწყო შევარდნაძის დროს, რომლის ფრთის ქვეშ მრავლდებოდა ამ ორგანიზაციათა ქსელი, ყალიბდებოდა მათი საკადრო შემადგენლობა, ხოლო დღეს ეს კადრები სახელმწიფო სახელისუფლო სტრუქტურებში გადაბარგდნენ და უშუალოდ შეუდგნენ იმ ამოცანის საბოლოო გადაწყვეტას, რომლისთვისაც მათ წლების გან-**

მავლობაში აფინანსებდნენ, უცხოეთში დაჰყავდათ სემინარებზე, ტრენინგებსა თუ კონფერენციებზე.

ერთ-ერთი ასეთი „მოღვაწე“ გახლავთ ჭიაბერაშვილიც. „რაო-რაო?“-ში გამოქვეყნებულმა დოკუმენტმა გაზეთის ყურადღება, ალბათ, იმიტომ მიიპყრო, რომ მისი ავტორი არის დედაქალაქის მერი, რომლის განკარგულებაში ასობით სასწავლებელია და რომელმაც ამით მრავალი ათასი ბავშვის აზროვნებისა და სულის დამახინჯების უშუალო შესაძლებლობა მოიპოვა. მაგრამ ახალგაზრდა თაობის დენაციონალიზაციის, ინტელექტუალური და ზნეობრივი დეგრადაციის საქმეში ძირითადი როლი განათლების სამინისტროს ეკისრება, რომელსაც ხელმძღვანელობენ სოროსის მიერ დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივისტები. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან, საზოგადოების განვითარების მსოფლიოში მიღებული ობიექტური მაჩვენებლებიდან გამომდინარე, ერთადერთი, რაც საქართველოს ზიმბაბვესგან განასხვავებს, არის მოსახლეობის ძირითადი მასის განათლების მაღალი დონე. ამ სხვაობის ლიკვიდაცია ჩვენი ხელისუფლების მფარველთა მნიშვნელოვანი ამოცანაა. სწორედ ამიტომ მთლიანად შეიცვალა განათლების სამინისტროს საკადრო შემადგენლობა: მცოდნე, გამოცდილი ხელმძღვანელების ადგილები დაიკავეს 21-25 წლის „სოროსელებმა“, თანაც ზოგიერთმა მათგანმა უმაღლესი განათლების დიპლომის მიღებაც კი ვერ მოასწრო. როგორც პრესა იტყობინება, უკვე მიმდინარე წელს იწყება „განათლების სისტემის ოპტიმიზაციის პროექტის“ რეალიზება, რომლის შესაბამისად, საქართველოს ყველა რაიონში დარჩება მხოლოდ რამდენიმე უფასო სკოლა, დანარჩენი კი დაიხურება ან კომერციული გახდება. იგივე ელის საბავშვო ბაღებსაც, რომელთა 60 პროცენტი დაიხურება. ჩვენმა „რეფორმატორებმა“, ალბათ, მიიჩნიეს, რომ მათი წინასაარჩევნო დაპირებები უკვე შესრულებულია და საქართველოს მოსახლეობა იმ-

დენად მდიდარი გახდა, რომ შეუძლია, კომერციულ სკოლებში ბავშვებს განათლება მიაღებინოს. ჭეშმარიტად, ერი მეამბოხე უმეცრების მსხვერპლი გახდა!

ნახეთ, რას და ვის ებრძვის 35 ათასი დოლარის გრანტის საფასურად თბილისის ახლანდელი მერი: „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ერთ-ერთ გადამწყვეტ დაბრკოლებად წარმოგვიდგება ე.წ. ეროვნული იდეოლოგიის შესახებ გავრცელებული შეხედულება და ტერმინ „ტრადიციის“ მცდარი გაგება. ამ თვალსაზრისთა ძირითადი გამავრცელებელი მექანიზმია საშუალო სკოლა, ხოლო მიმწოდებლები — ისტორიისა და მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები. ამ საგნების სწავლებისას ჯერ კიდევ განსაკუთრებით შეინიშნება ეროვნულ სახელმწიფოზე, პატრიოტიზმზე, საზოგადოების რელიგიურ მოწყობაზე ვადაგასული წარმოდგენების გაბატონება“...

თურმე საქართველოში დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების მთავარ მტრებს ისტორიის, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები წარმოადგენენ, რომლებიც ბავშვებს თავს უჭედავენ ეროვნულ სახელმწიფოზე და პატრიოტიზმზე მავნებლური აზრებით! თურმე ეროვნული იდეოლოგია „ეგრეთ წოდებული“ ცნებაა, ხოლო ცნებას „ტრადიცია“ ქართველები მრავალსაუკვნოვანი ისტორიის განმავლობაში მცდარად აღიქვამენ! სამაგიეროდ, ჭიაბერაშვილმა, რომლის ფიზიონომიაზე ნათლად აისახება მისი ინტელექტის დონე, შესანიშნავად იცის, თუ რა სჭირდება ქართველებს და როგორ, ვისი დახმარებით შეიძლება ქართველებს ამის მიღება აიძულო. აი, რას წერს თავის პროექტზე აზროვნების ეს „გიგანტი“: „...პროექტი თავისი ძირითადი საქმიანობის კონცენტრირებას ახდენს იმ სოციალურ ჯგუფზე, რომლის გავლენა მომავალი თაობის სოციალიზაციაზე ერთ-ერთი ყველაზე ძლიერია: სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური და ისტორიული ფაკულტე-

ტების სტუდენტები, რომელთა შორის ლიბერალურ ღირებულებათა დამკვიდრებას ერთგვარად შეიძლება აბრკოლებდეს ოჯახსა და უმაღლეს სასწავლებელში დამკვიდრებული ატმოსფერო“.

ძირგამომთხრელი საქმიანობის ყველა მთავარი მიმართულება მოიცვა ჭიაბერაშვილმა: განათლება, ოჯახური აღზრდა და რელიგია! იცის ბიჭმა, რა არის საჭირო იმისათვის, რომ პატრონებს აამოს და ფული მიიღოს. **მიაქციეთ ყურადღება, რომ ჭიაბერაშვილი იმ დროს „სამართლიანი არჩევნების საზოგადოების“ ხელმძღვანელი იყო. რა საერთო აქვს ამ თემებს არჩევნებთან? ქართულმა საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ მსგავსი არასამთავრობო ორგანიზაციების სახელწოდებებს, ლამაზ აბრებს, რომლებსაც არიან ამოფარებულნი, არაფერი აქვს საერთო მათი საქმიანობის ჭეშმარიტ არსთან, ხოლო ეს არსი ქართველი ერის ეროვნული თვითშეგნების განადგურებაა.** ახლახან ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნდა ჯორჯ სოროსის მიმართვა, რომელიც მან „თავისუფლების ინსტიტუტს“ და სხვა მისდამი დაქვემდებარებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს გაუგზავნა. მიმართვაში სხვა საზიზღრობებთან ერთად წერია: „იყავით ფხიზლად... ფაშიზმი სწორედ იქ იჩენს თავს, სადაც ჯეროვან შეფასებას ვერ ვაძლევთ ადგილობრივი მოსახლეობის მისწრაფებას — იყვნენ თავიანთი მიწის ბატონ-პატრონები“. მაშასადამე, ქართველები, ჯორჯ სოროსის აზრით, ფაშისტებად გადაიქცევიან, თუ საკუთარი მიწის პატრონად იგრძნობენ თავს! ამ გრძნობის მოსპობა არის განათლების სფეროში რეფორმის ამოცანა. 3-5 წელიწადში საქართველოში აღარ იარსებებს განათლების ეროვნული სისტემა. განათლების დონე, რომელსაც მოსწავლეები მიიღებენ, შეზღუდული იქნება იმ მოცულობით, რომელიც მოსამსახურე პერსონალის ეროვნებაწართმეულ მასას სჭირდება. ამ მასას საკუთარი მიწა-წყლის პატრონის

გრძნობა არასოდეს გაუჩნდება. მაგრამ ჭიაბერაშვილებსა და მათ პატრონებს კარგად ესმით, რომ ქართველობის, როგორც ეროვნულ-კულტურული ფენომენის, განადგურებისთვის განათლების სისტემის დაშლა არასაკმარისია. ერის განვითარების ჯაჭვიდან, სადაც რგოლებს თაობები წარმოადგენენ, საჭიროა ერთი რგოლის ამოგდება. მაშინ ეს უკვე აღარ იქნება უწყვეტი ჯაჭვი, რომელიც ერის სიცოცხლისუნარიანობას უზრუნველყოფს. ერი დაკარგავს მთავარს — თაობათა მემკვიდრეობითობას, ანუ ერი აღარ იქნება. შევარდნაძის დროს და მისი მფარველობით დაიწყო უფროსი თაობის სოციალური და მორალური დამცირების პროცესი. უფროს თაობას ლაფს ასხამდნენ „კომუნისტური წარსულისთვის“, „ცუდი რუსების“ მხარეზე „კარგი გერმანელების“ წინააღმდეგ ომში მონაწილეობისთვის, ცხოვრების „არაცივილიზებული“ წესისთვის და ა.შ. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ქართველთა საშუალო თაობას გაუჭირდა საკუთარი მამების ლანძღვაგინება, მათი უარყოფა, მით უმეტეს, რომ ამ მამებმა შვილების არცთუ ისეთი ცუდი ბავშვობა უზრუნველყვეს, განათლება მიაღებინეს და არც მთლად ჩამორჩენილი ქვეყანა დაუტოვეს, უფრო მეტიც, საშუალო თაობა (35 წლის ზევით) აღიზარდა და განათლება მიიღო მანამ, სანამ ამ პროცესში სოროსი, ლომაია, ჭიაბერაშვილი, ბერძენიშვილი და სხვა უაღრესად სიმპათიური ვაჟკაცები ჩაერივნენ. ამიტომ სათანადო ინსტანციებმა გადაწყვიტეს ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამეურნეო ცხოვრებიდან ამ საშუალო თაობის ამოგდება, საზოგადოების ფუნქციონირების ყველა სფეროდან მისი განდევნა, რათა წაართვან მას მომდევნო თაობის ჩამოყალიბებაზე გავლენის შესაძლებლობა. დამეთანხმებით, რომ ძნელია, საკუთარი შვილებისთვისაც კი გახდე ავტორიტეტი, თუ უმუშევარი ხარ, არანაირი სოციალური სტატუსი არ გაგაჩნია და ოჯახის შენახვა არ შეგიძლია, ასეთ პირობებ-

ში ადამიანი საკუთარ თავსაც კი არ სცემს პატივს, რომ არაფერი ვთქვათ პატივისცემაზე სხვა ადამიანების, თუნდაც, ახლობლების მხრიდან... სწორედ ამიტომ ხელმძღვანელ თანამდებობებზე ინიშნებიან 22-26 წლის ახალგაზრდები, რომლებიც „წმენდნენ“ მათდამი დაქვემდებარებულ სტრუქტურებს უფროსი თაობის წარმომადგენლებისგან. ყველაზე სასაცილოა, რომ ისინი ამას აკეთებენ ყოფილი მუშაკების „არაპროფესიონალიზმის“ საბაბით, ხოლო გათავისუფლებულ ადგილებზე დანიშნულ თავიანთ თანაკლასელებს, ეზოს ძმაკაცებს წარმოგვიდგენენ, როგორც „გამოცდილ პროფესიონალებს“. ჭეშმარიტად, ვუნდერკინდებით მდიდარია სოროსისეული ორგანიზაციები!

ამ სიტუაციაში მე მაინტერესებს, სად, რომელ სორო(ს)ში იმყოფება დღეს ჩვენი „სახელოვანი ინტელიგენცია“ — ცნობილი პოეტები, მწერლები, კინორეჟისორები, აკადემიკოსები, რომლებიც შევარდნაძის მმართველობის პერიოდში ჯიუტად არ ამჩნევდნენ მის მიერ წაქეზებულ დესტრუქციულ, ანტიეროვნულ პროცესებს, ერთგულად ლოცულობდნენ საკუთარ კერპზე და არ სურდათ დაენახათ, რომ მისი ფრთის ქვეშ ყალიბდება აგრესიული, უპრინციპო, უეროვნებო ცინიკური ძალა, რომელიც საჭირო მომენტში მოისვრის შევარდნაძეს, როგორც უსარგებლო ნივთს და უმოწყალოდ დაამთავრებს ქართველობის მოსპობის მის მიერვე დაწყებულ პროცესს. სად ხართ, „ერის მამებო“? სად არის მეცნიერებათა აკადემია, სადაა მწერალთა კავშირი, კინემატოგრაფისტთა, კომპოზიტორთა კავშირები, თეატრალური საზოგადოება და სად არის საზოგადოება „თბილისელი“, რომელშიც მაშინ შევარდნაძის მხარდამჭერი „ჭეშმარიტი თბილისელები“ გაერთიანდნენ და მოსახლეობას თავს აბეზრებდნენ „ეროვნული, ვაჟკაცური“ განცხადებებით? მოსწონთ „თბილისელ ვაჟკაცებს“ დე-

დაქალაქის ახალი მერი და პრემიერი? დუმხართ? ეთანხმებით საკუთარი ერის მოსპობას? თუ გეშინიათ, რომ ახალი ხელისუფლება იმ ნასუფრალს წაგართმევთ, რომლის გამოც შევარდნაძეს ეთაყვანებოდით? არ შეიძლება, ბატონებო, სამარშრუტო ხაზზე ღირსების გაცვლა...

1997 წელს მე გამოვაქვეყნე ინტელიგენციისადმი მიმართული წერილი „გეწყინათ? გეწყინოთ!“, მასში აღვწერე ქვეყანაში მიმდინარე დამანგრეველი პროცესები, ე.წ. „ელიტური ინტელიგენციის“ დესტრუქციული როლი, ქართველი ერის გენოციდისადმი მისი სამარცხვინო გულგრილობა. კერძოდ, ამ ელიტურ მწერალ-მწიგნობართ მივმართე:

„რატომ არ მოსთხოვთ პასუხს იმ პირებს, რომლებიც დამნაშავე არიან ჩვენი საშუალო და უმაღლესი განათლების დაშლა-განადგურებაში? რას აკეთებთ თქვენ, მწერლებო და პოეტებო, მაშინ, როცა საქართველო თაობას კარგავს — ახალგაზრდობა ირყვნება, ლოთობს, ვრცელდება ნარკომანია, ათასობით ქალი საკუთარ სხეულს ყიდის როგორც საქართველოში, ასევე თურქეთში, რუსეთში, საბერძნეთში? რატომ დუმხართ მაშინ, როდესაც დასცინიან და ანადგურებენ ქართველი ხალხის საუკუნოვან ეროვნულ ტრადიციებს, უცერემონიოდ იდევნება და ამერიკანიზებული სუროგატით იცვლება ეროვნული კულტურა? რას აკეთებთ თქვენ ამ ტრაგიკულ დროს, სადაა ხალხისადმი მიმართული თქვენი სიტყვა, სადაა ხელისუფლებისადმი გამოხატული პროტესტი? რა უნდა მოხდეს კიდევ საქართველოში, რომ თქვენ ხმა ამოიღოთ? რით ხართ დაკავებულნი? წიგნებს წერთ? ვის სჭირდება თქვენი წიგნები, თუ მალე „ვეფხისტყაოსნის“ მკითხველიც კი აღარ იქნება საქართველოში?!“.

ვშიშობ, ეს დროც მოვიდა...

გაზეთი „ასავალ-დასავალი“,
2004 წ., სექტემბერი

2004 წ., ოქტომბერი

აუცილებელია შევარდნაძის ანტიეროვნული პოლიტიკის დაუყოვნებლივ უარყოფა

ერმა უარყო და დაწყევლა შევარდნაძე სწორედ იმიტომ, რომ 12 წლის განმავლობაში მისგან მხოლოდ სიცრუეს, ცარიელ დაპირებებს ისმენდა, დამცირებას, შეურაცხყოფას განიცდიდა და ბოლოს მიხვდა, რომ შევარდნაძე არ შეიძლება ერის სათავეში იდგეს, ვინაიდან მას ერზე ზრუნვა და ერის პრობლემების გადაწყვეტა არ ძალუძს და არც სურს. ხალხის აბსოლუტური უმრავლესობის მიერ ამ ფაქტის გაცნობიერებას წლები დასჭირდა, რომელთა განმავლობაშიც მოკლულ იქნა ათასობით ჩვენი თანამემამულე, დაიკარგა ისტორიული ტერიტორიები, რომელთა გარეშეც საქართველოს უფლება არ აქვს, საქართველოდ იწოდებოდეს. ქვეყანა მილიონზე მეტმა მოქალაქემ დატოვა, ხოლო მსოფლიო საზოგადოების თვალში საქართველო, როგორც დაშლილი, ღატაკი, არშემდგარი სახელმწიფო მოიაზრება. მაგრამ შევარდნაძის დამანგრეველი საქმიანობის მთავარი დამღუპველი შედეგი იმაში მდგომარეობს, რომ დღეს მთელი სიმწვავით დგას ქართველი ერის, როგორც კულტურულ-ისტორიული ფენომენის, გადარჩენის საკითხი. შევარდნაძის მმართველობის პერიოდში ქართველი ერის სასიცოცხლო არეალი მკვეთრად შემცირდა, საქართველოში კატასტროფულად იკლო ქართველების რაოდენობამ, ერი მნიშვნელოვნად დაბერდა. **ხომ არ გახდება 21-ე საუკუნე უკანასკნელი ასწლეული საკუთარ მიწაზე მცხოვრები და განვითარებადი ქართველი ერის ისტორიაში?** აი,

როგორ დგას საკითხი. თუ გავითვალისწინებთ ქართველი ერის რიცხოვნობას, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ დონეს და სახიფათო გეოპოლიტიკურ მდგომარეობას, დავრწმუნდებით, რომ ერის და ეროვნული სახელმწიფოებრიობის გადარჩენისთვის ძალიან ცოტა დრო გაგვაჩნია. **აუცილებელია შევარდნაძის ანტიეროვნული პოლიტიკის დაუყოვნებლივ უარყოფა, ერის ხსნისა და განვითარების სტრატეგიის შემუშავება და რეალიზება! სწორედ ამას ელოდა ხალხი ახალი ხელისუფლებისგან.**

ბუნებრივია, ინფორმირებულმა ადამიანებმა იცოდნენ, რომ ე.წ. ნაციონალური მოძრაობა თავისი არსით არანაირი ნაციონალური (ეროვნული) არ არის, თუნდაც იმიტომ, რომ გარედან იმართება; ყველას ესმოდა, რომ ამ მოძრაობის გარშემო თავმოყრილი არასამთავრობო ორგანიზაციები ფინანსდებიან და იმართებიან სწორედ ანტიეროვნული, კოსმოპოლიტური საერთაშორისო ძალების მიერ; გვესმოდა ისიც, რომ ამერიკელებმა უბრალოდ გადაწყვიტეს ლიმონივით გამოწურული შევარდნაძის გადაგდება და მისი ჩანაცვლება ახალგაზრდა, ენერგიული და აგრესიული ბიჭებით. ცხადი იყო ისიც, რომ საქართველოს განვითარების არანაირი კონცეფცია, არანაირი ეკონომიკური მოდელი „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებს არ გააჩნდათ. მაგრამ შევარდნაძის მიმართ სიძულვილი, მისი პოლიტიკის აბსოლუტური მიუღებლობა, ზიზღი მისი გარეგნობის მიმართაც კი იმდენად ძლიერი იყო, რომ ხალხმა „ვარდების რევოლუციას“ აქტიურად დაუჭირა მხარი. მეტიც, დაუჭირა მხარი სააკაშვილს, სწორედ როგორც ეროვნულ ლიდერს, რომელიც საკუთარ თავზე იღებს ერის გადარჩენაზე პასუხისმგებლობას! გარკვეული როლი ითამაშა ინტუიციურმა გათვლამ: სააკაშვილი ხედავს, თუ რა სიძულვილი დაიმსახურა შევარდნაძემ, ხედავს, რომ ჩვენ მას მხარს ვუჭერთ, შევარდნაძის დამხობის სურვილით შეპყრობილნი, და არასოდეს გაიმეორებს შევარდნაძის პოლიტიკასო!

უდავოა, პირველი და უმთავრესი საკითხი, რომლის გადაწყვეტასაც ახალი ხელისუფლებისგან ველოდით, არის **ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა**. ხალხს მკაფიოდ აქვს გაცნობიერებული ამ პრობლემის სასიცოცხლო მნიშვნელობა: საქმე მარტო ის კი არ არის, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაკარგვით საქართველოს გეოპოლიტიკური მნიშვნელობა და ეკონომიკური პოტენციალი განახევრებულია, არამედ ის, რომ **ქართველთა არეალის შემცირება ეჭვის ქვეშ აყენებს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ თვითშეგნებას, ეროვნულ ღირსებას, ქართველი ერის სულიერ ერთიანობას.** აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემის გადაწყვეტის გარეშე ქართველთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი, სოციალურ-ეკონომიკური და სულიერ-ზნეობრივი განვითარება შეუძლებელია! ეს უკვე სხვა საქართველო იქნება და სხვა ხალხი!

ტერიტორიული პრობლემის გადაწყვეტის გზებზე ბევრს ლაპარაკობენ. ლაპარაკის იქით საქმე არ იძვრის, მაგრამ მიუთითებენ ორ გზაზე. პირველია „ტერიტორიების დაბრუნება მშვიდობიანი გზით“. ამას ითხოვს ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია და მათ საამებლად ამას უაზროდ იმეორებენ ჩვენი პოლიტიკოსები. ამ „სიმღერის“ მღერა პირველმა შევარდნაძემ დაიწყო, რომელსაც ჭკუა და უნარი არ ეყო, მშვიდად მოეგვარებინა აფხაზებთან ის პრობლემები, რომლებიც დღევანდელი გადასახედიდან სასაცილოდ გვეჩვენება. მაგრამ ყველაზე გასაოცარია, რომ სააკაშვილმა გაეროს ტრიბუნიდან ზუსტად გაიმეორა შევარდნაძის ბოდვითი წინადადებები. ჩვენმა „ჯიბის“ ტელეარხებმა ეს ბოდვა რატომღაც „აფხაზეთის დაბრუნების გეგმად“ მონათლეს! სადაა გეგმა? რომელია გეგმა? შეგახსენებთ, რომ საქმე ეხება სამ წინადადებას: პირველია საქართველოს ხელისუფლებასა და მოწინააღმდეგე მხარეებს შორის ნდობის აღდგენა. ცხინვალის რეგიონში ახლახან მომხდარი სამარ-

ცხვინო ავანტიურის შემდეგ რომელ ნდობაზე შეიძლება იყოს ლაპარაკი? მეორე — სამშვიდობო კონტინგენტის ინტერნაციონალიზაცია, ანუ სამშვიდობო ძალების შემადგენლობაში სხვა ქვეყნების წარმომადგენლობის ჩართვა. შევარდნაძემაც კი, ამ ბოდვითი წინადადების მრავალწლიანი განმეორების შემდეგ შეიგნო ელემენტარული ჭეშმარიტება: ინტერნაციონალიზაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს გაეროს უშიშროების საბჭო, რომელშიც რუსეთს ვეტოს უფლება გააჩნია; გარდა ამისა, საჭიროა აფხაზური (ოსური) მხარის თანხმობაც. „ბრძნული“ განცხადების მესამე პუნქტია ავტონომიების უფლებების გაფართოება, ანუ შევარდნაძის ძველი, მოყირჭებული წინადადება, რომელიც აფხაზებმაც და ოსებმაც ასჯერ უარყვეს. თანაც უფლებების რომელ გაფართოებაზე შეიძლება საუბარი მაშინ, როდესაც ახალმა ხელისუფლებამ აჭარის ავტონომიისგან მხოლოდ სახელწოდება დატოვა. იქნებ რომელიმე ჭკუათმყოფელი თვლის, რომ აფხაზებისთვის ეს კარგი წამახალისებელი მაგალითია? მომიძებნეთ ასეთი აფხაზი.

ტერიტორიების მშვიდობიანი დაბრუნება არის მითი, ერის მოტყუება. მშვიდობიანი გზა ნიშნავს ნებაყოფლობით გზას, ანუ სურვილზე დაფუძნებულს. დღევანდელ საქართველოში რამ შეიძლება გამოიწვიოს აფხაზებში ასეთი სურვილი? განვითარებულმა ეკონომიკამ? მოსახლეობის ცხოვრების მაღალმა დონემ? საქართველო შვეიცარიად იქცა, როგორც ამას შევარდნაძე გვპირდებოდა? გარდა ამისა, აფხაზეთში მთელი თაობა გაიზარდა, რომლისთვისაც ქართველები „სისხლიანი აგრესორები“ არიან, რომლებთანაც მათ საერთო არაფერი აქვთ და არც უნდათ, ჰქონდეთ. რატომ დაბრუნდებიან ნებაყოფლობით აფხაზები საქართველოს შემადგენლობაში? ეს არ მოხდება.

მეორე ყბადაღებული „გზა“ ტერიტორიების ომით დაბრუნებაა. ამ გზას საზოგადოებას სთავაზობენ, როგორც წესი,

ის პოლიტიკოსები და გენერლები, რომლებიც, მიატოვეს რა უზარმაზარი რაოდენობით სამხედრო ტექნიკა და შეიარაღება, სამარცხვინოდ გამოიქცნენ იქიდან, დატოვეს მათზე მინდობილი მშვიდობიანი მოსახლეობა, ხოლო ერთ თვეში უსირცხვილოდ გაიარეს მარშით სამხედრო აღლუმზე და ამაყად ესალმებოდნენ თავიანთ გაკოტრებულ მთავარსარდალს. ეს ის ხალხია, რომელიც დღეს ამაყად აცხადებს, რომ ომი წააგეს არა აფხაზებთან, არამედ კაზაკებთან და ჩეჩნებთან. მათი აზრით, ეს გარემოება მდგომარეობას შეგვიმსუბუქებს იმ ადამიანებს, რომლებმაც სამშობლო დავკარგეთ, და მათ პატივი უნდა მივაგოთ კიდეც! ისმის კითხვა: როდესაც თავიანთ მთავარსარდალთან ერთად ამ ომს იწყებდნენ, ბზიფის წყალს სვამდნენ და „ერთი სტადიონის ხალხის“ განადგურებით იმუქრებოდნენ, მაშინ არ იცოდნენ, ვის მხარეზე იქნებოდნენ კაზაკები და ჩეჩნები? ნებისმიერმა ბავშვმა აფხაზეთში ეს იცოდა. როდესაც დღეს ეს „გმირები“ ომისკენ მოგვიწოდებენ, თვლიან, რომ კაზაკები, ჩეჩნები და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ხალხები დედამიწის ზურგზე უკვე აღარ არიან? თუ ყველა ისინი ბუტაფორიული აღლუმებით დააშინეს? აფხაზეთის ან სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე სამხედრო მოქმედებები შეიძლება ნიშნავდეს მხოლოდ ახალ მასშტაბურ სისხლისღვრას და შორეულ პერსპექტივაშიც კი ქვეყნის გამთლიანების ყოველგვარი იმედის საბოლოოდ დაკარგვას.

სად არის გამოსავალი? **გამოსავალი მხოლოდ ერთია: აფხაზურ და ოსურ მხარეებთან უშუალო მოლაპარაკება რუსეთის დაინტერესებული შუამავლობით, მის მიერ ძალის შესაძლო გამოყენების დემონსტრირებით. დიახ, სწორედ რუსეთი არის ის ერთადერთი გეოპოლიტიკური სუბიექტი, რომელსაც გააჩნია რეალური შესაძლებლობები და მორალური უფლება, აიძულოს აფხაზები და ოსები, აღიარონ და მიიღონ ქვეყნის გაერთიანების აუცილებლობა.** უკიდურესად სულელი ან კარგად მოს-

ყიდული უნდა იყოს ადამიანი, რომელსაც ეს ჭეშმარიტება არ ესმის ან არ უნდა გაიგოს და იმ სიცრუეს იმეორებს, რომელიც შევარდნაძისგან 10 წლის განმავლობაში გვესმოდა: გაერო მალე მორიგ რეზოლუციას მიიღებს, ევროპის საბჭო და ეუთო „გადამწყვეტ“ ზომებს მიიღებენ, ნატო „რეალურ“ დახმარებას აღმოგვიჩენს, „მსოფლიო თანამეგობრობა“ საქართველოს მხარს უჭერს, საქართველოს „მეგობარი ქვეყნები“ თავქუდმოგლეჯილი მორბიან ჩვენს საშველად და სხვა მსგავსი სისულელეები. **11-წლიანი იმედგაცრუების შემდეგ ერმა უნდა გააცნობიეროს ელემენტარული ჭეშმარიტება: რუსეთის მხრიდან სოხუმსა და ცხინვალზე პირდაპირი ზეწოლის გარეშე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა შეუძლებელია!** ეს ის ჭეშმარიტებაა, რომელსაც ჩვენს ხელისუფლებას უმტკიცებენ საქართველოს ნამდვილი მეგობრები აშშ-ში, ევროპასა და აზიაში, საერთაშორისო ორგანიზაციებში. ეს ფაქტი დღესავით ნათელია ყველა ოდნავ მაინც მოაზროვნე ადამიანისთვის! მეტიც, ეს ფაქტი თვალნათელია რადიკალური აფხაზური სეპარატისტული წრეებისთვისაც კი; ახლახან „კომერსანტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ერთ-ერთმა ასეთმა აფხაზმა რადიკალმა ბ. სმირმა განაცხადა: **„თუ საქართველოს ხელისუფლებაში მოვა ადამიანი, რომელიც რუსეთთან დამეგობრდება, მეორე დღესვე რუსეთი ჩვენ გადაგვაგდებს და აფხაზები ქართველებთან პირისპირ დავრჩებით“.** მაშ, რატომ არის ყველასთვის გასაგები ელემენტარული ჭეშმარიტება გაუგებარი საქართველოს ყოფილი და ამჟამინდელი ხელისუფლებისთვის? ამ საკითხს ჩვენ დავუბრუნდებით.

ცხადია, რომ დღეს რუსეთი, ოფიციალური განცხადებების მიუხედავად, არ იჩენს გულწრფელ დაინტერესებას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმეში. იბადება კითხვა: **როგორ უნდა გამოვიწ-**

ვიოთ ასეთი დაინტერესება? ბუნებრივია, დაინტერესების გამოწვევა შეუძლებელია, თუ მუდმივად გავიძახით იმას, რომ შევდივართ ნატოში (სადაც არავინ გვეპატიჟება), განვალაგებთ ჩვენს ტერიტორიაზე ნატოს სამხედრო ბაზებს, მივცემთ თურქებს აეროდრომებს და ა.შ., ანუ ვაკეთოთ ის, რასაც შევარდნაძე აკეთებდა. ასეთი პოლიტიკით ჩვენ პირდაპირ ვეუბნებით რუსეთს: საქართველო შევა ნატოში და საკუთარ ტერიტორიას შენი გეოსტრატეგიული მოწინააღმდეგის სამხედრო ბაზებს დაუთმობს; **დაგვიბრუნე აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, რათა ნატომ სრულად გააკონტროლოს მთელი რეგიონი!** რა პასუხს ველით ამ „ბრძნულ, მეგობრულ" წინადადებაზე? ცხადია, რომ **რუსეთი შეიძლება იყოს დაინტერესებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენით მხოლოდ ერთ შემთხვევაში: თუ ის იქნება აბსოლუტურად დარწმუნებული, რომ გაერთიანებული საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის ფედერაციას არასოდეს არანაირი სამხედრო-ტერორისტული საშიშროება არ დაემუქრება. ამიტომ საქართველომ საკუთარ თავზე უნდა აიღოს ჩარჩო-ხელშეკრულებაში დაფიქსირებული მოვალეობა, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე არასოდეს განლაგდება უცხო სამხედრო ძალები** (სწორედ ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ვალდებულებები და არა სააკაშვილის არაფრისმომცემი დაპირებები, რომლებიც მან გაეროს ტრიბუნიდან გააკეთა, თანაც პარალელურად განაცხადა, რომ საქართველო მზადაა ნატოში შესასვლელად; თუ საქართველო ნატოში შევა, ვინ შეგვეკითხება, განლაგდეს აქ მისი ბაზები თუ არა?). მეტიც, შესაბამისი ხელშეკრულება რუსეთსა და ნატოს შორისაც უნდა იქნეს დადებული: რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის შემდეგ, რომლებიც ორ ქვეყანას შორის ნდობის პირობებში თავიანთ მნიშვნელობას კარგავენ, მათ ადგილს არ დაიკავებენ ნატოს ბაზები. მაგრამ ესეც არ არის საკ-

მარისი საქართველოს სრული უსაფრთხოებისთვის. უნდა გვახსოვდეს, რომ, მოჩვენებითი „ევროპულობის“ მიუხედავად, **თურქეთი რჩება დიდი იმპერიული წარსულისა და ამბიციების მქონე უმსხვილეს აღმოსავლურ სახელმწიფოდ, რომელიც დღესაც არ მალავს „დიდი თურანის“ შექმნისადმი მისწრაფებას, ხოლო საქართველოს, განსაკუთრებით კი დასავლეთ საქართველოს, მიიჩნევს საკუთარ ძირძველ ტერიტორიად, რომელიც დროებით მას რუსეთმა წაართვა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ არც აშშ-ს, არც ნატოს დღეს უკვე არ ძალუძს თურქეთის სრული გაკონტროლება; თურქები ხშირად იგნორირებას უკეთებენ ამერიკელთა თხოვნებს, რეკომენდაციებს, იღებენ დამოუკიდებელ სამხედრო-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, საკუთარი ინტერესების საზიანოდ არანაირ დათმობაზე არ თანხმდებიან, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც საქმე ეხება ნატოს სხვა წევრი სახელმწიფოს წინააღმდეგ აგრესიას** (ასე მაგალითად, კვიპროსის ნახევარი ტერიტორიის ანექსია 30 წელი გრძელდება, მაგრამ თურქეთი უკან დახევას არ აპირებს და საბერძნეთს მისი ჩარევის შემთხვევაში ომითაც კი ემუქრება, არადა, საბერძნეთი ნატოს წევრია!). ერთადერთი ძლიერი მუსლიმანური მოკავშირის დაკარგვის შიში იმდენად დიდია, რომ აშშ და ევროპა ყველაფერზე თვალს ხუჭავენ. ამიტომ იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის ბაზების გაყვანის შემდეგ თურქეთი გადაწყვეტს, გამოთავისუფლებული „ისტორიული მიწები“ შემოიერთოს, არა მგონია, ჯორჯ სოროსმა, ჩვენი მმართველების სხვა ამერიკელმა თუ ევროპელმა „მეგობრებმა“ გაბედონ, ამას შეეწინააღმდეგონ... ამიტომ **სასურველია, რომ ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულებების გარდა, რუსეთსა და თურქეთს შორის დაიდოს შეთანხმება იმის შესახებ, რომ არც ერთი მათგანი, საქართველოს მთავრობის თხოვნის შემთხვევაშიც კი, საკუთარ ჯარებს საქართ-**

ველოს ტერიტორიაზე არ შემოიყვანს. უფრო მეტიც, თურქეთი უნდა იქნეს გაფრთხილებული, რომ საქართველოში მის მიერ ჯარის შეყვანა რუსეთის მიერ მიჩნეული იქნება, როგორც მისადმი ომის გამოცხადება. მსოფლიოს დიპლომატიურ პრაქტიკაში ასეთი ხელშეკრულებების დადება არცთუ იშვიათი მოვლენაა. მხოლოდ ასეთი საერთაშორისო ვალდებულებების მეშვეობითაა შესაძლებელი საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა და საქართველოს მთლიანობის აღდგენის საქმეში რუსეთის დაინტერესებული მონაწილეობისთვის მტკიცე საფუძვლის შექმნა.

რასაკვირველია, ასეთი მრავალმხრივი საერთაშორისო შეთანხმებების დადებისთვის აუცილებელია აქტიური, მაღალკვალიფიციური და თანმიმდევრული საქმიანობა როგორც პრეზიდენტის, ასევე საგარეოპოლიტიკური უწყების მხრიდან, მაგრამ, როდესაც ქართული დიპლომატიის საქმიანობას აფასებ, იბადება კითხვა: არსებობს კი საქართველოში დიპლომატიური სამსახური? რითაა დაკავებული საგარეო საქმეთა სამინისტრო, გარდა უნაყოფო ნოტების გაგზავნისა და წინასწარ განწირული წინადადებების შეთავაზებისა? ეს ფრანგი ქალბატონი თავისი გარეგნობითა და ქცევით დიდ სიმპათიას იწვევს, მაგრამ ის მართლა კარგი მინისტრი იქნებოდა სადმე ჰოლანდიასა თუ ლუქსემბურგში, სადაც საჭიროა მხოლოდ უკვე ჩამოყალიბებული ურთიერთობების შენარჩუნება ევროპელ მეზობლებთან, მაგრამ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ევალება გარე სამყაროსთან ურთულესი ურთიერთობების გარღვევა, თვისობრივად ახალი კავშირების ჩამოყალიბება. პირველ რიგში, ეს რუსეთთან ურთიერთობებს ეხება, რომელიც ზურაბიშვილისთვის ისეთივე შორეული და გაუგებარია, როგორც ჩინეთი თუ ინდონეზია. მოგეხსენებათ, ქვეყნის დიპლომატიური სამსახურის მოვალეობა მარტო პრეზიდენტის უნაყოფო ვი-

ზიტების მომზადება არაა. არადა, მათი სხვა წარმატება ჩვენი საზოგადოებისთვის უცნობია.

რუსეთთან ურთიერთმისაღები ურთიერთობების დამყარების პარალელურად აუცილებელია ინტეგრაციული პროცესებით აფხაზური მხარის დაინტერესებაც. არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ მხოლოდ ძალით გადაწყდება გაერთიანების პრობლემა; **რაც უფრო ნაკლები იქნება ძალისმიერი ზეწოლის აუცილებლობა, მით უფრო შედეგიანი იქნება კონფლიქტის მოგვარების მცდელობა!** მრავლისმეტყველია აფხაზეთის ეკონომიკის მინისტრის ტუჟბას ამასწინანდელი ინტერვიუ: „აფხაზეთში ცხოვრების დონე გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე საქართველოში და ეს რუსეთის დამსახურებაა. აქ თითქმის ყველა რუსეთის მოქალაქეა და რუსეთის პენსიებს იღებს. ხალხს ვერ აიძულებ, იქ წავიდეს, სადაც უარესია, სადაც სიღატაკეა. სააკაშვილი ჭკვიანი პოლიტიკოსი რომ ყოფილიყო, საქართველოში ჯერ ცხოვრების დონეს აწევდა, ხოლო შემდეგ აფხაზებს დიალოგს შემოგვთავაზებდა“. რით შეიძლება აფხაზური მოსახლეობა დავაინტერესოთ? ეკონომიკური ზრდით, საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობის დონის ამაღლებით, ერთობლივი ეკონომიკური პროექტებით. ეკონომიკის აღორძინება შეუძლებელია პროდუქციის წარმოების გარეშე, პროდუქციის წარმოება კი დამოკიდებულია ინვესტიციებსა და სამომხმარებლო ბაზარზე. გასული 10 წლის განმავლობაში ყველასთვის, მგონი, გასაგები გახდა, რომ სერიოზულ დასავლურ ინვესტიციებს ჩვენ ვერ მივიღებთ: დასავლური კაპიტალი არ ჩადებს მსხვილ თანხებს არშემდგარ სახელმწიფოში, სადაც ნებისმიერ დღეს შეიძლება ომი დაიწყოს გამოყოფილ ტერიტორიებთან (ჩვენმა ხელისუფლებამ ცხინვალის ავანტიურით ეს დაამტკიცა კიდეც). დასავლეთს, როგორც ეს შევარდნაძის დროს იყო, შეუძლია კრედიტები მოგვცეს, რათა კიდევ უფრო დაგვაკაბალოს ან შეისყიდოს ის, რისი გატანაც დაუ-

ყოვნებლივ შეიძლება: საქართველოს უკვე აქვს დასავლეთის ვალი 2 მილიარდ დოლარზე მეტი, მაგრამ ნუთუ ჩვენთან გაჩნდა ახალი ქარხნები, ფაბრიკები, შემოტანილია თანამედროვე ტექნოლგიები, აღორძინებულია სოფლის მეურნეობა? ჩვენ კრედიტები კი არა, ინვესტიციები გვჭირდება! გადამწყვეტი საინვესტიციო კაპიტალი, პირველ რიგში, კერძო კაპიტალი, შეიძლება მხოლოდ რუსეთიდან შემოვიდეს, მაგრამ ეს არ იქნება მანამ, სანამ არ მოგვარდება სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები. გაიხსენეთ, როგორი ინტერესი გამოიჩინეს რუსეთის ბიზნესმენებმა საქართველოს მიმართ პუტინისა და სააკაშვილის პირველი, დამაიმედებელი შეხვედრის შემდეგ: თბილისში ჩამოვიდა მრავალრიცხოვანი დელეგაცია, შეუდგნენ ერთობლივი პროექტების შემუშავებას და ა.შ. მაგრამ, როგორც კი ნათელი გახდა, რომ სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები არ გაუმჯობესდებოდა, ყველაფერი გაიყინა. გარდა ამისა, ჩვენი პროდუქციის რეალიზაციის ბაზარიც მხოლოდ რუსეთი და დსთ-ს ქვეყნებია. როგორც კი რუსეთმა, ისევ ჩვენი პოლიტიკოსების „წყალობით", ქართული ღვინის იმპორტი შეამცირა, მაშინვე აღმოჩნდა, რომ კახელი გლეხისგან არავინ იბარებს ყურძენს. თქვა უარი რუსეთმა ქართულ ჩაიზე და ჩვენი პლანტაციები მიტოვებული ან გაჩეხილი აღმოჩნდა. არა აქვს ქართლელ გლეხს საშუალება, რუსეთში გაიტანოს ხილი და იჩეხება შესანიშნავი ბაღები; და რა სანაცვლოდ? იყიდონ ჩვენმა „მეგობრებმა" ნატოდან ქართული ყურძენი — აი ეს რეალური დახმარება იქნება სოფლის მეურნეობის აღორძინების საქმეში! არ იყიდიან, ვინაიდან ასეთი აღორძინებით დასავლეთი არ არის დაინტერესებული: მათ თვითონ სჭირდებათ ბაზარი საკუთარი პროდუქციის გასაღებისთვის! ფრანგული, გერმანული, იტალიური, ესპანური ღვინო მილიონობით დეკალიტრით იყიდება რუსეთში და პრაქტიკულად განდევნა ქართული ღვინო. ინგლისური ფირმების მიერ მოწოდებუ-

ლი ცეილონური და ინდური ჩაი დევს რუსეთის მაღაზიების თაროებზე ქართულის ნაცვლად, ხოლო ხილს ესპანეთი, ისრაელი, მაროკო და ავსტრალიაც კი უგზავნის. უსაზღვროა რუსეთის ბაზარი! ეს ყველას ესმის, გარდა საქართველოს შევარდნაძისდროინდელი და დღევანდელი ხელისუფლებებისა. ბუნებრივია, ჩვენ სრულად ვერასოდეს დავიბრუნებთ იმ პოზიციებს რუსეთის ბაზარზე, რომელიც საბჭოთა პერიოდში გვქონდა, მაგრამ ნორმალური სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების პირობებში სავსებით შესაძლებელია ბაზრის ისეთი სეგმენტის ათვისება, რომელიც ჩვენთვის საკმარისი იქნება. ვთქვათ, მოსკოველებს ვერ მოაბრუნებ ქართული ჩაისკენ, მაგრამ სახელმწიფო პროტექციონიზმის მეშვეობით სავსებით რეალურია ჩვენი ჩაით რუსეთის არმიის ან ციხე-კოლონიების მომარაგება. მეტი არც გვჭირდება.

სხვათა შორის, **ეკონომიკის აღორძინების აუცილებლობის ფონზე სრულიად გაუგებარია სააკაშვილის განცხადება, რომ „ყოველი ზედმეტი თეთრი“ ჯარის მოთხოვნილებებზე მიიმართება.** ჯერ **ერთი**, ზედმეტი თეთრი საქართველოში არ არის. **მეორე** — ძლიერი არმიის შესაქმნელად ჯერ აუცილებელია ძლიერი ეკონომიკის ჩამოყალიბება, ვინაიდან არმიის შექმნა ერთჯერადი აქტი როდია, ეს მუდმივი პროცესია, რომლის განხორციელება მხოლოდ სტაბილურად განვითარებადი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოს ძალუძს. და **მესამე** — ვისთან აპირებს ომს ჩვენი ხელისუფლება? ხელისუფლების წარმომადგენლები ერთხმად აცხადებენ, რომ მათ დღესაც ძალუძთ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება, მაგრამ აფხაზებისა და ოსების უკან რუსეთის არმია დგასო. ე.ი. ჩვენ ვამზადებთ ჯარს, რომელიც შეძლებს რუსეთის არმიის დამარცხებას? ეტყობა, ასეთი „სტრატეგიული გეგმა“ შეიმუშავეს ჩვენმა ახალმა „სარდლებმა“. აბა, ტყუილად ხომ არ მოგვიწოდებს ესა თუ ის საპარლამენტო „სტრატეგი“ ტელევიზიის ეკრა-

ნიდან: „უნდა ვიყოთ მზად რუსეთთან ომისთვის“, „ღირსეულად ვუპასუხოთ რუსეთის აგრესიას“ და ა.შ. ერთხელ უზენაესი საბჭოს ერთმა დეპუტატმა ზვიად გამსახურდიას მოსთხოვა რუსეთისთვის ომის გამოცხადება. ზვიადმა მას ურჩია ფსიქიატრიულ კლინიკაში მკურნალობა. მაგრამ მაშინ ერთი ასეთი დეპუტატი იყო, რაღა ვქნათ დღეს, როდესაც ასეთები უმრავლესობას წარმოადგენენ პარლამენტსა და მთავრობაში?..

მე იშვიათად ვუყურებ ტელევიზორს, განსაკუთრებით, საინფორმაციო და პოლიტიკურ პროგრამებს. ადრე არ შემეძლო იმის მოსმენა, თუ როგორ იტყუებოდა შევარდნაძე და მისი ამალა, ხოლო დღეს თვალი ადევნო ამჟამინდელ პოლიტიკოსებს, საკმაოდ დამტანჯველი მეცადინეობაა, როგორც ინტელექტუალური, ასევე ესთეტიკური თვალსაზრისით; განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მათ „ღრმაშინაარსიან“ გამოსვლებს არანაკლებ „ერუდირებული“ ჟურნალისტების კომენტარი ემატება „დამოუკიდებელ“ არხებზე, მაგრამ ტელეეკრანებისთვის თვალის იშვიათი შევლებაც კი საკმარისია, რომ ცალსახა დასკვნა გამოიტანო: დაკარგული ტერიტორიების პრობლემასთან მიმართებაში შევარდნაძისეული პოლიტიკის მარაზმი ისევ ყვავის და თანაც — უალტერნატივოდ. **თუ ადრე დაზეპირებულ უაზრო ფრაზებს რუსეთთან მიმართებაში „ხისტი პოლიტიკის“, „ზემოქმედების ბერკეტების“, „მსოფლიო თანამეგობრობის მხარდაჭერის“ შესახებ უხალისოდ იმეორებდა მოხუცი და დაღლილი შევარდნაძე, დღეს იმავე სისულელეს მკვირცხლად, სამაგალითო ხუთოსანი მოსწავლესავით იმეორებს ბუნჯანაძე. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ ქალბატონმა, რომელიც, მისივე სიტყვებით თუ ვიმსჯელებთ, მუდმივად მხოლოდ ორ მდგომარეობაში იმყოფება („ძალიან ბედნიერი“ ან „ღრმად შეშფოთებული“), დაიზეპირა რამ-**

დენიმე ტექსტი, რომლებსაც სიტუაციიდან გამომდინარე სხაპასხუპით იმეორებს, მაგრამ უბედურება ისაა, რომ ამ ტექსტში არც ერთი კონკრეტული აზრი არ არის ჩადებული! მაშინ კი, როდესაც ერთ ხაზში ჩამწკრივდებიან მისი „გონების მეგობრები“ — ნადირაძე, ბოკერია, თარგამაძე და სოროსის ინტელექტუალური ინკუბატორის სხვა ბარტყები, ძალაუნებურად ხელს თავში წაიშენ — ესენი აალორძინებენ საქართველოს?!

თითქმის ერთი წელია, რაც პრეზიდენტი, სპიკერი, დეპუტატები და მინისტრები განუწყვეტლივ საზღვარგარეთის ვოიაჟებში იმყოფებიან, რაზეც ღატაკი ქვეყნის ბიუჯეტის ასიათასობით დოლარი იხარჯება. ხომ არ არის დრო, დავინტერესდეთ, ამ მოგზაურობებს რაიმე რეალური შედეგი აქვს თუ არა? ასეთი ვიზიტების უაზრობის თვალნათელი მაგალითია ჩვენი დეპუტატების სტრასბურგში, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესიაზე მოგზაურობა. იქიდან დაბრუნებულმა „ძალიან ბედნიერმა“ ბურჯანაძემ მკვირცხლად უპატაკა ჟურნალისტებს, რომ საქართველოს დელეგაციამ არნახულ წარმატებას მიაღწია, „ასით ნოლი მოუგო რუსეთს“, რუსეთში თურმე „ისტერიკაში ჩავარდნენ“, ხოლო „მთელი ევროპა ჩვენ გვიჭერს მხარს“ და ა.შ. დელეგაციის სხვა წევრები სიამოვნებისგან თვალებს ნაბავდნენ და ხალხს ულოცავდნენ „ქართული პოლიტიკის უდიდეს საერთაშორისო წარმატებას“, ტელედიქტორები კი აღფრთოვანებისგან ლამის გონებას კარგავდნენ. არც ერთ ჟურნალისტს არ ეყო ჭკუა და ინტელექტი, მშვიდად ეკითხა: „ბოდიში, კონკრეტულად რა მოუტანა საქართველოს თქვენმა ვიზიტმა? თქვენ წინ წაიწიეთ აფხაზეთის საკითხის გადაწყვეტაში? თქვენ აიძულეთ რუსეთი, რაიმე დათმობაზე წასულიყო? თქვენი ზეწოლით რუსეთმა აიღო ვალდებულება, დახმარება გაუწიოს საქართველოს? იქნებ, ევროპის ქვეყნებიდან ინვესტიციები მიიღეთ? იქნებ

ევროპამ ქართულ პროდუქციას საკუთარი ბაზარი გაუხსნა?“ თუ არა, მაშინ ვის სჭირდებოდა ეს ვიზიტი, რაში მდგომარეობს მისი შედეგი? რომელ წარმატებაზეა საუბარი? ვიზიტის გარეგნული მხარეც რომ ავიღოთ, ისიც სამარცხვინო აღმოჩნდა. ჩვენი დელეგაციის ყველა თხოვნას ევროპის საბჭოს ხელმძღვანელობამ უარით უპასუხა. საქართველოს დელეგაცია ითხოვდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების თაობაზე სპეციალური მომხსენებლის დანიშვნას — მიიღო უარი. ითხოვდა ამ საკითხებზე სპეციალური კომისიის შექმნას — მიიღო უარი. ითხოვდა საკითხის განხილვის შემდეგ რეზოლუციის მიღებას — მიიღო უარი. შედეგად ჩატარდა საკითხის სასაცილო, დამამცირებელი განხილვა ცარიელ დარბაზში (ეს ტელევიზიით კარგად ჩანდა). არანაირი გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული, ხოლო საპარლამენტო ასამბლეის გენერალურმა მდივანმა ბურჯანაძეს ურჩია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების განხილვა ორმხრივი მოლაპარაკებების ფორმატში, რომელსაც რუსეთის დელეგაცია თავიდანვე სთავაზობდა. მაშ, სად არის „გრანდიოზული წარმატება“? წარმატება არ არის, სახეზეა მორიგი მარცხი. **საქართველოს ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ მას არ ძალუძს რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირება, ანუ არ ძალუძს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის და ეკონომიკური აღორძინების პრობლემის გადაწყვეტა.**

დიპლომატიის იმ „გენიოსს“, რომელმაც გადაწყვიტა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის განსახილველად რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების გატანა, მინდა შევახსენო: ევროპის საბჭო წარმოადგენს აბსოლუტურად ქმედითუუნარო ორგანიზაციას, რომლის გადაწყვეტილებებს არანაირი ძალა არ გააჩნია; ეს არის სიმბოლური ორგანო, რომელიც შეიქმნა იმ პარლამენტარებისთვის, რომლებიც საკუთარ ნაციონალურ პარლამენტებში ლაყბობით ვერ კმაყოფილდებიან. გარდა ამისა, რუსეთი არის ამ ორგანიზა-

ციის ყველაზე მსხვილი დონორი (თუ არ ვცდები, ყოველწლიურად 22 მილიონ ევროს იხდის), ე.ი. ამ უსარგებლო ორგანიზაციის ხელმძღვანელობა ხელფასს ძირითადად რუსეთის საწევროს ხარჯზე იღებს. ვისთვისაც გაუგებარია, გიხსნით: სიტუაცია დაახლოებით ისეთივეა, როგორც საქართველოს ხელისუფლების შემთხვევაში გვაქვს, სადაც მთელი ბიუროკრატიული აპარატი, პრეზიდენტით, მინისტრებით, დეპუტატებით დაწყებული და პოლიციელებით დამთავრებული, ხელფასს სოროსისგან იღებენ. როგორც ჩვენს ხელისუფლებას არ შეუძლია დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღება, მითუმეტეს, სოროსის ნების საწინააღმდეგოდ მოქმედება, ასევე (ბუნებრივია, ნაკლები დოზით) ევროსაბჭოსაც არ აძლევს ხელს ძირითად დონორთან წაჩხუბება შორეული, ღატაკი საქართველოს გამო. მაშ, რა მივიღეთ ჩვენ ბურჯანაძისა და კომპანიის სტრასბურგში ვიზიტისგან? გარდა სოლიდური თანხების ხარჯვისა, დამამცირებელ-დამცინავი დამოკიდებულებისა რუსეთის დელეგაციის მხრიდან, რომელიც გამოიხატა ერთ-ერთი დეპუტატის „აღიარებაში“, რომ სპილომ ფრთხილად უნდა იმოძრაოს, რათა შემთხვევით ლეკვს არ დააბიჯოსო...

სამწუხაროდ, გრძელდება წინა ხელისუფლების დროს დამკვიდრებული უცხოეთში უაზრო ვიზიტების პრაქტიკა, რის შემდეგაც ტარდება პომპეზური პიარკამპანიები საზოგადოების დარწმუნების მიზნით, რომ ვიზიტი თურმე იყო „ისტორიული“, „გრანდიოზულად წარმატებული“, „გარდამტეხი“ და ა.შ. ვარდების სამეულის წინამორბედებს შეზღუდული ლექსიკური მარაგი ჰქონდათ და ამიტომ მალე მოგვბეზრდა მათი მოსმენა; ახალ მმართველებს კი უფრო მდიდარი ლექსიკა გააჩნიათ და უფრო დახვეწილად იტყუებიან. უბედურება ისაა, რომ უაზრო ლაყბობით ქვეყნის დაღუპვას ვერ შეაჩერებ...

საქართველოს ერთიანობის აღდგენისთვის დრო თითქმის არ დარჩა. **მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ: აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საქართველოს**

შემადგენლობაში დაბრუნება შესაძლებელია მხოლოდ პუტინის პრეზიდენტობის პერიოდში. 2008 წელს პუტინი პრეზიდენტის თანამდებობიდან წავა. რუსეთის შემდეგი პრეზიდენტი არც განიხილავს ამ საკითხს, თუ, რა თქმა უნდა, რომელიმე ბოკერია ან არველაძე არ აიძულებს მას ევროსაბჭოში „ხისტი“, „უკომპრომისო“ გამოსვლით... მაშასადამე, დაგვრჩა 3 წელიწადი. ჩვენ უფლება არ გვაქვს, ეს ფასდაუდებელი დრო დავხარჯოთ პრეზიდენტის ტელეკამერების წინაშე თვითტკბობაზე, საზღვარგარეთ უშედეგო ვიზიტებზე, საერთაშორისო კონფერენციებზე ლაყბობაზე, რომელიღაც ამერიკული კურსებდამთავრებული გაუნათლებელი ჭაბუკების ტელედებატებზე. ბოლო წლის განმავლობაში, ისევე, როგორც შევარდნაძის პერიოდში, ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა გადაუწყვეტელი დარჩეს. ნებით კეთდება ეს თუ უნებლიეთ? თუ გავითვალისწინებთ ქვეყნის ახალი ხელმძღვანელების ასაკს, სუსტ განათლებას და გამოუცდელობას, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მათ არ უწყიან, რას აკეთებენ. მაგრამ, თუ მათი ქცევა და მოქმედება არ შეიცვლება, მაშინ მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება — ხელისუფლებამ თავისი პატრონებისგან და სპონსორებისგან პირდაპირი მითითება მიიღო, რომლის არსი შემდეგია: საქართველო უნდა გახდეს სატრანსპორტო დერეფანი, სტაბილური და კონტროლირებადი ტერიტორია, ამიტომ მის შემადგენლობაში ავტონომიების არსებობა ჩვენთვის მიზანშეუწონელია, ვინაიდან სტაბილურობის, ანუ ნავთობისა და გაზსადენების, სხვა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების გარანტიას არ იძლევა; ამიტომ ქართველებმა ტერიტორიების დაბრუნებაზე ფიქრი უნდა დაივიწყონო. ასრულებს თუ არა ახალი ხელისუფლება სწორედ ამ მითითებას, უახლოეს მომავალში გამოჩნდება.

გაზეთი „ასავალ-დასავალი“,
2004 წ., ოქტომბერი

2005 წ., სექტემბერი

«თუ გვსურს, ერად დავრჩეთ და სახელმწიფო გვქონდეს...»

— ბატონო ალექსანდრე, საქართველოში „ვარდების რევოლუციისა“ და ხელისუფლების შეცვლის შემდეგ თითქმის ორი წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში თქვენ ძალზე იშვიათად გამოდიოდით პრესაში. მხოლოდ ორი თუ სამი მკვეთრად კრიტიკული სტატია მახსოვს ახალი ხელისუფლების საგარეოპოლიტიკურ კურსსა და საკადრო პოლიტიკასთან დაკავშირებით. რით აიხსნება ასეთი პასიურობა?

— ყოველთვის იმისი მომხრე ვიყავი, რომ ახალი ხელისუფლებისთვის თავის გამოვლენის შესაძლებლობა მიგვეცა და დანაპირების განხორციელებაში ხელი არ შეგვეშალა. ჩემს სიმპათიას არ იწვევენ ის პოლიტიკური თუ საზოგადო მოღვაწეები, რომლებიც არჩევნების მეორე დღიდან ახალი ხელისუფლების ნებისმიერი ნაბიჯის ულმობელ კრიტიკას იწყებენ მხოლოდ იმ მიზეზით, რომ თვითონ ამ ხელისუფლებაში არ არიან. **ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობისთვის მნიშვნელობა არ აქვს, რომელი პარტია და კონკრეტულად ვინ დგას ხელისუფლების სათავეში. მთავარია, საქმე კეთდებოდეს, უმთავრესი ამოცანა გადაიჭრას — საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა და ქართველი ერის არსებობისა და განვითარების გარანტიების უზრუნველყოფა.**

— ორი წელიწადი საკმარისი დროა ხელისუფლების პოლიტიკის შესაფასებლად. როგორ ფიქრობთ, ეს მთავარი ამოცანა გადაიჭრება? რას აღნიშნავდით პოზიტიურსა და ნეგატიურს ხელისუფლების საქმიანობაში?

— ოპოზიციონერთა უმრავლესობისგან განსხვავებით, ამ საქმიანობაში მთელ რიგ პოზიტიურ მომენტებს ვხედავ. პირველი და მნიშვნელოვანი შევარდნაძის პოლიტიკური ჩამოშორება და იზოლაციაა. ცხადი იყო, რომ არჩევნების გზით შევარდნაძის თავიდან მოცილება შეუძლებელია, საჭიროა სახელმწიფო გადატრიალება, მაგრამ ეს გადატრიალება ვერავინ გაბედა. სააკაშვილმა ამერიკელთა თანხმობას მიაღწია და ეს გააკეთა. დაიწყო საყოველთაო გამოცოცხლების, იმედების, სერიოზულ ცვლილებათა მოლოდინის პერიოდი. ასეთი ემოციური განწყობა თავისთავად სასარგებლოა ერისთვის, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში აპათიის, ურწმუნოების, ნიჰილიზმის, უიმედობის მდგომარეობაში იმყოფებოდა. ახალი ხელისუფლების მიერ არაკანონიერად ნაშოვნი კაპიტალის ექსპროპრიაციისთვის გატარებულ ზომებს, რა თქმა უნდა, დემოკრატიასა და კანონიერებასთან საერთო არაფერი ჰქონდა, მაგრამ ისინი სამართლიანობის გამარჯვების შეგრძნებას იწვევდა, სანამ საბოლოოდ ფარსად გადაიქცეოდა. დადებითი მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, მცირე და საშუალო ბიზნესისთვის დაწესებულ ზოგიერთ შეღავათს, ბიუროკრატიული სისტემის გამარტივების მცდელობებს. არ შეიძლება დედაქალაქის გარეგნული სახის გაუმჯობესებისთვის გაწეული შრომის, საავტომობილო გზების მშენებლობის დაუნახაობა. გზები უზარმაზარი, სტრატეგიული მნიშვნელობის საქმეა. ბევრ ქვეყანაში ეკონომიკის აღორძინება სწორედ გზების მშენებლობიდან იწყებოდა, თუმცა იქ ამით ადგილობრივი უმუშევარი მოსახლეობა იყო დაკავებული და არა თურქი მუშები. დიდი ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა დასავლეთში საქართველოს იმიჯის გაუმჯობესებასაც. ეს პირადად სააკაშვილის, მისი აქტიურობის, კომუნიკაბელობის, ენების ცოდნის დამსახურებაა.

სამწუხაროდ, ჯერჯერობით არანაირი ძვრა არ ჩანს

მთავარი პრობლემების (საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ეროვნული ეკონომიკის ჩამოყალიბება, ქართველი ერის განვითარებისთვის პირობების შექმნა) გადაჭრაში.

— თქვენი აზრით, რატომ არ გვარდება ეს მთავარი პრობლემები?

— მიზეზი ბევრია, ობიექტურიც და სუბიექტურიც. ჯერ ერთი, „ნაციონალურ მოძრაობას“ ხელისუფლებაში მოსვლისას ქვეყნის აღდგენის არანაირი კონკრეტული პროგრამა არ ჰქონია. იყო ზოგადი ფრაზები, ლოზუნგები, მოწოდებები, მაგრამ პროგრამა, საქართველოს მომავლის მკაფიო ხედვა არ ყოფილა. მეორეც, ხელისუფლებაში, ძირითადად, შემთხვევითი ხალხი მოვიდა — ახალგაზრდობა, რომელსაც არც განათლება ჰქონდა, არც გამოცდილება და ცოდნა, ანუ არ იყო და არც ახლა არის პროფესიონალთა ერთიანი გუნდი, რომელსაც თითქმის 15-წლიანი საყოველთაო სისტემური კრიზისის დაძლევა ძალუძს. ამ ადამიანებს მოქმედების პროგრამა არ გააჩნიათ, არც პრაქტიკული გამოცდილება აქვთ, მათი ინტელექტუალური დონე ძალიან დაბალია — რა შედეგებზე შეიძლება ლაპარაკი? 1999 წლიდან მოვუწოდებ ხელისუფლებას, პოლიტიკურ და სამეცნიერო წრეებს, ერთობლივად შეიმუშაონ საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების სტრატეგია, რომელიც ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობისთვის გასაგები და მისაღები იქნება, და ის ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი სტრუქტურის საქმიანობას დაუდონ საფუძვლად. ხელისუფლებამ, მოსახლეობამ, თითოეულმა მოქალაქემ უნდა იცოდეს სახელმწიფოს მოქმედების მიზნები და ამოცანები, პრიორიტეტები საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, ეკონომიკაში, სოციალურ სფეროსა და კულტურაში. გარდა ამისა, **გვჭირდება ეროვნული იდეა, რომელიც სახელმწიფო დონეზე დღემდე არ არის ჩამოყალიბებუ-**

ლი. იდეის გარეშე კი სახელმწიფო არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. თქვენ იცით, რომ ერისა და სახელმწიფოს განვითარების სტრატეგიის საკუთარი ვარიანტი დავწერე და გამოვაქვეყნე, ვთავაზობდი, განეხილათ, სხვა ვარიანტები წამოეყენებინათ. მაგრამ შევარდნაძეს ეს არ სჭირდებოდა, პოლიტიკური ლიდერები კი ამას უსარგებლო „თეორიად“ თვლიდნენ. როგორც ჩანს, ამ საქმის მნიშვნელობის გაგებისგან დღევანდელი ხელისუფლებაც შორს დგას. საერთოდ, ჩვენს სახელმწიფო მოღვაწეებს თეორია რაღაც ზედმეტად უსარგებლოდ წარმოუდგენიათ. არადა, იოსებ სტალინმა 1951 წელს, როდესაც უკვე შექმნილი ჰქონდა კოლოსალური ზესახელმწიფო ბირთვული შეიარაღებითა და ფანტასტიკური ეკონომიკური ზრდით, ქვეყნის განვითარების ახალ ეკონომიკურ თეორიაზე დაიწყო მუშაობა და განაცხადა: „თეორიის გარეშე დავიღუპებით!“

— ამას წინათ შეერთებულმა შტატებმა საქართველოსთვის 300 მილიონი დოლარის გამოყოფის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. იქნებ ამან შეუწყოს ხელი ეკონომიკის აღორძინებას?

— საქართველომ ბოლო წლებში ათჯერ მეტი მიიღო, მაგრამ განა ეს ეკონომიკის მდგომარეობაზე აისახა? ამერიკელები ფულს იმ პროექტებისთვის იძლევიან, რომლებიც თვითონ სჭირდებათ — გზების მშენებლობა ტრანზიტისთვის, გაზსადენის რემონტი და ა.შ. ის, რა თქმა უნდა, საქართველოსთვისაც კარგია, მაგრამ ეროვნულ ეკონომიკაში თვისობრივი ცვლილებები არ შეაქვს. თუ ქართველები შეეგუენ სატრანზიტო ტერიტორიაზე მომსახურე პერსონალის ფუნქციას, რომელიც მათ შევარდნაძემ გაუმზადა, მაშინ ყველაფერი კარგად ყოფილა. მაგრამ, **თუ გვსურს, ერად დავრჩეთ და სახელმწიფო**

გვქონდეს, მაშინ აუცილებელია საკუთარი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების, მეცნიერებისა და კულტურის აღორძინება. საქართველოს ჯერჯეროობით საკმაო სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი აქვს იმისათვის, რომ შესაბამისი ინვესტიციების შემთხვევაში ორი-სამი მაღალტექნოლოგიური, მეცნიერებატევადი დარგი შექმნას, რომლებიც თუნდაც პოსტსაბჭოურ სივრცეში გაუძლებს კონკურენციას. არ აქვს მნიშვნელობა, რა იქნება ეს — მიკროელექტრონიკა, ელექტროტექნიკა, ბიოტექნოლოგიები — მთავარია, რომ თავისი დონით, მოცულობით და მნიშვნელობით ისინი ქვეყნის მრეწველობისთვის საბაზო გახდეს და სახე შეუქმნას საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, რომელიც კონკურენტუნარიან სამრეწველო პროდუქციას აწარმოებს. ამ ამოცანის გადასაწყვეტად დღეს კადრები გვყავს, 10-15 წლის შემდეგ კი აღარ გვეყოლება.

— შესაძლოა, განათლებისა და მეცნიერების რეფორმამ, რომელიც ახლა ტარდება, მომავალში უკეთესი კადრებით უზრუნველგვყოს?

— დღევანდელი რეფორმა ქართველი ერის სამეცნიერო, საგანმანათლებლო და კულტურული პოტენციალის ორგანიზებული განადგურებაა. ეს იმ მიზანმიმართული ოპერაციის დამამთავრებელი ეტაპია, რომელსაც შევარდნაძე თანმიმდევრულად ახორციელებდა წლების განმავლობაში, ახლანდელი მოღვაწეები კი უკანასკნელ აკორდებს ასრულებენ. **ის, რაც ახლა ინგრევა, მხოლოდ რამდენიმე ათწლეულის შემდეგ შეიძლება აღდგეს, ყველაზე შემოქმედებითი მუშაობის პირობებშიც კი. ასეთია განათლებისა და მეცნიერების სისტემის სტრუქტურა: მყისიერად ინგრევა, მაგრამ ძალიან ნელა აღდგება.** ამიტომ, თუ 40-წლიანთა და მათზე უფროსების — ერის ყველაზე განათლებული, პასუხისმგე-

ბლობის მქონე, პროფესიონალი და პატრიოტი თაობების ცოდნასა და გამოცდილებას არ გამოვიყენებთ, ქვეყნის აღორძინების შანსს ხელიდან გავუშვებთ. საუბედუროდ, დღეს სწორედ ამ თაობას აძევებენ საზოგადოების სოციალური ცხოვრების ყველა სფეროდან. სხვათა შორის, ეს პროცესიც შევარდნაძემ დაიწყო.

— თქვენ ძალიან მკაცრად აკრიტიკებთ დღევანდელ ხელისუფლებას, ანუ, ფაქტობრივად, პრეზიდენტ სააკაშვილს. არადა, როგორც ვიცი, მასთან და მისი გუნდის ზოგიერთ წევრთან კარგი ურთიერთობა გაქვთ...

— პირადი ურთიერთობა ჩემს მსოფლმხედველობასა და პოლიტიკურ მრწამსზე, სამშობლოს მომავლის ჩემეულ ხედვაზე გავლენას ვერ მოახდენს. პირადად მიშა სააკაშვილის მიმართ ცუდად არ ვარ განწყობილი, მაგრამ ხელისუფლების საქმიანობის შეფასებისას მიღწევას ყოველთვის მიღწევას ვუწოდებ, შეცდომას — შეცდომას, ხოლო დანაშაულს — დანაშაულს. **ყველა რეჟიმის დროს სიმართლეს ვამბობდი, საზოგადოებას არასდროს ვატყუებდი, მაშინაც კი, როცა ადამიანებს ამ სიმართლის გაგონება არ სიამოვნებდათ, სამაგიეროდ დღეს არც ერთი ჩემ მიერ ნათქვამი ან დაწერილი სიტყვისა არ მრცხვენია. მეტსად გეტყვით, ჭკვიან ხალხს უნდა ესმოდეს, რომ მხოლოდ სამშობლოს სიყვარული, ჩემს ხალხზე ზრუნვა მამოძრავებს, პოლიტიკური ამბიციები არ მაწუხებს, ხელისუფლებაში ყოფნის პრეტენზია არ მაქვს, პრეზიდენტად ნებისმიერი ადამიანი მაძლევს ხელს, რომელიც საქართველოს დანგრეული, არშემდგარი სახელმწიფოდან ერთიან, აყვავებულ ქვეყნად გადაქცევს. თუ ამას მიხეილ სააკაშვილი გააკეთებს, პირადად დავუდგამ ძეგლს. ზვიად გამსახურდიას საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისთვის ძეგლი უკვე დავუდგი.**

— ყველა ხედავს, რომ ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ აფხაზეთისა და ოსეთის პრობლემების მოგვარებაში არანაირი წინსვლა არ მომხდარა, უფრო — პირიქით, ურთიერთობა კიდევ უფრო გაუარესდა. რა არის ასეთი მდგომარეობის მიზეზი?

— მიზეზი რამდენიმეა. ჯერ ერთი, ქართულ პოლიტიკურ წრეებს და ჩვენი საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილსაც კი ბოლომდე არ ესმით ქვეყნისა და ერისთვის ამ რეგიონების დაკარგვის კატასტროფულობა. გაცნობიერებული არ არის, რომ **მოცემულ მომენტში საქართველო არ არსებობს, რადგან საქართველო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარეშე საქართველო აღარ არის,** ეს სხვა სახელმწიფოა და სხვაგვარად უნდა იწოდებოდეს. როდესაც სააკაშვილი პრეზიდენტად აირჩიეს, საჯაროდ ვურჩიე, არ დავიწყებოდა, რომ ის არა საქართველოს, არამედ მხოლოდ მისი ნაწილის პრეზიდენტად იქნა არჩეული და ვუსურვე, საქართველოს პრეზიდენტი გამხდარიყო. ჯერჯერობით საქართველოს პირველ და ერთადერთ პრეზიდენტად ზვიად გამსახურდია რჩება. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ აფხაზეთის პრობლემის მოგვარების გარეშე ქვეყნის სრულფასოვანი ეკონომიკური განვითარება შეუძლებელია, ჩვენ ვერასოდეს გავიმართებით წელში. მეორეც — როგორც გაირკვა, ხელისუფლების კეთილდღეობა არაფრით არის დამოკიდებული ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის გადაჭრის უნარზე. შევარდნაძე ყოველწლიურად ატყუებდა ხალხს და „აფხაზეთის დაბრუნების“ ახალ-ახალ ვადებს ასახელებდა, მაგრამ ეს საზოგადოებრივ პროტესტს არ იწვევდა: მოღალატე ინტელიგენცია კვერს უკრავდა, პარლამენტის ე.წ. „აფხაზეთის დეპუტაცია“ მლიქვნელურად სცემდა ტაშს, ხალხი კი მასობრივად დუმდა. როგორც ვატყობ, ეს პრაქტიკა მეორდება...

— თქვენ მუდამ ხაზს უსვამდით რუსეთის როლს ჩვე-

ნი ტერიტორიული პრობლემის მოგვარებაში. დღეს ჩვენს ხელმძღვანელობას განზრახული აქვს, საერთოდ უარი თქვას რუსეთის შუამავლურ როლზე. რას ფიქრობთ ამაზე?

— ესეც თქვენ ახლანდელი მდგომარეობის მთავარი მიზეზი: ქვეყნის როგორც წინა, ისე ახლანდელი ხელისუფლების უუნარობა — პოსტსაბჭოთა სივრცის მთავარ გეოპოლიტიკურ მოთამაშესთან, რუსეთის ფედერაციასთან, ურთიერთობა მოაგვაროს. რუსეთის დაინტერესებული ჩარევის გარეშე ტერიტორიული მთლიანობის პრობლემების გადაჭრა შეუძლებელია. მაგრამ ჩვენი ხელმძღვანელობა პოლიტიკურ პარტიებთან ერთად, უკვე 15 წელია, თითქოს საგანგებოდ აკეთებს ყველაფერს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გასამწვავებლად. შევარდნაძისგან ეს გასაგები იყო: ის მარიონეტი გახლდათ და კონკრეტულ დაკვეთას ასრულებდა, მათ შორის, აფხაზეთის დათმობისას, მაგრამ ახალი ხელისუფლება უნდა მიმხვდარიყო, რომ შევარდნაძის კურსის გაგრძელება ქვეყნისთვის დამღუპველია. ხოლო ის, რომ ეს საგარეოპოლიტიკური კურსი დღესაც გრძელდება, აშკარაა და ეჭვს არ იწვევს. სხვაგვარად **ძნელი ასახსნელია, რატომ თქვა საქართველოს ხელმძღვანელობამ უარი, რუსეთთან ჩარჩო ხელშეკრულებაში დაეფიქსირებინა საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის ჯარების განუთავსებლობის ვალდებულება. ესე იგი, რუსეთის ბაზების გასვლას იმისთვის ველოდებით, რომ მათი ადგილი ნატოს ეგიდით თურქეთის ჯარებმა დაიკავონ. გამოდის, რომ რუსეთს ვუცხადებთ: დაგვიბრუნეთ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, ჩვენ კი იქ ნატოს ბაზებს განვალაგებთ. და ამის შემდეგ რუსეთი კონფლიქტების მოგვარებაში დაგვეხმარება?**

საერთოდ, საქართველოს როგორც უწინდელ,

ისე ახლანდელ ხელისუფლებას არ ესმით ან არ უნდათ გაიგონ რუსეთთან პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კავშირის მნიშვნელობა. დავუშვათ, მათთვის სულერთია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ბედი, პოლიტიკური ელიტა ჩუმ-ჩუმად შეეგუა, რომ ეს ტერიტორიები დაკარგულია, ამას აღარც მალავენ როგორც პირად, ასევე უცხოელ ექსპერტებთან საუბრისას. მხოლოდ ზოგიერთ მათგანს შემორჩა ცხინვალის რეგიონის ძალის გამოყენებით დაბრუნების იმედი, აფხაზეთზე კი სერიოზულად აღარავინ ფიქრობს. მაგრამ ჩემთვის გაუგებარია რუსეთთან ურთიერთობის საკითხში ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების გაუთვალისწინებლობა. ცხოვრებამ გვიჩვენა, რომ საქართველოს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პოტენციალი ძირითადად იმის გამო განადგურდა, რომ ჩვენმა მწარმოებელმა რუსეთის ბაზარზე თავისუფალი დაშვება დაკარგა. ჩვენი პროდუქციისთვის სხვა ბაზარი არ არსებობს და კიდევ დიდხანს (შესაძლოა, აღარასოდეს) არ იქნება. ჩვენი პოლიტიკოსების, ადგილობრივი „ოლიგარქების“ კუთვნილი ქონებაც კი რუსეთში პროდუქციის ჩატანის ხარჯზეა დაგროვილი. ამას წინათ რომელიღაც „ტვინიკოსმა“ პარლამენტში განაცხადა, რომ საქართველო სხვა ბაზარს მალე იპოვის. და ეს მხოლოდ მის სისულელეს არ მოწმობს, ასეთია პარლამენტის წევრთა უმრავლესობის აზრი. რუსეთზე საუბრისას არც ჩვენი მილიონი თანამემამულის დავიწყება შეიძლება, რომლებიც იქ ცხოვრობენ და მუშაობენ, თანაც მხოლოდ საკუთარ თავს კი არ ირჩენენ, არამედ ყოველწლიურად მილიარდ დოლარზე მეტს საქართველოში ნათესავებსა და ახლობლებს უგზავნიან; სწორედ ეს ფული უზრუნველყოფს ქვეყანაში ფულად მიმოქცევას. შეგვიძლია, თავს ამ სახელმწიფოსთან მტრობის უფლება მივცეთ? რისთვის? მითუმეტეს, რომ

ურთიერთობის მოწესრიგება ძნელი სულაც არ არის. უბრალოდ, სხვის ხელში მარიონეტის როლზე უარის თქმა და საგარეო პოლიტიკის ეროვნულ ინტერესებში განხორციელებაა საჭირო, **იმავე ამერიკელებს შეიძლება ავუხსნათ, რომ ასევე პროცენტით მხოლოდ მათი ინტერესების რეალიზება შეუძლებელია, საქართველოს საკუთარი სასიცოცხლო მნიშვნელობის ინტერესები აქვს. მესმის, ჩვენს ხელისუფლებას ამერიკელებისთვის წინააღმდეგობის გაწევა გაუძნელდება, მათ იციან, როგორ ეპყრობიან ამერიკელები ხელისუფლებას, რომელიც მათთვის საჭირო აღარ არის. მაგრამ, ჩემი აზრით, დღევანდელ ხელმძღვანელებსაც კი შეუძლიათ, რეალიზებადი ინტერესების გარკვეულ თანაფარდობაზე მოილაპარაკონ: მაგალითად, 70 პროცენტი ამერიკული და 30 პროცენტი ქართული. თუ ქართველი ხალხი იგრძნობს, რომ ხელისუფლებამ მისი ინტერესების დაცვა დაიწყო, ისიც დაიცავს თავის ხელისუფლებას, თუკი ამერიკელები ასეთ კომპრომისზე არ წავლენ და ამჟამინდელი ხელმძღვანელობის დამხობასაც მოიწადინებენ.**

— ამას წინათ პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა, რომ სწორედ ამერიკელები დაეხმარებიან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში...

— ამერიკელები კონფლიქტებს როგორც აგვარებენ, კოსოვოში გვიჩვენეს. მართლმადიდებელი სერბების უძველესი მიწა მოწყვეტილია სამშობლოს და მუსლიმან ალბანელებს გადაეცათ, ხოლო 300 ათასი სერბი ისტორიული სამშობლოდან გააძევეს. ამ მიწაზე მათი არსებობის ყოველგვარი კვალიც კი ისპობა. მხოლოდ ნატოს ჯარების იქ ყოფნის პერიოდში დანგრეული და გაძარცულია 200-მდე მართლმადიდებლური ეკლესია და მონასტერი. კოსოვო ხომ სერბებისთვის იგივეა, რაც ქართველების-

თვის მცხეთა და მესხეთ-ჯავახეთი ერთად აღებული — ეს სერბული მართლმადიდებლური სულიერების აკვანია (სხვათა შორის, **საქართველომ მთელ მართლმადიდებლურ სამყაროში მოიჭრა თავი, როდესაც შევარდნაძე სახელმწიფოთა ხელმძღვანელებს შორის პირველი მიესალმა ნატოს მიერ სერბების დაბომბვას;** მუსლიმანური ქვეყნებიც კი დუმდნენ, მაგრამ ამ „ჭეშმარიტად მართლმადიდებელმა ქრისტიანმა“, როგორც თვითონ უწოდებს საკუთარ თავს, ამერიკელი პატრონების წინაშე თავის გამოჩენის შესაძლებლობა ხელიდან არ გაუშვა). დღეს ამერიკელები „კოსოვოს სქემას“ პროპაგანდას უწევენ, როგორც ყველაზე ეფექტიანს კონფლიქტების მოგვარების დროს, და საერთაშორისო პრაქტიკაში მის დანერგვას ცდილობენ. „ეფექტიანობა“ კონფლიქტის ხაზზე ქვეყნის დაყოფასა და ყველა მხარის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის აღიარებაში მდგომარეობს. ასე გაყვეს მათ რამდენიმე სახელმწიფოდ იუგოსლავია, მალე ასეთივე ხვედრი მოელის ერაყსაც, შედეგად ერთი საერო სახელმწიფოს ნაცვლად მსოფლიო სამ რელიგიურ-ფუნდამენტურ ქვეყანას მიიღებს. სამწუხაროდ, ამ სქემის გავრცელებას არამარტო აშშ და ნატოს რიგი ქვეყნები, არამედ რუსეთის ძალიან გავლენიანი წრეებიც უწყობენ ხელს. საქართველოსთვის ამერიკული მეთოდის განხორციელება ქვეყნის საბოლოოდ დანაწევრებას და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სამუდამოდ დაკარგვას ნიშნავს. ვშიშობ, რომ ჯავახეთის სომეხთა პოლიტიკური აქტიურობაც ამერიკული „დახმარების“ მოლოდინით არის გამოწვეული. სწორედ ამიტომ ოქტომბერში მოსკოვში გამართულ ევროპულ ფორუმზე ამ სქემის მხარდაჭერის კატეგორიული წინააღმდეგი გამოვედი და მას არაადამიანური, უზნეო და კონტრპროდუქტიული ვუწოდე. სამწუხაროდ, ხმათა უმრავლესობით, კოსოვოს ვარიანტს მხარი მაინც დაუჭირეს. ეს უკვე ძალი-

ან ცუდი სიგნალია. მაგრამ კიდევ უფრო უარესი სიგნალია ჩვენი ხელისუფლების მოწოდებები, კონფლიქტების მოგვარება ამერიკელებს და ნატოს გადავაბაროთ. ეს ადასტურებს, რომ ხელისუფლება მზად არის, განდგომილი რეგიონები დათმოს. ეს ძალიან საწყენია, რადგან სურვილის შემთხვევაში შიდა კონფლიქტების მოგვარების ყველა შესაძლებლობა გვაქვს, მაგრამ მათ მეათედსაც არ ვიყენებთ.

— ცნობილია, რომ აფხაზეთის ხელმძღვანელობასთან ახლო ურთიერთობა გაქვთ, საქართველოს ხელისუფლებას აფხაზებთან თვისობრივად ახალი დიალოგის დასაწყებად აფხაზეთსა და რუსეთში თქვენი კავშირების გამოყენება არ უცდია?

— არასოდეს! განა მოსკოვის ქართული დიასპორის კავშირების გამოყენებას კი ცდილობს ვინმე? განა დევნილთა პირადი შესაძლებლობები გამოყენებულია? განა აფხაზებთან ურთიერთობაში სამეგრელოს რეგიონის პოტენციალს იყენებენ? განა ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკებში საქართველოს პოზიციების აღდგენა ხდება? ჩვენი პოლიტიკოსები ადიღეელებთან, აბაზინებთან, ყაბარდოელებთან, ჩერქეზებთან, დაღესტნელებთან პირდაპირი კონტაქტის დამყარებას უკადრისობენ, ურჩევნიათ, ამერიკელებს და ევროპელებს გაეგონ ფეხქვეშ მოწყალების მიღების იმედად. ავიწყდებათ, რომ ჩვენ კავკასიაში ვცხოვრობთ, კავკასიელი ხალხების, ირანისა და თურქეთის გარემოცვაში. ჩემი აზრით, ამ პოლიტიკოსებმა მართლაც დაიჯერეს ნაბოდვარი, რომ ჩვენ ევროპის ნაწილი ვართ, ევროპას ვჭირდებით, ზოგიერთები კი იქნებ აშშ-ის 52-ე შტატად ქცევაზეც ოცნებობენ და სწამთ, რომ ეს შესაძლებელია. მათი განათლებით თუ ვიმსჯელებთ, გამორიცხული არ არის, ბევრ მათგანს გეოგრაფიაზე ფრიად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდეს.

თვისობრივად ახალი დიალოგის შესახებ სწორად ბრძა-

ნეთ. მართლაც ასეთი დიალოგია საჭირო დღეს აფხაზებთანაც, ოსებთანაც, რუსეთის ხელისუფლებასთანაც. დიალოგის დაწყების გაჭიანურება საქართველოსთვის კატასტროფად გადაიქცევა. დრო აღარ დაგვრჩა. დარწმუნებული ვარ, რომ, მაგალითად, რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის აღსადგენად ერთი-ორი წელი გვაქვს. თუ ვლადიმერ პუტინი 2008 წელს პრეზიდენტის პოსტს დატოვებს, კეთილ მეზობლებად დარჩენის შანსი მინიმუმამდე შემცირდება: ვფიქრობ, მომდევნო პრეზიდენტი სხვა ფორმაციის ადამიანი იქნება, რომლისთვისაც საქართველო მხოლოდ წერტილია გეოგრაფიულ რუკაზე...

— როგორ აფასებთ კონფლიქტს პრეზიდენტსა და სალომე ზურაბიშვილს შორის? აღტაცებული ურთიერთობის შემდეგ რა არის ასეთი მწვავე კონფლიქტის მიზეზი?

— საქმე ის არის, რომ ზურაბიშვილი, როგორც საფრანგეთის დიპლომატიური კორპუსის მოქმედი მოხელე, ბუნებრივია, პირველ რიგში, საფრანგეთის, შემდეგ კი — საერთოევროპული ინტერესების განხორციელებას ცდილობდა (ეს ნებისმიერი ჭკვიანი ადამიანისთვის თავიდანვე ცხადი იყო), ანუ ამერიკული ინტერესების რეალიზაციას სათანადო ყურადღებას არ უთმობდა. ამერიკული და ევროპული ინტერესები კი რიგ სფეროებში არამარტო სცილდება, არამედ უპირისპირდება კიდეც ერთმანეთს. აშშ-ის მიზანია, პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში ერთმნიშვნელოვნად პროამერიკული რეჟიმები ჰქონდეს, რათა მათ რუსეთსა და ევროპას შორის ბუფერის, სანიტარული კორდონის როლი შეასრულონ. ეს მას რუსეთ-ევროპის, ამიერკავკასიის შემთხვევაში კი — რუსეთ-თურქეთის და რუსეთ-ირანის ურთიერთობების კონტროლის შესაძლებლობას აძლევს. ყოველთვის მეცინებოდა, როდესაც შევარდნაძე და მისი მემკვიდრეები ამტკიცებდნენ, რომ ევროპაში ინტეგრაციის კურსს ატარებენ. საქართველოსთვის თავს მოხვეული საგარეოპოლიტიკური კურსი, პროპაგანდირებუ-

ლი ზნეობრივი, სულიერი ფასეულობები, კულტურული სტერეოტიპები — ყველაფერი წმინდა ამერიკულია და ტრადიციულ ევროპასთან არანაირი კავშირი არ აქვს.

გარდა ამისა, თავად ზურაბიშვილის დანიშვნის ფაქტი ჩვენი პოლიტიკური ელიტის ღრმა პროვინციალიზმზე მეტყველებს. თავისი როლი ითამაშა არასრულფასოვნების კომპლექსმაც: დიპლომატი, რომელიც საფრანგეთში მუშაობდა, თანაც ევროპული ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროში, რა თქმა უნდა, საქართველოში შესანიშნავი მინისტრი იქნებაო! მაშინ ვამბობდი, რომ ზურაბიშვილი შეიძლებოდა ნორმალური მინისტრი ყოფილიყო რომელიმე პატარა ევროპულ ქვეყანაში, რომელსაც ერთი მიზანი აქვს — მეზობელ ქვეყნებთან ჩამოყალიბებული, მოწესრიგებული ურთიერთობა შეინარჩუნოს. საქართველოს კი თვისობრივად სხვაგვარი მუშაობა სჭირდება! ის საერთაშორისო პოლიტიკაში შედარებით დამოუკიდებელ სუბიექტად უნდა დამკვიდრდეს და, რაც მთავარია, საჭიროა გარღვევა რუსეთის ფედერაციასთან და დსთ-ის წამყვან ქვეყნებთან ურთიერთობაში. ეს საქართველოსთვის ახლა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. რისი გაკეთება შეუძლია ამ მიმართულებით ზურაბიშვილს?

პრინციპში, ამჟამინდელ პირობებში დიდი მნიშვნელობა არ აქვს, ვინ იქნება საგარეო საქმეთა მინისტრი. საგარეო პოლიტიკას განსაზღვრავს არა მინისტრი, არამედ პრეზიდენტი. ამ პოსტზე, უბრალოდ, პრეზიდენტის ნდობით აღჭურვილი პირია საჭირო, რომელიც მზად არის, კეთილსინდისიერად შეასრულოს ფოსტალიონის როლი. ჩვენი პრობლემა მინისტრის პიროვნებაში კი არა, იმაში მდგომარეობს, რომ საგარეო პოლიტიკაში განუხრელად გრძელდება შევარდნაძის კურსი.

ეს ამერიკელთა სავალდებულო პირობა იყო, როდესაც ისინი ქვეყანაში ხელისუფლებას ცვლიდნენ და ამიტომ ამაში გასაკვირი არაფერია.

— ინტელიგენციის სერიოზულ უკმაყოფილებას იწვევს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რეფორმა. რამდენად საფუძვლიანია მეცნიერთა შიში ქართული მეცნიერების მომავალთან დაკავშირებით?

— რეფორმა, რომელიც ახლა ტარდება, ერის სამეცნიერო პოტენციალის სრულ დეგრადაციას, სამეცნიერო კადრების მომზადებისა და გამოყენების სისტემის განადგურებას გამოიწვევს და „განათლების რეფორმასთან“ ერთად საქართველოს მომავალში აღორძინების ყოველგვარ პერსპექტივას მოუსპობს, თუმცა განათლებისა და მეცნიერების ეროვნული სისტემის განადგურება დღეს არ დაწყებულა. ეს პროცესი შევარდნაძის ხელმძღვანელობით და იმ ფუნქციის ჩარჩოებში დაიწყო, რომელიც მან საქართველოსთვის განსაზღვრა — სატრანსპორტო დერეფანი. „დერეფნის“ მოსახლეობას მეცნიერება და განათლება არ სჭირდება, მისი დანიშნულება მომსახურე პერსონალად ყოფნაა.

თუ გახსოვთ, 1996-1999 წლებში მთელი რიგი სტატიები გამოვაქვეყნე ამასთან დაკავშირებით და ქართველ ინტელიგენციას, მწერალთა კავშირს, მეცნიერებათა აკადემიას მოვუწოდებდი, დაეგმოთ შევარდნაძის ანტიეროვნული პოლიტიკა, მოეთხოვათ მისთვის ქვეყნის ეროვნული ინტერესებისა და ერის მომავლის დაცვა, საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების სტრატეგიის განსაზღვრა და მის ფარგლებში განათლებისა და მეცნიერების სახელმწიფო პროგრამის შემუშავება. ვაფრთხილებდი, რომ მალე ჩვენი მწერლების წიგნებს მკითხველი აღარ ეყოლება, ვეღარავინ ასწავლის მეცნიერულ დისციპლინებს და ვეღარსად გაკეთდება სამეცნიერო აღმოჩენები, მაგრამ ქართველი აკადემიკოსები პასუხად

დუმდნენ, ზოგი მწერალი მლანძღავდა და ყველა ერთად უკრავდა ტაშს საკუთარი კერპის — შევარდნაძის ნებისმიერ მორიგ ტყუილს. ძალიან მინდა, ვიფიქრო, რომ ჩვენი აკადემიკოსების დღევანდელი აღშფოთება განპირობებულია არა იმით, რომ მათ ხელფასებს, გრანტებს, სახელმწიფო კმაყოფას ართმევენ, არამედ — გამოღვიძებით, იმის მკაფიოდ შეცნობით, რომ გზა, რომლითაც საქართველო, 15 წელია, მიდის, ერისთვის დამღუპველია. მეცნიერების განვითარება ქართული სახელმწიფოს მთავარი პრიორიტეტი უნდა იყოს, ეს ერთადერთი შანსია საქართველოსთვის, რომ თანამედროვე მსოფლიოში მეტნაკლებად კონკურენტუნარიანი ქვეყანა გახდეს. სხვა პოტენციალი, უბრალოდ, არ გაგვაჩნია.

— თქვენი აზრით, როგორი იქნება ახლანდელი ხელისუფლების ბედი და რა მოგველის მომავალში?

— სიტუაციის განვითარების ორი შესაძლო გზა არსებობს. პირველი პოლიტიკური და ეკონომიკური კურსის სერიოზულად შეცვლას, საკადრო პოლიტიკის კარდინალურად გადახედვას, ტერიტორიული მთლიანობის პრობლემასთან თვისობრივად ახალ მიდგომას გულისხმობს. ზომების კომპლექსი, რომელთა განხორციელება აუცილებელია ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის, ერის ეკონომიკური და სულიერი პოტენციალის აღორძინებისთვის, რამდენიმე წლის წინ ჩამოვაყალიბე და არაერთხელ გამოვაქვეყნე. სამწუხაროდ, მას შემდეგ საქართველოში ძირითად მიმართულებებზე, რომლებიც სახელმწიფოს განვითარებას და საზოგადოების არსებობას განაპირობებს, სიტუაცია ოდნავაც არ შეცვლილა. ყველა ეს ზომა კვლავაც აქტუალური რჩება. თუ პრეზიდენტი მათ განხორციელებას გაბედავს, ანუ შევარდნაძისეული დამღუპველი პოლიტიკის გაგრძელებაზე უარს იტყვის, მისი მმართველობა საქართველოს უახლეს ისტორიაში მართლაც გარდამტეხი იქნება.

მოვლენათა განვითარების მეორე ვარიანტი დღევანდელი პოლიტიკის გაგრძელებას გულისხმობს, რაც უცილობლად მიგვიყვანს სოციალური დაძაბულობის ზრდასთან, უპერსპექტივო ეკონომიკურ მდგომარეობასთან, ქართული საზოგადოების რღვევასა და სოციალურ დაპირისპირებასთან. გარდა ამისა, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხი საბოლოოდ გადაწყდება „კოსოვოს სქემით". ასეთ პირობებში ხელისუფლებით უკმაყოფილებამ შეიძლება რადიკალური ფორმები მიიღოს. სოციალური აფეთქებისა და ხელისუფლებაში არაკონტროლირებადი ძალების მოსვლის თავიდან ასაცილებლად ჩვენი ამერიკელი ხელმძღვანელები სააკაშვილის გადაყენების და სახელისუფლო გუნდის შეცვლის გადაწყვეტილებას მიიღებენ. ჩვენ ვიცით, რომ საქართველოში უკვე მომზადებულია რამდენიმე პოლიტიკური ჯგუფი, რომლებიც ოპოზიციის როლს ასრულებენ და მთლიანად ამერიკელთა კონტროლს ექვემდებარებიან.

ასეთი ოპოზიცია ამერიკელებმა პარლამენტშიც „დანიშნეს" და მის გარეთაც. მისი რიგები ჩვენ თვალწინ ივსება: მმართველ პარტიას ახალ-ახალი ჯგუფები წყდებიან. მეორდება შევარდნაძის წინააღმდეგ ამერიკელთა მიერ განხორციელებული სქემა: როდესაც „რადიკალურ ოპოზიციად" თავი მისი აღზრდილების ჯგუფმა გამოაცხადა. ახალი კონტროლირებადი სახელმწიფო გადატრიალება ხელისუფლებაში ამ ჯგუფთაგან ერთ-ერთს მიიყვანს, რომელიც წარმატებით გაატარებს იმავე პოლიტიკას. 1,5-2 წელი ხალხი ახალი მოლოდინით იცხოვრებს, მერე — ისევ გადატრიალება შემდეგი ჯგუფის სასარგებლოდ, რომელიც ამერიკის საელჩოსთან რიგში დგას. ხელისუფლების ცვლის ასეთი სქემა, რომელიც სახელმწიფოზე სრულ კონტროლს უზრუნველყოფს, ამერიკელებმა 60-70-იან წლებში ე.წ. ბანანის რესპუბლიკებში ზუსტად დაამუშავეს.

გაზეთი „ილორი",
2005 წ., სექტემბერი

2005 წ., ოქტომბერი

«ძალზე სასიფათოა, რომ რუსულ პოლიტიკურ წრეებშიც მატულობს კოსოვოს სცენარის მსარდაჭერა კონფლიქტების მოგვარებაში»

— ბატონო ალექსანდრე, სამწუხაროდ, დღეს ხელისუფლებაში არიან ადამიანები, რომელთათვის აფხაზეთი ცოცხალი ტკივილი არ არის. ასაკის გამო მათ ვერ მოასწრეს აფხაზეთის, როგორც საკუთარი სამშობლოს განუყოფელი ნაწილის, აღქმა და გაცნობიერება, ამიტომ ლაპარაკობენ „ტერიტორიების დაბრუნებაზე", არადა, სამშობლოს დაბრუნებაზე უნდა იყოს ლაპარაკი...

— რეალობიდან მოწყვეტა, წარსულის არცოდნა, გამოუცდელობა და ზედაპირული განათლება — აი დღევანდელი ხელმძღვანელობის მთავარი ნაკლოვანებანი. ახალგაზრდულ ენთუზიაზმზე, შესაძლებელია, საგრძნობლად გამოაცოცხლო საზოგადოებრივი, თუნდაც ეკონომიკური აქტივობა, წარმატებით გადაწყვიტო რიგი ტაქტიკური ამოცანებისა, მაგრამ ეს მოკლევადიან ეფექტს იძლევა. ქვეყნის რეალური განვითარება მხოლოდ სტრატეგიის საფუძველზე ხდება, ხოლო სტრატეგიის შემუშავებისა და რეალიზაციისთვის საჭიროა სიღრმისეული ცოდნა, თაობათა გამოცდილების გათვალისწინება, ქვეყნისა და ერის ადგილის, როლის, ისტორიული დანიშნულების გაცნობიერება. ახლახან ვუსმენდი ტელევიზიით სოფლის მეურნეობის მინისტრის ანგარიშს ქვეყნის არსებობისთვის ამ უმნიშვნელოვანეს, სასიცოცხლო დარგში არსებული მდგომარეობის შესახებ და

უნებლიეთ შემექმნა შთაბეჭდილება, რომ ეს ადამიანები რომელიღაც სხვა ქვეყანაზე, სხვა ეკონომიკაზე, სხვა სოფლის მეურნეობაზე ლაპარაკობდნენ. იგივე შეიძლება ითქვას ყველა სხვა ხელმძღვანელზე, რომლებიც ტელევიზორის ეკრანებიდან თავიანთი დარგის „არნახულ წარმატებებზე“ მოგვითხრობენ. ასე ცრუობდა მრავალი წლის განმავლობაში შევარდნაძე. სამწუხაროდ, ეს პოლიტიკურ ტრადიციად იქცა.

ყოველთვის ვცდილობ, აღვნიშნო დადებითი მომენტები ხელისუფლების საქმიანობაში. მუდამ მაღიზიანებდა ყველა ჯურის ოპოზიციონერის სწრაფვა, ერთიანად, ხელაღებით გაეშავებინათ ყველა და ყველაფერი, სახელმწიფო ხელისუფლების ყველა ნაბიჯში მხოლოდ ცუდი და მავნე დაენახათ. შევარდნაძის მმართველობის დროსაც კი ვცდილობდი, გარკვეულ პროცესებში პოზიტივი დამენახა, რადგან ხშირად ოპოზიციის სწრაფვას, კატეგორიულად უარყოს ხელისუფლების საქმიანობა, იქამდე მივყავართ, რომ რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ ბრძოლად იქცევა. შევარდნაძის პერიოდთან შედარებით, დღეს მართლაც არის პოზიტიური მომენტები ხელისუფლების საქმიანობაში, რასაც მივესალმები. საკმარისია, თბილისის, ბათუმის შეცვლილ იერს შეხედო, გზების მშენებლობას, კორუფციასთან ბრძოლას ქვედა და საშუალო დონეზე და სხვ., მაგრამ ყველა ეს მოვლენა კოსმეტიკური ხასიათისაა და გავლენას ვერ ახდენს ქვეყნის სტრატეგიულ განვითარებაზე, ვერ ცვლის შევარდნაძის დროს დამკვიდრებულ ქვეყნის განვითარების დამღუპველ ვექტორს. დღემდე არ არსებობს ეკონომიკური განვითარების ერთიანი მოდელი, რომელიც ქვეყანას ეკონომიკური ჩიხიდან გამოიყვანდა. და მთავარი — ხელისუფლების ქმედება არანაირად არ გვაახლოებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემის გადაწყვეტასთან. ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის

მოგვარებისა და თანამედროვე ეკონომიკური ბაზის ფორმირების გარეშე კი საქართველოს მომავალი არ აქვს.

— ბატონო ალექსანდრე, ცნობილია, რომ მეორე ევროპულ ფორუმზე მოსკოვში თქვენ — მონაწილეთაგან ერთადერთი — ე. წ. კონფლიქტების მოგვარების კოსოვოს სქემის წინააღმდეგ გამოხვედით. რატომ?

— კოსოვოს სქემა სერბეთის ისტორიულ ტერიტორიაზე მოსული მუსლიმების დამოუკიდებელი ალბანური სახელმწიფოს შექმნას ითვალისწინებს. კოსოვო სერბული მართლმადიდებლური კულტურის აკვანია, სერბი ერის გულია. იქ ეთნიკურად და რელიგიურად უცხო ხალხი დასახლდა, რომელსაც იქვე, გვერდით, საკუთარი სახელმწიფო აქვს, ამერიკელების დახმარებით სერბი მოსახლეობა განდევნა, 200-ზე მეტი მართლმადიდებლური ტაძარი დაანგრია და ახლა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარებას მოითხოვს. არ შემიძლია ამ მოთხოვნას დავუჭირო მხარი, პირველყოვლისა იმიტომ, რომ მართლმადიდებელი ქრისტიანი ვარ, იმიტომ, რომ სერბი და ქართველი ხალხები სულიერი ძმები არიან.

ჩვენ ისედაც სამარცხვინო, მოუშორებელი ლაქა გვადევს: შევარდნაძე იყო პირველი სახელმწიფოთა მეთაურებს შორის, რომელმაც ოფიციალურად დაუჭირა მხარი ნატოს ავიაციის მიერ სერბეთის დაბომბვას, რასაც ასობით უდანაშაულო ადამიანი, ათობით ეკლესია და მონასტერი შეეწირა. ხოლო ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ არ დაგმო ამის გამო ედუარდ-გიორგი, ანათემას არ გადასცა იგი.

მეორე მხრივ, „კოსოვოს სქემის“ უნივერსალურობის აღიარება ავტომატურად ნიშნავს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამოყოფის უფლების აღიარებას. მეტიც: ეს ანალოგიურ პერსპექტივებს შეუქმნის საქართველოს სხვა რეგიონებსაც, რომლებიც, ძირითადად, მოსული უცხოტომელებით არის დასახლებული. „კოსოვოს სქემა“

სახიფათოა ევროპის ბევრი ქვეყნისთვისაც და მის შესახებ ევროპელ მოღვაწეთაგან არაერთი მწვავე შეფასება მომისმენია. მაგრამ პრობლემა ის არის, რომ **„კოსოვოს სქემის“ უკან ამერიკის შეერთებული შტატები დგას. მას კონკრეტული მიზანი აქვს – მაქსიმალურად დაასუსტოს გაძლიერების გზაზე დამდგარი ევროპა, ამიტომ ქმნიან ევროპის ცენტრში მძლავრ მუსლიმურ ანკლავს დიდი ალბანეთის სახით.** ამასთანავე, ანტიმართლმადიდებლური ტენდენციების დაკმაყოფილებაც ხერხდება, რაც მეტად ძლიერია როგორც კათოლიკურ, ისე პროტესტანტულ ქვეყნებში. მაგრამ მთავარი, რა თქმა უნდა, ევროკავშირის დასუსტებაა. სწორედ ამიტომ გაიტანეს თავისი ამერიკელებმა და ევროკავშირში აღმოსავლეთევროპული პოსტსოციალისტური სახელმწიფოები მიაღებინეს. უფრო მეტიც, იუგოსლავიის დაშლა აიძულებს ევროკავშირს, თავის შემადგენლობაში ყველა ახალი ბალკანური სახელმწიფო მიიღოს. ეს უდავოდ სერიოზულ გავლენას იქონიებს გაერთიანებული ევროპის ეკონომიკაზე, ევროს, როგორც დოლარის კონკურენტის, კურსზე, დაძაბულობას შეიტანს წამყვანი ევროპული ქვეყნების საშინაო ცხოვრებაში.

მათ მილიონობით აღმოსავლეთევროპელ მიგრანტთან საკუთარი შრომის ბაზრის გაყოფა მოუწევთ, ამიტომ ევროკავშირის ძირითადი წევრები ყველა ახალი პრეტენდენტისთვის კარის დასაკეტად მზადყოფნას გამოხატავენ. მაგალითად, თურქეთის ევროკავშირში მიღების საკითხი, პრაქტიკულად, 10-15 წლით გადაიდო და, ალბათ, არასდროს მოხდება, სხვათა შორის, ანალოგიური ვითარებაა ნატოშიც. ევროპელებს მკაფიოდ ესმით, რომ ნატო ამერიკის მსოფლიო ჰეგემონობის ინსტრუმენტია. ნატოს გაფართოება, არსებითად, ამერიკის შეერთებული შტატების გავლენის გაფართოებას ნიშნავს, ევროპა კი იძულებულია, ამის საფასური იხადოს, ამიტომ ევროპის

წამყვან სახელმწიფოებს ნატოს გაფართოების პერსპექტივისადმი უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ. მაგალითად, გერმანია, საფრანგეთი, ჰოლანდია კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან საქართველოს ჩართვას „ინტენსიური დიალოგის“ პროგრამაშიც კი, ანუ ნატოსთან ურთიერთობაში საქართველოს ახალ საფეხურზე გადასვლას.

— მაგრამ საქართველოს ხელმძღვანელობა მალე ნატოში შესვლას გვპირდება...

— ამ დაპირებას, მრავალი წელია, ვისმენთ. ევროკავშირსაც გვპირდებოდნენ, თუმცა ბოლო დროს აღარ ახსენებენ: მეტისმეტად სასაცილოდ ჟღერს. რაც შეეხება ნატოს, ქართველებისთვის მეტად მნიშვნელოვანია, გაიცნობიერონ რეალური სურათი. ევროპა არ იწვის ნატოს გაფართოებისა და ამით, ფაქტობრივად, ამერიკელთა ინტერესების მომსახურების სურვილით. გარდა ამისა, ევროპა არ არის დაინტერესებული რუსეთთან ურთიერთობის გამწვავებით. ამერიკის შეერთებულ შტატებს, რა თქმა უნდა, შეუძლია აიძულოს ევროპა, ეს ნაბიჯი გადადგას. საქართველოს ნატოში შესვლას ყოველმხრივ შეუწყობს ხელს თურქეთი, რადგან ეს თურქეთის შეიარაღებული ძალებისთვის გახსნის საქართველოს ტერიტორიას, რაც შეუქმნის ჩრდილოეთ კავკასიაზე პირდაპირი გეოპოლიტიკური გავლენის პერსპექტივას. მაგრამ ნატოს ევროპელი წევრები, კიდეც რომ დაეთანხმონ ამერიკისა და თურქეთის მოთხოვნას, ყოველ მიზეზგარეშე წამოაყენებენ უმთავრეს მოთხოვნას — ნატოს წესდების მკაცრ დაცვას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ **ნატოს წევრ ქვეყანას ტერიტორიული პრობლემები არ უნდა ჰქონდეს.**

აშშ, ისევე, როგორც მთელი მსოფლიო თანამეგობრობა, დაჟინებით მოითხოვს ჩვენი კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებას, მაგრამ მშვიდობიანი მოგვარება შეუძლებელია ამ პროცესში რუსეთის დაინტერესებული

მონაწილეობის გარეშე. რუსეთი კი ამაში მონაწილეობას არ მიიღებს, ვინაიდან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ჩვენთვის დაბრუნება ამ ტერიტორიის ნატოს კონტროლის ქვეშ გადაცემას ნიშნავს, რადგან საქართველოს ხელმძღვანელობა არ იღებს საკუთარ თავზე ვალდებულებას, არ განათავსოს თავის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის სამხედრო ბაზები. ნატოს კატეგორიული წინააღმდეგია, აგრეთვე, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობაც.

რისთვის უნდათ ამერიკელებს საქართველო? ამერიკას სჭირდება ნატოს ეგიდით საქართველოში თურქული სამხედრო ბაზის განლაგება იმ მიზნით, რომ გააძლიეროს დაძაბულობა რუსეთის სამხრეთ საზღვრებზე; მეორეც, მთლიანად აკონტროლოს ნავთობ და გაზსადენები; მესამე, ირანთან სამხედრო მოქმედების გაშლის შემთხვევაში, გამოიყენოს ქართული სამხედრო აეროდრომები, რომელთაც, უკვე კარგა ხანია, თურქები აკონტროლებენ. ამ ამოცანების გადასაჭრელად არც აფხაზეთი, არც სამხრეთ ოსეთი საჭირო არ არის.

ამიტომ ძალიან მაწუხებს, თუ როგორ აპირებს საქართველოს ხელმძღვანელობა ნატოში შესვლის საკითხის მოგვარებას, უფრო სწორად, რა პირობებს უკარნახებს მას ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. ძალიან მაფიქრებს, რომ სოხუმში ყოფნისას აშშ-ის ელჩმა ტეფტმა მოიწონა და პროგრესული უწოდა კონფლიქტის მოგვარების აფხაზურ გეგმას, რომელიც შემდეგ თბილისში სერგეი შამბამ ჩამოიტანა. გეგმის პირველივე პუნქტი აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას ითვალისწინებს. მაშ, ვისთვის არის ეს გეგმა პროგრესული? არ გამიკვირდება, თუ სააკაშვილის ვაშინგტონში ვიზიტის შემდეგ გოგო-ბიჭები არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, ე. წ. დემოკრატიული საზოგადოებრიობის წარმომადგენლები დაიწყებენ „რუსთავი 2“-ის ეთერში გამოსვლებს ნატოში

ნებისმიერ, თუნდაც სადავო ტერიტორიებზე დროებით უარის თქმის, ფასად შესვლის შესახებ, რომელთაც შემდეგ ნატო აუცილებლად დაგვიბრუნებს. წლის ბოლოსთვის კოსოვოს პრობლემაც ამერიკული სცენარით გადაწყდება. ასე რომ, „მსოფლიო თანამეგობრობა“ ტერიტორიული დავის „ცივილიზებული გადაწყვეტის“ რეალურ პრეცედენტზე ლაპარაკს შეძლებს. ქართველი დემოკრატები კი, როგორც ცნობილია, ყველაზე უფრო ცივილიზებულნი არიან...

ძალზე სახიფათოა, რომ რუსულ პოლიტიკურ წრეებშიც მატულობს კოსოვოს სცენარის მხარდაჭერა კონფლიქტების მოგვარებაში. არსებობენ ძალიან გავლენიანი ადამიანები, რომელთაც მიაჩნიათ, რომ საქართველო უნდა გაიყოს, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი კი მათი გავლენის ქვეშ დარჩეს. მეც და ჩემი ბევრი მეგობარი ვცდილობთ, დავარწმუნოთ რუსი პოლიტიკოსები, რომ აფხაზეთის მოწყვეტა დანარჩენი საქართველოსგან ვერ გადაწყვეტს რუსეთის სამხრეთის სტრატეგიული უსაფრთხოების პრობლემას. თურქეთის ხელისუფლების გახშირებული კონტაქტები აფხაზეთთან, პირდაპირი მიმოსვლის აქტივიზაციის სურვილი მეტყველებს თურქეთის განსაკუთრებულ ინტერესზე ამ რეგიონის მიმართ. უეჭველია ისიც, რომ დამოუკიდებელი აფხაზეთი სერიოზულ სტიმულად იქცევა ჩრდილოეთ კავკასიის გაერთიანების პროცესისთვის ამ რეგიონის შემდგომი სეპარატიზაციის მიმართულებით, რაც, დიდი ხანია, თურქეთის პოლიტიკური ისტებლიშმენტის სტრატეგიულ გეგმებში შედის. მაგრამ ყველა ეს არგუმენტი — ნატოსკენ სწრაფვასთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლების მანიაკალური განცხადებების ფონზე — ყოველგვარ ძალასა და დამაჯერებლობას კარგავს. თუ რუსეთი და შეერთებული

შტატები საქართველოს გაყოფაზე მოილაპარაკებენ, ეს დიდი უბედურება იქნება.

— საკაშვილისა და პუტინის პეტერბურგში შემდგარმა შეხვედრამ ვერანაირად იმოქმედა რუსულ-ქართული ურთიერთობების ხასიათზე?

— ვერ იმოქმედა და ვერც იმოქმედებდა. მაოცებს, როგორ შეიძლებოდა ამ შესაძლებლობის გამოუყენებლობა. შეხვედრა აბსოლუტურად მოუმზადებელი იყო. ასეთი რამ იშვიათია სახელმწიფოთაშორის ურთიერთობათა პრაქტიკაში. მე ვიცი, რომ საქართველოს საელჩო რუსეთში, დიპლომატიური სამუშაოს გარდა, ყველაფრით არის დაკავებული, მაგრამ გაუგებარია, რას აკეთებს საგარეო საქმეთა სამინისტრო და პრეზიდენტის ადმინისტრაცია.

ნათელია, რომ სერიოზული შეთანხმებისთვის ბაზად შეიძლება გამოდგეს მხოლოდ საქართველოს თანხმობა, რუსეთ-საქართველოს ჩარჩო ხელშეკრულებაში ჩაიდოს ქართული მხარის ვალდებულება იმის შესახებ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის სამხედრო კონტინგენტები არ განთავსდება. ამგვარი საერთაშორისო ვალდებულების გარეშე აფხაზეთისა და ოსეთის პრობლემა ვერ მოგვარდება. ისიც ნათელია, რომ საქართველოს ხელმძღვანელობა ამაზე ვერ წავა, რადგან ეს, ასე ვთქვათ, ამერიკული კომპეტენციის საკითხია. რა თქმა უნდა, საწყენია, რომ საქართველო ფორმალური დამოუკიდებლობის 15 წლის თავზეც ვერ გახდა საერთაშორისო ურთიერთობათა დამოუკიდებელი სუბიექტი, მაგრამ ეს ფაქტია და ამას ანგარიში უნდა გავუწიოთ. თუმცა, მიუხედავად ამისა, ორმხრივი თანამშრომლობის გარკვეული საკითხები (ქართული პროდუქციისთვის ბაზრის გახსნა, ერთობლივი ეკონომიკური პროექტები, სავიზო რეჟიმის შემსუბუქება, პუტინის თანხმობა საქართველოში სტუმრობაზე და სხვ.) წარმატებით შეიძლებოდა გადაწყვეტილიყო ვიზიტის სათანადო მომზადებისა და სხვადას-

ხვა დონის მხარდაჭერის ამოქმედების შემთხვევაში. მაგრამ, როგორც ჩანს, დღევანდელი ხელისუფლების რეალური პოლიტიკა პრიმიტიული პიარაქციების დონეზეა დასული, რაც, ცხადია, ქვეყნისთვის დამღუპველია. თუმცა ბუტაფორია საქმიანობის ყველა სფეროს განუყოფელ ნაწილად იქცა.

— როგორ მოგეწონათ სამხედრო აღლუმი?

— მე მახსოვს სამარცხვინო აღლუმი, რომელიც შევარდნაძემ აფხაზეთის ჩაბარების შემდეგ გამართა და იმის შემდეგ აღლუმებს აღარ ვუყურებ. **რა ეაღლუმება ქვეყანას, რომელსაც ტერიტორიის მესამედი დაკარგული აქვს? არმიის ძალა მწყობრ ნაბიჯში და საბრძოლო შეძახილებში კი არ არის, არამედ მის უნარში — უზრუნველყოს ქვეყნის ერთიანობა და უსაფრთხოება.**

— ოქრუაშვილმა განაცხადა, რომ ახალ წელს ცხინვალში შევხვდებით. როგორ ფიქრობთ, თუ ეს არ მოხდა, გადადგება?

— მახსოვს, აფხაზეთში გაგანია ომისას მაშინდელი სახელმწიფო მინისტრი ხაინდრავა იფიცებოდა, ახალ წელს ბიჭვინთაში შევხვდებითო.

რაც შეეხება ჯარს, პრობლემა გაცილებით ღრმა და არსებითია, ვიდრე ბუტაფორული აღლუმების ჩატარება. ჩვენ დღემდე არ ვიცით, რა საჭიროა არმია და, შესაბამისად, როგორი უნდა იყოს იგი. დღეს საქართველოს სამხედრო ბიუჯეტი, რამდენადაც ვიცი, 200 მილიონ ევროს, ანუ თითქმის 500 მილიონ ლარს შეადგენს. ეს დაუშვებელი ფუფუნებაა ღატაკი ქვეყნისთვის, რომელსაც აქვს პარალიზებული ეკონომიკა და უმუშევრობის კოლოსალური დონე. ამის „დაშვება“ კიდევ შეიძლება, დაკარგული ტერიტორიების ძალის გამოყენებით დაბრუნება ჩვენი პირველხარისხოვანი ამოცანა რომ იყოს, მაგრამ ხომ კარგად ვიცით, რომ რუსეთთან და ჩრდილოეთ კავკასიის

ხალხებთან ჩვენი ამჟამინდელი ურთიერთობების პირობებში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ძალის გამოყენებით დაბრუნების ნებისმიერი მცდელობა მარცხისთვის არის განწირული? მეტიც, **საქართველოს ვერასოდეს ეყოლება არმია, რომელიც ისეთ მოწინააღმდეგეს შეერკინება, როგორიც რუსეთია. მე მგონი, ეს ცხადია. გარდა ამისა, აშშ, ნატო, ევროპული სტრუქტურები კატეგორიულად გამორიცხავენ ჩვენი კონფლიქტების ძალის გამოყენებით გადაწყვეტას.** თუმცა, ამავე დროს, ქართული არმიის მშენებლობასა და წვრთნას აფინანსებენ. რაში სჭირდება ნატოს ქართველი ჯარისკაცი? ბუნებრივია, ეს ნატოს არ სჭირდება, მაგრამ ერთი ქართული ბატალიონის ერაყში გაგზავნა ამერიკელებს წელიწადში 300 მილიონი დოლარის ეკონომიას აძლევს, ანუ საკუთარი ჯარისკაცების გაგზავნა და შენახვა მათ 300 მილიონი დოლარით უფრო ძვირი დაუჯდებოდათ. სხვათა შორის, ჩვენს ჯარისკაცებს საყარაულო ფუნქციისთვის წვრთნიან. დღეს ერაყში 852 ქართველი სამხედროა. იაპონელებმა კი ამ დღეებში ერაყიდან საკუთარი კონტინგენტის გაყვანის შესახებ განაცხადეს. ბუნებრივია, ამერიკელებს ხელს აძლევს საკუთარი მიზნებისთვის სხვისი, მით უფრო, იაფი ჯარისკაცების გამოყენება. ვფიქრობ, მალე ქართული კონტინგენტი გაიზრდება.

არმიასთან დაკავშირებით კიდევ ერთ კაზუსთან გვაქვს საქმე. **საქართველოს ხელმძღვანელობა კონფლიქტის ზონებიდან სამშვიდობო ძალების გაყვანას მოითხოვს, ამის პარალელურად კი არმიის გაძლიერების, ცხინვალში ახალი წლის შეხვედრის და სხვა ამის მსგავს განცხადებებს აკეთებს. ამით ჩვენ მსოფლიო საზოგადოებრიობას ვამცნობთ, რომ მშვიდობისმყოფელთა გაყვანის შემდეგ ომს დავიწყებთ. განა ეს ნორმალურია?** გამო-

დის, სამშვიდობო ძალების გაყვანას იმიტომ მოვითხოვთ, რომ ისინი ომის დაწყებაში გვიშლიან ხელს, მაგრამ მათი მოვალეობა ხომ სწორედ ეს არის!

— თქვენ ერთადერთი ქართველი პოლიტიკოსი ბრძანდებით, რომელმაც აშშ-ის საელჩოსთან საპროტესტო მიტინგი გამართა ერაყში ომის დაწყების წინააღმდეგ. რა გამოძრავებდათ?

— ერაყში ომის წინააღმდეგ ნახევარი მსოფლიო გამოდის — იმ სახელმწიფოთა მთავრობები, რომლებიც თავისუფალი არიან აშშ-ზე კოლონიური დამოკიდებულებისგან, არაანგაჟირებული საერთაშორისო ორგანიზაციები, უბრალოდ, წესიერი ადამიანები სხვადასხვა სახელმწიფოდან ამ ომს ეწინააღმდეგებიან. ყველაზე მძლავრი დემონსტრაციები, სხვათა შორის, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში გაიმართა. საქართველოში მთავრობაც და პოლიტიკური პარტიებიც ამერიკელებს შესცინინებენ თვალებში და ამ მხეცურ აგრესიას მიესალმებიან. ერაყში შეჭრა ყველა პატიოსანი ადამიანისთვის მრავალი მიზეზის გამო არის მიუღებელი. **ჯერ ერთი,** ამერიკელებმა ეს თვითნებურად — გაეროს სანქციის გარეშე ჩაიდინეს, ანუ ფეხქვეშ გათელეს მსოფლიო მართლწესრიგი, საერთაშორისო სამართალი, რომელიც ასე თუ ისე უზრუნველყოფდა მსოფლიოში სტაბილურობასა და გლობალურ უსაფრთხოებას. **მეორეც,** ამერიკელებმა იმის დემონსტრირება მოახდინეს, რომ ცალკეული ქვეყნების სუვერენიტეტი ფიქციაა და სხვა სახელმწიფოზე თავდასხმა შეიძლება მხოლოდ „ძალის უფლებით“, ანუ მსოფლიო საყოველთაო ქაოსის საფრთხის წინაშე დააყენეს. **მესამეც,** ისინი ატყუებდნენ საკუთარ ხალხსაც და მთელ მსოფლიოსაც, რომ სადამი მასობრივი განადგურების იარაღს ფლობს, თუმცა დანამდვილებით იცოდნენ, რომ ეს ასე არ იყო. ისინი მხოლოდ საკუთარი ნავთობინტერესებით ხელმძღვანელობდნენ,

მათ შორის, ოჯახური ბიზნესის ინტერესებით, როგორც, მაგალითად, პრეზიდენტი ბუში და ვიცე-პრეზიდენტი ჩეინი. ახლახან აშშ-ის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა ბოდიში მოიხადა მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე იმის გამო, რომ იძულებული იყო, საჯაროდ ეთქვა ტყუილი ერაყში მასობრივი განადგურების იარაღის არსებობის შესახებ. სინდისმა შეაწუხა კაცი. სხვათა შორის, იმ პერიოდში შევარდნაძემ მთელი მსოფლიოს გასაგონად განაცხადა, რომ თავისი დაზვერვის მიერ მოპოვებული უცილობელი მონაცემები აქვს ერაყში მასობრივი განადგურების იარაღის არსებობის შესახებ. მაშინ ევროპაში ბევრი იცინეს მლიქვნელი მარიონეტის ყალბ ტიტინზე. დარწმუნებული ვარ, შევარდნაძეს სინდისი ვერ აიძულებს, ბოდიში მოიხადოს. **მეოთხეც,** ერაყში შეჭრით ამერიკელებმა სტიმული მისცეს მსოფლიოში ბირთვული შეიარაღების ახალ რბოლას, რადგან **ყველა იმ ქვეყნისთვის, რომელთაც არ უნდათ ამერიკის კოლონიად იქცეს, ნათელი გახდა, რომ ამერიკის თავდასხმისგან თავის გადასარჩენად ბირთვული იარაღი უნდა იქონიონ**. ერაყს რომ მართლაც ჰქონოდა ბირთვული იარაღი, ამერიკელები არასდროს შეყოფდნენ იქ ცხვირს. ერაყის ბედი აიძულებს დღეს ირანს ბირთვული პროგრამის ფორსირებას. **მეხუთეც,** ერაყის ომით ამერიკელებმა გააღვივეს ცივილიზაციური წინააღმდეგობანი ქრისტიანულ და ისლამურ სამყაროს შორის, რომლის შემდგომმა ესკალაციამ მსოფლიო საყოველთაო კატასტროფამდე შეიძლება მიიყვანოს. მისი ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი, შესაძლოა, სწორედ საქართველო გახდეს. **მეექვსეც,** ამერიკელებმა სრულიად და დიდი ხნით მოახდინეს არა მარტო დემოკრატიის იდეის, არამედ თვით სიტყვა „დემოკრატიის“ დისკრედიტება; როცა 50-100 მშვიდობიანი ერაყელის ყოველდღიური დაღუპვის ფონზე ბუში „ერაყული დემოკრატიის“ ფორმირებაში ამე-

რიკელთა წარმატებებზე საუბრობს, „დემოკრატია“ და „კაციჭამიობა“ ადამიანთა ცნობიერებაში იდენტურ ცნებებად იქცევა. **მეშვიდეც,** გარდა ათი ათასობით ადამიანის მკვლელობისა, ამერიკელებმა დაბომბვებით კაცობრიობის ისტორიის უდიდესი ძეგლები, ფაქტობრივად, მსოფლიო ცივილიზაციის აკვანი გაანადგურეს, მსოფლიო მნიშვნელობის მუზეუმები გაძარცვეს, კაცობრიობას, პრაქტიკულად, წაართვეს მისი ისტორიის მთელი პლასტი. კიდევ ბევრი ფაქტორის ჩამოთვლა შეიძლება, რამაც ამ ომის დანაშაულებრივი, ანტიადამიანური ხასიათი განაპირობა. ჩემი ღრმა რწმენით, საქართველო ამ ომში არ უნდა მონაწილეობდეს.

— როგორ ფიქრობთ, ამერიკელები ირანის წინააღმდეგ ომს დაიწყებენ?

— რთულია რაიმეს პროგნოზირება, როცა ისეთ კურიოზულ ფენომენს ვეხებით, როგორიცაა ბუში და მისი გარემოცვა. ახლახან შეერთებულ შტატებში სოციოლოგიური გამოკითხვა ჩაატარეს, რათა გაერკვიათ, ვის მიიჩნევს ამერიკის მოსახლეობა ყველაზე სულელად. პირველ ადგილზე მომღერალი მაიკლ ჯეკსონი გავიდა, მეორეზე — ვიცე-პრეზიდენტი ჩეინი, მესამეზე — თავდაცვის მინისტრი რამსფელდი, მეოთხეზე — პრეზიდენტი ბუში. ამერიკელ ჟურნალისტებს გაუკვირდათ, თუ რატომ არ აღმოჩნდა ბუში პირველ ადგილზე. ამიტომ რთული განსასჯელია, რამდენად ჭკუის სასწავლებელი აღმოჩნდა ერაყული გამოცდილება ამგვარი გონებრივი შესაძლებლობის ადამიანებისთვის. თუმცა ვფიქრობ, რომ ამერიკის საზოგადოება არ მისცემს მათ საშუალებას, ჩაითრიონ ქვეყანა კიდევ ერთ სამხედრო ავანტიურაში. ამერიკელებს ხომ არაფერი გამოსდით ერაყში. ამერიკელი ჯარისკაცები ყოველდღე იღუპებიან, ერაყელებს სძულთ ისინი, ქვეყანას შინაგანი წინააღმდეგობანი ანგრევს, ბოლოსდაბოლოს იგი სამ ფსევდოსახელმწიფოდ დაიშლება და სამივე მტრული იქ-

ნება როგორც ამერიკის, ისე მთელი ქრისტიანული სამყაროს მიმართ. ანალოგიური ვითარებაა ავღანეთშიც. ამერიკელები მხოლოდ ქაბულს აკონტროლებენ, დანარჩენი ტერიტორია თალიბების ხელშია; და თუ ამერიკელების შეჭრამდე ავღანეთიდან ყოველწლიურად 20 ტონა ნარკოტიკები გაიზიდებოდა, ახლა ეს მაჩვენებელი 300 ტონამდე ავიდა. ორი ომიდან არც ერთმა არ მოიტანა ის შედეგი, რომელსაც ბუში ელოდა. ხელისუფლების უკან მდგომ ტრანსნაციონალურ კორპორაციებსაც, მათ შორის ნავთობკომპანიებსაც, ალბათ, ესმით, რომ ამ მეთოდით პრობლემებს ვერ მოაგვარებ, დაკარგვით კი ბევრს დაკარგავ, თუ ყველაფერს არა. თუმცა ომის დეტალური გეგმა, რომელიც 70 ირანული ობიექტის დაბომბვას ითვალისწინებს, უკვე შემუშავებულია. ღმერთმა ნუ ქნას, რომ საომარი მოქმედებების მსვლელობისას თუნდაც ერთი ირანული რაკეტა ჩამოვარდეს საქართველოში ან ისლამურმა სამყარომ საქართველო ამ ომში ამერიკის მოკავშირედ მიიჩნიოს.

— რა დამოკიდებულება გაქვთ უმნიშვნელოვანესი სამეურნეო ობიექტების უცხოელ მესაკუთრეებზე გაყიდვის მიმართ?

— რადიკალური ლიბერალური ეკონომიკის მომხრე არა ვარ, ფრიდმანისა და საქსის თაყვანისმცემელი არ გახლავართ, მათ ეკონომიკურ მეცნიერებათა ავანტიურისტებად მივიჩნევ, ხოლო საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციების შემსრულებელ მათ მომხრეებს — საკუთარი ქვეყნების დამღუპველებად. სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის მომხრე ვარ, სახელმწიფო რეგულირების დიდი წილით. მეტიც, დარწმუნებული ვარ, რომ **სახელმწიფო უნდა ფლობდეს უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ ობიექტებს, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებას განსაზღვრავს, ამიტომ ვარ საქართველოს სახალხო მეურნეობის მთლიანი პრივატიზაციის წინააღმდეგი.**

მესმის, რომ ხელისუფლებას ბიუჯეტის შევსება სჭირდება, ხოლო მკვდარი ეკონომიკის პირობებში ერთადერთი საშუალება ეროვნული სიმდიდრის გაყიდვაა, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ეს რეზერვი ძალიან მალე ამოიწურება, გასაყიდი აღარაფერი დარჩება. მერე რაღა ვქნათ? ამიტომ 90-იანი წლების შუახნიდან ვთავაზობდი ეკონომიკური განვითარების მოდერნიზაციულ მოდელს, ანუ ეროვნული ეკონომიკის მოდელს, რომელიც დამოუკიდებელი სახელმწიფოს პირობებში უნდა განვითარდეს. მაშინ ჯერ კიდევ გვქონდა სერიოზული პოტენციალი, მაგრამ შევარდნაძემ მისი საფუძვლამდე დანგრევა მოახერხა. რაც დარჩა, დღევანდელმა ხელისუფლებამ გაყიდა. ამიტომ შემდგომ ხელისუფლებას, თუ იგი ეროვნულად ორიენტირებული იქნება, უკვე ეკონომიკის სამობილიზაციო მოდელის რეალიზება მოუწევს, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუ იმ დროისთვის საქართველო საბოლოოდ არ გადაიქცევა კოლონიად, რომელსაც საკუთარი ეკონომიკა არ სჭირდება.

— მაგრამ ხელისუფლება ამტკიცებს, რომ ქვეყანაში არნახული ეკონომიკური ზრდაა და მალე საქართველო ტურისტულ სამოთხედ იქცევა...

— ტურიზმი და ტრანზიტი საქართველოს ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნად ვერ აქცევს. ეს ედუარდ გაბუს ზღაპრებია. გარდა ამისა, ეს სფეროები არ ეთანხმება ქართველი ხალხის ეროვნულ თავისებურებებს და ისტორიულ მისწრაფებებს; საჭირო გახდება ერის სულიერ-ზნეობრივი საფუძვლების ნგრევა, ამას კი ერის დეგრადაცია, მისი გადაგვარება მოჰყვება.

რა თქმა უნდა, ტურიზმისა და ტრანზიტის წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ ეს ეროვნული ეკონომიკის მხოლოდ ნაწილი უნდა იყოს. საქართველოში არასოდეს იქნება იმდე-

ნი ტურისტი, რამდენიც დღეს ესპანეთში ჩადის, მაგრამ იქაც ტურიზმის შემოსავლები ესპანეთის მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 10 პროცენტს შეადგენს, თანაც ესპანეთი სულაც არ არის მდიდარი ქვეყანა. ეროვნული განვითარება შესაძლებელია მხოლოდ იმ ქვეყანაში, რომელსაც კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება შეუძლია. ეს თანამედროვე მსოფლიოს აქსიომაა. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვერ გავუწევთ კონკურენციას დიდ ქვეყნებს ბევრ საწარმოო დარგში: ამისთვის შესაბამისი ბუნებრივი, ადამიანური და ფინანსური რესურსები არ გაგვაჩნია, მაგრამ ჩვენ გვაქვს ერთი რამ: საბჭოთა დროიდან დარჩენილი სამეცნიერო და შემოქმედებითი პოტენციალი. ჯერ კიდევ გვყავს უმაღლესი კვალიფიკაციის სამეცნიერო-ტექნიკური კადრები, ფუნდამენტური მეცნიერების დიდი ტრადიციები და საკადრო ბაზა. ეს პოტენციალი საკმარისია იმისთვის, რომ შეიქმნას თანამედროვე, კონკურენტუნარიანი სამრეწველო წარმოების ორი-სამი მეცნიერებატევადი, მაღალტექნოლოგიური დარგი. ამ ამოცანის გადაჭრისთვის 10-15 წლის წინ რომ მოეკიდებინათ ხელი, დღეს საქართველო ღირსეული სახელმწიფო იქნებოდა, თუმცა ჯერაც არ არის გვიან.

ყურადღება მიაქციეთ: **ჩვეულებრივ, ახლადწარმოქმნილი ქვეყნები, რომლებიც სახელმწიფოებრივ მშენებლობას იწყებენ, პირველ ეტაპზე ტურიზმსა და ტრანზიტს ავითარებენ, სასარგებლო წიაღისეულს ყიდიან, რათა თანხები დააგროვონ და ჩადონ მეცნიერებასა და განათლებაში, ჩამოაყალიბონ ეროვნული სამეცნიერო-ტექნიკური კადრები, ხოლო შემდეგ საკუთარი სამრეწველო პოტენციალი შექმნან.** ვისაც ეს გამოსდის, იგი დამოუკიდებელი, ეკონომიკურად განვითარებადი სახელმწიფო ხდება. ვინც ვერ ახერხებს, იგი სამარადისოდ ჩამორჩენილ კოლონიად იქცევა. ჩვენ რას ვაკეთებთ? საბჭოთა

კავშირის დაშლის მომენტისთვის საქართველო განვითარებული აგრარულ-ინდუსტრიული სახელმწიფო იყო მძლავრი სამეცნიერო-საგანმანათლებლო ბაზით და სამეცნიერო, საინჟინრო-ტექნიკური კადრების კოლოსალური კორპუსით. დამოუკიდებელი (!) სახელმწიფოს ხელისუფლებამ, შევარდნაძის ხელმძღვანელობით, ჯერ გააჩერა სამრეწველო წარმოება, გაყიდა ქარხნებისა და ფაბრიკების აღჭურვილობა, ქუჩაში გაყარა სამეცნიერო-ტექნიკური კადრები, შემდეგ გადაკეტა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გასაღების ბაზარი და ამ სფეროს დაფინანსება შეწყვიტა, გააკოტრა მსხვილი სასოფლო-სამეურნეო წარმოებები და ამით ეკონომიკის აგრარული სექტორი მოსპო. შემდეგ, პარალიზებული ეკონომიკის პირობებში და სპეციალისტებზე მოთხოვნის არარსებობის პირობებში კომერციული უმაღლესი სასწავლებლების სისტემა შემოიღო, რითაც უმაღლესი განათლება გააუფასურა და პარალელურად ტრადიციული უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების დაქსაქსვა გამოიწვია, რითაც კოლექტიური სამეცნიერო საქმიანობა მოკლა. უმაღლესი სკოლისა და აკადემიური ინსტიტუტების დაფინანსების შეწყვეტასთან ერთად, ეს ქართული მეცნიერების სიკვდილს ნიშნავდა. ახალმა ხელისუფლებამ მხოლოდ ლოგიკური დასასრულისკენ წაიყვანა ეს პროცესი, როცა მისი უკანასკნელი სტადიის რეალიზაციას მიჰყო ხელი: კვალიფიციური სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების საბოლოო განდევნა, უმაღლესი განათლების ბაკალავრიატად ქცევა, უმაღლესი სასწავლებლებისა და აკადემიური მეცნიერების, როგორც ასეთის, განადგურება. ქვეყნის დეინდუსტრიალიზაციის, დეზინტეგრაციისა და დეგრადაციის პოლიტიკა ლოგიკურ დასასრულს უახლოვდება. პარალელურად მცირდება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების რაოდენობა, მცირდება მასწავლებელთა კორპუსი. მიგიქცევიათ ყურადღება

ექიმების დისკრედიტაციის მიზანმიმართული პროპაგანდისტული კამპანიისთვის? თურმე „უმაღლესი ინსტანციიდან“ შეხსენება მოვიდა, რომ საქართველომ ექიმების რაოდენობა 30 პროცენტით უნდა შეამციროს. განვითარებად ქვეყანას, რომელთა კატეგორიაში შევარდნაძემ შეგვიყვანა, სტატუსით არ ეკუთვნის ბევრი სკოლა, სრულყოფილი უმაღლესი სასწავლებლები და ამდენი ექიმი. საქართველომ საკუთარ თავზე აიღო ფუნქცია — ტრანზიტისა და ტურისტების მომსახურება. მომსახურე პერსონალს კი რაში სჭირდება მეცნიერება და განათლება?

უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროცესები მხოლოდ დღევანდელი საქართველოსთვის როდია დამახასიათებელი. მართალია, ამდენად არა, მაგრამ ეს ყველა იმ პოსტსოციალისტურ ქვეყანას ახასიათებს, რომელთა ხელმძღვანელობა ე.წ. რეფორმებს საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციებით და ამერიკელი მრჩევლების ხელმძღვანელობით ახორციელებდა. აკადემიური მეცნიერება, ფაქტობრივად, განადგურებულია პოლონეთში, რუმინეთში, ბულგარეთში, ჩეხეთსა და სხვა აღმოსავლეთევროპულ ქვეყნებში. ელცინის პერიოდში ანალოგიური საფრთხის წინაშე დადგა მეცნიერება რუსეთშიც. ეს გასაგებიცაა, რადგან თანამედროვე მსოფლიოში კონკურენციის უნარი მხოლოდ ისეთ ქვეყნებს აქვთ, რომელთაც სამეცნიერო კვლევების მაღალი დონე და მეცნიერებატევადი მაღალტექნოლოგიური წარმოება გააჩნიათ. მომავალი ამ ქვეყნებისაა. რაც უფრო ნაკლები იქნება ასეთი ქვეყანა, მით უფრო ძლიერი იქნება ის სახელმწიფოები, რომლებიც თავისთან მოუყრიან თავს მძლავრ სამეცნიერო პოტენციალს. ცნობილია, რომ პოსტსოციალისტურ ქვეყნებში მეცნიერების ნგრევის შემდეგ მსხვილ მეცნიერთა უმრავლესობა შეერთებულ შტატებში წავიდა. ასეთივე ტენდენციაა მაღალტექნოლოგიური წარმოებების მხრივაც. ჩეხეთი სოციალისტურ პერიოდში 1 მილიარდ დოლარზე მეტი ღირე-

ბულების მხოლოდ შეიარაღების ექსპორტს ახორციელებდა, დღეს კი მისი ექსპორტი 50 მილიონ ევროს არ აღემატება, ვინაიდან ამერიკელებს იარაღის ბაზარზე კონკურენტი არ ესაჭიროება. „ნარინჯისფერი რევოლუციის“ შემდეგ უკრაინამ „რეკომენდაცია“ მიიღო, შეამციროს ავიამშენებელი, აეროკოსმოსური მრეწველობა და გააფართოვოს მეტალურგიული და ქვანახშირის წარმოება.

— მახსოვს თქვენი სტატია „გეწყინთ? გეწყინოთ!“, რომელშიც მეტად მწვავედ წერდით ინტელიგენციის პასიურობაზე თანამედროვე საქართველოში. აზრი ხომ არ შეგეცვალათ? როგორი დამოკიდებულება გაქვთ უკანასკნელ მოვლენებთან თბილისის უნივერსიტეტში?

— დიახ, ეს 7-8 წლის წინანდელი სტატიაა, რომელშიც ვეცადე ე. წ. ქართული ინტელიგენციის ავანგარდის ყურადღება მიმექცია იმისთვის, რომ ქვეყნისთვის დამღუპველი პროცესების მიმართ პასიური დამკვირვებლის პოზიცია დაუშვებელია. ვწერდი, რომ შევარდნაძის პოლიტიკა მიგვიყვანს ეკონომიკის, მეცნიერების, განათლების სრულ განადგურებამდე, ეროვნული სულიერ-ზნეობრივი ფასეულობების სრულ დევალვაციამდე და, საბოლოოდ, ქართველი ერის, როგორც კულტურულ-ისტორიული ფენომენის, დეგრადაციამდე. ინტელიგენციას მოვუწოდე, გაეხსენებინა საკუთარი ზნეობრივი მისია ქართული საზოგადოების წინაშე, ხმა აემაღლებინა, დამდგარიყო ერის სასიცოცხლო ინტერესების, მისი მომავლის დასაცავად. შევუძახე ქართველ მწერლებს, აკადემიკოსებს, ვეცადე, ამეხსნა, რომ მალე მათი წიგნების წამკითხავი, მათი სამეცნიერო მიღწევებით მოამაყე აღარავინ დარჩებოდა, რადგან საქართველოში აღარ იქნება უნივერსიტეტები, აკადემიური ინსტიტუტები, განათლებული საზოგადოების ფართო წრე და ელემენტარულად, წერა-კითხვის მცოდნე მოსახლეობაც კი. მაშინ მეგონა, რომ ფერებს ვამუ-

ქებდი, მაგრამ სინამდვილემ ყველაზე მძიმე წინათგრძნობასაც კი გადააჭარბა. იმ სტატიის პასუხად პრესაში რამდენიმე წერილი გამოქვეყნდა, მათ შორის კოლექტიურიც, რომელსაც ხელს ინტელიგენციის ტიტულოვანი წარმომადგენლები აწერდნენ. ამ წერილებში „კრემლის აგენტს“ (რა შუაში იყო კრემლი?), ქართული სახელმწიფოებრიობის მტერს, სინამდვილის გამყალბებელს მიწოდებდნენ, რომელიც ხელს უშლის პრეზიდენტს ქვეყნის ევროპაში შეყვანის საქმეში.

რაც შეეხება უკანასკნელ მოვლენებს თბილისის უნივერსიტეტში, ეს ქართული ინტელიგენციის მრავალწლიანი მდუმარეების კანონზომიერი შედეგი და, ამავე დროს, ბევრი ჩვენი ინტელიგენტის შინაგანი არსის გამოვლინებაც არის. აღმოჩნდა, რომ მათი აღშფოთება მხოლოდ სამსახურიდან დათხოვნასა და ხელფასის დაკარგვას შეუძლია. შევარდნაძემ კარგად იცოდა მათი ბუნება და სარგებლობდა ამით. განსაკუთრებით ეს ე. წ. ელიტურ ინტელიგენციას ეხებოდა. ზოგს სამარშრუტო ტაქსების ხაზი ჰქონდა, ზოგს — კომერციული უმაღლესი სასწავლებელი, ზოგსაც — რაიმე გრანტი. საბჭოთა დროში ეს იყო ბინები, მანქანები, საზღვარგარეთ მოგზაურობები, მათი ნაწარმოებების მრავალათასიანი ტირაჟები და ა.შ. ასე ხერხდებოდა სამეცნიერო და შემოქმედებითი ელიტის ლოიალობის ყიდვა, რაც, თავის მხრივ, შესაბამისად ზემოქმედებდა ინტელიგენციის სხვა ფენებზე. სიტყვამ მოიტანა და ვხედავ, რომ შევარდნაძის მემკვიდრეებმა წარმატებით აითვისეს მათი მასწავლებლის გაკვეთილები. ყურადღება მიაქციეთ: უნივერსიტეტის რექტორმა პროტესტის გამომხატველებისგან გამოყო ყველაზე აქტიური და ავტორიტეტული პროფესორები, უბოძა თანამდებობები, მაღალი ხელფასიც დაუნიშნა და მათაც მაშინვე

შეწყვიტეს პროტესტი. ასაკოვანი ხალხია და არც კი შერცხვათ...

რა თქმა უნდა, უნივერსიტეტის პედაგოგებს შორის ბევრია პრინციპული ადამიანი, რომელთაც მეცნიერებისა და განათლების „რეფორმის“ დამღუპველობა ესმით. მათ გვიან, მაგრამ მაინც დაიწყეს ბრძოლა ერის მომავლისთვის. საპროტესტო განწყობილებებს სახელისუფლო სტრუქტურების შეურაცხმყოფელი ქცევაც უწყობს ხელს. საბჭოთა დროს მილიციის თანამშრომლებს უფლება არ ჰქონდათ, უნივერსიტეტის შენობაში ფორმით შესულიყვნენ. დაუსწრებელი ფაკულტეტის სტუდენტებიც კი, რომლებიც მილიციაში მუშაობდნენ, უნივერსიტეტში სამოქალაქო ტანსაცმლით უნდა გამოცხადებულიყვნენ. დღეს დამოუკიდებელ დემოკრატიულ საქართველოში პოლიციელები კინწისკვრით ყრიან პროფესორებს უნივერსიტეტიდან, განათლების მინისტრი კი იმავე პროფესორებს ხულიგნებს უწოდებს!

„ასავალ-დასავალი“,
2005 წ., ოქტომბერი

2005 წ., დეკემბერი

როგორ გინდათ, დაარწმუნოთ მეგრელები და სვანები, რომ ენა, რომელზეც ისინი საუბრობენ, არ არსებობს?!

სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ მეოთხე ყრილობაზე განხილული საკითხები აქტუალურია არა მხოლოდ სამეგრელოს, არამედ სრულიად საქართველოსთვის, თუმცა საზოგადოების ერთი ნაწილი ზოგიერთი ტელეარხის პროვოკაციის შედეგად საკმაოდ შეშფოთდა. საქმე ისაა, რომ ყრილობამ ქართულ სკოლებში მეგრული და სვანური ენების ერთსემესტრიანი გასაცნობი კურსის შემოღება მოითხოვა, მეორე დღეს კი პრესაში გამოქვეყნდა მეცნიერთა ერთი ჯგუფის მიმართვა ხელისუფლებისადმი, რომელშიც ამ ენებს კუთხურ კილოკავებს უწოდებდნენ და მათ შესწავლას ქვეყნის დანგრევასთან აიგივებდნენ.

მე არა ვარ ფილოლოგი, მეგრულს ან სვანურს რაიმე კვალიფიკაცია რომ მივანიჭო, მაგრამ მინდა, შეგახსენოთ აკაკი წერეთლის სიტყვები: „მეგრული დღეს სალარაა ნამდვილი ქართული სიტყვებისა. აღმოსავლეთ საქართველოს დაჰკარგვია ნამდვილი ქართული სიტყვები, მათ ნაცვლად სომხურ-თათრულ-სპარსული შემოუღია, რომელიც ქართველის ყურს ცუდად ეჩხირება და გულს სწყენს. და მეგრულ ენაში კი შენახულან მარგალიტად ეს ძველი სიტყვები. ჩვენ ვურჩევთ ჩვენს მწერალ-მწიგნობრებს მეტი ყურადღება მიაქციონ მეგრულს, რომ იქიდან ამოკრებილი სიტყვებით შეივსოს დღეს მათი შელახული ქართული ლექსიკონი“.

ეს გახლავთ დიდი აკაკის რჩევა, რომელიც მეგრულს ენად და ქართული ენობრივი კულტურის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს. ასევე ჩანს, თუ ვის შეიძლება „ეწყინოს“ და „ყურში ცუდად გაეჩხიროს“ მეგრულ ენაზე ზრუნვა.

ჩემი აზრით, ნებისმიერი ქართველი უნდა ამაყობდეს იმით, რომ არსებობს უდიდესი ფენომენი — ქართველური ენობრივი კულტურა, რომელიც მოიცავს თვით ქართულ, მეგრულ და სვანურ ენობრივ კულტურებს. საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა უმდიდრესი მეგრული და სვანური ფოლკლორი, იწერებოდა და დღესაც იწერება მშვენიერი ლექსები, პატრიოტი და მსოფლიოში აღიარებული ქართველი მეცნიერები მეგრულს მეცნიერულად იკვლევდნენ, როგორც უმდიდრესი ლექსიკური მარაგის მქონე ენას.

მინდა ვკითხო დღევანდელ მეცნიერებს: რატომ უნდა დაიკარგოს ეს ზოგადქართული, ზოგადეროვნული სიმდიდრე? ვის ინტერესებში შედის ამ საუნჯის იგნორირება და აბუჩად აგდება?! დარწმუნებული ვარ, რომ ქართველი ერის, ჩვენი ეროვნული კულტურის, ქართველთა მომავალი თაობის ინტერესებში ეს არ შეიძლება შედიოდეს.

რაც შეეხება სკოლებში მეგრული და სვანური ენების გასაცნობი კურსის შემოღებას, მითხარით, რა არის ცუდი იმაში, თუკი ქართველი ბავშვი ქვეყნის ნებისმიერი კუთხიდან სამეგრელოს ან სვანეთის სოფლებში მოხვედრისას, ან ქუჩაში მეგრულს თუ სვანურს რომ მოჰკრავს ყურს, უცხო საუბრად არ აღიქვამს და იფიქრებს: ეს ჩემი ძირძველი ენაა, ეს ქართულია, მშობლიურია. შეუწყობს თუ არა ეს ხელს ქართველი ერის გამთლიანებას?

ბატონი გიორგი სიჭინავა მის მიერვე შედგენილ მეგრული ენის თვითმასწავლებელში წერს: „ჩემო პატარა მკითხველო, უნდა იცოდე, რომ მეგრული და სვანური ქართველური ენებია, და ჩვენი საყვარელი სამშობლო საქართ-

ველო კოლხ-იბერთა ქვეყანაა, კოლხებს და იბერებს ერთი წინაპარი ჰყავდათ, დღესაც სხვადასხვა კუთხეებად გატოტვილნი, ისე, როგორც ხეთა შტოები, ერთი ფესვიდან იკვებებიან. ქართველი ერის აკვანი შორეულ აიაში დაირწა და დღესაც შორეული წარსულიდან ისმის საყვარელი მელოდია: „იავნანა მარდუ ნანა იავნანინა“. თავდაპირველად იქნებ გეუცხოოთ მეგრული სიტყვები, მაგრამ უცხო არ არის. ის ძველისძველია, თქვენი სისხლით ნათესავების, თქვენი აიელი წინაპრების ხმებია“.

ჩემი აზრით, სწორედ ეს მიდგომა უნდა იყოს მისაღები იმ ხალხისთვის, იმ ხელისუფლებისთვის, იმ ცალკეული პირებისთვის, რომელთაც ნამდვილად სურთ ქართველი ერის, როგორც ისტორიულ-კულტურული ერთობის, შენარჩუნება, მრავალსაუკუნოვანი ქართული ეროვნული კულტურის განვითარება და ქვეყნის ტერიტორიული, სულიერი მთლიანობის აღდგენა. მე არ მიკვირს, როდესაც ასეთ მიდგომას გმობს პრეზიდენტის აპარატში მოკალათებული ვიღაც კარაპეტა, მაგრამ ქართველ მეცნიერთაგან იმავეს მოსმენა მართლაც გასაკვირია.

ჩემი აზრით, არა მარტო მეგრული და სვანური, არამედ აფხაზური ენის გასაცნობი კურსიც შემოსაღებია ქართულ სკოლებში, რადგანაც ეს ენა ხელისუფლებამ საქართველოს სახელმწიფო ენად აღიარა, სახელმწიფო ენას კი ყველა მოქალაქე უნდა იცნობდეს.

ზოგიერთი პროვოკატორის გარდა, ყველამ ჩინებულად იცის, რომ ჩვენ ვითხოვთ მთელ საქართველოში მეგრული და სვანური ენების ერთსემესტრიანი გაცნობითი კურსის შემოღებას და არა — სამეგრელოში მეგრულად სწავლებას. ყველა, ვინც ცდილობს, ასეთი კუთხით წარმოაჩინოს ჩვენი მოთხოვნა, ეწევა შეგნებულ პროვოკაციას შორსმიმავალი მიზნებით.

იმ პროფესორებს კი, რომლებიც მეგრულისა და სვანურის ლამის აკრძალვას ითხოვენ, ასევე მინდა შევახსენო,

რომ დამთავრდა ის პერიოდი, როდესაც შეიძლებოდა მეგრულ ენაზე დაწერილი ლექსის ავტორის გადასახლება ან თუნდაც პარტიულ ორგანოებში გამოძახება და მეგრულად ლექსის დაწერის აკრძალვა.

არ ვაპირებ პოლემიკას იმ მეცნიერებთან, რომელთაც ხელისუფლების სახელზე სასწრაფო უსტარი აფრინეს და ლამის ჩემი დაჭერა მოითხოვეს, მით უფრო, რომ დღეს ქვეყნის წინაშე გაცილებით მძიმე, სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემები დგას. უბრალოდ, მინდა, ვკითხო მათ:

როგორ აპირებთ, ვთქვათ, ბატონებს — გიორგი სიჭინავას, ვახტანგ ხარჩილავას, რინოს კვარაცხელიას და სხვებს აუკრძალოთ მეგრული ლექსების წერა: პარტიულ ორგანოში დაიბარებთ, გადაასახლებთ თუ სულაც ჩეკას სამეულივით სასამართლოს გარეშე დახვრეტთ?

როგორ გინდათ, დაარწმუნოთ მეგრელები და სვანები, რომ ენა, რომელზეც ისინი საუბრობენ, არ არსებობს?

ვინ იქნება იმავე მეგრელებისთვის უფრო მისაღები — ცნობილი ენათმეცნიერი, აფხაზების სიძე ჰიუიტი, რომელიც მეგრულს ერთ-ერთ უმდიდრეს ენად მიიჩნევს და მთელ ევროპაში უწევს მას პოპულარიზაციას, თუ ის ქართველი მეცნიერები, რომლებიც ამ ენის არსებობას უარყოფენ და კნინობით, შეურაცხმყოფელ კონტექსტში მოიხსენიებენ მას?

ნუთუ გგონიათ, რომ რომელიმე ლაზში (ასეთი ორ მილიონამდეა და მათთან ნათესაური კავშირების აღდგენა თუნდაც იმიტომ შედის სახელმწიფო ინტერესებში, რომ ისინი თურქეთში პოლიტიკურ ამინდს ქმნიან) სიმპათიას გამოიწვევთ, თუკი მათ ენას კუთხურ კილოკავს უწოდებთ? ხომ არ აჯობებს, ვუთხრათ მათ, რომ ლაზური ენა ქართული ენობრივი ოჯახის განუყოფელი ნაწილია?!

როგორ დაუსაბუთებთ იმ ევროსტრუქტურებს, რომლებში გაერთიანებასაც ასე ცდილობს ხელისუფლება,

რომ მეგრული და სვანური ენები უნდა აიკრძალოს, მაშინ, როდესაც ესპანეთში არსებობს კატალონიური ენა ბრწყინვალე ლიტერატურით (მსოფლიოში სახელგანთქმული მწერლები ესპინასი, ტორესი), არსებობს გალისიური ენა და ლიტერატურა (კასარესი, ვარელა) და ყოველივე ეს ესპანური ლიტერატურის განუყოფელი ნაწილია. იგივე შეიძლება ითქვას ბრეტონულ და კორსიკულ ენებზე საფრანგეთში, ანალოგიური მდგომარეობაა იტალიაში, სადაც დიალექტებიც კი სკოლებში ისწავლება. ვის და როგორ აუხსნით, რომ ის, რაც ევროპულ ქვეყნებში ერის კონსოლიდაციას ემსახურება, საქართველოს დაშლით ემუქრება?!

დაბოლოს, შევახსენებ ჩემს ოპონენტებს, რომ პოლიტიკოსთა და ვაიმეცნიერთა დაუღალავმა მტკიცებამ, თითქოს არც აფხაზური ენა არსებობს, არც აფხაზური ლიტერატურა და კულტურა, აფხაზეთის სახით ერთი მშობლიური კუთხე უკვე დამაკარგვინა!

გაზეთი „ასავალ-დასავალი“,
2005 წ., დეკემბერი

2006 წ., ივლისი

«ნატოში შესვლა შეიძლება აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვის ფასად დაგვიჯდეს»

— ბატონო ალექსანდრე, რა აზრის ხართ უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენებზე და რას ფიქრობთ ხელისუფლების განათლების პროგრამაზე? როგორ შეაფასებთ საზოგადოების რეაქციას?

— ცალკე მსჯელობის საგანია, — გვყავს თუ არა საზოგადოება, ვიცით კი რაიმე მისი თვისებების, მიზნების შესახებ? როდესაც ვუყურებ ამ 15 წლის განმავლობაში ქართულ ინტელიგენციას, არ შემიძლია ვთქვა, რომ მაღალი წარმოდგენის ვარ მასზე. **რაც დღეს უნივერსიტეტში ხდება, ამ ინტელიგენციის მრავალწლიანი დუმილის შედეგია.**

წლების წინ მასმედიით მივმართავდი ინტელიგენციას — ის ფუნქცია, რომელიც შევარდნაძემ საქართველოს მიანიჭა, გამორიცხავს მეცნიერების, განათლების არსებობასა და სამეცნიერო-ტექნიკურ განვითარებას-მეთქი. ამიტომ ქართული ინტელიგენცია დროულად უნდა დაირაზმოს ამ მზაკვრული გეგმების ასალაგმად, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქართული მეცნიერება და განათლება დაიღუპება, ხოლო ქართველი ერი, როგორც კულტურული ფენომენი, განადგურდება.

საპასუხოდ პრესაში რამდენიმე კოლექტიური წერილი გამოქვეყნდა, რომლებშიც რეგალიების მქონე პროფესურა წერდა — თითქოს, კრემლის აგენტი ვიყავი და საქართველოს დაღუპვას ვცდილობდი. მეტსაც გეტყვით, როდესაც მთავრობამ უნივერსიტეტის რექტორად რუსუდან

ლორთქიფანიძის კანდიდატურა დაასახელა, ჩემთან პროფესორთა ჯგუფი მოვიდა. ვუთხარი, რომ აუცილებლად უნდა გაერთიანდეთ და თქვენი კანდიდატი წამოაყენოთ არჩევნებზე-მეთქი. ისიც ვთქვი, რომ ახლადდანიშნული რექტორი, პირველ რიგში, დიდ სამეცნიერო საბჭოს დაშლიდა და იმ ტრადიციულ სტრუქტურებს გააუქმებდა, რომლებიც შიდასაუნივერსიტეტო დემოკრატიას უზრუნველყოფდა. იცით, რა მიპასუხეს? ჩვენ ასეთი კანდიდატურა არ გვყავსო. ასეთ შემთხვევაში შეიძლება სხვა კლანის წარმომადგენელმა გაიმარჯვოსო, ანუ უნივერსიტეტში იყო შიდაჯგუფები, რომლებიც ერთმანეთს ვერ იტანდნენ. ოღონდ მოწინააღმდეგე დაჯგუფების კანდიდატი არ გასულიყო რექტორად და მზად იყვნენ, სხვა, გარეშე პირი მიეღოთ, ამიტომ აირჩიეს რუსუდან ლორთქიფანიძე.

ქართული ელიტური ინტელიგენციის დიდ ნაწილს თვითმკვლელობის ფარული სურვილი გააჩნია, თორემ სხვა მხრივ ძნელი ასახსნელია, რაც უნივერსიტეტში მოხდა. თანაც ხელისუფლებაში მოსულმა ახალგაზრდობამ კარგად ისწავლა შევარდნაძისგან ინტელიგენციის მოსყიდვა. ნახეთ, ქალბატონ მარიკა ლორთქიფანიძეს თანამდებობა მისცეს და მანაც იმ წუთშივე მიატოვა საპროტესტო მოძრაობა.

ინტელიგენციის ამ თვისებით კარგად სარგებლობდა შევარდნაძე, რომელმაც მათი ბუნება იცოდა. ამიტომ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში ასეთ ინტელიგენციას ხმა არ ამოუღია. ზოგს სამარშრუტო ტაქსის ხაზი, ზოგს კერძო სასწავლებელი ჰქონდა და ამით იყო ნაყიდი მათი ლოიალობა, **შევარდნაძე კი ქვეყანას ანგრევდა, სპობდა ეროვნულ კულტურას, განათლებასა და მეცნიერებას. ეს ახალგაზრდები კი შევარდნაძის დაწყებულ საქმეს ამთავრებენ. უბრალოდ, გამწვავდა მდგომარეობა, რადგან საქმე ხალხის სამსახურებიდან გაყრამდე მივიდა.**

— თქვენი აზრით, რუსეთი გვსჯის, როდესაც სეპარატისტებს თავის მოქალაქეობას აძლევს, მათ ლიდერებს კი მოსკოვში პრესკონფერენციებს ატარებინებს? ამას წინათ პუტინმაც განაცხადა, რომ, თუ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების შუამავლები ვართ, ეს ბუნებრივი პროცესიაო. რამდენად ბუნებრივია, რომ სეპარატისტებს რუსეთის იმედი აქვთ?

— რასაკვირველია, აქვთ და მომავალშიც ექნებათ. პუტინის ნათქვამი ლოგიკურად და პოლიტიკურად გამართლებულია. მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ ამის მიზეზი, ისევე, **როგორც ქართული ღვინისა და მინერალური წყლების აკრძალვის მიზეზი, ისაა, რომ რუსეთი საქართველოში ვერ ხედავს მეგობარ ქვეყანას. რა თქმა უნდა, რუსეთის პოლიტიკური წრეები ხედავენ, რომ ერთიანი საქართველო რუსეთისადმი მეგობრულად განწყობილი არ იქნება და ამიტომაც ფიქრობენ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ჩვენთვის პრობლემების შექმნაზე.**

— მიგაჩნიათ თუ არა, რომ სააკაშვილისა და პუტინის შეხვედრას რაიმე შედეგი მოჰყვება?

— საქართველოს მხრიდან ეს იყო გაუგებარი პიარ-აქცია, რუსეთის მხრიდან კი იყო იმ ქვეყნის პრეზიდენტის მიღება, რომელიც ამას ძალიან ითხოვდა. შეხვედრა აბსოლუტურად მოუმზადებლად ჩატარდა.

დავინტერესდი, იყო თუ არა განსახილველად მომზადებული საკითხები ან რაიმე ხელმოსაწერი დოკუმენტი, რაზეც უარყოფითი პასუხი მივიღე. შესაძლოა, სააკაშვილმა ბუშს უთხრას, რომ შევეცადე რუსეთთან ურთიერთობის დამყარებას, მაგრამ არაფერი გამოდისო.

ყოველ შემთხვევაში, ეს არის ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტროსა და რუსეთში ჩვენი საელჩოს არაპროფესიული, არაკომპეტენტური მუშაობის შედეგი. რა თქმა უნდა, **სანამ რუსეთთან დიდ ჩარჩო-ხელშეკრულება-**

ში ვალდებულებას არ ავიღებთ საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის ჯარების არგანლაგებაზე, მანამდე პრინციპული საკითხების გადაჭრა შეუძლებელია. მაგრამ, ამ შეხვედრის ნორმალურად მომზადება და ყველა შესაძლებლობების ჩართვა აუცილებელი იყო, რათა ეკონომიკური პრობლემები მოგვარებულიყო, რაც ქართული პროდუქციის რუსულ ბაზარზე გატანას, სავიზო რეჟიმის შემსუბუქებას ითვალისწინებს. საგულისხმოა ისიც, რომ დსთ-ს სივრცეში საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, რომელშიც პუტინი არ არის ნამყოფი, რაც ორივე ქვეყნის ურთიერთობათა მაჩვენებელია. ამის მიღწევაც შეიძლებოდა.

წლების განმავლობაში პრორუსულ ორიენტაციას მაბრალებდნენ იმიტომ, რომ საქართველოს ხელისუფლებას ყოველთვის მოვუწოდებდი რუსეთთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებისკენ. **ობიექტურად საერთო გეოპოლიტიკური ინტერესები გაგვაჩნია. რუსეთი მეზობელი ზესახელმწიფოა და რუსეთის ბაზრის გარეშე ჩვენი სოფლის მეურნეობა დაიღუპება, მიუხედავად ხელისუფლების მიერ ქართული ღვინის ჩინეთსა თუ საფრანგეთში გატანის ფუჭი დაპირებებისა. ვკარგავთ ციტრუსებს, ჩაის, რუსეთის ბაზრის ჩაკეტვის გამო. გვავიწყდება რუსეთში მომუშავე მილიონამდე ქართველი, იქ თავს რომ ირჩენენ და სამშობლოში თავიანთ ახლობლებს ინახავენ.**

შეიძლება თუ არა, ჭკუათმყოფელი ხელისუფლება ასეთ ქვეყანასთან ურთიერთობების გამწვავებაზე წავიდეს? ამის ახსნა შეიძლება ან უვიცობით, ან მოღალატეობით, ანუ სხვა ქვეყნის ინტერესების გატარებით.

— ჩვენ ლოგიკურად მივედით საკითხამდე, თუ რატომ ვერ პოულობენ წლების მანძილზე საერთო ენას საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტები...

— დავიწყოთ იქიდან, თუ **რატომ ვერ მოხერხდა შევარდნაძესა და პუტინს შორის თანამშრომლობა.** ამის ორი მიზეზი არსებობს. **პირველი მიზეზია** — პუტინის მოსვლით ელცინის რუსეთი დამთავრდა, ანუ რუსეთის ხელისუფლებაზე ამერიკის ზეგავლენა მინიმუმამდე დავიდა, რაც დღეს უფრო ეკონომიკურ ხასიათს ატარებს, ვიდრე პოლიტიკურს. პუტინმა ამას მიაღწია — ხელისუფლებაში მოვიდა ეროვნული აზროვნების ლიდერი და მას საერთო არაფერი შეიძლება ჰქონოდა ამერიკელების მიერ ანგაჟირებულ შევარდნაძის ხელისუფლებასთან.

მეორე მიზეზია — შევარდნაძე უღმერთოდ ატყუებდა პუტინს. მას რამდენიმეჯერ უთქვამს — ნუთუ არ რცხვენია მოხუც კაცს, რომელიც ასე იტყუებაო. ვიცი, რომ პუტინი ტყუილს პიროვნულად ვერ იტანს. სულ სხვა ურთიერთობა ჰქონდა მას ჰეიდარ ალიევთან, რომელიც სიტყვას არ ტეხდა. რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის თანამშრომლები მეუბნებოდნენ, რომ პუტინის ეს პირადი სიმპათია ალიევისადმი მათ მუშაობაში ხელს უშლიდა კიდეც, ვინაიდან პუტინი ბევრ დათმობაზე მიდიოდა. სხვათა შორის, ალიევს მოსკოვში ძეგლიც კი დაუდგეს.

იმედი მქონდა, რომ მიშა, რომელიც ინფორმირებული იყო ამ ნიუანსების შესახებ, პუტინთან ურთიერთობაში სხვა გზას აირჩევდა... ყოველ შემთხვევაში, მე მას ეს ვურჩიე.

მაგრამ **საქართველოზე ამერიკის დიქტატი იმდენად ძლიერია, სააკაშვილს რომც უნდოდეს, ძალიან გაუჭირდება ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე საგარეო პოლიტიკის განხორციელება. ეს უკვე ქვეყნის უბედურებაა.**

— რას ფიქრობთ დღევანდელ ოპოზიციაზე, რამდენად პერსპექტიული და ჯანსაღია ის ეროვნულობის თვალსაზრისით?

— ვერ ვხედავ სხვაობას ქართულ ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის.

განსხვავებული შეიძლება იდეა იყოს, შეიძლება იყოს ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების სტრატეგია, შეიძლება იყოს საქართველოს როლი, ადგილი და ფუნქცია მსოფლიოში. ამ საკითხებში აზრთა სხვადასხვაობა ჩემთვის გასაგებია, მაგრამ, როდესაც სხვაობა მხოლოდ მინისტრთა კანდიდატურებშია, ანდა კორუფციასთან ბრძოლა, ენერგეტიკაში ტარიფის შეცვლა და სხვა მსგავს წვრილმან საკითხებზე კამათი ხელისუფლებასთან, ჩემთვის გაუგებარია. ეს არ არის ოპოზიციონერობის ნიშანი. სამწუხაროდ, მსჯელობა არა აქვთ გლობალურ საკითხებზე — საქართველოს სამხედრო-პოლიტიკურ როლზე, მის ადგილზე საერთაშორისო პოლიტიკაში, რაშიც მათი პოზიციები ერთნაირია. ასევე ემთხვევა მათი აზრი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. არ გამიგონია, არ წამიკითხავს ოპოზიციონერ ლიდერთა შეხედულება, სტრატეგიული ხედვა ამ საკითხში. ასევე არ წამიკითხავს მათ მიერ დაწერილი სტატიები, რომლებშიც უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე იმსჯელებდნენ. არის მხოლოდ ინტერვიუები ყოველდღიურ თემებზე, მაგრამ კონცეპტუალური ნაშრომი, საიდანაც მე სამშობლოზე მზრუნველ პოლიტიკოსს დავინახავ, სამწუხაროდ, ვერ ვნახე.

ასევე არ შეიძლება მისაღები იყოს პრაქტიკა, როდესაც ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული სამივე პრეზიდენტი 90 პროცენტით იყვნენ არჩეულნი. ამბობენ, ეს ქვეყნის ჩამორჩენილობის ნიშანიაო. მე ასე არ მიმაჩნია. შევთავაზეთ კი ხალხს ალტერნატიული იდეა, რომელიც მისაღები იქნებოდა?

2000 წელს პრესაში გამოვაქვეყნე საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების სტრატეგია. საზოგადოებას მისი განხილვა ვთხოვე, რომ შეგვექმნა ერთიანი ეროვნული დოკუმენტი, რაც ასე მნიშვნელოვანია ყოფნა-არყოფნის პირას მისული საქართველოსთვის. **ჩვენს ერს ხომ არანაირი ეროვნული დოკუმენტი**

არ გააჩნია. ეს კონსტიტუცია ხომ უცხოა, გადმოწერილია, გადათარგმნილია. უნდა არსებობდეს ეროვნული დოკუმენტი, რომელშიც აღწერილი იქნება ქართველი ერის მიზნები, ამოცანები, საგარეო და საშინაო პრიორიტეტები, ქვეყნის განვითარების სტრატეგიული გზა. ეს დოკუმენტი ყველა ქართველამდე უნდა დავიყვანოთ, ყველამ უნდა იმსჯელოს მასზე. მსგავსი კონცეპტუალური აზროვნების პირობებში კი ნახავდით, როგორ შემცირდებოდა პოლიტიკური პარტიების რიცხვი.

სამწუხაროდ, ამ პროექტის განხილვაში მონაწილეობა მიიღო საზოგადოების იმ მცირე ნაწილმა, რომლისთვისაც ისედაც ცნობილია ჩემი შეხედულებები, მაგრამ საზოგადოებრივი მსჯელობის საგანი პროექტი მაინც ვერ გახდა, ვინაიდან საზოგადოება გახლეჩილია და პასიურია, რასაც მასმედიაც ხელს უწყობს.

სააკაშვილი ისე მოვიდა ხელისუფლებაში, რომ კონკრეტული პროგრამა არ წარმოუდგენია, რომელშიც საზოგადოების მოთხოვნებიც იქნებოდა გათვალისწინებული. მან მხოლოდ იყვირა — საქართველო შევარდნაძის გარეშეო და შეასრულა კიდეც, რისთვისაც მადლობას მართლა იმსახურებს. მაგრამ ჩვენ მხოლოდ შევარდნაძის მოშორებისთვის ავირჩიეთ სააკაშვილი? თუ ასეა, მაშინ ძალიან დაბალ დონეზე ვყოფილვართ პოლიტიკური კულტურის თვალსაზრისით. საზოგადოებას თავისი მოთხოვნები არ ჩამოუყალიბებია და ახლა რას ითხოვთ?

ვფიქრობ, **ქართული საზოგადოების ჩამოყალიბება, მასში ეროვნული იდეის, ღირებულებებისა და ორიენტირების გავრცელება უნდა გახდეს ჩვენი საქმიანობა, ამაში აქტიური მონაწილეობის მიღებას ვგეგმავ.**

გაზეთი „აია“,
2006 წ., ივლისი

2006 წ., ოქტომბერი

«ჩვენი იარაღი ნეიტრალიტეტია»

— ბატონო ალექსანდრე, წლების წინ თქვენ ჩამოაყალიბეთ და ფართო საზოგადოებას წარუდგინეთ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის პერსპექტიული მოდელი. თქვენ პრინციპული პოზიცია გიკავიათ ამ საკითხთან დაკავშირებით. ამის გამო პრორუსული ორიენტაციის პოლიტიკოსის რეპუტაციაც კი შეგექმნათ, რაც თქვენს პოლიტიკურ იმიჯს ხშირად ხელსაც უშლიდა. რჩებით თუ არა იმავე აზრზე და რას იტყვით ახალს?

— რასაკვირველია, ვრჩები, ვინაიდან ვიყავი და ვარ საქართველოს პატრიოტი. რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზება კი ყველაზე პროქართულ პოლიტიკად მიმაჩნია. არასოდეს მიზრუნია ჩემს პოლიტიკურ იმიჯზე და ნაკლებად ვუწევდი ანგარიშს კონიუნქტურას. ყოველთვის სიმართლეს ვამბობდი, მაშინაც კი, როდესაც ეს სიმართლე არაპოპულარული იყო. სამწუხაროდ, ზოგჯერ საზოგადოება მწარე სიმართლეს ტკბილ სიცრუეს ამჯობინებს...

დავიღალე იმის გამეორებით, რომ რუსეთი ის სახელმწიფოა, რომლის კეთილ ნებაზე დიდად არის დამოკიდებული ჩვენი სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, მის ბაზარზე გასვლის შესაძლებლობები კი პირდაპირ განსაზღვრავს საქართველოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას. სწორედ რუსეთში ცხოვრობს მილიონზე მეტი ჩვენი თანამემამულე, რომელთათვისაც საქართველოში ადგილი არ აღმოჩნდა. ისინი არა მარტო საკუთარ თავს, არამედ სამშობლოში დარჩენილ ნათესავებსა და მეგობრებს ინახავენ და რუსეთიდან გამოგზავნილი ნაღდი ვალუტა საქართველოში ფულადი ბრუნვის უმეტეს ნაწილს უზრუნველყოფს.

მითხარით, ნორმალურ ადამიანს, პატრიოტს, რატომ უნდა უნდოდეს ასეთ მეზობელ სახელმწიფოსთან ურთიერთობის გამწვავება? გარდა ამისა, რუსეთთან, პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა ქვეყნებთან ჩვენ დაკავშირებული ვართ საერთო ისტორიული ბედით, სარწმუნოებით, ათასი კულტურული, სამეცნიერო, პირადი კავშირით, რაც საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა. ვინც რა უნდა თქვას, ჩვენ, ქართველები, სწორედ ამ ქვეყნებში არა ვართ უცხონი. თუ სადმე უკვე აღარა ვართ მეგობრები, ყოველ შემთხვევაში, კარგ ნაცნობებად მაინც ვრჩებით. ხოლო ყველა დანარჩენი მსოფლიოსთვის ჩვენ უცხონი ვართ. მრავალი ქვეყანა მოვიარე და ეს კარგად ვიცი. **როდესაც ჩვენი პოლიტიკოსები აცხადებენ, რომ მთელი მსოფლიო ჩვენ შემოგვყურებს, დაინტერესებულია ჩვენი ბედით და დღედაღამ ჩვენს მომავალზე ზრუნავს, ეს სიცრუეა. მსოფლიოში საქართველოს შესახებ ან საერთოდ საქმის კურსში არ არიან, ანდა იცნობენ, როგორც ეთნოკონფლიქტების ერთ-ერთ კერას...**

დასავლური საზოგადოების დაინტერესებული ნაწილისთვის ჩვენ ცნობილი გავხდით აფხაზეთის ომის შემდეგ და სწორედ ამასთანაა დაკავშირებული ჩვენი საერთაშორისო იმიჯი. ეს კარგად უნდა გვახსოვდეს და ცრუ იმედები, თითქოს დასავლეთი გულში ჩაგვიხუტებს, არ უნდა ვიქონიოთ.

სად მიდის ქართველი ფულის საშოვნელად, საკუთარი ბიზნესის ასაწყობად? — რუსეთში. სად მიჰყავს მას სამკურნალოდ მძიმე ავადმყოფი ნათესავი? — ისევ რუსეთში. სად არის პოპულარული ქართული კინო, თეატრი, ქართველი მომღერლები, სად მოსწონთ ქართული სამზარეულო, ჩვენებური ღვინო? — რუსეთში, დსთ-ის ქვეყნებში... სხვაგან მათ არც იცნობენ და გაცნობის სურვილსაც მაინცდამაინც არსად ამჟღავნებენ. ახლა მე

თქვენ გეკითხებით: რისთვის არის საჭირო ამ ყველაფრის დაკარგვა და უზარმაზარი, უმდიდრესი ქვეყნის მტრად მოკიდება? ნუთუ ეს საქართველოს ინტერესებშია?

თხუთმეტი წლის განმავლობაში ჩვენი პოლიტიკოსები გვიმტკიცებენ, რომ რუსეთს მალე ბოლო მოეღება, იგი დაიშლება, ქაოსში ჩაიძირება და ა.შ. ამ ადამიანებს ჰგონიათ, რომ რუსეთის დაშლა საქართველოსთვის სიკეთის მომტანი იქნება. ვინმეს თუ წარმოუდგენია, რას ნიშნავს საქართველოსთვის რუსეთის მიერ არაკონტროლირებადი ჩრდილოეთ კავკასია?! პარლამენტართა წრეებში ცოდნა-განათლება იშვიათი მოვლენაა, მაგრამ გონიერ ხალხს ხომ ახსოვს თავისი ისტორია?

XIX საუკუნის დასაწყისში, როდესაც ქართულ სამეფო-სამთავროთა რუსეთთან შეერთების პროცესი დაიწყო, აღმოსავლეთ საქართველოში 200 ათასამდე ადამიანი ცხოვრობდა, ხოლო დასავლეთ საქართველოში — დაახლოებით 500 ათასი, ანუ ერთად — 700 ათასი კაცი... აქედან რამდენი იყო ეთნიკური ქართველი? ვთქვათ, ნახევარი მილიონი... ხომ უნდა გვახსოვდეს ეს ყოველივე?

თანამედროვე რუსეთის ისტორიაში იყო დეგრადაციისა და დაშლის ათწლიანი პერიოდი, როდესაც ხელისუფლების სათავეში იმყოფებოდა ანტიეროვნული, ანტისახელმწიფოებრივი, კორუმპირებული კოსმოპოლიტების ჯგუფი, რომელიც სრულიად კონტროლირდებოდა ამერიკული პოლიტიკური და საერთაშორისო ფინანსური წრეების მიერ. ამ ჯგუფმა უდიდესი ზარალი მიაყენა როგორც რუსულ-ქართულ ურთიერთობებს, ასევე რუსეთის ურთიერთობებს სხვა მეზობელ ქვეყნებთან, მაგრამ გაცილებით უფრო დიდი ზარალი ამ ჯგუფმა თვით რუსეთს და რუს ხალხს მიაყენა! რუსეთის ისტორიის ეს სამარცხვინო პერიოდი დამთავრდა, თუმცა მრავალი რეციდივი ჯერ კიდევ არსებობს. მიუხედავად ამისა, გადაწყვეტილია

რუსეთის ისტორიისთვის დამახასიათებელი მთავარი პრობლემა — ლიდერის პრობლემა.

დღეს ქვეყნის სათავეში ეროვნულად ორიენტირებული, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, ძლიერი ლიდერი დგას. მან მოკლე ვადაში შეძლო ამოუწურავი საშინაო რესურსების მობილიზება და სახელმწიფოს ფეხზე დაყენება. მას ძალიან უჭირს, ბევრი მტერიც ჰყავს როგორც მსოფლიოში, ასევე ქვეყნის შიგნითაც, ღირსეული კადრების დიდ დანაკლისს განიცდის, მაგრამ ჯიუტად და განუხრელად აკეთებს თავის საქმეს. სწორედ ამაზე ვესაუბრებოდი მე თავის დროზე ქართულ საზოგადოებას: რუსეთში პოლიტიკური ნების დეფიციტია, მაგრამ გამოჩნდება ღირსეული ლიდერი და ქვეყანა ისევ აღორძინდება-მეთქი და ეს აღორძინებული ქვეყანა ჩვენში მტრულ სახელმწიფოს არ უნდა ხედავდეს...

არადა, საბჭოთა კავშირის არც ერთ ხალხს არ ჰქონია ისეთი მყარი პოზიციები რუსეთში, როგორც ქართველებს. ეს ყველა სფეროს შეეხება — პოლიტიკურს, საზოგადოებრივს, კულტურულს, რელიგიურს, სამეცნიეროს და ა.შ. და ჩვენ ვერაფერი გამოვიყენეთ საქართველოს სასიკეთოდ. თითქმის ყველაფერი დავკარგეთ! ყველაზე დიდი უბედურება ისაა, რომ ჩვენ ვერაფერი ვისწავლეთ გასული პერიოდის განმავლობაში, ისევ ძველ პოლიტიკურ კურსს ვაგრძელებდით და კვლავ ნაცად პროპაგანდისტულ რიტორიკას ვებღაუჭებოდით.

ნუთუ ეს შეიძლება ჩაითვალოს პროქართულ პოლიტიკად, ხოლო ჩემი პოზიცია პრორუსულად?

თუ საკუთარმა ისტორიამ ვერაფერი გვასწავლა, — მივმართოთ სხვა ქვეყნებისა და ერების გამოცდილებას. მაგალითად, ფინეთის, რომელიც ტერიტორიით, მოსახლეობითა და ბუნებრივი რესურსებით ძალიან ჰგავს საქართველოს და ისიც რუსეთის მეზობელია. 1918 წლამდე ფინეთი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა (მა-

ნამდე იგი შვედეთის ნაწილი იყო და საკუთარი სახელმწიფოებრიობა არც არასოდეს ჰქონია).

რევოლუციის შემდეგ ფინეთმა ლენინისგან დამოუკიდებლობა მიიღო და ეროვნული სახელმწიფო ჩამოაყალიბა. 30-იან წლებში ამ ქვეყანას ძალზე დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა საბჭოთა კავშირთან, 1939 წელს ომობდა კიდეც მასთან და ტერიტორიის ნაწილიც დაკარგა... მეორე მსოფლიო ომის დროს მწარე გამოცდილების მქონე ფინელები მეტ-ნაკლები თავშეკავებულობით იქცეოდნენ, 1944 წელს კი ჰიტლერული კოალიციიდან გამოვიდნენ და ისინი სტალინს არ დაუსჯია.

ნატოს, ხოლო შემდეგ კი ვარშავის ბლოკის შექმნისას, დასავლეთის და საბჭოთა კავშირის ურთიერთდაპირისპირების გაძლიერების პირობებში, ფინეთმა უარი თქვა ნატოში გაწევრიანებაზე და ნეიტრალიტეტი გამოაცხადა. ქვეყანა მონაწილეობას ღებულობდა დასავლურ ეკონომიკურ პროექტებში, მიღებული ჰქონდა იქაური ინვესტიციები, მაგრამ პარალელურად ატარებდა ხაზგასმით მეგობრულ პოლიტიკას საბჭოთა კავშირთან. სანაცვლოდ კი უკიდეგანო საბჭოთა ბაზარზე პირდაპირი გასასვლელი მიიღო.

საქმე ის არის, რომ ფინური პროდუქცია ევროპულ სტანდარტებში ვერ თავსდებოდა და დასავლეთს ის არ სჭირდებოდა, სამაგიეროდ სსრ კავშირი მისგან ყველაფერს ყიდულობდა და თანაც განუსაზღვრელი რაოდენობით... ამის შედეგად რამდენიმე წელიწადში ფინეთი მდიდარ და სწრაფგანვითარებად სახელმწიფოდ გადაიქცა! ნუთუ ეს არ არის მაგალითი საქართველოსთვის?

მე ძალიან ვშიშობ, რომ საქართველო ვერ მოასწრებს რუსეთის ისტორიაში პუტინის პრეზიდენტობის პერიოდით სარგებლობას. ვგულისხმობ, როგორც მის პირად, ძალზე პოზიტიურ დამოკიდებულებას საქართველოს და საერთოდ, ქართველების მიმართ, ასევე რუსეთის პოლიტიკოსთა ამჟამინდელი თაობის მენტალობას, რომლის-

თვისაც ჩვენ ნამდვილად არ ვართ უცხონი. **რუსეთის როგორც პოლიტიკური, ასევე კულტურული და სამეცნიერო ელიტის შემდეგი თაობის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ, ალბათ, ისეთივე იქნება, როგორიც ზიმბაბვესა და ტაჯიკეთთან...**

ამ პოლიტიკოსებისგან უკვე ველარ მოისმენთ ისეთ სიტყვებს, რაც ამას წინათ პუტინმა თქვა: „ქართველები ჩვენთვის ყველაზე ახლობელი ხალხია“ — ხოლო რუსეთის სამხედრო-ეკონომიკური გაძლიერება ისევ მიგვიყვანს ევრაზიაში გავლენის სფეროების ხელახალ გადანაწილებამდე. რუსეთი და დასავლეთი ისევ მოილაპარაკებენ ერთმანეთში და დასავლეთი წავა სამხრეთ კავკასიიდან, ამერიკელებიც წავლენ, ისევე, როგორც 1921 წელს ინგლისელები და გერმანელები წავიდნენ.

ჩვენ კვლავ დავრჩებით რუსეთთან პირისპირ და ეს უკვე აღარ იქნება მეგობრული რუსეთი. იმ რუსეთის სათავეში ის თაობა იქნება, ვისთვისაც ჩვენ უცხო ვიქნებით... როგორი საერთაშორისო პროექტის მატარებელი იქნება ის რუსეთი? ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ეს იყოს ჩუბაისისეული „ლიბერალური იმპერიის“ პროექტი, ანუ ამერიკული ტიპის იმპერიის მოდელი, რომელსაც შეერთებული შტატები 50-იან წლებში ამკვიდრებდა ლათინური ამერიკის ქვეყნებში. მაშინ ჩვენ მივხვდებოდით, თუ რას ნიშნავს, იყო კოლონია და მეორეხარისხოვანი ერი...

ამიტომ დღეს ჩვენ სერიოზულად უნდა დავფიქრდეთ ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენაზე: 600-700 წლის განმავლობაში საქართველოს ახლა პირველად ეძლევა შესაძლებლობა, გახდეს ნეიტრალური ქვეყანა. ესაა უნიკალური ისტორიული შანსი, რომლის მეშვეობითაც ჩვენ შეგვიძლია უცხო სამხედრო ძალებისგან თავისუფალი ქვეყანა გავხდეთ და ბრძნული, შორსმჭვრეტელური პოლიტიკის გატარების შემთხვევაში აღვადგინოთ ტერიტორიული მთლიანობა.

დიახ, ჩვენ ნამდვილად შეგვიძლია გავძლიერდეთ ეკონომიკურად, ქართველი ერის უსაფრთხო მომავალიც უზრუნველვყოთ! ნაცვლად ამისა, რატომღაც ჯიუტად ნატოს ხახაში თავის შესაყოფად მივიჩქარით და რუსეთის სახით მტრის შეძენას ვესწრაფვით.

— თქვენი მოსაზრება საკმაოდ დამაჯერებლად ჟღერს, მაგრამ აღმოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც კვლავ სტერეოტიპული აზროვნების ტყვეობაში იმყოფებიან და ამიტომ შესაძლებელია, მათ რუსეთის აგენტობაც დაგწამონ. ფიქრობთ თუ არა ამაზე?

— უნდა გითხრათ, რომ აგენტები სწორედ საპირისპიროს ლაპარაკობენ. მე თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ის პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები, რომლებსაც ყოველდღე ტელევიზიით ვუყურებთ და რომლებიც დღენიადაგ თავგამოდებით ლანძღავენ რუსეთს და მის პრეზიდენტს, ჩვენი ქვეყნის შეუგნებელი მტრები კი არა, სწორედ რუსეთის სპეცსამსახურების აგენტები არიან. სხვაგვარად ამ უგუნურობის ახსნა შეუძლებელია. რა უნდა გააკეთოს რუსეთის აგენტმა იმისათვის, რომ თავისი „პატრიოტიზმი“ დაუმტკიცოს საზოგადოებას? რა თქმა უნდა, ლანძღოს რუსეთი! აღსანიშნავია ის, რომ ერთი თვის წინ რუსეთთან ორი ძირითადი პრობლემა გვქონდა მოსაგვარებელი — ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და რუსეთის ბაზრის გახსნა. დღეს კი, ამ აგენტურის ძალისხმევით, მოსაგვარებელ საკითხთა სია ათჯერ გაიზარდა და ეს ორი ძირითადი პრობლემა უკანა პლანზე გადაიწია, ანუ რუსეთი ამჟამად გაცილებით უფრო მომგებიან მდგომარეობაში იმყოფება.

ჩემს საჯარო გამოსვლებში მე გამოვდივარ მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს ინტერესებიდან და არ მაინტერესებს, შეესაბამება ეს რუსეთის პოლიტიკურ კურსს თუ არა. თუ გახსოვთ, 1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში რუსეთის მთელმა ხელმძღვანელობამ — ელცინმა, ჩერნო-

მირდინმა, გრაჩოვმა, კოზირევმა — სპეციალურად მიმართეს ქართველ ხალხს მოწოდებით, რომ პრეზიდენტად აგვერჩია არა სხვა ვინმე, არამედ ედუარდ შევარდნაძე... მაშინვე შესაბამისი მიმართულებით ამუშავდნენ რუსეთის სპეცსამსახურებიც და ჩვენ მოწმენი გავხდით იმისა, რომ საქართველოს მთელი პოლიტიკური სპექტრი, მათ შორის ვითომ ოპოზიციურიც, პირდაპირ თუ ირიბად შევარდნაძის მხარეს დადგა. მათ საპირისპიროდ, მე და ჩემი მეგობრების მცირერიცხოვანმა ჯგუფმა ჯუმბერ პატიაშვილის კანდიდატურა წამოვაყენეთ და რეალურად ის არჩევნები მოვიგეთ კიდეც. თუმცა „მსოფლიო თანამეგობრობამ“ და, პირველ რიგში, რუსეთის ხელმძღვანელობამ, იმ გაყალბებული არჩევნების შედეგები უპრობლემოდ სცნო. მე მგონი, ეს კარგი მაჩვენებელია იმისა, თუ ვინ არიან სინამდვილეში რუსეთის აგენტები საქართველოში. აღარაფერს ვამბობ აშშ-ის სპეცსამსახურების აგენტებზე, რომელთა რიცხვი საქართველოში განუზომელია.

თუ თქვენ თვალს ადევნებთ რუსეთის სერიოზულ პრესას, გეცოდინებათ ჩემი წერილები, რომლებშიც მკაცრად ვაკრიტიკებ რუსეთის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკური კურსის ცალკეულ მიმართულებებს, რომლებიც მავნებლად და მიუღებლად მიმაჩნია როგორც რუსეთისა და საქართველოსთვის, ასევე მთელი ევრაზიული სივრცისთვის.

მოგეხსენებათ, ყველა ის სიბინძურე, გარყვნილება, რომელიც დღეს ასე ხრწნის ქართულ საზოგადოებას და რომელიც ჩვენი ერის ჯანსაღი ნაწილის გულწრფელ აღშფოთებას იწვევს (ვგულისხმობ იმ ე. წ. დასავლური ღირებულებების ნიღბით თავსმოხვეულ უზნეობას, რომელიც ნიაღვარივით მოედინება ტელეარხებიდან და ჩვენი ახალგაზრდების დეგრადირებას უწყობს ხელს), საქართველოში სწორედ რუსეთიდანაა შემოსული. **ჯერ რუსეთის პო-**

ლიტიკურმა და კულტურულმა წრეებმა დანერგეს ამერიკის მიბაძვის სამარცხვინო პრაქტიკა, შემდეგ კი ეს ჩვენმა პროვინციელებმა გადმოიღეს რუსეთიდან. ჯერ რუსეთის გამყიდველმა ინტელიგენციამ უღალატა საკუთარ ხალხსა და ქვეყანას, შემდეგ კი საქართველოშიც მიბაძეს მას. ჯერ რუსეთში დაიწყეს საკუთარი ისტორიის ლანძღვა-გინება, საკუთარი ერის დამცირება, შეურაცხყოფა და ნაციონალურ ღირებულებათა დაკნინება, შემდეგ კი იგივე პრაქტიკა გავრცელდა საქართველოშიც.

თუმცა მე რუსეთის პოლიტიკის კრიტიკას ვამჯობინებ რუსულ პრესაში და არ ვემსგავსები იმ ქართველ მოღვაწეებს, რომლებიც ქართულ პრესაში ქართულ ენაზე დაბეჭდილი ღია წერილებით მიმართავენ რუსეთის ხელისუფლებას, რაც მხოლოდ ადგილობრივი უფროსების წინაშე თავის მოწონებას ემსახურება.

— როგორი დასკვნები უნდა გამოვიტანოთ საქართველო-რუსეთის ახლანდელი მეტად დაძაბული ურთიერთობებიდან? და საერთოდ, სად არის აქ პოლიტიკური „ოქროს შუალედი“?

— ჩვენი ხელისუფლების საქციელი ერთ გონებამახვილურ ქართულ ანდაზას მაგონებს: „გოშია აქეს, აქეს და მგელს შეაჭამესო“... დღეს, ცხადია, რომ ქართულ საგარეო პოლიტიკაში ჩვენ საქმე გვაქვს შევარდნაძის კურსის ურყევ გაგრძელებასთან. სასაცილოა, როდესაც შევარდნაძე პრესის მეშვეობით სააკაშვილს „ბრძნულად“ ურჩევს პუტინთან შეხვედრას და საქმის მოგვარებას... საკითხავია, სად იყო მისი ეს სიბრძნე, როდესაც წლიდან წლამდე უარესდებოდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა მისი მმართველობის დროს? „ნაციონალური მოძრაობა“ ხელისუფლების სათავეში იმ პირობით მოიყვანეს, რომ ქვეყნის საგარეოპოლიტიკური კურსი უცვლელად დარჩებოდა.

თუ ატყობთ, ე. წ. ოპოზიციას, რომელიც სისტემატურად აშშ-ის ელჩის კართან დგას და მიღებას ელოდება, ხელი-

სუფლების საგარეო კურსთან არანაირი პრეტენზია არ გააჩნია. ისიც ყველასთვის გასაგებია, რომ რუსეთთან მტრული ურთიერთობა ჩვენი ქვეყნისთვის და, რაც მთავარია, ქართველი ერისთვის საზიანო და ყოველმხრივ წამგებიანია, მაგრამ, ალბათ, მომგებიანია იმ გარეშე ძალებისთვის, რომელთაც ხელს აძლევს ზემოხსენებული „მყეფარე გოშიას“ არსებობა...

არა ერთხელ მითქვამს, რომ **ყველაზე საშიში ჩვენთვის იქნება ვარიანტი, როდესაც აშშ და რუსეთი ერთმანეთში მოილაპარაკებენ საქართველოს გაყოფის თაობაზე.** მოგეხსენებათ, ნატოს არც აფხაზეთი, არც ცხინვალის რეგიონი არაფრად სჭირდება, ამიტომ საქართველოს გაყოფა მათთვის კარგი გამოსავალია. მე არ მჯერა, რომ ხელისუფლებაში მოკალათებული ქართული სულისკვეთების ნაკლებად მქონე ახალგაზრდები ტრაგიკულად აღიქვამენ აფხაზეთის დაკარგვას. ჩვენ ხომ აფხაზეთი ქართველი ერის გამრავლება-განვითარებისთვის გვჭირდება, მათ კი, როგორც ეს ბოლო მოვლენებიდან გამოჩნდა, რუსეთში მცხოვრები ასიათასობით ქართველის ბედიც არ ანაღვლებთ, ანუ არ აწუხებთ ერის ყოფნა-არყოფნის პრობლემა. **სამწუხაროდ, საქართველოში არ არსებობს საზოგადოებრივი სუბიექტი, რომელსაც შეიძლება საღი აზრით მიმართო და რომელსაც რეალურად ძალუძს ვითარების შეცვლა.**

ჩვენთან დღემდე ვერ ჩამოყალიბდა ქართული საზოგადოება, როგორც ცოცხალი ეროვნული ორგანიზმი, დღემდე არ არსებობს აღიარებული საზოგადოებრივი ინსტიტუტები, რომელთაც შეუძლიათ, გავლენა იქონიონ ხელისუფლების პოლიტიკაზე. არც ინტელიგენცია არსებობს, რომელსაც ჩამოყალიბებული აქვს ერთიანი ეროვნულად ორიენტირებული მსოფლმხედველობა. ასეთ შემთხვევაში უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრება ერთ პიროვნებას — ქვეყნის პრეზიდენტს.

საქმე ისაა, რომ ნებისმიერ ქვეყანაში, განსაკუთრებით კი ავტორიტარული მმართველობის მქონე სახელმწიფოში, მთელი ბიუროკრატიული სისტემა ქვეყანას კი არა, ქვეყნის პირველ პირს ემსახურება. ჩინოვნიკი იმას კი არ აკეთებს, რაც ქვეყნისთვისაა სასარგებლო, არამედ იმას, რასაც ზემდგომი მიიჩნევს საჭიროდ.

ამიტომ, კატასტროფის შემთხვევაში, მთელი ჩინოვნიკური აპარატი ყველაფერს პრეზიდენტს გადააბრალებს. მიხეილ სააკაშვილს ეს უნდა ესმოდეს. დღეს მხოლოდ მას ეკისრება ქვეყნის მომავალზე პასუხისმგებლობა. არავის გაახსენდება რომელიმე მოლაყბე პარლამენტარის თუ მინისტრის ვინაობაც კი, მაგრამ ყველას ემახსოვრება, რომ ესა თუ ის მოვლენა სწორედ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში იყო.

დღეს არავის ახსოვს შევარდნაძის დროინდელი პარლამენტის წევრები თუ მინისტრები (ვგულისხმობ იმათ, ვინც ახალ ხელისუფლებაში ვერ გადაბარგდა), მაგრამ ყველას ახსოვს, რომ შევარდნაძის დროს დაინგრა, დაიშალა და განადგურდა საქართველო.

პრეზიდენტმა და პოლიტიკურმა ელიტამ (თუკი ასეთი რამ საქართველოში ნამდვილად არსებობს) უნდა გააცნობიერონ რამდენიმე აქსიომა: 1) ნებისმიერი უცხო ქვეყნის რჩევა, მოწოდება თუ კარნახი განპირობებულია მხოლოდ და მხოლოდ ამ ქვეყნის ინტერესებით. სხვა ქვეყნის მიერ საჯაროდ დეკლარირებული ზრუნვა, გულისტკივილი და ქართველთა კეთილდღეობაზე წუხილი დემაგოგიური რიტორიკაა და მეტი არაფერი. ეს არის ნიღაბი, რომლის მიღმა მხოლოდ საკუთარი სამხედრო-პოლიტიკური თუ ეკონომიკური ინტერესები იმალება. ამერიკას საქართველო სჭირდება მხოლოდ როგორც ვაჭრობის საგანი რუსეთთან ურთიერთობებში. შეიქმნება სათანადო სიტუ-

აცია და საქართველო გაიცვლება უფრო მნიშვნელოვან საგანზე; 2) საქართველო ვერასოდეს გახდება ისეთი ძლიერი ქვეყანა, რომ ძალით დაუპირისპირდეს რუსეთს, თურქეთს ან ირანს და ვერასოდეს გამოინახება ისეთი მოკავშირე, რომელიც ჩვენი გულისთვის რომელიმე ქვეყანასთან სამხედრო დაპირისპირებაზე დათანხმდება. არავითარი „მსოფლიო თანამეგობრობა“ ჩვენ არ გვიშველის, ვინაიდან ასეთი ბუნებაში არ არსებობს; 3) ის გავრცელებული მოსაზრება, რომ თითქოს თანამედროვე მსოფლიოში ყველა ქვეყანა თანასწორუფლებიანია და ძალას არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭება, ტყუილია და ხალხის დასაბნევად არის მოგონილი. დღევანდელ მსოფლიოში, ისევე, როგორც ასი, სამასი თუ ხუთასი წლის წინ, ძალა და ინტერესები კვლავ რჩება მთავარ მამოძრავებელ ფაქტორად. ძველებურად მოქმედებს ერთადერთი პრინციპი: ძლიერი ყოველთვის მართალია, ხოლო უფრო ძლიერი კიდევ უფრო მართალი. „დემოკრატიის ბურჯად“ წოდებული შეერთებული შტატები, მიუხედავად თავისი დემოკრატიული დემაგოგობისა, როგორც კი სადმე გარკვეულ ინტერესს გაიჩენს, მაშინვე არამცთუ ეკონომიკურ ემბარგოებს მიმართავს ხოლმე ამა თუ იმ ქვეყნის წინააღმდეგ, არამედ უმოწყალოდ ბომბავს მათ, იქ ჯარიც შეჰყავს და ქვეყნების პირდაპირ ოკუპაციასაც არ ერიდება.

სენტენცია „დიდმა არ უნდა დაჩაგროს პატარა“, რომლის იმედიც აქვთ ჩვენს პოლიტიკოსებს, ბლეფია და ამის ნათელ მაგალითს აშშ-ის და კუბის ურთიერთობა წარმოადგენს. თურქეთმა კვიპროსის ნაწილის ანექსია მოახდინა, აღიარა იგი როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო და ყველა ამას შეეგუა, არადა, თურქეთიც და საბერძნეთიც ნატოს წევრები არიან. რაც შეეხება სახელმწიფოთა თანასწორობას, ამ სიცრუისა მხოლოდ ძალიან გულუბრყვილო ადამიანებს სჯერათ. თუ ვინმეს ჰგონია, რომ საქართველო და აშშ თანასწორუფლებიანია ან შეიძლება

ოდესმე ასეთი გახდეს — ეს თვით ამ „იდეალისტის“ პირადი დრამაა. იგივე შეიძლება ითქვას ჩვენსა და რუსეთს თუ თურქეთს შორის ურთიერთობაზე მარტივი მიზეზის გამო: ისინი დიდნი არიან და ძლიერნი, საქართველო კი — პატარა და სუსტი; 4) პატარა სახელმწიფოებს, მით უმეტეს, ისეთი სახიფათო მდებარეობის მქონეთ, როგორიც საქართველოა, საგარეო პოლიტიკურ არენაზე დიდი დიპლომატიური ნიჭი, უნარი, მოქნილობა და ძალისხმევა მართებთ. ეს კარგად ესმოდა ზოგიერთ ჩვენს მეფეს, მაგრამ, სამწუხაროდ, არ იცის დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკურმა ელიტამ. დიახ, ჩვენი იარაღი ნეიტრალიტეტია, ყველა სახის დიპლომატია, მნიშვნელოვან ქვეყნებში ავტორიტეტული, პროქართული ლობის შექმნა და ყველას მიმართ კეთილგანწყობის დემონსტრირებაა.

ამ აქსიომებით ხელმძღვანელობისას ჩვენ რეალურად შეგვიძლია ქართველი ერის, როგორც კულტურულ-ისტორიული ფენომენის, გადარჩენა და შემდგომ განვითარება.

დღეს კი, ბოლო წლების პოლიტიკის შედეგად, ჩვენ მტრულად განწყობილ რუსეთთან პირისპირ აღმოვჩნდით. ეს ნათლად უნდა გავაცნობიეროთ. ხომ ხედავთ, რომ სუამის ქვეყნებმაც კი მხარდაჭერაზე უარი გვითხრეს. **ამჟამად საჭიროა ყველა, ჯერ კიდევ არსებული რეზერვის ამოქმედება რუსეთთან ორმხრივი დიალოგის დაწყებისათვის და დაგროვილი უამრავი პრობლემის თანმიმდევრული მოგვარება. ამას სჭირდება პოლიტიკური ნება, მაღალი პროფესიონალიზმი და, სამწუხაროდ, საკმაოდ დიდი დრო. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ რუსეთის მიერ არანაირი შუამავალი ამ პროცესში დაშვებული არ იქნება; უფრო მეტიც: პრეზიდენტების შეხვედრაც მიმდინარე ეტაპზე შეუძლებელია. მის მომზადებას წინ საკმაოდ შრომატევადი პერიოდი უნდა უძღოდეს. დრო კი, სამწუხაროდ, ძალიან ცოტა გვაქვს.**

გაზეთი „ჯორჯიან თაიმსი“,
2006 წ., ოქტომბერი

2006 წ., ოქტომბერი

«რუსეთმა აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი რომ აღიაროს, მერე სად მივდივართ?»

— ბატონო ალექსანდრე, რას უპირებს რუსეთი საქართველოს?

— ვითარება ძალიან მძიმეა. რაც ხდება, ყველანი ვხედავთ... მიმდინარეობს ამერიკული ტიპის სანქციების გამოყენება საქართველოს წინააღმდეგ, რაც ეკონომიკურ ბლოკადას ნიშნავს. ჯერ კიდევ შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში ვშიშობდი, რომ რუსეთი ამას მოიმოქმედებდა და მოვუწოდებდი ხელისუფლებას, აქტიურ პოლიტიკაზე გადასულიყო. ამჟამად ვითარება გაცილებით მძიმეა. თუ ერთი თვის წინ რუსეთთან ორი ძირითადი პრობლემა გვქონდა მოსაგვარებელი — ტერიტორიების დაბრუნების პროცესში მისი დაინტერესებული მონაწილეობა და რუსეთის ბაზრის გახსნა — დღეს ურთიერთობა ელემენტარული სატრანსპორტო მიმოსვლის აღდგენით უნდა დავიწყოთ.

რუსეთის მიმართ შევარდნაძემ ისეთი პოლიტიკა აირჩია, რომ ჩვენი დიდი მეზობელი სეპარატისტების მხარდამჭერად აქცია. ერთხელ და სამუდამოდ უნდა შევიგნოთ, რომ რუსეთი არ დაუშვებს ერთიან საქართველოში ნატოს სამხედრო ბაზების განლაგებას, რადგან ეს თავად რუსეთს უქმნის დიდ საფრთხეს.

— სააკაშვილისა და პუტინის შეხვედრაზე რუსეთის ლიდერმა ნატოში შეუსვლელობის სანაცვლოდ ხომ არ

შესთავაზა სააკაშვილს აფხაზეთისა და ცხინვალის დაბრუნება, რაზეც უარი მიიღო? აკი, ეს ახლახან განაცხადა ვლადიმერ ჟირინოვსკიმ...

— მათი პირველი შეხვედრა ძალზე ოპტიმისტურად დასრულდა, ამის შემდეგ სააკაშვილს საჯაროდ არ განუცხადებია ნატოში შესვლის აუცილებლობის თაობაზე. პირობაც დადო, რომ მისი პოლიტიკა მეგობრული იქნებოდა და საქართველოდან რუსეთს არანაირი საფრთხე არ დაემუქრებოდა. რუსეთმა ეს განცხადება ნატოში შესვლაზე უარის თქმად მიიღო. მახსოვს, ამ შეხვედრის შედეგებმა მაშინ როგორ შეაშფოთა სეპარატისტული რეგიონების ხელმძღვანელები და მათი მხარდამჭერები რუსეთის პოლიტიკურ წრეებში. დარწმუნებული ვარ, რუსეთი იმ დროს მზად იყო, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში დახმარებოდა, მაგრამ აქ ამერიკის პოზიციამ გადამწყვეტი როლი ითამაშა, საქართველოს ხელისუფლებას თავიანთი პრეტენზიები წაუყენეს და სააკაშვილმა ამერიკის წინაშე უკან დაიხია, ნატოში შესვლა კვლავ პრიორიტეტული გახდა.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების აღდგენისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ორ ქვეყანას შორის ჩარჩო-ხელშეკრულების გაფორმებას, რომელშიც ჩაიწერება, რომ საქართველო თავის ტერიტორიაზე არ განალაგებს უცხო ქვეყნის სამხედრო ბაზებს.

— ამ შემთხვევაში საქართველოსაც ხომ სჭირდება გარანტია, რომ იგი არ გახდება რუსეთის მხრიდან მორიგი სამხედრო აგრესიის მსხვერპლი? რუსეთი ამ გარანტიას არ იძლევა, იქნებ ამიტომაც მიისწრაფვის საქართველო დასავლეთისკენ, რომ ნატოს სამხედრო ბლოკი ეგულება რუსეთისგან თავდაცვის საუკეთესო საშუალებად?

— ძალიან მეშინია, ასეთი განწყობით 1921 წლის დროინდელ ვითარებას არ დავუბრუნდეთ!

მაშინ ჩვენი „მუდმივი მოკავშირეები“ ინგლისი და გერმანია ისე წავიდნენ საქართველოდან, რომ თავიანთი ქართველი ცოლებიც აქ დატოვეს და პირისპირ შეგვატოვეს გაამებულ საბჭოთა რუსეთს, რომელსაც მაშინაც არ სურდა საქართველოში უცხო ქვეყნების სამხედრო ძალების განლაგება.

მოკლედ, ახლა ისეთი გზები უნდა გამოვნახოთ, რომ ახალი „1921 წელი“ არ დაგვატყდეს თავს!

— ეგებ ნატო გამოადგეს საქართველოს ე.წ. დამცავი ქოლგის როლში?

— ძალიან მაკვირვებს ქართველ საზოგადოებაში დამკვიდრებული ასეთი მცდარი წარმოდგენა... ვერაფრით გამიგია, რატომ სურს ქართულ პოლიტიკურ ელიტას გამოსვლა ერთი ქვეყნის გავლენის სფეროდან მხოლოდ იმიტომ, რომ მეორის გავლენის სფეროში შევიდეს?

— ნდობა აღარ არის რუსეთის მიმართ და, ალბათ, იმიტომ. მან ხომ 220 წლის მანძილზე არაერთხელ მოატყუა საქართველო?

— ფინეთიც რუსეთის იმპერიის ნაწილი იყო, მაგრამ ლენინისგან მიიღო დამოუკიდებლობა. 1939 წელს ომიც გადაიტანა საბჭოთა კავშირთან, მაგრამ, ამის მიუხედავად, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რუსეთის გულის გასახეთქად ნატოს ბლოკში არ გაერთიანებულა, პირიქით, რუსეთის მიმართ ხაზგასმით მეგობრულ პოლიტიკას ატარებდა. სანაცვლოდ ის მიიღო, რომ ფინეთის პროდუქციას, რომელიც ევროპაში არ იყიდებოდა, რუსეთმა თავისი დიდი ბაზარი დაუთმო. ასე გახდა ფინეთი თავისი ნეიტრალიტეტის სანაცვლოდ მდიდარი ქვეყანა. აქედან ჩვენ, ქართველებმაც, გარკვეული დასკვნები უნდა გავაკეთოთ. პირდაპირ გეტყვით: **თუ ასე გაგრძელდა, დავკარგავთ აფხაზეთს და ცხინვალის რეგიონს და თქმა იმისა, რომ მსოფლიო ამას არ აღიარებს, სისულელეა! ჩემთვის, როგორც ქართველისთვის, მთავა-**

რია — ეს ტერიტორიები ჩვენი იქნება თუ არა! მარტო რუსეთმა რომ აღიაროს აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი, ეს სავსებით საკმარისია საიმისოდ, რომ ჩვენ დავკარგოთ. შემდეგ გაა-ფორმებს სამხედრო-პოლიტიკურ ხელშეკრულე-ბას სოხუმისა და ცხინვალის ლიდერებთან და იქ ჯარს შეიყვანს. მერე სად მივდივართ?

კვიპროსის ნახევარი მხოლოდ თურქეთმა აღიარა, სხვამ — არავინ, გავიდა უკვე 35 წელი, გეკითხებით, რა დააკ-ლეს ამით თურქეთს? ვერაფერი. კვიპროსელი ბერძნები-სთვის კი ის, ფაქტობრივად, დაკარგულია. საქართველოს გულისთვის რუსეთს სანქციებს არავინ დაუწესებს და, მი-თ უმეტეს, ომს არ გამოუცხადებს.

მომბეზრდა იმ დემაგოგიის მოსმენა, რომ დასავლეთი ჩვენს დასაცავად რუსეთს დაუპირისპირდება... ამერიკას საქართველო მხოლოდ რუსეთთან ურთიერთობაში კოზი-რად სჭირდება, სხვა არაფრისთვის. ნათლად გამოჩნდა — როგორც კი ამერიკას რუსეთის მხარდაჭერა დასჭირდა ჩრდილოეთ კორეის საკითხში, მაშინვე „ქართულ კოზირ-ში“ გადაცვალა ის.

ჯერ კიდევ შევარდნაძის პრეზიდენტობისას ვაცხადებდი, რომ, თუ რუსეთის მიმართ პოლიტი-კას არ შევცვლიდით, იგი აფხაზეთში პასპორტი-ზაციას განახორციელებდა. მპასუხობდნენ, რომ საერთაშორისო საზოგადოება ამას არ დაუშვებს. დღეს ეს უკვე მომხდარი ფაქტია, გეკითხებით, რა მოიმოქმედა საერთაშორისო საზოგადოებამ? რუსეთს ვინმე დაუპირისპირდა?

აი, ასეთმა მატრაბაზობამ და ბრიყვული ილუზიების ტყვეობაში ყოფნამ დაღუპა საქართველო.

დღესაც თავს ვიტყუებთ, რომ ამერიკელები თუ ევროპელები შუამავლის როლს იკისრებენ და ჩვენს ინტერესებს დაიცავენ. არავითარ შუამავ-

ლობას რუსეთი არ დაუშვებს. მხოლოდ ორმხრივი დიალოგია შესაძლებელი, ისიც ჯერ არაფორმალური, არაოფიციალური სქემების ამოქმედებით, ვინაიდან პრეზიდენტების შეხვედრაც ამ ეტაპზე შეუძლებელია.

— პუტინის პირად განწყობაზე რას გვეტყვით?

— პუტინის გასათვალისწინებელი თვისებაა ის, რომ მას დიდხანს შეუძლია მოთმენა, მაგრამ შემდეგ, თუ ყოველივე ზღვარს გადასცილდა, მისი განაწყენება ძვირად დაუჯდება საქართველოს.

— რაში ხედავთ გამოსავალს?

არც ერთ ერს პოსტსაბჭოთა სივრცეში არ ჰქონია რუსეთთან თბილი ურთიერთობის დამყარების ისეთი პოტენციალი, როგორიც საქართველოს. არც ერთ ერს ამხელა გავლენა არ ჰქონია რუსეთის პოლიტიკურ, კულტურულ და სამეცნიერო ელიტაზე, როგორიც ქართველებს, და ეს ყველაფერი ჩვენი ბედოვლათობით „ქარს გავატანეთ!“ ამის აღდგენაა საჭირო. რუსეთის ამჟამინდელ პოლიტიკურ ელიტაში ჯერ კიდევ არის ხალხი, რომლისთვისაც უცხო არა ვართ და, თუ ამით დღეს არ ვისარგებლეთ, ხვალ რუსეთში მოვა სულ სხვა პოლიტიკური ელიტა, რომლისთვისაც საქართველო და ქართველები სრულიად უცხონი იქნებიან და ქართულ-რუსული ურთიერთობების აღდგენა უკვე შეუძლებელი იქნება!

გაზეთი „ასავალ-დასავალი“,
2006 წ., ოქტომბერი

2006 წ., ნოემბერი

«პიარისთვის შექმნილი ლიახვის ხეობის მთავრობა საქმეს ვერ უშველის...»

— ბატონო ალექსანდრე, ცხინვალში ჩატარებულ არჩევნებს როგორ შეაფასებთ, რა მოხდა შიდა ქართლში 12 ნოემბერს?

— მე გახლავართ რეალური პოლიტიკის და არა აბსურდის ან პიარის მომხრე. რაც ე.წ. სამხრეთ ოსეთში მოხდა, ასე რეალური პოლიტიკა არ „კეთდება“. გაუგებარია, ვის და რა ნიშნით უჭერდა მხარს საქართველოს ხელისუფლება. თუ ე.წ. პრეზიდენტობის რომელიმე კანდიდატს თბილისი ზურგს უმაგრებდა, ე.ი. ჩვენ ვაღიარებთ „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას“?.. ვიმეორებ, რეალური პოლიტიკა ასე არ „კეთდება“. მე აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი მჭირდება არა როგორც მსოფლიოს მიერ აღიარებული განუყოფელი ნაწილები საქართველოსი, არამედ რეალური და სისხლხორცეული, ისტორიული ნაწილები ჩემი ქვეყნისა. სამწუხაროდ, ვხედავ, რომ მსგავსი პიარით და აბსურდის თეატრით ეს ტერიტორიები რეალურად ვერ იქცევა საქართველოს განუყოფელ ნაწილებად.

პიარისთვის შექმნილი კოდორის ხეობის მთავრობა და ლიახვის ხეობის მთავრობა საქმეს არ შველის, ირონიულ ღიმილს კი იწვევს...

— ბატონო ალექსანდრე, შევარდნაძემ ჩვენს გაზეთს უსაყვედურა — ჩემზე ჭორებსა და არარსებულ ამბებს ავრცელებთო...

— შევარდნაძემ და მისმა ახალგაზრდა გარემოცვამ, რომელიც დღეს ხელისუფლებაშია, საერთაშორისო ძა-

ლების მხარდაჭერით შევარდნაძის გარშემო მთელი მითოლოგია შექმნეს. მითია ის, თითქოს შევარდნაძემ ავღანეთიდან ჯარები გამოიყვანა, გერმანია გააერთიანა, საბჭოთა კავშირი დაშალა და ა.შ. ეს ყველაფერი ბლეფია. არსებობს პოლიტბიუროს სხდომის ოქმი, საიდანაც ჩანს, რომ პოლიტბიუროს მხოლოდ ორი წევრი — საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი შევარდნაძე და უშიშროების მინისტრი კრუჩკოვი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ ავღანეთიდან ჯარების გამოყვანას. პოლიტბიუროს სხდომაზე გორბაჩოვი ამბობს: — „Для меня неприемлем ястребный клекот Шеварднадзе“!

შევარდნაძე რომ შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი არასოდეს ყოფილა, დღევანდელი საქართველოს მდგომარეობაა ამის დასტური. დღემდე მახსოვს ფოთის შესასვლელთან გამოკრული უზარმაზარი ბილბორდი, რომელსაც შევარდნაძის ხელმოწერა ამშვენებდა — „2000 წელს საქართველო იქნება ერთიანი, ეკონომიკურად ძლიერი, აყვავებული ქვეყანა!“ როგორც ვხედავთ, ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია. შევარდნაძე იბრალებს, თითქოს მან იწინასწარმეტყველა საბჭოთა კავშირის დაშლა. თუ გახსოვთ, ვიდრე საბჭოთა კავშირი დაიშლებოდა, 20 დღით ადრე შევარდნაძე დაბრუნდა საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე. ე.ი. კაცი აზრზე არ იყო, თუ რა პროცესები მიდიოდა და როდის დაიშლებოდა ეს ქვეყანა. მინდა გაგახსენოთ შევარდნაძის გამოსვლა რუსეთის ტელევიზიის პირველი არხით მოსკოვიდან ზვიადის პრეზიდენტობის დროს, როცა მან თქვა — „ის, რაც დღეს სამხრეთ ოსეთში ხდება, ეს არის ოსი ერის გენოციდი“! რატომღაც ეს სიტყვები დღეს არავის ახსოვს. არადა, დღეს, როცა ოსები საერთაშორისო საზოგადოებას მიმართავენ, — ქართველებმა გენოციდი მოგვიწყვესო, შევარდნაძის სიტყვებს იმოწმებენ, — ამას ისეთი დიდი დემოკრატი აღიარებდა, როგორიც შევარდნაძე გახლავთო!.. რაც შე-

ეხება გერმანიის გაერთიანებას, ამ პროცესში, რა თქმა უნდა, მთავარი როლი გორბაჩოვს ეკისრებოდა... ამერიკის მაშინდელი სახელმწიფო მდივანი შულცი თავის მოგონებებში წერს — გაოცებული ვიყავი გორბაჩოვისა და შევარდნაძის აბსოლუტური არაკომპეტენტურობით საგარეო პოლიტიკის საკითხებშიო!.. არ დაგავიწყდეთ, ეს შევარდნაძის „მეგობრის“ — შულცის სიტყვებია. კანცლერი კოლი მზად იყო, 100 მილიარდი მარკა გადაეხადა გერმანიის გაერთიანების სანაცვლოდ. კოლს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პარლამენტის თანხმობა ჰქონდა, რომ მოლაპარაკებების პროცესში, შესაძლოა, ეს თანხა 200 მილიარდამდე გაზრდილიყო. გორბაჩოვი და შევარდნაძე იმაზე დათანხმდნენ, რომ გერმანიიდან 10-მილიარდიანი შეღავათიანი კრედიტი აეღოთ... გაოგნებული გერმანელები თვალებსა და ყურებს აღარ უჯერებდნენ.

— მაგრამ იმასაც ამბობენ, თითქოს გერმანიის გაერთიანების სანაცვლოდ, გორბაჩოვმა და შევარდნაძემ ათეულობით მილიარდი ჩაიჯიბეს ქრთამად!..

— რა მოხდა და ვის რამდენი ერგო ე.წ. პრეზენტის სახით, ვერაფერს გეტყვით. საქართველომ შევარდნაძის მმართველობის წლებში განიცადა ისეთი ტრაგედია, რომელიც ჩვენს მრავალსაუკუნოვან ისტორიას არ ახსოვს. საქართველო თავისი არსებობის მანძილზე ძალიან მცირე ხნით თუ იყო ერთიანი ქვეყანა, ჩვენ ძირითადად სულ დაშლილი ვიყავით, მაგრამ ქართლიც, კახეთიც, იმერეთიც, სამეგრელოც, აფხაზეთიც... ყოველთვის ქართული სამეფო-სამთავროები იყო, ყველგან ქართული მოსახლეობა, ქართული ცნობიერება, ქართული ლიტერატურა, მართლმადიდებლობა ვითარდებოდა და ბატონობდა. ეს ქართული სახელმწიფოები იყო... შევარდნაძის დროს საქართველოში გაჩნდა კვაზისახელმწიფოები, რომლებშიც ქართული ეთნოსის მმართველობა მთლიანად წაშლილია, ქართულად არ ლაპარაკობენ, ქართველები სრულფასოვ-

ნად არ ცხოვრობენ, ქართული ცნობიერება ჩაკლულია და თითქმის განადგურებული. როგორც ჩვენს დღევანდელ პრეზიდენტს ყველაფრის მიმართ უყვარს თქმა, პირველად საქართველოს ისტორიაშიო, აი, მართლა პირველად საქართველოს ისტორიაში მოხდა ეს შევარდნაძის დროს.

რაც შეეხება შევარდნაძის მარიონეტობას, ამაზე ხომ უსასრულოდ შეიძლება საუბარი. მან ამერიკის მითითებით მსოფლიოში პირველმა მხარი დაუჭირა მართლმადიდებელი სერბების ბარბაროსულ დაბომბვას. ჩვენი ეკლესიაც, სხვათაშორის, დუმდა... მანვე ერაყში სამარცხვინო ომის დაწყებამდე განაცხადა, რომ ქართულ დაზვერვას უტყუარი ინფორმაცია აქვს ერაყში მასობრივი განადგურების იარაღის არსებობის შესახებ. სხვათა შორის, შარშან აშშ-ის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა პაუელმა ბოდიში მოუხადა მსოფლიო საზოგადოებას, რომ ამ იარაღის შესახებ მას ატყუებდა. შევარდნაძისგან ბოდიშს, რა თქმა უნდა, ვერ გავიგონებთ. პაუელი ხომ სინდისმა შეაწუხა. შევარდნაძე კი, იმის ნაცვლად, რომ ქვეყნის დაშლისა და ათასობით ადამიანის დაღუპვისთვის საკუთარ ხალხს ბოდიში მოუხადოს, მემუარებს წერს და ინტერვიუებს იძლევა!

გაზეთი „ასავალ-დასავალი“,
2006 წ., ნოემბერი

2007 წ., სექტემბერი

«როცა ქვეყნის ბიუჯეტი ეროვნული სიმდიდრისა და სტრატეგიული ობიექტების გაყიდვის ხარჯზე იზრდება, ასეთ ქვეყანას მომავალი არ აქვს»

— ბატონო ალექსანდრე, სულ მალე „ვარდების რევოლუციის“ გამარჯვებიდან ოთხი წელი შესრულდება... რევოლუციამ გაიმარჯვა, მაგრამ ქვეყანამ გაიმარჯვა?

— როგორც ყველა, მეც გაცილებით მეტს ველოდი რევოლუციისგან, თუმცა, ეს რევოლუცია კი არა, ჩვეულებრივი სახელმწიფო გადატრიალება იყო. ამასთან, მე არ ვიზიარებ ზოგიერთი ოპოზიციონერის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ქვეყანაში რეგრესის ტენდენცია დამკვიდრდა, რომ საქართველოში არაფერი კეთდება, რომ ყველაფერი ცუდია და ა.შ. **არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ქალაქები გალამაზდა, ქვეყანაში რაღაც ინფრასტრუქტურა უკეთესი გახდა, მშენებლობის ბუმია და ა. შ. მაგრამ ეს არ არის მთავარი. სამწუხაროდ, უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში საქართველოში ვერ შეიქმნა ეროვნული ეკონომიკა, წარმოება, პროდუქტი, რომელსაც სადმე გაიტანენ, კონკურენტუნარიანი იქნება და გაყიდი...**

— რატომ, მაგალითად, ამ სამიოდე დღის წინ ხომ გახსნა პრეზიდენტმა ახალი ქართულ-თურქული სამკერვალო ფაბრიკა აჭარაში?

— სამკერვალო ფაბრიკის გახსნა, რა თქმა უნდა, არ

არის ცუდი, მაგრამ იქ იყო ძალიან კარგი მინიშნება... კერძოდ, როდესაც პრეზიდენტმა თურქი ბიზნესმენები მოიწვია ტრიბუნასთან, თქვა — აი, სიტყვის სათქმელად მობრძანდნენ ჩვენი სტუმრები!.. სააკაშვილმა უცბად გამოასწორა „შეცდომა“, — სტუმრები კი არა, მასპინძლები — ჩვენი თურქი ბიზნესმენები მობრძანდნენო!.. აი, ამას აქვს პრინციპული მნიშვნელობა. როდესაც ბიუჯეტი იზრდება, ეს კარგია, მაგრამ რის ხარჯზე იზრდება? **როცა ქვეყნის ბიუჯეტი ეროვნული სიმდიდრისა და სტრატეგიული ობიექტების გაყიდვის ხარჯზე იზრდება, ასეთ ქვეყანას მომავალი არ აქვს.** როცა გასაყიდი არაფერი იქნება, მერე რა ვქნათ, მერე რით უნდა შეივსოს ქვეყნის ბიუჯეტი?

— ბატონო ალექსანდრე, მერე მართლა რა ვქნათ?

— მერე იქნება კატასტროფა, გავყიდით ტერიტორიებს, ვინაიდან სხვა არაფერი გვაქვს ღირებული. ქვეყანა ასეთ მდგომარეობაშია იმიტომ, რომ დაშლილი, დაქუცმაცებული და განადგურებულია ქართული საზოგადოება, არ არსებობს არც ერთი გავლენიანი სოციალური ინსტიტუტი, რომელიც ქვეყანაში მიმდინარე პროცესებსა და ხალხის აზრზე ზემოქმედებას მოახდენს. ასე თუ ისე, ხალხს ეკლესიის იმედი კიდევ აქვს და რეიტინგებსა და სოციოლოგიურ გამოკითხვებში ეკლესია ერთპიროვნულად ლიდერობს, მაგრამ არის კი საკმარისი ეკლესიის მოღვაწეობისა და გავლენის დონე იმისთვის, რომ ვთქვათ — ეკლესია გავლენიანი სოციალური ინსტიტუტიაო? მე მგონი, ეკლესიის აქტიურობა არ არის საკმარისი!..

— ბატონო ალექსანდრე, როგორ არ არსებობს, — მიხეილ სააკაშვილი სისტემატურად აცხადებს და, მგონი, ამ დღეებშიც კი გაიმეორა, რომ საქართველო უნდა იქცეს კავკასიის ჰონკონგად, ტაილანდად და სინგაპურად!

— ეს არის ზუსტად იმ იდეის გადამღერება, რომელიც თავის დროზე ედუარდ შევარდნაძემ მოახვია თავს საქარ-

თველოსა და ქართულ ინტელიგენციას! შევარდნაძემ მაშინ პირდაპირ განაცხადა, რომ საქართველოს საერთაშორისო ფუნქციად მას ესახებოდა დერეფნის ფუნქცია. მაქსიმუმ, რაც ამ დერეფანს კიდევ შეიძლება დაემატოს, გახლავთ საკურორტო ზონა...

როცა ინტელიგენციის წარმომადგენლები დღეს სააკაშვილს აკრიტიკებენ, თავიანთ თავს მოჰკითხონ ყველაფერი. ეს ხელისუფლება სხვას არაფერს აკეთებს, თუ არა იმას, რომ ახალგაზრდაა და უფრო ენერგიულად ასრულებს შევარდნაძის მიერ დაწყებულ ნგრევის პროცესს. შევარდნაძეს სულ ბოლო აკორდი დარჩა დასამთავრებელი, მაგრამ ყოყმანობდა... ამიტომ ის გაუშვეს და მოიყვანეს ახალგაზრდები.

მეტსაც გეტყვით, მე ამ ოპოზიციის მიმართ ძალიან კრიტიკულად ვარ განწყობილი... ე.წ. ოპოზიციისა და „სახელოვანი ინტელიგენციის“ უდიდესი ნაწილი, როცა შევარდნაძის სახით უდიდესი უბედურება დაემუქრა საქართველოს, მხარს უჭერდა შევარდნაძეს და ავტომატით იცავდა შევარდნაძეს... როცა ამ ხალხს სააკაშვილმა საკენკი გამოაცალა, ახლა გახდნენ ისინი ოპოზიციონერები და ახლა იღუპება, თურმე, ქვეყანა!.. ამ ხალხის ნდობა და ქვეყნის სათავეში გაკარება არ შეიძლება. ოპოზიციას ქართულ საზოგადოებაში არ შემოაქვს იდეა, ახალი მსოფლმხედველობა, მომავალი სახელმწიფოს მშენებლობის ახალი პრინციპები... 80-იანი წლების მიწურულს ზვიადის სიყვარულმა კი არ გააერთიანა ხალხი, არამედ გააერთიანა და ერთ მუშტად შეკრა ეროვნულმა იდეამ — თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეამ, მაგრამ ზვიადის შემდეგ საქართველოში არც ერთ ლიდერს არ ჰქონია ეროვნული იდეა!..

ზვიადის სიკვდილის შემდეგ საქართველოს სათავეში მოვიდა იდეებისგან დაცლილი, მედროვე, ავანტიურისტი ხალხი, რამაც ის შედეგი გამოიღო, რომ ქართული საზო-

გადოება ცალკეული ოპოზიციური კერპების მხარდამჭერ ნაწილებად დაიშალა, დაქუცმაცდა და მოკვდა.

— ამას წინათ ალექსეი მიტროფანოვის გამონათქვამი წავიკითხე... „კრემლის რუპორი“ წუხდა — ეს რა სისულელე მოგვივიდა, აფხაზეთიდან ქართველები რომ გავყარეთ, იქ დღეს მუსლიმანური სკოლები იხსნებაო!.. ხომ არ შეიმჩნევა დღეს კრემლში ანალოგიური სინანული იმის შესახებ, რომ მოსკოვმა გამსახურდია ტანკებითა და ზარბაზნებით დაამხო?

— დღეს რუსეთი კარგად ხედავს, რომ დამოუკიდებელი აფხაზეთის არსებობა, რომელიც ზღვაზე გასასვლელია ჩრდილოეთ კავკასიის აგრესიულად განწყობილი რესპუბლიკებისთვის, კრემლის ობიექტურ გეოპოლიტიკურ ინტერესებში არ შედის! ათასჯერ მითქვამს და ახლაც ვიმეორებ — საქართველოსა და რუსეთის ობიექტური გეოპოლიტიკური ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა! არც რუსეთს სჭირდება თავისუფალი ჩრდილოეთ კავკასია და არც — საქართველოს. მითუმეტეს, არ სჭირდება რუსეთს თავისუფალი აფხაზეთი. **მერწმუნეთ, თავისუფალი ჩრდილოეთ კავკასია საქართველოსთვისაც სიკეთის მომტანი არ იქნება!**

თუ ჩვენ ვიცით, რომ აფხაზეთის კონფლიქტი რუსეთის გარეშე ჩვენდა სასიკეთოდ არ გადაწყდება, თან ამ დროს შევდივართ ნატოში, ჩვენს ტერიტორიას ნატოს სამხედრო ბაზებს ვთავაზობთ და რუსეთს ვეუბნებით, აფხაზეთი დამიბრუნეთო, ამ წინადადებას რომელი იდიოტი დათანხმდება?

— ზვიად გამსახურდიას რომ დასცლოდა, როგორი იქნებოდა საქართველოს დამოკიდებულება ნატოს სამხედრო ალიანსისადმი და შევიდოდა თუ არა საქართველო ნატოში?

— მე იმ ხალხის გამკვირვებია, რომლებიც ზვიად გამსახურდიას იდეების ერთგულებად ასაღებენ თავს და ამა-

ვე დროს გაიძახიან — საქართველო ნატოში უნდა შევიდესო!.. **ზვიადი არის კლასიკური მაგალითი ქართველი ხელმწიფისა, რომელსაც ძალიან კარგად ესმოდა საქართველოს ინტერესები, რომელიც არავითარ შემთხვევაში არანაირ სამხედრო ბლოკში არ გააწევრიანებდა საქართველოს და ქვეყანას რომელიმე ძალის სამიზნედ არ აქცევდა!** ზვიადის პოზიცია, ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა იმ ბოლო ინტერვიუებში, რომლებიც მან ემიგრაციაში ყოფნის დროს გროზნოში მისცა. ზვიადი აგრძელებდა ილიას გზას — „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს!“

— და გამსახურდიას ფატალური აღსასრულიც იმან განაპირობა, რომ მან, ფაქტობრივად, უარი უთხრა ამერიკელებს მონობაზე?

— რა თქმა უნდა, ეს იყო მთავარი მიზეზი!.. **ზვიადს არავის ნავში არ უნდოდა ყოფნა, მას თავისუფალი საქართველო სურდა — თავისი წესით, ადათით, ტრადიციითა და ისტორიული განვითარების გზით, რომელიც ჩვენს ქვეყანას ნამდვილად აქვს!..**

— 2014 წელს სოჭში ოლიმპიადა უნდა ჩატარდეს. დარჩენილ შვიდ წელიწადში, ალბათ, ან საბოლოოდ დავკარგავთ აფხაზეთს, ან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღდგება, მეთანხმებით?

— სოჭის ოლიმპიადამ აფხაზეთის დაბრუნების საქმეში უარყოფითი როლი შეიძლება ითამაშოს, მაგრამ პროცესი, ალბათ, კიდევ უფრო დაჩქარდება, თუ ამერიკის შეერთებული შტატები კოსოვოს დამოუკიდებლობას აღიარებს. როგორც ჩანს, ეს მოხდება, რადგან საგარეო პოლიტიკაში პრეზიდენტმა ბუშმა რაღაც მცირე პოზიტივი მაინც უნდა დაანახოს თავის ხალხს.

ამ წელს თუ არა, გაისად, ალბათ, ამერიკა ცალ-

მხრივად მიიღებს გადაწყვეტილებას და ცნობს კოსოვოს დამოუკიდებლობას, რუსეთი აღმოჩნდება გამოუვალ სიტუაციაში, მას სხვა გზა არ დარჩება და იძულებული იქნება, აფხაზეთის დამოუკიდებლობა ცნოს... თუ პუტინი ამას არ გააკეთებს, ეს მისი მხრიდან დიდი გმირობა იქნება. ვიდრე ეს მომხდარა, საჭიროა, საქართველოში გაიშალოს ფართო დისკუსია ქვეყნის ნეიტრალიტეტის გამოცხადებისა და არც ერთ სამხედრო ბლოკში საქართველოს არშესვლის შესახებ.

— არადა, რა საცოდაობაა, ბატონო ალექსანდრე, კოსოვო სუფთა სერბიული მიწაა, კოსოვოს ველზე გადაიხადა სერბმა ერმა ყველაზე დიდი ომი თავის ისტორიაში... კოსოვო იგივეა სერბეთისთვის, რაც საქართველოსთვის — დიდგორი!..

— კოვოსო სერბეთისთვის ზუსტად იგივე მნიშვნელობისაა, რაც აფხაზეთი, სვეტიცხოველი და სამცხე-ჯავახეთი ჩვენთვის! კოსოვო არის სერბეთის კულტურისა და სახელმწიფოებრიობის აკვანი! ალბანელები, რომლებიც ტიტოს დროს დასახლდნენ კოსოვოს ველზე, ამერიკის მხარდაჭერით სისხლხორცეულ მიწას ართმევენ მართლმადიდებელ სერბებს. სეპარატიზმს ევროპაც უჭერს მხარს, მიუხედავად იმისა, რომ ეს ევროპისთვის არის უდიდესი ნაღმი და არ არსებობს დასავლეთ ევროპაში არც ერთი სახელმწიფო, რომელშიც სეპარატისტული მოძრაობა ქვეყანას არ ღრღნიდეს!.. ბელგიის გაყოფაზეა უკვე ლაპარაკი, გესმით, რა ხდება? ეს ამერიკის ინტერესებშია, ამერიკა ამით ასუსტებს და ადვილად სამართავს ხდის ევროპას!

— როცა შარშან სანკტ-პეტერბურგში პუტინი და საакაშვილი შეხვდნენ ერთმანეთს, ჟირინოვსკიმ თქვა — ხომ იყო შეთანხმება, რომ ნატოსთვის თავი უნდა დაგენებებინათ და აფხაზეთს ვაბრუნებდითო!.. ჟირინოვს-

317
საქართველო, რომელზეც ო

დენტი გახდეს, მაგრამ ყველა აღიარებს, რომ ამისათვის აუცილებელია ამერიკის ხელისუფლების, ამერიკის ელჩის მხარდაჭერა. ამიტომ დადიან ოპოზიციონერები წარამარა ამერიკის ელჩთან ჩივილებით და იცით, რას ამბობენ? — „სააკაშვილის საშინაო პოლიტიკა რეგიონში ამერიკის იმიჯს ლახავს და ამიტომ ჩვენ დაგვიჭირეთ მხარიო!“ აი, ეს არის უბედურების მიზეზი. ამიტომ, **ამ სიტუაციაში სააკაშვილის შეცვლას აზრი არა აქვს, რადგან სააკაშვილზე უკეთ ვერც ერთი ოპოზიციონერი ვერ მოახერხებს იმას, რასაც ის აკეთებს!** რამდენიმე დღის წინ პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელებული ერთ-ერთი ადამიანი ტელევიზიით გამოვიდა და თქვა — თუ სააკაშვილს შეუძლია პრეზიდენტი იყოს, რატომ არ შეიძლება, პრეზიდენტი მეც ვიყოო! კი მაგრამ, იმას, რის გაკეთებასაც შენ აპირებ, სააკაშვილი შენზე უკეთ აკეთებს და რატომ უნდა იყო პრეზიდენტად შენ? ბარემ იყოს სააკაშვილი!..

როდესაც ყველაფერი გაიყიდება, როდესაც საქართველო ქართველებისაგან დაიცლება და მართლმადიდებელი ადამიანისთვის აქ ადგილი აღარ იარსებებს, მაშინ ფიქრი გვიან იქნება...

ამიტომაც უნდა იფიქროს მთელმა ერმა ამ მოახლოებული კატასტროფის შესახებ. **როგორც ილია ცდილობდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებით გადაერჩინა საქართველო, ერის მოაზროვნე ნაწილი დღესაც უნდა გაერთიანდეს, ხალხში უნდა გავიდეს და მოსახლეობას აუხსნას — რა გვჭირს და რა გადაგვარჩენს!..**

გაზეთი „ასავალ-დასავალი“,
2007 წ., სექტემბერი

2008 წ., ივნისი

თურქეთის გენშტაბის საიდუმლო გეგმა საქართველოს წინააღმდეგ

— ბატონო ალექსანდრე, ძალიან ზოგადად გკითხავთ, რა ხდება რუსეთ-საქართველოს შორის?

— როდესაც მე რუს პოლიტიკოსებთან და პოლიტოლოგებთან აფხაზეთის საკითხზე პოლემიკა მიწევს, ყოველთვის ვცდილობ, დავარწმუნო ისინი, რომ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება სწორედ რუსეთის სტრატეგიულ ინტერესებში არ შედის და ხშირად მე მათგან თანხმობას ვაღწევ. რეალისტი და შორსმჭვრეტელი რუსი პოლიტიკოსებისთვის და, უპირველესად, ვლადიმერ პუტინისთვის გასაგებია, რომ ე.წ. დამოუკიდებელი აფხაზეთი მაგნიტის როლს შეასრულებს ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებისთვის, სადაც სეპარატიზმის საფრთხე დიდზე დიდია.

მე კარგად ვიცი, თუ რა ხდება და რა სიტუაციაა ჩრდილოეთ კავკასიაში და, სანამ თურქეთი და ისლამი იარსებებს, იქ სეპარატიზმს ვერავინ ამოძირკვავს. თქვენ კარგად გახსოვთ, როდესაც ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა კონფედერაცია შეიქმნა, კონფედერაციის დედაქალაქად დაასახელეს სოხუმი. ეს არის თურქეთის გენერალური შტაბის ძველი გეგმა, რომელიც უკვე რამდენიმე ათეულ წელს ითვლის და ამ გეგმის მიზანია ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების გაერთიანება აფხაზეთის ჩათვლით, რათა მათ ჰქონდეთ ზღვაზე გასასვლელი. აი, ასეთი გეგმა აქვს თურქეთის გენშტაბს, რომელმაც პირველად 1978 წელს იჩინა თავი და ამ საკითხს საბჭოთა კავშირის პოლიტბიუროც კი იხილავდა. ამ განხილვის შემდეგ საკავ-

შირო ცეკას მდივანი — კაპიტონოვი მიავლინეს სოხუმში, რომელმაც აფხაზების ცნობილი გამოსვლები ჩააწყნარა. მაშინ საბჭოთა კაგებეს შეფმა — ანდროპოვმა აუფრიალა პოლიტბიუროს თურქეთის გენშტაბის გეგმა აფხაზეთის საქართველოსთვის ჩამოშორების შესახებ და სწორედ ანდროპოვმა დაარწმუნა კრემლი, რომ აფხაზეთის საქართველოსთვის ჩამოცილება და რუსეთისთვის მიერთება იქნებოდა უხეში შეცდომა და თურქული გეგმის განხორციელებისთვის ხელის შეწყობა.

— რაკი თურქეთი ნატოს წევრია, შეიძლება აქედან გამომდინარე განვაცხადოთ, რომ საქართველოსთვის აფხაზეთის ჩამოშორების გეგმა ათეული წლების წინ ნატომ დაწერა?

— რა თქმა უნდა, 1978 წელს თურქეთი ნატოს წევრი იყო და მსგავსი გეგმების შესაქმნელად თურქეთს დიდი გამოცდილება აქვს. ამდენად, რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შემთხვევაში, თურქეთის გენშტაბის გეგმა ისევ აღორძინდება.

— მერედა, ამ საფრთხეს კრემლი აცნობიერებს?

— საგარეო პოლიტიკაში რუსეთის მთავარი ფიგურა ბოლო დრომდე იყო პუტინი, რომელიც ამ საფრთხეს აცნობიერებს. თუ დამერწმუნებით, პუტინი იმ საფრთხესაც აცნობიერებს, რომ ე.წ. დამოუკიდებელ აფხაზეთს უფლება ექნება, ხელშეკრულებები გააფორმოს უცხო სახელმწიფოებთან, მათ შორის თურქეთთან. თუ აფხაზებმა მოახერხეს და თურქეთიდან ის 200 თუ 300 ათასი მუსლიმანი მუჰაჯირი აფხაზეთში დააბრუნეს, ჩათვალეთ, რომ რუსეთს არა მარტო ჩრდილოეთ კავკასიაში, არამედ მთელ სამხრეთში უსერიოზულესი პრობლემა შეექმნება. ამდენად, ობიექტურად რუსეთისა და საქართველოს გეოსტრატეგიული ინტერესები იმ საკითხში, რომ აფხაზეთი აუცილებლად უნდა იყოს საქართველოს განუყოფელი ნაწილი, ერთმანეთს ემთხვევა.

— ბატონო ალექსანდრე, ჩვენ და რუსები ასე თუ ვემთხვევით ერთმანეთს ყველაფერში, აბა, პუტინის 16 აპრილის ავადსახსენებელი გადაწყვეტილებები აფხაზეთისთვის ეკონომიკური სანქციების მოხსნის შესახებ, რაღა იყო, რასაც სოხუმში სარკინიგზო ჯარების შემოყვანა და აფხაზეთში, ფაქტობრივად, რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის დამყარება მოჰყვა?

— ამერიკის მიერ კოსოვოს აღიარების შემდეგ, პუტინი აფხაზეთთან მიმართებაში შედარებით ნაკლები ბოროტების — „ტაივანიზაციის" გზას დაადგა. მან არ აღიარა აფხაზეთის დამოუკიდებლობა. მიმაჩნია, რომ ამ ეტაპზე ეს არის ჩვენთვის გაცილებით უფრო მისაღები გადაწყვეტილება, ვიდრე რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება შეიძლება ყოფილიყო. მინდა გითხრათ, რომ ძალიან ბევრი, როგორც ამერიკაში, ასევე ევროპასა და რუსეთში, კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ, ელოდა, რომ პუტინი აფხაზეთის დამოუკიდებლობას ცნობდა, მაგრამ პუტინმა ეს ნაბიჯი პრინციპულად არ გადადგა. ამერიკის ადმინისტრაცია თითქმის დარწმუნებული იყო, რომ პუტინი აფხაზეთს აღიარებდა, რითაც ვაშინგტონს სურვილს აუსრულებდა, მაგრამ...

— დეკემბერში, ნატოს სამიტზე, მაპ-ს მოგვცემენ?

— არა, რადგან საქართველოს ნატოში მიღება არ სურს ევროპას, რომელიც მთლიანად რუსეთის კარზეა ჩამოკიდებული, ევროპა ჩვენ გამო რუსეთს არ გადაიმტერებს.

— ბატონო ალექსანდრე, ბევრი აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტას სოჭის მოახლოებულ ოლიმპიადას უკავშირებს. როგორ წარმოგიდგენიათ იმ რუსი ოლიგარქების აფხაზეთიდან გაძევება, რომლებმაც მილიონები დააბანდეს აფხაზეთის კურორტებზე და მათ საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთიდან გაძევებით ემუქრება და საერთოდ, რას იტყვით: როგორია ჩვენი შანსე-

ბი, 2014 წლამდე, ანუ სოჭის ოლიმპიადამდე საქართველომ აფხაზეთი რომ დაიბრუნოს?

— რუს ოლიგარქებს, რომლებმაც აფხაზეთის კურორტებზე მილიონები დააბანდეს, ნაკლებად მგონია ვინმემ რაიმე წაართვას, ეს ერთი... ქართველებმა რეალობას უნდა გავუსწოროთ თვალი და შევხედოთ, რა ხდება მსოფლიოში. რუსეთს აფხაზეთის საკითხის გადაწყვეტის გარეშეც აქვს იმის რესურსი, რომ სოჭში ოლიმპიადა უმაღლეს დონეზე ჩაატაროს. არა მგონია, რომ ოლიმპიური ქარტიის დარღვევის გამო და იმის გამო, რომ აფხაზეთიდან ბუნებრივ სიმდიდრეებსა და სამშენებლო მასალებს ეზიდება, რათა სოჭში ოლიმპიური მშენებლობა გააჩაღოს, რუსეთი ვინმემ რომელიმე ორგანიზაციიდან გარიცხოს და სოჭში ოლიმპიადა არ ჩატარდეს. ეს არის ბლეფი... საქართველოსთვის უკეთესი იქნებოდა, ამ ოლიმპიურ მშენებლობაში თავადაც მიეღო მონაწილეობა და ეკონომიკურად დაჩაჩანაკებულ ქვეყანას რაღაც სარგებელი ენახა.

— აფხაზეთის ფულით ყიდვა შეიძლება? სხვათა შორის, ამ გეგმაზე ცხონებული ბადრი პატარკაციშვილი საუბრობდა სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში, როცა ჩვენს გაზეთში აცხადებდა: „მიმიშვან და აფხაზეთს ნაწილ-ნაწილ ვიყიდიო“. თქვენი აზრით, მაინც რა ღირს აფხაზეთი?

— აფხაზეთი საქართველოს სახელმწიფოებრიობის ფასი ღირს და უაფხაზეთოდ საქართველოს სრულფასოვან სახელმწიფოებრიობაზე ოცნებაც კი არ შეიძლება. რაც შეეხება თქვენს კითხვას, ბატონ ბადრის არ ჰქონდა იმდენი კაპიტალი, რომ აფხაზეთი ეყიდა. რუსეთში ამ დონის გადაწყვეტილებებს დღეს უკვე ის ადამიანები იღებენ, რომელთათვისაც ფულს, რომელიც ჩვენ შეგვიძლია მათ შევთავაზოთ, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. იმისათვის, რომ საქართველომ აფხაზეთი დაიბრუნოს, საჭიროა

სამი რამ: საქართველომ უნდა გამოაცხადოს და რუსეთთან და თურქეთთან საგანგებო ხელშეკრულებით უნდა დაადასტუროს, რომ იგი იქნება ნეიტრალური სახელმწიფო და არც ერთი უცხო ქვეყნისა თუ სამხედრო ალიანსის ჯარი ჩვენს ტერიტორიაზე არ იქნება; საქართველომ რუსულ პოლიტიკურ ელიტაზე დღედაღამ უნდა იმუშაოს და, ვინც კი კრემლში ჭოჭმანობს, დაარწმუნოს, რომ რუსეთსა და საქართველოს აფხაზეთთან მიმართებაში ობიექტურად ერთი და იგივე გეოსტრატეგიული ინტერესები აქვთ. მერწმუნეთ, თუ მოვინდომებთ, ამის გაკეთება შეიძლება. მესამე პრობლემაა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან საერთო ენის გამონახვა, მათი კეთილგანწყობის მოპოვება და იმ კავშირებისა და ურთიერთობების აღდგენა, რომლებიც საქართველოს ამ ხალხებთან ისტორიულად ჰქონდა. რომ არა შევარდნაძის მიერ აფხაზეთში პროვოკაციულად ატეხილი ომი, ზვიადს ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან ურთიერთობა, ფაქტობრივად, მოგვარებული ჰქონდა. გამსახურდია ქვეყნის ორიენტაციის საკითხშიც შორსმჭვრეტელობასა და სიფრთხილეს იჩენდა. იგი წინააღმდეგი იყო საქართველოს რომელიმე სამხედრო ბლოკში, მათ შორის ნატოში, გაერთიანებისა და ქვეყნის ნეიტრალიტეტს უჭერდა მხარს.

— ბატონო ალექსანდრე, უკანასკნელი 9 თვის განმავლობაში, საქართველოში ძალიან ბევრი რამ მოხდა. ქვეყანა ლამის თავზე დაგვემხო... თქვენი აზრით, რატომ ვერ მოახერხა ოპოზიციამ სააკაშვილის დამარცხება და რა იყო იმის მთავარი მიზეზი, რომ უზარმაზარი პროტესტი, რომელიც ხალხში სუფევდა, ხელისუფლებამ მაინც გატეხა?

— ქართულმა ოპოზიციამ საქართველოს მოსახლეობას ქვეყნის განვითარების ალტერნატიული გზა ვერ შესთავაზა. სააკაშვილიც და ოპოზიციაც იმაში ეჯიბრებოდა ერთმანეთს, რომელი უფრო იყო ამერიკის ერთგუ-

ლი. ოპოზიცია სააკაშვილს სააკაშვილისავე მოედანზე ეთამაშებოდა და შედეგმაც არ დააყოვნა, — ამერიკამ ოპოზიციაში ვერ იპოვა სააკაშვილზე უფრო ერთგული, მორჩილი და ბეჯითი მოთამაშე. ოპოზიციის დამარცხების მიზეზი სწორედ ეს არის.

გაზეთი „ალია“,
2008 წ., ივნისი

2008 წ., ივნისი

«ჩემთვის, როგორც საქართველოს მოქალაქისთვის, მტკივნეული და საწყენია, რომ ჩემი სამშობლო გადაიქცა ვიღაცის კოლონიურ დანამატად მარიონეტული პოლიტიკური კლასით»

— ბატონო ალექსანდრე, რამდენად გამართლებულად შეგვიძლია ჩავთვალოთ საქართველოს ახლანდელი ხელისუფლების ე. წ. დასავლური ორიენტაცია და ნატოში შესვლის კურსი?

— გამართლებულად შეგვიძლია ჩავთვალოთ საგარეო პოლიტიკის მხოლოდ ის ქმედებები, რომლებსაც რეალური სარგებელი მოაქვს ქვეყნისთვის, ხელს უწყობს მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას. **მე ყოველთვის კატეგორიულად წინააღმდეგი ვიყავი ნატოში შესვლისა ზუსტად იმიტომ, რომ კარგად შევისწავლე ამ ორგანიზაციის საქმიანობის ის მხარეები, რომლებიც არ აფიშირდება და არ რეკლამირდება ნატოს პროპაგანდისტების მიერ, და ვიცი, რომ ნატოში ისეთი პატარა და სუსტი ქვეყნის შესვლა, როგორიც საქართველოა, ფაქტობრივად, ნიშნავს სუვერენიტეტის სრულ დაკარგვას, ხოლო ჩვენი გეოპოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, მასშტაბური სამხედრო კონფლიქტის შემთხვევაში კი, — სამიზნედ და აშკარა მსხვერპლად გადაქცევასაც**. ნატოსთან დაკავში-

რებულ მთელ ამ ისტორიაში ამერიკელთა ინტერესი გასაგებია: მათ სჭირდებათ საქართველო, როგორც პაიკი რუსეთთან დიდ გეოპოლიტიკურ თამაშში (ტყუილად არაა, რომ რუსეთთან პრობლემური საკითხების განხილვის დროს ამერიკელები ასახელებენ ასევე თავის უნარს, საქართველოს მეშვეობით ნებისმიერ მომენტში გამოიწვიონ სიტუაციის დესტაბილიზაცია კავკასიაში); მათ ასევე სჭირდებათ საქართველოს სამხედრო ინფრასტრუქტურა, ირანის საწინააღმდეგოდ მიმართული მოქმედებების შემთხვევაში (სხვათა შორის, ირანის საპასუხო მოქმედებები მიმართული იქნება არა შორეული ამერიკისკენ, არამედ მტრულად განწყობილი მეზობელი საქართველოსკენ); სჭირდებათ ასევე მილსადენებზე კონტროლი. აღსანიშნავია, რომ ყველა ამ ინტერესის დასაკმაყოფილებლად არც აფხაზეთი და არც სამხრეთ ოსეთი საჭირო არაა.

გასაგებია ასევე თურქეთის ინტერესიც: საქართველოში ხომ ნატოს ეგიდით განლაგდება თურქული სამხედრო ბაზები, რაც მისცემს თურქეთს იმის საშუალებას, რომ არა მხოლოდ აკონტროლოს საქართველო, რომელსაც ოდესღაც თურქული ელიტა თავის ვასალურ ტერიტორიად თვლიდა, არამედ შევიდეს თურქეთის მიმართ ლოიალური ჩრდილოეთ კავკასიის ერებთან კავშირში, ანუ გადადგას მნიშვნელოვანი ნაბიჯი „დიდი თურანის“ იდეის განხორციელებაში.

გასაგებია ევროპის პოზიციაც ამ საკითხში (მხედველობაში მაქვს ევროპის წამყვანი ქვეყნები, ე. წ. ძველი ევროპა — საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ესპანეთი, მაგრამ არა ახლადწარმოქმნილი „ევროპელები“, როგორებიცაა პოლონეთი ან ბალტიისპირეთის რესპუბლიკები, რომლებიც მოსამსახურის როლს ასრულებენ ან, როგორც მათ შესახებ თავად ამერიკელები ამბობენ, ამერიკის საგარეო პოლიტიკის „შავი მუშები“ არიან): **ევროპას არ აძლევს ხელს რუსეთთან ძალიან ხელსაყრელი ურთიერ-**

თოგეგის გაფუჭება, მითუმეტეს, რომ თავად ევროპას საქართველოს ნატოში გაწევრიანება არ აინტერესებს. პირველ რიგში, ევროპაში უკვე ძალიან ძლიერია იმის შეგნება, რომ ნატო მხოლოდ ამერიკული ინტერესების რეალიზაციის იარაღად გადაიქცა. ეს გაღიზიანებას იწვევს, რომელიც, კერძოდ, ვლინდება ამერიკელების მიერ ირანში, ავღანეთში განხორციელებულ ავანტიურებში ევროპელების მონაწილეობის სურვილის არქონაში, ირანთან კონფლიქტის მიმართ მკვეთრად უარყოფით დამოკიდებულებაში. მეორე, ევროპა არ თვლის საქართველოს ევროპულ ქვეყნად, იმ ქვეყნადაც კი, რომელსაც პოტენციურად შეუძლია წარმოადგინოს პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესი ევროპისთვის. რაიმე ინტერესის არ არსებობის მტკიცებულება არის ის ფაქტი, რომ საქართველოს აქამდე არ სწვევია არც ერთი ევროპული დიდი ქვეყნის ლიდერი. სირცხვილიც კია, მაგრამ, მაქსიმუმ, რასაც ჩვენ მივაღწიეთ — პოლონეთის პრეზიდენტ კაჩინსკის ვიზიტია, რომელსაც ევროპაში „ევროპულ კლოუნს“, „ევროკავშირის ტაკიმასხარას“ ეძახიან. საქართველოს მიმართ ეს დამოკიდებულება გამოჩნდა ნატოს ბუქარესტის სამიტის მსვლელობისას. საინტერესოა, რომ ყველა ჯანსაღად მოაზროვნე და გათვითცნობიერებული ადამიანისთვის ნათელი იყო, რომ საქართველო ვერ მიიღებს მაპს ბუქარესტში, ეს ცნობილი იყო საქართველოს ხელმძღვანელობისთვისაც, მაგრამ იგი აგრძელებდა საკუთარი ხალხის მოტყუებას. დღეს ჩვენმა პოლიტიკოსებმა ამ პრობლემის გადაწყვეტა დეკემბრამდე „გადადეს“, მაგრამ დეკემბერში იქნება ანალოგიური შედეგი. როგორ ტყუილს მოიგონებენ მაშინ?

ამგვარად, ძირითადი საგარეო მოთამაშეების პოზიციები გასაგებია, მაგრამ აბსოლუტურად

გაუგებარია საქართველოს ხელმძღვანელობის პოზიცია. მას რაღაში სჭირდება საქართველოს გადაქცევა რუსული და ირანული რაკეტების სავარაუდო სამიზნედ? რისთვის იკეტება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისთვის — თავის ტერიტორიაზე თურქული სამხედრო ბაზების სანაცვლოდ? რისთვის ხდება წამყვანი ევროპული ქვეყნების აზრის იგნორირება, თუ ჩვენ ვიღვწით ევროპასთან თანამშრომლობისკენ? ბევრი საქართველოს ხელმძღვანელობის პოზიციას მათი გაუნათლებლობით, მწირი გამოცდილებით, ელემენტარული ანალიზის უუნაროობით ხსნის. მაგრამ იმდენად გაუნათლებლები არიან, რომ ანბანურ ჭეშმარიტებას ვერ იგებენ, რომელიც ყველაზე ნაკლებად განათლებულ გლეხსაც კი ესმის მიყრუებული სოფლიდან? საქმე, ალბათ, ისაა, რომ ისინი არ არიან თავისუფლები ქვეყნის პოლიტიკური კურსის გატარებაში და წარმოადგენენ გარე ძალების სურვილის შემსრულებლებს, რომელთათვისაც საქართველოს ეროვნული ინტერესები არ წარმოადგენს არანაირ ღირებულებას. მხოლოდ ასე შეიძლება იმ სიტუაციის აბსურდულობის ახსნა, რომელშიც ხელისუფლების ბრალით ჩავარდა საქართველო. თავად განსაჯეთ: ნატოში შესვლის შესახებ მრავალწლიანი ლაყბობით ჩვენ ძირ-ფესვიანად გავიფუჭეთ რუსეთთან ურთიერთობა, სრულად გავყინეთ კონფლიქტების დარეგულირების პროცესი, დავკარგეთ ერთადერთი მასშტაბური ბაზარი ჩვენი პროდუქციისთვის, მაგრამ ნატოში ჩვენ არ გვიღებენ და კიდევ დიდხანს არ მიგვიღებენ. გამოდის, რომ ქვეყანა მსხვერპლს იღებს რეალიებით პოლიტიკოსების ფანტაზიების გამო. სრული აბსურდია!

— კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ ბევრი შეშფოთებით ელოდა რუსეთის მიერ აფხაზეთი-

სა და სამხრეთ ოსეთის აღიარებას. ეს არ მოხდა, მაგრამ გარკვეული სანქციები, რომლებიც თავის დროზე აფხაზეთს დაედო, მოიხსნა. ხომ არ მოჰყვება ამას დამოუკიდებლობის აღიარება?

— ამ რესპუბლიკების დამოუკიდებლობის აღიარების მომხრეები საკმაოდ ბევრნი არიან რუსეთში და ეს გასაგებია, რადგან მათი ხელმძღვანელობაც და მოსახლეობაც ყველანაირად აჩვენებენ რუსეთს თავის მეგობრულ განწყობას, თანამშრომლობას ცდილობენ და ეს რუსეთ-საქართველოს მტრული ურთიერთობების ფონზე ხდება. რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში, აკრძალვითი ღონისძიებების გაგრძელება უკვე შეუძლებელია. გარდა ამისა, უმაღლეს პოლიტიკურ წრეებში არიან ძალიან გავლენიანი ლობისტები, რომლებიც კატეგორიულად აცხადებენ: საქართველომ აირჩია რუსეთთან კონფრონტაციის გზა, რუსეთის მტრულ სამხედრო ბლოკში შესვლა და ამიტომ უნდა მოვექცეთ ისე, როგორც მტრულ სახელმწიფოს. მე ხშირად მიწევდა ასეთ ხალხთან კამათი, მაგრამ ისინი ძირითადად ახალი ფორმაციის პოლიტიკოსებს წარმოადგენენ, რომლებიც ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე ჩამოყალიბდნენ, ანუ ჩვენს ქვეყნებს შორის კონფრონტაციული ურთიერთობების პერიოდში. ამიტომ ისინი რთულად აღიქვამენ ჩემს არგუმენტაციას, ისტორიული გამოცდილების, საერთო წარსულისადმი აპელირებას და ა. შ. საბედნიეროდ, არიან ისეთი პოლიტიკოსებიც, რომელთათვისაც ისტორია, საერთო სარწმუნოება, ევრაზიული ერთობა ცარიელი სიტყვები არაა, არამედ გეოპილიტიკური და გეოეკონომიკური ინტერესების მსგავსების ისტორიული მტკიცებულებაა. ასეთი პოლიტიკოსების რიცხვს მიეკუთვნება ვ. პუტინი. ამიტომ არაერთხელ მოვუწოდე საქართველოს ხელისუფლებას ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოეყენებინა ვ. პუტინის პრეზიდენტობის პერიოდი, რომელიც საქართველოსადმი კეთილგანწყობით გამოირჩეოდა. სამწუხა-

როდ, ჩვენი ხელისუფლება მოიქცა პირიქით. ისღა გვრჩება, იმედი ვიქონიოთ, რომ რუსეთის ახალი პრეზიდენტი ვ. პუტინის ამ მსოფლმხედველობას ნაწილობრივ მაინც იზიარებს და, თუ საქართველოს ხელმძღვანელობა მომწიფდება ეროვნული ინტერესების შეგნებამდე, მაშინ მას მოსკოვში კეთილგანწყობილი დამოკიდებულება დახვდება, თუმცა დროთა მანძილზე ეს იმედი სულ უფრო ნაკლებად რეალური ხდება...

მე კვლავაც ვამტკიცებ, რომ რუსეთისა და საქართველოს ობიექტური (ხაზს გავუსმევ — ობიექტური!) გეოპოლიტიკური ინტერესები სრულად ემთხვევა ერთმანეთს. ზუსტად ამიტომ რუს კოლეგებთან საუბრისას აპელირებას ვახდენ მხოლოდ რუსეთის სახელმწიფო ინტერესებზე და ვამტკიცებ, რომ დამოუკიდებელი აფხაზეთის არსებობა არ პასუხობს რუსეთის გრძელვადიან ინტერესებს. ზღვისპირა აფხაზეთი მაგნიტივით მოიზიდავს ჩრდილოკავკასიური რესპუბლიკების სეპარატისტულ წრეებს, რომლებიც, დიდი ხანია, ოცნებობდნენ ზღვაზე პირდაპირ გასასვლელზე. კვლავ აღორძინდება თავის დროზე თურქული გენშტაბის მიერ წამოყენებული იდეა აფხაზეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებისა. გავიხსენოთ: ამ იდეის რეალიზაციის მცდელობა გაჩნდა კავკასიის მთის ხალხების კონფედერაციის შექმნის იდეასთან ერთად, რომლის დედაქალაქიც უნდა ყოფილიყო სოხუმი. მიაქციეთ ყურადღება: არა კავშირი, არა ერების ასოციაცია, არამედ ზუსტად კონფედერაცია, ანუ სახელმწიფო წყობის ფორმა. ამასთან, აფხაზეთის დამოუკიდებელი სტატუსი მისცემს მას საშუალებას, დაამყაროს პირდაპირი სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობები თურქეთთან. ვერავინ მოგვცემს გარანტიას, თუ რაში გადაიზრდება ეს ურთიერთობები. გარდა ამისა, **შეერთებულ**

შტატებს, როგორც ცნობილია, საკუთარი ინტერესების სამხრეთ კავკასიაში რეალიზებისთვის არც აფხაზეთი და არც სამხრეთ ოსეთი არ სჭირდება. მეტიც, ამ კონფლიქტების მოუგვარებლობა საქართველოს სამხედრო ბლოკში მიღებას უშლის ხელს, ასრულებს დამატებითი არგუმენტის როლს იმ ევროპული ქვეყნებისთვის, რომლებსაც არ უნდათ საქართველოს ნატოში ხილვა. ამიტომ აშშ დიდი სიამოვნებით მოიშორებდა თავიდან ამ პრობლემას, მაგრამ ის, რომ მოუწოდოს საქართველოს, უარი თქვას ისტორიულ ტერიტორიებზე, ნიშნავს, დაკარგოს „მეგობრისა“ და „დამცველის“ სახე. ამიტომ ამერიკელებს დიდი იმედი აქვთ, რომ ამას რუსეთის ხელით გააკეთებენ, რითაც თავის იმიჯს შეინახავენ და რუსეთს, როგორც „მტერს“ და „აგრესორს“, წარმოაჩენენ. ყველა ეს გარემოება გათვალისწინებულ იქნა ვ. პუტინის მიერ და ამიტომ რუსეთის ხელმძღვანელობა არ აჰყვა ამერიკულ პროვოკაციას და არ მიჰყვა კოსოვოს პრეცედენტს.

თუმცა უსასრულოდ ეს ვერ გაგრძელდება. თუ რუსეთის სამხრეთ საზღვრებთან ნატოს სამხედრო ბაზების წარმოშობის რეალური საფრთხე წარმოიქმნება, მაშინ რუსეთის ხელმძღვანელობა, რა თქმა უნდა, გაზრდის თავისი უსაფრთხოების ზონას, მათ შორის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიების ხარჯზე.

— ბოლო წლების გამოცდილებიდან გამომდინარე, უნებლიეთ საკუთარ თავს ეკითხები: საერთოდ შესაძლებელია კი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა?

— მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ეს ძალიან რთული, ხანგრძლივი პროცესია, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში შესაძლებელი. ომის მიზეზებს ხომ არ აქვს ობიექტური, ანტაგონისტური ხასიათი? თუ დამოუკიდებლო-

ბის პერიოდში ქვეყნის მმართველი იქნებოდა არა შევარდნაძე, არამედ დამოუკიდებლად მოაზროვნე, ეროვნულად ორიენტირებული ჭკვიანი ადამიანი, მაშინ არავითარი ომი არ იქნებოდა. ომის შემდგომ პერიოდშიც საქართველოს ხელმძღვანელობამ არ გადადგა რეალური ნაბიჯი ურთიერთობის ნორმალიზებისკენ. პირიქით, ყველაფერი კეთდებოდა და კეთდება ისე, თითქოს აფხაზეთის „ჩამოჭრა“ ყველა პოლიტიკოსის საიდუმლო ოცნებაა. მე ვთვლი, რომ დღესაც არაა გვიანი, დაიწყოს ეს ძალიან რთული, მაგრამ საქართველოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პროცესი და, უპირველეს ყოვლისა, საქმიანობის მიმართულებების განსაზღვრა.

პირველი. **აუცილებელია, უარი ვთქვათ სპეკულაციურ პოლიტიკურ ლაყბობაზე გაეროში, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში, რომლებსაც სულაც არ აინტერესებთ ჩვენი პრობლემები.** შევარდნაძემ შეაჩვია ჩვენი პოლიტიკოსები ამ უნაყოფო საქმიანობას, რათა გადაერთო ერის ყურადღება თავად პრობლემისგან. მას ეს, სამწუხაროდ, გამოუვიდა.

მეორე. **კატეგორიულად უარი უნდა ითქვას რომელიმე სამხედრო ბლოკში შესვლაზე, რადგან ეს საქართველოს აქცევს ძლიერი მეზობელი სახელმწიფოების მტრად, რომლებთან ურთიერთობაზეც არის დამოკიდებული ტერიტორიული მთლიანობა, ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობა.** საქართველო უნდა იყოს მშვიდობიანი, კეთილი ნების მქონე ყველა ქვეყნის მიმართ, ღია სახელმწიფო, ნეიტრალური სამხედრო თვალსაზრისით.

მესამე. **სამხედრო ნეიტრალიტეტზე დაყრდნობით, აღდგეს პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები რუსეთთან და გაფართოვდეს ეს ურთიერთობები დსთ-ს სხვა ქვეყნებთან.** ჩვენ დაგვა-

ვიწყდა, რომ ჩვენი კონფლიქტური ტერიტორიები განლაგებულია დსთ-ს პასუხისმგებლობის ზონაში და იქ განლაგებულია რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტი, რომელსაც გაერო სისტემატიურად უხაგრძლივებს და კვლავაც გაუხანგრძლივებს მანდატს. რუსეთისა და საქართველოს საერთო გეოპოლიტიკური ინტერესების საფუძველზე უნდა მივაღწიოთ რუსეთის ხელმძღვანელობისგან, რუსული პოლიტიკური ელიტისგან ურთიერთგაგებასა და აქტიურ მხარდაჭერას. ჩვენ ეს შეგვიძლია გავაკეთოთ, თუ პოლიტიკის, კულტურის, ბიზნეს-ურთიერთობების, მართლმადიდებლური ეკლესიის ხაზით, პირადი კავშირების სფეროებში არსებული პოტენციალის მობილიზებას მოვახდენთ.

მეოთხე. **აუცილებელია, გავიდეთ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობებთან, ადგილობრივ ელიტურ ჯგუფებთან პირდაპირ კონტაქტზე და პარალელურად შევქმნათ პიროობები მოქალაქეთა შორის მასობრივი კონტაქტებისთვის**. რა თქმა უნდა, პირველ ეტაპზე ეს მოხდება რუსეთის შუამავლობით, მაგრამ თანდათანობით შემუშავდენა მექანიზმი, რომელიც პროცესს შეუქცევად ხასიათს შესძენს. საკუთარი გამოცდილებიდან ვიცი, რომ დიალოგი შესაძლებელია და კონკრეტული კომპრომისების მიღწევა ძალიან რეალურია.

მეხუთე. **დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს მასშტაბური მუშაობა ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკებთან მრავალმხრივი ურთიერთობების აღდგენასა და განვითარებაზე.** ჩვენ დაგვავიწყდა, რომ წარმოვადგენთ კავკასიურ ერს — არა მითიურ „ევროპულს“, არამედ ზუსტად კავკასიურს. საქართველოსთვის კავკასიურ ერებთან ურთიერთობა ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე ჰოლანდიასა თუ ბელგიასთან. მაგრამ შევარდნაძე თვლიდა, რომ ამ ერების ლიდერებთან ურთიერთობა მის ღირსებაზე დაბლა იდგა, გაეროში ცარიელ გამოსვ-

ლებს და მის მიერ გაბერილ ბეიკერთან თუ პენსიონერ გენშერთან შეხვედრებს ანიჭებდა უპირატესობას. სააკაშვილმა, სამწუხაროდ, გააგრძელა ეს მანკიერი პოლიტიკა, შეცვალა გენშერი გონებადაკარგულ ბჟეზინსკით და სოროსისა და ბალცეროვიჩის ტიპის საერთაშორისო აფერისტებით. დროა, ბოლოსდაბოლოს გარშემო მიმოვიხედოთ. გარშემო კი კავკასიური ერებია, რომლებთანაც ყველა კავშირები ჩვენ ქედმაღლურად შევწყვიტეთ. ხოლო ამ ერების თანაგრძნობითი მხარდაჭერისა და მეგობრული მონაწილეობის გარეშე ვერც აფხაზურ, ვერც სამხრეთოსურ პრობლემას ვერ გადავჭრით.

მეექვსე. **ჩვენ აქტიურად უნდა ჩავერთოთ იმ რეგიონულ ეკონომიკურ პროექტებში, რომლებშიც რუსეთი ჩართავს აფხაზებს. ამ პროექტების რეალიზებამ არ უნდა ჩაიაროს საქართველოს მონაწილეობის გარეშე.** მეტიც, საქართველო უნდა გახდეს ძირითადი კავკასიური მონაწილე ამ პროექტებისა. ვგულისხმობ ოლიმპიადას და მასთან დაკავშირებულ გრანდიოზულ გეგმებს. პოლიტიკური და ეკონომიკური მოგების გარდა, ამ პროექტებში სწორი, გამართული მონაწილეობა მოგვცემს უფლებას, უკვე საწყის ეტაპზე დავაბრუნოთ სამშობლოში ლტოლვილთა დიდი ნაწილი.

მაგრამ, რასაც ვთავაზობ, ამის განხორციელებას შეძლებს დამოუკიდებელი, თვითმყოფი სახელმწიფოს პატრიოტულად განწყობილი ხელმძღვანელობა, რომელიც თავის ქმედებებში საკუთარი ერის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარეობს...

— თქვენ არა ერთხელ საჯაროდ განაცხადეთ, რომ საქართველო არ წარმოადგენს შემდგარ სახელმწიფოს, თუმცა პრეზიდენტმა სააკაშვილმა, თავისი პირველი საპრეზიდენტო ვადის შედეგად დაასახელა ის, რომ საქართველო ამ პერიოდში შედგა, როგორც სახელმწიფო...

— არის შემდგარი სახელმწიფოს რამდენიმე ნიშანი, მა-

თგან ძირითადია ცენტრალური ხელისუფლების უნარი, სრულად გააკონტროლოს ქვეყნის ტერიტორია. უკვე ამ ნიშნით საქართველოზე, როგორც შემდგარ სახელმწიფოზე, საუბარი არ გამოდის. ანალოგიური მდგომარეობაა სხვა ნიშნებთანაც — დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა, კონკურენტუნარიანი ეკონომიკის ეროვნული მოდელის არსებობა. საქართველომ ხომ ფორმალურად გამოაცხადა დამოუკიდებლობა და მაინც არ გახდა საერთაშორისო ურთიერთობების თვითმყოფი სუბიექტი. სასაცილოა: რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო წყვეტს რუსულ-ქართული ურთიერთობების საკითხებს არა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, არამედ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტთან. ხოლო რაც შეეხება ეკონომიკის ეროვნულ მოდელს, ხელისუფლებას, პრემიერ-მინისტრის გამოსვლებიდან გამომდინარე, არც ესმის, ეს რა არის.

— შეძლებს თუ არა, თქვენი აზრით, პარლამენტის ახალი შემადგენლობა ქვეყნის პოლიტიკაში არსებითი ცვლილებების შეტანას? ალბათ, ოპოზიცია მიიღებს ადგილთა მნიშვნელოვან ნაწილს...

— და ოპოზიციას აქვს ქვეყნის განვითარების ალტერნატიული მოდელი? არც ერთი ოპოზიციური პარტიისგან არ მსმენია რეალური ალტერნატიული პროგრამა, რომელიც მოიცავს საგარეოპოლიტიკური კურსის შეცვლას, ეროვნული ეკონომიკის ჩამოყალიბებისა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გზებს. არ მსმენია ეს დღევანდელი ხელისუფლებისგანაც, როდესაც ისინი შევარდნაძის რეჟიმის შესაცვლელად იბრძოდნენ. შეიცვალნენ დეპუტატები, მინისტრები, პოლიციელები, მაგრამ შიდა და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები შევარდნაძისეულია. თავის დროზე მე განვსაზღვრე ისინი, როგორც სამი „დ“-ს პოლიტიკა: დეინდუსტრიალიზაცია, დესტრუქცია, დეგრადაცია. **მიაქციეთ ყურადღება იმას, როგორ მოთხოვნებს აყენებდა ოპოზიცია ბოლო პერიოდში? ეს მოთხოვნები რომც დაკმაყო-**

ფილეგულიყო, შეცვლიდა კი საქართველოში სიტუაციას და მის მდგომარეობას საერთაშორისო არენაზე? რისთვის მართავდნენ შიმშილობებს „სიკვდილამდე“, რომლებიც, დიდი ხანია, ფარსად იქცა? იმისთვის, რომ მაღალ სავარძლებში უსაქმურებისა და მარიონეტების ერთი ჯგუფის ნაცვლად მეორე დაესვათ? ჩვენ უკვე გავცვალეთ შევარდნაძე იმათზე, ვინც ყვიროდა „ძირს შევარდნაძე!“, მაგრამ არც დავინტერესდით, რომელი გზით წაიყვანენ ეს მყვირალები საქართველოს. დღეს ვყვირით: „ძირს სააკაშვილი!“, მაგრამ არის კი ოპოზიციაში საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების ალტერნატიული სტრატეგიის მატარებელი? არ არის არანაირი მატარებელი — არც პიროვნება, არც პარტია. და ეს არაა გასაკვირი. ქვეყნის პოლიტიკური ძალების მნიშვნელოვანი ნაწილი მკაცრად კონტროლდება შესაბამისი ამერიკული სამსახურების მიერ. ასეთი კონტროლის ქვეშაა მრავალრიცხოვანი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი, რომლებიც პოლიტიკური პარტიებისა და სახელმწიფო სტრუქტურებისთვის კადრებს ამზადებენ. ამ პირობებში ძალიან რთულია დამოუკიდებელი, ეროვნულად ორიენტირებული პოლიტიკური ძალის შექმნა. ამაში საკუთარი გამოცდილებით დავრწმუნდი. და **ჩემთვის, როგორც საქართველოს მოქალაქისთვის, მტკივნეული და საწყენია, რომ ჩემი სამშობლო გადაიქცა ვიღაცის კოლონიურ დანამატად მარიონეტული პოლიტიკური კლასით. ამიტომ, ახალი პარლამენტი, როგორი შემადგენლობაც არ უნდა ჰქონდეს, არ გახდება ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ორგანო, რომელიც ქართველი ერის ინტერესებსა და სურვილს გამოხატავს.**

ჟურნალი „სერპანტინი“,
2008 წ., ივნისი

2008 წ., ივლისი

«ეს არის აქსიომა, რომელსაც მთელი ამ წლების განმავლობაში შევარდნაძე მალავდა და ამას აგრძელებს სააკაშვილი»

— ბატონო ალექსანდრე, რა ხდება დღეს ქართულ ოპოზიციაში, მხედველობაში მაქვს პროცესი, როცა ძაღლი პატრონს ვერ ცნობს; ან რა უნდა გააკეთოს სააკაშვილმა, რა წყალს მისცეს თავი, როცა რუსეთის ერთ-ერთი გავლენიანი პერსონა, პოლიტოლოგი მარკოვი პირდაპირ გვიცხადებს: „ვივაჭროთ ყველაფერზე, სოხუმისა და ცხინვალის გარდა". რა არის ეს, რას ნიშნავს?

— აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთი არავითარ როლს არ თამაშობს ოპოზიციის საქმიანობაში. სააკაშვილისა და საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა კი მე იმ კაცის ამბავს მაგონებს, რომელიც უფსკრულში აღმოჩნდა და იმის ნაცვლად, რომ მაღლა ამოვიდეს, მიწის თხრა დაიწყო, მიწაში კიდევ უფრო ჩასაძრომად. თუ ვინმეს ჰგონია, რომ საქართველოს ხელისუფლების ამ უცნაურ საქმიანობაში რუსეთის ხელი უნდა ვეძებოთ, სასაცილოა. მარკოვი არის დუმის ჩვეულებრივი დეპუტატი. მარკოვს აქვს თავისი გეოპოლიტიკური მოსაზრებები, რომელთა პროპაგანდასაც ის ეწევა. მარკოვის მსგავსი შეხედულებები აქვთ დუმის დეპუტატების გარკვეულ ნაწილს, მაგრამ რუსეთში დუმის დეპუტატები პოლიტიკურ გადაწყვეტილებას ვერ იღებენ. რუსეთში პოლიტიკურ გადაწყვეტილებას იღებენ დღევანდელი პრემიერმინისტრი — პუტინი, პრეზიდენტი — მედვედევი და

კიდევ რამდენიმე ადამიანი უშიშროების საბჭოდან, რომლებიც კვირაში ერთხელ, კვირაობით იკრიბებიან და საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის საკითხებს იხილავენ.

— გრიზლოვი, ბაბურინი, მირონოვი... რომლებიც თავიანთი ანტიქართული გამოსვლებით „ბრწყინავენ", ე. ი. კრემლში პოლიტიკურ ამინდს ვერ ქმნიან?

— არა, არა... დუმა ამ საქმეში არავითარ როლს არ თამაშობს და გადაწყვეტილებას სულ სხვა ადგილას, სულ სხვა ხალხი იღებს. ბევრჯერ მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, როდესაც საქართველოს ხელისუფლება დარწმუნდება დღევანდელი პოლიტიკური გეზის უპერსპექტივობასა და კრახში და რუსეთთან დააპირებს ურთიერთობის ნორმალიზებას, საქართველომ დრო არ უნდა დაკარგოს დუმასთან ურთიერთობით და იქ დეპუტატთა მისიების უთავბოლო გაგზავნით, ეფექტური პოლიტიკისთვის საჭირო იქნება პირდაპირი საუბრები კრემლის პირველ პირებთან.

— ბატონო ალექსანდრე, 21 მაისის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ სააკაშვილი გამოვიდა და, ჩემდა გასაკვირად, განაცხადა, — რუსეთის გარეშე აფხაზეთი დაივიწყეთო. ბოლოსდაბოლოს, გამაგებინეთ, რა ხდება?

— ის, რაც სააკაშვილმა თქვა, აბსოლუტური ჭეშმარიტება და აქსიომაა. ეს არის ის, რაზეც ამერიკელები და ევროპელები გველაპარაკებიან. მეტი რაღა გინდათ, როცა „ნიქსონის ცენტრის" დირექტორი — დიმიტრი საიმსი პირდაპირ გვიცხადებს, — ან შემოდიხართ ნატოში უაფხაზეთოდ, ანდა არ შემოდიხართ. მე ვერ გავიგე, მეტი რაღა უნდა გითხრან და რაღა უნდა მიგანიშნონ. დიახ, ეს არის აქსიომა, რომელსაც მთელი ამ წლების განმავლობაში შევარდნაძე მალავდა და ამას აგრძელებს სააკაშვილი. სააკაშვილის კისერზე არ იყო აფხაზეთის ომის სისხლი და მას ჰქონდა შესანიშნავი შანსი, რომ აფხაზეთის პრობლემა დაერეგულირებინა, მაგრამ დღეს ეს შანსი აქვს მხოლოდ ერთ

შემთხვევაში, — მან უნდა დაარწმუნოს ამერიკელი კურატორები, რომ საქართველო არ შეიძლება იყოს ნატოს ბაზა, რომ ჩვენ ამ შემთხვევაში ვიღუპებით, რომ ჩვენ აფხაზეთს დავკარგავთ.

— კი, მაგრამ ნატოში თუ შევედით, უბაზოდ ვინ დაგვტოვებს?

— აი, ესაა სწორედ საკითხავი, ნატოში შესვლაზე უაზრო ლაპარაკს თავი უნდა გავანებოთ. მეტსაც გეტყვით, ძალიან დიდი აჟიოტაჟი იყო ჩვენთან წინა კვირას ატეხილი, რომ თურმე ჩვენი ძალისხმევით მივაღწიეთ იმას, რომ ევროპა აქტიურად ჩაერთო აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების საქმეში, რომ ჩამოვიდა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი შტაინმაიერი და ა.შ. სინამდვილეში ეს იყო ლავროვის წინადადება. ლავროვმა რუსეთთან დაახლოებული ორი ძირითადი ევროპული ქვეყნის — გერმანიისა და საფრანგეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელებს შესთავაზა: ევროპაში ხშირად ისმის, რომ თუ აფხაზეთში რუსეთის ჯარი არ იქნება, კონფლიქტი აფხაზეთში ამოიწურება; ჩაბრძანდით სოხუმში და დაარწმუნეთ აფხაზები ამ სიტყვების სისწორეშიო. ჩამოვიდა შტაინმაიერი და მიხვდა, რომ აფხაზეთში რუსეთის გარეშე არაფერი გამოვა. სექტემბერში, როცა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჩამოვა, ისიც ამასვე მიხვდება და დეკემბერში, ნატოს მინისტერიალზე, როცა ჩვენ მაპი უნდა მოგვცენ, როგორც ერთი, ასევე მეორე მინისტრი დასკვნაში ჩაწერს, — აფხაზეთში არის ფეთქებადსაშიში სიტუაცია და ნატოს არ შეუძლია ამ ტვირთის ზიდვა. მაპს არ მოგვცემენ და კარგია, რომ არ მოგვცემენ, რადგან, როგორც კი საქართველო მაპს მიიღებს, აფხაზეთის დაბრუნების შორეულ იმედსაც კი უნდა გამოვემშვიდობოთ.

— თბილისში აქტიურად საუბრობენ, რომ რუსებმა შეიძლება კოდორის ხეობას დაარტყან.

— არა მგონია, რომ კონფლიქტურ ზონებში უახლოეს

მომავალში სამხედრო დაპირისპირება დაიწყოს, რადგან არავის ინტერესებში ახლა ეს არ შედის.

— კეთილი... მაშ, რა შემთხვევაში შეიძლება განახლდეს აფხაზეთში ან სამაჩაბლოში სისხლისღვრა?

— იმ შემთხვევაში, თუ სააკაშვილი ამერიკელების რჩევით წავა პროვოკაციაზე, დაღვრის სისხლს და მერე განაცხადებს, — რუსეთთან ჩვენ ვერ ვიომებთ, ამიტომ ახლა შევიდეთ ნატოში და მერე ნატო ტერიტორიებს დაგვიბრუნებსო. თუ ასეთი სულელური იდეა ვინმეს თავში მოუვა და მას განახორციელებს, ის ხომ სამუდამოდ მტრად შევა საქართველოს ისტორიაში, ხოლო ქვეყნისთვის ეს იქნება არნახული კატასტროფა.

— გასაგებია... აფხაზეთის პრობლემა 2014 წლის სოჭის ოლიმპიადამდე გადაწყდება, თუ ეს იქნება გრძელვადიანი მოქმედების ნაღმი კავკასიაში, როგორც ჩეჩნეთი, ჩრდილოეთ ირლანდია, ბასკეთი, ტაივანი და ა.შ.?

— საქართველო თუ არ წავიდა რადიკალურ ნაბიჯებზე, თუ პირდაპირი მოლაპარაკებები არ დაიწყო რუსეთის პრეზიდენტთან და იმ ხალხთან, რომელიც რუსულ პოლიტიკას ქმნის, თუ არ დაიწყო დიალოგი აფხაზებთან და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებთან, აი, ასეთი ურთულესი კომპლექსური მუშაობა თუ არ დავიწყეთ, აფხაზეთის დაბრუნების საქმეში არავითარი პერსპექტივა არ გვექნება და ვილოცოთ უნდა, რომ ოლიმპიადამდე და ოლიმპიადის შემდეგ აფხაზეთში ის სიტუაცია დაკონსერვდეს, რაც დღეს არის. ჩვენი მთავარი ამოცანა უნდა იყოს ის, რომ რუსეთი არ წავიდეს იმაზე, რაც მას არ უნდა, მისი გეოპოლიტიკური ამოცანა არ არის, — საქმე ეხება აფხაზეთის აღიარებას. ამის აქტიური ლობი არის დღეს მოსკოვში, მაგრამ ის რამდენიმე კაცი, რომლებიც კრემლში გადაწყვეტილებებს იღებენ და ცოტა შორს იხედებიან, ამბობენ, — აფხაზეთის აღიარება არ შედის ჩვენს სტრატეგიულ ინტერესშიო. ჩვენ ამით უნდა ვისარგებლოთ.

— კეთილი... რას ელის ალექსანდრე ჭაჭია ქართული ოპოზიციისგან და რა მოხდება სექტემბერში?

— სექტემბერში არაფერს ველი და ის პოლიტიკური სპექტრი, რომლის იმედიც ხალხს ჰქონდა, ფაქტობრივად, დაშლილია. ოპოზიციის ამ განლაგებით, კომბინაციათა და ოპოზიციის ლიდერთა ქცევით სააკაშვილს არავითარი საფრთხე არ ემუქრება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჩამოყალიბდება ახალი ოპოზიციური ძალა ახალი ლიდერით.

— და ვინ იქნება ეს ლიდერი?

— არ ვიცი...

— სხვათა შორის, საუბრობენ, რომ ოპოზიცია სააკაშვილის წინააღმდეგ ისევ აპირებს თავისი პოლიტიკური ჯოკერის, ირაკლი ოქრუაშვილის, ამოქმედებას. რა პერსპექტივა შეიძლება ჰქონდეს მას?

— როცა ახალი პოლიტიკური ძალის ჩამოყალიბებაზე ვსაუბრობ, მხედველობაში მაქვს ინტელექტუალური, ბოღმისგან დაცლილი ოპოზიციური ძალა, რომელიც აუცილებლად გამოჩნდება. თუ ქვეყანა იმ გზით წავიდა, რომ ვისაც სააკაშვილი ეჩხუბება და გამოაგდო, აუცილებლად ის უნდა გახადოს პრეზიდენტად, საქართველოს არაფერი ეშველება. უფიქრია ვინმეს იმაზე, თუ რა განსხვავებაა სააკაშვილსა და ოქრუაშვილს შორის? მგონი, არაფერი!

ახლა ერთ რამესაც გეტყვით. რუსეთი საქართველოსთან დაკავშირებულ პრობლემებს იხილავს და წყვეტს ამერიკასთან ურთიერთობაში. რუსეთს არ სჭირდება ზედმეტი ტვირთი, რადგან პრინციპულ საკითხებს რუსეთი და ამერიკა ერთმანეთში ყოველთვის გადაწყვეტენ. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ერთ-ერთმა მოადგილემ მითხრა, რომ მას რამდენიმე თვის წინ დაურეკა კონდოლიზა რაისის მოადგილემ — დენიელ ფრიდმა და აფრიკის ერთ-ერთ ქვეყანასთან დაკავშირებით რუ-

სეთის მხარდაჭერა სთხოვა. ოღონდ ამ საქმეში დამეხმარეთ და, თუკი საქართველოში რაიმე პრობლემა გაქვთ, მეთიუ ბრაიზას სასწრაფოდ თბილისში გავგზავნი და, როგორც თქვენ გინდათ, ყველაფერს ისე გააკეთებსო, უთქვამს ფრიდს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილისთვის... აი, ასეთია რეალური ვითარება და საქართელომ და მისმა ხელისუფლებამ რეალობას უნდა გაუსწოროს თვალი.

გაზეთი „ალია“,
2008 წ., ივლისი

2008 წ., ივლისი

ჩიხური სიტუაციაა

— ბატონო ალექსანდრე! როგორ პროგნოზირებთ აფხაზეთის გარშემო სიტუაციის განვითარებას?

— სიტუაცია შეყვანილია ჩიხში და არანაირი ხილული საფუძველი არ არსებობს, რომ უახლოეს მომავალში შესაძლებელი იქნება თუნდაც ამ ჩიხიდან გამოსვლის პერსპექტივა აღინიშნოს. საქართველოს ხელმძღვანელების ორიენტაცია მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობასა და მათ მიერ კონტროლირებად საერთაშორისო ორგანიზაციებზე კონტრპროდუქტიულია. აფხაზური მხარის დასტურისა და რუსეთის მხარდაჭერის გარეშე არაფერი გამოვა.

ომის შემდგომი პერიოდის მანძილზე კონფლიქტის დარეგულირებაში არც ერთი შედეგიანი ნაბიჯი არ გადადგმულა. მეტიც, ყოველ წელს ამ პრობლემის გადაჭრის შანსი მცირდება. საქართველოს წინა და ახლანდელმა ხელმძღვანელობებმა არ გამოიყენეს საშუალება, გაეუმჯობესებინათ რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობები, გასულიყვნენ პირდაპირ დიალოგზე აფხაზურ მხარესთან, აღედგინათ სანდო ურთიერთობები ჩრდილოკავკასიის რესპუბლიკების პოლიტიკურ ელიტებთან, რასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი კონფლიქტების მოგვარებისთვის, ხოლო ნატოში შესვლის სწრაფვის დაუღლელი დეკლარირება სულ უფრო ამცირებს ქართულ-აფხაზური ურთიერთობების რეგულირების შესაძლებლობას...

დღეს აშშ-ს რუსეთის პოლიტიკაზე გავლენის მოქმედი ბერკეტი უკვე აღარ გააჩნია. მეტიც, დღეს აშშ-ს ევროპაში თავისი გავლენის შენარჩუნების პრობლემა აქვს.

ჩვენ ვხედავთ, რომ ევროპის ძირითადი ქვეყნები — ე. წ. ძველი ევროპის წარმომადგენლები — სულაც არ არიან მზად, აშშ-ის ისეთ მნიშვნელოვან ინიციატივებს დაუჭირონ მხარი, როგორიცაა ნატოს აღმოსავლეთზე გაფართოება, ანტისარაკეტო თავდაცვის განთავსება, ირანის ავანტიურა და სხვ. კერძოდ, ევროპელებს სულ უფრო უკეთ ესმით, რომ ნატო გახდა მხოლოდ ამერიკული ინტერესების რეალიზაციის ინსტრუმენტი. ამ ფონზე ძალზე საეჭვოა, რომ ევროპა წავიდეს რუსეთთან ურთიერთობების გამწვავებაზე, განსაკუთრებით, მოახლოებული ეკონომიკური კრიზისის პირობებში. რუსეთი სულ უფრო სჭირდება ევროპას და ამერიკელები იძულებულნი არიან, ამას ანგარიში გაუწიონ.

— დაინტერესებულია თუ არა რუსეთი აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებით?

— დარწმუნებული ვარ, რომ დამოუკიდებელი აფხაზეთის არსებობა რუსეთის ობიექტურ გეოპოლიტიკურ ინტერესებს არ შეესაბამება. ჩრდილოკავკასიური რესპუბლიკების უშუალო მეზობლობამ ნათესაურ, დამოუკიდებელ სახელმწიფოსთან, რომელსაც გააჩნია გასასვლელი ზღვასთან, შეუძლებელია არ გამოიწვიოს რუსეთის შეშფოთება, რომელიც თავის ტერიტორიულ მთლიანობაზე ზრუნავს. გარდა ამისა, დამოუკიდებელ სახელმწიფოს, როგორც ცნობილია, გააჩნია უფლება, აწარმოოს საერთაშორისო მოლაპარაკებები და შეთანხმებები. როგორი იქნება ეს შეთანხმებები, თუ გავითვალისწინებთ, მაგალითად, თურქეთის მიერ კავკასიაში თავისი გავლენის გავრცელების უდიდეს დაინტერესებას? ვფიქრობ, რომ ეს გარემოებები გაითვალისწინა პუტინმა და ამიტომ კოსოვოს პრეცედენტის არსებობის დროსაც არ წავიდა აფხაზეთის აღიარებაზე, პრობლემის „ტაივანიზაციის“ ვარიანტი არჩია. აშშ-ც და თურქეთიც, სხვათაშორის, ელოდებოდნენ აფხაზეთის აღიარებას. ეს, პირველ რიგ-

ში, ართმევდა ევროპელებს არგუმენტს საქართველოს ნატოში მიღების წინააღმდეგ; მეორე, აჩენდა რუსეთს, როგორც აგრესორს, ხოლო ამერიკელებს – თანამგრძნობ მეგობრებად. მაგრამ, რა თქმა უნდა, თუ დღევანდელი ქართული პოლიტიკა გაგრძელდება და საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ სამხედრო სტრუქტურებში ინტეგრაციის რეალური ხაზი დაიგეგმება, მაშინ რუსეთის მიერ აფხაზეთის აღიარება და მათ შორის სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დამყარება სრულიად შესაძლებელია.

— რას მისცემს აფხაზეთს რუსეთთან მჭიდრო ინტეგრაცია? როგორ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, დემოგრაფიულ რისკებს მოიცავს ეს?

— პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობით რუსეთთან ურთიერთობები ერთადერთი შესაძლებელი გამოსავალია აფხაზეთისთვის შექმნილი სიტუაციიდან. არანაირი რეალური ალტერნატივა აფხაზეთს დღეს არ აქვს. მომავლის ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია პარალელურად რეინტეგრირებადი პროცესი საქართველოსთან ურთიერთობებში, მაგრამ ზუსტად პარალელური, რუსეთის ფედერაციის მხრიდან შესაბამისი გარანტიებით.

რაც შეეხება დემოგრაფიას, აქ არის სერიოზული პრობლემები. ომის წინა პერიოდში აფხაზეთში უნიკალური კულტურულ-ისტორიული საზოგადოება ჩამოყალიბდა, რომელიც იქ მცხოვრები ხალხების — ქართველების, აფხაზების, რუსების, სომხების, ბერძნების და სხვ. სპეციფიკურ თვისებებსა და სოციო-კულტურულ მახასიათებლებს ორგანულად და ჰარმონიულად აერთიანებდა. პრიორიტეტულ როლს, რა თქმა უნდა, აფხაზურ-მეგრული ტრადიციები, ჩვეულებები, ქცევის კულტურა თამაშობდა, მაგრამ ყველა ერის წარმომადგენლები ამ გარემოში თავს კომფორტულად გრძნობდნენ. შევარდნაძემ ომის დაწყებით ეს ერთიანობა დაარღვია. ვიცი, რომ აფხაზე-

თის საზოგადოების მნიშნელოვან ნაწილში ძლიერი ნოსტალგიური განწყობებია იმ ბედნიერი ერთობის მიმართ და ეს გვაძლევს საფუძველს, რაიმე მსგავსის შექმნის შესაძლებლობის იმედი ვიქონიოთ. მე, როგორც ძირძველ ოჩამჩირელს, მინდა ამის მჯეროდეს, მაგრამ არის აფხაზური საზოგადოების სხვა ნაწილიც, რომელიც თვლის, რომ ქართული კომპონენტის შეცვლა ჩრდილოკავკასიურით და თურქულით მისცემს საშუალებას, შექმნას უკეთესი, უფრო წარმატებული ერთობა. კერძოდ, კეთდება ფსონი მუჰაჯირების შთამომავლების დაბრუნებაზე. მაგრამ ეს ხომ ის აფხაზები არ არიან, რომლებიც ცხოვრობენ გუდაუთისა და ოჩამჩირის რაიონებში. ესენი, უმრავლესად, არიან თურქები შესაბამისი მენტალიტეტით, რწმენით, ჩვეულებებით. საქართველოს ირანელი ქართველების რეპატრიაციის გამოცდილება გააჩნია. და რა გამოვიდა ამისგან? დღესაც საქართველოში ჩამოდიან ქართული წარმოშობის თურქები. ნუთუ შეიძლება ვთქვათ, რომ ისინი ორგანულად ერთვებიან ქართულ საზოგადოებაში? დღეს ისინი ცოტანი არიან და აქ, ძირითადად, დროებით, საქმიანი მიზნით იმყოფებიან. მაგრამ, მაგალითად, თუ მუდმივად საცხოვრებლად 300 ათასი თურქი-მესხი დაბრუნდება, ეს იქნება კატასტროფული პრობლემა. იგივეა აფხაზეთშიც. ჯერჯერობით შეძლეს ერთი თუ ორი ათასი ადამიანის გადმოსახლება. შესაძლოა, ასეთი რაოდენობა გახდეს კიდეც საზოგადოების ნაწილი, მაგრამ, თუ, მაგალითად, თურქეთი დაისახავს მიზნად და შეიმუშავებს რეგიონის ათვისების სახელმწიფო პროგრამას, შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფით, მაშინ გადმოსახლება მიიღებს მასშტაბურ ხასიათს, მაშინ უკვე საუბარი წავა ამჟამინდელი აფხაზური საზოგადოების ტრანსფორმაციაზე, მის ასიმილაციაზე, რა თქმა უნდა, რეგიონში სრული გეოპოლიტიკური სიტუაციის ცვლილებით. ვფიქრობ, აფხაზურ საზოგადოებას ესმის ასეთი

მოვლენების განვითარების საფრთხე. დარწმუნებული ვარ, რომ იტყვის თავის სიტყვას მართლმადიდებლური სამღვდელოებაც მამა ბესარიონის (ფილიას) მეთაურობით, რომელიც აფხაზეთში მართლმადიდებლობის შენარჩუნებისა და განვითარების ძალიან დიდი და კეთილშობილი საქმიანობითაა დაკავებული.

— ბოლო დროს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში სიტუაცია დაიძაბა. კეთდება სხვადასხვა სახის მკვეთრი განცხადებები ორივე მხრიდან და მოსკოვიდანაც. როგორ გგონიათ, შესაძლებელია სამხედრო მოქმედებების განახლება?

— მე, როგორი გასაკვირიც უნდა იყოს, კვლავაც მჯერა საღი აზრის და საღად მოაზროვნე პოლიტიკოსებისაც, ამიტომ გულწრფელად მჯერა, რომ სამხედრო მოქმედებები ნაკლებად მოსალოდნელია. **ომი ერთიან სახელმწიფო-სამართლებრივ სივრცეში აფხაზებისა და ქართველების ერთად ცხოვრების პერსპექტივას ბოლოს მოუღებს.** დარწმუნებული ვარ, რომ კეთილი ნებითა და ჩვენი ერების მხოლოდ ეროვნულ ინტერესებზე ორიენტაციით ჩვენ შეგვიძლია ადგილიდან დავძრათ ჩვენი ერების შერიგებისა და დაახლოების საქმე და ერთად გავიდეთ იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მომავალი თაობების მშვიდობაში, სიყვარულსა და თანხმობაში ცხოვრებას უზრუნველყოფს.

გაზეთი „აფხაზური მერიდიანი“ ,
2008 წ., ივლისი

2008 წ., აგვისტო

ალექსანდრე ჭაჭია სააკაშვილს პუტინ-მედვედევთან შეხვედრას სთავაზობს

— ბატონო ალექსანდრე, ცხინვალში საომარი მოქმედებები მიმდინარეობს, შექმნილ სიტუაციაში როგორია თქვენი პროგნოზი და როდის დამთავრდება ეს ჯოჯოხეთი?

— სამწუხაროდ, ამ საშინელი საფრთხის შესახებ მე არაერთხელ გამიფრთხილებია როგორც ხელისუფლება, ასევე საზოგადოება, მაგრამ ჩემი სიტყვები მნიშვნელოვნად არავინ მიიჩნია. საქართველოს ხელისუფლებამ ყველაზე უგუნური და უჭკუო ნაბიჯი გადადგა. მოხდა ის, რისიც ყველაზე უფრო მეშინოდა, რომ რუსები დაიკავებდნენ კოდორის ხეობას, სამხრეთ ოსეთს და გადახაზავდნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის თეორიულ შესაძლებლობასაც კი. გარდა ამისა, უახლოეს მომავალში ჩვენ აღმოვჩნდებით უმძიმეს ეკონომიკურ სიტუაციაში, მაგრამ მთავარი ახლა ეს არ არის, მთავარია, რომ ყოველ წუთში იღუპებიან ადამიანები და მთავრობამ სასწრაფოდ უნდა მიიღოს ზომები.

— სარკოზი ხომ შეხვდა მედვედევს და 6-პუნქტიანი დოკუმენტიც შეიმუშავეს. სააკაშვილმა ევროპის ლიდერები ჩარია და მეტი რა უნდა ექნა?

— პრეზიდენტ სარკოზისა და პრეზიდენტ მედვედევის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე არაფერი წერია და იგი არ არის აღიარებული არც სარკოზის და არც მედვედევის მიერ. დოკუმენტში მხოლოდ საქართველოს სუვერენიტეტზეა

საუბარი, სუვერენიტეტი კი ზოგადი ცნებაა და კონკრეტულად არაფერს ნიშნავს. **მოხდა ის, რისიც ყველაზე უფრო მეშინოდა. საფრანგეთი და ევროკავშირი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის წინ წამოწევით რუსეთს არ აღიზიანებენ.** რაც შეეხება სტატუსს, მე უკვე წარმომიდგენია, როგორ შეიქმნება საერთაშორისო კომისია ცხინვალისა და აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრასთან დაკავშირებით, რამდენ ხანს იმუშავებს ეს კომისია და რით დაამთავრებს თავის მოღვაწეობას. ბოლო-ბოლო, ისინი რუსეთის პოზიციას წინ ვერ აღუდგებიან.

— როგორ ფიქრობთ, სააკაშვილი სარკოზისა და მედვედევის მიერ შემუშავებულ დოკუმენტს ხელს მოაწერს?

— მას შემდეგ, რაც სააკაშვილმა ჩაიდინა, მისი ქცევისა და მოქმედების პროგნოზირება ყოვლად შეუძლებელია.

— თქვენი აზრით, ამ სიტუაციაში რა უნდა გააკეთოს სააკაშვილმა?

— სააკაშვილს თუ უნდა ამ სიტუაციიდან გამოსვლა, მე მზად ვარ კონსულტაცია გავუწიო მას, გავფრინდე მოსკოვში და მოვილაპარაკო.

— და თქვენ ფიქრობთ, მედვედევი ან პუტინი მას შეხვდებიან?

— მე ვერანაირ გარანტიას ვერ ვიძლევი, მაგრამ ვეცდები, რომ ამ უბედურების დროს, როცა ქვეყანა იღუპება, გავაკეთო ყველაფერი, რათა სისხლისღვრა და ნგრევა შეწყდეს და დავიწყოთ მოლაპარაკება. რაც შეეხება სააკაშვილის ხელისუფლების წასვლას, არა მგონია, რუსეთს იმის შესაძლებლობა ჰქონდეს, რომ ვინმე აქ დანიშნოს უფროსად. მიმაჩნია, რუსეთმა რომც აიძულოს სააკაშვილი და გადააყენოს, ამერიკელებს აქ ჰყავთ სააკაშვილის შემცვლელი ეშელონი და სააკაშვილს ამ ეშელონით ჩაანაცვლებენ. ასე რომ, რუსულ-ქართულ ურთიერთობებში პრინციპულად არაფერი შეიცვლება, რადგან **მარიონეტი, რო-**

მელი ქვეყნისაც გინდა იყოს, ქართულ საქმეს საქართველოში არასოდეს გააკეთებს.

— როგორ შეიძლება სააკაშვილი ენდოს პუტინსა და მედვედევს და მოსკოვში თქვენთან ერთად წამოვიდეს, როცა პუტინმა სააკაშვილზე „გენოციდის გამოძიების“ შესახებ დაიწყო ლაპარაკი?

— კი, ეს ლაპარაკი დაიწყო და გააგრძელებენ ამ საუბარს და ამიტომ გეუბნებით, დროზე უნდა მიიღოს სააკაშვილმა გადაწყვეტილება. გაანებონ თავი ხალხის მოტყუებას, გავანებოთ თავი ე.წ. მსოფლიო თანამეგობრობასა და დემოკრატიულ დასავლეთს. **ქართველებო, დამიჯერეთ ახლა მაინც, ამერიკასა და ევროპას საქართველოს ბედი ფეხზე ჰკიდიათ, ჩვენი გულისთვის რუსეთთან სამხედრო კონფლიქტში არავინ შევა. არავის ჩვენ იმდენად არ ვჭირდებით, რომ რუსეთს, სამხედრო ან პოლიტიკური თვალსაზრისით, ჩვენი გულისთვის დაუპირისპირდნენ.** ამას ვამბობდი წლების განმავლობაში და მაინცდამაინც სისხლი უნდა დაიღვაროს იმისათვის, რომ ეს ჭეშმარიტება გაგვეგო?

— აბა, ბუშის განცხადება, რუსეთი იზოლაციაში მოექცევაო, ან ამდენი პრეზიდენტის ერთად ჩამოსვლა და პოლიტიკური მხარდაჭერა რას ნიშნავს?

— ეს არის სისულელე და, რაც საქართველოში დღეს ხდება, ყველაფერი ამერიკის წაქეზებით მოხდა. ვნახავ ერთი, რას გააკეთებენ ესენი რუსეთის იზოლაციაში მოსაქცევად და როგორ მოახერხებენ ამას. ჩვენც ვუყუროთ ამათ დაპირებებს და ქვეყნის ნგრევას. გავანებოთ თავი ამ ბრიყვულ, პროვინციულ ლაპარაკს იმის შესახებ, რომ თურმე მთელი მსოფლიო ჩვენ გვიჭერს მხარს.

— სარკოზი რომ ჩამოვიდა და ხელშეკრულება ჩამოგვიტანა, ესეც ლაყბობაა?

— ...დასავლეთი მხარს გვიჭერს სიტყვებით, ხოლო რუ-

სები გვბომბავენ. აი, ამაზე ვიფიქროთ და მოლაპარაკება იმასთან კი არ დავიწყოთ, ვინც თეორიულად მხარს გვიჭერს, არამედ იმასთან, ვინც გვბომბავს, რათა შევაჩეროთ დაბომბვა. თუ ზომები არ იქნება მიღებული, დაბომბვები გაგრძელდება მანამ, სანამ საქართველოს მთელი სამხედრო ინფრასტრუქტურა არ განადგურდება. გიმეორებთ, — სააკაშვილს ჯერ კიდევ აქვს შანსი, რომ გადაარჩინოს სიტუაცია. ამისათვის საჭიროა, გაკეთდეს რამდენიმე სვლა და ამოქმედდეს ფარული დიპლომატია. თუ რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას, ეს საგაზეთო თემა არ არის.

— ე.ი. თუ თქვენ დაგიკავშირდებათ სააკაშვილი, ეცდებით, რომ ის მედვედევს ან პუტინს შეახვედროთ?

— მზად ვარ, თუ სააკაშვილი მეტყვის, რომ მას მიზნად არ აქვს ჩვენი ტერიტორიების დაკარგვა, ხალხის ჩახოცვა და აქედან წასვლა, მაშინ მე შევთავაზებ მას რამდენიმე სვლას, რომელიც მან როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ უნდა გააკეთოს. თუ სააკაშვილი ამას დათანხმდება, მაშინ ჩავალ მოსკოვში და შევეცდები, შეწყდეს ეს დაბომბვა, ხოლო ამის შემდეგ დაიწყოს მოლაპარაკება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანა საბოლოოდ დაგვეღუპება.

— დასავლეთის დიპლომატია კი გააქტიურდა, მაგრამ, თქვენი აზრით, რას მოიმოქმედებს რუსეთი?

— მე გეტყვით, რასაც მოიმოქმედებს. **აფხაზეთისა და ცხინვალის ტერიტორიებს სრულად გააკონტროლებს, არ დაჯდება მოლაპარაკების მაგიდასთან მანამ, სანამ საქართველო კოკოითთან და ბაგაფშთან არ მოაწერს ხელს ხელშეკრულებას ძალის გამოუყენებლობის შესახებ.** მერე უკვე დაიწყება მოლაპარაკებები, რომელსაც არავითარი შედეგი არ მოჰყვება, რადგან რუსეთი აფხაზეთისა და ცხინვალის დამოუკიდებლობის აღიარების ინიცირებით გამოვა. ამიტომ მოვუწოდებ მიხეილ სააკაშვილს, ჯერ კიდევ არ არის გვიან და მიიღოს გადაწყვეტილება.

— და რა აზრი აქვს სააკაშვილის ჩასვლას და რუსეთთან მოლაპარაკებას, თუკი ამას არანაირი შედეგი არ მოჰყვება?

— ამ მოლაპარაკებებს ის აზრი აქვს, რომ შეწყდეს ჩვენი მშვიდობიანი მოსახლეობის აწიოკება და რუსეთმა რომელიმე დოკუმენტში აღიაროს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. რუსეთმა ე.წ. სარკოზის დოკუმენტში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა არ აღიარა...

— ე.ი. ამერიკისა და დასავლეთის აქტიურობას შედეგი არ ექნება და მათი იმედი არ უნდა გვქონდეს?

— კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჩვენი გულისთვის რუსეთთან ურთიერთობას არავინ გაიფუჭებს. სამწუხაროდ და საუბედუროდ, რუსეთსა და ამერიკას შორის საქართველო იქცა სისხლიან პოლიგონად, სადაც არა ამერიკელები, არამედ მხოლოდ ქართველები იღუპებიან. ევროპა რუსეთთან ურთიერთობას არავითარ შემთხვევაში არ გაიფუჭებს. ევროპამ კარგად იცის, რომ ახალი წლიდან გაზზე ახალი ფასები უნდა დაწესდეს, კარზეა მომდგარი კრიზისი და ამდენად, **საქართველოსთვის რუსეთს არავინ დაუპირისპირდება, გარდა ამერიკის შეერთებული შტატებისა, რომელსაც სჭირდება ეს კონფლიქტი ცხინვალში. ერაყში განვითარებული მოვლენებისა და იქ ჩადენილ დანაშაულთა გამო ამერიკამ მსოფლიოში აგრესორის იმიჯი შეიქმნა. ამერიკას სჭირდებოდა მეორე აგრესორი და ცხინვალის კონფლიქტით მან ასეთი აგრესორი შექმნა — რუსეთი.** ერთი სიტყვით, ცხინვალის კონფლიქტით მოიგო მხოლოდ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა.

გაზეთი „ალია“,
2008 წ., აგვისტო

2008 წ., აგვისტო

ჯერ კიდევ არის დრო...

გუშინ, 25 აგვისტოს, მას შემდეგ, რაც სამთელქვეყნოდ ცნობილი გახდა, რომ რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებას ერთხმად დაუჭირა მხარი და თხოვნით მიმართა პრეზიდენტ მედვედევს, თავისი ბეჭდითა და ხელმოწერით დაადასტუროს ფედერაციის უმაღლესი პოლიტიკური ნება, ჩემი მობილური ტელეფონი მოულოდნელად აწკრიალდა...

ყურმილი ავიღე და მაშინვე ვიცანი პოლიტოლოგისა და ანალიტიკოსის — ალექსანდრე ჭაჭიას ხმა, რომელიც ამჯერად უკვე მოსკოვიდან მირეკავდა და ძალიან აღელვებული ჩანდა. მისალმებისა და ერთმანეთის მოკითხვის შემდეგ, ჭაჭია პირდაპირ საქმეზე გადავიდა და დაიწყო:

— ხდება ის, რის შესახებაც წლების განმავლობაში ვაფრთხილებდი მთელ ქართველ ხალხს. საქართველოს არც ერთი ხელისუფლება არ იქცეოდა ისე უგუნურად და მტრულად, როგორც შევარდნაძისა და სააკაშვილის ხელისუფლება. არასოდეს ქართველი ერის საცხოვრისი არეალი ისე არ შემცირებულა, როგორც ამ ორი კაცის მმართველობის დროს შემცირდა. დღეს რუსეთის ფედერაციის საბჭომ და დუმამ ცნო აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დამოუკიდებლობა, სრულფასოვან აღიარებამდე რჩება პრეზიდენტ მედვედევის ხელმოწერა. ამ პროცესის გაჭიანურებისა და გაჩერების შესაძლებლობა ჯერ კიდევ არსებობს, **ამიტომ კიდევ ერთხელ ვთავაზობ სააკაშვილს კონსულტაციებს ამ საკითხთან დაკავშირებით. პირადად მე ვთავაზობ ახლაც, როგორც ადრე შევთავაზე თქვენი გაზეთის საშუალებით, მაგრამ... იცოდეს საა-**

კაშვილმა, რომ ამერიკელები მას მალე მაინც მოიშორებენ, პრეზიდენტად დასვამენ სხვა მარიონეტს, რომელიც სააკაშვილს გადააბრალებს უკვე მომხდარ და მომავალში მოსალოდნელ ყველა უბედურებას. ეს იცოდეს... მაგრამ საქართველოს ისტორიაში ის სამუდამოდ დარჩება, როგორც ქვეყნის დამაქცევარი, შევარდნაძეზე უფრო დიდი დამაქცევარი, რადგან საქართველოს დაშლის პროცესი შეუქცევადი გახადა. სასწრაფოდ არის ზომები მისაღები, გადასადგმელია ძალიან კონკრეტული ნაბიჯები და, თუ სურვილი ექნება, თუ საქართველოს დაღუპვა საკაშვილს არ სურს, მე მას შევთავაზებ ამ ნაბიჯებს.

ამას ვყვირი თქვენი გაზეთის საშუალებით, მე სხვა გამოსავალი არ მაქვს, რადგან სამშობლო მეღუპება. **საკაშვილს ჯერ კიდევ აქვს დარჩენილი 3-4 დღე, რომ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს აღიარების პროცესი როგორმე შევაჩეროთ ან გავაჭიანუროთ, თუ ის არის დაინტერესებული ქვეყნის გადარჩენით.** ხოლო თუ არ არის ამ საქმით დაინტერესებული და, როგორც ჩანს, ეს ასეა, ე.ი. მას ჩაფიქრებული ჰქონდა ამ ავტონომიების მოშორება და დანარჩენი საქართველოს დასავლეთის სამხედრო ბაზებად ქცევა. კიდევ ერთხელ მოვუწოდებ მას, გამოიჩინოს კეთილგონიერება, გადაარჩინოს ქვეყანა და დამიკავშირდეს... დაიწყოს კონსულტაციები...

გაზეთი „ალია“,
2008 წ., აგვისტო

2008 წ., დეკემბერი

«კოლონიური ქვეყნისთვის არ აქვს მნიშვნელობა, კონკრეტულად ვინ იკავებს პრეზიდენტის სავარძელს»

— ბატონო ალექსანდრე, რას იტყვით პატრიარქის ვიზიტზე მოსკოვში, პრეზიდენტ პუტინთან მის შეხვედრაზე და პერევის მოვლენებზე?

— რუსეთის მხრიდან შეხვედრა წარმოდგენილი იყო, როგორც ქართული მართლმადიდებლური ეკლესიისა და ქართველი ერის მიმართ პატივისცემის დასტური. შეხვედრას უფრო ჰუმანიტარული ხასიათი ჰქონდა, ვიდრე პოლიტიკური. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, პატრიარქმა რუსეთ-საქართველოს ახლანდელი ურთიერთობების ტრაგიზმს გაუსვა ხაზი, დააყენა ლტოლვილთა საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხი, ისაუბრა არა მხოლოდ ეკლესიათაშორისი ურთიერთობების გაღრმავებაზე, არამედ კულტურული კავშირების სრულ სპექტრზე, აღნიშნა, რომ არანორმალურია დიპლომატიური ურთიერთობების და ქვეყნებს შორის საჰაერო მიმოსვლის არარსებობა. რა თქმა უნდა, არანაირი სახედრო-სტრატეგიული საკითხები შეხვედრაზე არ განხილულა. დიალოგი, შესაძლოა, გაგრძელდეს პატრიარქის მეორე ვიზიტისას იანვრის ბოლოს — რუსეთის ახალი პატრიარქის ინტრონიზაციაზე. მაგრამ სააკაშვილის გამოსვლები, რომლებიდანაც გამომდინარეობს, თითქოს კათოლიკოსი მის მითითებებს ასრულებდა, არ შეუწყობს ხელს პატ-

რიარქის მისიის ეფექტურობას. გაუგებარია, თუ რით ხელმძღვანელობდა პრეზიდენტი, როდესაც ამ განცხადებას აკეთებდა.

რაც შეეხება პერევის მოვლენებს, ესეც ქართული პოლიტიკის იმ კარიკატურული ფიგურების ლაყბობის ბრალია, რომლებიც რუსეთს ომით ემუქრებიან, ამასთან, რუსული ტანკების ხმაურზე აზერბაიჯანის ან თურქეთის საზღვრისკენ გარბიან, ხოლო, როდესაც ტანკები მიდიან, ამაყად აცხადებენ ტელეკამერების წინ: „აი, როგორ შევაშინეთო!“

— არსებობს თუ არა ტერიტორიული მთლიანობის საკითხის თუნდაც საქართველოს კონფედერაციული მოწყობის გზით მოგვარების გეგმა, არის თუ არა ჩვენთვის ასეთი მოწყობა გამოსავალი და რას შეცვლის არსებულ ვითარებაში სააკაშვილისა და მისი გუნდის საზოგადოების ზეწოლის შედეგად პოლიტიკიდან შესაძლო წასვლა?

— რუსეთის ხელმძღვანელობას საქართველოს (აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ჩათვლით) კონფედერაციული მოწყობის არანაირი გეგმა არ აქვს. იმის მიღწევა, რომ ასეთი გეგმა გაჩნდეს და მიღებულ იქნეს რუსეთის ხელმძღვანელობის მიერ, ჩვენი ამოცანაა. აფხაზეთის ომის შემდგომი პერიოდია, ამაზე ვმუშაობ, ვუმტკიცებ რუს კოლეგებს, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა არ პასუხობს რუსეთის გეოპოლიტიკურ ინტერესებს და მომავალში, შესაძლოა, ბევრი პრობლემა მოიტანოს. რუსეთის უმაღლეს ხელმძღვანელებს ეს მშვენივრად ესმოდათ. ამა წლის ივლისში პრეზიდენტმა მედვედევმა მეგობრობის ორდენით დამაჯილდოვა იმის ნიშნად, რომ რუსეთისთვის მისაღებია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ჩემ მიერ შეთავაზებული მოდელი. ეს მოდელი კი ვარაუდობდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მისი სამხედრო ნეიტრალიტეტის საფუძ-

ველზე. კონფედერაციის შესახებ მაშინ საუბარიც არ ყოფილა, უბრალოდ, წინ გველოდა სერიოზული სამუშაო აფხაზურ და ოსურ ხელმძღვანელობასთან რუსეთის მხარდაჭერით. მაგრამ ეს, სამწუხაროდ, მხოლოდ ჩემი კერძო ინიციატივა იყო, რომელიც საქართველოს ოფიციალურ პოლიტიკას ეწინააღმდეგებოდა. ჩვენმა მთავრობამ აგვისტოს ავანტიურა აირჩია და ხაზი გადაუსვა ამ მოდელს. დღეს კონფედერაციაც კი — ოცნებების სფეროს წარმოადგენს. თუ გახსოვთ, ომის მეორე დღეს თქვენ ჩაწერეთ ჩემთან ინტერვიუ და მე „ალიას“ მეშვეობით მივმართე მთავრობას თხოვნით, დაუყოვნებლივ შეეწყვიტათ ეს თვითმკვლელი ომი, დაეწყოთ მოსკოვთან მოლაპარაკებები და გამოეყენებინათ ყველა საშუალება ერთი მიზნისთვის — რუსეთს არ ეღიარებინა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა და არ დაედოთ ორმხრივი ხელშეკრულებები მეგობრობისა და ურთიერთდახმარების შესახებ. მაშინ ჯერ კიდევ შეიძლებოდა, ეს არ დაგვეშვა. ვინ მისმინა? ქართველი ერის მდგომარეობას ართულებს ის გარემოება, რომ საქართველო არ არის ეროვნულად ორიენტირებული მთავრობის მქონე დამოუკიდებელი სახელმწიფო. ამაშია მთელი უბედურება. ეროვნული მთავრობა უკვე დიდი ხნის წინ გადაწყვეტდა ტერიტორიულ პრობლემას. მე არაერთხელ მითქვამს, რომ ამისთვის ჩვენ გვჭირდება პოლიტიკის სამ ვექტორზე მუშაობა: 1) რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზაცია სამხედრო ნეიტრალიტეტის გამოცხადების საფუძველზე; 2) პირდაპირი დიალოგი აფხაზურ და ოსურ მხარეებთან რუსეთის მხარდაჭერით; 3) ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკებთან კონტაქტების აღორძინება და გაფართოება ტერიტორიულ საკითხში მათი მხარდაჭერის მოპოვების მიზნით. მაგრამ ჩვენ კოლონიური ხელისუფლება გვყავს, რომელიც თავისი მეტროპოლიის ინტერესებში მოქმედებს, ამიტომ მან გააკეთა პირიქით: 1) გამოაცხა-

და ნატოში შესვლის კურსის შესახებ, დაიწყო ჯარის შეიარაღება და რუსეთის მიმართ მუქარაც კი, რომ ომში დაამარცხებდა; 2) დიალოგის ნაცვლად იდიოტურ სპექტაკლებს აწყობდა აფხაზეთის საზღვარზე და დანაშაულებრივი ომი წამოიწყო ცხინვალში; 3) საბოლოოდ გააფუჭა ურთიერთობები ყველა ჩრდილოკავკასიელ ხალხთან, ჩვენს მტრებად აქცია ისინი. ისტორიაში იშვიათად გხვდება კოლონიური ხელისუფლებაც კი, რომელიც გარე ძალების სასარგებლოდ მზადაა, მსხვერპლად გაიღოს ერის ისტორიული არეალის უმნიშვნელოვანესი ნაწილი. და რისთვის? იმისთვის, რომ ამერიკელებს მისცემოდათ საშუალება, რუსეთი აგრესორად გამოეცხადებინათ. გაიხსენეთ, რა მოყვა სარკოზიმ პრესკონფერენციაზე: როგორ დაურეკა ბუშმა და სთხოვა, არ გაფრენილიყო მოსკოვში — რუსები თურმე თბილისიდან 40 კილომეტრში არიან, მალე ქალაქში შევლენ, თქვენ არ ჩაერიოთ, ჩვენ მერე დავგმობთო! ანუ თბილისის აღება რუსების მიერ ბუშს უფრო აძლევდა ხელს, აძლევდა მეტ არგუმენტს მოსკოვის კრიტიკისთვის. აი, რისთვის და ვისთვის წაართვეს ქართველებს სამშობლოს ნაწილი...

რაც შეეხება სააკაშვილისა და მისი გუნდის წასვლას პოლიტიკიდან, რომელსაც ბევრი ელის, ამას პრინციპულ საკითხად არ ვთვლი, კოლონიური ქვეყნისთვის არ აქვს მნიშვნელობა, კონკრეტულად ვინ იკავებს პრეზიდენტის სავარძელს. საქართველოში არ არიან დამოუკიდებელი პოლიტიკური სუბიექტები (პარტიები, მოძრაობები, ლიდერები), პოლიტიკური სპექტრი მხარს დაუჭერს მათ, ვისზეც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტისა და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს კურატორები მიუთითებენ. დამოუკიდებელი პოლიტიკური პროცესები თანამედროვე საქართველოში ნაკლებად მოსალოდნელია. პოლიტიკური ძალები ანგაჟირებული, დისკრედიტირებული, უავტორიტეტოა. ერის ფართო მასები იზოლი-

რებულნი არიან პოლიტიკური ცხოვრებისგან, ფიზიკურ გადარჩენაზე ზრუნავენ, საინფორმაციო ვაკუუმში იმყოფებიან. ის, რასაც ჩვენ საზოგადოებას ვეძახით, დღეს უნებისყოფო, ღირსების გრძნობისგან დაცლილ, დეგრადირებულ კონგლომერატს წარმოადგენს. ღირსეული, ეროვნულად და პატრიოტულად მოაზროვნე საზოგადოება აიტანდა ასეთ სამარცხვინო პოლიტიკურ ელიტას — ფიზიკურად და მორალურად მახინჯთა უჯიშო ჯგუფს? აიტანდა სიტუაციას, როდესაც ხელისუფლების თითქმის მთელი შემადგენლობა — უცხო ქვეყნების (აშშ, ინგლისი, ისრაელი, რუსეთი) მოქალაქეები არიან? ღირსეული საზოგადოება იცეკვებდა მოედანზე იმ დროს, როდესაც ჯარი დამარცხებულია, ტერიტორიები — დაბომბილი, ასობით ახალგაზრდა დაიღუპა და ათასობით ადამიანი უსახლ-კაროდ დარჩა? „რუსთავი-2“-ის ფანტასტიკურ ტყუილს აიტანდა? ჩვენმა „საზოგადოებამ“ ღირსება და დამოუკიდებლად აზროვნების უნარი ჯერ კიდევ შევარდნაძის დროს დაკარგა. ამის დაკარგვა ადვილია, თავიდან მოპოვებაა რთული...

— არსებობს თუ არა რუსეთთან სამხედრო მოქმედებების განახლების საფრთხე და რა დამატებითი საფრთხეები ემუქრება საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას?

— აფხაზეთში განთავსდება სამხედრო კონტინგენტი 3800 ადამიანის ოდენობით მთელი სოციალური ინფრასტრუქტურით. იგივე იქნება სამხრეთ ოსეთშიც. უახლოეს ხანებში დაიწყება სრულყოფილი სახელმწიფო საზღვრის კეთილმოწყობა 240 კილომეტრის მანძილზე. ჩვენი მთავრობა ადეკვატური რომ იყოს, ჯერ კიდევ შეიძლება ზომების მიღება ამ მშენებლობის შესაჩერებლად, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არავის აინტერესებს. ისევე, როგორც არ აინტერებთ აფხაზეთში დარჩენილი ქართველი მოსახლეობის ბედიც და ბოლო ომის მსხვერპლთა მომავალიც. სამ-

ხრეთ ოსეთიდან ლტოლვილთა საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო ჯერ კიდევ გუშინ, მაქსიმუმ დღეს. ხვალ გვიანი იქნება, მათ უკვე დასაბრუნებელი აღარ ექნებათ.

სამხედრო მოქმედებების განახლება ნაკლებად სავარაუდოა. რუსეთს ეს არ სჭირდება, აფხაზებმა და ოსებმა თავიანთი პრობლემები უკვე მოაგვარეს. არსებობს თეორიული ალბათობა იმისა, რომ საქართველოს მმართველ დაჯგუფებას არ მოუნდეს სრულ ბანკროტად წასვლა – არჩევნების შედეგების მიხედვით და ერის სტვენის ხმის ქვეშ. მაშინ ისინი ეცდებიან, მოაწყონ რაღაც აგვისტოს ავანტიურის მსგავსი, რათა რუსები ნამდვილად შევიდნენ თბილისში, ისინი კი „დევნილი მთავრობა“ აღმოჩნდნენ. ეს უფრო საპატიოა, ვიდრე საკუთარი ხალხის მიერ გაძევება. მაგრამ საქმე ისაა, რომ ამერიკელებს ხელს არ აძლევთ რუსეთის მიერ მთელი საქართველოს ოკუპაცია და ასეთი „თვითშემოქმედებისთვის“ მათ შეუძლიათ, არ მიიღონ თავისი მფარველობის ქვეშ ეს „მთავრობა“. ასეთ შემთხვევაში რუსები მათ იპოვიან, დააპატიმრებენ და გაასამართლებენ, როგორც სამხედრო დამნაშავეებს. ვფიქრობ, ჩვენს მთავრობას ეს ესმის და ამიტომ აფხაზური და ოსური მიმართულებით ახალი ომის რეალურ წინაპირობებს ვერ ვხედავ.

ახალი „ხუთდღიანი ომი“, ახალი ლტოლვილები და ისტორიული ტერიტორიების დაკარგვა ჩვენ გვემუქრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აშშ, თურქეთი და რუსეთი ყარაბაღის პრობლემის მოგვარების ფარგლებში ერთ–ერთი მხარის კომპენსაციის შესახებ ქართული ტერიტორიის ხარჯზე მოილაპარაკებენ. ეს იქნება დიდი უბედურება. სამწუხაროდ, ამ საფრთხის ნეიტრალიზაციისთვის სახელმწიფო დონეზე არავინ მუშაობს.

— ოპოზიციის წარმომადგენლები, რომლებმაც აგვისტოს დღეებში ხელისუფლების კრიტიკაზე მორატორიუმი გამოაცხადეს, დღეს ხელისუფლების შეცვლის

აუცილებლობაზე საუბრობენ, მათ შორის უმეტესად ისევ ის სახეები არიან, ვინც სხვადასხვა დროს სააკაშვილის გუნდის ბირთვს წარმოადგენდნენ ან გუნდს გარეთ იყვნენ, მაგრამ ყველა პრინციპულ საკითხზე კვერს უკრავდნენ ხელისუფლებას...

— სწორედ ამ სახეების გარშემო აპირებენ ამერიკელები კონტროლირებადი პოლიტიკური ძალების, მედიის კონცენტრაციას, ფინანსების აკუმულირებას. განმეორდება ის სცენარი, რომლითაც 2003 წელს ხელისუფლებაში სააკაშვილი, ჟვანია და ბურჯანაძე მოვიდნენ. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ისინი ყველაფერს სააკაშვილის „ავანტიურიზმსა“ და „ვოლუნტარიზმს“ გადააბრალებენ და „ახალი საქართველოს“ აღმშნებელობას გამოაცხადებენ. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხსენებაც არ იქნება.

— რა როლი ეკისრება ასეთ ვითარებაში ქართულ საზოგადებას და საერთოდ, რას იტყვით ქართულ-რუსული ურთიერთობების პერსპექტივაზე, ამ ურთიერთობების მოწესრიგების მნიშვნელობაზე საქართველოსთვის?

— ქართული საზოგადოება ქართველი ხალხის ეროვნულ ინტერესებზე უნდა იყოს ორიენტირებული. ამისთვის იგი უნდა შედგეს, როგორც ეროვნული საზოგადოება, გახდეს ერთიანი ეროვნული ორგანიზმი და დაიწყოს დამოუკიდებლად აზროვნება. ასეთი საზოგადოება შეძლებს ეროვნული იდეის გენერირებასაც, ერის ფართო მასების გაერთიანებასაც იდეის გარშემო და ეროვნული პოლიტიკური ძალის ჩამოყალიბებასაც, რომელიც შეძლებს ძალაუფლების განხორციელებას ერისა და სახელმწიფოს ინტერესებში. ჩვენ რომ ასეთი საზოგადოება გვყავდეს, ტერიტორიის პრობლემა არ იქნებოდა, ვიცხოვრებდით მეგობრულად განწყობილი ერების გარემოცვაში, ვიქნებოდით ეკონომიკურად განვითარებული კომფორტული სახელმწიფო, მეტიც, გავხდებოდით მთელი ევრაზიული

სივრცის ინტელექტუალური და სულიერი ცენტრი, ცივილიზაციათაშორისი, ერთაშორისი, კონფესიათაშორისი, კულტურათაშორისი კავშირებისა და ურთიერთობების თავისებური ლაბორატორია. საქართველოს ამის ისტორიული წინაპირობები აქვს. ზუსტად ამით უნდა იყოს საქართველო მთელ მსოფლიოში ცნობილი და არა კონფლიქტებით, ომებით, ლტოლვილებით, რითაც ასე ამაყობს დღევანდელი ხელისუფლება.

რაც შეეხება რუსეთთან ურთიერთობებს, არასრული ორი ათწლეულის მანძილზე ჩვენმა მთავრობამ თითქოს შეგნებულად, თანმიმდევრულად და მიზანმიმართულად დაკარგა ყველა პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურულ-ისტორიული არგუმენტიც კი ურთიერთსასარგებლო გადაწყვეტილებების მისაღწევად. დღეს არც დიალოგის არგუმენტებია და არც დიალოგი. ნეიტრალიტეტის იდეაც კი რუსეთში უკვე აღარავის აინტერესებს. მიუხედავად ამისა, რუსეთთან ურთიერთობების აღდგენას ალტერნატივა არ აქვს. რუსეთთან ურთიერთობაზეა ძველებურად დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკაც, მოქალაქეთა მატერიალური კეთილდღეობაც და, რაც მთავარია, საქართველოს მომავალი დაშლის ალბათობაც, საქართველოს სახელმწიფოებრიობის მომავალი. მაგალითად, მეგობრულ საქართველოს რუსეთი თურქეთს არ გაუყოფს, ხოლო მტრულად განწყობილ საქართველოს გაყოფს. გაიხსენეთ თურქეთის პრემიერის — ერდოღანის მყისიერი ვიზიტი მოსკოვში აგვისტოს ომის დაწყებისთანავე.

და კიდევ — ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ პუტინის გუნდი რუსეთის ხელისუფლებაში კიდევ მინიმუმ 20 წელი იქნება. ამ პერიოდში მსოფლიოში სერიოზული ცვლილებები განხორციელდება, რომელთა შედეგადაც კავკასიაში ამერიკელების ყოფნისგან მხოლოდ მოგონებები დარჩება, ხოლო ქართველი ერისა და ქართული სახელმწიფო-

ებრიობის ბედი გადაწყდება მოსკოვში, კარგი იქნება, თუ სტამბოლის მონაწილეობის გარეშე...

— ცნობილია, რომ მოსკოვის მიერ აფხაზეთისა და ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების მიუხედავად, რუსეთის საპატრიარქო ამ ტერიტორიას საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ნაწილად აღიარებს. მალე რუსეთს ახალი პატრიარქი ეყოლება — შეიცვლება თუ არა რუსეთის საპატრიარქოს მიდგომა?

— თუ პატრიარქი მიტროპოლიტი კირილი გახდება, მაშინ ალექსი მეორის პოლიტიკა გაგრძელდება. მე ვიცნობ ამ ადამიანს. ის ძალიან ჭკვიანი, ღრმად განათლებული პიროვნებაა, მაგრამ უფრო პოლიტიკოსია, ვიდრე სასულიერო პირი. ეს ჩვენთვის კარგია.

ამავე დროს უნდა გვესმოდეს, რომ არსებული ვითარება უსასრულოდ ვერ გაგრძელდება. ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ უნდა დაამყაროს პირდაპირი კონტაქტები აფხაზ სასულიერო პირებთან, გააქტიუროს თავისი საქმიანობა ამ მიმართულებით. იქ არის მრევლი, რომელსაც სჭირდება მოძღვრები, იქ ჩვენი წმინდა ტაძრებია, რომლებშიც მსახურება უნდა ტარდებოდეს. ილორში, მოქვში, ახალ ათონში უნდა ისმოდეს ქართული ლოცვა და ჩვენი ეკლესია ვალდებულია, ამას მიაღწიოს. მოძღვარი თავის მრევლთან ერთად უნდა იყოს. თუ ეკლესიის იერარქებს იმედი აქვთ, რომ საქართველოს მთავრობა ხვალ-ზეგ გადაწყვეტს პოლიტიკურ პრობლემას და მათ აფხაზეთში დაპატიჟებენ, მაშინ ეს ცრუ იმედებია. მე, სხვათა შორის, არაერთხელ მისაუბრია აფხაზი მღვდელმსახურების ხელმძღვანელ მამა ბესარიონთან (ფილია). ეს არის ადამიანი, რომელიც ნორმალურად აზროვნებს, მზადაა კონტაქტებისთვის, სხვათა შორის, ძალიან დიდ პატივს სცემს ილია მეორეს.

— ობამას ადმინისტრაცია სააკაშვილის ხელისუფლებას ისე არ სწყალობს, როგორც ბუშის ადმინისტრაცია

სწყალობდა. არის თუ არა მოსალოდნელი, რომ მისმა ადმინისტრაციამ ხელი შეუწყოს 8 აგვისტოს ავანტიურის შედეგად სრულად გაკოტრებული სააკაშვილის ხელისუფლების შეცვლას?

— ობამა დაკავებული იქნება ამერიკული ეკონომიკის გადარჩენით. ჩვენ იმაზე კი არ უნდა ვიფიქროთ, თუ რას გააკეთებს ობამა, არამედ იმაზე, თუ რა უნდა გავაკეთოთ ჩვენ საკუთარი ერის გადარჩენისთვის. უპირველეს ყოვლისა, უნდა გავთავისუფლდეთ მონური, კოლონიური ფსიქოლოგიისგან — როდესაც მონა მორჩილებით ელის, თუ რას უზამს პატრონი — ბატონი ობამა. ეს პირველი. მეორე — ყველანაირად უნდა ვცადოთ, დავარწმუნოთ პრეზიდენტი ქვეყნის ინტერესებში დამოუკიდებელი მოქმედებების აუცილებლობაში. მას, მე მგონი, უნდა ესმოდეს, რომ რისკავს, შევიდეს ისტორიაში შევარდნაძეზე უარესი სახელით. რამდენიმე წლის შემდეგ არავის ეხსომება იმ ლეკვების გვარები, რომლებიც დღეს პარლამენტში და ტელეგადაცემებში წკავწკავებენ, პრეზიდენტი კი ემახსოვრებათ. საქართველოს მდგომარეობა დღითიდღე უარესდება. შეიძლება ოპოზიციას ეს ახარებს კიდეც, რადგანაც იგი ხელისუფლების შეცვლას ვარაუდობს, მაგრამ მე ეს ძალიან მადარდებს. ჩვენ შეიძლება საბოლოოდ დავკარგოთ საქართველოს აღორძინების პერსპექტივა. გაზაფხულზე არანაირი ხელისუფლების ცვლა არ მოხდება, ხოლო თუ მოგვიანებით მოხდება, პრინციპულად არაფერი შეიცვლება. ახალი მოლაპარაკე თოჯინა ყველაფერს მიშას მიაწერს. მიშა კი ვერავის გადააბრალებს, მას ერთადერთი გამოსავალი აქვს — ეცადოს რამის გამოსწორებას. ამიტომ მიშა, თუ იგი გონს მოუხმობს, დღეს უფრო საჭიროა, ვიდრე ახალი მარიონეტი. საქართველოს დროის კატასტროფული დეფიციტი აქვს. მესამე, რაც ძალიან მაწუხებს: ბოლო დროს პრესაში და კერძო საუბრებშიც სულ უფრო ხშირად მესმის ფრაზა: „მრცხვენია, რომ

ქართველი ვარ“. მესმის, რომ შევარდნაძე-სააკაშვილის მმართველობის წლებმა ჩვენს ხალხს დაუმსხვრია ის ნათელი იმედები და ფერადი ოცნებები, რომლებითაც საქართველო 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისში იყო შეპყრობილი. რასაკვირველია, სირცხვილია, რომ 20 წლის მანძილზე ჩვენ ვერ გავხდით შემდგარი სახელმწიფო, სუვერენული, დამოუკიდებელი ქვეყანა. სირცხვილია და მტკივნეულია, რომ ჩვენ ყველა ომი წავაგეთ, რომ დამარცხებული, დანაწევრებული და დამცირებული ვართ. მაგრამ იყო ქართველი — ეს ნიშნავს ეკუთვნოდე ქართველ ერს. ერი კი მხოლოდ დღევანდელი თაობა არ არის. ერი არის ჩვენი ხალხის წარსული, ახლანდელი და მომავალი თაობების ერთიანობა. შეიძლება გვრცხვენოდეს საკუთარი თავის, საკუთარი თაობის, მაგრამ ჩვენ არ გვაქვს არანაირი საფუძველი, რომ გვრცხვენოდეს ჩვენი წინაპრების და მითუმეტეს — შთამომავლების გამო. ჩვენმა მამებმა და პაპებმა იცხოვრეს ღირსეული ცხოვრებით და მშვენიერი ქვეყანა დაგვიტოვეს. ჩვენ სისუსტითა და სისულელით აღმოვჩნდით გარედან თავსმოხვეული ცარიელი, დემაგოგიური იდეებისა და ცრუ იდეალების ტყვეობაში და დავღუპეთ ჩვენი სამშობლო. მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს შანსი, გადავარჩინოთ იგი, თუ გამოვავლენთ ეროვნული ერთიანობისა და დამოუკიდებლად აზროვნების უნარს. მაშინ შევძლებთ დავუტოვოთ ჩვენს შვილებს მეტ-ნაკლებად იმის მსგავსი ქვეყანა, როგორიც ჩვენი მამებისგან მივიღეთ.

გაზეთი „ალია“,
2008 წ., დეკემბერი

2009 წ., ივლისი

«არ ვიცი, კიდევ რა უნდა მოხდეს საქართველოში ისეთი, რომ დავრწმუნდეთ: გზა, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ შევარდნაძის დროიდან აირჩია, არის დამღუპველი»

— ბატონო ალექსანდრე, საქართველოში აქტიურად საუბრობენ იმის შესახებ, რომ რუსეთისგან მოსალოდნელია ახალი აგრესია. ეს დაადასტურა რუსმა ექსპერტმა ფელგენგაუერმაც. თქვენი აზრით, მოსალოდნელია თუ არა ისევ ომი?

— ჩვენი უბედურება ის არის, რომ ფელგენგაუერისნაირ ექსპერტებს ვუსმენთ და არასწორი დასკვნები გამოგვაქვს. რა იცის მან, რა იგეგმება რუსეთის გენშტაბში? მე ვერ ვხედავ ვერანაირ მიზეზს საომარი მოქმედებების დასაწყებად. რუსეთს დღეს არავითარი მოგება აქედან არ ექნება. არის მოსაზრება, რომ შეიძლება ომის პროვოცირება მოახდინოს საქართველოს ხელისუფლებამ იმისათვის, რომ ქვეყნიდან გაძევებულ იქნას არა ქართველი ხალხის, არამედ რუსული ჯარის მიერ და ამით მოიპოვოს წამებული, ძალით გაგდებული მთავრობის სტატუსი.

სხვა მხრივ, ომის განახლების მიზეზი არ არსებობს. ოსებმა და აფხაზებმა თავიანთი საქმე გააკეთეს. როგორც აფხაზეთიდან ვიცი, იქ ნახევრადხუმრობით ამბობენ, ორ კაცს უნდა დავუდგათ ძეგლი — ვლადისლავ

არძინბას და მიხეილ სააკაშვილსო. მათ სწორედ სააკაშვილის საშუალებით მიაღწიეს იმას, რასაც მხოლოდ ოცნებაში თუ წარმოიდგენდნენ.

— ომის განახლების მიზეზად სახელდება ის, რომ რუსეთმა საქართველოში თავის საბოლოო მიზანს ვერ მიაღწია...

— მიზანს აფხაზებმა და ოსებმა რომ მიაღწიეს, ეს ფაქტია. რაც შეეხება იმას, მიაღწია თუ არა რუსეთმა თავის მიზანს, რუსეთს არც ის ჰქონდა გამიზნული, რაც აგვისტოში მოხდა, მათი სურვილი სააკაშვილის ჩამოგდება და დაპატიმრება რომ ყოფილიყო, არ გაჩერდებოდნენ თბილისთან და ამაში ვერაფერი შეუშლიდათ ხელს.

— აპრილში მედვედევისა და ობამას შეხვედრა იგეგმება. შეიძლება წინასწარი პროგნოზი, რა დათმობებზე შეიძლება წავიდეს ამერიკა რუსეთის წინაშე საქართველოსთან დაკავშირებით?

— მე სულ ვამბობ, რომ დასავლეთი რუსეთს საქართველოს დაუთმობს მაშინ, როდესაც მას დასჭირდება, ისე, როგორც გააკეთა ეს 1921 წელს. ჩვენ გამოგვიყენებენ და პირისპირ დაგვტოვებენ მტრულად განწყობილ რუსეთთან, ამაში ჩვენ უკვე დავრწმუნდით აგვისტოში და კვლავაც დავრწმუნდებით მომავალში.

რაც შეეხება ობამასა და მედვედევის შეხვედრას, დღეს ამ ორ სახელმწიფოს — აშშ-სა და რუსეთს შორის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ამოცანები დგას, ვიდრე საქართველოა. მაგალითად, ეკონომიკური კრიზისი. ასევე აქტუალურია ირანის პრობლემა, ახლო აღმოსავლეთი. და მაინც, უპირველესი თავისტკივილი ამერიკისთვის არის ავღანეთი. ამერიკისა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრის დროს ამ საკითხებზე იქნება საუბარი და საქართველოს თემა შეიძლება გამოყენებული იქნას, როგორც ერთ-ერთი არგუმენტი ამ დიდ ვაჭრობაში. საბოლოოდ ვაჭრობა იმით დასრულდება, რომ საქართველო იქნება

მიტოვებული. მე ამაში დარწმუნებული ვარ. ახლა მოხდება ეს თუ მოგვიანებით, მნიშვნელობა არ აქვს.

ახლა კიდევ ერთი დიდი საფრთხე დგას ჩვენი ქვეყნის წინაშე. უახლოეს მომავალში შეიძლება შეიქმნას ახალი ტერიტორიული პრობლემა. ეს არის თურქეთის თემა, კერძოდ, ყარსის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული თემა.

— რაიმე ახალი ინფორმაცია გაქვთ აღნიშნულთან დაკავშირებით?

— ადრე ვთქვი, რომ **არის საშიშროება, თურქეთმა მოითხოვოს აჭარის რეალური ავტონომიის აღდგენა.** ახლა სერიოზული საუბარი და მოლაპარაკებები მიდის იმის თაობაზე, რომ რუსეთმა უარი თქვას ყარსის ხელშეკრულების გარანტის როლის შესრულებაზე. ასეთ შემთხვევაში აჭარა ძალიან სახიფათო მდგომარეობაში აღმოჩნდება. გასული წლის აგვისტოში თურქეთის პრემიერი ერდოღანი ვიზიტით გახლდათ მოსკოვში, საუბარი იყო ამ თემაზე და მაშინ ცოტა იმედგაცრუებული წავიდა, მაგრამ ერთი თვის წინ ისევ ჩამოვიდა და გაიმართა სერიოზული მოლაპარაკება. არ ვიცი, იყო თუ არა საუბრის დროს რაიმე პირობა რუსეთის მხრიდან, მაგრამ ფაქტია, რუსეთის საგარეო საქმეთა უწყებამ თურქეთს ოფიციალურად შეატყობინა, რომ არ არის გამორიცხული, რუსეთმა უარი თქვას ამ ხელშეკრულების გარანტის როლის შესრულებაზე. ამას სავალალო შედეგი შეიძლება მოჰყვეს ჩვენი ქვეყნისთვის.

როდესაც წლების წინ ვამბობდი, თუ სასწრაფოდ არ მივიღებთ ზომებს, აფხაზეთსა და სამაჩაბლოს დავკარგავთ-მეთქი, მეუბნებოდნენ, ამერიკა ამას არ დაუშვებსო. როცა მე ვამბობდი, რომ არ შეიძლება ჩვენი სამხედრო ძალა შევიდეს სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში, რადგან რუსეთი შევა და დაიცავს მათ-მეთქი, მეუბნებოდნენ, რომ ეს შეუძლებელია, რუსეთს არავინ აპატიებს

სხვა სახელმწიფოში ჯარის შეყვანასო. როდესაც ეს მოხდა და მივმართე სააკაშვილს, სასწრაფოდ შეეწყვიტა ომი და გასულიყო მოლაპარაკებაზე რუსეთთან, მითხრეს, რა დროს მოლაპარაკებაოო. როდესაც დავმარცხდით და სამაჩაბლოდან წამოვედით, ისევ მივმართე ხელისუფლებას, სასწრაფოდ უნდა შედგეს მოლაპარაკება, რომ რუსეთმა არ ცნოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა-მეთქი. საერთაშორისო თანამეგობრობა ამას არ დაუშვებს და რუსეთი ამას ვერ გაბედავსო, — იყო პასუხი. როდესაც ესეც მოხდა, ისევ მივმართე ხელისუფლებას, რომ საჭირო იყო მოლაპარაკება, რათა რუსეთს არ დაეწყო ამ ტერიტორიაზე სამხედრო ბაზების განლაგება. პასუხად ისევ მივიღე, ამერიკა ამას არ დაუშვებსო. დღეს გეკითხებით: ყველაფერი ეს ხომ მოხდა? დღეს მე ასევე სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, **ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ აჭარისა და ჯავახეთის, ასევე შიდა ქართლის აზერბაიჯანული მოსახლეობით დასახლებული რეგიონების გარშემო არ დავუშვათ სიტუაციის გართულება.**

კიდევ ერთ ინფორმაციას მოგაწოდებთ, **მარნეულში იქმნება ძალიან რთული სიტუაცია. ანკარაში ჩატარდა საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა მეექვსე ასამბლეის საერთაშორისო ფორუმი, რომელზეც პირდაპირ იყო საუბარი კონფედერაციის შექმნაზე, მოითხოვენ, რომ ეს არის მათი უფლება და ეს უფლება უნდა იყოს უზრუნველყოფილი.** მოგეხსენებათ, თუ რუსეთმა უარი თქვა ყარსის ხელშეკრულების გარანტის როლის შესრულებაზე და თუ ჩვენ დავრჩით თურქეთის ხელში, თურქეთი არა მხოლოდ აჭარას მიხედავს, არამედ მხარს დაუჭერს საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების მოთხოვნებსაც.

არ ვიცი, კიდევ რა უნდა მოხდეს საქართველოში ისეთი, რომ დავრწმუნდეთ: გზა, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ შევარდნაძის დროიდან აირჩია, არის დამღუპველი.

— ბატონო ალექსანდრე, აპრილში ოპოზიციის ნაწილი მასობრივი საპროტესტო აქციებისთვის ემზადება. ხელისუფლება ამბობს, რომ ეს შეიძლება რუსეთის მიერ ინსპირირებული იყოს ან რუსეთმა გამოიყენოს. დასაშვებად მიგაჩნიათ ასეთი რამ?

— არ ვიცი, რისთვის არის საჭირო ხელისუფლების შეცვლა, თუ არ შეიცვლება პოლიტიკური კურსი, თუ ხელისუფლებაში არ მოვა დამოუკიდებლად მოაზროვნე ეროვნული ძალა, რომელსაც შეუძლია აღადგინოს ურთიერთობები რუსეთთან. ეს არის ამერიკის მიერ მართული ოპოზიცია და, თუ დღეს ისინი ცალ-ცალკე დგანან, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ, როგორც ჩანს, ამერიკიდან ჯერ კიდევ არ არის ერთმნიშვნელოვანი მითითება სააკაშვილის შეცვლის თაობაზე.

რუსეთი ამ საშინაო კინკლაობაში არ ჩაერევა. საერთოდ, ჩვენმა პოლიტიკოსებმა და ანალიტიკოსებმა უნდა დაანებონ თავი იმის მტკიცებას, რომ ყველაფრის უკან რუსეთი დგას. უკვე იქამდე მივიდა პოლიტიკური საზოგადოების ნაწილი, რომ სააკაშვილს კრემლის აგენტად აცხადებენ და ამბობენ, რომ იგი პუტინის მითითებით მოქმედებს.

— ამ ეჭვს ბადებს საქართველოს მთელი რიგი სტრატეგიული ეკონომიკური ობიექტების რუსეთისთვის გადაცემა.

— საქმე ისაა, რომ საქართველოს ეკონომიკურ ობიექტებში ფულის გადამხდელი არავინ არის, გარდა რუსი ბიზნესმენებისა, რომელთაც მართლაც აქვთ ეკონომიკური ინტერესები საქართვე-

ლოში. ამ ხელისუფლებისთვის კი მთავარია ფული, თუმცა მე იმაშიც არ ვარ დარწმუნებული, რომ ყოველივე ამის უკან რუსი ბიზნესმენები კი არა, თავად ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები არ დგანან. ასე რომ, ყველას ვურჩევ, თავი დაანებონ რუსეთის აგენტებზე და ახალ აგრესიაზე საუბარს და მიხედონ იმ პრობლემებს, რომლებიც საქართველოს წინაშე რეალურად დგას!

გაზეთი „ასავალ-დასავალი“,
2009 წ., ივლისი

2009 წ., სექტემბერი

«სააკაშვილის სავარძელი არ შეირყა ერთი რამის გამო — ეს ოპოზიცია ისეთივე მართვადია, როგორც ხელისუფლება!»

ამ დღეებში რუსეთის პრეზიდენტმა მედვედევმა აფხაზეთისა და ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკების პრეზიდენტებს გაუგზავნა წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ რუსეთი ამ რესპუბლიკების აღიარებას უკან არასოდეს წაიღებს. იმავე დღეს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა წეროვანში ქარხნის გახსნისას აღნიშნა, რომ ის აუცილებლად აღადგენს ტერიტორიულ მთლიანობას. რომელი პრეზიდენტის სიტყვები არის სარწმუნო? — ვკითხეთ ალექსანდრე ჭაჭიას, რომელმაც გვამცნო:

— რუსეთი ამ რესპუბლიკების აღიარებას უკან არასდროს წაიღებს. ეს გამორიცხულია. სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლებას დღემდე არ აქვს გაცნობიერებული ის ელემენტარული ჭეშმარიტება, რომ ჩვენი ქვეყნის, ქართველი ერის ფიზიკური გადარჩენისთვის აუცილებელია ურთიერთობების დალაგება რუსეთთან, პირდაპირი დიალოგი აფხაზებთან და ოსებთან და ურთიერთობების მოწესრიგება კავკასიელ ხალხებთან!

როცა გასული წლის აგვისტოში ცხინვალში ომი დაიწყო, გამოვედი პრესაში და ვთქვი, რომ სასწრაფოდ უნდა შევწყვიტოთ ეს იდიოტიზმი და დავიწყოთ მოლაპარაკება. ხელისუფლებას ოპოზიციაც დაეთანხმა და ერთხმად განაცხადეს, ეს როგორ შეიძლება, ჩვენ უკვე ვიბრუნებთ ამ

ტერიტორიასო. დავმარცხდით ომში და სააკაშვილი იქიდან კურდღელივით გამოიქცა. ისევ გამოვედი და ვთქვი, სასწრაფოდ უნდა დავიწყოთ მოლაპარაკება იმისთვის, რომ ამ ტერიტორიების აღიარება არ მოხდეს-მეთქი. პასუხად მივიღე: ამის გაკეთებას რუსეთი ვერ გაბედავს, მას მთელი მსოფლიო წინ აღუდგებაო. რამდენიმე დღეში რუსეთმა მიიღო ეს გადაწყვეტილება. ამის შემდეგ მე ისევ ვუთხარი ხელისუფლებას, რომ საჭიროა მოლაპარაკება, რათა რუსებმა ამ ტერიტორიებზე სამხედრო ბაზების მშენებლობა არ დაიწყონ. პასუხად — სიჩუმე, ზოგიერთებმა დაწერეს კიდეც, რომ ჭაჭია არის მოღალატე, ქართველი პატრიოტი არასოდეს წავა მოლაპარაკებაზე, სანამ ერთი ოკუპანტი მაინც დგას ამ ტერიტორიაზეო. ახლა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში შენდება სამხედრო ბაზები. ნუთუ ახლაც ამ იდიოტურ პოზიციაზე უნდა ვიდგეთ, რომ არანაირი მოლაპარაკება არ არის საჭირო? სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: ტერიტორიული არეალის შემცირებით ჩვენი ერი ფიზიკურად ნადგურდება და ჩვენს სრულ განადგურებას სულ რაღაც 20-30 წელი სჭირდება!

დღეს ვამბობ, რომ აუცილებელია აფხაზებთან და ოსებთან უშუალო დიალოგი რუსების მონაწილეობით. საჭიროა ახალ კონფიგურაციაზე მუშაობა, ახალი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პროექტი. ეს პროექტი უნდა იყოს ეტაპობრივი და, პირველ რიგში, საკუთარ სახლებში დევნილი მოსახლეობის დაბრუნებას უნდა ითვალისწინებდეს. მოსახლეობის დაბრუნება განსაკუთრებით საჩქაროა სამაჩაბლოში, რადგან მერე გავა დრო და მოხდება ისე, როგორც აფხაზეთში მოხდა. ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია სავაჭრო-ეკონომიკური პროექტების შემუშავება. ეს პროექტები მზად არის და ჩვენ შეგვიძლია რუსეთის და აფხაზეთის ხელისუფლება ამ პროექტების აუცილებლობაში დავარწმუნოთ. მხოლოდ ამის მერე იქნება საჭირო პოლიტიკური პროექტების მომზადება. ჩვენ აფხაზეთისა და ოსე-

თის დაბრუნებაზე კი არ უნდა ვილაპარაკოთ, არამედ ჩვენს დაბრუნებაზე აფხაზეთსა და ოსეთში.

— ბატონო ალექსანდრე, მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილმა ომი წააგო, ტერიტორიები დაკარგა, ჰყავს ძალიან ბევრი უკმაყოფილო ადამიანი, იყო მრავალათასიანი საპროტესტო მიტინგები, იგი მაინც ინარჩუნებს სავარძელს, რადგან, როგორც ამბობენ, მას საერთაშორისო მხარდაჭერა აქვს...

— სააკაშვილის სავარძელი არ შეირყა ერთი რამის გამო — ეს ოპოზიცია ისეთივე მართვადია, როგორც თავად ხელისუფლება. ისინი აკეთებენ იმას, რაც ხელს აძლევს ცენტრს. ცენტრში მე ვგულისხმობ ვაშინგტონს. ვაშინგტონს საქართველოში ისეთი ხელისუფლება ურჩევნია, რომელიც მტრულად იქნება განწყობილი რუსეთისადმი და ასევე მტრულ ურთიერთობაში იქნება ყველა მეზობელთან. მე, როგორც ქართველს, მწყინს, რომ ასეთ დღეშია საქართველო, მაგრამ ამერიკას არ ვამტყუნებ, ამერიკა თავისი გეოპოლიტიკური ინტერესების განხორციელებაზე მუშაობს და სააკაშვილს აკეთებინებს იმას, რაც მას სჭირდება.

აქვე ვიტყვი ერთ რამესაც: რუსეთში არიან ისეთი პოლიტიკური წრეები, რომლებიც წლების განმავლობაში ცდილობდნენ, მიეღწიათ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებისთვის, ისინი ამბობდნენ და ამბობენ, რომ საქართველოს შემდგომი დაშლა გარდაუვალია. სააკაშვილი და ეს ხელისუფლება მათ, რა თქმა უნდა, ხელს აძლევს. სამწუხარო ისაა, რომ ის პოლიტიკური ფრთა, რომელიც სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების კატეგორიული წინააღმდეგი იყო, უკვე ჩვენ მიმართ მტრულად არის განწყობილი!

— პუტინი რომელი ფრთის წარმომადგენელი იყო?

— პუტინი გახლდათ სწორედ იმ ფრთის წარმომადგენე-

ლი, რომელიც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების კატეგორიული წინააღმდეგი იყო! პუტინს არაერთხელ უთქვამს და მე თავად ვარ ამის მოწმე, რომ ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ ვაღიარებთ ამ ტერიტორიების დამოუკიდებლობას. მოვა დრო, ხელისუფლება შეიცვლება და ქართველები მიხვდებიან, რომ ეს გზა დამღუპველია მათთვისო. პუტინის ამ განცხადებებმა მაშინ მოსკოვში, ანტიქართულ ფრთაში, დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, მაგრამ ჩვენ ისე გავაკეთეთ, რომ ეს კეთილად განწყობილი ფრთაც ჩვენი მტერი გახდა. სხვათა შორის, თავის დროზე, როცა სააკაშვილი პრეზიდენტი გახდა, პუტინმა ძალიან კარგად მიიღო იგი. მაშინ მან ვიწრო წრეში თქვა კიდეც, ამ კაცმა ნორმალური შთაბეჭდილება დატოვა და მგონი, ყველაფერი კარგად იქნებაო, მაგრამ მოკლე ხანში სააკაშვილმა განაცხადა, საქართველო უნდა შევიდეს ნატოში და ნატოს ბაზები საქართველოში განვალაგოთო.

— პუტინთან შეხვედრის დროს სააკაშვილს ეს არ უთქვამს?

— რა თქმა უნდა, არა! პირიქით, იგი პუტინს დაჰპირდა, რომ საქართველო ნატოში არ შევიდოდა. ამიტომაც ვამბობ, ქვეყნის სათავეში უნდა იყოს დამოუკიდებელი, ეროვნული ადამიანი, რომელიც ყოველთვის მონახავს საერთო ენას სხვა ქვეყნის ეროვნულ ხელისუფლებასთან.

— მედვედევი აფხაზეთისა და ოსეთის აღიარების მომხრე იყო?

— მედვედევი აფხაზეთისა და ოსეთის აღიარების საკითხში აბსოლუტურად ეთანხმებოდა პუტინს. სამწუხაროდ, ახლა მოსკოვში ისეთი სოლიდური ჯგუფი, რომელიც შეიძლება ჩვენს სასიკეთოდ გამოვიყენოთ, აღარ დარჩა.

— აგვისტოს ომთან დაკავშირებით ველოდებით ტალიავინის კომისიის დასკვნას. არის პროგნოზები, რომ ეს დასკვნა სააკაშვილის გადადგომისა და პასუხისმგებლობის საკითხის დაყენების საფუძველი გახდება, თუმცა,

არის საწინააღმდეგო პროგნოზიც — ტალიავინის კომისია რუსეთის ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხს დააყენებს...

— თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ რუსეთის ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება? როგორ უნდა აგოს პასუხი რუსეთის ხელმძღვანელობამ, გნებავთ, ტალიავინის, გნებავთ, ეუთოს, გნებავთ, გაეროს წინაშე? ტალიავინის კომისია, გაერო და მათი რეზოლუციები მუშაობს პატარა, სუსტი ქვეყნებისთვის. ვის სმენია თანამედროვე მსოფლიოში დიდი სახელმწიფოების დასჯა? შეიძლება ქართველი მინისტრები და დეპუტატები ეუბნებიან ხალხს, რომ ჩვენ დავსჯით, ციხეში ჩავსვამთ პუტინს და მედვედევსო, მაგრამ ეს ხომ სასაცილოა!

რაც შეეხება ამ კომისიას, კარგი, ვთქვათ, მან გამოიტანა დასკვნა, რომ სააკაშვილი სამხედრო დამნაშავეა, იგი დაიჭირეს და ჩასვეს ციხეში. არა მგონია, რომ ასე მოხდეს, მაგრამ დავუშვათ, ასე მოხდა. მერე ამით რა ეშველება საქართველოს? სააკაშვილის ადგილს დაიკავებს ოპოზიცია, რომელიც ზუსტად იმასვე მოიმოქმედებს როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში. ქვეყნისთვის ამით არაფერი შეიცვლება, პირიქით, სააკაშვილმა, თავისი არაადეკვატურობიდან გამომდინარე, შეიძლება, ზოგჯერ მოულოდნელად ქვეყნისთვის სასიკეთო გადაწყვეტილებაც კი მიიღოს. მის შემცვლელებად მოაზრებულ ადამიანებთან მიმართებაში კი ეს გამორიცხულია. ისინი ზუსტად, სკრუპულოზურად შეასრულებენ იმ ინსტრუქციას, რომელიც მიღებული იქნება აშშ-დან.

— პოლონეთში, ევროპელ ლიდერებთან შეხვედრის დროს პუტინმა გააკრიტიკა და ამორალური უწოდა მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტს, რომელსაც 1939 წელს მოეწერა ხელი და რომელსაც ჰიტლერისა და სტალინის მიერ აღმოსავლეთ ევროპის გაყოფა მოჰყოლია. ნიშნავს თუ არა პუტინის ეს დიპლომატიური ჟესტი იმას, რომ

რუსეთი სტალინის ეპოქის კარდინალურ გადახედვას იწყებს და ითამაშა თუ არა ამ განცხადებაში როლი იმან, რომ სტალინი ქართველი იყო?

— სტალინი რომ ქართველი იყო, ამას რუსებისთვის, კარგა ხანია, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. სტალინის ეპოქის კარდინალური გადახედვა უნდა მოხდეს, მაგრამ მხოლოდ დადებითი მხარისკენ. ბოლო ორი წელიწადია, რუსეთში ამ მიმართულებით ვითარება გამოსწორდა. მე კატეგორიულად არ ვეთანხმები პუტინს იმაში, რომ მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი იყო ამორალური. არაფერი ამორალური ამაში არ ყოფილა. მიმაჩნია, რომ მან ზედმეტი რევერანსი გაუკეთა პოლონელებს. იმ პოლიტიკურ ვითარებაში, რომელიც მაშინ მსოფლიოში სუფევდა, ყველაზე მორალურად სწორედ სტალინი იქცეოდა და, როცა მორალზე ვლაპარაკობთ, ისიც გავიხსენოთ, თუ რა გააკეთეს ინგლისელებმა და ფრანგებმა ჩეხოსლოვაკიასთან მიმართებაში. გერმანელებთან ერთად პოლონელებიც შევიდნენ ჩეხოსლოვაკიაში და მიითვისეს ერთი ოლქი. ეს იყო მოლოტოვის პაქტამდე და, თუ ამას გავიხსენებთ, მივხვდებით, რომ ევროპისა და ევროპული პოლიტიკის მიმართ ყველაზე მორალურად სტალინი იქცეოდა. საერთოდ, სტალინის როლი, არა მხოლოდ რუსეთში, არამედ მთელ მსოფლიოში ექვემდებარება გადახედვას. დარწმუნებული ვარ, ჩვენ მალე გავხდებით მოწმენი იმისა, რომ სტალინის მოღვაწეობას სრულიად ახალი შეფასება მიეცემა და ჩემთვის მით უფრო სამწუხაროა, რომ საქართველოში აღმოჩნდნენ ვიგინდარები, რომლებიც სტალინის ძეგლის აღებას მოითხოვენ. ასეთი მაიმუნები ყველგან არიან, მაგრამ სამწუხარო ისაა, რომ საქართველოში მათ სრული კარტ-ბლანში აქვთ. ისტორია მალე მოიშორებს ამ ქაფს და ყველა მიიღებს იმ შეფასებას, რომელსაც რეალურად იმსახურებს!

გაზეთი „ასავალ-დასავალი“,
2009 წ., სექტემბერი

2010 წ., მარტი

«როცა ამერიკელებმა ნაციონალები მოიყვანეს ხელისუფლებაში, ისიც გადაწყვიტეს, ვინ უნდა ყოფილიყო მათი ოპოზიცია!»

ზურაბ ნოღაიდელისა და ნინო ბურჯანაძის მოსკოვური ვიზიტების კვალდაკვალ ვესაუბრებით ქართველ პოლიტიკოსს ალექსანდრე ჭაჭიას:

— მე ყოველთვის ვიყავი იმის მომხრე, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის დამყარებულიყო ნორმალური ურთიერთობები და ყოველთვის ვთავაზობდი საქართველოს ხელისუფლებას სხვადასხვა პროექტს ამ ურთიერთობის დასარეგულირებლად, მაგრამ ეს არც შევარდნაძეს აინტერესებდა და არც სააკაშვილს. ისინი ყოველთვის ატარებდნენ იმ პოლიტიკას, რომელსაც ამერიკელები კარნახობდნენ და, სამწუხაროდ, ამ პოლიტიკის შედეგად საქართველო ვერა და ვერ გახდა საკუთარი ეროვნული ინტერესების მქონე დამოუკიდებელი ქვეყანა.

საქართველოსა და რუსეთს შორის რომ ნორმალური ურთიერთობები დამყარდეს, ამით საქართველოს ხელისუფლება უნდა იყოს დაინტერესებული, რადგან ოპოზიციონერი პოლიტიკოსები საქმის გამკეთებლები არ არიან. მე, საერთოდ, არ მჯერა, რომ ისეთი სოლიდური და გამოცდილი ხალხი, როგორებიც არიან ბურჯანაძე და ნოღაიდელი, ასე უცებ იცვლიან თავიანთ მსოფლმხედველობას. მე ამას ეჭვის თვალით ვუყურებ!

— რატომ, ბატონო ალექსანდრე?

— ყველამ იცის, რომ ნოღაიდელიც და ბურჯანაძეც საქართველოს ნატოში შესვლისა და რუსეთისგან დისტანცირების აქტიური მომხრეები იყვნენ და, უცებ რომ შეიცვალეს პოზიცია, ეს ჩემთვის ნაკლებად დამაჯერებელია.

ნოღაიდელი სააკაშვილის ხელისუფლების პრემიერ-მინისტრი იყო, ბურჯანაძე კი — პარლამენტის თავმჯდომარე და, როცა შეეძლოთ, არაფერი გაუკეთებიათ რუსებთან, აფხაზებთან, ოსებთან ურთიერთობების მოსაგვარებლად.

თუმცა არის ერთი ფაქტორიც: ესენი ყველანი ბატონი შევარდნაძის მოწაფეები არიან და ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ ბატონი შევარდნაძე 60 წლის ასაკში ორთოდოქსი კომუნისტიდან კაპიტალიზმის აქტიურ მშენებლად გადაიქცა, 65 წლის ასაკში მებრძოლი ათეისტიდან მორწმუნე მართლმადიდებელ ქრისტიანად იქცა! შევარდნაძისთვის მზე ხან დასავლეთიდან ამოდიოდა, ხან — ჩრდილოეთიდან... ასე რომ, მოწაფეებსაც შეიძლება ახასიათებდეთ პოზიციებისა და მრწამსის ხშირი ცვლა. ეს, რა თქმა უნდა, ნახევრად ხუმრობით. ისე კი, მივესალმები იმას, რომ ქართველი პოლიტიკოსები ხვდებიან, რომ დღეს საქართველოს ეროვნული ინტერესი არის ქართველი ერის გადარჩენა და საქართველოს ხსნა საბოლოო დაშლისგან!

— თუმცა რუსეთთან ურთიერთობების დამყარების ნებისმიერ მცდელობას სააკაშვილის ხელისუფლება კოლაბორაციონიზმს და სამშობლოს ღალატს უწოდებს.

— სამშობლოს მოღალატე არის ის, ვინც რუსეთთან ომი დაიწყო და წააგო, ვინც დაკარგა ჩვენი ისტორიული ტერიტორიები, ვინც დაახოცვინა ჩვენი თანამემამულეები. აი, ისინი არიან სამშობლოს გამყიდველები!

— ბატონო ალექსანდრე, ბოლო პერიოდში ქართველ საზოგადოებასა და პოლიტიკურ სპექტრში ძალიან გავრცელდა საქართველოს ნეიტრალიტეტის იდეა...

— მე ვიყავი ერთ-ერთი პირველი, რომელმაც ეს იდეა გამოვთქვი. მაშინ ვამბობდი, რომ ნეიტრალიტეტი არის ის გზა, რომლითაც ჩვენ შეგვიძლია აღვადგინოთ ტერიტორიული მთლიანობა. ის პოლიტიკოსები, რომლებიც დღეს აღიარებენ, რომ ნეიტრალიტეტი ხსნა არის საქართველოსთვის, მაშინ მე მოღალატეს და კრემლის აგენტს მეძახდნენ. დღეს კი მინდა მათ ვუთხრა: ნეიტრალიტეტი საქართველოსთვის ხსნა იყო მაშინ, როცა მე ამას ვამბობდი, მაგრამ აგვისტოს ომის შემდეგ ამ მატარებელმა ჩაიარა და დღეს არანაირი ნეიტრალიტეტი აღარ გვიშველის, ამ თემაზე ლაპარაკი ძალიან დაგვიანებულია!

საქართველოში მე ჯერჯერობით, სამწუხაროდ, ვერ ვხედავ ჩამოყალიბებულ ეროვნულ ძალას, რომელიც მართლა საქართველოს ეროვნული ინტერესებისთვის იბრძვის. ყველა იბრძვის საკუთარი სკამისთვის და საკუთარი ადგილისთვის.

— ბატონო ალექსანდრე, როგორ ფიქრობთ, დღეს იმ პოლიტიკოსებისთვის, რომლებსაც ხელისუფლებაში მოსვლა სურთ, კრემლთან კონტაქტი და ურთიერთობები აუცილებელია? ანუ საქართველოს ხელისუფლებაში მოსასვლელი გზა დღეს მოსკოვზე გადის?

— დღეს საქართველოს ხელისუფლებაში მოსვლა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ამერიკისთვის ხარ მისაღები. უარი უნდა თქვა საქართველოს ეროვნულ ინტერესებზე, მზად უნდა იყო, რომ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტიდან წამოსული ყველა ბრძანება შეასრულო, შენთვის მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, ეს შენი ქვეყნისთვის საზიანო იქნება თუ არა და მხოლოდ ამ შემთხვევაში მოხვალ ხელისუფლებაში. სწორედ ასეთი დაჯგუფება არის საქართველოს ხელისუფლებაში დღეს.

ავიღოთ შევარდნაძის მაგალითი. მთელი იმ წლების განმავლობაში, რაც შევარდნაძე ხელისუფლებაში იყო, სულ აცხადებდა, რომ აი, ორ-სამ წელიწადში აფხაზეთს დავიბრუნებთო, მაგრამ დღეს, როცა ხელისუფლებაში აღარ არის, პირდაპირ აცხადებს, რომ აფხაზეთის დაბრუნება შეუძლებელია, ანუ შევარდნაძე მთელი ამ წლების განმავლობაში შეგნებულად ატყუებდა ხალხს. ეს პრაქტიკა გაიმეორა სააკაშვილმაც. მან კარგად იცის, რომ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნება პროამერიკული პოლიტიკით შეუძლებელია, მაგრამ ხალხს ატყუებს, დავიბრუნებთო!

ხალხს ატყუებს ის ჯგუფიც, რომელსაც ახლა ამერიკელები ამზადებენ ხელისუფლებაში მოსაყვანად. ეს ჯგუფი ხალხს ეუბნება, რომ საქართველო უნდა შევიდეს ნატოში და მერე ნატო საქართველოს დაუბრუნებს აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს! თვითონ ამ ადამიანებმა კარგად იციან, რომ ეს არის უსინდისო ტყუილი, მაგრამ მაინც ლაპარაკობენ ამას, რადგან ეს არის ამერიკის მითითება.

დღეს იმაზე ლაპარაკი, რომ საქართველოს საერთოდ ოდესმე მიიღებენ ევროკავშირში, დიდი სიცრუე და ხალხის უსინდისოდ მოტყუებაა!

— ზემოთ ახსენეთ, ამერიკელები საქართველოს ხელისუფლებაში მოსაყვანად ახალ ჯგუფს ამზადებენო. რომელ ჯგუფს გულისხმობთ?

— მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ჯგუფი უკვე ჩამოყალიბების პროცესშია. ამერიკელები საქართველოში ნიშნავენ არამარტო ხელისუფლებას, არამედ ოპოზიციასაც. ისინი წყვეტენ, ვინ უნდა იყოს საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციაში. როცა ამერიკელებმა „ნაციონალები“ მოიყვანეს ხელისუფლებაში, ისიც გადაწყვიტეს, ვინ უნდა ყოფილიყო პარლამენტში და პარლამენტს გარეთ!

— როგორ ფიქრობთ, რუსეთი რა როლს ითამაშებს საქართველოში ახალი ხელისუფლების მოსვლაში?

— იცით რა, მე ვერ ვხედავ რუსეთის ხელისუფლების დაინტერესებას იმაში, რომ მონაწილეობა მიიღოს საქართველოს შიდა პოლიტიკურ ცხოვრებაში. ის, რომ რუსეთში ამ ბოლო დროს იღებენ და ხვდებიან ქართველ ოპოზიციონერებსა და კულტურის წარმომადგენლებს, კეთდება იმისთვის, რომ რუსეთის ხელისუფლებამ, პირველ რიგში, რუს საზოგადოებას აჩვენოს, ჩვენ არ გვინდა ურთიერთობა საქართველოს ხელისუფლებასთან, მაგრამ გვინდა ურთიერთობა ქართველ ხალხთანო.

საქართველოს, როგორც ქვეყანას, როგორც სახელმწიფოს, რუსეთისთვის დიდი მნიშვნელობა აღარ აქვს. რაც რუსეთისთვის მნიშვნელოვანი იყო, უკვე მიიღო — კონტროლი აფხაზეთზე, დანარჩენი კი რუსეთისთვის მნიშვნელოვანი არ არის. აი, ეს აზრია გაბატონებული რუსეთის პოლიტიკურ წრეებში.

გაზ. „ასავალ-დასავალი“
2010 წ., მარტი

2010 წ., ოქტომბერი

«ის, რომ საკაშვილის რეჟიმი უსისხლოდ არ წავა, მათ მიერვე შემოგდებული მითია! ესენი სისხლის დამღვრელები არ არიან!»

— ბატონო ალექსანდრე, ჟენევის მოლაპარაკებებზე გადაწყდა, რომ რუსეთმა საჩხერის რაიონის სოფელ პერევიდან საოკუპაციო ჯარი უნდა გაიყვანოს, თუმცა საკაშვილის ხელისუფლებას ეს ჯერჯერობით არ გამოუცხადებია თავის დიდ გამარჯვებად. თქვენ როგორ უყურებთ პერევიდან რუსული ჯარის გასვლის საკითხს?

— სოფელ პერევში რუსეთის ჯარი იდგება თუ არა, ამას პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს და ტყუილად ნუ ეცდებიან, რომ ეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისკენ წინგადადგმულ ნაბიჯად გამოაცხადონ. საერთოდ, უმჯობესია, საქართველოს ხელისუფლება გაჩუმდეს და ამ საკითხებზე არაფერი თქვას, თორემ ჩვენ გვახსოვს, რა მოჰყვა ამათ ბაქიბუქსა და ლაყბობას.

— პერევიდან გასული რუსეთის ჯარი საკაშვილმა უკან რომ შემოაბრუნა, ამას გულისხმობთ?

— დიახ, საქართველოს პატრიარქის თხოვნით, რუსეთმა პერევიდან ჯარი გაიყვანა, ხელისუფლებამ კი ერთი ამბავი ატეხა, გავიმარჯვეთ, რუსეთმა უკან დაიხია, მსოფლიო მხარს გვიჭერსო და ა.შ. მეორე დღეს კი გასული ჯარი ისევ უკან დაბრუნდა — პერევში. აი, ასეთი სისულელე არ გააკეთონ კიდევ!

— საკაშვილის ხელისუფლებამ ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ რუსეთის მოქალაქეებს საქართველოში

უვიზოდ შემოსვლის და 90 დღის განმავლობაში დარჩენის ნება დართო. ამ ნაბიჯს როგორ აფასებთ და არის თუ არა ეს საქართველოსთვის რაიმე საფრთხის შემცველი?

— ეს არის მორიგი ბოდვითი, ვითომ გეოპოლიტიკური პროექტი, რომ თითქოს საქართველო უნდა გახდეს დამოუკიდებელი კავკასიის დემოკრატიული ცენტრი და ა.შ. კიდევ ვიმეორებ, ეს არის ბოდვა და ეს არის ძალიან საშიში საქართველოსთვის!

თუ ჩვენ და ჩეჩნები ან ჩვენ და დაღესტნელები კავკასიელები ვართ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქართველოს, ჩეჩნეთს და დაღესტანს ერთნაირი გეოპოლიტიკური ინტერესი გააჩნიათ. პირიქით, ჩვენ და ზოგიერთ კავკასიელ ხალხს აბსოლუტურად სხვადასხვა ეროვნული ინტერესი გვაქვს. ერთიანი კავკასიის შექმნა არის შეუძლებელი და მეტიც, თუ მსგავსი კონგლომერატი შეიქმნება კავკასიაში, ეს იქნება დამღუპველი საქართველოსთვის და ქართველებისთვის.

— რატომ იქნება დამღუპველი?

— იმიტომ, რომ ჩვენ სხვადასხვა ერი ვართ, სხვადასხვა სარწმუნოების მიმდევარი, სხვადასხვა წეს-ჩვეულების მქონე ხალხები — კავკასიელთა უზარმაზარ მასაში, რომელიც, ძირითადად, მუსლიმანებისაგან შედგება, ქართველები, უბრალოდ, დავიკარგებით. ჩვენ არ ვართ იმდენად ძლიერი ერი, რომ წინ აღვუდგეთ კავკასიელთა უზარმაზარ მასას, რომელიც იქ კი არ დარჩება, სადაც ახლა ცხოვრობს, არამედ მთელი ეს მასა წამოვა საქართველოში, ანუ ზღვისკენ და ჩვენი ადგილი საქართველოში აღარ იქნება! ქართველებს, ქართულ კულტურას, ქართულ მენტალიტეტს, მართლმადიდებლურ ეკლესიას საქართველოში ადგილი აღარ ექნება. ამიტომ ერთიანი კავკასიის შექმნა და, მითუმეტეს, მის ცენტრად საქართველოს გადაქცევა ყოვლად დაუშვებელია.

დღეს ზოგიერთ ქართველ პოლიტიკოსს ჰგონია, რომ თუ ერთიანი კავკასიის შექმნის ინიციატორი იქნება, ამით მსოფლიო მნიშვნელობის გეოპოლიტიკური პროექტის ავტორად ჩაითვლება. აი, ამ ამბიციების მსხვერპლი არ გავხდეთ ქართველები, ამის მეშინია ძალიან!

რაც შეეხება ჩრდილოეთ კავკასიასთან უვიზო რეჟიმის შემოღებას, თქვენ იცით, რომ საზღვარი ორივე მხარეს კონტროლდება და, თუ რუსებს უნდათ, გამოუშვებენ ჩრდილოკავკასიელებს საქართველოში, თუ არ უნდათ, არ გამოუშვებენ და მორჩა!

— ბატონო ალექსანდრე, 2010 წლის 15 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა ერთხმად დაამტკიცა საქართველოს ახალი კონსტიტუცია, რომელსაც ბევრი მიიჩნევს სააკაშვილისა და მისი გუნდის ხელისუფლებაში ხანგრძლივად დარჩენისთვის დაწერილ პროექტად. ამასთან დაკავშირებით რას იტყვით?

— მე ვეთანხმები იმ ექსპერტებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ეს კონსტიტუციური ცვლილებები ხელისუფლებაში სააკაშვილის ხანგრძლივად დარჩენისთვის არის მიღებული. დიახ, ეს ასეა და ეს არის ამ კონსტიტუციური ცვლილებების უმთავრესი მიზეზი და მიზანი.

საერთოდ, საქართველოში კონსტიტუციას დიდი მნიშვნელობა არც ადრე ჰქონდა და არც დღეს აქვს. როდესაც შევარდნაძეს ეკითხებოდნენ, რა სიკეთე გაგიკეთებიათ ქვეყნისთვისო, ის, პირველ რიგში, ამბობდა, კონსტიტუცია მივიღეთო. მე ამაზე ყოველთვის მეცინებოდა. კონსტიტუციის მიღება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ქვეყანა დემოკრატიულია და წინ მიდის. არსებობს ქვეყნები, რომლებშიც დაწერილი კონსტიტუცია საერთოდ არ არსებობს, მაგრამ მშვენიერი, მდიდარი და დემოკრატიული ქვეყნებია.

დღეს საქართველოში ისეთი ხელისუფლებაა, რა კონსტიტუციაც არ უნდა მივიღოთ, მაინც იგივე პოლიტიკა

გაგრძელდება. ამიტომ იმის მტკიცება, რომ, სანამ ეს რეჟიმი ქვეყნის სათავეშია, ახალი კონსტიტუცია რამეს შეცვლის, არის აბსურდი და მეტი არაფერი!

— ქართული ოპოზიციის მოქმედებასა თუ უმოქმედობასაც, ალბათ, თვალს ადევნებთ. რას იტყვით, ეშველება რამე ჩვენს ოპოზიციას?

— მე ყოველთვის პესიმისტურად ვუყურებდი ქართულ ოპოზიციურ სპექტრს. დღეს საქართველოში არ არსებობს კლასიკური გაგებით პოლიტიკური პარტია და არც არსებობდა ამ ბოლო 20 წლის განმავლობაში.

დღევანდელი ოპოზიციის მთავარი ნაკლი არის ის, რომ მისი ლიდერების დიდი უმრავლესობა უახლოეს წარსულში სააკაშვილის ხელისუფლების ნაწილი იყო. ამიტომაც ოპოზიციის ეს ლიდერები ხალხში ნდობით არ სარგებლობენ. არ შეიძლება, საზოგადოების ნდობა დაიმსახურონ იმ ადამიანებმა, რომლებიც წლების განმავლობაში ატარებდნენ იმავე პოლიტიკას, რომელთსაც დღეს ატარებს სააკაშვილის ხელისუფლება.

მე ვეკითხები იმ ოპოზიციონერებს, რომლებიც ერთი, ორი თუ სამი წლის წინათ სააკაშვილის ხელისუფლებაში იყვნენ, დღეს კი ოპოზიციაში არიან და სააკაშვილის პოლიტიკას აკრიტიკებენ: რით განსხვავდება სააკაშვილის დღევანდელი პოლიტიკა იმ პოლიტიკისგან, რომელსაც იგი ატარებდა ორი, სამი თუ ხუთი წლის წინათ, როდესაც თქვენ სააკაშვილის გუნდში იყავით და მხარს უჭერდით მას?

— ბატონო ალექსანდრე, ხელისუფლებიდან ოპოზიციაში გადმობარგებული პოლიტიკოსები, იგივე ბურჯანაძე, ნოღაიდელი, ოქრუაშვილი ამ კითხვაზე, ალბათ, ასე გიპასუხებდნენ: ხელისუფლებიდან მათი წამოსვლის შემდეგ სააკაშვილმა წამოიწყო და წააგო ომი ცხინვალში, რის შედეგადაც დამატებით დაკარგა ქვეყნის ტერიტორიები და ეს არის განსხვავება წინა წლებთან შედარებით!

— იცით, რა? იმ ავანტიურას, რომელიც სააკაშვილმა 2008 წლის აგვისტოში მოაწყო, ოქრუაშვილი კიდევ უფრო ადრე აპირებდა. ხომ გახსოვთ მისი საჯარო განცხადებები, ახალ წელს ცხინვალში შევხვდებითო? ხომ გახსოვთ, რა მოხდა 2004 წლის ივლისში ცხინვალში, როცა ოქრუაშვილი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი იყო?

რაც შეეხება ბურჯანაძეს, ნოღაიდელს და სხვებს, იმის საპასუხოდ, რაც თქვენ ბრძანეთ, მათთან დაკავშირებითაც შეიძლება ბევრი რამის თქმა, მაგრამ ეს უკვე მნიშვნელოვანი აღარ არის! მნიშვნელოვანია ის, რომ ეს ოპოზიცია არის სუსტი და ხალხში ავტორიტეტით არ სარგებლობს, იმიტომ, რომ ხალხი მათში ვერ ხედავს სააკაშვილის ხელისუფლების ალტერნატივას.

როცა ეს ოპოზიციონერები დღეს ამბობენ, რუსეთთან მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობები უნდა დავამყაროთო, ნებისმიერი ადამიანი გაიხსენებს მათ გამონათქვამებს რუსეთთან დაკავშირებით, იმას, თუ რას ამბობდნენ რუსეთზე ეს ოპოზიციონერები 2-3 წლის წინათ, როცა სააკაშვილის ხელისუფლებაში იყვნენ.

ამიტომ ხალხი მათ არ ენდობა, მათში ალტერნატივას ვერ ხედავს და მეც სკეპტიკურად ვუყურებ ამ ოპოზიციის პერსპექტივებს.

— პირადად თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ სააკაშვილის ხელისუფლების პოლიტიკური მომავალი და ფიქრობთ თუ არა, რომ სააკაშვილის რეჟიმი არჩევნების გზით, მშვიდობიანად დათმობს ძალაუფლებას?

— როდესაც ქართველების მოაზროვნე ნაწილი მთელი ათი წლის განმავლობაში ვებრძოდით შევარდნაძის რეჟიმს და ვამბობდით, რომ ეს იყო საქართველოს დამღუპველი რეჟიმი, საზოგადოების დიდი ნაწილი დარწმუნებული გახლდათ, რომ შევარდნაძე არავითარ შემთხვევაში არ დათმობდა ხელისუფლებას და ამიტომ მასთან ბრძო-

ლას არანაირი აზრი არ ჰქონდა, მაგრამ მოვიდა დრო და ყველამ ვნახეთ, რომ აბსოლუტურად უმტკივნეულოდ, ერთი შეხედვით, საკუთარი სურვილით შევარდნაძემ ხელისუფლება დაუთმო და გადასცა თავის მემკვიდრეებს, თავის გამოზრდილი ახალგაზრდებს.

დიახ, ეს მოხდა და შეუძლებელი არაფერია. იმის მტკიცება, რომ სააკაშვილის რეჟიმი უსისხლოდ არ წავა, ეს არის მათ მიერვე შემოგდებული მითი. ესენი სისხლის დამღვრელები არ არიან, იმიტომ, რომ ეს მათ დაღუპავს. ხელისუფლებიდან სისხლისღვრით წასულ ადამიანებს არავინ არსად არ მიიღებს და თავშესაფარს არავინ მისცემს. სისხლისღვრა ისეთ პატარა ქვეყნებში, როგორიც საქართველოა, ხელისუფლებისთვის დამღუპველად მთავრდება და ეს მათ კარგად იციან, ამიტომ სისხლის დამღვრელები არ არიან!

— მაშ, თქვენი აზრით, როგორ დაამთავრებს თავის მმართველობას სააკაშვილი და მისი რეჟიმი?

— სააკაშვილი დაამთავრებს ისე, როგორც გადაწყვეტენ ამერიკის შეერთებულ შტატებში. მე მგონია, რომ ეს მოხდება უმტკივნეულოდ, სხვა სააკაშვილისთვის ან სხვა შევარდნაძისთვის ხელისუფლების გადაბარებით. სხვანაირად რომ მოხდეს, როგორც მინიმუმ, კიდევ ორი ვარიანტი უნდა არსებობდეს.

— რომელი ორი ვარიანტი?

— პირველი ის, რომ საქართველოში უნდა არსებობდეს სერიოზული, ძლიერი ოპოზიცია, რომელსაც ექნება მოსახლეობის დიდი ნაწილის ნდობა, და მეორე ვარიანტი არის რუსეთის სურვილი, რომ საქართველოში ხელისუფლების შეცვლა მოხდეს რევოლუციის გზით, ანუ რუსეთი უნდა იყოს მოთამაშე საქართველოს პოლიტიკაში.

საქმე ის არის, რომ არც პირველი და არც მეორე ფაქტორი საქართველოში არ მუშაობს — არც

ძლიერი ოპოზიცია გვყავს და არც რუსეთი ერევა საქართველოს პოლიტიკურ პროცესებში. ამიტომ რჩება ერთადერთი ვარიანტი — აშშ-ის ნება! როგორც ამერიკელები ისურვებენ, ისე იქნება. ამერიკელები კი, ჩემი აზრით, ისურვებენ იმას, რომ ყოველგვარი რევოლუციის გარეშე ხელისუფლების გადაცემა მოხდეს მიშა II-სთვის ან ედუარდ III-სთვის!

გაზეთი „ასავალ-დასავალი“,
2010 წ., ოქტომბერი

2011 წ.

«მხოლოდ მოღალატეები არ ისარგებლებდნენ იმ პერიოდით, როდესაც ხელისუფლებაში სერგეი ბაგაფში და მისი თაობის წარმომადგენლები იყვნენ»

29 მაისს 62 წლის ასაკში გარდაიცვალა აფხაზეთის ლიდერი სერგეი ბაგაფში. მისი პოლიტიკური მოღვაწეობა და ქართველებისადმი დამოკიდებულება იძლეოდა აფხაზებთან პოზიტიური დიალოგისა და ურთიერთობათა მოწესრიგების სერიოზულ საფუძველს. სერგეი ბაგაფშის გარდაცვალებას საქართველოს მმართველი ელიტის ნაწილი ლამის ზარ-ზეიმით შეხვდა, თუმცა რეალობა გაცილებით მძიმეა და მოვლენათა განვითარება კარგს არაფერს გვიქადის. „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრა ცნობილი პოლიტოლოგი ALEXANDRE CHACHIA, რომელიც პირადად იცნობდა სერგეი ბაგაფშს.

— ბატონო ალექსანდრე, ვიცი, რომ თბილი, მეგობრული ურთიერთობა გქონდათ სერგეი ბაგაფშთან.

— დიახ, სერგეის, მრავალი წელია, ვიცნობ და ძალიან მტკივნეულად განვიცდი მის მოულოდნელ, ნაადრევ გარდაცვალებას. სერგეი ძალიან წესიერი, გულწრფელი, კეთილი ადამიანი იყო, ერთგული მეგობარი, რომელმაც იცოდა სიტყვის, მეგობრობის ფასი, რომლის ნდობაც ყო-

ველთვის შეიძლებოდა. ის აფხაზეთის მკვიდრთა იმ თაობას მიეკუთვნებოდა, რომელიც გაიზარდა და ჩამოყალიბდა ადამიანებს შორის სუფთა, გულწრფელი ურთიერთობების გარემოში, სადაც არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა ეთნიკურ წარმომავლობას და კარგი ადამიანები ერთმანეთთან მხოლოდ იმიტომ მეგობრობდნენ, რომ კარგები იყვნენ. სერგეის სკოლის, ინსტიტუტისა და სხვა მეგობრების საუცხოო წრე ჰყავდა. ამ ადამიანებთან ის მთელი ცხოვრება მეგობრობდა, სამწუხაროდ, ბევრი მათგანი დღეს ამქვეყნად აღარ არის. აღარ არის დავით ფილია, არჩილ ადამია... დღეს სერგეიც აღარ არის. ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად (ისინი ჩემზე უფროსები იყვნენ), მე მათთან ვმეგობრობდი და თითოეული მათგანის ამქვეყნიდან წასვლას განვიცდი, როგორც პირად ტრაგედიას.

— შეიძლებოდა თუ არა თქვენი მეგობრული ურთიერთობების, ბატონი სერგეის პიროვნული თვისებების გამოყენება ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ნორმალიზებაში?

— განა საქართველოს ხელმძღვანელობას ოდესმე სურდა აფხაზებთან ურთიერთობის ნორმალიზება? როდესაც შევარდნაძე მოვიდა ხელისუფლებაში, აფხაზეთში მდგომარეობა ერთობ დაძაბული იყო. სოლიკო ხაბეიშვილმა მთხოვა, ჩავსულიყავი სოხუმში და გამერკვია ვითარება. ჩავედი, შევხვდი ადგილობრივი ელიტის წარმომადგენლებს, მერე კი სერგეისთან, დავითთან, ალიკ ანქვაბთან, ენვერ კაპბასთან და სხვა საერთო მეგობრებთან ერთად დავსახეთ რიგი ღონისძიებებისა, რომლებიც ვითარების ნორმალიზებას მოახდენდა. მათ გულწრფელად სურდათ დაძაბულობის მოხსნა ურთიერთობებში; სურდათ, თავიდან აეცილებინათ კონფლიქტი, არ დაეშვათ აფხაზეთის მიწაზე სისხლისღვრა.

შევარდნაძისთვის ანალიტიკური ბარათი მოვამზადე

და ხაბეიშვილს გადავეცი. რამდენიმე დღეში მან მთხოვა, სოხუმში გავყოლოდი, სადაც პირადად სურდა აფხაზებთან დალაპარაკება. ყველანი დავით ფილიას სახლში შევიკრიბეთ, ძალიან თბილი შეხვედრა იყო, სრული ურთიერთგაგება სუფევდა. ხაბეიშვილი თბილისში დაბრუნდა, მე კი ზაფხულის ბოლომდე აფხაზეთში დარჩენა გადავწყვიტე. ორი კვირის თავზე სროლის ხმამ გამაღვიძა: ოჩამჩირეზე შევარდნაძის „არწივებმა“ გაიარეს, მაშინვე თბილისს მივაშურე, ხაბეიშვილს მივაკითხე და ვკითხე, თუ რა ხდებოდა. მან მიპასუხა, რომ მიღებულია აფხაზეთის პრობლემის ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრის გადაწყვეტილება, რომ საქართველოს ჰყავს ლიდერი, რომელსაც შეუძლია პრობლემის ნებისმიერი ხერხით გადაჭრის უფლება მისცეს თავს. მე მას სიტყვასიტყვით მივუგე: **„მოხდა კატასტროფა. მიმაჩნია, რომ ეს არის დანაშაული საქართველოს წინაშე. ჩვენ ამ ომს წავაგებთ და აფხაზეთს სამუდამოდ დავკარგავთ“.** ომის მსვლელობისას რამდენიმეჯერ ვთხოვე ბატონ სოლიკოს, შევარდნაძისთვის გადაეცა ჩემი ბარათები, რომლებშიც ვთხოვდი, არ შეეიარაღებინა და არ მოეხდინა ადგილობრივი ქართული მოსახლეობის მობილიზება, კონფლიქტი ეთნიკურ, მეზობელთა შორის ომში რომ არ გადაზრდილიყო. წაგების შემთხვევაში ადგილობრივ ქართულ მოსახლეობას აფხაზეთის დატოვება არ მოუწევდა. უკანასკნელად რაც ვთხოვე, იყო ის, რომ არ დაეწყოთ სასწავლო წელი 1 სექტემბერს, არ დაებრუნებინათ საომარ ვითარებაში ბავშვები. საბოლოოდ არც ერთი ჩემი თხოვნა და წინადადება არ გაიზიარეს.

ახლანდელი ხელისუფლებაც არაფრით განსხვავდება შევარდნაძის ხელისუფლებისგან. ის, რომ მათ აფხაზეთის დაბრუნება არ აინტერესებთ, მაშინვე გახდა ცხადი, როგორც კი სააკაშვილმა ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის გადაწყვეტა ჩააბარა ისეთ ადამიანებს,

როგორებიც ხაინდრავა, ვიღაც მალაშხია და იაკობაშვილი არიან. ეს ცხადი გახდა მაშინვე, როგორც კი წამოიწყეს ანტირუსული ისტერია, გააძლიერეს შევარდნაძისეული ბოდვა ნატოში შესვლაზე, ანუ ავტომატურად გამორიცხეს რუსეთის პოზიტიური მონაწილეობის შესაძლებლობა.

2007 წლის შემოდგომაზე დავურეკე ერთ მაღალჩინოსანს სააკაშვილის გარემოცვიდან და ვუთხარი — გზების დაგება კარგია, მაგრამ ხომ არ დადგა აფხაზეთთან დაკავშირებით გარკვეული ნაბიჯების გადადგმის დრომეთქი და შევთავაზე, რომ პირადად გავუწევდი ორგანიზებას სერგეი ბაგაფშის ვიზიტს თბილისში, რაც უდავოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნებოდა ნდობის აღდგენის კუთხით. მისგან შოკისმომგვრელი პასუხი მივიღე — „ეს ახლა აქტუალური არ არის, ჩვენ ვაკონტროლებთ სიტუაციას და აფხაზეთის საკითხს საკუთარი მეთოდებით ვაგვარებთ“.

ეს იმიტომ მოვყევი, რომ გასაგები გავხადო, — საქართველოს არც ყოფილი და არც ამჟამინდელი ხელისუფლებისთვის აფხაზეთის საკითხი მნიშვნელოვანი არ არის. მათ არა მარტო არ შეუძლიათ, არამედ არც სურთ ამ პრობლემის მოგვარება. **მხოლოდ მოღალატეები და დამნაშავეები არ ისარგებლებდნენ ქართველებისა და აფხაზების დასაახლოებლად იმ პერიოდით, როდესაც ხელისუფლებაში სერგეი ბაგაფში და მისი თაობის წარმომადგენლები იყვნენ. აფხაზი პოლიტიკოსების ახალ თაობასთან ჩვენ სალაპარაკო აღარაფერი გვექნება.**

— უკანასკნელად როდის შეხვდით სერგეი ბაგაფშს?

— სერგეის შარშან, შემოდგომაზე, წვეულებაზე შევხვდი ჩემი მძახლის ოჯახში (ისინი ახლო მეგობრები იყვნენ). ერთი კვირით ადრე, ვიდრე მოსკოვში სამკურნალოდ ჩამოიყვანეს, მეგობრებთან ერთად სუფრასთან ვიყავი და

დავურეკე სოხუმში, მობილურ ტელეფონზე ვერ დავუკავშირდი. მის მეუღლეს ვესაუბრე, მითხრა სტუმრებთანაა შეხვედრაზეო... 29 მაისს, კვირას, საავადმყოფოში უნდა მომენახულებინა, მაგრამ დილით ადრე მისი გარდაცვალების შესახებ შემატყობინეს. ძალიან განვიცადე... ძალიან მეტკინა სერგეის წასვლა. სხვათა შორის, ერთ თვეში სერგეის ვაჟისა და ჩემი ოჩამჩირელი მეგობრის, ნეირონ ბობუას ქალიშვილის ქორწილი უნდა შემდგარიყო. სერგეის ძალიან უხაროდა, მაგრამ მოხდა ის, რაც მოხდა...

— ბატონო ალექსანდრე, საქართველოში უკანასკნელ დროს რიგი მოვლენები მოხდა, რას იტყოდით...

— მოდი ამაზე სხვა დროს ვისაუბროთ.

გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“,
2011 წ.

2011 წ., სექტემბერი

«ანქვაბის პრეზიდენტად არჩევით აფხაზეთის მოსახლეობამ ღირსეული არჩევანი გააკეთა!»

— ბატონო ალექსანდრე, სააკაშვილის ხელისუფლება მუდმივად გამოთქვამს მზადყოფნას ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად რუსეთთან დიალოგისა და მოლაპარაკებებისთვის...

— ვისთან უნდა დაჯდეს ეს ხელისუფლება მოსალაპარაკებლად — „ბარბაროსებთან“ და „მონღოლოიდებთან“? თქვენ არ გეგონოთ, რომ სააკაშვილი ასეთ განცხადებებს სისულელით ან სიგიჟით აკეთებდეს. არა, ეს არის აბსოლუტურად მიზანმიმართული პოლიტიკა და სააკაშვილმა მშვენივრად იცის, რომ კაცი, რომელსაც დედას აგინებს და ბარბაროსს ეძახის, მასთან მოლაპარაკებაზე არ წამოვა!

— 2011 წლის 14 აგვისტოს, აფხაზეთში ომის დაწყებიდან 19 წლისთავზე, საქართველოს ამჟამინდელმა ხელისუფლებამ ბათუმში კონცერტი და ტაშფანდური მოაწყო. ესეც მიზანმიმართულად კეთდება?

— ასეთი რამეები არის ჩვენი ცნობიერების გაუკულმართებისა და განადგურების მცდელობა. 2008 წლის აგვისტოში, როცა ცხინვალში ომი დაიწყო და საქართველოს ისტორიაში სამარცხვინო ფაქტი მოხდა, ხელისუფლებამ რუსთაველის გამზირზე კონცერტი გამართა, სადაც გამოდიოდნენ ინტელიგენციის წარმომადგენლები, მღეროდნენ, ცეკვავდნენ და ა.შ. რა შეფასება შეიძლება მიეცეს ამას? არაფერი, გარდა იმისა, რომ ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილი არის დეგრადირებული.

ესენი ცდილობენ, მოსპონ დიდი ქართული თვისებები, ეროვნული ღირებულებები, რომლებიც ჩვენს ერს საუკუნეების განმავლობაში ამოძრავებდა; ცდილობენ კი არა, უკვე მოსპეს ეს ღირებულებები!

დღევანდელი სახელისუფლო ძალები, პრაქტიკულად, ამბობენ: „მოდი, კონცერტი გავმართოთ და ვიზეიმოთ ომის დაწყება“. ამას აკეთებენ იმისათვის, რომ ეს ტრაგიკული ისტორიული თარიღები ერის ცნობიერებიდან ამოშალონ და ტაშფანდურით ჩაანაცვლონ. ეს არის დიდი ფსიქოლოგიური ომი, რომელსაც ამჟამინდელი ხელისუფლება ქართველი ერის წინააღმდეგ წარმატებით აწარმოებს!

აი, შეხედეთ, ქართველი ინტელიგენცია განადგურებულია და, პრაქტიკულად, აღარ არსებობს!

— რატომ ფიქრობთ, რომ ქართველი ინტელიგენცია აღარ არსებობს?

— ინტელიგენცია, როგორც ერთიანი ფენომენი, რომელსაც აქვს საკუთარი პოზიცია და ავტორიტეტი, საქართველოში აღარ არსებობს.

ინტელიგენციის ძველი თაობის ცალკეული წარმომადგენლები ახლა ხვდებიან, თუ რა დანაშაული ჩაიდინეს მაშინ, როცა შევარდნაძესთან თანამშრომლობდნენ, როცა შევარდნაძეს ტაშს უკრავდნენ. აი, ეს ინტელიგენტები ახლა ცდილობენ გამოვიდნენ, იყვირონ, იწივლონ... მე მესმის მათი, გული შესტკივათ საქართველოს დღევანდელ უბედურებაზე, იმიტომ, რომ მართლა ქართველები არიან, მაგრამ „მატარებელი“, სამწუხაროდ, წავიდა!

გარდა ამისა, ქართველი საზოგადოება, როგორც კულტურულ-ისტორიული ფენომენი, თითქმის აღარ არსებობს! საქართველოში საზოგადოება რომ არსებობდეს, ტრაგიკულ დღეებში კონცერტები და ცეკვა-თამაში არ გაიმართებოდა!

— ბატონო ალექსანდრე, გავრცელებული მოსაზრე-

ბით, რუსეთის ხელისუფლება სერგეი შამბას კანდიდატურას უჭერდა მხარს, მაგრამ დე ფაქტო არჩევნებში გაიმარჯვა ალექსანდრე ანქვაბმა, რომელიც პროქართველ პოლიტიკოსად მოიაზრება. რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?

— ჭორები, თითქოს რუსეთი შამბას უჭერდა მხარს, ჩემი აზრით, თვითონ შამბას მომხრეების მიერ იყო გავრცელებული. სინამდვილეში, რუსეთის ხელისუფლება აფხაზეთში არჩევნების პროცესებისგან დისტანცირებული იყო და არაფერში ერეოდა, რაც სავსებით კარგი და სწორი საქციელი იყო. როდესაც სერგეი ბაგაფში გარდაიცვალა, მე ინტერვიუ მივეცი რამდენიმე რუსულ გაზეთს და მათ ვუთხარი, აფხაზეთის შემდეგი პრეზიდენტი აუცილებლად ანქვაბი გახდება-მეთქი. დიახ, ვინც იცის შიდა სიტუაცია, თუ რა ხდება აფხაზეთში, ყველასათვის ნათელი იყო, რომ ანქვაბი გაიმარჯვებდა. მეტიც, ვთქვი, რომ ანქვაბი გაიმარჯვებდა პირველსავე ტურში და არანაირი მეორე ტური არ იქნებოდა.

— გამოდის, რომ თქვენი პროგნოზი ასპროცენტიანი სიზუსტით ახდა...

— დიახ, ასე მოხდა, მაგრამ ჩემთვის მოულოდნელი იყო, რომ ხაჯიმბამ ხმების დაახლოებით 20 პროცენტი მიიღო. ეს მისთვის ძალიან ბევრია. მეგონა, რომ შამბა მიიღებდა ხაჯიმბაზე მეტ ხმებს. რაც შეეხება იმას, რომ ანქვაბი არის პროქართველი პოლიტიკოსი, ესეც ჭორებია, რომლის გავრცელებაშიც ზოგიერთმა ჩვენმა თანამემამულემ მიიღო მონაწილეობა. ანქვაბი არის, პირველ რიგში, პროაფხაზი პოლიტიკოსი, საკმაოდ დამოუკიდებელი აზროვნების მქონე! ანქვაბი ღირსეული პიროვნებაა, კარგი კაცია, დიდი ხანია, ვიცნობ, ყოველთვის მქონდა მასთან კარგი ურთიერთობა და ახლაც მაქვს.

მიმაჩნია, რომ ანქვაბის პრეზიდენტად არჩევით აფხაზეთის მოსახლეობამ ღირსეული არჩევანი გააკეთა!

აფხაზი ხალხისთვის, აფხაზეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეებისთვის ეს არის შექმნილი სიტუაციიდან ყველაზე კარგი გამოსავალი! უნდა აღვნიშნო, რომ ანქვაბი არ არის ვიწრო ნაციონალისტი. იგი ადამიანებს აფასებს არა ეროვნების, არამედ პიროვნული ღირსებების მიხედვით. ამიტომ ანქვაბს ყოველთვის ჰქონდა კარგი ურთიერთობა თავის ქართველ მეგობრებთან. საერთოდ, სანდო მეგობარი და უღალატო კაცია. მიხარია, რომ ალექსანდრე ანქვაბმა დიდ პოლიტიკურ წარმატებას მიაღწია.

— ბატონო ალექსანდრე, როგორ ფიქრობთ, ანქვაბი კრემლისგან დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას შეძლებს?

— დამოუკიდებელ პოლიტიკას აფხაზეთი ვერ გაატარებს, რადგან, რეალურად რომ ვთქვათ, რუსეთი არის ერთადერთი დიდი ქვეყანა, რომელმაც აღიარა აფხაზეთის დამოუკიდებლობა. მეტიც, რუსეთი ფინანსურად ეხმარება აფხაზეთს და, პრაქტიკულად, მეორე ბიუჯეტს უქმნის. საინვესტიციო პროექტები, რომლებიც აფხაზეთში ხორციელდება, რუსეთის სახელმწიფო ფულით კეთდება, ამიტომ აბსოლუტურად დამოუკიდებელ პოლიტიკას აფხაზეთი ვერ გაატარებს.

საერთოდ, აბსოლუტურად დამოუკიდებელი ქვეყანა მსოფლიოში სულ სამი-ოთხია, მაგრამ არც სერგეი ბაგაფშის დროს არ იყო და არც ანქვაბის პრეზიდენტობის დროს აფხაზეთი ისე მაინც არ იქნება დამოკიდებული რუსეთზე, როგორც საქართველოა დამოკიდებული ამერიკის შეერთებულ შტატებზე, ანუ აფხაზეთი რუსეთის ხელში სრული მარიონეტი არ იქნება. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ თავის დროზე რუსეთს არ უნდოდა სერგეი ბაგაფშის გაპრეზიდენტება და სხვა კანდიდატს უჭერდა მხარს, მაგრამ აფხაზეთის მოსახლეობამ და პოლიტიკურმა ელიტამ სხვა გადაწყვეტილება მიიღეს, რის შედეგადაც პრე-

ზიდენტი სერგეი ბაგაფში გახდა. საქართველოში კი მსგავსი რამ არ მომხდარა — არჩევნებში მხოლოდ ის „იმარჯვებს“, ვისაც ამერიკა უჭერს მხარს, ანუ ჩვენ გაცილებით უფრო დამოკიდებული ვართ ამერიკაზე, ვიდრე აფხაზეთი — რუსეთზე. საერთოდ, მინდა გითხრათ, რომ ალექსანდრე ანქვაბი არ არის ის პიროვნება, რომელიც შეიძლება ვინმეს მარიონეტი იყოს. დიახ, მას ურჩევნია, თავი მოიკლას, ვიდრე ვინმეს მარიონეტი გახდეს.

— თქვენი აზრით, ანქვაბის პრეზიდენტობის პერიოდში ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში რაიმე დადებითი ძვრები შეიძლება მოხდეს?

— დადებითი ძვრები არ იქნება, იმიტომ, რომ ეს არ შედის საქართველოს ხელისუფლების ინტერესებში. საქართველოს ხელისუფლებას არც ბაგაფშის პრეზიდენტობის პერიოდში გადაუდგამს რაიმე ნაბიჯი აფხაზეთთან ურთიერთობების დასალაგებლად და არც ახლა — ანქვაბის პრეზიდენტობის პერიოდში გააკეთებს ამას. მე ძალიან ახლოს ვიყავი ბაგაფშთან და არაერთი მცდელობა მქონდა, რომ საქართველოსა და აფხაზეთის მმართველი წრეები დაახლოებულიყვნენ, მოლაპარაკებები დაწყებულიყო და პოზიტიური პროცესები წასულიყო, მაგრამ ეს კატეგორიულად მიუღებელი იყო საქართველოს ხელისუფლებისთვის.

გაზეთი „ასავალ-დასავალი“,
2011 წ., სექტემბერი

2011 წ., ნოემბერი

«სამწუხაროდ, ეკლესიისა და პატრიარქის პასიურობამ მიგვიყვანა იქამდე, რომ განხეთქილებისა და გახლეჩის ზღვარზე ვდგავართ!»

— ბატონო ალექსანდრე, როგორ შეაფასებთ საქართველოსა და რუსეთის პატრიარქების შეხვედრას, თუ იცით, რა განწყობაა ამ შეხვედრის შემდეგ რუსეთის სახელისუფლო წრეებში?

— რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, შეხვედრა იყო ძალიან თბილი, მეგობრული, რუსეთის სახელისუფლო წრეებშიც ძალიან დადებითი დამოკიდებულებაა ამ ურთიერთობების მიმართ, თუმცა ძნელია საუბარი იმაზე, რომ ამ შეხვედრას რაიმე რეალური შედეგები მოჰყვეს.

— რუსეთის პატრიარქი აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიას ცნობს საქართველოს საპატრიარქოს კანონიკურ საზღვრებში. ეს ამ შეხვედრაზეც ხაზგასმით აღინიშნა. როგორ ფიქრობთ, გაბედავდა რუსეთის პატრიარქი ამის ასე ხაზგასმით აღნიშვნას, რომ არა რუსეთის ხელისუფალთა ნება?

— ხელისუფლება არაფერ შუაშია, ეს არის წმინდა მართლმადიდებლური მიდგომა. ჯერ ერთი, რუსეთის ეკლესიას გააჩნია განსაკუთრებული ურთიერთობები საქართველოს ეკლესიასთან. მეორე და მთავარი — დღეს მართლმადიდებლობა მთელ მსოფლიოში არის განსაკუთრებული შეტევის ობიექტი, ამიტომ მართლმადიდებლური ძალების გაერთიანებას და ერთ პლატფორმაზე დგომას

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ჩვენი, ისე რუსეთის ეკლესიისთვის.

მე ძალიან მაშფოთებს მართლმადიდებლობის მდგომარეობა დღევანდელ საქართველოში. უბედურება ის არის, რომ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ეკლესიების საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციაში დატოვებას ჩვენთვის რეალური შედეგი არ მოაქვს. საჭიროა ჩვენი ეკლესიის უფრო მეტი აქტიურობა, რაც ნამდვილად აკლია მას. როგორ გგონიათ, რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს ისე, რომ აფხაზეთში, გნებავთ, ცხინვალში მრევლს მოძღვარი არ ჰყავდეს? ეკლესიას მღვდელი არ ჰყავდეს? სწორედ ჩვენ, ქართველმა საზოგადოებამ, ქართულმა ეკლესიამ უნდა გადავდგათ ნაბიჯები და მივაღწიოთ იმას, რომ ქართველ მღვდელს შეეძლოს ამ ტერიტორიებზე ჩასვლა, წირვა-ლოცვის ჩატარება. ამ შემთხვევაში აქვს აზრი რუსეთის საპატრიარქოს მიერ იქ საქართველოს იურისდიქციის აღიარებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, იქ ეს მდგომარეობა დიდხანს ვერ გაგრძელდება. აფხაზეთში უკვე ამბობენ, რუსეთის ეკლესია ჩვენ არ გვეხმარება, ქართული ეკლესიის არაფერი გვინდა და მივმართოთ კონსტანტინოპოლის ეკლესიას, ვიყოთ მათი წარმომადგენლებიო. ეს არის ძალიან საშიში რამ და მოჰყვება ძალიან ცუდი შედეგი, თუ ქართული ეკლესია დროულად არ წავიდა უშუალო კონტაქტებზე. თუმცა ამაში ეკლესიას ხელისუფლების დახმარება სჭირდება.

— საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა რუსეთის პატრიარქთან აფხაზეთში ჩასვლის შესახებ ისაუბრა. როგორ ფიქრობთ, რამდენად უსაფრთხო იქნება მისი უწმიდესობის ჩაბრძანება აფხაზეთში და, საერთოდ, არის კი ეს შესაძლებელი?

— დღევანდელ ვითარებაში მისი უწმიდესობის ჩაბრძანება აფხაზეთში არის აბსოლუტურად გამორიცხული.

რუსეთის პატრიარქი ვერ უზრუნველყოფს ამას. ეს უნდა გადაწყვიტოს აფხაზეთის ხელისუფლებამ, სასულიერო პირებმა და აფხაზეთის საზოგადოების მნიშვნელოვანმა, ავტორიტეტულმა ნაწილმა. სხვანაირად, თუნდაც პატრიარქ კირილეს თხოვნითა თუ მითითებით, ეს არ მოხდება. ამას სჭირდება სერიოზული მომზადება — ჯერ უნდა იყოს მოლაპარაკება არაოფიციალურად, მერე უნდა ჩავიდეს მღვდელმსახურთა ჯგუფი რომელიმე მიტროპოლიტის ხელმძღვანელობით და მომზადდეს საფუძველი მისი უწმიდესობის ჩაბრძანებისთვის. სხვათა შორის, ამ წინადადებით მე არაერთგზის მივმართე ჯერ შევარდნაძის ხელისუფლებას, მერე — **საპატრიარქოს ხელისუფლებას, მაგრამ არც მაშინ აინტერესებდათ და არც ახლა აინტერესებთ უშუალო ურთიერთობის დამყარება აფხაზურ მხარესთან, ვინაიდან საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთის დაბრუნებას მიზნად არ ისახავს!**

— თქვენ ბრძანეთ, რომ მართლმადიდებლობა მთელ მსოფლიოში და საქართველოში არის განსაკუთრებული შეტევის ობიექტი. ვისი მხრიდან ხორციელდება ეს შეტევა და რა ხდება საქართველოში ამ მხრივ?

— ამერიკელები არ მოითმენენ მართლმადიდებლობის გაძლიერებას საკუთარ კოლონიაში. ვერცერთ მართლმადიდებლურ ქვეყანაში ამერიკელები ვერ დამკვიდრდნენ, იმიტომ, რომ მართლმორწმუნე ხალხისთვის მიუღებელია მათი ღირებულებები. ამერიკის მიზანია, რომ ხალხის მენტალობა შეიცვალოს, ამიტომაც მუდმივად საუბრობს საპატრიარქოს ამის თაობაზე. ზბიგნევ ბჟეზინსკი ღიად აცხადებდა, რომ კომუნიზმის დანგრევის შემდეგ ამერიკას ერთი მტერი დარჩა — მართლმადიდებლობაო. ამიტომ არის დღეს ყველაზე დიდი შეტევა მართლმადიდებლობაზე. კოსოვოში ნატოს ჯარის შესვლის შემდეგ 200-მდე მართლმადიდებლური ტაძარი დაინგრა. ხომ ნათელია, რა ხდება?

საქართველოში ეს პროცესი დაიწყო შევარდნაძის დროს. ჯერ მიმდინარეობდა ფარულად: შემოვიდნენ იეღოველები, სხვა სექტები, დაიწყეს მართლმადიდებლური ღირებულებების დაცინვა, მათ „ჩამორჩენაზე“ ალაპარაკდნენ. მე მაშინ საუბარი მქონდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან და ვუთხარი, რომ აუცილებლად დადგებოდა დრო, როცა ძალიან ძლიერად შეუტევდნენ ჩვენს ეკლესიას. ისიც მოვახსენე, რომ ამ ყველაფრის მიზანია მართლმადიდებლობის მოსპობა საქართველოში, განხეთქილების შეტანა ეკლესიაში. პატრიარქმა მითხრა, რომ ეკლესია საერო საქმეებში არ ერევა. ვფიქრობ, როდესაც ერი იღუპება, მაშინ ეკლესია უნდა ჩაერიოს საერო საქმეებში, წინააღმდეგ შემთხვევაში, არ მესმის, რისთვის გვიბოძა უფალმა ეკლესია. სამწუხაროდ, ეკლესიისა და პატრიარქის პასიურობამ მიგვიყვანა იქამდე, რომ განხეთქილების და გახლეჩის ზღვარზე ვდგავართ.

მე პირადად არ ველოდი, რომ ეკლესია ასე გულგრილად დათანხმდებოდა კანონს რელიგიური ჯგუფებისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭების შესახებ. მართალია, არის ცალკეულ მღვდელმსახურთა პროტესტი, პატრიოტული ძალების აღშფოთება, მაგრამ როგორც ერთიანი ძალა, ეკლესია არ გამოსულა. ამერიკელებისა და საქართველოს ხელისუფლებისთვის ეს უკვე იმის ნიშანია, რომ შესაძლებელია, უფრო ძლიერი დარტყმა მიაყენონ ქართულ ეკლესიას და საბოლოოდ გახლიჩონ.

— რისთვის იყო საჭირო ამ კანონის მიღება ასე უცებ? როგორც ამბობენ, ეს გაკეთდა სომხური ეკლესიისთვის. ამ კანონის მიღებას ხომ წინ სომხეთის პატრიარქის ვიზიტი უძღოდა საქართველოში...

— ეს გაკეთდა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ნგრევისთვის, იმისთვის, რომ საქართველოში მართლმადიდებლურ ღირებულებებს მომავალი არ ჰქონდეს,

საქართველოში მართლმადიდებლური ეკლესია ვერ გახდეს ავტორიტეტული ძალა. რისთვის მიიღეს ასე უცებ ეს კანონი? ამას რომ წინა მოსამზადებელი პერიოდი ჰქონოდა, ასე იოლად ვერ ჩაივლიდა, ამას მოჰყვებოდა დიდი აღშფოთება, საპროტესტო ტალღა. ამიტომაც წამოატივტივეს რამდენიმე სკანდალური თემა, რითაც ამ საკითხის გადაფარვას შეეცადნენ. გამოუვიდათ კიდეც!

— ზუსტად ამ პერიოდში ჯაშუშობის ბრალდებით დაიკავეს ქართველი ფოტორეპორტიორები, რომლებიც პირობითი სასჯელით გამოუშვეს, თუმცა, შსს-მ განაცხადა, რომ რუსეთის ჯაშუში საქართველოში კიდევ ბევრია და მოუწოდა მათ, საკუთარი ნებით გამოცხადდნენ პოლიციაში. რამდენად საფუძვლიანად გეჩვენებათ ფოტორეპორტიორების ბრალდება და მართლა ასეთი ძლიერია საქართველოში რუსეთის ჯაშუშური ქსელი?

— მე ამ ყველაფერზე მეცინება! მახსოვს, ვიღაც გალელი კოჭოია გამოცხადებული იყო ჯაშუშად. ამაზე იცინოდა მთელი სამეგრელო და მთელი გალი. ქართული სპეცსამსახურები უკვე გადავიდნენ ზღვარს და აღარ ფიქრობენ იმაზე, რომ ეს ყველაფერი დამაჯერებელი იყოს. ხელისუფლება აცხადებს, რომ ფოტოგრაფები რუსეთის აგენტები ყოფილან და არაფერს ამბობს იმაზე, თუ რამდენი ამერიკელი აგენტი მუშაობს საქართველოს ხელისუფლებაში, რამდენი თურქი აგენტი მუშაობს აჭარაში!

— თურქი აგენტი?

— დიახ, თურქი აგენტი! როდესაც ვამბობთ, რომ საქართველო უნდა გადავარჩინოთ დაშლას, რას ვგულისხმობთ? პირველ რიგში, აჭარას! აჭარა, პრაქტიკულად, დაკარგულია. თურქები აჭარიდან აღარ გავლენ, იმიტომ, რომ იქ ჩადებული აქვთ ძალიან დიდი კაპიტალი. ამ რეგიონს უდიდესი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა აქვს თურქეთისთვის. ათასობით თურქი უკვე მუდმივად ცხოვრობს ბათუმში და ეს რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდე-

ბა. ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც ამ პროცესისთვის ხელის შეშლა შეუძლია, არის რუსეთი, იმიტომ, რომ თურქეთს რუსეთთან გარკვეული ისტორიული შეთანხმებები აქვს. დღევანდელი ურთიერთობებიდან გამომდინარე, რუსეთი ამაში არ ჩაერევა. რაც შეეხება ამერიკას, მისთვის თურქეთი არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პარტნიორი მუსლიმანურ სამყაროში, ამიტომ შეერთებული შტატები არ შეეწინააღმდეგება თურქეთს ექსპანსიის გაძლიერებაში. დიდი ტრაგედია დაიწყება სწორედ აქედან! ასე რომ, ძალიან ბევრია ისეთი პრობლემა, რომლებიც გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ფოტოგრაფების დაჭერა და აგენტებად გამოცხადება.

მეტსაც გეტყვით. თურქეთი აუცილებლად შეეცდება, რომ აფხაზეთი იყოს აღიარებული დამოუკიდებელ ქვეყნად, ვინაიდან თურქეთს ხელს არ აძლებს ამ რეგიონში რუსეთის მონოპოლია.

ერთსაც გეტყვით და დაიმახსოვრეთ: არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობის“ გამარჯვების შემთხვევაში დაიწყება პროპაგანდა აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების აუცილებლობის თაობაზე. ხელისუფლება დაიწყებს ლაპარაკს, რომ ამის გარეშე ჩვენ ნატოში არ მიგვიღებენ, ევროკავშირში არ მიგვიღებენ, ახლა ვაღიაროთ აფხაზეთი, მერე ნატო და ევროკავშირი დაგვეხმარებიან მის დაბრუნებაშიო.

— სხვათა შორის, მოსაზრება აფხაზეთის აღიარების შესახებ უკვე გახმიანდა ექსპერტ მამუკა არეშიძის მიერ. ის ამბობს, რომ ამით შესუსტდება რუსეთის გავლენა აფხაზეთზე...

— შეიძლება ეს მისი გულწრფელი მოსაზრებაა. გარწმუნებთ, რომ ასეთი კამპანია აუცილებლად დაიწყება არჩევნების შემდეგ, თუკი „ნაციონალური მოძრაობა“ გაიმარჯვებს. სწორედ ამიტომ არის მიუღებელი ხელისუფ-

ლებისთვის აფხაზეთთან და ოსეთთან ურთიერთობის დამყარების საშუალებების ძებნა, მეტიც, ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ურთიერთობები გაუარესდეს. არის უამრავი დაპირება და ამ დაპირების პარალელურად დემონსტრირება იმისა, რომ არაფერი გამოდის. მათ უნდათ, ხალხი დაარწმუნონ, რომ შეუძლებელია ამ პრობლემის გადაწყვეტა. საუბედუროდ, ეს არ იწვევს საყოველთაო აღშფოთებას. ასე რომ, აფხაზეთის აღიარების საკითხიც მშვიდად ჩაივლის და შემდეგი რეგიონი არის აჭარა!

— ახლა ოპოზიციაზეც ვისაუბროთ. რატომ ვერ ერევა ოპოზიცია სააკაშვილს მაშინ, როცა ხელისუფლების მიმართ ხალხის უკმაყოფილება ძალიან დიდია? თქვენი აზრით, რა პერსპექტივები აქვთ ოპოზიციურ ძალებს?

— უბედურება ისაა, რომ საქართველოში არ არსებობს ოპოზიცია, რომელსაც გააჩნია ქვეყნის განვითარების ხელისუფლებისგან განსხვავებული, ალტერნატიული მოდელი. ხალხი ამას ხედავს და ამიტომ ეს ოპოზიცია არ სარგებლობს ავტორიტეტით. ქართველი პოლიტიკოსები დგანან ცუდ გზაზე, ისინი ეძებენ არა ქართველი ხალხის მხარდაჭერას. მათთვის მთავარი პერსონა არის აშშ-ის ელჩი საქართველოში. დიახ, ეს არ არის რეალური ოპოზიცია, ისინი, უბრალოდ, ამერიკის ელჩს ეუბნებიან, ჩვენ უკეთ გავაკეთებთ იმას, რასაც ხელისუფლება აკეთებს, ამიტომაც მიგვიშვით ხელისუფლებაშიო... ამ მოედანზე თამაში წამგებიანია ოპოზიციისთვის, რადგან იმას, რაც მოსწონს ამერიკის ელჩს, შესანიშნავად აკეთებს საქართველოს ხელისუფლება. ამერიკელები არ არიან დარწმუნებული, რომ ოპოზიცია უკეთ გააკეთებს იმას, რასაც სააკაშვილი აკეთებს. მათ ჯერჯერობით ხელს აძლევთ სააკაშვილი, მაგრამ როდესაც დაინახავენ, რომ ხალხისთვის მიუღებელია ხელისუფლება, რადგან

ყველა ზღვარს გადავიდა, უმალ შეცვლიან, ანალოგიურს მოიყვანენ, ხოლო სახალხო ძალა ვერ დაუპირისპირდება, ვინაიდან ხალხის ნების გამომხატველი პოლიტიკური ძალა საქართველოში არ არსებობს!

ოპოზიციას არ აქვს და არც ექნება ხალხის მხარდაჭერა, სანამ ის არ ჩამოყალიბდება ალტერნატიულ პოლიტიკურ ძალად და არ დადგება ეროვნულ საწყისზე. ერთადერთი, რაც დღეს საქართველოს გადაარჩენს, ეს არის ეროვნულ ნიადაგზე მყოფი პოლიტიკური ძალის ჩამოყალიბება, რომელიც იმუშავებს მართლმადიდებლურ ეკლესიასთან მჭიდრო კავშირში. აი, ამაში ვხედავ ერთადერთ გამოსავალს!

— სახიფათო პერსპექტივებს ხატავთ...

— როცა წლების წინათ პრობლემებს ვიხილავდი თქვენს კოლეგებთან ერთად, მაშინაც ამას მეუბნებოდნენ, რომ სახიფათო პერსპექტივებს ვხატავ. სამწუხაროდ, ეს ყველაფერი განხორციელდა. **მე ყველაზე მეტად მაშინებს საზოგადოების გულგრილი დამოკიდებულება, საზოგადოება საქართველოში უკვე აღარ არსებობს, ქართული ეროვნული ინტელიგენცია აღარ არსებობს. აი ეს არის ძალიან საშიში და, სამწუხაროდ, ეს არის რეალობა.**

გაზეთი „ასავალ-დასავალი“,
2011 წ., ნოემბერი

ამონარიდები სხვადასხვა ინტერვიუებიდან

... რამდენიმე წლის წინ, როდესაც ფოთში შეიკრიბა სამეგრელოს საზოგადოების დიდი ნაწილი, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება, შექმნილიყო სახალხო მოძრაობა „სამეგრელო“ — ისეთივე საზოგადოებრივი ორგანიზაცია, როგორიც იყო შექმნილი კახეთში, იმერეთში, თბილისში და ა. შ., პოლიტიკურმა მოწინააღმდეგეებმა ისარგებლეს ამ შემთხვევით და განაცხადეს, რომ თითქოს ალექსანდრე ჭაჭიას ხელმძღვანელობით შეიქმნა პოლიტიკური პარტია, რომელიც სამეგრელოს ავტონომიას მოითხოვდა. ამგვარი დეზინფორმაცია შემდეგ ქართულ პრესაშიც გავრცელდა. ისე, ძალიან მაინტერესებს, ვის უნდა შევუერთო საქართველოდან გამოყოფილი სამეგრელო?! რაც შეეხება სტატუსს, როდესაც ვსაუბრობ სტატუსზე, ეს აბსოლუტურად არ ნიშნავს სამეგრელოს ავტონომიას. არსებობენ უზარმაზარი ბიუროკრატიული სამხარეო სტრუქტურები, რომლებიც მართავენ თავიანთ დარგს მხარეში, მაგრამ მხარე იურიდიულად არ არსებობს. არიან გუბერნატორები, რომლებიც ძარცვავენ საკუთარ მოსახლეობას და ამით ასრულებენ შევარდნაძის ნებას, მაგრამ არ არსებობს გუბერნიები. ეს არის კონსტიტუციური ნონსენსი, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს.

... ჩემი ერთადერთი მიზანია შევქმნა ქართველი ერის გამაერთიანებელი იდეოლოგიური პლატფორმა და ხელი შევუწყო ისეთი გუნდის ჩამოყალიბებას, რომელიც მზად იქნება, პასუხისმგებლობა აიღოს საქართველოს მომავალზე.

... მე პრორუსული ორიენტაციის წინააღმდეგი ვარ, ისევე, როგორც პროდასავლურისა. მომხრე ვარ მხოლოდ პროქართული ორიენტაციის, მაგრამ კარგად მესმის ისიც, რომ აფხაზეთის დაბრუნებისა და ქვეყნის ეკონომიკური აღორძინების საკითხი მხოლოდ რუსეთის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, ყველაფერს ვაკეთებ იმისათვის, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის გაუმჯობესდეს ტრადიციული მეზობლური ურთიერთობა.

... რა მოგვიტანა 300 პარტიის არსებობამ? არაფერი. ყოველთვის ვამბობდი, რომ ქართული საზოგადოების დაქუცმაცება პარტიული პრინციპით დამღუპველია ქვეყნისათვის. ამიტომ ყველას ვთავაზობდი, შეგვექმნა ერთი ზეპარტიული, ზოგადეროვნული მოძრაობა, რომელშიც გაერთიანდებოდა ქართველი ერის გადარჩენის იდეის მომხრე ყველა ეროვნულად მოაზროვნე პოლიტიკოსი.

... ე. წ. რეფორმატორები კონტროლირებადი პრესისა და ტელევიზიების მეშვეობით ცდილობენ, ჩამოაყალიბონ ისეთი საზოგადოებრივი აზრი, რომ რუსეთ-საქართველოს შორის მეზობლური ურთიერთობის მომხრე პოლიტიკოსები თითქოს პრორუსული ორიენტაციის პოლიტიკოსები ან რუსეთის აგენტები არიან. ამ აზრს ავრცელებენ ნაძირლები, რომლებმაც გაყიდეს აფხაზეთი და სამაჩაბლო. თვითონაც კარგად იციან, რომ თავად არიან ნაღდი აგენტები. ისინი ხელფასებსაც კი იღებენ უცხოეთის სპეცსამსახურებიდან. აქ ზოგიერთ საელჩოში შაბათობით დადიან და კონვერტებით გამოდიან იქიდან. აი, ეს ხალხი მაბრალებს მე აგენტობას.

„დვრიტა“, 29.09. 2001 წ.

...არასოდეს ჩავერთვებოდი პოლიტიკაში, რომ არა აფხაზეთის პრობლემა. თუ ამ საქმეს ხელი წავაშველე, ჩავთვლი, რომ ტყუილად არ მიცხოვრია.

...„ახალგაზრდა რეფორმატორები“ დარწმუნდნენ, რომ ხალხის დამოკიდებულება შევარდნაძის მიმართ უკიდურესად ნეგატიურია და მასთან დარჩენა ნიშნავს მათი პოლიტიკური პერსპექტივების კრახს, ამიტომ, ვისაც უნდა პოლიტიკური მომავლის გარანტირება, დროზე უნდა დაუპირისპირდეს შევარდნაძეს. სააკაშვილ-ჟვანია-ბურჯანაძის ბოლოდროინდელ გამოსვლებს თუ გადახედავთ, თითქოს ჩემი საგაზეთო გამოსვლებიდან არის ამოღებული; ამ ბრალდებების გამო ისინი ფაშისტს, რუსეთის აგენტს და მეგრელ სეპარატისტს მეძახდნენ. დღეს თვითონ გვარწმუნებენ, რომ საჭიროა ზეპარტიული მოძრაობის შექმნა (ესეც ჩემი იდეაა), რომელიც გადაარჩენს ერს.

მაგრამ მე ვგულისხმობდი, რომ ერი მათი საქმიანობისგან უნდა გადაგვერჩინა. ისინი ვისგან იცავენ ქვეყანას, ჩემთვის გაუგებარია.

... ვთქვათ, რა იყო აფხაზეთის დაკარგვა: რუსეთისა და ამერიკის მაშინდელ ხელისუფალთა თამაში სამხრეთ კავკასიაში. ამ თამაშში საქართველოს ხელისუფლებაც დანაშაულებრივად მონაწილეობდა. ეს იყო გეოპოლიტიკური პროექტი, რომლის შესახებაც მოსახლეობამ არაფერი იცოდა და რომელიც მიმართული იყო ქართველი ერის ინტერესების საწინააღმდეგოდ.

დღეს სიტუაცია შეცვლილია. რუსეთის ახალი ხელისუფლება ეროვნულ ინტერესებზეა ორიენტირებული. სწორედ ამის გათვალისწინებით შეიძლება იმის მტკიცება, რომ ერთიანი საქართველოს არსებობა დღეს რუსეთის ინტერესშია.

...ახლახან რუსეთის ტელევიზიით გამოვედი და

ვთქვი, რომ არსებობს უამრავი საკითხი, რომლებშიც საქართველო-რუსეთის ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა. უფრო მეტიც, ობიექტურად თუ შევხედავთ ვითარებას, სახელმწიფო ინტერესების უმეტესობა თანხვედრია.

„დილის გაზეთი“, 10.12, 2001 წ.

...არა მგონია, ორი დიდი სახელმწიფო ერთმანეთს დაუპირისპირდეს. დიდი სახელმწიფოები საერთო ენას ყოველთვის გამონახავენ, ანუ მათი ინტერესების ქვეშ საქართველოსნაირი პატარა ქვეყნები გაიჭყლიტებიან. ეს არ უნდა დავივიწყოთ.

„დილის გაზეთი“, 14.03. 2002 წ.

... ქართულ ინტერესებს, პირველ რიგში, ქართველი კაცი უნდა ემსახურებოდეს და საქართველოზე, პირველ რიგში, ქართველი უნდა ზრუნავდეს. საკუთარ ქვეყანაში ქართველმა კაცმა უნდა იგრძნოს თავი კარგად და ჩვენი მოძმე ხალხებიც მხოლოდ ამის შემდეგ იცხოვრებენ აქ კარგად. ქართველებს მინდა ვუთხრა: ძმებო, დებო, იქნებ ჯერ ჩვენ თვითონ მივხედოთ საქართველოს და მერე ვიქონიოთ სხვისი იმედი? სწორედ ასეთი პრინციპით უნდა ვაშენოთ ქართული, ეროვნული სახელმწიფო.

„ახალი თაობა“, 4.11. 2002 წ.

... ამერიკა გადაგვიწყვეტს აფხაზეთის პრობლემას ისეთივე ფორმით, როგორც ეს იუგოსლავიაში მოხდა. მათი მიდგომა ამ საკითხისადმი, იცით, როგორია? ქვეყანა, რომელშიც კონფლიქტებია, უნდა დაიშალოს, შეიქმნას ჯუჯა სახელმწიფოები და ყველა ცალ-ცალკე

იქნება ამერიკის კონტროლქვეშ. ასე გააკეთეს იუგოსლავიაში, ასევე აპირებენ ერაყში და ა. შ.

... თუ მივხვდი, რომ აზრი არ აქვს ჩემს ბრძოლას ქვეყნის საკეთილდღეოდ, მაშინ ყველაფერს თავს დავანებებ და წავალ... ჩემი ოპოზიციონერობის გამო ბევრი ტკივილი გადავიტანე, პირად ცხოვრებაშიც კი... მე ჩემს ცხოვრებაში სხვა საქმეებიც შემიძლია მქონდეს, მაგრამ, ჩემი ქვეყნის ინტერესების გარდა, არაფერი მამოძრავებს. არც დეპუტატობა მინდა, არც მინისტრობა და არც პრეზიდენტობა. უბრალოდ, პატრიოტი ვარ და მიყვარს ჩემი სამშობლო, რომელსაც საქართველო ჰქვია.

„იბერია თაიმსი“, №4, 2003 წ.

...პირადად ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკური ძალების გაერთიანება მოხდეს კონკრეტული პლატფორმის ირგვლივ. შევარდნაძის მოშორება პოლიტიკური არენიდან ჩემი ათწლიანი ოცნებაა და, სხვებისგან განსხვავებით, ვინც დღეს ოპოზიციაში უდგას და ადრე მისი შვილობილიც იყო, მე პოზიცია არ შემიცვლია და ყოველთვის ვებრძოდი ამ რეჟიმს, მაგრამ შევარდნაძის პოლიტიკური არენიდან მოშორება ჩვენი თვითმიზანი არ უნდა იყოს. შევარდნაძე, ასე თუ ისე, წავა ამ არენიდან, მთავარი კი ის არის, რომელი ძალა განახორციელებს საქართველოს აღორძინების პროგრამას და როგორი იქნება ეს პროგრამა. თუ იქმნება საარჩევნო ბლოკი, ეს ბლოკი, პირველ რიგში, პროგრამის ირგვლივ უნდა გაერთიანდეს და ასეთი კონკრეტული პროგრამა ჯერ არავის წარმოუდგენია. ჩვენ გაგვაჩნია ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების სტრატეგია, რომელიც გამოქვეყნებული გვაქვს და ეს საზოგადოებისთვის ცნობილია; და თუ რომელიმე პო-

ლიტიკურ ორგანიზაციას ამ სტრატეგიის ირგვლივ გაერთიანების სურვილი აქვს, ეს სხვა საკითხია.

...თქვენ კარგად იცით, რომ საარჩევნო სიაში ყოფნა ჩემი თვითმიზანი არ არის, მე მქონდა იმის საშუალება, რომ დეპუტატი ვყოფილიყავი, მაგრამ ამას ჩემთვის არანაირი ღირებულება არ აქვს, თუ დეპუტატობას და არჩევნებში გამარჯვებას არ მოჰყვება კარდინალური ცვლილებები. მეორეც, „ახალგაზრდა რეფორმატორებისადმი“ ჩემი პოზიცია ყოველთვის ცნობილი იყო, წლების განმავლობაში მათი უმრავლესობა შევარდნაძის „შვილები“ იყვნენ და ერთად ანგრევდნენ საქართველოს, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ მათი დამოკიდებულება ჩემ მიმართ უარყოფითი იყოს.

„ახალი თაობა“, 27.02. 2003 წ.

... მთელი ამ წლების განმავლობაში ხელისუფლებას ვთხოვდი, ისეთი პოლიტიკა გაეტარებინა, რომლის შედეგად მონურ მდგომარეობაში არ აღმოვჩნდებოდით. როდესაც ვაცხადებდი, რომ რუსეთთან ნორმალური ურთიერთობა უნდა დაგვემყარებინა, ამას ჩვენთვის მეტად მომგებიან მომენტში ვამბობდი. ამ მხრივ მაშინ კოზირი გვეკავა(აფხაზეთის, ელექტროენერგიის, გაზის მიწოდების და სხვა საკითხებში), მაშინ მაბრალებდნენ, რომ ეს პრორუსული და ანტიდასავლური პოზიცია იყო. ყველა სასარგებლო მომენტი ხელისუფლებამ ხელიდან გაუშვა და დღეს იქამდე მივიდა, რომ ჩვენ ყოველგვარი წამგებიანი პოზიციიდან რუსეთს ყველაფერს ვუთმობთ. მე ეს არ მინდოდა. სულ იმას ვამბობდი, რომ არსებული მომენტით გვესარგებლა და ისე არ გაგვეკეთებინა, რომ რუსეთს ვეყიდეთ.

„ტრიბუნა“, 1.09. 2003 წ.

— ბატონო ალექსანდრე, ამას წინათ გაზეთ „24 საათში“ გამოქვეყნდა მასალა, რომელიც ნათელს ჰფენს, თუ როგორ იგეგმებოდა ჯერ კიდევ 1995 წლიდან თქვენი დისკტედიტაციის კამპანია..

— უკვე რამდენიმე წელია, მიზანმიმართულად ცდილობენ, ხან სეპარატისტის, ხან „კრემლის აგენტის” იარლიყი მომაკერონ, რადგანაც სხვა ვერაფერი მოიფიქრეს. მე არც სახელმწიფოს ქონება მიმიტაცებია და, ჩემი ოპონენტებისგან განსხვავებით, არც ქვეყნის საწინააღმდეგო გარიგებებში მიმიღია მონაწილეობა, არასოდეს მითანამშრომლია ამ ხელისუფლებასთან. როგორც თქვენ მიერ ნახსენები პუბლიკაციიდან ირკვევა და როგორც „მოქალაქეთა კავშირის“ დავალებით ჩემი დისკრედიტაციის გეგმის ერთ-ერთი შემსრულებელი აღიარებს, 1995 წლიდან ვაშლიჯვრის, ანუ „მოქკავშირის“ ოფისში მომნათლეს, როგორც „საშიში გონი“, რომელიც „გამანადგურებლად არგუმენტირებული ბრალდებებით მიწასთან ასწორებდა „მოქკავშირსა“ და მის თავკაცს — შევარდნაძეს“. სწორედ აქ დაიგეგმა, რომ პრორუსული ძალის იარლიყი მოეკერებინათ ჩემთვის, რასაც წლების მანძილზე მიზანმიმართული შავი პიარით ნაწილობრივ მიაღწიეს კიდეც, თუმცა ნებისმიერი ადამიანისათვის, ვისაც წაუკითხავს ჩემი წიგნები, იცნობს ჩემს დამოკიდებულებას და შეურიგებელ პოზიციას იმის მიმართ, რაც ხდება ქვეყანაში, ცხადია, რომ, როგორც „სეპარატისტის“, ასევე „რუსეთის აგენტის“ იარლიყი ხელისუფლების მიერ შემოგდებული ყოვლად უსაფუძვლო ცილისწამებაა. დამეთანხმებით, რომ, თუკი არ მომწონს ჩვენი ქვეყნისთვის დამამცირებელი და დამღუპველი სამხედრო ხელშეკრულება, რომელიც აშშ-თან დავდეთ, თუკი არ მსურს, ვიღაც გადამთიელის მონა ვიყო და

მის დაკრულზე ვიცეკვო, ესე იგი პროქართული ორიენტაციის ვარ და, თუ ვინმეს ჰგონია, რომ ჩემი სურვილი — ქართველი კაცი თავად იყოს საქართველოს ბატონ-პატრონი — არის სეპარატიზმი, ნაციზმი ან რასიზმი, ეგონოს. ეს მისი პრობლემაა და არა ჩემი.

...არსებობს დახმარება, მაგრამ არსებობს დათვური სამსახურიც და დახმარებით შენიღბული მავნებლობაც. სწორედ მავნებლობაა, რასაც დასავლეთი სავალუტო ფონდის ხელით წლების მანძილზე აკეთებდა ჩვენთან. ათი წელია, საჯაროდ ვაცხადებ, რომ მათი რეკომენდაციები დამღუპველია ჩვენი ქვეყნისთვის, რისთვისაც დასავლეთის მოძულე შემარქვეს, მაგრამ დღეს უკვე ყველასთვის ცხადია, რომ სავალუტო ფონდის რეკომენდაციების შესრულებას არც ერთი ქვეყნისთვის, მათ შორის არც საქართველოსთვის, არ მოუტანია არანაირი სიკეთე, ვნებით კი ბევრი გვავნო. მეტსაც გეტყვით, დაუშვებელია იმაზე საუბარი, რომ ჩვენი გეოპოლიტიკური რეალობის გათვალისწინებით, საქართველო განვიხილოთ დასავლეთის მოკავშირედ რუსეთის წინააღმდეგ ან პირიქით — რუსეთის მოკავშირედ დასავლეთის წინააღმდეგ.

„ასავალ-დასავალი“, 20.10.2003 წ.

სარჩევი

წინათქმა 5

„ჩვენ ვერასოდეს გავხდებით ერთიანი ევროპული სივრცის ნაწილი, ეს ყველას ესმის, ვინც გეოგრაფია იცის“ 7

„საქართველოს არ აქვს მაღალი თანამდებობის უსაქმურების შენახვის ფუფუნება“ 58

„თუ მორჩილად მივიღებთ თავსმოხვეულ „ღირებულებებს“, დავიღუპებით!“ 72

„აგვისტოს ომი იყო თავდაჯერებული და დაუსჯელობით გათავხედებული არამზადების სისხლიანი ავანტიურა!“ 107

„საქართველო ჩინეთი არაა და არც ივანიშვილია დენ სიაოპინი – ბიჭები, რომლებსაც იგი დაუტოვებს ძალაუფლებას, ორიოდე თვეში დაივიწყებენ მის არსებობას“ 114

„არ მოველოდი, რომ ივანიშვილის „ქართული ოცნება“ ასე სწრაფად გადაიქცეოდა მორიგ „ქართულ ფანტაზიად“ 132

II ნაწილი

„ამერიკამ უნდა შეცვალოს თავისი საგარეო პოლიტიკა“ 149

მოხსენება პოლიტიკური გაერთიანება „ერთობის“ II ყრილობაზე 156

„როგორ უნდა ენდო დღევანდელ იმ ვითომ „ოპოზიციონერებს“, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინ შევარდნაძის მზეს ფიცულობდნენ?!“ 191

„საქართველომ საკუთარი ინტერესები უნდა დაიცვას“ 194

შევარდნაძე გადადგება? 208

„რუსეთის ნატოთი ჩანაცვლება, თურქეთის ჯარების საქართველოში შემოსვლას ნიშნავს“ 211

მაინტერესებს, სად და რომელ სორო(ს)ში იმყოფება ჩვენი „სახელოვანი ინტელიგენცია“ 213

აუცილებელია შევარდნაძის ანტიეროვნული პოლიტიკის დაუყოვნებლივ უარყოფა 222

„თუ გვსურს, ერად დავრჩეთ და სახელმწიფო გვქონდეს...“ 239

„ძალზე სახიფათოა, რომ რუსულ პოლიტიკურ წრეებშიც მატულობს კოსოვოს სცენარის მსარდაჭერა კონფლიქტების მოგვარებაში“ 256

როგორ გინდათ, დაარწმუნოთ მეგრელები და სვანები, რომ ენა, რომელზეც ისინი საუბრობენ, არ არსებობს?! 277

„ნატოში შესვლა შეიძლება აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვის ფასად დაგვიჯდეს“ 282

„ჩვენი იარაღი ნეიტრალიტეტია“ 289

„რუსეთმა აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი რომ აღიაროს, მერე სად მივდივართ?“ 302

„პიარისთვის შექმნილი ლიახვის ხეობის მთავრობა საქმეს ვერ უშველის...“ 307

„როცა ქვეყნის ბიუჯეტი ეროვნული სიმდიდრისა და სტრატეგიული ობიექტების გაყიდვის სარჯზე იზრდება, ასეთ ქვეყანას მომავალი არ აქვს“ 311

თურქეთის გენშტაბის საიდუმლო გეგმა საქართველოს წინააღმდეგ(?!) 319

„ჩემთვის, როგორც საქართველოს მოქალაქისთვის, მტკივნეული და საწყენია, რომ ჩემი სამშობლო გადაიქცა ვიღაცის კოლონიურ დანამატად მარიონეტული პოლიტიკური კლასით“ 325

„ეს არის აქსიომა, რომელსაც მთელი ამ წლების
განმავლობაში შევარდნაძე მალავდა
და ამას აბრძოლებს სააკაშვილი“ 337

ჩიხური სიტუაციაა 343

ალექსანდრე ჭაჭია სააკაშვილს
პუტინ-მედვედევთან შეხვედრას სთავაზობს 348

ჯერ კიდევ არის დრო... 353

„კოლონიური ქვეყნისთვის
არ აქვს მნიშვნელობა, კონკრეტულად
ვინ იკავებს პრეზიდენტის საფარაქელს“ 355

„არ ვიცი, კიდევ რა უნდა მოხდეს
საქართველოში ისეთი, რომ დაფრწმუნდეთ:
გზა, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ
შევარდნაძის დროიდან აირჩია, არის დამღუპველი“ 366

„სააკაშვილის საფარაქელი არ შეირყა
ერთი რამის გამო – ეს ოპოზიცია ისეთივე
მართვადია, როგორც ხელისუფლება!“ 372

„როცა ამერიკელებმა ნაციონალები მოიყვანეს
ხელისუფლებაში, ისიც გადაწყვიტეს,
ვინ უნდა ყოფილიყო მათი ოპოზიცია!“ 378

„ის, რომ სააკაშვილის რეჟიმი უსისხლოდ არ წავა,
მათ მიერვე შემოგდებული მითია!
ესენი სისხლის დამღვრელები არ არიან!“ 383

„მხოლოდ მოღალატეები არ ისარგებლებდნენ
იმ პერიოდით, როდესაც ხელისუფლებაში სერგეი
ბაგაფში და მისი თაობის წარმომადგენლები იყვნენ“ 390

„ანქვაბის პრეზიდენტად არჩევით აფხაზეთის
მოსახლეობამ ღირსეული არჩევანი გააკეთა!“ 395

„საშწუხაროდ, ეკლესიისა და პატრიარქის
პასიურობამ მიგვიყვანა იქამდე, რომ
განხეთქილებისა და გახლეჩის ზღვარზე ვდგავართ!“ 400

ამონარიდები სხვადასხვა ინტერვიუებიდან 408

ISBN 978-9941-0-4559-2